ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი

SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
FACULTY OF BUSINESS AND MANAGEMENT

დავით ქათამაძე
DAVID KATAMADZE

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები

- თეორია და პრაქტიკა -

INTERNATIONAL ECONOMIC RELATIONSHIPS

- theory and practice -

დ ა მ ხ მ ა რ ე
ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო

A D D I T I O N A L
T E X T B O O K

გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“
Publishing House „Shota Rustaveli state university”

ბათუმი 2008 **BATUMI**

ნაშრომში განხილულია ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ისტორიული ასპექტი, თანამედროვე მდგომარეობა და სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტული მიმართულებანი. მასში გაანალიზებულია სამამულო ეკონომიკის განვითარებაზე მოქმედი საგარეო ეკონომიკური ფაქტორები, წარმოდგენილია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები, გადმოცემულია ის ეკონომიკური ბერკეტები და ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საგარეო ეკონომიკური კავშირების ეროვნული ინტერესების შესაბამისად მართვა.

სახელმძღვანელო რეკომენდებულია საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო ბიზნესის, ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისა და მაგისტრანტებისათვის. იგი გამოადგება საერთაშორისო ეკონომიკის საკითხებით დაინტერესებულ ყველა პირს.

რედაქტორი თეიმურაზ შენგელია ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

რეცენზენტები რეზო მანველიძე - ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი,
შ. რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი;
ვლადიმერ ღლონტი - ეკონომიკურ
მეცნიერებათა დოქტორი,
შ. რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი;

წიგნი გამოიცა ბათუმის საზღვაო აკადემიის ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დაფინანსებით

© გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ – 2008,
ISBN 99940-25-46-5

შინაარსი

შესავალი

ნაწილი I – საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თეორიული საფუძვლები 11

თავი I — საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თეორიული და მეთოდოლოგიური ასპექტები 12

§ I. 1. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა არსი და მნიშვნელობა. მათი ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა 12

§ I. 2. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ტენდენციები 16

§ I. 3. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სტრატეგიული განვითარების მიმართულებანი 19

§ I. 4. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები 21

§ I. 5. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა შემსწავლელი თეორიების განვითარების ისტორია 24

რეზიუმე 28

ძირითადი ტერმინოლოგია 29

ამოცანები 29

თავი II – საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თანამედროვე თეორიები 31

§ II. 1. ფაქტორული მიდგომის ახალი ინტერპრეტაცია 32

§ II. 2. წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების ეფექტი ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში 34

§ II. 3. პორტერის კონკურენციის თეორია. საერთაშორისო შეუსაბამობისა და ასიმეტრიის თეორემა 36

§ II. 4. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თანამედროვე ნოვაციები და თეორიები 39

რეზიუმე 43

ძირითადი ტერმინოლოგია 43

ამოცანები 44

თავი III – საგარეო ვაჭრობის გავლენა წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეულ ეკონომიაზე 46
§ III. 1 საგარეო ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიის თეორია და საერთაშორისო ვაჭრობა 46

§ III. 2. მასშტაბის ეკონომიკა: წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეული ეკონომია 49
§ III. 3. საერთაშორისო ვაჭრობა არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში 51
§ III. 4. საერთაშორისო ვაჭრობა მონოპოლისტური კონკურენციისა და ოლიგოპოლიის პირობებში 55
რეზიუმე 57
ძირითადი ტერმინოლოგია 58
ამოცანები 59

თავი IV – შემოსავლების გადანაწილებისა და ეკონომიკური ზრდის საგარეო ეფექტი 60
§ IV. 1.. შემოსავლების საერთაშორისო გადანაწილების გავლენა საგარეო ვაჭრობის პირობებზე 60
§ IV, 2. ეკონომიკური ზრდის საგარეო ასპექტი 65
§ IV. 3. საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკური ზრდის (უცხოეთის პროგრესული ტექნოლოგიის მოზიდვის) ეფექტი 67
რეზიუმე 68
ძირითადი ტერმინოლოგია 69
ამოცანები 69

თავი V – საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა სამამულო ეკონომიკის განვითარებაზე 71
§ V. 1. ღია ეკონომიკის სტანდარტული მოდელი 71
§ V. 2. საგარეო ვაჭრობის გავლენა მიწოდებაზე ღია ეკონომიკის პირობებში 75
§ V. 3. მომხმარებელთა სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან 80
§ V. 4. მწარმოებელთა სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან 83
§ V. 5. საგარეო ვაჭობის გავლენა პროდუქციის იმპორტიორი და ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე 86
რეზიუმე 88
ძირითადი ტერმინოლოგია 89
ამოცანები 89

ნაწილი II – საგარეო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმი 91

თავი VI – საგარეო ვაჭრობის სატარიფო ბარიერებით რეგულირება 92
§ VI. 1. საიმპორტო საბაჟო ტარიფის გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე 93
§ VI. 2. იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის წმინდა ეფექტი მთელი საზოგადოებისათვის 99
§ VI. 3. საიმპორტო ტარიფების შემოღების გავლენა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე 101
§ VI. 4. საექსპორტო ბარიერების შემოღების მიზეზები და მისი გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე 102
რეზიუმე 106
ძირითადი ტერმინოლოგია 107
ამოცანები 107

თავი VII – იმპორტის რეგულირების არასატარიფო ბარიერები 109
§ VII. 1. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: სატარიფო წარმატებები არასატარიფო პრობლემების ზრდასთან შედარებით 110
§ VII. 2. იმპორტის მარეგულირებელ არასატარიფო ბარიერთა მოკლე მიმოხილვა 111
§ VII. 3. ექსპორტის „ნებაყოფლობითი" შეზღუდვა 113
§ VII. 4. სხვა არასატარიფო ბარიერები 115
რეზიუმე 117
ძირითადი ტერმინოლოგია 118
ამოცანები 118

თავი VIII – სამამულო დარგთა დაცვის პრობლემები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში 120
§ VIII. 1. პროტექციონიზმის გავლენა მთლიანი შიდა პროდუქციის ფორმირებაზე 121
§ VIII.. 2. სპეციფიკურობის წესი 123
§ VIII. 3. მრეწველობის ახალ დარგთა დაცვის პოლიტიკა 127
§ VIII. 4. სამამულო დარგთა დაცვის ალტერნატიული გზები 129
რეზიუმე 134
ძირითადი ტერმინოლოგია 134
ამოცანები 135

თავი IX – რეგიონული სავაჭრო ბლოკები და ეკონომიკური ინტეგრაციები 136
§ IX. 1. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და მისი ფორმირების წინაპირობები, მიზეზები და განმსაზღვრელი ფაქტორები 137
§ IX. 2. დისკრიმინაციით ვაჭრობის სარგებლიანობა 140
§ IX. 3. საბაჟო კავშირში გაწევრიანების შედეგები სავაჭრო დისკრიმინაციის პირობებში 144
§ IX. 4. რეგიონული ინტეგრაციების ფორმირების გამოცდილება 146
§ IX. 5. სავაჭრო ემბარგო 151
რეზიუმე 154
ძირითადი ტერმინოლოგია 154
ამოცანები 155

თავი X. – ექსპორტის სტიმულირება 156
§ X. 1. საექსპორტო სუბსიდიის გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე და საგარეო ვაჭრობის პირობებზე 157
§ X. 2. ევროკავშირის აგრარული პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკა 159
§ X. 3. სახელმწიფოს როლი ექსპორტის წახალისებაში 162
რეზიუმე 164
ძირითადი ტერმინოლოგია 165
ამოცანები 165

თავი XI – საერთაშორისო ვაჭრობა და გარემოს დაცვა 167
§ XI. 1. საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა ქვეყნის ეკოლოგიაზე 168
§ XI. 2. გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დაცვის „სპეციფიკურობის" წესი 172
§ XI. 3. საგარეო ვაჭრობა და შიდა დაჭუჭყიანება. დაბინძურების გავრცელება საზღვრების მეშვეობით 175
§ XI. 4. გლობალური ეკოლოგიური პრობლემებისადმი კომპლექსური საერთაშორისო მიდგომა 179
§ XI. 5. ჭარბი რეწვა, ოზონი. გლობალური დათბობა 183
რეზიუმე 185
ძირითადი ტერმინოლოგია 186
ამოცანები 186

თავი XII – მაღალგანვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო ვაჭრობის რეგულირების თავისებურებანი 188

§ XII. 1. მაღალგანვითარებული ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკა 189
§ XII. 2. ფასების შენარჩუნებით ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოქმნის შესაძლებლობა მოწინავე ქვეყნებში 192
§ XII. 3. განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სპეციფიკა 193
§ XII. 4 განვითარებადი ქვეყნების საგარეო ეკონომიკური 195
§ XII. 5 გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სპეციფიკა 197
§ XII. 6. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინაშე წარმოქმნილი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები 201
რეზიუმე 204
ძირითადი ტერმინოლოგია 206
ამოცანები 206

თავი XIII – საერთაშორისო სასაქონლო ბაზრები და მათი ფუნქციონირების მექანიზმი 209
§ XIII. 1. აგრარული პროდუქციით ქვეყნებს შორის ვაჭრობის სპეციფიკა 210
§ XIII. 2. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მსოფლიო მოდელი 213
§ XIII. 3. ნავთობის მსოფლიო ბაზარი და მისი ფუნქციონირების მექანიზმი 216
§ XIII. 4. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი 217
რეზიუმე 219
ძირითადი ტერმინოლოგია 220
ამოცანები 220

თავი XIV – სავაჭრო პოლიტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები 222
§ XIV. 1. სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორები 223
§ XIV. 2. სახელმწიფო მოხელეთა მოქმედების მიზნები და მათი გავლენა სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებაზე 227
§ XIV. 3. ოპტიმალური სავაჭრო პოლიტიკა 233
რეზიუმე 237
ძირითადი ტერმინოლოგია 237
ამოცანები 237

ნაწილი III – საერთაშორისო სავალუტო პოლიტიკის

ბანვითარების თანამედროვე ტენდენციები 239

თავი XV – საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსი 240
§ XV. 1. მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის დადებითი სალდოს მნიშვნელობა 241
§ XV. 2. საერთო საგადამხდელო ბალანსის მაკროეკონომიკური მნიშვნელობა 244
§ XV. 3. სავაჭრო ბალანსის გავლენა სავალუტო კურსსა და პოლიტიკაზე 247
§ XV. 4. სავაჭრო დისბალანსის გავლენა ეკონომიკაზე 255
რეზიუმე 258
ძირითადი ტერმინოლოგია 259
ამოცანები 259

თავი XVI – უცხოური ვალუტის ბაზარი 262
§ XVI. 1.: უცხოური ვალუტის ბაზრით სარგებლობა 263
§ XVI. 2. სავალუტო კურსის დაზღვევა და სპეკულაცია 264
§ XVI. 3. ვადიანი ვალუტის კურსები და სპოტკურსები სავალუტო ბაზარზე 269
§ XVI. 4. ვალუტის კურსის განსაზღვრა მცურავ და ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში 272
§ XVI. 5. სავალუტო რისკის დაზღვევის კერძო საშუალებები 276
§ XVI. 6 უცხოური ვალუტის სპოტ-ბაზარი. სამმხრივი არბიტრაჟი 279
§ XVI 7. სავალუტო ბაზრის სახელმწიფო რეგულირება 282
რეზიუმე 285
ძირითადი ტერმინოლოგია 286
ამოცანები 286

თავი XVII ვადიან სავალუტო გარიგებათა დაზღვევის მექანიზმი 288
§ XVII. 1. ვადიან სავალუტო ბაზარზე აქტივების დაზღვევის საფუძვლები 288
§ XVII. 2. უცხოური ინვესტიციების დაზღვევა ვადიან გარიგებათა მეშვეობით 289
§ XVII. 3. დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალი 290
§ XVII. 4. დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები 292
რეზიუმე 293
ძირითადი ტერმინოლოგია 294
ამოცანები 294

ნაწილი IV – ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური პოლიტიკა 298

თავი XVIII – ღია ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი 299
§ XVIII 1. ღია ეკონომიკის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ანალიზი 300
§ XVIII 2. ხარჯების მულტიპლიკატორის ეფექტი ღია ეკონომიკის პირობებში 301
§ XVIII 3 ვალუტის დევალვაციის გავლენა ეროვნულ შემოსავალზე და მის განაწილებაზე 306
§ XVIII 4. „მეზობლის ძარცვის" პოლიტიკა 311
რეზიუმე 314
ძირითადი ტერმინოლოგია 315
ამოცანები 315

§ XIX – მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პრობლემები ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში 317
§ XIX. 1. ღია ეკონომიკის მოდელი ფიქსირებული კურსების დროს 318
§ XIX. 2. საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა საგადასახადო ბალანსზე 323
§ XIX. 3. საკრედიტო-საბიუჯეტო კომბინაცია 328
§ XIX. 4. გარე დისბალანსისაგან ეკონომიკის დაცვის გზები 334
რეზიუმე 340
ძირითადი ტერმინოლოგია 342
ამოცანები 343

§ XX – მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პრობლემები მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში 345
§ XX. 1. ღია ეკონომიკის მოდელი მცურავი კურსების დროს 346
§ XX. 2. ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ წონასწორობაზე მცურავი კურსების დროს 347
§ XX. 3. ეკონომიკური წონასწორობის რღვევის გამომწვევი საგარეო შოკები 352
§ XX. 4. მაკროეკონომიკური პოლიტიკის არჩევანი 357
რეზიუმე 363
ძირითადი ტერმინოლოგია 364
ამოცანები 364

ნაწილი V – წარმოების ფაქტორთა მიგრაცია 367

§ XXI – სამუშაო ძალთა მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე 367

§ XXI. 1. შრომითი რესურსების მიგრაციის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები 368

§ XXI. 2. შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნის იმიგრაციული და ექსპორტიორი ქვეყნის ემიგრაციული პოლიტიკა 370

§ XXI. 3. შრომითი რესურსების მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე 373

რეზიუმე 373

ძირითადი ტერმინოლოგია 374

ამოცანები 374

§ XXII. ფინანსური რესურსების საერთაშორისო დენადობა 376

§ XXII. 1. მოგება და ზარალი ნორმალურად მოქმედი საერთაშორისო დაკრედიტების სისტემაში 377

§ XXII. 2. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა. მისი განვითარების ისტორია 382

§ XXII. 3. პირდაპირი ინვესტირება, როგორც მონოპოლიზაციის ქმედითი ინსტრუმენტი 387

§ XXII. 4. პირდაპირი ინვესტიციების დენადობის შეზღუდვის დადებითი და უარყოფითი მხარეები 389

რეზიუმე 391

ძირითადი ტერმინოლოგია 391

ამოცანები 391

გამოყენებული ლიტერატურის სია 393

ვუძღვნი
აკადემიკოს დავით ძნელაძის
ხსოვნას

შესავალი

msoflios calkeul saxelmwifoTa geografiuli ganlagebis Taviseburebebma, gansxvavebulma bunebriv-klima-turma pirobebma, erovnul moTxovnasTan SedarebiT meti produqciis warmoebis SesaZleblobam, Sromis saerTa-Soriso danawilebam, mecnierul-teqnikurma progresma da globaluri problemebis erToblivad gadaWris aucileb-lobam Seqmna qveynebs Soris ekonomikuri urTierTobebis Camoyalibebis aucilebloba. Tanamedrove etapze metad aq-tualurad dgas erovnuli ekonomikis msoflio meurneobaSi optimalurad integrirebis sakiTxi, rac moiTxovs qveyanaSi arsebuli erToblivi moTxovnisa da samewarmeo SesaZle-blobebis kompleqsur Seswavlas. Ria ekonomikaze gadasvla moiTxovs saqarTvelos ekonomikis iseTi dargobrivi struqturis Camoyalibebas, romelic maqsimalurad aamoqmedebs Cveni qveynis sawarmoo SesaZleblobebs da miesadageba Tanamedrove msoflio moTxovnebs.

sasargeblo rCevebisa da rekomendaciebisaTvis madlobas vuxdi wignis redaqtors, ekonomikis mecnierebaTa doqtors, ivane javaxiSvilis saxelobis Tbilisis saxelmwifo universitetis profesors -- Teimuraz Sengelias, recenzentebs: ekonomikis mecnierebaTa doqtors, profesor revaz manveliZes, ekonomikis mecnierebaTa doqtors, profesor vladimer Rlonts, koreqtors -- S. rusTavelis saxelmwifo universitetis asocirebul profesors – nana cecxlaZes.

naSromi araa dazRveuli Secdomebisagan. amitom madlierebis grZnobiT miviRebT mis mimarT gamoTqmul nebismier samecniero Tu teqnikuri xasiaTis saqmian SeniSvnasa da winadadebas, romelic gaTvaliswinebuli iqneba momdevno samecniero SromebSi.

ნაწილი I

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თეორიული საფუძვლები

თავი I

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

თეორია პრაქტიკის გარეშე ფანტაზიაა,
პრაქტიკა თეორიის გარეშე კი – ქაოსი.
მ. ავრელიუსი

§ I. 1. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა არსი და მნიშვნელობა. მათი ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ეს არის ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტებს (სახელმწიფოებს, ფირმებს, ბანკებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) შორის დამყარებული სავაჭრო, საწარმოო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო საინფორმაციო და სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც ემყარება შრომის საერთაშორისო დანაწილებას და მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე.

თანამედროვე საგარეო ეკონომიკური კავშირები მნიშვნელოვნად განსხვავდება თავისუფალი კონკურენციის პერიოდში არსებულისაგან, რაც განაპირობა ცალკეული სახეობის სასაქონლო ბაზრების მონოპოლიზაციამ, საწარმოო პროცესების ინტერნაციონალიზაციამ, ეკონომიკური პროცესების გლობალიზაციამ, ეროვნულ მეურნეობათა ინტეგრაციის დონის გაღრმავებამ და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ეკონომიკურ მეცნიერებათა ერთ-ერთი დარგია. იგი შეისწავლის ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთიანი მექანიზმის იმ ბერკეტებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული სახელმწიფოები ერთმანეთს შორის ამყარებენ სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობებს. **ერთი ქვეყნის ვაჭრობას სხვა ქვეყნებთან, რომელიც შედგება საქონლის ექსპორტ-იმპორტისაგან, საგარეო ვაჭრობა ეწოდება, ხოლო სხვადასხვა ქვეყნებს შორის გამართულ ვაჭრობას თავის ერთობლიობაში – საერთაშორისო ვაჭრობა ჰქვია.** არსებობს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მოტივაციის სამი ძირითადი საშუალება, ესენია: 1. უცხოეთის იაფი ნედლეულის, საქონლისა და მომსახურების გამოყენება; 2. საქონლის ექსპორტით მოგების მიღება; 3. მყიდველთა და გამყიდველთა საშუამავლო ფუნქციებზე დასპეციალება.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში – განსაკუთრებით მცირე ერებისათვის, რომელთაც შეზღუდული ეროვნული რესურსები და გასაღების მცირე შიდა ბაზრები აქვთ. ასეთ ქვეყნებს არ შეუძლიათ შიდა მოხმარებისათვის საჭირო ყველა სახის საქონლის სათანადო ეფექტიანობით, ერთდროულად წარმოება. შესაბამისად, საგარეო ეკონომიკური კავშირები მათთვის სასურველი საქონლისა და ნედლეულის მიღების ძირითადი საშუალებაა. **ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობას წმინდა ექსპორტი ეწოდება. Xწმ = X -- M;** თუ წმინდა ექსპორტი დადებითია, მაშინ ქვეყნისათვის სხვა სახელმწიფოებთან დამყარებული ასეთი საგარეო ეკონომიკური კავშირები მომგებიანია, რადგანაც იგი ზრდის ეროვნულ შემოსავლებს, დასაქმების დონეს, სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობას, აჩქარებს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებს და პირიქით.[1] ამრიგად, თუ ქვეყანამ

[1] ლარისა ყორღანაშვილი. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: „მერიდიანი და კაბადონი". თბილისი. 1997. გვ. 11 – 40.

ეროვნულ ინტერესებზე დაყრდნობით წარმართა საგარეო ეკონომიკური კავშირები, მაშინ მას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია მისი ეკონომიკისათვის, რადგანაც იგი საშუალებას იძლევა შეზღუდული რესურსების პირობებში მაქსიმალურად დააკმაყოფილოს მომხმარებელთა ინტერესები.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ისტორიული განვითარების მოკლე მიმოხილვა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ისტორიულად პირველად მაშინ ჩაისახა, როდესაც ადამიანთა ცალკეულმა ჯგუფებმა, ტომებმა აწარმოეს იმ რაოდენობაზე მეტი პროდუქცია, რამდენსაც თვითონ მოიხმარდნენ და შეიქმნა ამ ჭარბი პროდუქციის ურთიერთგაცვლის აუცილებლობა, ამა თუ იმ საქონელზე არსებული მოთხოვნის უფრო მრავალფეროვნად დაკმაყოფილების მიზნით.

ცალკეული საქონელი სპეციფიკური თვისებებით ხასიათდებოდა, რის გამოც ძნელდებოდა გაცვლის ერთეულის დადგენა. საქონელგაცვლის პროცესის გამარტივების მიზნით, გაცვლის ეკვივალენტად შემოღებულ იქნა ერთი, რომელიმე ტიპიური პროდუქცია, რომელიც თითქმის ყველა ერისათვის ხელმისაწვდომი იყო და რომლის ერთეულოვანი საქონელიც ყველასათვის საერთო იყო. ამით საქონელგაცვლის პროცესმა ნახევრად ნატურალური სახე მიიღო. მაგრამ შემდეგ გაცვლის პროცესში თავი იჩინა ახალმა პრობლემამ. გაცვლის ექვივალენტი პროდუქცია სეზონური, ცვეთადი და მალფუჭებადი იყო. ამიტომ გაცვლის პროცესში ჩაერთო ფერადი ლითონები (ოქრო და ვერცხლი), რომელიც სხვა ექვივალენტებთან შედარებით ხანგამძლე და ცვეთამედეგი იყო.

მაგრამ დროის ხანგრძლივ პერიოდში ფერადი ლითონებიც ცვდებოდა. გარდა ამისა, ოქრო-ვერცხლის საბადოების არსებობისა და, შესაბამისად, მათი მოპოვების შეზღუდულობა დეფიციტს ქმნიდა გაცვლის პროცესში. ბევრი ხელსაყრელი გარიგება განუხორციელებელი რჩებოდა მათი ოქროთი ან ვერცხლით ვერუზრუნველყოფის გამო. ამიტომ, საერთაშორისო საქონელგაცვლის პროცესში ჩაერთო ფერად ლითონებთან შედარებით ბევრად უფრო მობილური, ხანგამძლე და ადვილად აღდგენადი საშუალება – ფული. ამით საქონელ-

გაცვლის ნატურალურმა ფორმამ შეწყვიტა თავისი არსებობა და იგი შეცვალა საქონელგაცვლის ახალმა ფორმამ – „საქონელი-ფული-საქონელი", სადაც ქაღალდის ფული ასრულებდა გაცვლის ექვივალენტის როლს.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდგომმა გაღრმავებამ ფულად-სასაქონლო მიმოქცევიდან გადაინაცვლა მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა, კვალიფიცირებული კადრების, ლიცენზიების, კრედიტების, სესხების, ობლიგაციების და სხვა სახის ფინანსური კაპიტალის გაცვლაზე. ამიტომ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქონელგაცვლის ხვედრითი წილი რამდენადმე შემცირდა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი ისტორიული განვითარება დაკავშირებულია ფულად-სასაქონლო გაცვლისა და სასაქონლო კაპიტალის პირველადი ფორმის სრულყოფასთან.

XIX – XX საუკუნეთა მიჯნაზე მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკური დონის ამაღლება. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად დარგობრივი ცვლილებანი იყო ვაჭრობაშიც. სასაქონლო ვაჭრობას სულ უფრო ცვლიდა საინვესტიციო და სამშენებლო ვაჭრობა.

საერთაშორისო ვაჭრობა იქცა მაღალგანვითარებული ქვეყნების მონოპოლიებისათვის შეკვეთების მიღების პლაცდარმად, სამრეწველო პროდუქციის გასაღების არხად. XX საუკუნის შუა ხანებში მკვეთრად შეიცვალა ვაჭრობის სახე და სფერო. შეიცვალა მოვაჭრე მხარეებიც. ვაჭრობის მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა წარმოების კონცენტრაციის პროცესი. მსოფლიო ბაზარზე გაიზარდა მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის დაპირისპირება. წარმოების მასშტაბებმა წინ გაუსწრო მოთხოვნის ზრდის ტემპს. მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის წინააღმდეგობა გამოიწვია კაპიტალის მიგრაციამ. თუ ადრე ვაჭრობის მთავარი ფორმა იყო სასაქონლო გაცვლა, კაპიტალის მონოპოლიზაციის შემდეგ მიმოქცევის სფეროში ასეთად იქცა კაპიტალის დენადობა. ამიტომ, ცალკეული ქვეყნის ეკონომიკა სულ უფრო კარგავს ეროვნულ ხასიათს და ინტერნაციონალური ხდება.

§ I. 2. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ტენდენციები

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებზე მზარდ გავლენას ახდენს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ზრდა. სახელმწიფოთა მიერ გაწეულმა მზარდმა სამხედრო ხარჯებმა განსაზღვრა საერთაშორისო ვაჭრობის ძირითადი მიმართულებანი. თავდაპირველად ვაჭრობა ითვლებოდა ფასთა განსაზღვრის მთავარ მექანიზმად, მაგრამ დღესდღეობით საგარეო ვაჭრობა იქცა სახელმწიფო გარიგებათა ერთ-ერთ მთავარ საშუალებად, რადგანაც სწორედ იგი წარმოადგენს ღირებულების კანონის ძირითად ორგანიზაციულ ფორმას.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში გაბატონებული პოზიციები დაიჭირეს საერთაშორისო მონოპოლიებმა, რომელთა ორგანიზაციის ძირითადი ფორმაა მრავალეროვნული კომპანიები. ტრანსნაციონალური კორპორაციების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის მთავარი ფორმაა კაპიტალის ექსპორტი, რომლის მეშვეობითაც ისინი ზემოქმედებენ ცალკეულ ქვეყნებში განლაგებულ თავიანთ ფილიალებზე და შვილობილ კომპანიებზე.

თანამედროვე ეტაპზე მცირე და საშუალო ფირმებს არ ძალუძთ დამოუკიდებლად გაუძლონ საერთაშორისო კონკურენციას. ამიტომ ისინი ექცევიან მსხვილი მონოპოლიების კონტროლის ქვეშ, რომლებიც კაპიტალს აბანდებენ „მაღალი ტექნოლოგიების მქონე” სწრაფად განვითარებად დარგებში: ელექტრონიკაში, ბიოტექნიკასა და ინფორმატიკაში. დარგობრივ ორიენტაციაში მომხდარი ცვლილებები აძლიერებს კონტროლს დარგთაშორის კავშირებზე.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში სამეურნეო პროცესების კონტროლის ამაღლების მიზნით სულ უფრო ფართოდ გამოიყენება მონოპოლიათა ურთიერთკავშირის სისტემა. გაღრმავდა ინტეგრაციული პროცესები. ადგილი აქვს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციას. ამდენად, ბოლო დროს მნიშვნელოვნად ამაღლდა ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციის დონე.

იცვლება მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის ძალთა თანაფარდობა. თუ II მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოს ლიდერობდა ამერიკა, ამჟამად ჩამოყალიბდა სამი წამყვანი საფინანსო ცენტრი: ამერიკა, დასავლეთ ევროპა და იაპონია. სულ უფრო მძლავრდება გასაღების ბაზრებისათვის მათ შორის გამართული კონკურენცია. 1980–90-იან წლებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ჰონგ-კონგი, სინგაპური, ტაივანი, სამხრეთ კორეა) და ლათინური ამერიკის (ბრაზილია, არგენტინა, მექსიკა) ქვეყნებმა. სულ უფრო იზრდება ჩინეთისა და რუსეთის როლი.

1990-იან წლებში საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გლობალურ ეკონომიკურ პროცესებს, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა მსოფლიო სამეურნეო კავშირების ერთიან სისტემაზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად 15 ყოფილი სოციალისტური ქვეყანა დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას და დამოუკიდებელი სუბიექტის სტატუსით ჩაერთო საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში.

მსოფლიო მეურნეობის რეგიონალიზაციამ შეცვალა ცალკეული ქვეყნისა და საქონლის ხვედრითი წილი საერთაშორისო ვაჭრობაში. განვითარდა გარიგების ახალი ფორმები: შემხვედრი ვაჭრობა, პატენტებით, ლიცენზიებით, ტექნოლოგიებით ვაჭრობა, კლირინგი და მომსახურების სხვადასხვა ფორმა. შეიცვალა თვით მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთობის ხასიათი: შემცირდა შუამავლის როლი, გაიზარდა მყიდველთა და გამყიდველთა პირდაპირი კონტაქტები.

ამჟამად მსოფლიო ექსპორტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირი. სულ უფრო იზრდება იაპონიის როლი ევროკავშირის ბაზრებზე. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ამ ქვეყნებში იწვევს ძირითადი კაპიტალის განახლებას, ახალი დარგების შექმნასა და არსებულის რეკონსტრუქციას. მან უშუალო გავლენა მოახდინა წამყვან სამრეწველო დარგებზე, მათ საექსპორტო ორიენტაციად ფორმირებაზე. საგარეო ბაზრების არსებობა ხშირად წყვეტს ახალ გამოგონებათა ბედს.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სულ უფრო შეიმჩნევა პროტექციონიზმის უარყოფა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, იმპორტის სატარიფო შეზღუდვების გაუქმება. ამდენად, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და ღია ეკონომიკაზე გადასვლა თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების ერთ-ერთი უმთავრესი ტენდენციაა. საგარეო ვაჭრობა მსოფლიო მეურნეობის ყველაზე უფრო მონოპოლიზირებული სფეროა. სამრეწველო პროდუქციის 80% ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპორტზე მოდის.

საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვისებაა დაუბალანსებელი საქონელგაცვლის ზრდა. ენერგოშემცველებზე ფასების კოლოსალურმა ზრდამ, წამყვანი ქვეყნების იმპორტში ენერგეტიკული ნედლეულის ხვედრითი წილის ამაღლებამ გამოიწვია მათი სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაღრმავება და ენერგორესურსების ექსპორტიორი განვითარებადი ქვეყნების სავაჭრო ბალანსში დადებითი სალდოს ფორმირება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციად ითვლება ნედლეულსა და სურსათზე მსოფლიო ფასების ვარდნა, სამრეწველო საქონლის, ნავთობის ფასებსა და საშუალოდ, მსოფლიო ინფლაციასთან შედარებით. შესაბამისად, გაუარესდა სურსათისა და ნედლეულის ექსპორტიორი განვითარებადი ქვეყნების პოზიციები საერთაშორისო ვაჭრობაში.

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ტენდენციაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე მაღალგანვითარებული ქვეყნების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეროვნული თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება. ამან კიდევ უფრო შეამცირა სურსათზე მსოფლიო მოთხოვნა. მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა კიდევ უფრო აამაღლა მრეწველობის როლი მთლიან მსოფლიო მეურნეობაში, ამაღლდა აგრარული სექტორის მექანიზაცია-ავტომატიზაციის დონე, გაუმჯობესდა საწარმოო ინფრასტრუქტურა. თანამგზავრული კავშირების გამოყენებით კავშირგაბმულობის სფეროში მიღწეულმა პროგრესმა ხელი შეუწყო მუდმივი მობილური კავშირების დამყარებას.

§ I. 3. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სტრატეგიული განვითარების მიმართულებანი

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნულ შემოსავლებსა და ეკონომიკურ ზრდაზე. პროდუქციის ექსპორტი ხელს უწყობს სამამულო წარმოების მოცულობის ზრდასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

ჩაკეტილ ეკონომიკაში ერთობლივი დანახარჯები გამოითვლება ფორმულით:

$$E_{\text{ერთ.}} = C_{\text{პირ.}} + G + I_d \quad \text{..... I. 1.}$$

სადაც $C_{\text{პირ.}}$ არის პირადი სამომხმარებლო ხარჯები, G – სახელმწიფო შესყიდვები და I_D – შიდა ინვესტიციები.

ღია ეკონომიკის პირობებში, საგარეო ვაჭრობის დამყარებისას ერთობლივ დანახარჯთა ცვლილებაზე გავლენას ახდენს წმინდა ექსპორტიც. ამიტომ (I 1.) ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს

$$E_{\text{ერთ.}} = C_{\text{პირ.}} + G + I_d \pm X_{\text{წმ.}} \quad \text{..... I. 2.}$$

თუ $X_{\text{წმ.}}$ დადებითია, მაშინ ჩაკეტილ ეკონომიკასთან შედარებით, ღია ეკონომიკაში იგი იწვევს ერთობლივი დანახარჯების ზრდას და ამით ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას, ხოლო თუ $X_{\text{წმ.}}$ უარყოფითია, მაშინ იგი იწვევს ეროვნულ დანახარჯთა ანუ ეროვნული შემოსავლების ვარდნას.

ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მატერიალური საფუძველია შრომის საერთაშორისო დანაწილება, რომელიც ქმნის საერთო ეკონომიკური კანონების ბევრად უფრო სრულყოფილად განვითარების წინაპირობებს. არსებობს შრომის საერთაშორისო დანაწილების ორი მასტიმულირებელი მოტივი:

1. ქვეყნის მიერ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება;

2. გლობალური პრობლემების ერთობლივად გადაჭრა.

შრომის საერთაშორისო დანაწილება გარკვეული მოგებით უზრუნველყოფს მასში მონაწილე ქვეყნებს. ასევე იგი აძლევს დანახარჯთა ეკონომიას გაცილებით უფრო იაფი

საქონლის იმპორტისა და შედარებით ძვირი ეროვნული პროდუქციის წარმოების უარყოფის ხარჯზე.

წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია და კოოპერირება იწვევს საწარმოო სისტემის განვითარებასა და მისი მდგრადობის გაძლიერებას. შრომის საერთაშორისო დანაწილება ეს ის „ინტეგრატორია", რომელმაც ცალკეული ეკონომიკური ელემენტებისაგან განავითარა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთიანი სისტემა. საწარმოო ძალებისა და საწარმოო ურთიერთობათა კანონზომიერების გამოვლენით, შრომის საერთაშორისო დანაწილებამ შექმნა მსოფლიო მეურნეობის კვლავწარმოების პროცესი, ცალკეულ სახელმწიფოთა მზარდი ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულების წინაპირობები.

სამამულო და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა პროგნოზები იმას მოწმობს, რომ შრომის საერთაშორისო დანაწილება მომავალშიც განუხრელად გაღრმავდება და ამის საფუძველზე ჩქარი ტემპით გაიზრდება საქონლისა და მომსახურების გაცვლა. მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებში დამზადებული პროდუქცია სულ უფრო მაღალ დონეზე იქნება ორიენტირებული საგარეო მომხმარებელზე, ეროვნული მოთხოვნა კი – იმპორტზე. განვითარებად ქვეყნებს ელოდება ადგილობრივი ბაზრის უპირატესად ექსტენსიური გაფართოება. ამიტომ, მიუხედავად მათი წარმოების საკმაოდ მაღალი ტემპებით განვითარებისა, მომავალში შეიძლება მოხდეს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მათი ხვედრითი წილის რამდენადმე შემცირება, ხოლო რაც შეეხება ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს, მათი მონაწილეობა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში განუხრელად გაიზრდება და მომავალში, ამ სფეროში ჩართვის ტემპების მიხედვით ისინი მართლაც გადააჭარბებენ მსოფლიო საზოგადოების ქვეყნების დანარჩენ ორ ჯგუფს.

§ I. 4. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

არსებობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების **ხუთი ფორმა.** ესენია: **1. საგარეო ვაჭრობა; 2. კაპიტალის ექსპორტი; 3. საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობები; 4. სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა; 5. შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგ-რაცია;**

არსებობს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა კვლევის **დიალექტიკური, სტატისტიკური აღრიცხვის, ინდუქციისა და დედუქციის, მეცნი-ერული აბსტრაქციის, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი.**

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი. ესენია: 1. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მასშტაბურობა; 2. მასში მონაწილე სუბიექტების დიდი სიმრავლე; 3. მყიდველთა და გამყიდველთა დიდი სივრცობრივი დაშორება; 4. საერთაშორისო კონკურენციის სიმძაფრე; 5. ქვეყნებს შორის რესურსების მიგრაციის ნაკლებმობილურობა; 6. ეროვნული ვალუტების მეშვეობით საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მართვის სირთულე; 7. პროდუქციის სტანდარტიზაციასერთიფიკაციის საერთაშორისო დონის დაცვა; და ა. შ.

არსებობს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მახასიათებელი შემდეგი **ძირითადი ნიშნები:** 1. შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე დაფუძნებულობა; 2. ფულად-საკრედიტო ურთიერთობითი ხასიათი; 3. საბაზრო პრინციპებზე დაყრდნობა; 4. კონკურენციის არსებობა; 5. სავალუტო-საკრედიტო, საინფორმაციო და შრომითი რესურსებით სარგებლობა; 6. ტრანსეროვნული კომპანიებით მონოპოლიების წარმოქმნა; 7. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა რეგულირება; 8. საკუთარი ინფრასტრუქტურის არსებობა;

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარებაზე მოქმედ **ფაქტორებს** განეკუთვნება: 1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება; 2. გარე სამყაროს გლობალური ცვლილებები; 3. მოსახლეობის ზრდა და მათი მუდმივი მიგრაცია; 4. მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის განსხვავების ზრდა; 5. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დაკავ-

შირებულობა; 6. საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების როლის გაძლიერება; 7. კერძო სექტორის როლის ზრდა.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა მეთოდოლოგიური საფუძვლები. ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის მკვეთრმა აღმავლობამ და ინტენსიურად განვითარებამ შექმნა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბების აუცილებლობა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. მისი ფუძემდებელია ინგლისელი მეცნიერ-ეკონომისტი კამიუდე მეზერა. შემდეგში მოხდა მეცნიერების ამ დარგის დახვეწა. გამოიკვეთა მისი კვლევის საგანი, მიზანი, ამოცანები, ობიექტი, სუბიექტი, ფორმები, პრინციპები და ა. შ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, კვლევის **საგანია** მთლიანი მსოფლიო ეკონომიკა მასში შემავალი ცალკეულ სახელმწიფოთა კერძო და საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა ერთობლიობით.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კვლევის **მიზანია** შეისწავლოს საერთაშორისო სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობათა ძირითადი ელემენტები, განსაზღვროს იმ ფაქტორების, ხერხების, კრიტერიუმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელთაც უნდა უზრუნველყონ მისი შემადგენელი თითოეული ელემენტის კომპლექსური და რაციონალური გამოყენება.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს საქონელი, მომსახურება, მატერიალური, ფულადი და შრომითი რესურსები, ხოლო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, კვლევის **სუბიექტებია** კერძო და სახელმწიფო სტრუქტურები, ტრანსეროვნული კომპანიები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნესმენები, მეწარმეები, ფიზიკური და იურიდიული პირები და საქონელგაცვლით დაკავებული სხვა ეკონომიკურად აქტიური სუბიექტები.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, როგორც მეცნიერების, კვლევის **უმთავრესი ამოცანაა** იმ ეკონომიკური

ბერკეტებისა და ინსტრუმენტების შესწავლა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მართვა. გარდა ამისა, არსებობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კვლევის სხვა **თანმდევი ამოცანებიც,** რომელთა რიცხვს განეკუთვნება შემდეგი: 1. განსაზღვროს საგარეო ეკონომიკური კავშირების წინასწარ განჭვრეტის მეთოდოლოგია; 2. გამოიმუშაოს თეორიული მასალების პრაქტიკასთან შერწყმის უნარი; 3. დადგინდეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიული მასალების კვლევის შესაბამისი მეთოდები და ხერხები.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების უმთავრესი პირობაა მსოფლიო მეურნეობის ერთიანობა და საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება. არსებობს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შემდეგი ძირითადი **პრინციპები:**

1. გამორიცხული უნდა იყოს პარტნიორი ქვეყნებისა და ფირმების, ერთმანეთის მიზეზით დაზარალება;
2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ხელს უნდა უწყობდეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებასა და მისი მიღწევების სასარგებლო გამოყენებას;
3. უნდა გამოირიცხოს ეთნოკონფლიქტები;
4. საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და ორივე მხარის სასარგებლოდ ხარჯვას;
5. საერთაშორისო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა უნდა უზრუნველყოს სოციალური კლიმატის გაუმჯობესება;
6. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში წამოჭრილი უთანხმოება უნდა დარეგულირდეს მშვიდობიანი გზით;
7. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა გამოიყენებოდეს ეკონომიკური ბლოკადების სახით, სუვერენული ქვეყნების დასასუსტებლად;
8. უნდა გამოირიცხოს მძლავრ სახელმწიფოთა მიერ სხვა სუსტი ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევა.[1]

---

1. რიბალკინი ვ. „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები". ვ. ლობჟანიძის თარგმანი. გამომცემლობა "ლამპარი". თბილისი, 1999 წ. გვ. 32 – 46.

§ I. 5. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა შემსწავლელი თეორიების განვითარების ისტორია

ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებისა და მისი როლის ზრდის მიზეზთა ამხსნელმა თეორიულმა საფუძვლებმა ჩამოყალიბება დაიწყო თვით საერთაშორისო გაცვლის ჩასახვის მომენტიდან ბევრად უფრო მიგვიანებით. იგი განაპირობა ევროპაში ფეოდალური კარჩაკეტილობის რღვევამ და ქვეყნებს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირების დამყარებამ. თავდაპირველად საერთაშორისო ვაჭრობისადმი წარმოიშვა ორი პრინციპული მიდგომა: პირველი ემხრობოდა საერთაშორისო საქონელგაცვლაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას, ეროვნული მეურნეობის ინტერესთა დაცვის მიზნით, მეორე მიდგომა კი ემხრობა თავისუფალ ვაჭრობას ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე.

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ პირველი თეორიული გამოკვლევები დაიწყეს მერკანტილისტებმა ევროპაში. ისინი ქვეყნის სიმდიდრედ მიიჩნევდნენ ქვეყანაში დაგროვილ ოქროსა და ვერცხლს, ხოლო ერის გამდიდრების წყაროდ თვლიდნენ საგარეო ვაჭრობას, კერძოდ – ექსპორტს. მერკანტილისტებს მიაჩნდათ, რომ ქვეყანამ უნდა მოახდინოს ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის შეზღუდვა, მაგრამ საგარეო ვაჭრობისადმი ასეთმა ცალმხრივმა მიდგომამ დანგრევის პირას მიიყვანა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ამიტომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ვაჭრობისადმი მერკანტილისტურმა (პროტექციონისტულმა) მიდგომამ გზა დაუთმო ვაჭრობის თავისუფლების (ლიბერალიზმის) მომხრე დოქტრინას – ფრიტრედერობას, რომელთა ფუძემდებლებია ა. სმითი და დ. რიკარდო. ისინი ემხრობოდნენ საგარეო ვაჭრობის თავისუფლებას და თვლიდნენ, რომ ქვეყანამ ექსპორტის სტიმულირებასთან ერთად უნდა მოახდინოს იმ პროდუქციის იმპორტი, რომელსაც თავად არ აწარმოებს. ლიბერალისტები ქვეყნის სიმდიდრედ მიიჩნევდნენ ქვეყანაში დაგროვილ საქონელსა და მომსახურებას (მატერიალურ დოვლათს), ხოლო ერის გამდიდრების წყაროდ – წარმოებას.

ადამ სმითმა დაამუშავა აბსოლუტური უპირატესობის თეორია, რომლის თანახმად, **„ქვეყანამ უნდა აწარმოოს და საზღვარგარეთ გასაყიდად გაიტანოს ის საქონელი, რომლის დამზადებაშიც ფლობს აბსოლუტურ უპირატესობას და უცხოეთიდან შემოიტანოს ის პროდუქცია, რომლის დამზადებაშიც არანაირ უპირატესობას არ ფლობს”.** მაგრამ იმ დროის საზოგადოებაში გაჩნდა კითხვები: რა უნდა გააკეთოს იმ ქვეყნებმა, რომლებიც არანაირ უპირატესობას არ ფლობენ საერთაშორისო ვაჭრობაში? მოიგებენ ისინი საგარეო ვაჭრობიდან? მოისურვებენ სხვა, ყველანაირი უპირატესობის მქონე ქვეყნები ამ სუსტი პოზიციების მქონე ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარებას? ამ კითხვებზე პასუხი გასცა სმითის იდეოლოგიური გამოკვლევების მიმდევარმა დავით რიკარდომ, რომელმაც დაამუშავა შეფარდებითი უპირატესობის თეორია. ამ თეორიის თანახმად **„ქვეყანამ უნდა მოახდინოს იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, რომ-ლის დამზადებაშიც ფლობს შეფარდებით უპირატესობას სხვა ქვეყნებთან შედარებით ამ პროდუქციის წარმოებაში და მოახდინოს იმ საქონლისა და მომსახურების იმპორტი, რომ-ლის წარმოებაშიც შედარებით ვერ ფლობს უპირატესობას”.**

მან ანალიზი ორი ქვეყნის მაგალითზე გააკეთა. კერძოდ: ორ მოვაჭრე ქვეყანას შორის ერთ-ერთი მხარე რომც ფლობდეს აშკარა უპირატესობას ყველა სახის საქონლის წარმოებაში, იგი მაინც ვერ შეძლებს ერთდროულად ყველა მათგანის წარმოებას ეკონომიკის რესურსული შეზღუდულობის გამო და კიდევ იმის გამო, რომ საწარმოო ფაქტორთა მიწოდების პროპორციები არაფრით არ შეესაბამება წარმოებაში მათი მოხმარების, ანუ მათზე არსებული მოთხოვნის კომბინაციას. ამიტომ საწარმოებელი პროდუქციის ჩამონათვალს შორის, ყველანაირი უპირატესობის მქონე ქვეყანა აირჩევს მხოლოდ იმ საქონელთა წარმოებას, რომელთა დამზადებაშიც ფლობს შედარებით უფრო მეტ უპირატესობას. დანარჩენი სახეობის პროდუქცია მას უწარმოებელი დარჩება. შედეგად მეორე, არანაირი უპირატესობის მქონე ქვეყანამ საწარმოებლად უნდა აირჩიოს სწორედ მისი ძლიერი პარტნიორის თვალთახედვით არაეფექტური, უწარმოებელი პრო-

დუქციის ჩამონათვალიდან, მისთვის ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი პროდუქციის წარმოება და სწორედ ის პროდუქცია უნდა გაიტანოს გასაყიდად საზღვარგარეთ, სხვა პროდუქციაზე გაცვლის მიზნით.

რიკარდოს მთავარი დამსახურება ისაა, რომ მან თავის გამოკვლევაში აჩვენა: საგარეო ვაჭრობიდან მოგებული რჩება ორივე მოვაჭრე მხარე, ეს დასკვნა სავსებით ეწინააღმდეგება მანამდე გავრცელებულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ თუ საგარეო ვაჭრობიდან იგებს ერთი მოვაჭრე მხარე, მაშინ აუცილებლად დაზარალებული უნდა დარჩენილიყო მეორე, მისი პარტნიორი ქვეყანა.

ა. სმითი და დ. რიკარდო თავიანთ გამოკვლევებს აწარმოებდნენ მხოლოდ ერთ საწარმოო ფაქტორზე -- შრომაზე დაყრდნობით. შემდგომი პერიოდის მკვლევარებმა ანალიზში ჩართეს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად: მიწა და კაპიტალი. ამ მხრივ აღსანიშნავია ცნობილი შვედი მეცნიერ-ეკონომისტის--ელი ჰექშერისა და მისი მოსწავლის, ბერტილ ოლინის გამოკვლევები, რომელიც ცნობილია ჰექშერ-ოლინის თეორიის სახელწოდებით. ამ თეორიის თანახმად, **„ქვეყნები ახდენენ იმ საქონლისა და მომსახურების ექსპორტს, რომლის დამზადებაშიც ინტენსიურად გამოიყენება მათთვის ჭარბად არსებული საწარმოო ფაქტორები და პირიქით, ქვეყნები ახდენენ იმ საქონლისა და მომსახურების იმპორტს, რომლის დამზადებაშიც ინტენსიურად გამოიყენება მათთვის არსებული დეფიციტური საწარმოო ფაქტორები**",

1930-იანი წლების შემდეგ საგარეო ვაჭრობის განვითარების პრაქტიკამ აჩვენა „ჰექშერ-ოლინის თეორიის" ნაკლოვანება. საერთაშორისო ვაჭრობაში განვითარება დაიწყო ისეთმა მოვლენებმა, რომლებიც აღარ ჯდებოდა ჰექშერ-ოლინის თეორიისა და შეფარდებით უპირატესობათა კანონზომიერების ფარგლებში. საერთაშორისო ვაჭრობის უმეტესი ნაწილი სწორედ ეკონომიკურად ერთნაირად მაღალი განვითარების მქონე ქვეყნებს შორის მსგავსი სამრეწველო პროდუქციის ურთიერთგაცვლაზე მოდის – ანუ ადგილი აქვს „მსგავს" ქვეყნებს შორის შიდადარგობრივი ვაჭრობის განვითარებას. ამ პროცესს რომ შემთხვევითი, ან მცირე მასშტაბითი ხას-

იათი ჰქონოდა, ეკონომისტები არც მიაქცევდნენ ყურადღებას, მაგრამ პრობლემა ის იყო, რომ იგი ტენდენციად გადაიქცა.

ლეონტიევის პარადოქსი. „ჰექშერ-ოლინის თეორიის" მეშვეობით XX საუკუნის II ნახევარში მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების ამხსნელუნარიანობის დაბალ დონეზე მიუთითებს ის პარადოქსალური შედეგიც, რაც მოჰყვა ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტის, ვასილიევ ლეონტიევის გამოკვლევებს. ჰექშერ-ოლინის პრაქტიკული ღირებულების შემოწმების მიზნით, იგი აწარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების წამყვან დარგთა ფაქტორული უზრუნველყოფადობის დონის შესწავლას და მის შედარებას ამერიკის საგარეო ვაჭრობის ექსპორტ-იმპორტის ფაქტორტევადობის სტრუქტურასთან. ამერიკა ტრადიციულად მიჩნეული იყო კაპიტალტევადი, მეცნიერებატევადი და ტექნოტევადი პროდუქციის ექსპორტიორად და შრომატევადი პროდუქციის იმპორტიორად. ლეონტიევის გამოკვლევებმა სულ სხვა შედეგი აჩვენა: ამერიკა აღმოჩნდა შრომატევადი პროდუქციის ექსპორტიორი და კაპიტალტევადი პროდუქციის იმპორტიორი. პროდუქციის დანახარჯთა სტრუქტურაში კაპიტალის შრომასთან თანაფარდობამ შეადგინა 77 %, როცა ეს მაჩვენებელი ერთზე მეტი უნდა ყოფილიყო.

ამ დროისათვის მოღვაწე მეცნიერ-ეკონომისტები ორ ჯგუფად გაიყო: ერთნი ამართლებდნენ ჰექშერ-ოლინის თეორიას და მისი ამხსნელუნარიანობის ამაღლების მიზნით, საჭიროდ მიიჩნევდნენ ანალიზში სხვა, ბევრად უფრო წვრილმან ფაქტორთა ჩართვას, ისეთებისას, როგორიცაა: სახელმწიფოს როლი, ტექნოლოგია და მეწარმოების უნარი.

„მასშტაბის ეფექტის" თეორია. ბევრად უფრო ჭეშმარიტად აფასებს 1960-იან წლებში შექმნილ ვითარებას მეცნიერ-ეკონომისტთა მეორე ჯგუფი, რომლებმაც დაამუშავეს „მასშტაბის ეფექტის" თეორია. ამ თეორიის თანახმად, საგარეო ვაჭრობის გამომწვევ მიზეზებთან არანაირ კავშირში არაა წარმოების ფაქტორებით ქვეყნების უზრუნველყოფა. საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზეზია ის უბრალო ფაქტი, რომ ქვეყნები ირჩევენ მათთვის ხელსაყრელი პროდუქციის წარმოებას და შემდეგ იწყებენ ამ საქმეში დასპეციალებას,

მათი წარმოების დანახარჯები მასშტაბის ეფექტის კვალობაზე იკლებს, და შესაბამისად, მათ მიერ დამზადებული პროდუქციის ფასები მცირდება. ფასობრივი კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხარჯზე ისინი თრგუნავენ კონკურენტებს: იერთებენ, ან ანადგურებენ მათ. შედეგად, მაღალსპეციალიზებული ფირმები თანდათანობით მსხვილდებიან სწორედ ასეთ მონოპოლისტურ გიგანტებად იქცნენ თანამედროვე მსოფლიოში მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციები. მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია, ტრანსნაციონალური კორპორაციების მონოპოლისტური პოზიციების განმტკიცება ასაბუთებს „მასშტაბის ეფექტის" თეორიის ჭეშმარიტებას. თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები არც სრულიად ლიბერალურია და არც წმინდა კონკურენციული ხასიათისაა. „ჰექშერ-ოლინის თეორიის" შეუსაბამობა პრაქტიკასთან სწორედ იმ გარემოებამ განაპირობა, რომ იგი აგებული იყო მარტივ კონკურენციულ მოდელზე. თანამედროვე მსოფლიო მეურნეობა კი ძალზე მონოპოლიზირებულია

რეზიუმე

1. ამ თავში განიმარტა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების, საგარეო ვაჭობისა და საერთაშორისო ვაჭრობის არსი, გაანალიზებულ იქნა მათი ისტორიული განვითარების სპეციფიკური თავისებურებანი, ამ სფეროში შექმნილი თანამედროვე მდგომარეობა და მათი სტრატეგიული განვითარების პერსპექტივები, განხილულია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი ფორმები და მათი კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები;

2. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები არის ცალკეულ ეკონომიკურ სუბიექტებს (სახელმწიფოებს, ფირმებს, ბანკებს, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს) შორის დამყარებული სავაჭრო, საწარმოო, საფინანსო, ფულად-საკრედიტო, სავალუტო და სამეცნიერო-ტექნიკურ ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც ემყარება შრომის საერთა-

შორისო დანაწილებას და მოქმედებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების საფუძველზე.

3. ამავე თავში მოყვანილია საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა შესახებ მერკანტილისტური შეხედულებები და მათი კრიტიკა კლასიკოსების მიერ. განხილულია დ. რიკარდოს უბრალო მოდელი, რომელშიც შრომა ითვლება წარმოების ერთადერთ ფაქტორად. რიკარდოს მოდელში ცალკეული ქვეყნის წარმოების ხასიათი განისაზღვრება მათი შეფარდებითი უპირატესობის მიხედვით;

5. ამავე თავში განხილულია „ჰექშერ-ოლინის თეორია", რომლის თანახმადაც, „ქვეყნები ახდენენ ჭარბი ფაქტორების ექსპორტსა და დეფიციტური ფაქტორების იმპორტს". აქვე შეფასებულია ჰექშერ-ოლინის თეორიის პრაქტიკული ღირებულება, განხილულია მასშტაბის ეფექტის თეორია, როგორც წარმოების ფაქტორთა თეორიის ალტერნატივა.

ძირითადი ტერმინოლოგია

- საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები;
- საგარეო და საერთაშორისო ვაჭრობა;
- ექსპორტი და იმპორტი. წმინდა ექსპორტი;
- საერთაშორისო ეკონომიკის მეთოდოლოგია;
- რიკარდოს მოდელი. ლეონტიევის პარადოქსი
- „მასშტაბის ეფექტის" თეორია.

ამოცანები

1. სამამულო ეკონომიკა ფლობს 1200 პირობითი შრომითი ერთეულის რესურსს და შეუძლია აწარმოოს ორი სახის საქონელი -- მანდარინი და ყურძენი. შრომის ზღვრული დანახარჯები მანდარინისათვის შეადგენს 3-ს, ხოლო ყურძენისათვის 2-ს. ა) ააგეთ ქვეყნის ზღვრული სამეწარმეო შესაძლებლობების მრუდი; ბ) რას უდრის მანდარინის წარმოების ალტერნატიული დანახარჯები; გ) როგორი იქნება მანდარინის ფასი საგარეო ვაჭრობის არარსებობისას? რატომ?

2. ვთქვათ, სამამულო ეკონომიკის შრომითი რესურსი 1200 პირობითი ერთეულიდან 2400-მდე გაიზარდა. მოძებნეთ შეფარდებითი ფასის წონასწორული დონე. რა შეიძლება ითქვას საგარეო ვაჭრობის შედეგად ქვეყნებს შორის შემოსავლების გადანაწილების შესახებ?

3. ვთქვათ, სამამულო ეკონომიკა ფლობს 2400 პირობითი მუშახელის ერთეულს, მაგრამ მათი შრომის ნაყოფიერება 2-ჯერ უფრო დაბალია, ადრინდელთან შედარებით. ააგეთ შრომის შეფარდებითი მოთხოვნის მრუდი და განსაზღვრეთ წონასწორული შეფარდებითი ფასის მნიშვნელობა.

4. რანაირად იმოქმედებს მოგების გაფართოებაზე ანალიზში იმ ბევრი საქონლის ჩართვა, რომელიც არ მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში?

5. ვთქვათ, სამამულო და უცხოურ ეკონომიკაში არსებობს ორი ფაქტორი – მიწა და შრომა, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ერთი საქონლის საწარმოებლად. მიწის შეთავაზება და საწარმოო ტექნოლოგიები ორივე ქვეყანაში ერთნაირია. შრომის ზღვრული პროდუქტი ყველა ქვეყანაში დამოკიდებულია სამუშაო ძალის გამოყენებაზე შემდეგნაირად: თავდაპირველად 11 პირობითი მუშა-ერთეული დასაქმებული იყო სამამულო ეკონომიკაში, 3 კი – უცხოეთში. განსაზღვრეთ, თუ როგორ იმოქმედებს სამამულო ეკონომიკიდან უცხოეთში შრომითი რესურსების თავისუფალი გადაადგილება დასაქმებაზე, წარმოების მოცულობაზე, ხელფასზე და მიწათმფლობელთა შემოსავლებზე;

6. ვთქვათ, ორი ქვეყანა, რომელთაგან ერთ-ერთს გააჩნია ჭარბი შრომითი რესურსი, მეორეს კი – მიწის ფაქტორი, იყენებს ერთსა და იმავე ტექნოლოგიას შრომატევადი და კაპიტალტევადი საქონლის საწარმოებლად. თავიდან გაანალიზეთ ის პირობა, რომლის დროსაც ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარება იწვევს სამუშაო ძალის მიგრაციის სტიმულირებას. აჩვენეთ, რომ ერთ-ერთ ქვეყანაში სავაჭრო ბარიერების შემოღება იწვევს შრომითი რესურსების მიგრაციის სტიმულირებას.

თავი II

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თანამედროვე თეორიები

საღი ანალიზი და განსჯა ბევრად უფრო ბრძნული და მოქნილია, ვიდრე ნებისმიერი ოფიციალური თეორია.

ჯ. ვეილი.

როგორც აღვნიშნეთ, ჰექშერ-ოლინის თეორიის ტრადიციული დოქტრინის კრახის შემდეგ, იმ დროის ეკონომისტები გაიყო ორ ნაწილად:

1. ერთნი ემხრობოდნენ ჰექშერ-ოლინის თეორიის გაღრმავებას და ანალიზში მოითხოვდნენ წვრილმან ფაქტორთა ჩართვას;

2. მეორენი ამტკიცებდნენ, რომ საგარეო ვაჭრობის გამომწვევ მიზეზებთან არანაირ კავშირი არა აქვს წარმოების ფაქტორებით ქვეყნის უზრუნველყოფას, არამედ საგარეო ვაჭრობის გამომწვევი მიზეზები უნდა ვეძიოთ წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეული ეკონომიის არსებობაში. მოცემულ თემაში განვიხილავთ ამ თეორიის მიმდევართა მიერ ფაქტორული მიდგომის ახალი ინტერპრეტაციით ჰექშერ-ოლინის თეორიის განახლებისა და მისი პრაქტიკული ამხსნელუნარიანობის ამაღლების მცდელობას, ხოლო მომდევნო თემაში მის მოწინააღმდეგეთა მიერ „მასშტაბის ეფექტის" სხვადასხვა თეორიის განვითარებით საგარეო ვაჭრობის გამომწვევ ახალ მიზეზთა გამოვლენის მცდელობას. საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო საქონელბრუნვაში მონაწილე ფირმებისა და ეროვნული ეკონომიკის ინტერესთა დაცვა.

§ II. 1. ფაქტორული მიდგომის ახალი ინტერპრეტაცია

იმის აღნიშვნით, რომ ჰექშერ-ოლინის დოქტრინა დგამს რიგით მომდევნო ნაბიჯს, შეფარდებითი დანახარჯების, როგორც ბუნებრივი პირობების, საწარმოო ფუნქციებისა და საწარმოო ფაქტორთა უზრუნველყოფას შორის დამოკიდებულებითი გამოხატულების განხილვით, დასავლელი მეცნიერ-ეკონომისტი **რ. კეივსი** აუცილებლად თვლის ანალიზში ჩაერთოს განხილულ ფაქტორთა მოთხოვნა-მიწოდების საკითხი.

თანამედროვეობის უცხოელი ეკონომისტები – **ფ. ტაუსიგი და ი. ვაინერი** გამოყოფენ ფაქტორული მიდგომის ახალ იდეას. საწარმოო ფაქტორთა შესახებ ახალი კონცეფციის დამუშავებით, ტაუსიგმა განსაკუთრებით გამოყო კაპიტალზე გაწეულ დანახარჯთა როლი, სადაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას რომ, სარგებლის განაკვეთსა და გამოყენებული კაპიტალის მოცულობაში ქვეყნებს შორის არსებული სხვაობა იწვევს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურულ ცვლილებას.

ტაუსიგის აზრით, **„მრეწველობით განვითარებული ქვეყნებიდან სამრეწველო საქონლის ექსპორტი ითვლება ერთადერთ ხელსაყრელ საშუალებად სხვა ქვეყნებისათვის, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნა ამ საქონელზე”.** ი. ვაინერი განაგრძობს ტაუსიგის კვლევას და აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მოგებას აძლევს ყველა მონაწილე ქვეყანას, მათ შორის ნაკლებად განვითარებულსაც. მან აღნიშნა, რომ ფულად დანახარჯებსა და ფასებს გააჩნიათ რეალურ ხარჯებთან პირდაპირპროპორციული კავშირი. კაპიტალის დანახარჯთა გათვალისწინების აუცილებლობის ხაზგასმით ი. ვაინერი მიიჩნევს, რომ მდიდარი ქვეყნები უფრო ნაკლებად იგებენ საგარეო ვაჭრობიდან, ვიდრე ღარიბი სახელმწიფოები.

საერთაშორისო და ეროვნული მოთხოვნის შესაბამისად, ამერიკელი ეკონომისტები **ვ. და ე. ვაიტინსკები** თვლიდნენ, რომ ფაქტორებზე მოთხოვნისა და მიწოდების კლასიკურ თეორიას უნდა დაემატოს მსოფლიო ბაზარზე გაძლიერებული კონკურენციულობის აუცილებლობა. ბოლო სიტუაციის სხვა შეფასებას იძლევა მსოფლიო მეურნეობის პრობლემის ცნობილი მკლევარი **გ. ხაბერლერი**. მისი აზრით, შეფარ-

დებით დანახარჯთა თეორია თავისუფალი სავაჭრო პოლიტიკის საუკეთესო დასაყრდენია, რომელიც მოგებით უზრუნველყოფს ყველა მოვაჭრე ქვეყანას, და უპირველესად სუსტად განვითარებულს. თავისუფალი ვაჭრობის ამ პრინციპებიდან გადახრა დაშვებულია მხოლოდ ახალ სამრეწველო დარგთა დასაცავად, ხოლო კონკურენცია კი ითვლება განვითარების ფაქტორად.

საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემების შესახებ კაპიტალური შრომის ავტორი ამერიკელი მეცნიერ-ეკონომისტი -- **ს. ხარისი** შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე დანახარჯებში არსებული სხვაობის მნიშვნელობას აქცევს ყურადღებას. მის ფაქტორულ ანალიზში შეფარდებით უპირატესობათა თეორიას ეფუძნებიან ეკონომიკაში აქტიური სახელმწიფო ჩარევის მომხრეები -- **ჯ. კეინზის** მიმდევრები. კეინზი ეფუძნებოდა სახელმწიფო ხარჯების ზრდას, კერძო ინვესტიციების სტიმულირებასა და ექსპორტის გაფართოებას იმპორტის შეზღუდვის პირობებში. „საგარეო-სავაჭრო მულტიპლიკატორის" ნეოკეინზიანური ვარიანტის განვითარებისას, მისი ავტორებიც ემხრობიან შეფარდებით დანახარჯთა თეორიას. კეინზიანური იდეების ანალიზიდან შეიძლება გაკეთდეს ასეთი დასკვნა: **„საგარეო სავაჭრო ბალანსის ზრდა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ქვეყანა იყოს მაღალგანვითარებული. უფრო მეტიც, საგარეო ვაჭრობის ქაოსური გაფართოება უკუზეგავლენასაც კი ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე."** ამ საკითხში კეინზიანელები ემხრობიან არა პროტექციონიზმს, არამედ ლიბერალიზმს, მაგრამ იგი არ მიესადაგება აქტიური სახელმწიფო რეგულირების იდეას.

ამასთან, სპეციალისტების მიერ წარმოებულმა ანალიზმა გამოავლინა ნეოკლასიკური კონცეფციის რიგი შეუსაბამობანი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა განვითარების პრაქტიკასთან. ცნობილი „ლეონტიევის პარადოქსიდან" გამომდინარე, ჭარბი ფაქტორების გამოყენების უპირატესობათა შესახებ საერთო დაშვება არ მიესადაგება ამერიკულ პრაქტიკას – ექსპორტში შრომატევადი ფაქტორული უზრუნველყოფისა და იმპორტში კაპიტალტევადი ფაქტორებით უზრუნველყოფის შესახებ. ზოგიერთი ეკო-

ნომისტის მცდელობა, აეხსნათ იგი საიმპორტო ტარიფების არსებობით, ნაკლებად დამაჯერებელი აღმოჩნდა. საჭირო გახდა დამატებითი არგუმენტის შემოღება.

§ II. 2. წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების ეფექტი ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში

შეზღუდული რესურსული პოტენციალისა და გასაღების მცირე საშინაო ბაზრის მქონე ბევრ პატარა ქვეყანას უბრალოდ არ ჰყოფნის იმის პოტენციალი, რომ საკმარისი ეფექტიანობით, მოცულობით, ხარისხითა და მრავალფეროვნებით ერთდროულად აწარმოოს ეროვნული მოხმარებისათვის საჭირო ყველა სახის პროდუქცია. ასეთი ქვეყნებისათვის იმპორტი წარმოადგენს სასურველი საქონლის მიღების, ხოლო ექსპორტი – იმპორტული საქონლის შესაძენად საჭირო თანხების მოზიდვის ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას.

რესურსების მობილურობა ქვეყნებს შორის არსებითად უფრო დაბალია, ვიდრე თვით ქვეყნის შიგნით, რადგანაც ენობრივი და კულტურული ბარიერები, საიმიგრაციო კანონები მკაცრად ზღუდავს ქვეყნებს შორის ამ რესურსების მიგრაციას. საგარეო ეკონომიკური კავშირები ეს ის საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ცალკეულ ქვეყნებს შეუძლიათ ეროვნული წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება, საკუთარი რესურსების გამოყენების მწარმოებლურობის ამაღლება და ამგვარად, წარმოების მოცულობის გადიდება.[1]

საერთაშორისო სპეციალიზაცია შეფარდებითი უპირატესობით სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ჩართულ ყველა მხარეს. ამიტომ, საერთაშორისო სპეციალიზაცია და შემდეგ სპეცია-

---

[1] კემპბელი ბრიუ, სტენლი. ეკონომიქსი. (პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა)/ გამომც: „საქპროფგამი", (IV ტომეულად), თბილისი, 1993 წ. გვ. 447 -- 465.

ლიზირებულად წარმოებული პროდუქტების ურთიერთგაცვლის შესაძლებლობა ამცირებს ეროვნულ მომხმარებელთა მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების დასამზადებლად საჭირო დანახარჯებს.

თანამედროვე ეტაპზე ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირება წამგებიანია, რადგანაც ეროვნული მომხმარებელი შედარებით უფრო ნაკლებად იქნება უზრუნველყოფილი მისთვის აუცილებელი ყველა სახის საქონლისა და მომსახურების, როგორც რაოდენობით, ისე მრავალფეროვნებითა და ხარისხით. ამიტომ ქვეყანამ უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული შეფარდებითი უპირატესობები, როგორც საერთაშორისო სპეციალიზაციის ორიენტირი.

შეფარდებით უპირატესობათა პრინციპებით სარგებლობა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ის ძირითადი პრიორიტეტები, თუ რა მიმართულებით უნდა განავითაროს ქვეყანამ მისი ეროვნული ეკონომიკის საერთაშორისო სპეციალიზაცია. შეფარდებით უპირატესობათა პრინციპის თანახმად, მსოფლიო მასშტაბით წარმოებული პროდუქციის გამოშვების საერთო მოცულობა მაქსიმალური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ყოველი საქონელი იწარმოება მხოლოდ იმ ქვეყანაში, სადაც ამ პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო ყველა ფარული დანახარჯი შედარებით მცირეა.

წარმოების საერთაშორისო სპეციალიზაცია მართლაც აძლევს არსებული რესურსებით მთელი მსოფლიოს მიერ უფრო მეტი პროდუქციის მიღების შესაძლებლობას, ვიდრე ცალკეული ქვეყნის მიერ თვითუზრუნველყოფის, ანუ არასპეციალიზირებული წარმოების პირობებში. სწორედ ამიტომ არის საერთაშორისო სპეციალიზაცია ხელსაყრელი და მომგებიანი ყველა მოვაჭრე სახელმწი-ფოსათვის.

ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია გასცდეს საგარეო ვაჭრობის წყალობით, თავის საწარმოო შესაძლებლობათა ფარგლებს:

1. უცხოეთის იაფი ნედლეულის შემოტანის გზით, მოხმარებული რესურსების ხარისხის სრულყოფის ხარჯზე;

2. საზღვარგარეთის მიერ მიღწეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მზამზარეულად გამოყენების ხარჯზე;

3. საერთაშორისო საქონელგაცვლის ხარჯზე, რომლის დახმარებითაც ქვეყანას შეუძლია წარმოების ვიწრო მასშტაბების დაძლევა. საერთაშორისო სპეციალიზაცის ეფექტი უკეთესი ხარისხისა და უფრო მეტი რესურსების ფლობას, ან პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას შეედრება.

რადგანაც ალტერნატიული გამოყენების დროს, ეკონომიკური რესურსები მთლიანად ურთიერთშენაცვლებადი არ არის, ამიტომ ახალი პროდუქციის წარმოება მოითხოვს რესურსების ახლებურ კომბინაციას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს მასშტაბის მიხედვით, რესურსების გამოყენების დანახარჯთა ზრდას. ამ დროს საერთაშორისო სპეციალიზაციისა და ვაჭრობის გაღრმავების საფუძველის განმსაზღვრელი–რესურსების ურთიერთშენაცვლებითი კომბინირება – ამოწურავს თავისთავს და წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის გაღრმავება უკვე ეკონომიკურად გაუმართლებელი ხდება. ამიტომ, ყველა ქვეყანა ნაწილობრივ ინარჩუნებს მისთვის არაეფექტური პროდუქციის წარმოებას. ამდენად, მზარდი დანახარჯების პირველხარისხობრივი ეფექტი ისაა, რომ ისინი ზღვარს უდებენ საერთაშორისო სპეციალიზაციას.

§ II. 3. პორტერის კონკურენციის თეორია. საერთაშორისო შეუსაბამობისა და ასიმეტრიის თეორემა

ამერიკელმა ეკონომისტმა მ. პორტერმა. დაამუშავა **„ერის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის" კონცეფცია.** საერთაშორისო გაცვლაში ქვეყნის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება შემდეგი ოთხი ძირითადი კომპონენტის ურთიერთკავშირითა და ზემოქმედებით: 1. ფაქტორული პირობები; 2. მოთხოვნის პირობები; 3. მომსახურე და მონათესავე დარგთა მდგომარეობა; 4. ფირმის სტრატეგია კონკრეტულ კონკურენციულ სიტუაციაში. მ. პორტერი წარმოების ფაქტორთა შესახებ კლასიკური თეორიის მომხრეა. **პირველ** კომპონენტში

იგი არ განასხვავებს ახალ, ამომავალ და მათ შორის წარმოების პროცესში აღ-მოცენებულ ფაქტორებს; **მეორე** კომპონენტი – მოთხოვნა საგარეო ბაზრის პოტენციურ შესაძლებლობებთან ურთიერთკავშირში გადამწყვეტ ფაზაში ზემოქმედებს ფირმის სიტუა-ციაზე; **მესამე** – არის მომსახურე და მონათესავე დარგებისა და საწარმოების განვითარების მდგომარეობა. **მეოთხე** კომპონენტია ფირმის სტრატეგია და კონკურენციული სიტუაცია. ფირმის საბაზრო სტრატეგია და ორგანიზაციული სტრუქტურა მსოფლიო ვაჭრობაში წარმატებული ჩართვის აუცილებელი წინაპირობებია.

ბევრი აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტი ერთსულოვნად იზიარებს მ. პორტერის თეორიულ დაშვებებს, იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის კონკრეტული ვითარება მიესადაგოს საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას. იგი იძენს მთავარ მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ხასიათს მსოფლიო-სამეურნეო კავშირთა გლობალიზაციის პირობებში.

საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ ა. სმითისა და დ. რიკარდოს დოქტრინები ეფუძნება შრომას. ამიტომ ისინი ცნობილია **„შრომის ღირებულებითი თეორიის"** სახელწოდებით, რომელსაც უარყოფენ საბაზრო ეკონომიკის მქონე მაღალგანვითარებული ქვეყნები. ამიტომ საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ თეორიული გამოკვლევები მათი ნაშრომებით არ დასრულებულა. იგი გააგრძელეს ს. მილმა, კობი დუგლასმა, პერრუმ და სხვებმა. თუ დ. რიკარდოს დამსახურებაა საერთაშორისო ვაჭრობაში პროდუქციის გაცვლის ფასთა ზონის დადგენა, თვით გაცვლის ფასი განსაზღვრა **ს. მილმა,** რომელმაც მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე ჩამოაყალიბა **ინტერნაციონალური ღირებულების თეორია.**

წარმოების ფაქტორთა თეორემა მთლიანად შეესაბამება ეკონომიკური ზრდის განმარტებას, რომელიც **კობი დუგლასის საწარმოო ფუნქციითაა** წარმოდგენილი. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია არამარტო წარმოების ფაქტორთა რაოდენობაზე, არამედ მათ ხარისხზეც: მათ ეფექტურ კომბინაციაზე (შეხამებაზე), მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე, მოთხოვნაზე, ბაზრის კონიუნქტურაზე და სხვა ფაქტორებზე. შრომისა და კაპიტალის ურთიერთკავშირის ანალიზმა გამო-

ავლინა საექსპორტო კონკურენტუნარიანობის განსაცვიფრებელი შედეგი, რომელიც გამოავლინა ვ. ლეონტიევმა. შეფარდებითი უპირატესობის თეორიის გაღრმავების ამ კონცეფციას **კომპეტენციის თეორია ეწოდება.** ამ თეორიის თანახმად, **„ქვეყნები ახორციელებენ უფრო მეტი კვალიფიკაციის შემცველი პროდუქციის ექსპორტს".**[1] ამდენად, კვალიფიკაცია ასრულებს წარმოების ახალი ფაქტორის როლს. წარმოების ფაქტორთა ხარისხში არსებული განსხვავება გააღრმავა ს. ლინდერმა ეროვნული ბაზრების განსხვავებადობის საფუძველზე.

საერთაშორისო ვაჭრობის კლასიკური თეორიები ეყრდნობა თავისუფალ კონკურენციას, მაგრამ რეალურ ვითარებაში საერთაშორისო ვაჭრობა არც სრულყოფილი კონკურენციისაა და არც სრულიად ლიბერალიზებული. ამის გათვალისწინებით **ფ. პერრუმ ჩამოაყალიბა <u>ს</u>აერთაშორისო შეუსაბამობისა და ასიმეტრიის თეორია,** რომლის თანახმადაც საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნები იმყოფებიან არათან--აბარ მდგომარეობაში. ისინი სხვადასხვა დონით არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო ვაჭრობაზე.

საგარეო ვაჭრობაზე განსაკუთრებით დამოკიდებულია ის ქვეყნები, რომელთაც მსოფლიო ბაზარზე გააქვთ მხოლოდ რამდენიმე პროდუქტი. საერთაშორისო ვაჭრობაზე ამა თუ იმ ქვეყნის ზეგავლენის დონეებში არსებულ განსხვავებას თან ახლავს ე. წ. **„სტრუქტურული უპირატესობის"** მოვლენებიც, რომელიც ვლინდება ერთი ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების ბაზრების მიმართ განხორციელებულ ასიმეტრიულ მოქმედებაში. **„პრაქტიკულ რეალობაში თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ადასტურებს რომ, უთანასწორო ძალთა და ინტერესთა ურთიერთქმედების შედეგად ქვეყნები მართლაც არათანაბარ ვითარებაში იმყოფებიან."**

ფ. პერრუს თანახმად, **„შრომის საერთაშორისო დანაწილება არათანაბარი ძალებისა და განსხვავებული ინტერესე-**

---

1. ლარისა ყორღანაშვილი. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: "მერიდიანი და კაბადონი". თბ.. 1997. გვ. 32 -- 40.

ბის მქონე ქვეყნების სტრატეგიულ მიმართულებათა კონფ-რონტაციის შედეგია." ყოველივე ეს კი ძალიან შორსაა შეფარდებითი უპირატესობის მექანიკური თეორიიდან, რომელიც მხარს უჭერს და ამართლებს საერთაშორისო ვაჭრობას. საერთაშორისო შეუსაბამობისა და ასიმეტრიის თეორიის თანახმად, არავითარი გამართლება არა აქვს თავისუფალ ვაჭრობას, რომლის შედეგად, განვითარებადი ქვეყნები კიდევ უფრო დამოკიდებულნი ხდებიან მაღალგანვითარებულ ქვეყნებზე. ეს უკანასკნელნი კი მოიპოვებენ კიდევ უფრო მეტ უპირატესობას საერთაშორისო ვაჭრობაში.

§ II. 4. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თანამედროვე ნოვაციები და თეორიები

კლასიკურ თეორიაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალის ძიებით, გარკვეული ცვლილებებისა და დანამატის შეტანით, ახლო წარსულის ბევრი მკვლევარი და სხვა თანამედროვე ავტორები ცდილობენ თავიანთი კონცეფცია მიუახლოვონ თანამედროვე რეალობას. ინგლისელი მეცნიერ-ეკონომისტი **ჯ. კერნე** ავითარებს **„კონკურირებად ჯგუფთა"** ჰიპოთეზას. იგი თვლის, რომ ესა თუ ის შრომითი ორგანიზაცია, სახელდობრ, პროფკავშირები ქმნის სამუშაო ძალთა ერთი დარგიდან მეორეში გადასვლის წინაპირობებს.

ცნობილი მკვლევარი **ა. მარშალი,** თავის მხრივ, გამოყოფს მიწოდების როლს. მოცემული ქვეყნის საქონელზე საერთაშორისო მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაფართოვდება, თუ ქვეყანა თავის საქონელს შესთავაზებს მყიდველისათვის ბევრად უფრო ხელსაყრელ პირობებში. მიწოდებაზე აქცენტის გამახვილებით ა. მარშალმა აჩვენა, რომ მდიდარი ქვეყნები შეიძლება გახდნენ პიონერები ახალი პროდუქციის წარმოებაში. ა. მარშალის აზრით, მსოფლიო ვაჭრობაში შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის ადგილი განისაზღვრება სწორედ საქონლის მიწოდებითა და ამ მიწოდების

ელასტიურობით. ამ პოზიციის შესაბამისად, საერთაშორისო ვაჭრობის თეორიაში მარშალს შემოაქვს მოთხოვნისა და მიწოდების მრუდი, როგორც საგარეო სავაჭრო გაცვლის ოპტიმალურ პირობათა მაჩვენებელი.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვნად იზრდება ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან დაკავშირებულ შეძენილ უპირატესობათა როლი. **„მსგავსი ქვეყნების"** თეორიის თანახმად, ასეთ ვითარებაში მაღალგანვითარებულ ქვეყნებს უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩნიათ თავიანთი საქონელი წარადგინონ მსგავსი ქვეყნების ბაზრებზე. ამ დასკვნამდე მივიდა შვედი მეცნიერ-ეკონომისტი სტეფან ლინდერი.

ბოლო დროს საერთაშორისო ვაჭრობის პრობლემათა თეორიულ კვლევებში აქცენტი ძლიერდება ფირმის საწარმოოს დონეზე, მიკროეკონომიკის ანალიზის აუცილებლობაზე. ეს განისაზღვრება საერთაშორისო გაცვლის მნიშვნელოვანი მონოპოლიზაციით, ამ პროცესში მონოპოლისტი ფირმების როლის ზრდითა და საერთაშორისო შიდასაფირმო გაცვლის როლის ამაღლებით.

იგივე ითქმის ინტელექტუალური საკუთრების ქვეყნებს შორის დენადობაზეც. კონკურენციაში იგებენ ის ქვეყნები, რომლებიც იყენებენ, როგორც თავიანთ, ისე სხვის ინტელექტუალურ რენტას. ყველა ამ სახის რენტა შესაძლებელს ხდის მართვის ინტერნაციონალური კვლავწარმოებითი ჯაჭვის ფაქტიური ცენტრი ჩაერიოს ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებში. ქვეყნის კონკურენციის შესახებ წარმოდგენა საშუალებას იძლევა საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ფაქტორთა პორტერისეულ ჩამონათვალს დაემატოს ადამიანისეული რესურსის მოძრაობაც.

ქვეყნის კონკურენტუნარიანობის შეფასების ერთ-ერთ პოპულარულ ფორმას წარმოადგენს ქვეყნების რეიტინგის პერიოდული გამოქვეყნება. მსოფლიო მეურნეობრივ კავშირთა (მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობის) განვითარება ითვლება ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად, რაც ახლებურად სვამს საკითხს ცალკეული ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

მზა პროდუქციის საერთაშორისო მიგრაციის თეორიაში ჯერ კიდევ ნაკლებად ფიგურირებს შრომის ანაზღაურების დონეებში არსებული განსხვავება, სხვადასხვა ქვეყანაში კარიერული ზრდა, პროფესიული და პირადი თვითრეალიზაცია, რის გამოც შრომითი რესურსების საერთაშორისო მოძრაობა ფერხდება, სხვადასხვა ქვეყანაში კაპიტალის დაბანდების პირობათა სხვადასხვაობის გამო. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ კაპიტალის დენადობას კვალდაკვალ თან ახლავს პროფესიონალთა მოძრაობაც. იგი დაკავშირებულია ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობასთან, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი ფილიალები მთელ მსოფლიოში.

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა თეორიული კვლევის განვითარების პრიორიტეტები._საერთაშორისო ეკონომიკის თეორიული კვლევა განიცდის შემდგომ სტრატეგიულ განვითარებასაც. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მსოფლიო ვაჭრობისა და საერთაშორისო ინვესტიციების კონცენტრირება იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ ადგილი აქვს არა მარტო ცალკეულ ფირმებს, არამედ მთლიან ქვეყნებს შორის გამართულ საერთაშორისო კონკურენციას. ბუნებრივია ჩნდება ასეთი კითხვა: როგორია ქვეყანათშორისი კონკურენციის სპეციფიკა? ფაქტიურად, როცა საუბარია ფირმებს შორის კონკურენციაზე, იგულისხმება ბაზრის დასაპყრობად გამართული შეჯიბრება, ხოლო ქვეყნებს შორის კონკურენცია კი ეს არის თვით ამ ფირმების მოსაზიდად გამართული ბრძოლა, რამდენადაც ამ კონკურენციაში „კონკურენციულ ველზე" ქვეყნები „ყრიან" ბიზნესის წარმართვის პირობათა ერთობლიობას, რომელთა შეთავაზებაც მათ შეუძლიათ საკუთარ ტერიტორიაზე მოქმედი ფირმებისათვის.

განსაკუთრებული სიახლეა „ინოვაციებით ვაჭრობის" კვლევის სფეროშიც. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მ პორტერის ნაშრომი. ამ მეცნიერისათვის კონკურენციული უპირატესობის უმაღლეს ფორმად ითვლება **„ინოვაციების მოძრაობა",** რომელიც საშუალებას აძლევს ფირმას მაქსიმალური ეფექტურობით გამოიყენოს მსოფლიოს ნებისმიერი რესურსი. ინოვაციურ მოძრაობაში, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ქვეყნის სოციალური სფერო, კვლავწარმოებითი ადამიანური რესუ-

რსი. ეს რესურსები კვლავწარმოებადია და, როგორც წესი, განსაზღვრავენ ეროვნული ეკონომიკის განვითარების პოტენციალს. სწორედ მათი კვლავწარმოებისა და სამეურნეო დარგში გამოყენების შესაძლებლობა არის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ნიშანი.

შესაბამისად, ქვეყნები, რომლებიც ქმნიან, არამარტო ბიზნესის, არამედ ხალხთა ცხოვრების პირობებსაც, კონკურირებენ, როგორც ფირმებისთვის, ისე სხვა ბევრი მიზნის მიღწევისათვისაც, მათ შორის უპირველესად, საკუთარი მოსახლეობისათვისაც. ამ დროს განსაკუთრებული ბრძოლა ცხადდება გლობალიზაციის ეტაპზე, რომელიც იწვევს ბუნებრივი და ადამიანისეული რესურსების, უპირველესად, ინტელექტუალური სიმდიდრის მასშტაბურ გადანაწილებას. ღია ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური მოტივით სამუშაო ძალთა მიგრაცია ქვეყნისათვის ნიშნავს იმ შემოსავლის დანაკარგს, რომელიც მან დახარჯა „ადამიანისეული კაპიტალის" შექმნაზე. მიმღები ქვეყნისათვის კი მისი მოდინება ნიშნავს შემოსავლების მიღებას, სოციალური რენტის სახით.

საერთაშორისო ეკონომიკის პერსპექტივების კვლევის დროს მკვლევარები აღნიშნავენ, რომ მსოფლიო სამეურნეო სფეროში საბაზისო საწარმოო ფაქტორებს შორის თანაფარდობაში გართულებული ტენდენციების პირობებში გარდაუვლად მოხდება ცვლილებები. იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებული იქნება შრომით რესურსებთან (განვითარებად ქვეყნებში მოსახლეობის მკვეთრი ზრდის გამო) და განვითარებულ ქვეყნებში ბუნებრივი რესურსების შეზღუდულობასთან. მზარდი მიდრეკილება შეიმჩნევა საგარეო ეკონომიკური პოლიტიკისადმი, ეკონომიკაში სახელმწიფოს შეზღუდული ჩარევით.

ბოლო დროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა გლობალიზაციასთან დაკავშირებით აღმოცენდა მსოფლიო მეურნეობრივ კავშირთა შემსწავლელი მთელი რიგი დამატებითი კონცეფციები: **„ერთიანი მსოფლიო"** (ი. რობერტსონი), **„რისკის მსოფლიო საზოგადოება"** (უ. ბეკი), **„სიმბოლური გაცვლის დეტერიტორიზაცია"** (მ. უორტესი) და ა. შ.

რეზიუმე

1. ამ თავში გაკეთებულია ფაქტორული მიდგომის ახალი ინტერპრეტაცია, სადაც წარმოდგენილია ჰექშერო-ოლინის თეორიის პრაქტიკული რეალობის ამხსნელუნარიანობის ამაღლების მცდელობა. აქვე გაანალიზებულია საერთაშორისო სპეციალიზაციის არსი და მისი როლი ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში. აქვე განხილულია თანამედროვე მეცნიერ-ეკონომისტთა მიერ საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში დამუშავებული თეორიები;

2. ს. მილმა მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე ჩამოაყალიბა ინტერნაციონალური ღირებულების თეორია. კომპეტენციის თეორიის თანახმად, „ქვეყნები ახორციელებენ უფრო მეტი კვალიფიკაციის შემცველი პროდუქციის ექსპორტს";

3. ფ. პერრუმ ჩამოაყალიბა საერთაშორისო შეუსაბამისობისა და ასიმეტრიის თეორია, რომლის თანახმადაც საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ქვეყნები იმყოფებიან არათანაბარ მდგომარეობაში პრაქტიკულ რეალობაში თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ადასტურებს, რომ უთანასწორო ძალთა და ინტერესთა ურთიერთქმედების შედეგად ქვეყნები მართლაც არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან;

4. ჟ. კერნე ავითარებს „კონკურირებად ჯგუფთა" ჰიპოთეზას. ა. მარშალის აზრით, მსოფლიო ვაჭრობასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის ადგილი განისაზღვრება სწორედ საქონლის მიწოდებითა და ამ მიწოდების ელასტიურობით;

ძირითადი ტერმინოლოგია

- საერთაშორისო სპეციალიზაცია;
- „შრომის ღირებულებითი თეორია";
- ინტერნაციონალური ღირებულების თეორია;
- კომპეტენციის თეორია;
- „მსგავსი ქვეყნების" თეორია;
- „ინოვაციების მოძრაობა".

ამოცანები

1. დავუშვათ, რომ ქვეყნები – კუბა და სამხრეთ კორეა აწარმოებენ მხოლოდ ორგვარ საქონელს – შაქარსა და ფოლადს. მათი საწარმოო ხარჯები მოყვანილია ცხრილში, ხოლო ჩანაცვლების ზღვრული ხარჯები კი – უცვლელია წარმოების ნებისმიერი მოცულობისას.

	1 ტონა ფოლადის გამოსაშ-ვებად საჭირო დანახარჯები	1 ტონა შაქრის გამოსაშვ-ებად საჭირო დანახარჯები
კუბა	150	100
სამხრეთ კორეა	120	120

ა) გააჩნია თუ არა კუბას აბსოლუტური უპირატესობა ფოლადის წარმოებაში? ბ) გააჩნია თუ არა სამხრეთ კორეას უპირატესობა შაქრის წარმოებაში? გ) რა სახის საქონლის ექსპორტირებასა და იმპორტირებას მიმართავენ კუბა და სამხრეთ კორეა თავისუფალი ვაჭრობის პირობებში?

დ) რა ზღვრებში უნდა დადგინდეს ფოლადისა და შაქრის მსოფლიო ფასები კუბასა და სამხრეთ კორეას შორის თავისუფალი ვაჭრობის პირობებში?

2. ქვემოთ წარმოდგენილია X და Y ქვეყნების საწარმოო შესაძლებლობათა ცხრილები. დავუშვათ, მოთხოვნის სტრუქტურის შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის არარსებობისას X ქვეყანაში იწარმოება და მოიხმარება 8 ათასი ავტომობილი და 3 ათასი ტონა ბრინჯი, ხოლო Y ქვეყანაში – 8 ათასი ავტომობილი და 9 ათასი ტონა ბრინჯი:

პროდუქტი	X ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები					
ავტომობილები (ათასი ცალი)	10	8	6	4	2	0
ბრინჯი (ათასი ტონა)	0	3	6	9	12	15
პროდუქტი	Y ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები					
ავტომობილები (ათასი ცალი)	20	16	12	8	4	0
ბრინჯი (ათასი ტონა)	0	3	6	9	12	15

ა) რა სახის საქონელზე დასპეციალებაა ხელსაყრელი X და Y ქვეყნებისათვის?

ბ) როგორი იქნება ამგვარი დასპეციალების შედეგად ავტომობილებისა და ბრინჯის საერთო წარმოების ნამატი?

გ) რა ფარგლებში შეიძლება დადგინდეს ავტომობილის მსოფლიო ფასი?

დ) დავუშვათ, მსოფლიო ფასის დონეა: ერთი ავტომობილი = ერთი ტონა ბრინჯი, ხოლო საგარეო ვაჭრობის მოცულობები შეადგენს 10 ათას ავტომობილსა და 10 ათას ტონა ბრინჯს. რა მოგებას მოუტანს სპეციალიზაცია და საგარეო ვაჭრობის დამყარება თითოეულ ქვეყანას?

თავი III

საგარეო ვაჭრობის გავლენა წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეულ ეკონომიაზე

გაუფრთხილდით წვრილ-წვრილ ხარჯებს, რადგანაც ყველაზე პატარა ხვრელსაც კი შეუძლია დიდი გემის ჩაძირვა.

ბ. ფრანკლინი.

1950-60-იან წლებში „მსგავსი" პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობათა დამყარების მზარდმა ტენდენციამ და ლეონტიევის პარადოქსმა ეჭვქვეშ დააყენა წმინდა კონკურენციულ საწყისებზე დაფუძნებული თეორიების („აბსოლუტური უპირატესობის თეორიის", „შეფარდებითი უპირატესობის თეორიის", „ჰექშერ-ოლინის თეორიის" და სხვათა) ჭეშმარიტება. ამიტომ საერთაშორისო ეკონომიკის თეორიაში, ზემოთ განხილული ტრადიციული, კონკურენციულ საწყისებზე დაფუძნებული თეორიების გარდა ფართოდ გავრცელდა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა შემსწავლელი ისეთი თეორიები, როგორიცაა: საგარეო ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიის თეორია და საერთაშორისო ვაჭრობა, მასშტაბის ეკონომიკა: წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეული ეკონომია, ვაჭრობისა და მასშტაბის საგარეო ეკონომიკა და სხვები, რომლებიც დაფუძნებულია მსოფლიო ეკონომიკის მონოპოლიზაციის პრინციპებზე.

§ III. 1 საგარეო ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიის თეორია და საერთაშორისო ვაჭრობა

სამამულო პროდუქციის წარმოების მასშტაბზე საერთაშორისო ვაჭრობის გავლენის შესახებ მნიშვნელოვანი გა-

მოკვლევები მოცემულია საგარეო ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიის თეორიაში. კერძოდ, წარმოების მასშტაბის შიდა და საგარეო ეფექტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურის ფორმირებაზე.

წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტის არსებობის დროს, რომელიმე დარგში წარმოების მნიშვნელოვანი მოცულობის მქონე ქვეყანა, სხვა თანაბარ პირობებში, მიისწრაფვის გააჩნდეს მისი პროდუქციის წარმოების დაბალი დანახარჯები. ეს გამოიწვევს გარკვეულ ციკლურ პროცესს, რადგანაც ქვეყანა, რომელსაც შეუძლია საქონელი აწარმოოს იაფად, შეეცდება იგი გამოუშვას დიდი მოცულობით.



ნახ. III. 1. წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტი და სპეციალიზაცია

ნახ. III. 1-დან ჩანს, რომ ტაილანდს შეუძლია პოტენციურად დააკმაყოფილოს საათების მსოფლიო მოთხოვნა, გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე შვეიცარიას. ისტორიული მდგომარეობის გავლენით შემორჩენილი ვაჭრობის ხასიათი შენარჩუნდება იმის მიუხედავადაც კი, საათების ახალ მწარმოებელს (ანუ ახალ კონკურენტს) პოტენციურადაც რომ შეეძლოს უფრო ნაკლები დანახარჯების შენარჩუნება.

თავისი ზომით წარმოების მასშტაბის მნიშვნელოვანი საგარეო ეფექტი ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობის მოქმედი ხასიათის განმტკიცებას, რაც არ უნდა იყოს მისი წარმოშობის მიზეზი: ქვეყნები, რომელთაც ცალკეულ დარგში გააჩნიათ წარმოების დიდი მოცულობა, აგრძელებენ დატოვონ ისინი ლიდერებად. ამიტომ ეს ქვეყნები ინარჩუნებენ თავიანთ მსხვილ წარმოებას, იმის მიუხედავად, შეეძლოთ თუ არა სხვა ქვეყნებს ამ დარგის პროდუქცია გამოეშვათ მინიმალურ ფასად. ეს დასკვნა ილუსტრირებულია ნახ. III. 1-

ზე, სადაც D გამოხატავს საათებზე არსებულ ერთობლივ მსოფლიო მოთხოვნას, რომელიც შეიძლება დაკმაყოფილდეს, როგორც შვეიცარული, ისე ტაილანდური საათებით. მსოფლიო ეკონომიკას შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი მოგება ცალკეულ დარგში წარმოების კონცენტრაციით.

მზარდი შემოსავლების დინამიკა. ფირმებს შორის შიდადარგობრივი კონკურენცია აქვეითებს ცალკეული ფირმის საწარმოო დანახარჯებს. ეს გამოწვეულია ცოდნის საერთაშორისო გადადინებით. ცოდნის დაგროვებით გამოწვეული წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტი განსხვავდება სხვა მიზეზით გამოწვეული წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტისაგან. ამ შემთხვევაში დარგის დანახარჯები დამოკიდებულია ამ სფეროში წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებაზე. მსგავსი შემთხვევა ხასიათდება **დინამიურად მზარდ შემოსავლებად.**

დინამიურად მზარდი შემოსავლების შედეგად გამოწვეული წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტი შეიძლება დაეყრდნოს გარკვეულ შეფარდებით უპირატესობათა ფლობას, ან თანაბარ სასტარტო მდგომარეობას. პოტენციურად მზარდმა შემოსავლებმა, წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტის მსგავსად, განსაზღვრულ მომენტში შეიძლება გაამართლოს პროტექციონისტული პოლიტიკა. დარგის დროებითი დაცვის მიზნით, გატარებულ ღონისძიებათა გამამართლებელმა ამ არგუმენტმა მიიღო **დარგის ბავშვური პერიოდის არგუმენტის** სახელწოდება.. ჩვეულებისამებრ, იგი ფართოდ გამოიყენება მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სავაჭრო პოლიტიკის როლის განსაზღვრისას.[1]

[1] Пол кругман, Морис Обсевельд. Международная экономика. 5-ое международное издания. Изд. «Питер». Москва. 2003 г.—146 с.

§ III. 2. მასშტაბის ეკონომიკა: წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეული ეკონომია

შეფარდებითი უპირატესობის მოდელი ეფუძნებოდა დაშვებას წარმოების მასშტაბის მიწოდების კოეფიციენტის მუდმივობის შესახებ, ანუ თუ საწყის რესურსებს გავაორმაგებთ, ამის შედეგად გაორმაგდება ასევე წარმოებული პროდუქციის მოცულობაც. მაგრამ პრაქტიკაში ბევრი დარგი ხასიათდება წარმოების მასშტაბის მზარდი ეფექტით, ასე რომ, ამ ქვეყანაში წარმოება გახდება გაცილებით უფრო ეფექტური წარმოების ზრდის შედეგად. წარმოების მასშტაბის ეფექტი სტიმულს აძლევს საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას.

ყოველ ქვეყანაში მომხმარებელი ცდილობს შეიძინოს სხვადასხვა სახის საქონელი. ამ თვალსაზრისით, საერთაშორისო ვაჭრობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს: იგი ყოველ ქვეყანას აძლევს საქონელთა შეზღუდული რაოდენობის არჩევისა და წარმოების შესაძლებლობას. სინამდვილეში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საერთაშორისო ვაჭრობა, ჩვეულებრივ, უზრუნველყოფს შეთავაზებული საქონლის ნომენკლატურის გაფართოებას. რამდენადაც ყოველი ქვეყანა სპეციალდება საქონლის შეზღუდული ასორტიმენტის წარმოებაზე. ეს საშუალებას აძლევს მათ საქონელი აწარმოონ გაცილებით უფრო ეფექტურად, ვიდრე მაშინ, როცა ქვეყანა შეეცდებოდა დამოუკიდებლად ეწარმოებინა ყველა სახის საქონელი ერთდროულად.

წარმოების მასშტაბის ეფექტზე დაფუძნებული საერთაშორისო ვაჭრობის ამ მოდელზე გადასვლა საკმაოდ რთულია. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ წარმოების მასშტაბის ეფექტი ჩვეულებრივ ცვლის ბაზრის სტრუქტურას. ბაზრის სტრუქტურაზე წარმოების მასშტაბის ეფექტის გავლენის ანალიზის დროს უნდა გავარკვიოთ წარმოების რა სახის ზრდა არის საჭირო საშუალო დანახარჯთა შესა-მცირებლად:

1. წარმოების მასშტაბის ზრდით გამოწვეული საგარეო ეკონომია (წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტი) იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როცა ერთეული პროდუქციის დანახა-

რჯები განისაზღვრება დარგის სიდიდით და არა მასში შემავალი ცალკეული ფირმის სიდიდით;

2. წარმოების მასშტაბის ზრდით გამოწვეული შიდა ეკონომია; (წარმოების მასშტაბის შიდა ეფექტი) მაშინ წარმოიქმნება, როცა ერთეული პროდუქციის დანახარჯები დამოკიდებულია ფირმის ზომაზე, მის თავისებურებებზე და არაა სავალდებულო დამოკიდებული იყოს დარგის ზომაზე;

ამ ორი სახის ეკონომია განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურაზე. წარმოების მასშტაბის შიდა ეკონომიის დროს დომინირებადი არის ერთი ფირმა (და არა დარგი). შესაბამისად იქმნება არასრულყოფილი კონკურენციის ფორმირების წინაპირობები. არასრულყოფილი კონკურენციის დროს საქონლის მიწოდების მოცულობის ცვლილება ზემოქმედებს ფასზე. ამ დროს ფირმები მოიაზრებენ, რომ შეუძლიათ იმოქმედონ ფასებზე და გაზარდონ საქონლის მიწოდება მხოლოდ ფასთა ვარდნის ხარჯზე.

ამისგან განსხვავებით, წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეული საგარეო ეკონომიის დროს დომინირებადი არის ერთი დარგი (და არა ფირმა), რომელშიც გაერთიანებულია წვრილი ფირმები. შესაბამისად, იქმნება სრულყოფილი კონკურენციის ფორმირების წინაპირობები.

ვაჭრობისა და მასშტაბის საგარეო ეკონომიკა. ქვეყანას შეუძლია მიიღოს მასშტაბის საგარეო ეკონომიისაგან მოგება. ასეთი ეკონომია მაშინ მიიღება, როცა წარმოების განვითარება ერთ გეოგრაფიულ რეგიონში აქვეითებს პროდუქციის წარმოების გრძელვადიან ხარჯებს. თუნდაც ქვეყნის შიდა ეკონომიკა მცირე იყოს, მოცემული პროდუქციის წარმოების სფეროში ამ მცირე ქვეყანაშიც კი შეიძლება შეიქმნას საერთაშორისო ბაზარზე მომუშავე მსხვილი ბევრი ფირმა. ამ დროს მასშტაბის საგარეო ეკონომიკა დარგს ათავსებს სრულყოფილი კონკურენციის პირობებში. შედეგად:

1. თუ დარგში გამოიყენება მასშტაბის საგარეო ეფექტი, მაშინ მოთხოვნის ზრდა იწვევს მიწოდების ზრდას, დანახარჯებისა და ფასების შემცირებას;

2. საგარეო ვაჭრობის გაფართოება მოგებას აძლევს მომხმარებელსა და ექსპორტიორებს;

3. თანაბარი სასტარტო პირობების მქონე ქვეყნები უზრუნველყოფილი ხდებიან საწარმოო ფაქტორებით;

ქვეყანა, რომელიც პირველად „დაეპატრონება" საექსპორტო ბაზარს, იღებს ამ პროდუქციის წარმოებაში დანახარჯების შემცირების უპირატესობას. თუ დარგის განვითარება ამცირებს ერთეული პროდუქციის წარმოების ხარჯებს, მაშინ ახალ საექსპორტო შესაძლებლობებს შეუძლია მოგვიტანოს გრანდიოზული ეფექტი. ახალი საექსპორტო შესაძლებლობები ამაღლებს დარგის პროდუქციის გამოშვების მოცულობასა და დასაქმებას. ეს იწვევს მიწოდების მრუდის გრძელვადიან გადაადგილებას მარჯვნივ.

შედეგი ასევე დამოკიდებულია დარგის განვითარების ისტორიულ, ტრადიციულ თავისებურებებსა და სამთავრობო პოლიტიკის ნებაზეც, შეუნარჩუნონ თუ არა დარგს დაბალი ხარჯები, რათა პირველმა დაიპყროს გასაღების საექსპორტო დარგები. შედეგი დამოკიდებულია ასევე ბუნებრივი რესურსებით სამამულო დარგთა უზრუნველყოფაზეც.



ნახ. III. 2. მასშტაბის საგარეო ეფექტის გავლენა დარგის განვითარებაზე.

§ III. 3. საერთაშორისო ვაჭრობა არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში

მასშტაბის საგარეო ეფექტის დროს გრძელვადიანი საწარმოო უპირატესობა მიიღება შემთხვევით, ან პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმის შედეგად. თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობაზე მოქმედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს,

რომელიც საჭიროებს გადახედვას შეფარდებით უპირატესობათა თეორიაში, წამოადგენს მრეწველობით განვითარებულ ქვეყნებს შორის ვაჭრობის აქტიური განვითარება, რომლის უმრავლესობასაც შეადგენს მსგავსი საქონლით ვაჭრობა.

საერთაშორისო ვაჭრობის გამომწვევ მიზეზთა შესახებ დამუშავებული ტრადიციული თეორია საშუალებას ვერ იძლევა გავაანალიზოთ წარმოების ეს დარგები. მათში მეფობს არა სრულყოფილი კონკურენცია, არამედ მსოფლიო ოლიგოპოლია. ტრადიციული თეორიიდან გადახრის მთავარი მიზეზი არის ფირმების სამეწარმეო საქმიანობის მასშტაბი.

მასშტაბის ეკონომიკა ხსნის, თუ რატომ შეუძლია რამდენიმე ფირმას მიაღწიოს ბატონობას წარმოების სფეროში. როცა საქონელი იწარმოება მცირე რაოდენობის ფირმების მიერ, მაშინ თითოეული მათგანის წარმოების დაგეგმვაში მომხდარი ცვლილება გავლენას მოახდენს ფასებზე. ამის საუკეთესო მაგალითია სამგზავრო თვითმფრინავების წარმოება, სადაც „ბოინგს” ჰყავს სერიოზული კონკურენტი – „აირბუსის” სახით. ამიტომ „ბოინგმა” იცის, რომ თუ იგი მოამატებს თვითმფრინავების წარმოებას, ეს გამოიწვევს მისი ფასების მკვეთრ ვარდნას. ამიტომ თუ მოუნდება ამ ფირმას თვითმფრინავების წარმოების მომატება, მან უკვე იცის, რომ ამის გაკეთება მოუხდება თვითმფრინავებზე ფასთა ვარდნის ხარჯზე. შესაბამისად, არასრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმებს შეუძლიათ იმოქმედონ თავიანთი პროდუქციის ფა-



ნახ. III. 3. ფასწარმოქმნა არასრულყოფილი კონკურენციის მქონე ბაზარზე და წარმოების მოცულობის არჩევა

სებზე, ამ პროდუქციის გამოშვების მოცულობის მანიპულირების გზით.

იმ შემთხვევაში, როცა მოცემული პროდუქციის გასაღების ბაზარზე მომუშავე ფირმები აღარ ითვლებიან ამ სფეროში დაწესებულ ფასებზე მოქმედ მთავარ განმსაზღვრელ ძალად, მაშინ მათ ადრე თუ გვიან აუცილებლად უნდა შეიმუშავონ წარმოების მოცულობისა და ფასთა განსაზღვრის ახალი, უფრო ქმედითი საშუალებები.

ნახ. III. 3. ზე ნაჩვენებია მონოპოლისტი ფირმის მდგომარეობა. ფირმას შეუძლია მისი პროდუქციის გამოშვება გაზარდოს მხოლოდ ფასთა ვარდნის პირობებში.

ზღვრული შემოსავალი და ფასი. არასრულყოფილი კონკურენციის მოდელის ანალიზისათვის საჭიროა განისაზღვროს მონოპოლისტის მიერ მიღებული ერთეული პროდუქციის წარმოების ფასსა და ზღვრულ შემოსავალს შორის არსებული დამოკიდებულება. ზღვრული შემოსავალი ყოველთვის დაბალია ფასზე, ზღვრულ შემოსავალსა და ფასებს შორის დამოკიდებულება განისაზღვრება შემდეგი ორი ფაქტორით:

1. იგი დამოკიდებულია იმაზე, თუ პროდუქციის რა რაოდენობაზე იწყებს ფირმა გაყიდვას;

2. ფასებსა და ზღვრულ შემოსავალს შორის სხვაობა დამოკიდებულია მოთხოვნის მრუდის დახრილობაზე, რომელიც იმას გვიჩვენებს, თუ რამდენად უნდა დააქვეითოს ფასი მონოპოლისტმა მისი პროდუქციის დამატებითი ერთეულის გაყიდვისათვის;

თუ მოთხოვნის მრუდი უმნიშვნელოდ დახრილია (ე. ი. თუ ჰორიზონტალურს უახლოვდება), მაშინ მონოპოლისტს შეუძლია დამატებითი პროდუქცია გაყიდოს ფასის უმნიშვნელო შემცირებითაც კი. ამიტომ ასეთ შემთხვევაში, ფირმის მიერ მიღებული ზღვრული შემოსავალი ახლოს იქნება ფასთან.

ზღვრულ შემოსავალსა და ფასს შორის არსებული კავშირი დამოკიდებულია ფირმის პროდუქციის გასაღების საწყის მოცულობასა და მოთხოვნის მრუდის დახრილობის კოეფიციენტზე. თუ გასაღების მოცულობა იზრდება, მაშინ ფირმის მიერ მიღებული ზღვრული შემოსავალი მცირდება.

არასრულყოფილი კონკურენციის დროს საშუალო დანახარჯების ფასებთან კავშირი გვიჩვენებს მასშტაბის ეკონომიის ეფექტის არსებობას, რადგანაც რაც უფრო მეტ პროდუქციას აწარმოებს ფირმა, მით უფრო ნაკლები იქნება ერთეული პროდუქციის დამზადებისათვის საჭირო დანახარჯები. ფირმის მიერ გაწეულ საშუალო დანახარჯებს ნახ. III. 3.-ზე შეესაბამება AC მრუდი, ხოლო MC მრუდი ახასიათებს ფირმის მიერ გაწეულ ზღვრულ დანახარჯებს. ზღვრული დანახარჯები ყოველთვის ნაკლებია ფირმის მიერ გაწეულ საშუალო დანახარჯებზე. ამიტომ MC მრუდი უფრო ქვევითაა, ვიდრე AC მრუდი. ფირმის საშუალო და ზღვრულ დანახარჯებს შორის არსებობს შემდეგი კავშირი:

C = CF + c x Q ---------- III. 1.

სადაც, C არის ფირმის მიერ გაწეული საშუალო დანახარჯები, F - მუდმივი დანახარჯია, c არის ფირმის მიერ გაწეული ზღვრული დანახარჯები, Q კი არის ფირმის მიერ საქონლის გამოშვების მოცულობა.

დანახარჯთა წრფივი ფუნქცია გამოიწვევს წარმოების მასშტაბის ეფექტის ზრდას, რადგანაც რაც უფრო მეტი იქნება ფირმის მიერ პროდუქციის წარმოების მოცულობა, მით უფრო ნაკლები იქნება ერთეული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მუდმივი დანახარჯები.[1] ფირმის მიერ გაწეული საშუალო დანახარჯები მცირდება წარმოების მოცულობის გაფართოებისას, რადგანაც მუდმივი დანახარჯები ნაწილდება ფირმის მიერ დამზადებული პროდუქციის სულ უფრო მეტ რაოდენობაზე. მონოპოლისტისათვის მაქსიმალური მოგების მომტანი წარმოების მოცულობა იქნება პროდუქციის ის რაოდენობა, რომლის წარმოების დროსაც ფირმის მიერ მიღებული ზღვრული შემოსავალი გაუთანაბრდება მის მიერვე გაწეულ ზღვრულ დანახარჯებს.

მონოპოლისტური მდგომარეობის უზრუნველმყოფი მოგება არ შეიძლება შენარჩუნდეს დიდხანს. მონოპოლისტი-ფირმის მაღალი მოგება ჩვეულებისამებრ სწრაფად იწვევს დარგში

[1] Пол кругман, Морис Обсевельд. Международная экономика. 5-ое международное издания. Изд. «Питер». Москва. 2003 г.—149 с.

ახალ კონკურენტთა წარმოჩენას. ამრიგად, პრაქტიკაში წმინდა მონოპოლიის შემთხვევა იშვიათად გვხვდება. ამის ნაცვლად, დარგის საბაზრო სტრუქტურა, რომელიც ხასიათდება ცალკეული ფირმის საქმიანობის მასშტაბის ზრდის შედეგად გამოწვეული ეკონომიით, ჩვეულებისამებრ ღებულობს ოლიგოპოლიის ფორმას, ანუ დარგი ამ დროს შედგება მხოლოდ რამდენიმე ფირმისაგან, რომელთაგან ყოველი მათგანი იმდენად მსხვილია, რომ შეუძლია მისმა საქმიანობამ ზეგავლენა მოახდინოს ამ პროდუქციის ფასთა ფორმირებაზე.

§ III. 4. საერთაშორისო ვაჭრობა მონოპოლისტური კონკურენციისა და ოლიგოპოლიის პირობებში

საერთაშორისო ვაჭრობაში მონოპოლისტური კონკურენციის მოდელის შემოღება ეფუძნება იდეას იმის შესახებ, რომ საგარეო ვაჭრობა ხელს უწყობს გასაღების ბაზრის ზომის გადიდებას იმ დარგებში, სადაც შეიმჩნევა წარმოების მასშტაბის ეფექტი. ერთმანეთთან ვაჭრობითა და ინტეგრირებული მსოფლიო ბაზრის ჩამოყალიბებით, ქვეყნებს შეუძლიათ დაძლიონ ეს შეზღუდულობა. ამით ყველა ქვეყანა იღებს შესაძლებლობას დასპეციალდეს გაცილებით უფრო ვიწრო ასორტიმენტის საქონლის წარმოებაზე, ვიდრე ვაჭრობის არარსებობის შემთხვევაში, შედეგად, საგარეო ვაჭრობა იძლევა ორმხრივი მოგების მიღების შესაძლებლობას იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე განსხვავება რესურსებით, ან ტექნოლოგიებით უზრუნველყოფაში. ურთიერთვაჭრობით ქვეყნებს შეუძლიათ შექმნან ერთობლივი ბაზარი უფრო მეტი პროდუქციით.

მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმის საჩვენებლად, თუ როგორ ეხმარება საგარეო ვაჭრობა ქვეყნებს საქონლის წარმოების მასშტაბსა და ასორტიმენტის ნაირსახეობებს შორის კომპრომისის მოძიებაში, რათა ამით გადაჭრილ იქნეს ის პრობლემები, რასაც აწყდება ცალკეული ქვეყანა გასაღების შეზღუდულობის გამო. მონოპოლისტური კონკურენციის მოდელში ბევრად

უფრო მსხვილი ბაზარი იძლევა საშუალო ფასთა შემცირებისა და საქონლის ასორტიმენტის ბევრად უფრო გაფართოების შესაძლებლობას.



ნახ. III. 4. გასაღების ბაზრის გაფართოების შედეგი.

ბაზრის ზომის ზრდის შედეგი. მონოპოლისტური კონკურენციის მქონე დარგში შემავალი ფირმების რაოდენობა და ამ დარგის პროდუქციაზე დაწესებული ფასი დამოკიდებულია გასაღების ბაზრის ზომაზე. მსხვილ ბაზრებზე, როგორც წესი, მოქმედებენ უფრო მეტი რაოდენობის ფირმები, ხოლო თითოეული მათგანის მიერ პროდუქციის გაყიდვის მოცულობა აღმოჩნდება გაცილებით უფრო მეტი.

იმისათვის რომ გავაანალიზოთ ეს შედეგები ჩვენი მოდელის კონტექსტში, საჭიროა მიწოდების მრუდზე აღვნიშნოთ, რაც უფრო მეტი ფირმა მოქმედებს დარგში, მით უფრო მაღალია თითოეული მათგანის საშუალო დანახარჯები. საერთო მიწოდების ზრდა იწვევს საშუალო დანახარჯთა დაქვეითებას, ნებისმიერი n რაოდენობის ფირმისათვის.

ოლიგოპოლია და საერთაშორისო ვაჭრობა. ოლიგოპოლიის დროს რამდენიმე ფირმა აკონტროლებს ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს. მსოფლიო ოლიგოპოლია წარმოიქმნება მაშინ, როცა მასშტაბის მნიშვნელოვანი შიდა ეკონომია, ხარჯების მიხედვით, ფირმას აქცევს მსხვილ კომპანიად მცირე კონკურენტებთან შედარებით. ასეთი ურთიერთდამოკიდებულების მოდელი საშუალებას იძლევა უკეთესად ავხსნათ ოლიგოპოლიის ხასიათი. ყოველი ოლიგოპოლისტური ფირმა ირჩევს აგრესიული ან შეზღუდული კონკურენციის სტრატეგიას. თუ მათ არ შეუძლიათ ურთიერთთანამშრომლობა, მა-

შინ განვითარდება პირველი (აგრესიული) სცენარი. თუ ერთი ფირმა შეზღუდავს კონკურენციას, მეორეს შეუძლია კიდევ უფრო მეტი მოგება მიიღოს, თუ იგი აგრესიულად იმოქმედებს, ბაზრის უფრო დიდი ნაწილის დაპყრობის მიზნით.

სამწუხაროდ, პრაქტიკაში არ არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის უკეთესი გზა, მით უმეტეს, რომ „თამაშის თეორია" საშუალებას იძლევა დავადგინოთ, რომ კონკურენტებს თანამშრომლობა შეუძლიათ მხოლოდ ოლიგოპოლიის პირობებში. თუ შეინიშნება მასშტაბის დიდი ეკონომია, მაშინ მოხდება წარმოების კონცენტრირება რამდენიმე ქვეყანაში.

როგორ ჩამოყალიბდება ვაჭრობის ეს მოდელი? თავდაპირველად, ფირმები ირჩევენ წარმოების გაფართოების სფეროსა და ადგილს, მთელი რიგი მოსაზრებებიდან გამომდინარე. ერთ-ერთი ასეთი მოსაზრება შეიძლება იყოს წარმოების ფაქტორთა ხელმისაწვდომობა, რამაც უნდა უზრუნველყოს წარმოების დაბალი ხარჯები. ამით ფირმები იძენენ შეფარდებით უპირატესობას, წარმოება ფართოვდება და მიიღწევა მასშტაბზე ეფექტს. წარმოებისა და ვაჭრობის სტრუქტურა შენარჩუნდება. ოლიგოპოლისტი-კომპანიების არსებობა ზრდის ქვეყნის კეთილდღეობას. ამიტომ, ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობს თავის ტერიტორიაზე მოიზიდოს ასეთი კომპანია, მით უმეტეს, თუ ეს კორპორაციები მოგებას ექსპორტიდან იღებენ. დაბოლოს, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ოლიგოპოლიის პირობებში ასეთი წარმოების დანერგვა მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში მიიღწევა. ეს მათთვის იძლევა დამატებით მოგებას საგარეო ვაჭრობიდან. ამ უპირატესობის მისაღებად მთავრობები ატარებენ სპეციალურ პოლიტიკურ ღონისძიებებს.

რეზიუმე

1. საგარეო ფაქტორებით გამოწვეული ეკონომიის შედეგად იცვლება საერთაშორისო ვაჭრობის ხასიათი, რაც გავლენას ახდენს მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის ცვლილებაზე. მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობის

პირობებში შეიმჩნევა ცალკეული ქვეყნის მზარდი შემოსავლების დინამიკა;

2. წარმოების მასშტაბის ზრდით შესაძლებელია მიღწეულ იქნეს, როგორც საგარეო, ისე შიდა ეკონომია. ბოლო პერიოდში აშკარად შესამჩნევი ხდება შიდადარგობრივი ვაჭრობის მნიშვნელოვანი ზრდა, საწარმოო ფაქტორების უზრუნველყოფის მიხედვით, „ერთნაირ" ქვეყნებს შორის;

3. დანახარჯთა წრფივი ფუნქცია იწვევს წარმოების მასშტაბის ეფექტის ზრდას, რადგანაც რაც უფრო მეტი იქნება ფირმის მიერ პროდუქციის წარმოების მოცულობა, მით უფრო ნაკლები იქნება ერთეული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მუდმივი დანახარჯები;

4. მონოპოლისტური კონკურენციის მოდელი გამოიყენება იმის საჩვენებლად, თუ როგორ ეხმარება საგარეო ვაჭრობა ქვეყნებს საქონლის წარმოების მასშტაბსა და ასორტიმენტის ნაირსახეობებს შორის კომპრომისის მოძიებაში;

5. მონოპოლისტური კონკურენციის მოდელში ბევრად უფრო მსხვილი ბაზარი იძლევა საშუალო ფასთა შემცირებისა და საქონლის ასორტიმენტის გაფართოების შესაძლებლობას. ამ შედეგის მიღებით ნათელი ხდება, რომ იგი ხელს უწყობს მსოფლიო ბაზრის ფორმირებას, რომელიც მასში შემავალი ქვეყნების ნაციონალური ბაზრების მსგავსია;

6. ოლიგოპოლიის დროს რამდენიმე ფირმა აკონტროლებს ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს. მსოფლიო ოლიგოპოლია წარმოიქმნება მაშინ, როცა მასშტაბის მნიშვნელოვანი შიდა ეკონომია, ხარჯების მიხედვით, ფირმას აქცევს მსხვილ კომპანიად, მცირე კონკურენტებთან შედარებით;

ძირითადი ტერმინოლოგია

- დინამიურად მზარდი შემოსავლები;
- წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტი;
- არასრულყოფილი კონკურენცია;
- დარგთაშორისი ვაჭრობა;
- წარმოების მასშტაბის შიდა ეფექტი;
- დარგის შიდა ვაჭრობა.

ამოცანები

1. ახსენით წარმოების მასშტაბის რომელი – საგარეო თუ საშინაო ეფექტი მოქმედებს შემდეგ შემთხვევებში;

ა) აშშ-ში მუსიკალური ინსტრუმენტების ძირითადი ნაწილი მზადდება ინდიანას შტატის რამდენიმე ათეულ ფირმაში;;

ბ) ამერიკაში გაყიდული "ჰონდის" ტიპის მოტოციკლეტი ომპორტირდება უცხოეთიდან, ან იწარმოება იოჰაის შტატში;

გ) „აირბუსის" ტიპის თვითმფრინავების მწარმოებელ ევროპაში მისი ყველა ნაწილი აიკრიფება საფრანგეთში;

დ) ქალაქი – ხარტფორდი ითვლება სამხრეთ აღმოსავლეთ ამერიკის სადაზღვევო ბიზნესის ცენტრად;

2. სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ფირმები აწესებენ ზღვრულ დანახარჯებთან გათანაბრებულ ფასებს. რატომ ითვლება ეს შეუძლებლად წარმოების მასშტაბის შიდა ეფექტის არსებობის დროს?

3. ხშირად ამტკიცებენ, რომ მზარდი შემოსავლების არსებობა ითვლება ქვეყნებს შორის კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზად, რადგანაც ყველა ქვეყანა მოგებული რჩება იმის ხარჯზე, რომ შეუძლიათ გაზარდონ წარმოება იმ დარგებში, რომლებშიც არ არსებობს წარმოების მასშტაბის ეფექტი. შეაფასეთ ეს მოსაზრება მონოპოლისტური კონკურენციისა და წარმოების მასშტაბის საგარეო ეფექტის თვალსაზრისით;

4. იაპონიაში არსებობს რამოდენიმე მაღაზია, რომლებიც ყიდიან ამერიკიდან უკან დაბრუნებულ იაპონურ საქონელს. ამ საქონელზე ფასები გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე იგივე სახის საქონელზე – სხვა იაპონურ მაღაზიებში. რატომ არის შესაძლებელი მსგავსი ვაჭრობის განხორციელება?

თავი IV

შემოსავლების გადანაწილებისა და ეკონომიკური ზრდის საგარეო ეფექტი

ადამიანები თავიანთი ქონების გარკვეულ ნაწილს იმიტომ უთმობენ სახელმწიფოს, რომ მშვიდად იცხოვრონ დარჩენილი ნაწილით.

შ. მონტესკიე

საგარეო ვაჭრობა ზემოქმედებს არა მარტო წარმოების მასშტაბის ეფექტით გამოწვეული ეკონომიაზე, არამედ იგი გავლენას ახდენს საზოგადოების ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების გადანაწილებასა და მთლიანი ქვეყნის მაკროეკონომიკური ზრდის ტემპების ცვლილებაზე. კერძოდ, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ხელს უწყობს მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის შემოსავლების უთანასწოროდ გადანაწილების კიდევ უფრო გაღრმავებას და ამით საზოგადოების სოციალური უთანასწორობისა და დაძაბულობის კიდევ უფრო ზრდას, მაგრამ ეს პროცესები იმავდროულად ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარებას. და პირიქით, თუ ქვეყანა შეზღუდავს საგარეო ვაჭრობას, ეს გამოიწვევს მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიური სუბიექტების გამდიდრების შენელებას და საზოგადოების ღარიბი ფენების სოციალური კეთილდღეობის მათთან შედარებით გაუმჯობესებას.

§ IV. 1. შემოსავლების საერთაშორისო გადანაწილების გავლენა საგარეო ვაჭრობის პირობებზე

წარმოების სპეციფიკურ ფაქტორთა მოდელი. წარმოების სპეციფიკურ ფაქტორთა მოდელში საერთაშორისო ვაჭრობა

განიხილება მარტივი ფორმით, რომელიც წარმოდგენილია ორი ქვეყნისა და ორი საწარმოო ფაქტორის სახით. მისი შედეგები მხოლოდ ნაწილობრივ მართლდება როცა მოდელი ფართოვდება საწარმოო ფაქტორებისა და საქონლის ნებისმიერი რაოდენობით. რაც უფრო მეტი ფაქტორი სპეციალდება ექსპორტის წარმოებაში, მით უფრო მოიგებს ქვეყანა საგარეო ვაჭრობიდან და პირიქით.

რაც უფრო დიდხანს დარჩება საწარმოო ფაქტორი საექსპორტო დარგში დასპეციალებული, მით უფრო მეტად მოიგებენ ამ ფაქტორის მფლობელები საგარეო ვაჭრობიდან, და პირიქით, რაც უფრო დიდხანს დარჩება ფაქტორი იმპორტშემცვლელ დარგში ორიენტირებული, მით უფრო მოიგებს მისი მფლობელი საგარეო ვაჭრობის შეზღუდვით. ფაქტორს, რომელიც მხოლოდ ერთ წარმოებაში გამოიყენება, მუდმივი ხვედრითი წილი ექნება ამ საქონლის სარეალიზაციო ფასში.[1]

საგარეო ვაჭრობა ზღუდავს იმპორტთან კონკურენციაში მყოფი პროდუქციის წარმოებას და დროის ხანმოკლე ინტერვალში აქვეითებს ამ დარგებში გამოყენებულ ფაქტორთა ღირებულებას. იმავდროულად საგარეო ვაჭრობა ზრდის საექსპორტო პროდუქციის წარმოების მოცულობას და დროის ხანმოკლე ინტერვალში ამაღლებს ამ დარგებში გამოყენებული იმავე სახეობისა და კვალიფიკაციის ფაქტორების ღირებულებას. მაგრამ რადგანაც საწარმოო ფაქტორებს გააჩნიათ დარგთა შორის თავისუფლად გადაადგილების უნარი, დროის ხანგრძლივ პერიოდში, როგორც საექსპორტო, ისე იმპორტშემცვლელ დარგებში ერთი და იმავე საწარმოო ფაქტორთა ფასები გათანაბრდება.

„გაძლიერების ეფექტი". 1965 წელს როლანდ ჯონსონმა ჩაატარა საგარეო ვაჭრობაში ჩართულ საქონელთა და მათ დამზადებაში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორთა ფასებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ გამოკვლევა, რომელიც ცნობილია „გაძლიერების ეფექტის" სახელწოდებით. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: **„ერთ-ერთ რომელი-**

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. С англ. М. Изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г . 49 -- 65 с.

მე საქონელზე შეფარდებით ფასთა 10 %-იანი ზრდა იწვევს მის წარმოებაში ინტენსიურად გამოყენებულ საწარმოო ფაქტორთა ღირებულების კიდევ უფრო (10 %-ზე მეტად) ზრდას და პირიქით, 10 %-ით გაიაფებული საქონლის წარმოებაში გამოყენებულ ფაქტორთა ღირებულების 10 %-ზე უფრო მეტად ვარდნას.”.

საგარეო ვაჭრობა იწვევს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა დაყოფას მოგებულ და დაზარალებულ მხარეებად. „შუალედურ” ფაქტორთა მფლობელების დამოკიდებულება საგარეო ვაჭრობასთან მიმართებაში განისაზღვრება მათ მიერ სამამულო და უცხოურ საქონელთა შეძენისა და მოხმარებისას, მათ შორის არჩევანის გაკეთებაზე. თუ ისინი უფრო მეტად მოიხმარებენ იმპორტულ პროდუქციას, მაშინ მათთვის უმჯობესია საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და პირიქით. საგარეო ვაჭრობა აქვეითებს დასაქმების დონეს იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებში და ზრდის მას საექსპორტო დარგებში.

შემოსავლების გადანაწილების გავლენა ვაჭრობის პირობებზე. საგარეო ვაჭრობის პირობების შეცვლა შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნის მხრიდანაც. შეფარდებითი მსოფლიო მოთხოვნა შეიძლება შეიცვალოს მრავალი მიზეზის გამო. ერთ-ერთი მათგანია მომხმარებლის მოთხოვნილებაში არსებული გემოვნების შეცვლა. მოთხოვნაზე შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს ახალმა ტექნოლოგიამაც.

ადრე ქვეყნებს შორის შემოსავლების გადანაწილება ხდებოდა ომების შედეგად. საერთაშორისო კრედიტები, უხეშად რომ ვთქვათ, არ ითვლება შემოსავლების გადანაწილების კლასიკურ ინსტრუმენტად, მაგრამ ხანმოკლე პერიოდში ფულადი სახსრების გადადინების ეკონომიკური შედეგი იგივეა.

საგარეო ვაჭრობის პირობებზე შემოსავლების საერთაშორისო გადანაწილების ზეგავლენის პრობლემა ცნობილ პოლემიკად იქცა ორ წამყვან ეკონომისტს – ბერტილ ოლინსა და ჯონ მეინარდ კეინზს შორის. მათი კამათი შეეხო გერმანიის მიერ I მსოფლიო ომის შედეგად, სხვა ქვეყნებზე მიყენებული ზარალის კომპენსირებას. კეინზი ამტკიცებდა

რომ, თანხების ჯერ დასაგროვებლად და შემდეგ გადასახდელად გერმანიას უფრო მეტი ექსპორტი უნდა განეხორციელებინა (და თანაც იაფად) და ნაკლები პროდუქციის იმპორტი მოეხდინა, რათა ექსპორტი გათანაბრებოდა იმპორტს.

ოლინი კითხვას სვამდა: მართალი იყო კეინზი, როცა თვლიდა რომ, გერმანიის საგარეო ვაჭრობის პირობები გაუარესდებოდა? ის ამტკიცებდა რომ, როცა გერმანია აამაღლებდა გადასახადებს, „რეპარაციის" თანხების შესავსებად, მისი მოთხოვნა იმპორტულ საქონელზე ავტომატურად დაქვეითდებოდა „რეპარაციული" თანხები გადანაწილდებოდა მიმღებ ქვეყნებში, რომლებშიც ეს პროცესი აისახებოდა, ან გადასახადების შემცირებაში, ან სახელმწიფო ხარჯების ზრდაში. ეს დამატებითი მოთხოვნა აისახებოდა გერმანიიდან ექსპორტის ზრდაში.

თუ ქვეყანა მისი შემოსავლების გარკვეულ ნაწილს დახარჯავს საზღვარგარეთ, მაშინ მისი შემოსავლები შემცირდება, თვითონ კი უნდა შეამციროს საკუთარი პროდუქციის წარმოების დანახარჯები. იმავდროულად უცხოეთის ქვეყნები ზრდიან ხარჯებს.

თუ საზღვარგარეთი და მოცემული ქვეყანა ერთნაირი პროპორციით არ დახარჯავენ თანხებს, მაშინ ეს გავლენას მოახდენს საგარეო ვაჭრობის პირობებზე. ამ ზემოქმედების მიმართულება დამოკიდებული ხდება ამ ორ ქვეყანაში დანახარჯების გაწევის ხასიათში არსებულ განსხვავებაზე.

ამრიგად, შემოსავლების საერთაშორისო გადანაწილება აუარესებს დონორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს, თუ მას გააჩნია ბევრად უფრო მაღალი ზღვრული მიდრეკილება თავისივე საექსპორტო პროდუქციის მოხმარებაზე, ვიდრე რეციპიენტ-ქვეყანას...[1]

ეს ანალიზი ავლენს პარადოქსალურ შესაძლებლობათა არსებობას: ტრანსფერულ გადასახადებს (მაგალითად, უცხოურ დახმარებას) თეორიულად შეუძლია გააუმჯობესოს

[1] Пол кругман, Морис Обсевельд. Международная экономика. 5-ое международное издания. Изд. «Питер». Москва. 2003 г.—61 -- 83 с.

დონორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობები, იმდენად, რამდენადაც შეუძლია მას გაიუმჯობესოს კეთილდღეობა რეციპიენტი ქვეყნის კეთილდღეობის იმავდროული ვარდნის ხარჯზე. ეს მტკიცება იმას გვიჩვენებს, რომ რეპარაციასთან მიმართებაში მართალი იყო ოლინი, მაგრამ კეინსიც არ ტყუოდა, როცა იგი ამტკიცებდა, რომ შემოსავლების გადანაწილება ისე მოქმედებს საგარეო ვაჭრობის პირობებზე, რომ იგი კიდევ უფრო ამუქებს (ამყარებს) დონორი და რეციპიენტი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პირობებს. სწორედ ამაში მდგომარეობს **საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორის ეფექტის შინაარსი.**

შემოსავლების საერთაშორისო გადანაწილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს იმ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე, რომელიც ძვრებს ახდენს შეფარდებით მსოფლიო მოთხოვნაში. თუ ტრანსფერის მიმღები ქვეყანა თავის საექსპორტო პროდუქციაზე ხარჯავს მისი გაზრდილი შემოსავლების დიდ ნაწილს, ვიდრე დონორი ქვეყანა, მაშინ ტრანსფერი აამაღლებს მსოფლიო შეფარდებით მოთხოვნას რეციპიენტი ქვეყნის საექსპორტო პროდუქციაზე და ამნაირად გააუმჯობესებს მისი საგარეო ვაჭრობის პირობებს.

პრაქტიკაში კი ქვეყნების უმრავლესობა თავიანთი შემოსავლების უდიდეს ნაწილს ხარჯავს სამამულო საქონლის შეძენაზე, ვიდრე ამ საქონლის შეძენაზე ხარჯავენ მისი პარტნიორები. ჩვეულებისამებრ ეს ხდება, არა გემოვნებაში არსებული განსხვავების შედეგად, არამედ სავაჭრო ბარიერთა შემოღების შედეგად, რომელიც იმას იწვევს, რომ ბევრი საქონელი აღარ ერთვება საერთაშორისო ვაჭრობაში.

ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდზე მოთხოვნის მრუდის ძვრა ითვლება შემოსავლების გადანაწილების ერთადერთ შედეგად, რადგანაც მიწოდების მრუდი არ იცვლის თავის განლაგებას. ამ დროს შეფარდებითი ფასები არ შეიცვლება. ამდენად, შემოსავლების გადანაწილების პრობლემა პირწმინდად გარდაისახება მოთხოვნის ცვლილების პრობლემაში.

§ IV. 2.. ეკონომიკურ ზრდის საგარეო ასპექტი

ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება ნიშნავს მისი კეთილდღეობის დონის ამაღლებას, ხოლო მისი დაქვეითება კი პირიქით იწვევს ქვეყნის საერთო კეთილდღეობის ვარდნას. თუ ეკონომიკური ზრდის მქონე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობები უმჯობესდება, მაშინ ეს გაუმჯობესება გაამყარებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს მსოფლიოს სხვა ქვეყნების დაზარალების ხარჯზე და პირიქით.

მსოფლიო ეკონომიკა გამუდმებით ვითარდება. იმის გასარკვევად, თუ როგორ იცვლება მზარდ საერთაშორისო ეკონომიკასთან ერთად საგარეო ვაჭრობის კანონზომიერებანი, საჭირო საერთაშორისო ეკონომიკის თეორია შევუსაბამოთ მის პრაქტიკასთან. მოთხოვნა-მიწოდების მახასიათებლის ცვლილების, საგარეო ვაჭრობისა და მის მონაწილეთა ინტერესებზე ამ ცვლილებათა ზეგავლენის შესახებ შემსწავლელი მაკროეკონომიკური თეორიები უნდა განიხილებოდეს დინამიკაში.

საოჯახო ბიუჯეტის კვლევის სფეროში მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს ცნობილ მეცნიერ- ეკონომისტს **ერნსტ ენგელს. მოთხოვნის საერთო მოცულობაში ამა თუ იმ საქონლის ხვედრითი წილის აბსოლუტურ ცვლილებას ენგელის ეფექტი ეწოდება.** ხანგრძლივი მოხმარების საქონელს ენგელის დადებითი ეფექტი ახასიათებს. ენგელის კანონის თანახმად: **„ამა თუ იმ საქონელსა და მომსახურებაზე დაწესებული ფასებისა და სხვა დემოგრაფიული მაჩვენებლების უცვლელობის დროს, შემოსავლების ზრდა იწვევს სურსათის შეძენაზე გაწეულ დანახარჯთა ხვედრითი წილის შემცირებას”.**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს შემოსავლების ზრდა მოთხოვნის სასაქონლო სტრუქტურასა და საგარეო ვაჭრობაზე, ეკუთვნის ცნობილ შვედ მეცნიერ-ეკონომისტს **ს. ბ. ლინდერს,** რომელიც ცნობილია **უპირატესი მოთხოვნის ჰიპოთეზის** სახელწოდებით. იგი შემოსავლების საერთო ჯაჭვში: **უპირატესობის მინიჭება–ტექნოლოგია–საგარეო ვაჭრობა მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ამყარებს შემდეგნაირად: მოსახლეობის ერთ სულზე**

შემოსავლების ზრდა იწვევს ფუფუნების საგნებზე მოთხოვნის გადართვას, რასაც მოჰყვება მეწარმეთა მიერ წარმოების მოცულობის ზრდა. მალე უპირატესობამინიჭებული პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი გადააჭარბებს მასზე არსებული მოთხოვნის ზრდის ტემპს, შეიქმნება ჭარბწარმოება და პროდუქცია გაიაფდება. მათი მეწარმეები დაინტერესდებიან პროდუქციის გასაღება დაიწყონ სამამულო ბაზრის მსგავს საგარეო ბაზრებზე, ანუ იწყება მისი ექსპორტი.

რეკომენდაციები საგარეო-სავაჭრო პოლიტიკაში._წარმოების ფაქტორთა დაბალანსებული, სრულიად ნეიტრალური ზრდის დროს ყველა საწარმოო ფაქტორი ყველა ქვეყანაში ერთნაირი ტემპით იზრდება, ამიტომ იგი საგარეო ვაჭრობას სტრუქტურულად არ ცვლის მხოლოდ ზრდის მის მოცულობას. წარმოების ფაქტორთა ვერც ექსპორტგამაფართოებელი და ვერც იმპორტშენაცვლებადი ზრდა ვერ ზემოქმედებს მცირე ერების საგარეო ვაჭრობის პირობებზე, ხოლო დიდი ზომის ქვეყნებისათვის კი წარმოების ფაქტორთა ექსპორტგამაფართოებელი ზრდა აუარესებს მისი ვაჭრობის პირობებს და იმპორტშენაცვლებად საწარმოო ფაქტორთა ზრდა (იმპორტის შეზღუდვითა და მსოფლიო ბაზარზე მისი გაიაფებით) აუმჯობესებს მისი ვაჭრობის პირობებს. ამდენად, მცირე ერებმა უნდა მოახდინონ ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის განვითარება, ხოლო დიდმა ქვეყნებმა, შიდა ბაზრის ტევადობის ხარჯზე უნდა განახორციელონ იმპორტშემცვლელ დარგთა განვითარება.

ეკონომიკის რესურსებით უზრუნველყოფის შეზღუდულობის გამო ქვეყანაში ერთი დარგის განვითარება იწვევს მეორე დარგის დაკნინებას და პირიქით. სწორედ ამაში მდგომარეობს რიბჟინსკის თეორემის შინაარსი: **„ამა თუ იმ საქონელზე მსოფლიო ფასთა და სხვა ნებისმიერ მაჩვენებელთა უცვლელობის დროს, ორსექტორიან ეკონომიკაში წარმოების ერთ-ერთი ფაქტორის ზრდა იწვევს ერთ-ერთი საქონლის წარმოების მოცულობის შემცირებას".**[1]

---

[1] პ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი გამომცემლ. „სიახლე" 2001 წ. გვ. 11 -32;

§ IV. 3. საგარეო ვაჭრობა და ეკონომიკური ზრდის (უცხოეთის პროგრესული ტექნოლოგიის მოზიდვის) ეფექტი

აქამდე განვიხილავდით იმ ფაქტს, თუ რა გავლენას ახდენდა ერთობლივ მოთხოვნაში მომხდარი ძვრები საგარეო ვაჭრობაზე. ცხადია, რომ მას მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია საგარეო ვაჭრობაში ჩართულ საწარმოო ფაქტორებზე როგორც მოთხოვნის, ისე მიწოდების მხრიდან. საერთაშორისო ვაჭრობის გახსნამ შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაზე, მისი სამამულო დარგების მწარმოებლურობის ზრდის მხრივაც. ამ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია საგარეო ვაჭრობას ტექნოლოგიაზე, რომელიც გამოიყენება ამ ქვეყანაში.

საგარეო ვაჭრობა საშუალებას იძლევა ქვეყანაში შემოტანილ იქნეს ახალი და გაუმჯობესებული საწარმოო საშუალებები. იგი ამით ზრდის მოცემული ქვეყნის ცალკეული ფირმის მწარმოებლურობას. უცხოელ ექსპორტიორებს შეუძლიათ დააჩქარონ ეკონომიკური პროგრესი: მაგალითად, კონსულტაციური მომსახურების გაწევა წარმოების საშუალებათა უკეთესი გამოყენებისათვის და ა. შ.

საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვებისაგან გათავისუფლებას შეუძლია წაახალისოს ინოვაციური საქმიანობა. საგარეო ვაჭრობა აიძულებს ფირმებს, საერთაშორისო კონკურენციაში გაძლებისათვის ეძებონ ახალი ტექნოლოგია მწარმოებლურობის ასამაღლებლად. საგარეო ვაჭრობა ქვეყნებს უზრუნველყოფს გასაღების, გაცილებით უფრო ფართო ბაზრებით, რომელთა დაპყრობისათვის საჭიროა ინოვაციები. ამრიგად, საერთაშორისო ვაჭრობა, არამარტო იზიდავს უცხოეთის პროგრესულ ტექნოლოგიას, არამედ აიძულებს მათ ქვეყნის შიგნითაც გააუმჯობესონ თავიანთი ტექნოლოგია.

რეზიუმე

1. ამ თავში გაანალიზებულია შემოსავლების საერთაშორისო გადანაწილების სფეროში მოქმედი კანონზომიერებანი, რომლის თანახმადაც შემოსავლების საერთაშორისო გადანაწილება აუარესებს დონორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს, თუ მას გააჩნია ბევრად უფრო მაღალი ზღვრული მიდრეკილება მისი საექსპორტო პროდუქციის მოხმარებაზე, ვიდრე ქვეყანა-რეციპიენტისა;

2. 1965 წელს როლანდ ჯონსონმა ჩაატარა გამოკვლევა, რომელიც ცნობილია „გაძლიერების ეფექტის" სახელწოდებით; საგარეო ვაჭრობა იწვევს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფთა დაყოფას მოგებულ და დაზარალებულ მხარეებად. „შუალედურ" ფაქტორთა მფლობელების დამოკიდებულება საგარეო ვაჭრობასთან მიმართებაში განისაზღვრება მათ მიერ სამამულო და უცხოურ საქონელთა შეძენისა და მოხმარებისას, მათ შორის არჩევანის გაკეთებაზე;

3. საექსპორტო დარგები უზრუნველყოფენ ბევრად უფრო მაღალი შრომის ანაზღაურების მქონე მეტ სამუშაო ადგილს, ვიდრე იმპორტშემცვლელნი. საექსპორტო საწარმოებში ღირებულების ერთეულზე მოდის გაცილებით უფრო მეტი რაოდენობის სამუშაო ადგილი შრომის გაცილებით უფრო მაღალი ანაზღაურებით ვიდრე იმპორტშემცვლელ დარგებში;

4. მაღალ დონეზე დაცვას საჭიროებს ტექნოლოგიურად მოძველებული დარგები. ახალგაზრდა დამოუკიდებელი ეკონომიკის ფორმირების საწყის ეტაპზე ადგილობრივი, ყველაზე უფრო შრომატევადი იმპორტშემცვლელი დარგების დასაცავად უნდა გატარდეს იმპორტისაგან შერჩევითი თავდაცვის პოლიტიკა;

5. მოთხოვნის საერთო მოცულობაში ამა თუ იმ საქონლის ხვედრითი წილის აბსოლუტურ ცვლილებას ენგელის ეფექტი ეწოდება. ხანგრძლივი მოხმარების საქონელს ენგელის დადებითი ეფექტი ახასიათებს მასზე მოთხოვნა, შემოსავლების ზრდის დროს, განუხრელად მაღლდება;

6. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კვლევა იმის შესახებ, თუ როგორ ზემოქმედებს შემოსავლების ზრდა მოთხოვნის სასა-

ქონლო სტრუქტურასა და საგარეო ვაჭრობაზე, ეკუთვნის ცნობილ შვედ მეცნიერ-ეკონომისტს ს. ბ. ლინდერს, რომელიც ცნობილია უპირატესი მოთხოვნის ჰიპოთეზის სახელწოდებით;

7. წარმოების ფაქტორთა დაბალანსებული, სრულიად ნეიტრალური ზრდის დროს ყველა საწარმოო ფაქტორი ყველა ქვეყანაში ერთნაირი ტემპით იზრდება. მცირე ერებისთვის რეკომენდებულია წარმოების ფაქტორთა ექსპორტგამაფართოებელი, დიდი ქვეყნებისათვის კი – იმპორტშენაცვლებადი ზრდა;

8. ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს ახალი ტექნოლოგიის მიღების ორი ძირითადი წყარო: 1. ქვეყნის შიგნით დამზადებული ტექნოლოგია; 2. საზღვარგარეთიდან მოზიდული პროგრესული ტექნოლოგია. თუ ქვეყანა განავითარებს ჩაკეტილ ეკონომიკას, იგი ამით მოისპობს ტექნოლოგიების მოზიდვის მეორე წყაროს;

ძირითადი ტერმინოლოგია

- წარმოების სპეციფიკურ ფაქტორთა მოდელი;
- „გაძლიერების ეფექტი". „შუალედური" ფაქტორები;
- შემოსავლების განაწილება. ენგელის ეფექტი;
- უპირატესი მოთხოვნის ჰიპოთეზა;
- ექსპორტგამაფართოებელი ზრდა;
- რიბჟინსკის თეორემა.

ამოცანები

1. ამერიკაში მიწა უფრო იაფია, ვიდრე შრომა, დანარჩენ ქვეყნებში კი პირიქითაა. ხორბლის წარმოებას უფრო ჭარბი მიწა სჭირდება, ვიდრე შრომა, ქსოვილისას – პირიქით. როგორ წარიმართება ვაჭრობის მიმართულება საზღვრების გახსნის შემდეგ? დარჩება თუ არა ორივე მოვაჭრე მხარე მოგებული საზღვრების გახსნის შემდეგ?

2. რა მოხდება, თუ ეკონომიკაში გაიზრდება ისეთი მობილური ფაქტორის მიწოდება, როგორიცაა შრომა?

ა) სპეციფიკურ ფაქტორთა მოდელში გაანალიზეთ შრომის მიწოდების ზრდის რაოდენობრივი შედეგები, იმ დაშვებით, რომ ორივე საქონელზე ფასები დარჩება უცვლელი;

ბ) გრაფიკულად შეაფასეთ წონასწორობის წერტილის განლაგების ცვლილება შრომითი რესურსების 100 პირობითი ერთეულიდან 140 პირობით ერთეულამდე ზრდის პირობებში (თუ შეფარდებით ფასთა მნიშვნელობა უდრის 1-ს);

3. ამერიკაში, სადაც მიწა უფრო იაფია, მიწის თანაფარდობა შრომასთან, რომელიც გამოიყენება მეცხოველეობაში, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მიწის თანაფარდობა შრომასთან, რომელიც გამოიყენება ხორბლის მოყვანაში. მაგრამ ბევრად უფრო მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში, სადაც მიწა უფრო ძვირია, ხოლო შრომა უფრო იაფი, მარცვლეულის მოსაყვანად გამოიყენება უფრო მეტი შრომა და ნაკლები მიწა, ვიდრე მარცვლეულის მოყვანისას ამერიკაში. შეიძლება თუ არა, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვამტკიცოთ, რომ შრომის ფაქტორი სხვა ქვეყნების მეცხოველეობაში გამოიყენება უფრო ინტენსიურად, ვიდრე ამერიკის მარცვლეულის წარმოებაში;

4. დავუშვათ, რომ წარმოების ფაქტორთა მოცემული ფასების დროს ტყავის ერთეული მზადდება 20 მუშის 1კვ. კმ. მიწაზე გამოყენებით, ხოლო სურსათი კი იწარმოება – 1 კვ. კმ-ზე . 5 მუშის გამოყენებით: ა) ვთქვათ, მუშების საერთო რაოდენობა ეკონომიკაში შეადგენს 600 პირობით ერთეულს და 60 კვ. კმ. გამოიყენეთ გრაფიკი და მოძებნეთ ასეთ ეკონომიკაში რესურსების განაწილების მაჩვენებელი; ბ) ახლა დავუშვათ, რომ შრომის მიწოდება გაიზარდა 600-დან 800 პირობით ერთეულამდე, ხოლო შემდეგ კი – 1200-მდე. დიაგრამების მეშვეობით გაანალიზეთ რესურსების განაწილებაში მიმდინარე ცვლილებათა ხასიათი. გ) რა მოხდება, თუ შრომის მიწოდება კიდევ უფრო გაიზრდება?

5. მსოფლიოს „ღარიბ” ქვეყნებს არაფერი გააჩნიათ საექსპორტოდ. მათ არ გააჩნიათ წარმოებისათვის საჭირო რესურსები – კაპიტალი და მიწა, მცირე ერებში დეფიციტურია შრომითი რესურსებიც. განსაჯეთ ეს მტკიცებულება.

თავი V

საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა სამამულო ეკონომიკის განვითარებაზე

მეწარმე ბაზრის მთავარი ფიგურა და ეკონომიკის მამოძრავებელი ძალაა.

ი. შუმპეტერი

საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამამულო ეკონომიკის განვითარებაზე. მას შეუძლია როგორც აამაღლოს, ისე დააქვეითოს ეროვნულ მომხმარებელთა კეთილდღეობა. საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის საგარეო სავაჭრო პოლიტიკას აირჩევს ქვეყანა სავაჭრო პარტნიორებთან კავშირ-ურთიერთობათა დამყარების დროს, რამდენად იქნება დაცული ეროვნული ინტერესები, ნედლეულისა და სურსათის ექსპორტს მოახდენს, თუ მზა ნაწარმისას და ა. შ. საერთაშორისო ვაჭრობის მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე მოხდენილი გავლენის ანალიზი ხდება წმინდა საბაზრო პრინციპით, მოთხოვნა-მიწოდების საფუძველზე, სადაც გადაწყვეტილების მიღების დროს მთავარი, მადომინირებული კრიტერიუმია ფასი.

იმავდროულად გასათვალისწინებელია საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის მიწოდებისა და მასზე არსებული მოთხოვნის ელასტიურობის მაჩვენებლებიც. ამ სფეროში მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია მოთხოვნის ელასტიურობა.

§ V. 1. ღია ეკონომიკის სტანდარტული მოდელი

ღია ეკონომიკის სტანდარტული მოდელი ეფუძნება შემდეგ ოთხ ძირითად ცვლადს. ესენია: 1. წარმოების შესაძლებლობებისა და შეფარდებითი მიწოდების მრუდთა ურთიერთგანლაგება; 2. შეფარდებით ფასებსა და შეფარდებით

მოთხოვნას შორის ურთიერთდამოკიდებულება; 3. შეფარდებით მსოფლიო მოთხოვნასა და შეფარდებით მსოფლიო მიწოდებას შორის ურთიერთ-დამოკიდებულება; 4. ერის კეთილდღეობის დამოკიდებულება საგარეო ვაჭრობის პირობებზე.

ღია ეკონომიკის ამ სტანდარტულ მოდელში ითვლება, რომ ყოველი ქვეყანა აწარმოებს ორ საქონელს, რომელთა გამოშვების მოცულობა დამოკიდებულია ამ საქონელთა შეფარდებით ფასებზე. მაკროეკონომიკის საბაზისო მდგომარეობა იმაში გამოიხატება, რომ საბაზრო ეკონომიკა, რომელიც არ განიცდის მონოპოლიისაგან, ან სხვა რაიმე ნეგატეური ფაქტორების მხრიდან ზეგავლენას, ითვლება ეფექტურ ქმედით ინსტრუმენტად პროდუქციის წარმოების მოცულობის მაქსიმიზაციის თვალსაზრისით.

წონასწორული ღირებულების წერტილი, რომელიც განისაზღვრება მოთხოვნამიწოდების მრუდთა გადაკვეთით, დამოკიდებულია მომხმარებელთა მიერ უპირატესობის მინიჭების მექანიზმზე. მოცემულ სტანდარტულ მოდელში სამომხმარებლო არჩევანი გამოისახება ინდენფერენტულობის (გულგრილობის) მრუდთა მეშვეობით საექსპორტო საქონლის შეფარდებით ფასთა ზრდის დროს ქვეყნის კეთილდღეობა მაღლდება, და პირიქით.

შეფარდებით ფასთა არსის გაგებისათვის, საჭიროა ანალიზში შემოვიტანოთ შეფარდებითი მსოფლიო მოთხოვნისა და შეფარდებითი მსოფლიო მიწოდების ტერმინები. რაც უფრო მაღალია მოცემული პროდუქციის შეფარდებით ფასთა დონე, მით უფრო მაღალია მისი შეფარდებითი მსოფლიო მიწოდება და მით უფრო დაბალია ამ საქონლის შეფარდებითი მსოფლიო მოთხოვნა, და პირიქით.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც უკვე ვიცით, თუ როგორ განისაზღვრება ღია ეკონომიკის სტანდარტულ მოდელში შეფარდებითი მოთხოვნა, შეფარდებითი მიწოდება, საგარეო ვაჭრობის პირობები და ერის კეთილდღეობის დონე, უკვე შესაძლებელი ხდება ეს მოდელი გამოყენებულ იქნას საერთაშორისო ვაჭრობაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისას.

ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალის შეფასება ხდება **წარმოების შესაძლებლობის (ტრანსფორმაციის) მრუდის** მეშვეო-

ბით, რომელიც მოიცავს ორი მოცემული საქონლის წარმოების მოცულობის კომბინაციებს შორის ოპტიმალური ვარიანტის არჩევას. არჩევანი შეიძლება გაკეთდეს პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდის შესაბამისად საწარმოო ფაქტორთა ურთიერშენაცვლების, როგორც თანაბარი, უცვლელი, მუდმივი პროპორციით (რაც თეორიული და არარეალურია), ისე მზარდი დანახარჯების პირობებში. **საწარმოო დანახარჯთა ურთიერთშენაცვლების მუდმივობის** შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი საწარმოო ფაქტორის მეორით ჩანაცვლების პროპორცია უცვლელი უნდა იყოს, როგორც პირველივე ერთეულოვანი პროდუქციის წარმოებისას, ისე ნებისმიერი რაოდენობით მისი წარმოების მოცულობის ზრდის პირობებში. სინამდვილეში კი ადგილი აქვს **საწარმოო ფაქტორთა მზარდ შენაცვლებით დანახარჯთა** არსებობას, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთი საწარმოო ფაქტორის მეორით ჩანაცვლების დანახარჯები პროდუქციის წარმოების მოცულობის მატების შესაბამისად განუხრელად იზრდება, რადგანაც ერთ-ერთი ფაქტორი, მის მიწოდებასთან შედარებით, უფრო ინტენსიურად გამოყენების გამო, თანდათანობით გამოილევა და ძვირდება.

საწარმოო ფაქტორთა მოზიდვაზე გაწეულ დანახარჯთა ზრდის დინამიკა აისახება ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების კომპონენტებში. **ერთობლივი მოთხოვნა** ეს არის ისეთი მაკროეკონომიკური პარამეტრი, რომელიც სამამულო ნაწარმზე არსებულ მოთხოვნასთან ერთად მოიცავს იმპორტულ საქონელზე არსებულ მოთხოვნასაც ($D_{ერთ.} = D_{სამ} + M$), ხოლო **ერთობლივი მიწოდება** კი ეს ისეთი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომელიც ქვეყნის შიგნით მიწოდებულ საქონელთან ერთად მოიცავს უცხოეთში ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობასაც ($S_{ერთ.} = S_{სამ} + X$),

სწორედ ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების პარამეტრთა კომბინაცია იძლევა **ეროვნული ეკონომიკის (მარტივი საბაზრო) წონასწორობის** მიღწევის გაანალიზების შესაძლებლობას. ისევე როგორც წარმოების შესაძლებლობის მრუდი ახასიათებს ქვეყანაში ერთობლივი ეროვნული პროდუქციის მიწოდების უნარს, ასევე ინდენფერენტულობის (გულგრილობის) მრუდიც ახასიათებს ეროვნულ

მომხმარებელთა მიერ ორი მოცემული საქონლის მოხმარების არსებულ ვარიანტებს შორის ოპტიმალური კომბინაციის არჩევის შესაძლებლობას. **ინდენფერენტულობის (გულგრილობის) მრუდი** გამოხატავს განსაზღვრული შემოსავლების მქონე მომხმარებელთა კეთილდღეობის დაკმაყოფილების ერთსა და იმავე დონეს. ეროვნული ბაზრის მდგომარეობა შეიძლება გამოისახოს ორი მეთოდით:

1. წარმოების შესაძლებლობებისა და ინდენფერენტულობის მრუდთა ურთიერთკომბინაციის მეშვეობით; 2. ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მრუდთა ურთიერთკომბინაციის გზით.



ნახ. V. 1. ინდენფერენტულობისა და წარმოების შესაძლებლობების მრუდები

ჩაკეტილ ეკონომიკაში მომხმარებელი იძულებულია მოიხმაროს მხოლოდ ის საქონელი და მომსახურება, რომელთაც აწარმოებენ სამამულო მეწარმეები ქვეყნის შიგნით. (ნახ. V. 1.-ზე, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბაზრის მდგომარეობა საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე, მას შეესაბამება S_0 წერტილი). მომხმარებელი და მწარმოებელი შეამჩნევს, რომ ფასთა არსებული დონე საშუალებას აძლევს მათ გაიუმჯობესონ მდგომარეობა, თუ იმოძრავებენ S_0 წერტილის მიმართულებით, სადაც ნავთობი იმდენად იაფია, რომ უმჯობესია შეისყიდონ 40 მლნ. ლ. ნავთობი და 50 მლნ. მ. ქსოვილი.

ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში ცალკეული ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია და იგი გარკვეულ ზღვრებშია მოთავსებული. ქვეყანას თავისი საწარმოო შესაძლებლობებით შეუძლია სრულად აწარმოოს მხოლოდ ცალკეული სახეობის პროდუქცია, ან შეუძლია აწარმოოს ერთდროულად რამდენიმე (ბევრი) პროდუქ-

ცია, ოღონდ შეზღუდული რაოდენობით. იმისათვის რომ სახელმწიფომ გაზარდოს რომელიმე სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა, საჭიროა მან უარი თქვას სხვა, რომელიმე საქონლის განსაზღვრული რაოდენობით წარმოებაზე, რაც წარმოების შესაძლებლობათა რესურსული შეზღუდულობით არის გამოწვეული.

სულ სხვა ვითარება იქმნება ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა დამყარების შემდეგ. საგარეო ვაჭრობის გახსნის შედეგად ეკონომიკურად აქტიური სუბიექტები შეამჩნევენ ერთსა და იმავე საქონელზე ქვეყნებს შორის არსებულ ფასთა განსხვავებას და დაიწყებენ ვაჭრობას. სავაჭრო ურთიერთობათა დამყარების შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანში შესამჩნევი გახდება, რომ ნახევარი ლიტრი ნავთობით შესაძლებელია 1 მეტრი ქსოვილის შეძენა, რომლის გაცვლა შეიძლება მოხდეს აზერბაიჯანში 2,5 ლიტრ ნავთობზე. ანუ მოვაჭრე ქვეყნებს საშუალება ეძლევათ 1/2 ლიტრი ნავთობით შეიძინონ 2,5 ლ. ნავთობი. მაგრამ საგარეო ვაჭრობის გახსნის შემდეგ საქართველოსა და აზერბაიჯანში ვაჭრობამდე არსებული ფასები უცვლელი აღარ დარჩება. საქართველოდან ქსოვილის ექსპორტი გამოიწვევს მის გაძვირებას და ნავთობის იმპორტი – მის გაიაფებას, აზერბაიჯანში კი პირიქით.

§ V. 2. საგარეო ვაჭრობის გავლენა მიწოდებაზე ღია ეკონომიკის პირობებში

საგარეო ვაჭრობით ორივე მოვაჭრე მხარე იგებს. შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს მოგების ის ნორმა, რასაც მიიღებენ მოვაჭრე პარტნიორი ქვეყნები საგარეო ვაჭრობის გახსნის შემდეგ, თუ არ იქნა შესწავლილი წარმოებისა და მოხმარების სტრუქტურული ცვლილებანი და ფასთა ახალი თანაფარდობა. საამისოდ საჭიროა ანალიზში ჩავრთოთ მოთხოვნის ფაქტორიც.



ნახ. V. 2. წარმოების შესაძლებლობების მრუდები ღია ეკონომიკის პირობებში

ნახაზზე ნაჩვენებია საგარეო ვაჭრობის გავლენა წარმოების შესაძლებლობებზე, სადაც ნათლად ჩანს, რომ საგარეო ვაჭრობის ზეგავლენის შედეგად, ცალკეული მოვაჭრე ქვეყნის საქონლის და მომსახურების წარმოების შესაძლებლობები იზრდება. S_0 წერილიდან C წერტილამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ საგარეო ვაჭრობამ საშუალება მისცა ორივე მოვაჭრე მხარეს უფრო მეტად სპეციალიზებულად ეწარმოებინათ ჭარბი პროდუქცია და ნამატი გაეცვალათ.

ფასთა ახალი თანაფარდობა მოთავსებული იქნება 1 მ. ქსოვილი 0,5-დან 2,5 ლ. ნავთობს შორის (ნახ. V. 2.), რადგანაც საქართველო ქსოვილს უცხოეთში არ გაყიდის იმაზე უფრო იაფად, როგორადაც ჰყიდდა ეროვნულ ბაზარზე. ანალოგიურად მოიქცევა აზერბაიჯანიც, რადგანაც სხვანაირად ისინი ზარალს განიცდიან.

ამდენად, საგარეო ვაჭრობის ზეგავლენის შედეგად გაიზარდა მოხმარება, რაც გამოიწვია მოთხოვნის სტრუქტურულმა ცვლილებამ და წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების შედეგად მიღებულმა ეფექტმა. ვთქვათ, საგარეო ვაჭრობის ზეგავლენის შედეგად მოხმარების სტრუქტურა ისე შეიცვალა, რომ დამყარდა ფასთა ახალი თანაფარდობა – 1

მ. ქსოვილი/1 ლ. ნავთობზე. მაშინ ქართველი მეწარმეები დაინახავენ, რომ ყოველ მეტრ ქსოვილზე აზერბაიჯანში უხდიან 1 ლ. ნავთობს, რითაც ისინი გავლენ ეროვნული მოთხოვნის ფარგლებს გარეთ.

მოხმარების ნამატის ზრდაზე გავლენას ახდენს წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებაც. ქსოვილის ქართველი მეწარმეები როცა შეამჩნევენ, რომ უცხოელები ყოველ მეტრ ქსოვილზე იხდიან 1 ლ. ნავთობს, ცხადია ისინი უარს იტყვიან ნავთობის მოპოვებაზე და ნახ. V. 2. -ზე გადავლენ S_0 წერტილიდან S_1 წერტილში, რითაც მთლიანად დასპეციალიზირდებიან ქსოვილის წარმოებაზე. ამით ქართველი მომხმარებელი მიაღწევს მოთხოვნის დაკმაყოფილების გაცილებით უფრო მაღალ დონეს C წერტილში.[1]

წარმოების სპეციალიზაციის დონის გაღრმავებისა და გაცვლის შესაძლებლობა ორივე მოვაჭრე მხარეს აძლევს მოგების ერთდროულად მიღების შესაძლებლობას. ეს კი ცხადია საგარეო ვაჭრობის წყალობით არის შესაძლებელი.

ამდენად, საგარეო ვაჭრობა წარომოების სპეციალიზაციის გაღრმავების, მოთხოვნის სტრუქტურული ცვლილებისა და გაცვლის შესაძლებლობის მიღწევით საშუალებას იძლევა მოვაჭრე ქვეყნებმა გაზარდონ ეროვნული წარმოება და ამის საფუძველზე მიაღწიონ საკუთარი საქონლის მიწოდების ზრდას, წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავების კვალობაზე ეკონომიკის იმ დარგებში, სადაც



ნახ. V. 3. საგარეო ვაჭრობის გავლენა მიწოდებაზე მზარდი შენაცლებითი დანახარჯების დროს

1 ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა: „სიახლე". თბილისი, 2001 წ. გვ. 12 –49.

მათ გააჩნიათ წარმოების შედარებით უფრო ჭარბი შესაძლებლობები.

მზარდი შენაცვლებითი დანახარჯების დროს ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარება იგივე შედეგებს იძლევა, რასაც იძლეოდა შენაცვლების დანახარჯთა მუდმივობის პირობებში.

პრაქტიკა გვიჩვენებს იმას, რომ ქვეყნები ვერ აღწევენ სრულ სპეციალიზაციას, რადგანაც მათი ზღვრული დანახარჯები თანაბრდება. საქართველომ რომც არ შეცვალოს ეროვნული პროდუქციის წარმოების სტრუქტურა, საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ იგი მაინც მოგებული დარჩება, მაგრამ ეს მოგება არ იქნება მაქსიმალური. საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მოგება შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, თუ საქართველო ნავთობის მოპოვებიდან თავის რესურსებს გადაისვრის ქსოვილის წარმოებაში, რითაც ყოველი ლ. ნავთობის მოპოვებაზე უარის თქმით შეუძლია აწარმოოს 2 მ. ქსოვილი, რომელსაც საგარეო ბაზარზე აქცევს 2 ლ. ნავთობად. ამდენად, მზარდი შენაცვლებითი დანახარჯების დროსაც საგარეო ვაჭრობა რჩება ურთიერთხელსაყრელი ორივე სავაჭრო პარტნიორისათვის, როდესაც მაქსიმალურ მოგებას იძლევა წარმოების ნაწილობრივი სპეციალიზაცია.

ყოველი ქვეყნის ტრანსფორმაციის მრუდი აიგება მიწოდების მონაცემებზე და საწარმოო ფუნქციებზე დაყრდნობით. სხვადასხვა სახის საქონლის წარმოება დამოკიდებულია განსხვავებულ საწარმოო ფაქტორთა სრულიად სხვადასხვა სახის ურთიერთშეხამებაზე.

მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედება საერთაშორისო ვაჭრობაში. ინდენფერენტულობის საზოგადოებრივი მრუდები სავაჭრო ურთიერთობათა დამყარებისას მიღებული შედეგების განსაზღვრით, საშუალებას იძლევა ვაჩვენოთ, თუ როგორ ურთიერთქმედებს უპირატესობის მინიჭების მოცემული სისტემა ცნობილ საწარმოო შესაძლებლობებთან. ნახ.V.4. გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აძლევს საგარეო ვაჭრობა ქვეყანას იმის საშუალებას, რომ გადავიდეს ინდენფერენტულობის შედარებით უფრო მაღალ მრუდზე.

არცერთ ქვეყანას არ შეუძლია საგარეო ვაჭრობის წყალობით გადავიდეს მოთხოვნის დაკმაყოფილების ნებისმიე-

რად მაღალ დონეზე. არსებობს მხოლოდ ერთი ისეთი C წერტილი, სადაც ნავთობის ქართული იმპორტისა და ქსოვილის ექსპორტის მოცულობები, ფასთა მოცემული დონის პირობებში ემთხვევა ერთმანეთს. საგარეო ვაჭრობა გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მომხმარებელთა, მწარმოებელთა და სახელმწიფო ბიუჯეტში ფინანსური შემოსავლების ცვლილების ხარჯზე. ჩვენ ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ მათგანს.

საგარეო ვაჭრობის მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე მოხდენილი გავლენის ანალიზი ინდიფერენტულობისა და წარმოების შესაძლებლობათა მრუდების დახმარებით



ნახ. V 4. ორი შეხედულება საგარეო ვაჭრობის მიერ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მოხდენილი გავლენის შესახებ.

§ V. 3. მომხმარებელთა სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან

საგარეო ვაჭრობის გახსნის შედეგად მოგებული რჩება იმპორტული, ან იმპორტის შემცვლელი სამამულო პროდუქციის მომხმარებელი და დაზარალებული რჩება ექსპორტაბელური პროდუქციის მომხმარებელი. მოსახლეობის ამ ჯგუფთა კეთილდღეობის ცვლილება ასახვას პოულობს მოთხოვნის მრუდზე._**მოთხოვნის მრუდი, თუ მას შევხედავთ მომხმარებელთა ქცევის თვალსაზრისით, წარმოადგენს ზღვრული სარგებლიანობის მრუდს.** ნახ. V. 5.-ის ვერტიკალურ ღერძზე ათვლილია დამატებითი ლიტრი ნავთობისაგან მიღებული ზღვრული სარგებლიანობის სიდიდეები, ხოლო ჰორიზონტალურზე კი – შესაბამის ფასებში ნავთობის შეძენის მოცულობა. შესაბამისად მოთხოვნის მრუდის ქვეშ არსებული ფართი, რომელიც ვრცელდება მოხმარების მოცულობის აღმნიშვნელ ვერტიკალამდე, **გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აფასებს მომხმარებელი პროდუქციის შეძენის საკუთარ შესაძლებლობებს.**

ცხადია, ბაზარზე ნავთობს უფასოდ არავინ გასცემს. მყიდველმა მის შესაძენად უნდა გადაიხადოს გარკვეული თანხა (საბაზრო ფასი) და ამით დაკარგოს მისი სარგებლიანობის გარკვეული ნაწილი, მაგრამ საბაზრო ფასი ისეთია, რომ იგი არ მოიცავს მთლიან სარგებლიანობას.

ამრიგად, საგარეო ვაჭრობის არარსებობისას, მომხმარებლის მიერ ნავთობის ყიდვიდან მიღებული წმინდა სარგებელი დაიყვანება მხოლოდ C რეგიონის ფართამდე. მოთხოვნის მრუდის ქვეშ არსებულ წმინდა სარგებლის ამ მხარეს, რომელიც ქვემოდან შემოსაზღვრულია ფასის გამომხატველი ხაზით, **მომხმარებელთა წმინდა სარგებლიანობა** ეწოდება. საგარეო ვაჭრობის დამყარებას, ფასთა ვარდნის ხარჯზე, ნავთობის ქართველი მომხმარებლისათვის მოაქვს დამატებითი წმინდა სარგებლიანობა, რომელიც შეიძლება რაოდენობრივადაც განისაზღვროს. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში მომხმარებელთა დამატებითი წმინდა სარგებლიანობა მოიცავს a + b + c + d რეგიონს.



ნახ. V. 5. საგარეო ვაჭრობის გავლენა იმპორტული პროდუქციის მომხმარებელზე, იმპორტთან კონკურენციაში მყოფ მწარმოებელზე და მთლიან ქვეყანაზე.

მოცემული ნახაზი გვიჩვენებს იმას, თუ რას აძლევს საგარეო ვაჭრობა ნავთობის ქართველ მეწარმეებს და მომხმარებელს ცალკ-ცალკე. ამის გასარკვევად საჭიროა დავადგინოთ, თუ როგორ იზომება ზღვრული სარგებლიანობა და ზღვრული დანახარჯები მოთხოვნისა და მიწოდების მრუდთა მეშვეობით.

მომხმარებლის მიერ საქონლის შეძენის არჩევანზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა პირადი გემოვნება და უპირატესობის მინიჭება. მომხმარებელთა გემოვნების კვალდაკვალ გავლენას ახდენს მისი ფასი. ფასის ზრდის შემთხვევაში მომხმარებელი იწყებს ამ საქონლის ეკონომიით ხარჯვას. მყიდველის არჩევანზე ასევე გავლენას ახდენს მისი შემოსავლები, რომელთა ზრდის შემთხვევაში მომხმარებელი ზრდის შეძენილი საქონლის რაოდენობას. იგი ისეთი საქონლის შეძენასაც იწყებს, რომელსაც მანამდე არ ყიდულობდა.

სამომხმარებლო მოთხოვნა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე: გემოვნებაზე, მოცემული საქონლის ფასზე, ამ საქონლის შემცვლელი ნაწარმის ფასზე და შემოსავლებზე.

მოთხოვნის მრუდი ფასის იმ მაქსიმუმს გამოხატავს, რასაც გადაიხდიდა მომხმარებელი. მოთხოვნის მრუდის ქვეშ არსებული ფართი შეესაბამება საქონლის შეძენაზე გადახდილ სამომხმარებლო ხარჯს. მომხმარებლის კეთილდღეობაზე საგარეო ვაჭრობის გავლენა შეიძლება გამოისახოს ფორმულებითაც. კერძოდ, საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე მომხმარებელთა წმინდა სარგებლიანობა გამოითვლება ფორმულით:

$$N_{0D} = \frac{D_0 \times (A_1 - P_0)}{2} \quad \text{.....} \quad \textbf{V. 1.}$$

სადაც, N_{0D} არის საგარეო ვაჭრობამდე არსებული მომხმარებელთა წმინდა სარგებლიანობა. D_0 – საგარეო ვაჭრობამდე ქვეყნის შიგნით მოხმარებული პროდუქცია; A_1 – პროდუქციის ის მაქსიმალური ფასია, რომლის დროსაც პროდუქციის მხოლოდ პირველი ერთეული გაიყიდება. P_0 კი არის საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის ფასი.



ნახ. V. 6. მოთხოვნა;

საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე მომხმარებლის მიერ პროდუქციის შეძენაზე გაწეული დანახარჯები გამოითვლება ფორმულით:

$$K_{0D} = D_0 \times P_0 \quad \text{.....} \quad \textbf{V. 2.}$$

სადაც, K_{0D} არის საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე პროდუქციის შეძენაზე გაწეული დანახარჯები; D_0 – საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე ქვეყნის შიგნით მოხმარებული პროდუქციის მოცულობა;

საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ, პროდუქციის გაიაფების შედეგად, მომხმარებელთა მიერ მიღებული საერ-

თო წმინდა სარგებლიანობა -- a + b + c + d რეგიონი გამოითვლება ფორმულით:

$$N_1 = \frac{D_1 \times (A_1 - P_1)}{2} \quad \text{..... V. 3}$$

სადაც, D_1 არის საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ მოხმარებული პროდუქციის მოცულობა; ხოლო, P_1 კი არის საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ ქვეყანაში მოხმარებულ პროდუქციაზე დაწესებული დაბალი ფასი;

რადგანაც c რეგიონის შესაბამისი სარგებელი მომხმარებელს გააჩნდა საგარეო ვაჭრობის დამყარებამდეც, ამიტომ საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ, პროდუქციის გაიაფების შედეგად, მომხმარებელთა მიერ მიღებული დამატებითი წმინდა სარგებლიანობა შეესაბამება მხოლოდ a + b + d რეგიონს. რომელიც გამოითვლება ფორმულით:

$$a + b + d = N_{1d} -- N_{0d} = \frac{D_1 \times (A_1 - P_1)}{2} - \frac{D_0 \times (A_1 - P_0)}{2}$$

$$= \frac{(D_0 + D_1) \times (P_0 - P_1)}{2} \quad \text{..... V. 4.}$$

სწორედ ამ მაჩვენებელს ეწოდება **საგარეო ვაჭრობის გავლენის შედეგად მომხმარებელთა მიერ მიღებული დამატებითი წმინდა სარგებლიანობა.** საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ მომხმარებელთა მიერ პროდუქციის შეძენაზე გაწეული დანახარჯები გამოითვლება ფორმულით:

$$K_{1D} = D_1 \times P_1 - \quad \text{..... V. 5.}$$

ამრიგად, საგარეო ვაჭრობის დამყარება იმპორტული პროდუქციის მომხმარებელს აძლევს დამატებით წმინდა სარგებელს a + b + d რეგიონის ოდენობით.

§ V. 4. მწარმოებელთა სარგებელი საერთაშორისო ვაჭრობიდან

არსებობს საზოგადოების მეორე ნაწილიც – იმპორტთან კონკურენციაში მყოფი მწარმოებლებიც, რომლებიც საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შედეგად, განიცდიან ზარალს.

ამის დასამტკიცებლად საჭიროა ნახ. V. 5.-ზე განვიხილოთ ნავთობის მიწოდების მრუდი, რომელიც გვიჩვენებს ყოველი დამატებითი ლიტრი ნავთობის მოპოვების მოცულობასა და დანახარჯებს შორის თანაფარდობას. საგარეო ვაჭრობის არარსებობისას – A წერტილში ყოველი დამატებითი ლიტრი ნავთობის მოპოვებისათვის საჭიროა უარი ვთქვათ 2 მეტრი ქსოვილის წარმოებაზე.

საგარეო ვაჭრობის არარსებობისას, ნავთობის მწარმოებლები, თავიანთი პროდუქციის გაყიდვით იღებენ გარკვეულ ამონაგებს, რომელიც საქონლის ფასისა და გაყიდვის მოცულობათა ნამრავლის ტოლია:

$$V_0 = S_0 \times P_0 \quad \text{.....} \quad \textbf{V. 6.}$$

სადაც, V_0 არის ნავთობის მეწარმეთა შემოსავლები ვაჭრობის დამყარებამდე; S_0 და P_0 კი არის, საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე წლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა და ფასი.

საწარმოოს კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს შემდეგი წინაპირობები: თუ საქონლის სარეალიზაციო ფასი აჭარბებს წარმოების ზღვრულ ხარჯებს, მაშინ ფირმა შემოსავლიანი იქნება. საწარმოები მანამდე გამოუშვებენ თავიანთ პროდუქციას, ვიდრე მისი ფასები არ გაუთანაბრდება წარმოების ზღვრულ ხარჯებს. საწარმოო დანახარჯები დამოკიდებულია რესურსების რაოდენობასა და ფასზე. ნახ. V. 5.-დან ჩანს, რომ წარმოება მაშინ იზრდება, როცა მატულობს ფასი. ამას ამტკიცებს მიწოდების მრუდის აღმავალი სახე.

მიწოდების მრუდი გვიჩვენებს ნამატი ერთეულოვანი პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დამატებით ხარჯებს, რადგანაც იგი ასახავს ყველაზე დაბალ ფასს, რაზედაც მწარმოებელი მზადაა მიაწოდოს ახალი პროდუქცია.

მეწარმის მიერ მიღებული საერთო შემოსავალი უდრის რეალიზებული საქონლის რაოდენობა გამრავლებული მის საბაზრო ფასზე. შემოსავლებიდან ყველა ხარჯის (მიწოდების მრუდის ქვეშ არსებული ფართობის) დაფარვის შემდეგ მეწარმეები საგარეო ვაჭრობის უქონლობისას წმინდა სარგებლის სახით, იგებენ მიწოდების მრუდის ზედა ფართობს, ფასის აღმნიშვნელ ხაზამდე (a+e). ამ წმინდა მოგებას, რო-

მელიც მიიღება პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებზე, მათი დამზადებისათვის გაწეული დანახარჯების გამოკლებით, **მწარმოებელთა დამატებითი წმინდა სარგებლიანობა** ეწოდება. იგი გვიჩვენებს იმას, **თუ როგორ აფასებს მწარმოებელი პროდუქციის წარმოების საკუთარ შესაძლებლობებს.**

საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე, იმპორტშემცვლელი პროდუქციის მწარმოებელთა სარგებლიანობა გამოითვლება ფორმულით:

$$N_{0s} = \frac{S_0 \times (P_0 - Q)}{2} \quad \text{..... V. 7.}$$

სადაც, N_{0s} არის მწარმოებელთა მოგება საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე; Q კი არის პირველი ერთეულოვანი პროდუქციის თვითღირებულება;

საგარეო ვაჭრობის დამყარებამდე იმპორტშემცვლელი პროდუქციის მწარმოებელთა მიერ გაწეული დანახარჯები გამოითვლება ფორმულით:

$$K_{0s} = \frac{S_0 \times (P_0 + Q)}{2} \quad \text{..... V. 8.}$$

საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ, ნავთობის მწარმოებლები თავიანთ პროდუქციას ყიდიან ადრინდელთან შედარებით, უფრო იაფად, რაც მათი შემოსავლების შემცირებას იწვევს. ნავთობის მომპოვებელ დარგებში შემოსავლების შემცირება გამოიწვევს რესურსების გადადენას სხვა დარგებში. ამიტომ ნავთობის წარმოება A წერტილიდან გადაინაცვლებს C წერტილში. მათი სარგებლიანობა მცირდება a რეგიონის ოდენობით და რჩება მხოლოდ e რეგიონი. შესაბამისად, მცირდება პროდუქციის წარმოების ზღვრული დანახარჯებიც.

საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ, იმპორტშემცვლელი პროდუქციის მწარმოებელთა შემოსავლები გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$V_1 = S_1 \times P_1 \text{.....} \quad \text{V. 9.}$$

სადაც, S_1 და P_1 არის, საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ, ყოველწლიურად წარმოებული პროდუქციის, შესაბამისად მოცულობა და ფასი.

საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ, იმპორტშემცვ-ლელი პროდუქციის მწარმოებელთა განკარგულებაში დარჩენილი მოგება გამოითვლება ფორმულით:

$$N_{1s} = \frac{S_1 \times (P_1 - Q)}{2} \quad \text{.....} \quad \textbf{V. 10.}$$

საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ, იმპორტშემცვლე-ლი პროდუქციის მწარმოებელთა მიერ გაწეული დანახარ-ჯები გამოითვლება ფორმულით:

$$K_{1s} = \frac{S_1 \times (P_1 + Q)}{2} \quad \text{.....} \quad \textbf{V. 11.}$$

ამრიგად, საგარეო ვაჭრობის დამყარების შედეგად, **იმპორტშემცვლელი პროდუქციის მწარმოებელთა მიერ დაკარგული წმინდა სარგებლიანობა** შეადგენს a რეგიონს, რომელიც გამოითვლება ფორმულით:.

$$a = N_{0s} - N_{1s} = \frac{S_0 \times (P_0 - Q)}{2} - \frac{S_1 \times (P_1 - Q)}{2}$$

$$= \frac{(S_0 + S_1)}{2} \times (P_0 - P_1) \quad \text{.....} \quad \textbf{V. 12.}$$

§ V. 5. საგარეო ვაჭობის გავლენა პროდუქციის იმპორტიორი და ექსპორტიორი ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობაზე

ამრიგად, ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში ქვეყნები სრუ-ლად ვერ ამჟღავნებენ თავიანთ საწარმოო შესაძლებლობებს, ეროვნული ეკონომიკის რესურსული შეზღუდულობის გამო. საგარეო ვაჭრობა ხსნის წარმოების რესურსული შეზღუდუ-ლობის პრობლემას და ეკონომიკის რესურსული უზრუნველ-ყოფის მექანიზმს ინტერნაციონალურს ხდის.

მთლიანი ქვეყნის მასშტაბით საგარეო ვაჭრობის ლიბე-რალიზაციით მოგებული რჩება იმპორტული პროდუქციის მომხმარებელი და საექცპორტო პროდუქციის მწარმოებლები, ხოლო დაზარალებულნი კი რჩებიან იმპორტთან კონკურენ-ციაში მყოფი პროდუქციის მწარმოებლები და საექსპორტო

პროდუქციის მომხმარებელი, მაგრამ მთლიანი ქვეყნის ზოგად ინტერესს წარმოადგენს არა იმის გარკვევა, თუ ვინ იგებს და ვინ ზარალობს საგარეო ვაჭრობიდან, არამედ მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საკუთარი მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის საერთო დონის ამაღლება.

როგორც ნახ. V. 5-დან ჩანს, საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ იმპორტშემცვლელი პროდუქციის მომხმარებელი იგებს a+b+d რეგიონს, ხოლო მისი მწარმოებელი კი ზარალობს a რეგიონს. ამიტომ, მხოლოდ იმპორტშემცვლელი პროდუქციის მომხმარებლისა და მწარმოებლის თვალსაზრისით, ქვეყანა საგარეო ვაჭრობიდან იგებს b + d რეგიონს.

ეკონომისტები ამ საკითხს, ჩვეულებისამებრ, განიხილავენ ე. წ. **„ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმის"** სახელწოდებით, რომლის თანახმადაც მოგებისა და ზარალის თითოეული დოლარი უნდა განიხილებოდეს ერთნაირად, მიუხედავად იმისა, თუ ვის ეკუთვნის იგი. ამ კრიტერიუმს საფუძვლად უდევს ის პირობა, რომ საგარეო ვაჭრობის საბოლოო შედეგები შეფასდეს მხოლოდ საერთო კეთილდღეობის პოზიციიდან და მხედველობაში არ იქნეს მიღებული საგარეო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების გადანაწილების ასპექტი, რადგანაც უსამართლოდ განაწილებული შემოსავლების სამართლიანი გადანაწილება – ეს უკვე მაკროეკონომიკის სხვა საკითხია, სადაც არსებობს მიღებული მოგებისა და ზარალის ქვეყნის შიგნით გადანაწილების მრავალი მექანიზმი.

„ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმი" საშუალებას იძლევა საგარეო ვაჭრობის ზეგავლენის შედეგად, მთლიანი ქვეყნისათვის მიღებული დამატებითი წმინდა სარგებელი (b + d რეგიონი). გამოვსახოთ ფორმულით:

$$b + d = m_1 \times \frac{(P_0 \text{ --- } P_1)}{2} \quad \text{..... V. 13.}$$

მოვაჭრე ქვეყნების მიერ მოგების გადანაწილება დამოკიდებულია იმპორტის (ან ექსპორტის) მოცულობაზე და ფასთა ცვლილების დიაპაზონზე. რადგანაც ურთიერთმოვაჭრე ქვეყნებისათვის საგარეო ვაჭრობის მოცულობა ერთნაირია (ერთი ქვეყნის მიერ განხორციელებული ექსპორტი მისი მოვაჭრე მხარისათვის იმპორტია და პირიქით), ამიტომ საგარეო ვაჭ-

რობიდან მიღებული მოგების ქვეყნებს შორის გადანაწილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელმა მოვაჭრე მხარემ განიცადა თავის სამამულო საქონელზე ეროვნულ და საგარეო ფასთა შორის მკვეთრი სხვაობა.

თუ ერთი მოვაჭრე ქვეყნის ძველ და ახალ ფასთა თანაფარდობას აღვნიშნავთ X-ით, ხოლო მეორისას– Y-ით, მაშინ:

$$\frac{\text{I მხარის მოგება}}{\text{II მხარის მოგება}} = \frac{X}{Y} \quad \text{V. 14.}$$

საგარეო ვაჭრობიდან უფრო მეტს იგებს ის მოვაჭრე მხარე, რომლის ვაჭრობის მრუდიც მეორესთან შედარებით უფრო ელასტიურია.

რეზიუმე

1. მოცემულ თავში განხილულია ღია ეკონომიკის სტანდარტული მოდელი, სადაც ანალიზში ჩართულია ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები და შეფარდებითი მიწოდება. ამ მოდელის მეშვეობით განისაზღვრება შეფარდებითი ფასები და მიწოდება, საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილების გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე;

2. ამავე თავში გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის გავლენა მიწოდებაზე ღია ეკონომიკის პირობებში ჩანაცვლების მუდმივი და მზარდი დანახარჯების დროს, რომელიც თავის მხრივ, საერთაშორისო ვაჭრობაში გავლენას ახდენს მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედებაზე;

4. მოთხოვნა-მიწოდების მრუდთა მეშვეობით საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მოგებისა და ზარალის გრაფიკული ინტერპრეტაცია საშუალებას იძლევა დადგინდეს საგარეო ვაჭრობიდან მიღებული სარგებლიანობა;

5. მოთხოვნის მრუდი, თუ მას შევხედავთ მომხმარებელთა ქცევის თვალსაზრისით, წარმოადგენს ზღვრული სარგებლიანობის მრუდს, რომელიც გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აფასებს მომხმარებელი საქონლის შეძენის შესაძლებლობებს;

6. ამავე თავში გაანალიზებულია მწარმოებელთა მიერ საერთაშორისო ვაჭრობიდან მიღებული სარგებლიანობა. მიწოდების მრუდი, თუ მას შევხედავთ მწარმოებელთა ქცევის

თვალსაზრისით, წარმოადგენს ზღვრული სარგებლიანობის მრუდს, რომელიც გვიჩვენებს იმას, თუ როგორ აფასებს მწარმოებელი საქონლის მიწოდების შესაძლებლობებს.

ძირითადი ტერმინოლოგია

- წარმოების შესაძლებლობის (ტრანსფორმაციის) მრუდი;
- მუდმივი და მზარდი შენაცვლებითი დანახარჯები;
- ინდენფერენტულობის (გულგრილობის) მრუდი;
- საგარეო ვაჭრობიდან მიღებული მოგება და ზარალი;
- მომხმარებელთა და მწარმოებელთა სარგებლიანობა;
- საგარეო ვაჭრობის პირობები.

ამოცანები

1. ზოგიერთ ეკონომიკაში შეფარდებითი მიწოდება არ რეაგირებს ფასთა ცვლილებაზე. შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ამ დროს საგარეო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება გამოიწვევს ერის კეთილდღეობის ზრდას/ მოახდინეთ თქვენი პასუხის ილუსტრირება გრაფიკულად;

2. მიწოდების ანალიზის დროს წარმოების უძრავ ფაქტორთა არსებობის შემთხვევის საწინააღმდეგო არგუმენტია ფაქტორების ურთიერთჩანაცვლების შეუძლებლობის ვარიანტი. მოთხოვნის დროს ვთქვათ მოქმედებს ისეთი ეკონომიკა, სადაც მომხმარებელი საქონელს ყოველთვის იძენს მკაცრი პროპორციით, ამ საქონელზე ფასების ცვლილების მიუხედავად. აჩვენეთ რომ ასეთი ეკონომიკაც მოიგებს საგარეო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესებით;

3. იაპონია ძირითადად ახდენს გადამამუშავებელი მრეწველობის დარგთა პროდუქციის ექსპორტს, ნავთობისა და სურსათის იმპორტს. გაანალიზეთ შემდეგი მოვლენების გავლენა იაპონიის საგარეო ვაჭრობის პირობებზე: ა) ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომი გამოიწვევს ნავთობის მიწოდების შეზღუდვას; ბ) სამხრეთ კორეა იწყებს ავტომობილების წარმოებას, რომელსაც იგი წარმატებით გაყიდის კანადასა და აშშ-ში; გ) ამერიკელი ინჟინრები ქმნიან თერმო-ატომურ

რეაქტორს, რომელიც ჩაანაცვლებს ბუნებრივ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებს; დ) მოუსავლიანობა რუსეთში;
4. ვთქვათ, A და B ქვეყნები ფლობენ ორფაქტორიან წარმოებას– შრომითა და კაპიტალით. იყენებენ მათ ორი საქონლის - X-ის და Y-ის საწარმოებლად. ორივე ქვეყანა იყენებს ერთსა და იმავე ტექნოლოგიას. X საქონელი ითვლება კაპიტალტევადად, A ქვეყანას გააჩნია ჭარბი სამუშაო ძალა. გაანალიზეთ შემდეგი მოვლენების გავლენა ორივე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე და ერის კეთილდღეობაზე: ა) A ქვეყანაში იზრდება კაპიტალის რაოდენობა; ბ) B ქვეყანაში იზრდება შრომის მიწოდება; გ) B ქვეყანაში იზრდება კაპიტალის რაოდენობა; დ) A ქვეყანაში იზრდება შრომის მიწოდება;

. ნაწილი II

საგარეო ვაჭრობის რეგულირების მექანიზმი

ზემოთ მოყვანილ ანალიზში ეროვნული ეკონომიკა განიხილებოდა, როგორც ან სრულიად ჩაკეტილი, ან სრულიად ლიბერალიზირებული ეკონომიკური სისტემა. სინამდვილეში, როგორც მსოფლიო ეკონომიკის პრაქტიკული რეალობა გვიჩვენებს, თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობა არც სრულიად ჩაკეტილია და არც სრულიად ლიბერალიზირებული. იგი ამ ორ უკიდურესობას შორის შუალედურ ფორმას წარმოადგენს. თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობა, საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მოქნილი ბერკეტების ოპერატიული და დროული გამოყენების მეშვეობით, საჭიროებს მასში მონაწილე ქვეყნების მხრიდან რეგულირებას.

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა სახელმწიფოთა შორის დამყარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირების ყველაზე უფრო ქმედითი ინსტრუმენტია. სხვადასხვა ქვეყნის თანამშრომლობის შედეგად მსოფლიო ეკონომიკაში ჩამოყალიბდა მრავალი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ორგანიზაცია, რომლებიც ადგენენ ქვეყნებს შორის ვაჭრობის დამყარებისა და რეგულირების (ე. წ. „თამაშის") წესებს. ამ ორგანიზაციებში გაწევრიანების შემდეგ, სახელმწიფოები იღებენ შემუშავებულ წესებზე დამორჩილების ვალდებულებას. კერძოდ, საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტებს განსაზღვრავს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავაჭრო პალატა და სხვა საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციები, რომელთა მთავარი მიზანია მსოფლიო მასშტაბით შეიმუშაონ ცალკეული ქვეყნის მიერ სავაჭრო პოლიტიკის წარმართვის ერთიანი მექანიზმი.

თავი VI
საგარეო ვაჭრობის სატარიფო ბარიერებით რეგულირება

მე მაქვს უნარი ბაზარზე თავისუფალი ადგილების პოვნისა და რწმენა, რომ ჩემი იდეა გაამართლებს.

ბ. ვუდსი

საგარეო ვაჭრობის რეგულირება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადრე უთანასწოროდ გადანაწილებული შემოსავლების ხელახალი სამართლიანი გადანაწილების ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად. არსებობს საგარეო ვაჭრობის რეგულირების მრავალი მექანიზმი, მაგრამ ისინი ძირითადად ორ კატეგორიად იყოფიან. ესენია: სატარიფო და არასატარიფო ბარიერები. სატარიფო ბარიერების ძირითადი სახეა საბაჟო ტარიფები. არსებობს საბაჟო ტარიფების სამი ძირითადი ფორმა. ესენია: საიმპორტო, საექსპორტო და სატრანზიტო ბაჟი. **საიმპორტო ბაჟი ეს არის ქვეყანაში შემოტანილი პროდუქციის ერთეულზე გადასახდელი თანხა.** საბაჟო ტარიფების დაქვეითების ფონზე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები, თავიანთი სამამულო დარგების დაცვის შენარჩუნების მიზნით, სულ უფრო ინტენსიურად იყენებენ იმპორტის შემზღუდავ არასატარიფო ბარიერებს.

სავაჭრო ბარიერთა მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე ზემოქმედების ანალიზი იწყება საბაჟო ტარიფების შემოღების შედეგად ქვეყნის მიერ მიღებული დადებითი და უარყოფითი შედეგების განხილვით. კერძოდ, ეს ზოგადი შედეგები შეიძლება აისახოს შემდეგ ორ ძირითად შეხედულებაში: 1. საბაჟო ტარიფები თითქმის ყოველთვის ამცირებს მოვაჭრე მხარეთა კეთილდღეობას, ხშირად იმ ქვეყნის კეთილდღეობასაც კი, ვინც ითვლება მის ინიციატორად; 2. საბაჟო ტარიფების შემოღების შედეგად მიღებული ეფექტი შეიძლება მიღწეულ იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების სხვა ბერკეტების გამოყენების გზითაც.

არსებობს მხოლოდ ოთხი გამონაკლისი შემთხვევა, როცა გამართლებულია ლიბერალური საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა. კერძოდ, ესენია:

1. პროდუქციის გასაღების (ან მიწოდების) თვალსაზრისით, თუ მოცემული ქვეყანა იმდენად დიდია, რომ ამ პროდუქციის შემოტანაზე (ან გატანაზე) მაღალი საბაჟო ტარიფის დაწესებით მას შეუძლია გავლენა მოახდინოს მის მსოფლიო ფასზე, მაშინ მის მიერ მაღალი საბაჟო გადასახადის შემოღება მოცემული საქონლით ვაჭრობაში გააუმჯობესებს ამ ქვეყნის საგარეო სავაჭრო პირობებს და შესაბამისად ხელსაყრელ ვითარებას შეუქმნის მას;

2. თუ ქვეყანას შიდა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა არ შეუძლია სხვა გზებით, საბაჟო ტარიფების შემოღების გარეშე, მაშინ იგი იძულებული იქნება შემოიღოს მკაცრი სავაჭრო შეზღუდვები;

3. თუ ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში წარმოიქმნა ისეთი პრობლემები, რომელთაც ყველაზე უფრო ეფექტურად მოაგვარებს მხოლოდ მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესება, მაშინ ქვეყანა იძულებულია წავიდეს ამ დათმობაზე;

4. მაღალი საბაჟო ტარიფების შემოღება გამართლებულია იმ დროსაც, თუ მისი მეშვეობით მოხდება ადგილობრივ დარგთა დაცვა.

§ VI. 1. საიმპორტო საბაჟო ტარიფის გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე

საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის წარმართვის ყველაზე უფრო ქმედითი ინსტრუმენტია საბაჟო ტარიფები. **საბაჟო ტარიფი–ეს არის ქვეყნის საბაჟო საზღვარზე გატარებულ საქონელზე დაწესებული ფულადი თანხა..** მისი შემოღება ზღუდავს წლის განმავლობაში ქვეყნებს შორის რეალიზებული საქონლის მოცულობას და შესაბამისად აქვეითებს მოვაჭრე მხარეთა კეთილდღეობას. საგარეო ვაჭრობის ლიბერა-

ლიზაციის შედეგების მსგავსად, სავაჭრო შეზღუდვების შემოღება ნებისმიერ სახელმწიფოში საზოგადოებას ყოფს ორ ჯგუფად – მოგებულ და დაზარალებულ მხარეებად. ნებისმიერ შემთხვევაში გამართლებულია მაღალი საბაჟო გადასახადის დაწესება მხოლოდ იმ პროდუქციის იმპორტზე, რომლის შემცვლელიც ადგილზევე იწარმოება, იმპორტშემცვლელ დარგებში, თუნდაც ამით ზარალდებოდეს მთლიანი ქვეყანა..[1] უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესება ზემოქმედებს ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე -- მომხმარებელთა, მწარმოებელთა და სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური შემოსავლების ცვლილების გზით.

იმპორტშემცვლელ დარგთა დაცვის მიზნით, იმპორტულ ნაწარმზე საბაჟო ტარიფების შემოღების შედეგად ზარალობს **ამ პროდუქციის მომხმარებელი.**



ნახ. VI. 1. იმპორტულ პროდუქციაზე საბაჟო ტარიფის შემოღების გავლენა ამ პროდუქციის მომხმარებელზე

[1] ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი გამომცემლობა „სიახლე" 2001 წ. გვ. 185 – 99.

საიმპორტო ტარიფის შემოღებამდე ველოსიპედების როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული ფასი იქნებოდა 100 აშშ. დოლარი, რომლის დროსაც მომხმარებელი შეიძენდა S_0 რაოდენობის სამამულო და D_0 რაოდენობის იმპორტულ ველოსიპედს. მაშინ, წლის განმავლობაში მომხმარებელთა მიერ გასაღებული ველოსიპედების საერთო რაოდენობა იქნება:

$$D_0 = S_0 + m_0 \quad \text{----------} \quad \textbf{VI. 1.}$$

თავისუფალი საგარეო ვაჭრობის არსებობის დროს მომხმარებელი იგებს ველოსიპედების სიიაფით. ACE სამკუთხედის ფართობი, რომელიც შემოიფარგლება ერთობლივი მოთხოვნის გამომხატველი მრუდით, მსოფლიო ფასის გამომსახველი ხაზითა და ვერტიკალური (ორდინატთა) ღერძით, წარმოადგენს საიმპორტო საბაჟო ტარიფების უქონლობისას მომხმარებელთა მიერ იმპორტული პროდუქციის (ველოსიპედების) შეძენიდან მიღებულ დამატებით წმინდა სარგებელს.

ვთქვათ, სახელმწიფომ სამამულო, იმპორტთან კონკურენციაში მყოფი პროდუქციის იმპორტისაგან დაცვის მოტივზე დაყრდნობით, მიზანშეწონილად ჩათვალა ყოველი დამატებითი ერთეული ველოსიპედის იმპორტზე დაეწესებინა საბაჟო ტარიფი T = 20 დოლარის ოდენობით.

იმპორტულ პროდუქციაზე საბაჟო ტარიფების დაწესების შედეგად, ამ პროდუქციის მომხმარებელთა მიერ მიღებული წმინდა დანაკარგი ნახ. VI. 1-ზე შეესაბამება a + b + c + d რეგიონს. იგი წარმოადგენს ABDE ტრაპეციას, რომლის ფუძეებია ერთობლივად მოხმარებული პროდუქციის მოცულობა, საიმპორტო ტარიფის შემოღებამდე და მისი შემოღების შემდეგ, ხოლო სიმაღლე კი არის საბაჟო ტარიფის სიდიდე (ჩვენს მაგალითში იგი, 20 დოლარს უდრის). **უცხოური პროდუქციის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, მომხმარებელთა მიერ მიღებული ზარალი** გამოითვლება ფორმულით:

$$U = \frac{(D_0 + D_1) \times T}{2} \quad \text{.....} \quad \textbf{VI. 2.}$$

სადაც, U არის საიმპორტო ტარიფის შემოღების შედეგად, მომხმარებელთა მიერ მიღებული ზარალი; D_0 და D_1 კი არის მოცემული პროდუქციის ერთობლივი მოხმარების ოდენობა,

შესაბამისად საიმპორტო ბაჟის შემოღებამდე, და მისი შემოღების შემდეგ; T კი არის უცხოური პროდუქციის იმპორტზე დაწესებული საბაჟო გადასახადი.

უცხოური პროდუქციის იმპორტზე საბაჟო ტარიფის შემოღების შედეგად, სამაგიეროდ მოგებული რჩება იმპორტულ საქონელთან კონკურენციაში მყოფი, მისი შემცვლელი, სამამულო პროდუქციის **ადგილობრივი მწარმოებლები**. კერძოდ, ისინი მოგებულნი რჩებიან, როგორც მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაზე სამამულო ფასთა მატების შედეგად, ისე ამ პროდუქციის წარმოების მოცულობის გაფართოების გზითაც.



ნახ. VI. 2. იმპორტულ ნაწარმზე საბაჟო ტარიფის დაწესების გავლენა იმპორტშემცვლელლი პროდუქციის სამამულო მწარმოებელზე

ნახ. VI. 2-დან ჩანს, რომ იმპორტულ ველოსიპედებზე 20 დოლარის ოდენობით საიმპორტო საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, მის კვალდაკვალ სამამულო წარმოების ველოსიპედების გაძვირების გამო, ველოსიპედების ადგილობრივი მწარმოებლები ზრდიან სამამულო პროდუქციის მიწოდების მოცულობას S_0-დან S_1 დონემდე. სამამულო მეწარმეთა მოგება გრაფიკულად ნახ. VI. 2-ზე შეესაბამება KFD სამკუთხედის ფართს, (a + e რეგიონს.). იმპორტშემცვლელი პროდუქ-

ციის სამამულო მეწარმეთა საერთო მოგება გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$П_{საერ.} = \frac{S_1 \times (P_1 -- K)}{2} \quad \text{.....} \quad \textbf{VI. 3.}$$

სადაც, S_1 არის სამამულო პროდუქციის მიწოდების მოცულობა საბაჟო ტარიფების დაწესების შემდეგ; P_1 არის სამამულო პროდუქციის ფასი საბაჟო ტარიფების დაწესების შემდეგ; ხოლო K კი არის მწარმოებლის მიერ პირველივე პროდუქციის ერთეულის დამზადებაზე გაწეული დანახარჯი.

a + e რეგიონიდან იმპორტშემცვლელი პროდუქციის მწარმოებელს e ფართობის შესაბამისი მოგება ჰქონდა ადრეც, საბაჟო ტარიფის შემოღებამდეც. ამიტომ, **უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, მისი შემცვლელი ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებელთა დამატებითი წმინდა სარგებლიანობა** შემოისაზღვრება მხოლოდ a რეგიონის დონეზე. ნახ. VI. 2-ზე იგი შეესაბამება FDEM ტრაპეციას, რომლის ფუძეებია სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობა საიმპორტო ტარიფის შემოღებამდე და მისი შემოღების შემდეგ (შესაბამისად S_0 და S_1), ხოლო მისი სიმაღლე კი არის უცხოური საქონლის იმპორტზე დაწესებული ტარიფი (T).

იმპორტთან კონკურენციაში მყოფი პროდუქციის მწარმოებელთა მიერ საიმპორტო ბაჟის შემოღების შედეგად მიღებული დამატებითი წმინდა სარგებლიანობა გამოითვლება ფორმულით:

$$П_{ტარ.} = \frac{(S_1 + S_0) \times T}{2} \quad \text{.....} \quad \textbf{VI. 4.}$$

უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესებას წმინდა ფისკალური ეფექტიც გააჩნია, რადგანაც საიმპორტო ბაჟის შემოღება დამატებით ფინანსურ შემოსავლებს აძლევს სახელმწიფო ბიუჯეტს. სატარიფო დაცვის სისტემა იმპორტის მხრიდან კონკურენციისაგან იცავს როგორც სამამულო საწარმოებს, ისე ამ საწარმოებში დასაქმებულ მუშებსაც (მათ შრომის ანაზღაურებას) და იმ დარ-

გებსაც, რომლებიც ეკონომიკურად დაკავშირებულია იმპორტ-შემცვლელ დარგებთან.



ნახ. VI. 3. იმპორტულ ნაწარმზე საბაჟო ტარიფის დაწესების გავლენა სახელმწიფო ფინანსებზე

უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესება სახელმწიფოს აძლევს დამატებით ფინანსურ შემოსავლებს. ეს ნამატი შემოსავლები გამოყენებულ უნდა იქნეს სხვადასხვა სახის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების დასაფინანსებლად. საიმპორტო ტარიფის დაწესების შედეგად, საბიუჯეტო შენატანების რაოდენობრივი სიდიდე ტოლია საბაჟო ტარიფის განაკვეთი გამრავლებული ამ ტარიფით დაბეგრილი იმპორტული პროდუქციის მოცულობაზე. გრაფიკულად, ნახ. VI. 3.-ზე მას შეესაბამება C მართკუთხედი, რომლის სიგრძეც საბაჟო ტარიფის შემოღების შემდეგ ქვეყანაში იმპორტირებული საქონლის რაოდენობრივი მოცულობის (m_1) ტოლია, ხოლო სიგანე კი უცხოური საქონლის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის სიდიდის (T) ტოლია. შესაბამისად, უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად სახელმწიფოს მიერ მიღებული საბიუჯე-

ტო შემოსავლები (c რეგიონი) ჩვენ შეგვიძლია გამოვსახოთ ფორმულის მეშვეობითაც, შემდეგნაირად:

$$C = m_1 \times T \quad \text{.....} \quad \textbf{VI. 5.}$$

§ VI. 2. იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის წმინდა ეფექტი მთელი საზოგადოებისათვის

როგორც ნახ. VI. 3.-დან ჩანს, საიმპორტო ტარიფების შემოღების შედეგად, ქვეყნის მიერ მიღებული წმინდა ზარალი შეესაბამება b + d რეგიონს. იგი ფაქტიურად წარმოადგენს სამკუთხედს, რომლის ფუძეც ტოლი არის მოცემულ ქვეყანაში უცხოური პროდუქციის იმპორტის მოცულობის რაოდენობრივი შემცირებისა (Δm), ხოლო სიმაღლე კი შეესაბამება უცხოური საქონლის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის სიდიდეს (T).

უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, ქვეყნის მიერ მიღებული წმინდა ზარალი შეიძლება გამოითვალოს შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$b + d = \Delta m \times T \quad \text{.....} \quad \textbf{VI. 6.}$$

ამრიგად, ნებისმიერი უცხოური საქონლის შემოტანაზე საიმპორტო ტარიფის დაწესების შედეგად ქვეყნის მიერ მიღებული წმინდა ზარალის დასადგენად საჭიროა ვფლობდეთ ინფორმაციებს უცხოური საქონლის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის სიდიდისა და ქვეყანაში შემოტანილი პროდუქციის რაოდენობრივი მოცულობის შესახებ, როგორც ამ საბაჟო ტარიფის შემოღებამდე, ისე მისი დაწესების შემდეგაც.

b + d რეგიონში d მხარეს უწოდებენ **სამომხმარებლო ეფექტსაც,** რომელიც შეესაბამება ადგილობრივ მომხმარებელთა მოთხოვნის იძულებითი შეზღუდვის შედეგად მიღებულ ზარალს. იგი ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის მიერ არავითარი მოგების მიღებით არ კომპენსირდება. ამიტომ, d რეგიონი მთლიანი ქვეყნისათვის წარმოადგენს უცხოური

საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, მიღებულ წმინდა დანაკარგს.

b რეგიონი ფაქტიურად ეს არის მომხმარებელთა მიერ უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, მიღებული ის დანაკარგი, რომელსაც განიცდიან ისინი საიმპორტო ბაჟის ოდენობით გაძვირებული სამამულო პროდუქციის შეძენის გამო. მას (b რეგიონს), უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, მიღებულ **საწარმოო ეფექტსაც** უწოდებენ. b მხარე, d-ს მსგავსად, მთლიანი ქვეყნისათვის წარმოადგენს უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, მიღებულ წმინდა ზარალს, რომელიც ამ ქვეყნის მოსახლეობის მიერ არავითარი მოგების მიღებით არ კომპენსირდება. ამრიგად, სამამულო, იმპორტშემცვლელ დარგთა სატარიფო დაცვისაგან ქვეყნის მიერ მიღებული საერთო ზარალი (b+d რეგიონი) განისაზღვრება წმინდა სამომხმარებლო და სამეწარმეო ეფექტით.

უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად, იმპორტიორი ქვეყნის მომხმარებელზე, მწარმოებელზე, სახელმწიფო ბიუჯეტზე და მთლიან სამამულო ეკონომიკაზე მოხდენილი გავლენის შესახებ ზემოთ მოყვანილი ანალიზი ეფუძნება განსაზღვრულ წინაპირობებს. კერძოდ, ეს წინაპირობებია:

1. შემოღებული იყო „ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმი";

2. მიჩნეული იყო რომ, იმპორტიორ ქვეყანას არ შეეძლო რაიმე გავლენის მოხდენა მოცემული პროდუქციის მსოფლიო ფასებზე;

3. ერთმანეთისაგან არ იყო გამიჯნული კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები, ანუ პირობითად შემოღებული იყო ოპტიმალური სამყარო, სადაც კერძო სექტორიც მოქმედებდა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

უცხოური საქონლის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფი წარმოადგენს სწორედ ისეთ კომპონენტს, რომელიც იწვევს კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა დიფერენცირებას. სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის სფეროში საზოგადოებრივი მხარე ბევრად უფრო ეფექტურია, ვი-

დრე კერძო სექტორი, მაგრამ კერძო სექტორს გააჩნია არჩევანის გაცილებით უფრო მეტი უფლება, სამუშაო ადგილთა მონაცვლეობის გზით. იგი რეგულირდება საბაჟო განაკვეთების სიდიდის მანიპულირების მეშვეობით. იმავდროულად არჩეული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება დამოკიდებულია მაინც ბედის ფაქტორზეც, რადგანაც გაურკვეველია კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა ურთიერთშეხამება.

მონოპოლისტი-იმპორტიორი ქვეყნისათვის სპეციფიკური საქონლის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის ოპტიმალური დონე იმპორტის მიწოდების ელასტიურობის მაჩვენებლის უკუპროპორციული სიდიდეა.[1] სამამულო პროდუქციის წარმოების იმპორტისაგან სატარიფო დაცვის ოპტიმალური სისტემის განსაზღვრის დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ექსპორტიორ ქვეყანასაც შეუძლია მიიღოს საპასუხო ზომები: აკრძალოს ჩვენი ქვეყნის პროდუქციის შეტანა თავის სახელმწიფოში და ა. შ. სატარიფო დაცვის სისტემა მოქმედებს, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ინტერესებზე. ამიტომ საჭიროა კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა შორის დამყარდეს გარკვეული ჰარმონია.

§ VI. 3. საიმპორტო ტარიფების შემოღების გავლენა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე

საიმპორტო ტარიფები ჩვეულებისამებრ გამოიყენება ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობების შესაცვლელად. რა მოტივითაც არ უნდა იქნეს შემოღებული საიმპორტო ტარიფები, ისინი ყოველთვის იმოქმედებენ საგარეო ვაჭრობის პირობებზე. ეს შეიძლება გაანალიზდეს საგარეო ვაჭრობის სტანდარტული მოდელით. საიმპორტო ტარიფების სპეციფიკური თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი იწვევენ მოცემული პროდუქციის სამამულო და მსოფლიო ფასთა შორის განსხვავებას.

---

[1] პ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი გამომც. „სიახლე" 2001 წ. გვ. 185 – 99.

საიმპორტო გადასახადები განსხვავებას იწვევს საგარეო ბაზარზე გასაყიდი საქონლის ფასსა (ანუ საგარეო სავაჭრო ფასსა) და შიდა ბაზარზე გასაყიდ იმავე საქონლის ფასს (ანუ შიდა ბაზრის ფასს) შორის. ამიტომ, ამ დროს განსაკუთრებით დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ საგარეო ვაჭრობის პირობების განსაზღვრის დროს.



ნახ. VI. 4. საიმპორტო ტარიფის გავლენა საგარეო ვაჭრობის პირობებზე

შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის პირობები განისაზღვრება საგარეო სავაჭრო ფასებით, და არა შიდა ბაზრის ფასებით. ამრიგად, საიმპორტო ტარიფების შემოღების შედეგების განხილვის დროს, ჩვენ შევეცდებით გავიგოთ, რამდენად ზემოქმედებს ეს ღონისძიებები შეფარდებით მოთხოვნასა და შეფარდებით მიწოდებაზე, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც საგარეო სავაჭრო ფასთა ფუნქცია. საიმპორტო ტარიფები განიხილება, როგორც მოქნილი ეკონომიკური ბერკეტები, რომელიც მიმართულია სამამულო წარმოების დასაცავად.

§ VI. 4. საექსპორტო ბარიერების შემოღების მიზეზები და მისი გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე

საბაჟო ტარიფების მეშვეობით შეიძლება მოხდეს როგორც იმპორტის, ისე ექსპორტის რეგულირებაც. ზოგადად, სამამულო პროდუქციის ექსპორტზე საბაჟო გადასახადის დაწესება წამგებიანია ნებისმიერი ქვეყნისათვის, მაგრამ არსე-

ბობს ოთხი გამონაკლისი შემთხვევა, როცა საბაჟო ტარიფის დაწესება გამართლებულია ექსპორტზეც. ეს შემთხვევებია:

1. როცა ძლიერი და ხანგრძლივი გვალვების, ან ბუნებრივი კლიმატის მკვეთრი ცვლილების შედეგად, მსოფლიოში მოსალოდნელია სასურსათო დეფიციტი, მოუსავლიანობა და შესაბამისად – შიმშილობა, მაშინ სამამულო, აგრარული პროდუქციის ექსპორტზე მოცემული ქვეყნის მთავრობამ უნდა შემოიღოს ძალზე მაღალი საექსპორტო გადასახადი;

2. ბუნებრივი და სამრეწველო ნედლეულის ექსპორტზე უნდა დაწესდეს მაღალი საექსპორტო გადასახადები, რათა სამამულო მრეწველობა და ზოგადად მთლიანი ეკონომიკა დავიცვათ ნედლეულისა და მასალების „გაძარცვისაგან";

3. როდესაც შეუძლებელი ხდება შიდა ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა სხვა ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებით, მაშინ სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ექსპორტის საბაჟო ტარიფებით შეზღუდვის მექანიზმი;

4. იმ შემთხვევაში, როცა მოცემული ქვეყნის მიერ, ექსპორტზე საბაჟო ტარიფების დაწესების შედეგად, სამამულო პროდუქციის გატანის რაოდენობრივი შეზღუდვა გამოიწვევს ამ პროდუქციის გასაღების მსოფლიო ბაზარზე მის დეფიციტს და შესაბამისად გაზრდის მის მსოფლიო ფასს, საჭიროა მის გატანაზე დაწესდეს საბაჟო გადასახადი.



ნახ. VI. 5. საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე საექსპორტო ბაჟის გავლენის შედეგები

საექსპორტო ბარიერების ანალიზი საიმპორტო ტარიფების ანალიზის სარკისებური გამოხატულებაა. როგორც ნახ. VI. 5-დან ჩანს, (P_0---P_1) სიდიდის საექსპორტო ტარიფის დაწესება ამცირებს პროდუქციის ექსპორტიდან მიღებულ სარ-

გებელს. ამიტომ ამ პროდუქციის მწარმოებლები მის გარკვეულ ნაწილს სარეალიზაციოდ ტოვებენ შიდა ბაზარზე, რაც ექსპორტაბელური საქონლის სამამულო ფასს (P_1) აქვეითებს მის მსოფლიო ფასთან (P_0) შედარებით.

ნახაზზე ნაჩვენებია ქვეყნიდან P პროდუქციის ექსპორტის საბაჟო გადასახადებით დაბეგვრის შედეგები იმ შემთხვევაში, როცა მის მიერ განხორციელებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა გავლენას ვერ მოახდენს ამ პროდუქციის მსოფლიო ფასთა ცვლილებაზე.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ ექსპორტის გადასახადებით დაბეგვრა უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საერთო კეთილდღეობის დონეზე. საექსპორტო პროდუქციის მწარმოებლები, საექსპორტო ბარიერთა შემოღების შედეგად განიცდიან ზარალს (ფასის P_0–დან P_1–მდე ვარდნის გამო), რომლის სიდიდეც ნახაზზე გეომეტრიულად შეესაბამება a+b+c+d რეგიონს. ფასების ვარდნის შედეგად ექსპორტაბელური საქონლის ადგილობრივი მომხმარებელი იგებს a ფართის ოდენობით. საექსპორტო ტარიფების შემოღების შედეგად მიღებული საბაჟო შემოსავლები შედის სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელიც შეესაბამება c ფართს.

თუ ექსპორტიორი ქვეყანა მსოფლიო ბაზარზე ფლობს მონოპოლისტურ პოზიციას, მაშინ საექსპორტო ბარიერების შემოღება მას შეუძლია გამოიყენოს თავისი საგარეო სავაჭრო პირობების გასაუმჯობესებლად. **ოპტიმალური საექსპორტო ბაჟის სიდიდე უკუპროპორციულ კავშირშია მსოფ-ლიო ვაჭრობაში მოცემული ქვეყნის მიერ მონოპოლიზირე-ბადი პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნების საერთო რაო-დენობასთან.** გადასახადებით ექსპორტის დაბეგვრის პოლიტი-კას ხშირად საფუძვლად უდევს ექსპორტიორი ქვეყნის მიერ მსოფლიო ბაზრის მონოპოლიზაციის შესაძლებლობა, რომელიც აიძულებს იმპორტიორ ქვეყნებს, ამ საქონლის შესაძენად გადაიხადონ უფრო მეტი თანხა, ვიდრე იხდიდნენ უწინ.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ მონოპოლიზირებადი საქონლის ექსპორტიორი ქვეყნების მოგება საერთაშორისო ვაჭრობიდან კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ისინი გაერთიანდებიან საერთაშორისო კარტელში და ერთდროულად დააწესებენ მაღალ

საექსპორტო ბარიერებს ამ პროდუქციის ექსპორტზე, მაგრამ თუ ქვეყნის კონსტიტუცია კრძალავს ექსპორტის გადასახადებით დაბეგვრას, მაშინ უნდა ამოქმედდეს საექსპორტო ქვოტა, ანუ ექსპორტის რაოდენობრივი კონტროლი.

ქვეყნის მიერ განხორციელებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თვითმიზანი საგარეო ვაჭრობაზე გავლენის მოხდენა კი არ არის, არამედ იგი მიმართულია იმპორტთან კონკურენციაში მყოფ სამამულო დარგთა მუშებისა და მეწარმეებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაკენ.

იქ, სადაც სტრუქტურული ხარჯები იმდენად მცირეა, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციით მიღებული მოგება გადაფარავს „დაზარალებულთათვის" მიყენებულ ზიანს, მაშინ ქვეყანას შეუძლია აირჩიოს უცხოელი კონკურენტების მიერ მიყენებული ზარალის კომპენსაციის ესა თუ ის ვარიანტი. სტრუქტურული გარდაქმნების ხელშემწყობი პოლიტიკის გატარებით სახელმწიფო იძლევა ფინანსურ დახმარებას სამუშაო ძალთა გადაკვალიფიცირებისა და სხვა სამუშაო ადგილებზე გადაყვანისათვის, მზარდი დასაქმების, შრომატევადობის მაჩვენებლის მაღალი დონის მქონე დარგებში მათი გამოყენებისათვის. თავისუფალი ვაჭრობის დამცველები ეჭვის თვალით უყურებენ იმპორტის მიმართ კონკურენტული დარგების გარდაქმნისათვის ხელშეწყობის იდეას.

თუ ვზრუნავთ საზოგადოების იმ ჯგუფთა კეთილდღეობაზე, რომელიც იმპორტისაგან განიცდის ზარალს, მაშინ რატომ არ უნდა ვიზრუნოთ იმათზეც, ვინც სხვა მიზეზებით არიან დაზარალებულნი? ზოგიერთი ქვეყანა, უპირატესად, შვედეთი, მაღალი დონის შემოსავლების შენარჩუნებისა და სამუშაო ძალთა გადამზადების პროგრამებს მართლაც ყველა სფეროზე ავრცელებს და არ გამოყოფს საგარეო ვაჭრობაში მომხდარი ცვლილებებით დაზარალებულებს.

იმპორტისაგან მიღებული ზარალის კომპენსაცია უნდა განიხილებოდეს ეკონომიკური დახმარების სხვა პროგრამებისაგან განცალკევებულად. ლიბერალიზაციის მომხრეებს ვერ ექნება სრული მხარდაჭერა, რადგანაც **ლიბერალიზაციით მიღებული მოგების უდიდესი ნაწილი რჩება საზღვარგარეთის მხარეს.** ასეთ პირობებში იქმნება იმის საფრთხე, რომ იმპო-

რტით გამოწვეული ზარალის კომპენსაციაზე უარის თქმა გამოიწვევს იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებში დასაქმებული, ინტერესშელახული, სამამულო ფირმებისა და მუშების ზეწოლას, რამაც თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს პროტექციონისტული კანონმდებლობის შემოღება.

თუ სავაჭრო ბარიერებით დაცული ფირმები წინასწარ იქნებიან გაფრთხილებულნი ამ ბარიერების შემცირების შესახებ, მაშინ სამუშაო ადგილთა გაუქმება გამოიწვევს ძველი მოწყობილობის დემონტაჟსა და მუშების გათავისუფლებას. ძირითადი კაპიტალის მორალურმა ცვეთამ და მუშათა ნაკადის ცალმხრივმა დენადობამ შეიძლება გამოიწვიოს წარმოების შემცირება, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანდათანობითობამ შეიძლება მინიმუმდე შეამციროს სტრუქტურული დანახარჯები.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია საგარეო ვაჭრობის რეგულირების ძირითადი ინსტრუმენტები, რომლის ძირითადი სახეობაა საბაჟო ტარიფი. სატარიფო დაცვის სისტემის შემოღების შედეგად, ქვეყნის მიერ მიღებული დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოსაკვლევად გამოიყენება ბაზრის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთქმედების პრინციპს;

2. პროდუქციის გაძვირების გამო, მომხმარებელთა მიერ პროდუქციის შესყიდვის მოცულობის შემცირებას სამომხმარებლო ეფექტს უწოდებენ, ხოლო სამამულო პროდუქციის წარმოების გაძვირების შედეგად რესურსების გაფლანგვით მიღებულ ზარალს კი უწოდებენ სამეწარმეო ეფექტს;

3. იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის წმინდა ეფექტი მთელი საზოგადოებისათვის განისაზღვრება „ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმით", რომლის თანახმადაც „დანახარჯთა ერთეულზე მიღებული ყოველი დამატებითი დოლარი სახელმწიფოსათვის უნდა წარმოადგენდეს ერთსა და იმავე მატერიალურ ფასეულობას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იღებს მას, მოგებული თუ დაზარალებული მხარე";

4. მონოპოლისტი იმპორტიორი ქვეყნისათვის სპეციფიკური საქონლის იმპორტზე დაწესებული საბაჟო ტარიფის ოპტიმალური დონე იმპორტის მიწოდების ელასტიურობის მაჩვენებლის უკუპროპორციული სიდიდეა

5. ოპტიმალური საექსპორტო ბაჟის სიდიდე უკუპროპორციულ კავშირშია მსოფლიო ვაჭრობაში მოცემული ქვე-ყნის მიერ მონოპოლიზირებადი პროდუქციის ექსორტიორი ქვეყნების საერთო რაოდენობასთან.

ძირითადი ტერმინოლოგია

- საგარეო ვაჭრობის რეგულირების ინსტრუმენტი;
- სამომხმარებლო და სამეწარმეო ეფექტი;
- „ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმი";
- სატარიფო დაცვის ოპტიმალური დონე.

ამოცანები

1. სამამულო ეკონომიკისათვის მარცვლეულზე არსებული მოთხოვნის მრუდი გამოისახება შემდეგი განტოლებით: D = 100 -- 20 x P, ხოლო მიწოდების მრუდი კი -- S = 20 + 20 x P. ააგეთ იმპორტზე არსებული მოთხოვნის გრაფიკი და დაწერეთ განტოლება. როგორი იქნება მარცვლეულზე დაწესებული ფასი საერთაშორისო ვაჭრობის არარსებობის შემთხვევაში?

2. ახლა წინა ამოცანაში განვიხილოთ უცხოეთის ეკონომიკა, რომლისთვისაც მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები გამოსახულია შემდეგი განტოლებით: D* = 80 -- 20 x P; და S* = 40 + 20 x P:

ა) დაწერეთ განტოლება და ააგეთ ექსპორტის მიწოდების მრუდის გრაფიკი. განსაზღვრეთ მარცვლეულის ფასი, რომელიც დადგინდებოდა უცხოეთში საგარეო ვაჭრობის არარსებობისას?

ბ) ახლა დავუშვათ, რომ ამ ორი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოები ერთმანეთთან იწყებენ ვაჭრობას, სატრანსპორტო დანახარჯების არარსებობის დროს. რას გაუთანაბრდება

ხორბლის მსოფლიო ფასი? რისი ტოლი იქნება ვაჭრობის მსოფლიო მოცულობა?

3. ვთქვათ სამამულო ეკონომიკაში ხორბლის იმპორტზე დაწესდა სპეციფიკური ბაჟი, 0,5 ერთეულის ოდენობით:

ა) გამოთვალეთ და გრაფიკულად ასახეთ ბაჟის შემოღების შედეგები შემდეგ პარამეტრებზე: 1. ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ხორბალზე დაწესებულ ფასებზე; 2. ხორბლის სამამულო და უცხოური წარმოებისა და მათზე არსებული მოთხოვნის მოცულობებზე; 3. პარტნიორ ქვეყნებს შორის წარმართული ვაჭრობის მოცულობაზე;

ბ) განსაზღვრეთ ბაჟის შემოღების ეფექტი მოსახლეობის შემდეგ ჯგუფთა კეთილდღეობაზე: 1. იმ სამამულო მეწარმეებზე, რომლებიც მოქმედებენ საგარეო კონკურენციის პირობებში; 2. საბაჟო ტარიფით დაბეგრილი პროდუქციის სამამულო მომხმარებელზე; 3. სატარიფო დაცვის სისტემის შემოღების ინიციატორი ქვეყნის მმართველობაზე.

თავი VII

იმპორტის რეგულირების არასატარიფო ბარიერები

სწრაფვა მოგებისაკენ – ეს არის სწორედ ის, რაც რესურსების ყველაზე ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.

ფ. ა. ჰაიეკი

საბაჟო ტარიფების დემონტაჟის ფონზე ინტენსიურად გამოიყენება საგარეო ვაჭრობის რეგულირების არასატარიფო შეზღუდვები. არსებობს არასატარიფო ბარიერების 50-მდე სახეობა, რომლებიც ძირითადად 3 კატეგორიად იყოფა. ესენია:

1. უცხოური საქონლის იმპორტზე **პირდაპირი ზემოქმედების მქონე შეზღუდვები,** რომელთა რიცხვს განეკუთვნება: საიმპორტო ლიცენზიები, საიმპორტო ქვოტები, ანტიდემპინგური ბაჟები და ა. შ;

2. ადმინისტრაციული ფორმალობანი, რომელთა რიცხვს განეკუთვნება: საბაჟო დოკუმენტაციის მოთხოვნის გამკაცრება, ბიუროკრატიული ბარიერები, და სხვა;

3. უცხოური საქონლის იმპორტის შეზღუდვაზე მოქმედი **ირიბი ზეგავლენის მქონე ბარიერები,** რომელთა შემოღების თვითმიზანი უცხოური საქონლის იმპორტის შეზღუდვა არ არის, მაგრამ მათ გატარებას თანმდევი მოვლენების სახით, მსგავსი შედეგები მაინც ახლავს. კერძოდ, ესენია: საფუთავის მარკირებისადმი წაყენებული მოთხოვნები, პროდუქციის დიზაინის შეცვლის მოთხოვნა, ხარისხის კონტროლი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ეკოლოგიური ნორმები და ა. შ.;

ამრიგად, საბაჟო გადასახადების შემოღება ითვლება სავაჭრო პოლიტიკის განხორციელების ყველაზე უფრო მარტივ, უბრალო მექანიზმად, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე საგარეო ვაჭრობაში სახელმწიფოებრივი ჩარევა ძირითადად ხდება სხვა საშუალებებით. კერძოდ, საექსპორტო სუბსიდიების გადახდის, საიმპორტო ქვოტების დაწესებით და ა.. შ.

§ VII. 1. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია: სატარიფო წარმატებები არასატარიფო პრობლემების ზრდასთან შედარებით

1995 წელს, ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების საფუძველზე, ჩამოყალიბდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიო ვაჭრობის შესახებ საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაყრდნობით ახორციელებს საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკას. ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები 1998 წელს შეთანხმდნენ ვაჭრობის განმსაზღვრელი საერთაშორისო სამართლისა და სავაჭრო დავების გადაჭრის პროცედურების დაწესების შესახებ.

ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში მისი წევრი ქვეყნები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ სახელმწიფოთა შორის დაწესებულ სავაჭრო ბარიერთა დაქვეითების შესახებ. ამ მოლაპარაკებათა შედეგად მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები ტარიფების შეზღუდვის სფეროში. ეს მეტად რთული და შრომატევადი პროცედურა იყო. თავდაპირველად მიღწეულ იქნა შეთანხმებას იმ სავაჭრო ბარიერთა აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ადრე არ ექვემდებარებოდა ცვლილებებს. ძირითადად ხელუხლებელი დარჩა სასოფლო-სამეურნეო პროტექციონიზმისა და სუბსიდიების საკითხები.

თუ 1940-იან წლებში მრეწველობით განვითარებული ქვეყნების სატარიფო დონე შეადგენდა მთელი იმპორტის 40 %-ს, ურუგვაის რაუნდის ყველა მოლაპარაკებათა ძალაში შესვლის შემდეგ ამ მაჩვენებელმა დაახლოებით შეადგინა მხოლოდ 3 %. ეს მიღწეულ იქნა ჯერ კიდევ იმ მოლაპარაკებათა შედეგად, რომელიც ჩატარდა ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში.

მოლაპარაკებათა წარმართვის დროს ვერ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები მიღწეული არასატარიფო სავაჭრო ბარიერთა დაქვეითების სფეროში. ამ თვალსაზრისით ქვეყნებს შეუძლიათ შემოიღონ საიმპორტო ქვოტები, საწარმოო სტანდარტები, მოთხოვნა ადგილობრივ კომპონენტთა შენარჩუნების შესახებ, საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლია,

ზოგიერთი ადგილობრივი საქონლის შეძენის ვალდებულება, ბიუროკრატიული ბარიერები, უცხოელ გამყიდველთა გართულებული საქმიანობა, რთული სავალუტო კონტროლი და ა.შ.

უცხოური საქონლის იმპორტისაგან სამამულო დარგთა არასატარიფო ბარიერებით დაცვის შეფასება უფრო რთულია, ვიდრე ტარიფების მეშვეობით ანალოგიურ ღონისძიებათა გატარების ანალიზი. შესაბამისად რთულია სათანადო შეთანხმების მიღწევაც იმიტომ, რომ ეს პროცესი უნდა განხორციელდეს თანაბარი ურთიერთდათმობითი დაქვეითების ფორმით. იმის გამო, რომ ასეთი ბარიერები ძნელად იზომება, ამიტომ 1970-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყნები პროტექციონიზმს ავითარებენ არასატარიფო ბარიერების სახით.[1] ფაქტიურად ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების წარმატება ტარიფების დაქვეითების სფეროში და სრული წარუმატებლობა არასატარიფო ბარიერებთან მიმართებაში გამოწვეულია შემდეგი მიზეზ-შედეგობრივი კავშირით: ცხადია, ქვეყნები დათანხმდებოდნენ ტარიფების დაქვეითებას, თუ მათ ტარიფების ჩანაცვლება შეეძლებოდათ არასატარიფო ბარიერებით. ამდენად, დღემდე ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მიღწეულია წარმატება სატარიფო განაკვეთების დაქვეითების სფეროში, მაგრამ პრობლემები გადატანილია არასატარიფო ბარიერების სფეროში. როგორ უნდა შეზღუდოს სახელმწიფომ იმპორტი საბაჟო ტარიფების გამოუყენებლად?

§ VII. 2. იმპორტის მარეგულირებელ არასატარიფო ბარიერთა მოკლე მიმოხილვა

საგარეო ვაჭრობის მარეგულირებელ არასატარიფო მეთოდებს შორის ყველაზე უფრო დიდი გავრცელება ჰპოვა ქვოტამ. **ამა თუ იმ საქონლის ექსპორტის, ან იმპორტის რაო-**

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. С англ. М. Изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г.155 --183 с.

დენობრივ შეზღუდვას ქვოტა ეწოდება. განასხვავებენ საიმპორტო, საექსპორტო, გლობალურ, სეზონურ და სპეციფიკურ ქვოტებს. ქვოტების სპეციფიკური სახეა **ემბარგო,** რომელიც გულისხმობს ვაჭრობის სრულ შეწყვეტას. **უცხოური ნაწარმის იმპორტის რაოდენობრივ შეზღუდვას საიმპორტო ქვოტა ეწოდება.** სამამულო დარგთა სატარიფო დაცვის სისტემასთან შედარებით სახელმწიფო ამჯობინებს შესაბამისი ექვივალენტის ქვოტის დაწესებას, შემდეგი მიზეზების გამო:

1. საიმპორტო ქვოტა მკაცრად ზღუდავს წლის განმავლობაში ქვეყანაში უცხოეთიდან შემოსატანი პროდუქციის მოცულობას, შიდა და საგარეო ფასთა შეცვლის გარეშე;

2. საიმპორტო ქვოტა, იმპორტის რეგულირების სფეროში, მთავრობას ანიჭებს ბევრად უფრო მეტ უფლებებსა და მობილურობის გაცილებით უფრო მაღალ ხარისხს, ვიდრე იგივე სიდიდის საბაჟო ტარიფი;.

3. საიმპორტო ქვოტები სახელმწიფოს უადვილებენ მარეგულირებელი ფუნქციების შესრულებას სამამულო ფირმებთან მიმართებაშიც;

4. თვით ადგილობრივი იმპორტშემცვლელი საწარმოებიც ამჯობინებენ მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ქვოტების გამოყენების დროს, ვიდრე შესაბამისი სიდიდის ტარიფის მოქმედებისას.

თავისუფალი კონკურენციის პირობებში საიმპორტო ქვოტა, ეკონომიკური თვალსაზრისით არაფრით არ განსხვავდება შესაბამისი სიდიდის საბაჟო ტარიფისაგან. ორივე შემთხვევაში b + d რეგიონი არის წმინდა დანაკარგი მთლიანი ქვეყნისათვის, ხოლო c ფართი კი არის უცხოური საქონლის იმპორტის შეზღუდვის ხარჯზე მიღებული სახელმწიფო შემოსავალი. საიმპორტო ქვოტას დაწესება ბევრად უფრო ძვირი უჯდება ერს, ვიდრე შესაბამისი სიდიდის საბაჟო ტარიფის შემოღება, თუ დასაცავ დარგში არის მონოპოლიზაციის განვითარების ხელსაყრელი პირობები.

ეს ისეთი შემთხვევაა, როცა დასაცავ დარგში შედის მხოლოდ ერთი, ან ორი (ყოველ შემთხვევაში შეზღუდული რაოდენობის) ფირმა. საბაჟო ტარიფების მოქმედების დროს მონოპოლიზაციის შანსის მქონე სამამულო ფირმის მიერ

შიდა ბაზრის მონოპოლიის მცდელობაც კი გამოიწვევს, საბაჟო ტარიფის გადმოლახვის შედეგად, ქვეყანაში იმპორტული საქონლის ზუსტად იმ რაოდენობით მოზღვავებას, რაც საჭირო იქნება ხელოვნურად შექმნილი სასაქონლო დეფიციტის დასაფარავად.

საიმპორტო კვოტის დაწესების დროს კი, როცა ეროვნული ფირმა მკაცრად არის დაცული ჭარბი უცხოური საქონლის იმპორტისაგან, მონოპოლისტი კომპანია, სამამულო პროდუქციის წარმოების შეზღუდვის ხარჯზე, ხელოვნურად ქმნის სასაქონლო დეფიციტს შიდა ბაზარზე და შესაბამისად ზრდის მის ეროვნულ ფასს. ადგილობრივ მომხმარებელთა დაზარალების შედეგად

სახელმწიფოს მიერ საექსპორტო, ან საიმპორტო ოპერაციებზე ნებართვის გაცემას **სავაჭრო ლიცენზირება** ეწოდება. სავაჭრო ლიცენზიები იყოფა ორ ნაწილად, ესენია: ავტომატური და ერთჯერადი ლიცენზიები. არსებობს საიმპორტო ლიცენზიების განაწილების შემდეგი მეთოდები: 1. კონკურენციულ საფუძველზე ჩატარებული აუქციონი; 2. აშკარა უპირატესობის მინიჭების მექანიზმი. 3. ლიცენზიების განაწილება დანახარჯთა მეთოდის მიხედვით.

§ VII. 3. ექსპორტის „ნებაყოფლობითი” შეზღუდვა

უცხოური საქონლის იმპორტის შეზღუდვის გარდა, არასატარიფო ბარიერთა მეშვეობით, შესაძლებელია ექსპორტის მოცულობის რეგულირებაც. ექსპორტის რეგულირების არსებულ ვარიანტებს შორის ბოლო დროს ყველაზე უფრო გავრცელდა **ექსპორტის „ნებაყოფილობითი” შეზღუდვა,** რომელიც სანქციების მუქარით თავს ახვევს ექსპორტიორ ქვეყანას გარკვეული საქონლის მოცემულ ქვეყანაში შემოტანის შეზღუდვის ვალდებულებას.

ექსპორტის „ნებაყოფილობითი” შეზღუდვა ჩვეულებისამებრ შემოიღება იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნით და მიიღება ექსპორტიორების მიერ სხვა სახის სავაჭრო შეზღუდვების

შემოღების თავიდან ასაცილებლად. ექსპორტის „ნებაყოფილობითი” შეზღუდვის ზოგიერთმა პოლიტიკურმა და სამართლებრივმა უპირატესობამ ბოლო წლებში იგი აქცია სავაჭრო პოლიტიკის ბევრად უფრო ხელსაყრელ ინსტრუმენტად,

წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით, ექსპორტის „ნებაყოფილობითი” შეზღუდვა გაცილებით უფრო წამგებიანია იმპორტიორი ქვეყნისათვის, ვიდრე უცხოური საქონლის იმპორტის ზუსტად იგივე რაოდენობით შემზღუდავი, შესაბამისი სიდიდის საბაჟო ტარიფის დაწესება. განსხვავება აქ იმაში მდგომარეობს, რომ თანხა, რომელიც საბაჟო ტარიფის შემოღების დროს რჩებოდა იმპორტიორს, ექსპორტის „ნებაყოფილობითი” შეზღუდვისას, შემოსავლების სახით, რჩება უცხოელებს.

ამერიკულ ეკონომიკაში ქსოვილის, ტანსაცმლის, ფოლადისა და ავტომობილების წარმოებაში ექსპორტის „ნებაყოფილობითი” შეზღუდვის შედეგების უახლესმა გამოკვლევებმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა, რომ დაახლოებითი ზარალი, რომელსაც განიცდის მომხმარებელი, ამ ღონისძიებათა გატარების შედეგად, 2/3-ით აჭარბებს უცხოეთის სახელმწიფოთა შემოსავლებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დანახარჯთა ძირითადი ნაწილი დაკავშირებულია შემოსავლების სხვა ქვეყნებისათვის გადანაწილებაზე და არა ეფექტიანობის დაქვეითებაზე. ამ გათვლების შედეგები ასევე იმას გვიჩვენებენ, რომ ეროვნული თვალსაზრისით, ექსპორტის „ნებაყოფილობითი” შეზღუდვა სავაჭრო პოლიტიკის უფრო ძვირადღირებული ინსტრუმენტია, ვიდრე საიმპორტო გადასახადები.

ამერიკული ავტომობილები გაცილებით უფრო მეტ ბენზინს წვავენ, ვიდრე იაპონური. 1973-79 წლებში, I და II საანავთობო შოკების შედეგად, ნავთობზე მსოფლიო ფასთა მკვეთრმა ზრდამ დააქვეითა მოთხოვნა ამერიკულ ავტომობილებზე და იგი გადართო იაპონურზე. ამ უკანასკნელმა ავტომობილების გასაღების სეგმენტი ამერიკას წაართვა არა მარტო საგარეო, არამედ თვით შიდა ამერიკულ ბაზარზეც კი. ასეთ ვითარებაში ამერიკის მთავრობამ, სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა ლობისტური ზეწოლით, მოთხოვა იაპონურ მთავრობას, ყოველწლიურად ამერიკულ ბაზრებზე გაე-

ყიდათ მხოლოდ 1,68 მლნ. იაპონური ავტომობილი. იაპონია დათანხმდა ამ მოთხოვნას.

§ VII. 4. სხვა არასატარიფო ბარიერები

საიმპორტო ქვოტისა და „ექსპორტის ნებაყოფილობითი შეზღუდვის" მსგავსად მოქმედებს არასატარიფო ბარიერთა ბევრი სხვა სახეობაც. სახელმწიფოები, თავიანთი წარმოების მაქსიმიზირების მიზნით, იყენებენ იმპორტის შეზღუდვის სულ უფრო ახალ-ახალ მეთოდებს. საიმპორტო ქვოტა და „ექსპორტის ნებაყოფილობითი შეზღუდვა", განეკუთვნება ტრადიციულ მეთოდს ადგილობრივ მწა-რმოებელთა მიერ დამზადებული პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვაც ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა.

წარმოების სტანდარტები წარმოადგენს საგარეო ვაჭრობის არასატარიფო ბარიერების მეშვეობით რეგულირების ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტს. იმპორტის შეზღუდვის მიზნით, სახელმწიფოებს, როგორც წესი, გაუთავებლად შემოაქვთ შემზღუდავი კანონები და ინსტრუქციები, რომელიც ეხება საქონლის ხარისხს, მათ შორის იმ შეზღუდვების ჩათვლითაც, რომელიც წესდება ჯანმრთელობის დაცვის, ჰიგიენა-სანიტარიის, გარემოს დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და სისუფთავის შენარჩუნების მოსაზრებიდან გამომდინარე. თუ მთავრობა მთელი ძალისხმევით იცავს სამამულო წარმოებას, მას ყოველთვის აქვს იმის შესაძლებლობა, რომ იმპორტს წაუყენოს ისეთი პირობები, რომელსაც პასუხობენ მხოლოდ ადგილობრივი მწარმოებლები. მაგალითად, აშშ ყოველთვის ფარულ საშიშროებას ხედავდა არგენტინიდან გავიადინის იმპორტის ზრდაში, რის გამოც ამკაცრებდა ამ პროდუქციის წარმოების ხარისხს. ანალოგიურად იქცეოდა იაპონიისა და ევროპის მმართველობა „ამერიკული ქათმის" იმპორტის მიმართ.

ხარისხის ახალი სტანდარტის შემოღება, ან მოქმედი სტანდარტის გამკაცრება არ ზრდის ტარიფს. პირიქით, იმ

წესების შემოღებით, რომელიც ამკაცრებს კონტროლს საზღვარზე, სახელმწიფო იღებს იმპორტის რეგულირების დამატებით საშუალებებს.

მოთხოვნა ადგილობრივ კომპონენტთა შენარჩუნების შესახებ. სამამულო საწარმოოთა ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ იმპორტიორთა წინაშე წაყენებული მოთხოვნის თანახმად, მზა პროდუქციის განსაზღვრული ნაწილი წარმოებული უნდა იქნეს სამამულო მრეწველობაში. ამ დროს საქონლის ფასი უნდა შეიცავდეს იმ დამატებით ღირებულებას, რომელიც იქმნება ადგილობრივ მრეწველობაში. სამამულო საწარმოოთა შედეგების შენარჩუნების შესახებ მოთხოვნის კანონები ფართოდ გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების მიერ, რომლებიც ისწრაფვიან თავიანთი წარმოება გადართონ საკუთარი მაკომპლექტებელი მასალების აკრეფით ოპერაციებზე.

დეტალებისა და მაკომპლექტებელი მასალების სამამულო მწარმოებლებისათვის შედეგების შენარჩუნების შესახებ მოთხოვნა უზრუნველყოფს ისეთივე დაცვას, როგორსაც უზრუნველყოფდა შესაბამისი სიდიდის საიმპორტო ქვოტა, მაგრამ შესაბამისი სიდიდის საიმპორტო ქვოტასთან შედარებით, სამამულო საწარმოოთა შედეგების შენარჩუნების შესახებ მოთხოვნის შედეგები რამდენადმე განსხვავებული იქნება იმ ფირმებისათვის, რომლებიც იძენენ დეტალებს სამამულო ბაზარზე. საქმე იმაშია, რომ სამამულო საწარმოოთა შედეგების შენარჩუნების შესახებ მოთხოვნა არ საჭიროებს იმპორტის მკაცრ შეზღუდვას.[1]

ვთქვათ, ავტომობილების იმპორტირებული ნაწილების ღირებულება უდრის 6 ათას აშშ. დოლარს, ეს მაშინ, როცა იგივე ნაწილების შესყიდვა შიდა ბაზარზე ჯდება 10 ათასი აშშ. დოლარი. მაგრამ თუ ავტომობილების ამკრეფი ფირმა იყენებს ადგილობრივ კომპონენტთა მხოლოდ 50 %-ს, მაშინ ფირმების დანახარჯები მაკომპლექტებელ მასალებზე საშუალოდ გაუტოლდება 8 ათას აშშ. დოლარს, რაც აისახება მზა

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. С англ. М. Изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 155 --183 с.

ავტომობილების საბოლოო ფასშიც. სამამულო საწარმოოთა შედეგების შენარჩუნების შესახებ მოთხოვნის სპეციფიკური სიახლე ისაა, რომ ფირმებს უფლება ეძლევა ეს მოთხოვნები, სამამულო მრეწველობაში ადგილობრივ კომპონენტთა გამოყენების ნაცვლად, დააკმაყოფილონ ნაკეთობათა ექსპორტის ხარჯზე.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია არასატარიფო ბარიერების მეშვეობით იმპორტის რეგულირების სხვადასხვა ფორმები. კერძოდ, არსებობს იმპორტის შეზღუდვის არასატარიფო ბარიერების 50-მდე სახეობა, რომლებიც ძირითადად 3 კატეგორიად იყოფა. ესენია: 1. პირდაპირი ზემოქმედების მქონე შეზღუდვები, 2. ადმინისტრაციული ფორმალობანი, 3. ირიბი ზეგავლენის მქონე ბარიერები;

2. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის მიზნით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია:მ, არასატარიფო ბარიერების დემონტაჟთან შედარებით, ბევრად უფრო მეტ წარმატებას მიაღწია სატარიფო განაკვეთების დაქვეითების კუთხით;

3. ამავე თავში გაკეთებულია კვოტისა და ტარიფის შედარებითი ანალიზი თავისუფალი კონკურენციისა და მონოპოლიზაციის პირობებში. საიმპორტო ქვოტა მკაცრად ზღუდავს წლის განმავლობაში ქვეყანაში უცხოეთიდან შემოსატანი პროდუქციის მოცულობას, შიდა და საგარეო ფასთა ყოველგვარი შეცვლის გარეშეც;

4. საიმპორტო ქვოტები ააადვილებენ მარეგულირებელი ფუნქციების შესრულებას სამამულო ფირმებთან მიმართებაშიც. თვით სამამულო იმპორტშემცვლელი ფირმებიც ამჯობინებენ სახელმწიფო მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ქვოტის დაწესების პირობებში.

6. სახელმწიფოს მიერ საექსპორტო, ან საიმპორტო ოპერაციებზე ნებართვის გაცემას სავაჭრო ლიცენზიები ეწოდება. სავაჭრო ლიცენზიები იყოფა ორ ნაწილად, ესენია: ავტომატური და ერთჯერადი ლიცენზიები;

7. ამავე თავში გაანალიზებულია ექსპორტის „ნებაყოფლობითი” შეზღუდვაც, რომლის გამოყენების შედეგად სახელმწიფოს მიერ მიღებული შედეგები შედარებულია მის მიერ საიმპორტო კვოტების შემოღებით მიღებულ შედეგებთან. აქვე განხილულია წარმოების სტანდარტები, მოთხოვნა ადგილობრივ კომპონენტთა შენარჩუნების შესახებ და ა. შ.

ძირითადი ტერმინოლოგია

- არასატარიფო ბარიერები;
- პირდაპირი ზემოქმედების მქონე შეზღუდვები;
- ადმინისტრაციული ფორმალობანი;
- ირიბი ზეგავლენის მქონე ბარიერები.;
- საიმპორტო ქვოტა;
- სავაჭრო ემბარგო;
- წარმოების სტანდარტები;
- მოთხოვნა ადგილობრივ კომპონენტთა შენარჩუნებაზე.

ამოცანები

1. ისეთი მცირე ერებისათვის, როგორიც ფილიპინებია, თავისუფალი ვაჭრობის შემოღება იძლევა უდიდეს უპირატესობებს. იგი საშუალებას აძლევს მომხმარებელსა და მწარმოებელს უფრო მრავალფეროვან შეთავაზებათა პირობებში გააკეთონ თავიანთი არჩევანი, რომელიც ეფუძნება საქონლის რეალურ თვითღირებულებას და არა სახელმწიფო მიერ ხელოვნურად დადგენილ ფასებს. იგი საშუალებას აძლევს სამამულო ნაწარმს გავიდეს საზღვარგარეთ და კარს უღებს სამეწარმეო ინიციატივების ახალ ჰორიზონტს. დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, იგი ეხმარება შიდა ეკონომიკურ პოლიტიკას, გახდეს ბევრად უფრო მოქნილი. მოძებნეთ ამ გამონათქვამში თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერი არგუმენტი;

2. ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელი ითვლება ბაჟის, ან საექსპორტო სუბსიდიის გამოყენების

მხარდამჭერ, პოტენციურად დასაბუთებულ არგუმენტად და რომელი – არა?

ა) რაც უფრო მეტ ნავთობს შემოიტანს ამერიკა, მით უფრო მაღალი იქნება მისი ფასი მომდევნო სანავთობო კრიზისების დროს;

ბ) ზამთრის პერიოდში ჩილედან ხეხილის მზარდი ექსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს წელიწადის ამ სეზონში ყურძნის ამერიკულ ბაზარზე ამ პროდუქციის რეალიზაციის საერთო მოცულობის 80-ს, გამოიწვევს მისი ფასის ვარდნას;

გ) აგრარული ექსპორტი არ ნიშნავს ამერიკელ ფერმერთა შემოსავლების უბრალო ზრდას, არამედ - ყველა იმ ადამიანის კეთილდღეობის ამაღლებას, რომელიც დაკავებულია ამერიკული ეკონომიკის აგრარულ სექტორში;;

3. პატარა ქვეყანას შეუძლია საქონლის იმპორტირება მოახდინოს 10 პირობით ერთეულ ფასად ყოველ ნაკეთობაზე. ამ საქონლის სამამულო მიწოდების მრუდი გამოისახება შემდეგი განტოლებით: S = 50 + 5 x P: ხოლო მოთხოვნის მრუდი კი -- D = 400 -- 10 x P; გარდა ამისა, წარმოებული საქონლის ყოველი ერთეული იძლევა ზღვრულ სოციალურ სარგებელს 10 პირობითი ერთეულის ოდენობით: ა) განსაზღვრეთ, როგორ იცვლება ქვეყნის კეთილდღეობა საქონლის ყოველ ერთეულზე 5 პირობითი ერთეულის ოდენობით საიმპორტო ბაჟის დაწესების დროს; ბ) განსაზღვრეთ, როგორ იცვლება ქვეყნის კეთილდღეობა საქონლის ყოველ ერთეულზე 5 პირობითი ერთეულის ოდენობით სამეწარმეო სუბსიდიის დაწესების დროს; გ) რატომ უზრუნველყოფს საწარმოო სუბსიდია კეთილდღეობის უფრო მეტ ზრდას, ვიდრე შესაბამისი სიდიდის საიმპორტო ბაჟი?

თავი VIII

სამამულო დარგთა დაცვის პრობლემები მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში

პრობლემის ფორმულირება ხშირად უფრო
არსებითია, ვიდრე მისი გადაჭრა.
ა. აინშტაინი

არსებობს სამამულო დარგთა დაცვის მიზნით პროტექციონისტულ ღონისძიებათა გატარების, როგორც გამამართლებელი, ისე უარყოფითად მახასიათებელი მრავალი ფაქტორი. ბუნებრივია, ჩნდება ასეთი კითხვები: როგორია ყველა დადებითი და უარყოფითი მხარეების შეჯერების შემდეგ ეროვნული ეკონომიკის დაცვის საბოლოო შედეგები?. სამამულო წარმოების დაცვის რომელი მეთოდი არის უფრო ხელსაყრელი საზოგადოებისათვის, და რომელი უფრო მეტად მიესადაგება დარგის სპეციფიკას?

როგორც წესი, სამამულო დარგთა დაცვის არსებულ ვარიანტებს შორის ოპტიმალური მეთოდის არჩევა დამოკიდებულია პრობლემის წარმოქმნის წყაროზე. სამამულო დარგთა დაცვის არსებულ ვარიანტებს შორის სწორედ ის მეთოდი უნდა გამოიყენებოდეს, რომელიც ყველაზე ახლოს იქნება პრობლემის წარმომქმნელ წყაროსთან და ყველაზე მეტად იმოქმედებს მასზე. იმისათვის, რომ დავადგინოთ თავისუფალი ვაჭრობის მომხრე არგუმენტების მოქმედების ზღვრები, საჭიროა უარი ვთქვათ გარკვეულ წინაპირობათა დაშვებაზე. ამ მხრივ მოთხოვნა-მიწოდების მრუდები ორმაგ მოვალეობას ასრულებს. იგი ერთის მხრივ, მიჯნავს, როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ინტერესებს, ხოლო მეორეს მხრივ გვიჩვენებს მათ მიერ მიღებულ მოგებასა და დანახარჯებს.

§ VIII. 1. პროტექციონიზმის გავლენა მთლიანი შიდა პროდუქციის ფორმირებაზე

ახლა როცა უკვე ვიცით, თუ რა გავლენას ახდენს ეკონომიკაზე საბაჟო ტარიფები და არასატარიფო ბარიერები, შესაძლებელი გახდა შევაფასოთ მათი დანიშნულება. ბუნებრივია, ჩნდება ასეთი კითხვები: რას უდრის სამამულო მეწარმეთა მსგავსი მეთოდებით დაცვისაგან მიღებული დანაკარგები? რით შეიძლება შევცვალოთ იგი? ზარალი როდის არის უფრო მეტი, სამამულო დარგთა სატარიფო, თუ არასატარიფო ბარიერებით დაცვის დროს? როგორ იცვლება ვითარება ეკონომიკაში ახალ ბარიერთა შემოღების შემდეგ?

სამამულო დარგთა იმპორტისაგან ნებისმიერი მეთოდით დაცვის ეფექტიანობის შეფასების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქციის სიდიდესთან დამცავ ბარიერთა შემოღების შედეგად მიღებული ზარალის შედარება. ამის შესახებ კამათი დაიწყო მაშინ, როცა დაიწყო იმის დემონსტრირების მცდელობა, რომ თითქოს რამდენად დიდი იყო პროტექციონისტული პოლიტიკის გატარების შედეგად მიღებული დანაკარგები მთლიან შიდა პროდუქციასთან მიმართებაში.

ჯერ კიდევ 1950-იან წლებში ზოგიერთი ეკონომისტი ცდილობდა გამოეთვალა იმპორტისაგან სამამულო დარგთა საბაჟო ტარიფებით, ან არასატარიფო ბარიერებით დაცვის შედეგად ეროვნულ კეთილდღეობაზე მიყენებული ზარალის ოდენობა. ეს მცდელობა ძირითადად ეხებოდა b + d რეგიონის ფართობის გამოთვლას. ისინი ძირითადად იყენებდნენ ინფორმაციას იმპორტის მოცულობისა და ტარიფის, ან ფასის ზრდის გამომწვევი სხვა არასატარიფო ბარიერებისა და მონაცემებს იმპორტის ფასისმიერი ელასტიურობის შესახებ.

1960 წელს გარი ჯონსონმა დაუშვა, რომ საბაჟო ტარიფის დაწესების შედეგად მიღებული ზარალი მთლიან შიდა პროდუქციასთან შედარებით, წარმოადგენს უმნიშვნელო სიდიდეს. მისი აზრით, b + d ფართობი, როგორც მთლიანი შიდა პროდუქციის უმნიშვნელო ნაწილი, შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

ტარიფიდან

<u>დანაკარგი</u> = <u>1</u> X ტარიფის X <u>იმპორტის მოც.</u>X100%; --VII.(5)

ВВП. 2 განაკვეთი ВВП..%-ში

ვთქვათ საბაჟო ტარიფის სიდიდეა 10 %, (T=0,1), რაც იმ-პორტს ზღუდავს 20 %-ით, (Δm= 0,2), იმპორტის ღირებულება შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქციის 10 %-ს (ანუ m/ მ.შ.პ. = 0,1), მაშინ იმპორტისაგან სამამულო დარგთა სატარიფო დაცვის შედეგად მიღებული ზარალი ტოლი იქნება: 1/2 X 0,1 X 0,2 X 0,1 X 100% = 0,001 X 100% = 0,1%; ანუ იგი უდრის მთლიანი შიდა პროდუქციის 0,1 %-ს.

საერთო კეთილდღეობის განსაზღვრისათვის, 1970-იანი წლების შემდგომ შემოღებულ იქნა საერთო წონასწორობის კომპიუტერული გამოთვლის გაცილებით უფრო რთული მეთოდი, რომელიც ეფუძნება ეკონომიკის კომპიუტერულ მოდელირებას. მასში გათვალისწინებულია გრაფიკულისაგან მხოლოდ უმნიშვნელოდ შეცვლილი ფასები და შემოსავლები.

საიმპორტო ბარიერებისაგან მიღებული დანაკარგები რეა-ლურად შეიძლება აღმოჩნდეს იმაზე უფრო მეტი, ვიდრე შევაფასეთ იგი მთლიან შიდა პროდუქციასთან მიმართებაში თეორიულად. როგორც წესი, სავაჭრო ბარიერები შემოიღება მრეწველობის იმ დარგთა დასაცავად, რომლებიც იმყოფებიან კრიზისში. ამ დარგთა ხვედრითი წილი მთლიან შიდა პრო-დუქციასთან მიმართებაში რომც უმნიშვნელო იყოს, საზო-გადოება მაინც სვამს კითხვას, თუ მათ მიერ მიღებული ყოველი დოლარიდან, რამდენის გადახდა მოუწევს ამ დარგთა დასაცავად? მაგალითად, თუ მათ მიერ მიღებული ყოველი დოლარიდან დარგის დაცვაზე დაიხარჯება ვთქვათ მხოლოდ 3 ცენტი, მაშინ დარგის ასეთი დაცვა არ ჩაით-ვლება ძვირად მით უმეტეს, თუ ამ დაცვას იღებს ის სოცია-ლური ჯგუფი, რომელიც ამათუიმ ფორმით მაინც საჭიროებს დახმარებას. ან ეს დახმარება წაახალისებს მეწარმეობის გააქტიურებას,

ამ ზარალის არსის გაგებაში დაგვეხმარება გარი ჯონსო-ნის მეთოდი, რომლის თანახმად ნორმალური იქნება დაცვა, თუ ზარალი შეადგენს მთლიანი შიდა პროდუქციის მხოლოდ

0,1 %-ს. ასეთ შემთხვევაში სამამულო მწარმოებლები თავიანთი პროდუქციის რეალიზაციით მიიღებენ 10 %-ით მეტს. თუ ამით 10 %-ით მოიმატებს მთლიანი შიდა პროდუქციაც, მაშინ მოგების ნამატი იქნება მთლიანი შიდა პროდუქციის 1 %..[1]

რეალურ სამყაროში ეს დანახარჯები გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე იგი მიიღება ნებისმიერი ჰიპოთეზური გათვლის დროს, თუნდაც დარგის წილი მთლიან შიდა პროდუქციასთან მიმართებაში იყოს ძალზე უმნიშვნელო. დაცული მოგების ყოველი დოლარისათვის მომხმარებელი სინამდვილეში კარგავს დაახლოებით 1,49 დოლარს. 0,49 დოლარიდან 0,26 დოლარი იკარგება დაუბრუნებლად,

დაცვის ყოველი დოლარიდან მთლიანი მსოფლიო კარგავს გაცილებით უფრო მეტს, ვიდრე 0,26 დოლარი, ანუ ის, რასაც კარგავს იმპორტისაგან სავაჭრო ბარიერებით დამცავ ღონისძიებათა გატარების ინიციატორი ქვეყნის რიგითი მოქალაქე. უცხოელები კარგავენ 9 ცენტს ყოველ დოლარზე თავიანთი პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვის გამო. ამიტომ, საბოლოოდ მსოფლიო კარგავს 35 ცენტს ყოველ დოლარზე.

არსებობს საინტერესო კონტრასტი დარგის ტარიფით, ქვოტით, ან „ექსპორტის ნებაყოფილობითი შეზღუდვის" ფორმებით დაცვას შორის. დიდი ქვეყნებისათვის სატარიფო დაცვის ზარალი უფრო მცირეა, ვიდრე მცირე ერებისათვის, რადგანაც დიდი ქვეყნები ტარიფის დაწესებით იუმჯობესებენ თავიანთი საგარეო ვაჭრობის პირობებს.

§ VIII. 2. „სპეციფიკურობის" წესი

მოთხოვნა-მიწოდების მრუდი განსაზღვრავს სავაჭრო ბარიერთა შემოღების შედეგად, არა მარტო მეწარმის ან მომხმარებლის მოგება-ზარალის ოდენობას, არამედ მთლიანი

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. с англ. М. изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 183 -- 204 с.

ქვეყნის მასშტაბით შექმნილ საზოგადოებრივ კეთილდღეობასაც. ადამიანები მანამდე განაგრძობენ ეკონომიკურ საქმიანობას, სანამ არ მოისპობა ყველა სტიმული. მეწარმე მანამ გააფართოებს წარმოებას, სანამ მისი ზღვრული დანახარჯები არ გაუთანაბრდება საბაზრო ფასებს. მომხმარებელიც მანამდე იძენს პროდუქციას, სანამ ამ პროდუქციის ღირებულება არ გადააჭარბებს მის სამომხმარებლო ღირებულებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ ვვარაუდობდით რომ, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში თითქოს არავითარი ეკონომიკური სტიმულები არ არსებობდა, რათა ერთმანეთისაგან განგვესხვავებინა კერძო და საზოგადოებრივი ინტერესები. იმისათვის, რომ გავერკვეთ ამაში, დავუშვათ მსოფლიო იმყოფება ჰარმონიულ ვითარებაში, სადაც არ არის წინააღმდეგობა თავისუფალ ვაჭრობაში და საბაზრო ფასი მხოლოდ სიგნალს აძლევს მწარმოებელსა და მომხმარებელს, იმის შესახებ, თუ რა აწარმოონ, ან რამდენი -- მოიხმარონ.

როგორც ცნობილია, ინტერესთა კონფლიქტი ერთმანეთს ვერ გაანეიტრალებს. ეკონომიკური კონფლიქტი ყოველთვის არსებობდა, არსებობს და იარსებებს მომავალშიც, რაც ქმნის მთელ რიგ ეკონომიკურ პრობლემებს. ეს წინააღმდეგობა განსაკუთრებით ფართო გასაქანს პოულობს შემოსავლების გადანაწილების დროს, რაც ეკონომისტებში ცნობილია თანმდევი უარყოფითი ეფექტის სახელწოდებით. თანმდევი უარყოფითი ეფექტის კლასიკური მაგალითია მდინარეების გაჭუჭყიანება. ქაღალდის მეწარმეები არ ითვალისწინებენ იმ ზარალს, რასაც ისინი აყენებენ ეკოლოგიას.

ასევე ბენზინის მყიდველი არ ითვალისწინებს იმას, რომ მის მიერ ამ საწვავის მოხმარება აჭუჭყიანებს გარემოს. შესაბამისად, ეს ზარალი არაა გათვალისწინებული ბენზინის ფასში. კერძო და საზოგადოებრივ ჯგუფთა ინტერესებს შორის არსებული მსგავსი წინააღმდეგობანი სხვადასხვა ასპექტით შეიძლება გამოვლინდეს ეკონომიკის სხვა სფეროშიც.

ასეთ ინტერესთა კონფლიქტის მეორე მაგალითს წარმოადგენს იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებში დასაქმებული მუშები, რომლებიც საზოგადოებას აძლევენ იმაზე უფრო მეტ სარგებელს, ვიდრე წარმოუდგენიათ მათ, ვი-

საც ხელეწიფება ამ დარგთა დაცვის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება. ასეთ შემთხვევას მაშინ აქვს ადგილი, თუ დარგი ახალია და მის ფორმირებას უფრო მეტი ხარჯები ჭირდება, ვიდრე იგი იძლევა მოგებას საწყის ეტაპზე.

როგორ დაძლევს საზოგადოება ამ წინააღმდეგობებს? არსებობს ამ პრობლემისადმი ორი ძირითადი მიდგომა: 1. ოპტიმალური, როცა სახელმწიფომ უნდა დაძლიოს ეს წინააღმდეგობები; 2. პესიმისტური. პირველ (ოპტიმალურ) შემთხვევაში მთავრობა ამას ახერხებს გადასახადებისა და სუბსიდიების მეშვეობით. მეორე (პესიმისტური) მიდგომა მოიცავს საკუთრების უფლებას.

უფრო ხშირად კონფლიქტი წარმოიქმნება სახელმწიფო გადასახადებისა და სუბსიდიების გამოყენებისას, რადგანაც ამ დროს ჩნდება ასეთი კითხვა: რამდენად იქნება ეს მეთოდი ეფექტური პრაქტიკაში? ამ მეთოდის ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭიროა სახელმწიფომ დაადგინოს, თუ სად შეიძლება წარმოიქმნას კონფლიქტი კერძო ინტერესებს შორის, ხოლო შემდეგ კი გადასახადებისა და სუბსიდიების გონივრული კომბინაციით აღმოფხვრას ეს წინააღმდეგობა. თუ საზოგადოებრივი ხარჯები აჭარბებს კერძო შემოსავლებს, როგორც ეს ხდება გარემოს გაჭუჭყიანების შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა შემოიღოს გადასახადი, იმისათვის რომ ფასის წამოწევით გაათანაბროს ეს ორი მაჩვენებელი.

ნეგატიური თანმდევი ეფექტი და სხვა წინააღმდეგობანი ართულებს გადასაჭრელ ამოცანას: დავადგინოთ თუ რამდენად კარგი, ან ცუდი იქნება იმპორტის „გზაზე" სავაჭრო ბარიერთა შემოღება მთლიანი ქვეყნისათვის? ამის გათვალისწინებით მეცნიერ-ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ დისჰარმონიულ სამყაროში არ არსებობს ყველა სავაჭრო პრობლემის გადაჭრის ერთიანი მექანიზმი.

არსებობს ერთი წესი, რომელიც სასარგებლოა ყველა შემთხვევისათვის: პრობლემას უნდა ვუპოვოთ სათავე. როგორც წესი **„ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდება ის პოლიტიკური ღონისძიებანი, რომელიც ყველაზე უფრო მეტად იმოქმედებს კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა შორის განსხვავების წარმოქმნის მიზეზზე".** ეს წესი თანაბრად

ეხება ყველა პოლიტიკურ პრობლემას. მაგალითად, იგი შეიძ-ლება მივუსადაგოთ, ვთქვათ, საერთაშორისო ვაჭრობისაგან შორს მდგარ ისეთ პრობლემას, როგორიცაა დამნაშავეობა, რომელიც მტკივნეულია, არა მარტო იმათთვის, ვინც ამ დამ-ნაშავეობის მსხვერპლია, არამედ მთელი საზოგადოებისათ-ვის. რადგანაც დანაშაულს ადამიანები იდენენ, ჩვენ შეგვიძ-ლია გავატაროთ ისეთი ღონისძიება, რომელიც მიმართული იქნება მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებისაკენ, და და-ვაწესოთ გადასახადი შვილების რაოდენობაზე. ცხადია, ეს პოლიტიკა არ იქნება ეფექტური. ნაკლები ეფექტურობის იქ-ნება ასევე ამხსნელ-პედაგოგიური სამუშაოების ჩატარებაც. გაცილებით უფრო ეფექტური იქნება ისეთი კანონ-პროექ-ტების შემუშავება, დამტკიცება და პრაქტიკაში რეალიზება, რომელიც შეამცირებს დამნაშავეობის ძირითად მიზეზს – უმუშევრობას.

ეს წესი შეიძლება მივუყენოთ მდინარეების გაჭუჭყიანება-საც. ამ პრობლემის გადასაჭრელად ჩვენ შეგვიძლია გადა-სახადი დავაკისროთ წარმოებას, ან გამოვყოთ სუბსიდიები გარემოს გასასუფთავებლად იქ, სადაც კომბინატი ნარჩენებს ყრის მდინარეში. „სპეციფიკურობის” წესის თანახმად, საჭი-როა რაც შეიძლება დავუახლოვდეთ პრობლემის გამომწვევ წყაროს. ამ დროს გარემოს გაჭუჭყიანებაზე გადასახადების დაწესება გაცილებით უფრო ქმედითი იქნება, ვიდრე სუბსი-დიების გამოყოფა, რადგანაც გადასახადების შემოღებას მეწარმე აღიქვამს, როგორც საზოგადოების სურვილს, შეამ-ციროს ქაღალდის წარმოება, ხოლო სუბსიდიების შემოღებას კი მეწარმე აღიქვამს, როგორც საზოგადოების სურვილს, კი-დევ უფრო მეტად გააჭუჭყიანოს მდინარე. ამრიგად, „სპეცი-ფიკურობის” წესი გვაიძულებს ვეძიოთ ის გზა, რომელიც შეამცირებს ნარჩენების გადაყრას მდინარეში.

როგორც აქ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, „სპეციფიკუ-რობის” წესი უმეტესწილად იწვევს საიმპორტო ბარიერთა დაქვეითებას. ზოგჯერ საიმპორტო ბარიერების შემოღება ითვლება ყველაზე უფრო ქმედით ინსტრუმენტად, ვიდრე უმოქმედობა ეკონომიკაში. მაგრამ ზოგჯერ შიდა პრობლემე-

ბის გადაჭრა უმჯობესია მოხდეს სხვა პოლიტიკურ ღონისძიებათა გატარებით.

§ VIII. 3. მრეწველობის ახალ დარგთა დაცვის პოლიტიკა

სამამულო დარგთა დაცვის მიზნით საბაჟო ტარიფის გამოყენების ანალიზი გვეხმარება პროტექციონიზმის მომხრე ბევრად უფრო პოპულარული არგუმენტის შესწავლაში. მსგავსი ტიპის არგუმენტებიდან ეკონომისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ყველაზე უფრო მეტი აღიარებით სარგებლობს ახალ დარგთა დაცვის არგუმენტი, რომელიც გულისხმობს იმპორტის შეზღუდვის მიზნით ტარიფების დროებით შემოღებას, მანამდე, სანამ ახალბედა დარგი ვერ შეძლებს თავისი პროდუქციის საკმაოდ დაბალი დანახარჯებით წარმოებას, რათა იგი იყოს კონკურენტუნატიანი ტარიფების გამოყენების გარეშეც კი. ამ მიდგომის მომხრეები ხაზს უსვამენ იმასაც, რომ ახალი დარგი გაიწვრთნება პრაქტიკაში და დანახარჯთა მრუდი დაეცემა, როგორც კი დარგი შეიძენს სათანადო გამოცდილებას. სატარიფო დაცვა მას აძლევს ფეხზე დადგომის შესაძლებლობას, რაც შეუძლებელი იქნებოდა უცხოეთის ქვეყნების ბევრად უფრო განვითარებულ დარგთა მხრიდან მძაფრი კონკურენციის პირობებში.

ახალ დარგთა დაცვის იდეა ეკუთვნის **ალექსანდრე ჰამილტონს,** რომელიც ამ არგუმენტს იყენებდა 1791 წელს „მეწარმეთა შესახებ" გაკეთებულ მოხსენებაში. აშშ-ში მან მიიღო გამილტონის ფორმულის სახელწოდება. ანალოგიური მოსაზრებით, XIX საუკუნის დასაწყისში**_ფრედერიკ ლისტმა** კვლავ მოიშველია გამილტონის ფორმულა ბრიტანელი კონკურენტებისაგან გერმანიის სამეწარმეო სფეროს დასაცავად.

ახალ დარგთა დაცვის მომხრე არგუმენტი დღესაც ინარჩუნებს სათანადო ყურადღებას, რადგანაც ყოველთვის „იბადება" ახალ-ახალი დარგები. უახლეს საქონელთა და ტექნოლოგიების წარმოების განვითარება უწყვეტად გრძელდება,

ამიტომ დროდადრო ქვეყნებს უხდებათ ახალ დარგთა დაცვა, რომლებიც თავიდან ვერ ფლობენ შეფარდებით უპირატესობას თავიანთ წარმოებაში. მსგავსი მოსაზრებით ეს არგუმენტი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძველ დარგთა დასაცავადაც.

რაც შეეხება კრიზისში მყოფ დარგში შემავალ სამამულო საწარმოოთა დაცვას, აქ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იგივე მეთოდები, რომლებიც გამოიყენებოდა ადრე. თუ აღმავალი დარგი მოიტანს ნამატ მოგებას, დამატებითი შრომითი რესურსების მოზიდვისა და სხვა დარგთა განვითარების ახალი შესაძლებლობით. თუ ეს დამატებითი მოგება მიიღებს დანახარჯთა შემდგომი შემცირების ფორმას, მაშინ ამის მიღწევა გაცილებით უფრო იაფად შეიძლება მოხდეს, წარმოების სუბსიდირების გზით, ვიდრე მათ საქმიანობაზე გადასახადებით დაწესებით. მაშინ შეიძლება არსებობდეს საბაჟო ტარიფების მეშვეობით სამამულო დარგთა დაცვასთან, ან სუბსიდირებასთან შედარებით უკეთესი ალტერნატივა.

თუ ასეთი დახმარება მართლაც ატარებს დროებით ხასიათს, მაშინ ახალგაზრდა დარგთა დაცვისათვის ტარიფების გამოყენების საწინააღმდეგოდ არსებობს სხვა არგუმენტებიც. ტარიფების დაწესება რთულდება, თუ ქვეყანა არის ვაჭრობის ორგანიზაციის წევრი ქვეყანა და ახალი ტარიფების დაწესება უკვე კანონითაა აკრძალული. გარდა ამისა, არსებობს იმის საშიშროებაც, რომ სამრეწველო დარგი, როგორც კი გახდება კონკურენტუნარიანი, ამ ტარიფიდან მიღებული შემოსავლის გარკვეულ ნაწილს დახარჯავს სამამულო დარგთა დაცვის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის მოსახდენად, რათა ეს ტარიფი გახდეს მუდმივი. საწარმოოს სუბსიდია კი პირიქით, ტარიფთან შედარებით იმ უპირატესობას ფლობს, რომ სუბსიდირების შესახებ გადაწყვეტილება, სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველწლიური დამტკიცების პროცესში, მუდმივად ექვემდებარება გადახედვას.

სუბსიდირების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება უარყოფილი იქნეს, თუ პარლამენტარები მიიჩნევენ, რომ დარგი სახელმწიფო სუბსიდირებას აღარ საჭიროებს. ახალგაზრდა დარგთა დაცვის ბევრად უფრო რთული მეთოდი მოითხოვს

უფრო მეტ დანახარჯს. თუმცა ყოველ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს, რომ სხვა პოლიტიკური ზომები უფრო კარგად იმოქმედებს დარგის დაცვაზე, ვიდრე მისი დაცვის სატარიფო მექანიზმი. მაგალითად, განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როცა მუშები გადამზადდებიან იმპორტთან კონკურენციაში მყოფ საწარმოოში, შემდეგ კი ამ ფირმას ტოვებენ და გადადიან მის კონკურენტებთან. ასეთ შემთხვევაში ფირმამ შეიძლება განიცადოს მუშების გადასამზადებლად საჭირო ინვესტიციების უკმარისობა. მოდერნიზირებული ფირმის დასაცავად ტარიფის გამოყენება შეიძლება კარგად არ მოერგოს ამ სიტუაციას, რადგანაც ტარიფი ვერ დააკავებს მუშებს ფირმაში. ამ დროს ბევრად უფრო ზუსტი აღმოჩნდება სუბსიდიების გაცემა გადაკვალიფიცირებაზე.[1]

§ VIII. 4. სამამულო დარგთა დაცვის ალტერნატიული გზები

და კვლავ, სპეციფიკური წესიდან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ არგუმენტი ტარიფის წინააღმდეგ. თუმცა ტარიფების მეშვეობით ახალგაზრდა დარგთა დაცვა, უფრო კარგია, ვიდრე უმოქმედობა, მაგრამ სხვა მეთოდები შეიძლება აღმოჩნდეს ბევრად უფრო ეფექტური. მსგავსი მიდგომა დაგვეხმარება ისეთი შემთხვევის განხილვაშიც, როცა ახალ დარგთა რანგში გამოდის კომპიუტერებისა და კომპიუტერული მომსახურების წარმოება. მაგალითად, შეუძლიათ თუ არა იაპონიასა და ბრაზილიას დაიცვან თავიანთი კომპიუტერული დარგები ამერიკული კონკურენციისაგან? თუ კი – მაშინ, რანაირად? არსებობს ბევრი მტკიცებულება იმის შესახებ, რომ კომპიუტერული დარგის განვითარებიდან მიღებული მოგება ვრცელდება მრეწველობის სხვა სექტორებზეც.

---

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. С англ. М. Изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 183 --204 с.

მით უფრო საბაჟო ტარიფების შემოღება აღმოჩნდება კიდევ უფრო ცუდი, ვიდრე წარმოების პირდაპირი სუბსიდირება, მეცნიერული აღმოჩენებისა და კვლევების ისეთ რთულ სფეროში, როგორიც კომპიუტერების წარმოებაა, სადაც მოგების დიდი ნაწილი იმალება მომხმარებელთა სფეროში. თუ მოგება ვრცელდება კომპიუტერული მომსახურების ყოველმხრივ გამოყენებასა და კომპიუტერების ადგილობრივ წარმოებაზე, დაეხმარება თუ არა იგი გასაღების ზრდას ტარიფების მეშვეობით?

დროდადრო საზოგადოება არჩევანის წინაშე დგება: ღირს ამ ფირმების დახურვა, თუ საჭიროა მათი დაცვა. ჩვენ რომ გვეცხოვრა ჰარმონიულ სამყაროში, პასუხი ცხადი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივი ფასეულობა აისახებოდა პირად მოტივებში. მოთხოვნა-მიწოდების მარტივი მოდელი გვეხმარება გავაკეთოთ სწორი არჩევანი, სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი ჩარევის გარეშე. იმპორტის მხრიდან მზარდი კონკურენცია სამამულო ნაწარმს გამოდევნის თუ არა ბაზრიდან, ეს მომხმარებლისთვის სულერთია. დარგიდან ასეთ უძლურ საწარმოოთა გამოდევნა აუცილებელია, რათა საზოგადოებამ ისარგებლოს მზარდი ვაჭრობის უპირატესობით. თუ შეფასების ერთეულად მიღებული იქნება პრინციპი: „ერთი დოლარი – ერთი ხმა", როგორც ეს გავაკეთეთ წინა თემებში, მაშინ ყველა ის პრეტენზია და მოთხოვნა, რასაც წამოაყენებენ ბაზრიდან გამოდევნილები, ნაკლებადმნიშვნელოვანი იქნება, ვიდრე დანარჩენი საზოგადოების მიერ ვაჭრობის განვითარებიდან მიღებული მოგება, მაგრამ რეალურად უარი უნდა ითქვას ჰარმონიული სამყაროს პრინციპებზე.

პროტექციონიზმის მომხრეები სამართლიანად ამტკიცებენ, რომ გამოთავისუფლებული რესურსები სრულყოფილად და ჰარმონიულად ვერაფრით ვერ გადაერთვებიან ეკონომიკის სხვა დარგებში. არსებობს იმის საშიშროებაც, რომ შრომითი რესურსები მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდიან, თუ ისინი იძულებულნი გახდებიან ეძებონ დასაქმების ალტერნატიული გზები. მაგალითად, ველოსიპედების მწარმოებელ ფირმას არ შეუძლია უბრალოდ დახუროს მისი წარმოება და დანადგარები სრული ღირებულებით გადაიტანოს მრეწველობის სხვა

დარგებში, ხოლო ველოსიპედების დამამზადებელი ფირმის მუშაკები კი უბრალოდ ვერ გადაწყვეტენ, რომ ორშაბათიდან ისინი დაიწყებენ მუშაობას ელექტრონიკის სფეროში, იმავე ხელფასების მიღებითა და იმავე ქალაქში დარჩენით. დარგიდან წასვლა ყოველთვის მტკივნეულია და ძვირი ჯდება.

დაღუპვის გზაზე მყოფი დარგის დაცვის მომხრე ასეთი არგუმენტი ისეთივე საფუძვლიანია, როგორიცაა წინა თემებში განხილული არგუმენტები: „ადგილობრივი წარმოების დასაცავად ტარიფის შემოღება" და „მრეწველობის ახალ დარგთა დაცვის პოლიტიკა", მაგრამ მისი საფუძვლიანობაც შეზღუდულია. ის არგუმენტი, რომ მრეწველობის ამ დარგსა და მის მუშაკებს არ გააჩნიათ სხვა დარგებში გადასვლის თანაბარი შესაძლებლობა, გამოისახება მოქმედ დარგთა ალტერნატიული დანახარჯებით, როგორც დარგის მიერ დამატებითი პროდუქციის წარმოებიდან მიღებული დამატებითი ზღვრული სარგებლიანობა. მას განეკუთვნება ამ დარგის შენარჩუნებით შიდა წარმოებიდან მიღებული მოგება, რომლის მიღებაც არ საჭიროებს დამატებით დანახარჯებს.

რეალურ ცხოვრებაში მთავრობას იშვიათად ჰყოფნის იმის გამბედაობა, რომ დაეხმაროს დაღუპვის პირას მდგარ დარგებს და ამას ისინი აკეთებენ, არა საიმპორტო ბარიერების დახმარებით, არამედ უფრო პროგრესული მეთოდებით. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს „კრაისლერების" ფირმაზე სესხის გამოყოფა. ეს იყო დროებითი პრობლემა, რაც დაკავშირებული იყო ფირმის გადაიარაღებასთან. ფირმას შეეძლო ეს სესხი დაებრუნებინა დათქმულ ვადაში.

ასეთი პოლიტიკის მეორე მაგალითია 1980-იანი წლების დასაწყისში ამერიკის მთავრობის მიერ მუშებისათვის დახმარების შეთავაზება, რომლებიც, იმპორტის მხრიდან მძაფრი კონკურენციის გამო, განიცდიდნენ უმუშევრობას და საჭიროებდნენ გადამზადებას. ეს დახმარება თავისთავში მოიცავდა მუშების გადამზადებასა და ახალ დარგებში მათ მიერ სამუშაო ადგილთა მოძიების სახელმწიფო დაფინანსებას. როგორც უმუშევართა გადამზადების სფეროში სხვა ქვეყნების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან სუბსიდირების გამოცდილება გვიჩვენებს, **უმუშევართა გადამზადების მიზნით სუბ-**

სიდიების სახით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები ხშირად არამიზნობრივად იხარჯება. შესაბამისად უმუშევრობის აღმოფხვრის ეს მეთოდი არაეფექტური ხდება და იგი მხოლოდ ფისკალურ ეფექტში გარდაიქმნება.

პროფკავშირული გაერთიანებები, რომლებიც თავდაპირველად მხარს უჭერდნენ ამ იდეას, მოგვიანებით გახდნენ მისი მოწინააღმდეგენი, რადგანაც დახმარება სინამდვილეში გაწეული იქნა ძალიან დაბალ დონეზე. 1962 წელს პრეზიდენტ კენედის მიერ „ვაჭრობის განვითარების შესახებ' კანონის მიღებიდან პირველი 10 წლის განმავლობაში, რომლის შესაბამისად ამოქმედდა ასეთი დახმარების პროგრამა, იმათი მხრიდან ოფიციალური მოთხოვნა, ვისაც ჰქონდა ამ დახმარების მიღების უფლება, იმდენად დიდი იყო, რომ პრაქტიკულად არავის არ შეეძლო ამ დახმარების მიღება.

მეორეს მხრივ, თავისუფალი ბაზრის დამცველები დადგნენ იმ დარგთა დაცვის კონცეფციის მოსაზრების წინააღმდეგ, რომლებიც ვერ უძლებდნენ იმპორტის მხრიდან კონკურენციას. ისინი სვამდნენ ასეთ კითხვებს: რატომ უნდა მიიღოს დახმარების უფლება საზოგადოების მხოლოდ ამ ჯგუფმა? რატომ არ უნდა დაეხმაროს სახელმწიფო იმათ, ვისი შემოსავლებიც შემცირდა ტექნოლოგიური გადაიარაღების, ცუდი გზების, უამინდობის, ან მომხმარებელთა გემოვნების შეცვლის შედეგად?

მაგრამ აქ ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც ეხება სტიმულირების შენარჩუნების პრობლემას. ფირმები და მუშები ფარულად დაიწყებენ კრიზისულ დარგთა შენარჩუნებას, იმ იმედით, რომ უკიდურეს შემთხვევაში სახელმწიფოსაგან მიიღებენ დახმარებას. აქ კვლავ ვაწყდებით სოციალური უზრუნველყოფის კლასიკურ პრობლემას: დავეხმაროთ იმათ, ვისაც ცუდად მიუდით საქმე, თუ დავეხმაროთ მათ ახალ დარგებში გადასასვლელად? მსგავსი პრობლემები სხვა პროგრამების წინაშეც დგას.

იმ სახელმწიფოებში, რომელთაც სულ ეხლახანს მიიღეს დამოუკიდებლობა, უცხოური საქონლის იმპორტისაგან სამამულო დარგთა დაცვის ყველაზე უფრო ეფექტურ ფორმას წარმოადგენს პროტექციონიზმი --სამამულო დარგთა უცხოური საქონლის იმპორტისაგან სატარიფო დაცვის სისტემა,

რადგანაც საბაჟო ტარიფების სახით მიღებული თანხები, ისედაც მცირეშემოსავლიანი ქვეყნებისათვის წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს. ასეთი ქვეყნებისათვის საჭიროა შემუშავდეს სამამულო დარგთა უცხოური საქონლის იმპორტისაგან სატარიფო დაცვის ოპტიმალური სისტემა.

დაბალი შემოსავლების ქვეყანა მნიშვნელოვნად მოიგებდა, თუ გააუმჯობესებდა საბაზისო კომუნალურ მომსახურებას. მაგალითად, ინფექციურ დაავადებათა კონტროლი, სოფლის მეურნეობის წყლით მომარაგება, პირველდაწყებითი სასკოლო განათლება. **სამწუხაროდ, ღარიბ ქვეყნებში, საბიუჯეტო ხარჯების შემცირების მიზნით, ადმინისტრაციული რესურსების შეზღუდვა ამ პრობლემას ვერ გადაჭრის** (თუმცა ბევრ ქვეყანას მაინც არ შეუძლია უბრალოდ ეფექტურად გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები).

ასეთ ქვეყნებში საიმპორტო ბარიერები იქცევა, არამარტო სამამულო წარმოების დაცვის მძლავრ იარაღად, არამედ სახელმწიფო შემოსავლების მიღების მნიშვნელოვან წყაროდაც. შემოსავლები შეიძლება აკრეფილ იქნეს კონტროლს დაქვემდებარებული პორტებიდან და საბაჟო გამშვები პუნქტებიდან, რასაც თავს გაართმევს მხოლოდ რამოდენიმე სასაზღვრო ოფიცერი. იმავდროულად უფრო რთული პოლიტიკის გატარება მოითხოვს უფრო მეტი თანხების დახარჯვას. **იმავდროულად ძნელია გადასახადებით დაბეგრო, ან სუბსიდიებით დააფინანსო წარმოება, მოხმარება, შემოსავლები და საკუთრება, თუ მას ვერ გაზომავ, ან დაგიმალავენ.**

ღარიბ ქვეყნებში შექმნილი ვითარების ანალიზი ხსნის იმას, თუ რატომ შეადგენს დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნებში საბაჟო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილი საერთო სახელმწიფოებრივი შემოსავლების საერთო მოცულობის 1/3 – 3/5 ნაწილს (მდიდარ ქვეყნებში იგი შეადგენს საერთო სახელმწიფოებრივი შემოსავლების მხოლოდ 2 %ს). პრინციპში განვითარებადი ქვეყნების მთავრობას შეუძლია გამოიყენოს ტარიფი სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, რითაც იგებს დანარჩენი მსოფლიო მთლიანობაში.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია პროტექციონიზმის მომხრე და მოწინააღმდეგე არგუმენტები, რომელთა განხილვის შედეგად შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ პროტექციონიზმის გაძლიერება გაუმართლებელია ახალ ბარიერთა შემოღების გზით, რადგანაც ახალ ბარიერთა შემოღების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე მოქმედი ტარიფების შენარჩუნების ხარჯები;

2. თანამედროვე მსოფლიო მეტად დინამიური და არამდგრადია. შესაბამისად იგი აჩქარებს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში შექმნილ დისბალანსს. ყველა მსგავსი ეკონომიკური დისბალანსის აღმოსაფხვრელად სახელმწიფოები იყენებენ „სპეციფიკურობის წესს";

3. „სპეციფიკურობის წესის" არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნებისმიერი ქვეყნისათვის „ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდება ის პოლიტიკური ღონისძიება, რომელიც ყველაზე უფრო მეტად მოქმედებს კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა შორის განსხვავების წარმოქმნის მიზეზზე"; ბევრ განვითარებად ქვეყანაში აქტიურად გამოიყენება მრეწველობის ახალ დარგთა დაცვის პოლიტიკა, რომელიც შეიმუშავა ალექსანდრე გამილტონმა 1791 წელს;

4. სამამულო დარგთა დაცვის ალტერნატიულ გზებს ეძებს თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნებიც, რომელთა სამრეწველო დარგებიც პერიოდულად კრიზისს განიცდიან. ეკონომიკურ კრიზისში მყოფ დარგთა დაცვის პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ დახმარება გაუწიოს მათ ეკონომიკურ გარდაქმნის განხორციელებაში.

ძირითადი ტერმინოლოგია

- პროტექციონიზმი. პროტექციონიზმის ღირებულება;
- „სპეციფიკურობის წესი". „გამილტონის ფორმულა";
- მრეწველობის ახალ დარგთა დაცვის პოლიტიკა;
- დახმარება ეკონომიკურ გარდაქმნის განხორციელებაში;
- წარმოების შედეგების დაცვის აუცილებლობა.

ამოცანები

1. მონაკო მცირე სახელმწიფოა. შესაბამისად, ის ვერ ზემოქმედებს მსოფლიო ფასთა ცვლილებაზე. იგი მიმართავს კარაქის იმპორტს და ერთ ტონა კარაქში იხდის 2000 აშშ. დოლარს. ვთქვათ, კარაქის შიდა ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები განისაზღვრება შემდეგი განტოლებებით: D =400–10P. S=50+5P. დავუშვათ, მთავრობას სურს კარაქის იმპორტის შეზღუდვა 50 ტონამდე, რისთვისაც ის აწესებს საიმპორტო კვოტას. გაიანგარიშეთ:

ა) რა რაოდენობით შემცირდება იმპორტის მოცულობა;

ბ) რა რაოდენობით გაიზრდება შიდა ფასი;

გ) რა რაოდენობით გაიზრდება მომხმარებელთა ზარალის ოდენობა;

დ) რა რაოდენობით გაიზრდება მწარმოებელთა მოგების ოდენობა;

ე) განსაზღვრეთ კვოტის დაწესების გავლენა ქვეყნის საერთო კეთილდღეობაზე (იგულისხმება, რომ საიმპორტო ლიცენზიები იყიდება ღია აუქციონზე);

2. დავუშვათ, იაპონიამ ნებაყოფილობით შეზღუდა ავტომობილების ექსპორტი საფრანგეთში. ცნობილია, რომ ამის შედეგად ექსპორტი შემცირდა 60 ათასიდან 40 ათას ავტომობილამდე. მათი ფასი 1000 დოლარით გაიზარდა. ამ მონაცემების საფუძველზე გამოიანგარიშეთ საფრანგეთის კეთილდღეობის დანაკარგები იმის გათვალისწინებით, რომ ავტომობილთა იმპორტზე დაწესებულია სპეციფიკური საბაჟო ტარიფი 50 დოლარის ოდენობით;

3. შაქრის ექსპორტიორმა რამდენიმე ქვეყანამ, შაქრის მსოფლიო ფასის გაზრდის მიზნით შექმნა კარტელი, რომლის წევრი ქვეყნები აკონტროლებენ შაქრის მსოფლიო ბაზრის 25 %-ს. ამ პროდუქციაზე არსებული მსოფლიო მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი შეადგენს 0,7-ს. ხოლო იმ ქვეყნების მიერ შაქრის მიწოდების ელასტიურობის მაჩვენებელი, რომლებიც არ შედიან კარტელის შემადგენლობაში, შეადგენს 0,4-ს. გაიანგარიშეთ შაქრის მსოფლიო ბაზარზე კარტელის ოპტიმალური მონოპოლისტური ფასნამატი;

თავი IX

რეგიონული სავაჭრო ბლოკები და ეკონომიკური ინტეგრაციები

თავისუფალ ეკონომიკაში ბიზნესს აქვს ერთი სოციალური პასუხისმგებლობა – გამოიყენოს თავისი რესურსები და განახორციელოს საქმიანობა, თავისი მოგების გასადიდებლად მანამდე, ვიდრე ის რჩება თამაშის წესების ჩარჩოში, ე. ი. მონაწილეობს ღია, თავისუფალ კონკურენციაში, მოტყუების და თაღლითობის გარეშე.

მ. ფრიდმენი

საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობათა სფეროში შექმნილმა დისკრიმინაციულმა და წინააღმდეგობრივმა ვითარებამ ქვეყნების უმრავლესობა აიძულა დარაზმულიყვნენ მათი საერთო ინტერესების დასაცავად, შეექმნათ ერთობლივი რეგიონული სავაჭრო ბლოკები, ერთად ეზრუნათ საერთო პრობლემების გადასაჭრელად. რეგიონული სავაჭრო ბლოკების ფორმირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე ერებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად დაიცვან თავიანთი ინტერესები. სავაჭრო ბლოკების შექმნა იძლევა რეგიონულ ჭრილში ეკონომიკური „თამაშის" საერთო წესების შემუშავებისა და რეალიზაციის შესაძლებლობას.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის პირობებში, როცა მიმდინარეობს ეკონომიკური ცხოვრების ერთიან მექანიზმზე გადასვლა, მცირე ერებს სულ უფრო უძნელდებათ ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. ამ ფონზე რეგიონული ინტეგრაციებისა და სავაჭრო ბლოკების ჩამოყალიბება ქმნის ღია ეკონომიკის პირობებში იმპორტისაგან სამამულო დარგთა დაცვის, მასშტაბზე ეკონომიის მიღწევისა და გასაღების შიდა ბაზრების სიმცირისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობას.

§ IX. 1. რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის არსი და მისი ფორმირების წინაპირობები, მიზეზები და განმსაზღვრელი ფაქტორები

ერთიანი ინტერესების რეალიზაციის მიზნით ქვეყნები აყალიბებენ სხვადასხვა სახის რეგიონულ ეკონომიკურ ინტეგრაციებს. ინტეგრაცია ლათინური სიტყვაა (integracion) და ქართულად ნიშნავს ცალკეულ ნაწილებად დაშლილ ელემენტთა ერთიან სისტემაში გაერთიანებას. ასეთ რეგიონულ სავაჭრო ბლოკებს განეკუთვნება ევროკავშირი, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო ამერიკული ასოციაცია (NAFTA), აზიაწყნარი ოკეანის ეკონომიკური თანამშრომლობის ასოციაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაცია (ASEANI), ლათინური ამერიკის ინტეგრაციული გაერთიანება, აფრიკის ინტეგრაციული გაერთიანება, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა, სუამი, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა და სხვა.

რეგიონულ ინტეგრაციებში გაწევრიანება განსაკუთრებით მომგებიანია მცირე ერებისათვის, რადგანაც სავაჭრო ბლოკებს გააჩნიათ შემდეგი დადებითი მახასიათებლები. კერძოდ, ინტეგრაციული გაერთიანება:

1. ხსნის სამამულო ეკონომიკის რესურსული შეზღუდულობის პრობლემას და წარმოების რესურსებით უზრუნველყოფის საკითხს ინტერნაციონალურს ხდის;

2. იძლევა სამამულო პროდუქციის მასობრივი წარმოების ორგანიზების შესაძლებლობას და ა. შ.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი თვისებაა სხვადასხვა სახელმწიფოთა ეროვნული ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი განპირობებულია შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარებითა და გაღრმავებით. საქონლითა და მომსახურებით მყარი მასშტაბური ვაჭრობის, კაპიტალის თავისუფალი მიგრაციისა და ახალი ერთობლივი საწარმოების შექმნის შედეგად სულ უფრო ღრმავდება სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციისა და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის დონე.,

როდესაც ურთიერთგადაიხლართება სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო, საინვესტიციო, ფინანსურ-კომერციული საქმიანობის მასშტაბი.

მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ გააადვილა ეროვნულ მეურნეობთა გარე პირობებისადმი ადაპტაცია, ხელი შეუწყო მათ უფრო აქტიურ ჩართვას შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და კოოპერაციაში. საწარმოო ძალთა დინამიურმა განვითარებამ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების სულ უფრო ფართო დანერგვამ საერთაშორისო ურთიერთობებში ცივილიზებულ ქვეყნებს მისცა კვლავწარმოების ექსტენსიური ტიპიდან ინტენსიურ ტიპზე გადასვლისა და ახალი ტექნოლოგიური ბაზის ფორმირების შესაძლებლობა. შედეგად მოხდა ეროვნული სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გადაზრდა საწარმოო ძალებში, მათი გასვლა ტერიტორიული საზღვრების გარეთ. თანაც ეს პროცესი შეეხო მატერიალური და არამატერიალური წარმოების ყველა სფეროს – არა მარტო საქონლის, არამედ კაპიტალის, მომსახურების, სამუშაო ძალის, საზოგადოებრივი კვლავწარმოების ყველა სტადიას. არსებობს რეგიონული სავაჭრო ბლოკების შემდეგი ოთხი ძირითადი სახეობა: კერძოდ, ესენია: თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, სრული ეკონომიკური კავშირი.

<u>ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმირების წინაპირობები, მიზეზები და განმსაზღვრელი ფაქტორები.</u> სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ხარისხობრივად ახალ ეტაპს წარმოადგენს ეკონომიკური ინტეგრაცია, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია კაპიტალის კონცენტრაცია და ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის გატარება. <u>ცნება – „საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია”</u> განიმარტება, როგორც ეროვნული სამეურნეო სისტემების ურთიერთშეგუებისა და შეზრდის ობიექტური, მიზანმიმართული პროცესი, რომელსაც გააჩნია თვითრეგულირებისა და თვითგანვითარების პოტენციალი და საფუძვლად უდევს დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტების საერთო ეკონომიკურ ინტერესებზე დაფუძნებული შრომის საერთაშორისო დანაწილება.

სამეურნეო ცხოვრების ინტეგრაციის ძირითადი მიზეზია საქონლისა და მომსახურების წარმოების მოცულობის ზრდა ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. თანამედროვე ინტეგრაციული კავშირები რეგიონულ ხასიათს ატარებს. მსგავს რეგიონულ ინტეგრაციებში მცირე ერების გაერთიანება საშუალებას აძლევს მათ თანამედროვე მსოფლიოს მძაფრი კონკურენციის პირობებში შეინარჩუნონ სიცოცხლისუნარიანობა, რასაც ისინი ვერ შეძლებდნენ დამოუკიდებლად.[1]

ქვეყნებს შორის ეკონომიკური ინტეგრაცია განისაზღვრება შემდეგი აუცილებელი ფაქტორებით:

1. **წარმოების ინტერნაციონალიზაცია** და 1990-იანი წლების შემდგომ პერიოდში ახალი ტიპის საერთაშორისო მონოპოლიების შექმნა;
2. შრომის საერთაშორისო დანაწილების ერთიან სტრუქტურაში მომხდარი **ღრმა ეკონომიკური ძვრები**. ამ დროს საწარმოო კავშირები ასახავენ ფირმებსა და ცალკეულ კომპანიებს შორის მჭიდრო ურთიერთზემოქმედებას, რომლებიც შეადგენენ ფართოდ განვითარებული შიდადარგობრივი სპეციალიზაციის მქონე „ერთიანი ქარხნის ცეხს";
3. **სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია,** რომელიც იწვევს წარმოებისა და ბაზრის ინტერნაციონალიზაციას ხარისხობრივად ახალ დონეზე. იგი გამოწვეულია მეცნიერებისა და ტექნიკური შედეგების საერთაშორისო გაცვლის აუცილებლობით და დაფუძნებულია უახლეს ტექნოლოგიურ ბაზაზე;
4. **სამამულო ეკონომიკის ღიადობა და ვაჭრობის თავისუფლება**_ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნის აქტიურ ჩართვას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, სახელმწიფოთა შორის აქტიურ თანამშრომლობაში.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციების მთავარ მახასიათებელ თვისებას წარმოადგენს მათი განვითარება რეგიონულ დონეზე. ამ დროს რეგიონული ინტეგრაცია წარმოებს ეტაპობრივად, რომელთაგან თითოეულს გააჩნია

---

[1] გ. ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა „მეცნიერება". თბილისი. 2002. გვ. 105;

თავისი სპეციფიკური მახასიათებლები, ამიტომ თითოეულ ეტაპზე წესდება სხვადასხვა სახის ბარიერი და იქმნება ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური კავშირებისა და წარმოების განვითარების ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები. თავისუფალი ვაჭრობის საფუძველზე, რაც შეფარდებითი დანახარჯებისა და უპირატესობების ფლობის პრინციპებს ეფუძნება, მსოფლიო ეკონომიკას შეუძლია ეკონომიკური რესურსების უფრო ეფექტური განთავსება და მატერიალური კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეზე მიღწევა.

თავისუფალი ვაჭრობის თანმდევი დადებითი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ იგი სტიმულს აძლევს კონკურენციას და ზღუდავს მონოპოლიას. უცხოური ფირმების მხრიდან მზარდი კონკურენცია ადგილობრივ ფირმებს აიძულებს გადავიდნენ ყველაზე უფრო დაბალი დანახარჯების მქონე ტექნოლოგიაზე. იგი კარნახობს ასევე ფირმებს სიახლეთა დანერგვას, პროდუქციის ხარისხის ამაღლებასა და წარმოების ახალი მეთოდების გამოყენებას.

რეგიონული სავაჭრო ბლოკები ამ ინტეგრაციის ფარგლებში გაწევრიანებულმა ქვეყნებმა შეიძლება გამოიყენონ სავაჭრო დისკრიმინაციის განსახორციელებლად. თავისუფალი ვაჭრობა მომხმარებელს აძლევს პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტიდან არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, მას მრავალი მოწინააღმდეგე ჰყავს.

§ IX. 2. დისკრიმინაციით ვაჭრობის სარგებლიანობა

აქამდე განიხილებოდა ისეთი შეზღუდვები, რომელიც თანაბრად ვრცელდებოდა ყველა უცხოური მოვაჭრე ქვეყნის მიმართ. მაგრამ სინამდვილეში ბევრი საქონლის მიმართ საიმპორტო შეზღუდვა ატარებს დისკრიმინაციულ ხასიათს. იგი ვრცელდება მხოლოდ ზოგიერთი ქვეყნის მიმართ, ეს მაშინ როცა იმავე სახეობის, ან ანალოგიური საქონელი თავისუფლად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შემოიტანება სხვა კეთილადგანწყობილი ქვეყნებიდან. როცა უცხოუ-

რი საქონლის იმპორტის მიმართ განხორციელებული სავაჭრო პოლიტიკა დისკრიმინაციულ ხასიათს ატარებს, მაშინ ზოგიერთი მოვაჭრე პარტნიორი ქვეყნიდან მათი შემოტანა შეიძლება იბეგრებოდეს ბევრად უფრო მაღალი ტარიფებით, ვიდრე სხვა ქვეყნებიდან წამოსული იგივე საქონელი.

დემპინგი._საგარეო ვაჭრობის დისკრიმინაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ანტიდემპინგური პოლიტიკა, რომელიც ძალზე ჰგავს ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკას. ამ დროსაც ადგილი აქვს პარადოქსალურ ვითარებას. **უცხოეთის ბაზრებზე შიდა ფასებთან შედარებით უფრო იაფად (ზოგჯერ თვითღირებულებაზე დაბალ ფასადაც კი) საქონლის გაყიდვას დემპინგი ეწოდება.** განასხვავებენ ორი სახის დემპინგს. ესენია: დანაშაულებრივი და მუდმივი.

დემპინგის მთავარი მიზანი არის მოცემული ბაზრიდან კონკურენტების განდევნა. ზოგჯერ მას **გადასაყარ ექსპორტსაც** უწოდებენ. ბოლო დროს სულ უფრო ინტენსიურად გამოიყენება მინიმალურ საიმპორტო ფასთა დაწესების მექანიზმი. იგი ითვალისწინებს იმპორტიორი ქვეყნის მიერ დაწესებულ დამცავ სავაჭრო ბარიერებს, რომელიც დგინდება ექსპორტიორი ქვეყნის საზღვარზე.

ანტიდემპინგური ბაჟი საგარეო ვაჭრობის სატარიფო რეგულირების საუკეთესო ინსტრუმენტია, რომლის დაწესებამდე ჯერ უნდა დამტკიცდეს დემპინგის ფაქტი. ბევრი ექსპორტიორი ჯერ კიდევ კვლევის სტადიაში მიდის დათმობაზე და ზრდის ფასებს მის მიერ დამზადებულ საქონელზე. დემპინგს განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების დროს. 1920–30-იან „მღელვარე" წლებში მრავალი სახელმწიფო შემჩნეული იქნა დემპინგში, როგორც მომპოვებელ, ისე გადამამუშავებელ დარგთა პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობის დროს.

იმისათვის რომ გავერკვეთ, თუ რა მოგების, ან ზარალის მოტანა შეუძლია დემპინგს და რა შემთხვევაში არის გამართლებული საპასუხო ზომების გატარება, საჭირო ჯერ დადგინდეს ის მიზეზები, თუ რატომ ყიდიან ფირმები თავიანთ პროდუქციას უცხოეთში გაცილებით უფრო იაფად, თუ შიდა ბაზარზე ისინი ფლობენ გაცილებით უფრო მეტ მონო-

პოლიას, ვიდრე უცხოეთში, ხოლო სამამულო მომხმარებელს კი არ გააჩნია მოცემული საქონლის უფრო იაფად შეძენის ალტერნატივა (ანუ შიდა ბაზარზე მოქმედებს მხოლოდ ერთი მწარმოებელი-მონოპოლისტი ფირმა).

ფასთა დისკრიმინაციის მსგავსი შემთხვევის დროს შიდა ბაზარზე ფირმას გააჩნია შედარებით უფრო ნაკლებად ელასტიური შიდა მოთხოვნა, ვიდრე გაცილებით უფრო დიდი კონკურენტუნარიანობის მქონე უცხოური მოთხოვნა საგარეო ბაზარზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფირმა თავის პროდუქციაზე აწესებს ისეთ ფასს, რომლის დროსაც მისი მოგება იქნება მაქსიმალური.

იმ შემთხვევაში, როცა იმპორტთან კონკურენციაში მყოფი ფირმა განიცდის დემპინგურ ზეწოლას და დემპინგის ფაქტი იძლევა ამის მტკიცების საშუალებას, მაშინ სახელმწიფო აწესებს ანტიდემპინგურ ბაჟს, რომლის ნებართვაც სანქცირებულია საერთაშორისო ანტიდემპინგური კანონმდებლობით. სამამულო ფირმას შეუძლია აღიაროს დემპინგში მისი უცხოელი კონკურენტები. თუ სახელმწიფო დაამტკიცებს იმპორტის დემპინგურ ხასიათს და შესაბამისი საექსპერტო კომისია დაასაბუთებს სამამულო ფირმებზე მატერიალური ზარალის მიყენების ფაქტს, მაშინ საბაჟო მოსამსახურეებს დაევალებათ, ხელოვნურად დაბალი ფასის დასაკომპენსირებლად, შემოიღონ დამატებითი ანტიდემპინგური ბაჟი, „ფასთა დემპინგური მაკრატელას” ოდენობით.

ვინ იგებს და ვინ ზარალობს საბოლოოდ ანტიდემპინგური ბაჟის დაწესების შედეგად? თავისუფალი ვაჭრობის დამცველი ეკონომისტები ინსტიქტურად უპასუხებენ რომ, საპასუხო ზომების მიღება გამართლებულია მხოლოდ დანაშაულებრივი დემპინგის განხორციელების დროს, ხოლო მუდმივ დემპინგზე კი რეაგირება არაა საჭირო.

ხანმოკლე პერიოდში ანტიდემპინგური ბაჟი აქვეითებს ქვეყნის საერთო კეთილდღეობის დონეს. იგი შეიძლება ამაღლდეს მხოლოდ იმპორტიორ ქვეყანაში. ასეთ შედეგებს მხოლოდ მაშინ მიაღწევს იმპორტიორი ქვეყანა, როცა მას შეეძლება საერთაშორისო ანტიდემპინგური ვითარების რეგულირება და იგი აწესებს ისეთი ზომის ანტიდემპინგურ ბაჟს,

რომელიც, ერთის მხრივ, გადაფარავს სამამულო მრეწველობაზე მიყენებულ ზარალს და მეორე მხრივ, იგი აქვეითებს შიდა მოთხოვნას და აიძულებს უცხოელ მიმწოდებელს, კიდევ უფრო შეამციროს საექსპორტო ფასი. ამგვარად მიღებული ანტიდემპინგური ბაჟის სიდიდე წარმოადგენს ქვეყნისათვის ოპტიმალური ტარიფის განაკვეთს.

ანტიდემპინგური ბაჟის ზემოქმედების შედეგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ექსპორტზე ოპტიმალური ტარიფის განსაზღვრით, არამედ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება იმ ქვეყნის რეაქცია საპასუხო ზომების მიღებაზე, რომელიც ახორციელებს დემპინგს. **ამ დროსაც კიდევ ერთხელ ვაწყდებით ისეთ შემთხვევას, როცა საიმპორტო ბაჟის დაწესება კვლავ ითვლება გამართლებულად.** თუ ქვეყანა ახორციელებს დემპინგს და უარს აცხადებს ფასთა ყოველგვარ დისკრიმინაციაზე, იმავდროულად ორივე ბაზარზე აგრძელებს თავისი დემპინგური საქონლის მიწოდებას, შედეგად კი იმსახურებს ანტიდემპინგური ბაჟის დაწესებას, მაშინ აღმოჩნდება, რომ ამ ზომების გატარების შედეგად, მთლიანი მსოფლიო მეურნეობა დარჩება მოგებული, იმპორტიორი ქვეყანა კი – დაზარალებული.[1]

არსებობს სამი ვარიანტი, რომელსაც შეიძლება დაადგეს, საკომპენსაციო ბაჟის დაწესებისას, დემპინგის განმახორციელებელი ქვეყანა. კერძოდ ესენია:

1. გააგრძელოს თავისი პროდუქციის რეალიზება დემპინგურ (დაბალ) ფასებში იმავე ბაზარზე ისე, რომ იხადოს სისტემატურად საკომპენსაციო ბაჟი (და თუ აქვს რეზერვები წარმოებაში, მათი ამოქმედებით მიაღწიოს საწარმოო დანახარჯთა შემცირება ისე, რომ თვითღირებულების დაწევით დაფაროს საკომპენსაციო ბაჟიც და დარჩეს მოგებაც);

2. შეუძლია თავისი საექსპორტო პროდუქციის წარმოება გადაიტანოს უშუალოდ იმპორტიორი ქვეყნის ტერიტორიაზე, რისთვისაც მან უნდა გასწიოს დამატებითი ხარჯები, თავისი მშობელი კომპანიის ფილიალის ასაგებად;

---

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. с англ. М. изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 204 -- 230 с.

3. საერთოდ უარი თქვას ანტიდემპინგური ბაჟის დამწესებელი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისი პროდუქციის გაყიდვაზე და მოძებნოს გასაღების ახალი ბაზრები, რითაც ზარალს განიცდის, როგორც მთლიანი მსოფლიო მეურნეობა, ისე იმპორტიორი და ექსპორტიორი ქვეყნებიც.

სავაჭრო დისკრიმინაცია შეიძლება იყოს როგორც კარგი, ისე ცუდი. შეიძლება პარადოქსალურადაც კი მოგეჩვენოთ, რომ ანტიდემპინგური ბაჟის შემოღება ზოგჯერ აქვეითებს და ზოგჯერ ამაღლებს ქვეყნის საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონეს. ეს გასაკვირია იმიტომ, რომ **ვაჭრობის ლიბერალიზაცია, საითაც მიდის საბაჟო ტარიფების მოხსნა, თითქოს მომგებიანი უნდა იყოს მთლიანი მსოფლიოსათვის, მაგრამ ანტიდემპინგური ბაჟის ანალიზი კიდევ ერთხელ იძლევა სავაჭრო შეზღუდვების გამართლების საფუძველს.**

§ IX. 3. საბაჟო კავშირში გაწევრიანების შედეგები სავაჭრო დისკრიმინაციის პირობებში

რეგიონული სავაჭრო ბლოკის ფორმირების გზით განხორციელებული სავაჭრო დისკრიმინაციის პირობებში საბაჟო კავშირში ქვეყნის გაწევრიანების შედეგად მიღებული დადებითი და უარყოფითი მხარეები განვიხილოთ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში გაწევრიანების მაგალითზე. ერთის მხრივ, სავაჭრო ბლოკში გაწევრიანებამ ეს ქვეყანა დააზარალა, რადგანაც საგარეო ვაჭრობის უდიდესი მოცულობა გადაერთო, ბევრად უფრო ეფექტური არაინტეგრირებული წყაროდან ნაკლებად ეფექტურ, შიდა ინტეგრირებულ წყაროზე. მეორე მხრივ, სავაჭრო ბლოკში გაწევრიანება მომგებიანი აღმოჩნდა მისთვის იმიტომ, რომ შეიქმნა ნაკლები დანახარჯების მქონე საქონლით ვაჭრობის შესაძლებლობა. თავისუფალი ვაჭრობის დროს, როცა იაპონური ავტომობილები ღირდა 5000 აშშ. დოლარი, გერმანული კი – 5500 აშშ. დოლარი, ცხადია დიდი ბრიტანეთი შეიძენდა იაპონურ ავტომობილებს. საბაჟო კავშირში გაწევრიანების შემდეგ მისი

საგარეო ვაჭრობა ცხადია აღარ იქნება თავისუფალი. უნიფიცირებულმა ტარიფმა გააძვირა იაპონური ავტომობილები 5000–დან 6000 აშშ. დოლარამდე, გერმანული კი კვლავ დარჩა 5500 აშშ. დოლარად ღირებული, რის გამოც ბრიტანელი მყიდველები გადაერთო იაპონურიდან გერმანულ ავტომობილებზე. ამით ბრიტანელი მომხმარებელი დაზარალდა, მაგრამ ტარიფის სახით ბრიტანეთის სახელმწიფომ მიიღო შემოსავლები.

საბაჟო კავშირში გაწევრიანების შედეგად მიღებული მოგება-ზარალის გამოთვლის შემდეგ ერის კეთილდღეობა გამოისახება შემდეგნაირად:

1. შიდარეგიონული ვაჭრობით მიღებული მოგება., რომელსაც იღებს ქვეყანა საბაჟო ბლოკში გაწევრიანების შედეგად. ეს მოგება მიიღება საქონელზე შექმნილი დამატებითი მოთხოვნილებისა და ძვირადღირებული სამამულო ნაწარმიდან კავშირში შემავალი პარტნიორის იაფი პროდუქციის შეძენაზე გადასვლის შედეგად;

2. რეგიონისგარეშე თავისუფალი ვაჭრობის აკრძალვით მიღებული ზარალი, რაც გამოწვეულია უფრო იაფი (ინტეგრაციის გარე, არაწევრი ქვეყნის) პროდუქციიდან შედარებით უფრო ძვირ, შიდარეგიონულ ბლოკში შემავალი ქვეყნის პროდუქციაზე გადმორთვით.

ამრიგად, საბოლოო შედეგი დამოკიდებულია ინტერნაციონალური ვაჭრობის შეზღუდვასა და რეგიონული ვაჭრობის განვითარებაზე. მათ შორის სხვაობა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი. აქ განხილული მაგალითი იძლევა სამი ძირითადი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რაც განსაზღვრავს საბაჟო კავშირიდან მიღებულ მოგება-ზარალს:

1. რაც უფრო დიდია სამამულო პროდუქციის წარმოებისა და კავშირში შემავალი ქვეყნის პროდუქციის წარმოების დანახარჯთა შორის არსებული სხვაობა, მით უფრო მეტია მოგების მიღება შეუძლია ქვეყანას ინტეგრაციაში გაწევრიანებიდან;

2. რაც უფრო ნაკლებია კავშირში შემავალი ქვეყნის პროდუქციის წარმოებისა და ინტეგრაციის გარეთ მყოფი

ქვეყნის პროდუქციის წარმოების დანახარჯებს შორის არსებული სხვაობა, მით უფრო დიდია ინტეგრაციის ფორმირებით მიღებული მოგება;

3. რაც უფრო ელასტიურია იმპორტულ პროდუქციაზე არსებული მოთხოვნა, მით უფრო მეტია საბაჟო კავშირის ფორმირებით მიღებული მოგება.

ამრიგად, საბაჟო კავშირში გაწევრიანება მომგებიანია ქვეყნისათვის იმ შემთხვევაში, თუ გაწევრიანებამდე მას გააჩნდა მაღალი საბაჟო ტარიფი, რაც იწვევდა სამამულო და ინტეგრაციაში შემავალი ქვეყნის პროდუქციის წარმოების დანახარჯებს შორის დიდი სხვაობის წარმოქმნას. და პირიქით, ცუდი ვითარება იქმნება მაშინ, თუ მოთხოვნა იმპორტზე არაელასტიურია, და დიდია ინტეგრირების გარე ქვეყნის პროდუქციის წარმოებისა და კავშირში შემავალი ქვეყნის პროდუქციის წარმოების დანახარჯებს შორის არსებული სხვაობა.

§ IX. 4. რეგიონული ინტეგრაციების ფორმირების გამოცდილება

ევროკავშირის ფორმირების გამოცდილება. რეგიონული სავაჭრო ბლოკების ფორმირების ეკონომიკური ეფექტიანობის შესაფასებლად საჭიროა განვიხილოთ რამდენიმე წარმატებული ეკონომიკური ინტეგრაციის ფუნქციონირების მექანიზმი. ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ევროკავშირის ფორმირების გამოცდილება, ჩრდილო-ამერიკული ბლოკის შექმნის მიზეზები და წინაპირობები, განვითარებად ქვეყნებს შორის ჩამოყალიბებული თავისუფალი სავაჭრო ზონები და ა.შ.

ევროკავშირის შექმნა სავაჭრო ინტეგრაციიდან მიღებული ეფექტის შესწავლის საუკეთესო ნიმუშია. 1960-70-იან წლებში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ევროკავშირის შექმნით მიღებული მოგება დიდი არ იყო, მაგრამ ყოველ შემთხვევაში იგი მაინც დადებითი იყო. მაგალითად, საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე სამრეწველო საქონლით ვაჭრო-

ბიდან მიღებულმა მოგებამ შეადგინა ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქციის 0,1 %. აქ ანალიზში არ არის გათვალისწინებული ის სოციალური დანაკარგები, რაც მიიღო ევროკავშირის საზოგადოებამ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის გატარების შედეგად. აქ უნდა გამოიყოს სამი მომენტი:

1. სამრეწველო საქონლით ვაჭრობაში ევროკავშირი ახდენს ვაჭრობის სრულმასშტაბიან განვითარებას, რათა მან დადებითი ეფექტი მოახდინოს ერის კეთილდღეობაზე;

2. მეწარმეთა მოგება აშკარა ნაკლებია, ვიდრე აგრარული პროდუქციით ვაჭრობის შედეგად მიღებლი დანაკარგები;

3. საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევაფასებთ მასშტაბის ეფექტითა და მწარმოებლურობის სტიმულირებით მიღებულ მოგებას.

ამ ინტეგრაციის ფარგლებში საერთო ბაზრის ფორმირებამ მართლაც მოიტანა საერთო მოგება. 1992 წელს ამ ინტეგრაციის ფარგლებში მოიხსნა ყველა სატარიფო ბარიერი:

1. სატვირთო ავტომობილების მძღოლებს, ევროკავშირის ფარგლებში გადაადგილებისას, აღარ ჭირდებოდათ მრავალი ფორმალური პროცედურების გავლა, კერძოდ ისეთების, როგორიცაა: შემოწმებები საზღვრების გადაკვეთისას, დოკუმენტაციის გაფორმება და ტვირთის რეგისტრაცია;

2. ცვლილება შეეხო პროდუქციის ხარისხის სტანდარტებსაც, რომელიც ყველაზე ძლიერი იარაღი იყო არეაფექტური საწარმოების დასაცავად;

3. ევროკავშირის ქვეყნებს შორის კაპიტალის სრულიად თავისუფალი გადაადგილება;

4. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მუშებს ამიერიდან თავისუფლად შეეძლოთ სამუშაო ადგილის მოძიება ამ ინტეგრაციაში შემავალ ნებისმიერ ქვეყანაში.

რა მოგების მოტანა შეუძლია ევროკავშირში ამ უფლებების შეძენას? მასშტაბის ეფექტით გამოწვეულ ყველა ფაქტორთა გათვალისწინების შემდეგ ძნელია ამ კითხვაზე საბოლოო პასუხის გაცემა, მაგრამ ყველა ეჭვის მიუხედავად, ევროკავშირი აშკარად წარმატებულია. კეთოლდღეობის ზრდის ტემპმა ჯერ კიდევ 1988 წელს შეადგინა ევროკავშირის მთლიანი შიდა პროდუქციის 5-6 %. მოგების ნახე-

ვარზე მეტი მიიღება მასშტაბის ეფექტისა და კონკურენციის ზრდის კვალობაზე.

თავისუფალი ვაჭრობის კანადურ-ამერიკული ზონა. კანადასა და ამერიკას შორის თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის იდეა განიხილებოდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, მაგრამ მისი განხორციელება მოხდა სულ ახლახანს. ჯერ კიდევ 1986 წელს, როცა ამ ორ ქვეყანას შორის „გაჩაღდა სავაჭრო ომი" ხე-ტყისა და ხორბლის, ექსპორტის სფეროში, ძნელი წარმოსადგენი იყო ასეთი ზონის შექმნა. მაგრამ 1987-88 წლებიდან ვითარება საწინააღმდეგოდ შეიცვალა. ჩნდება ასეთი კითხვები: გაზარდა, თუ შეამცირა ინტეგრაციის ჩამოყალიბებამ მათ შორის ვაჭრობა? ვინ დარჩა მოგებული მათ შორის? ცხადია, სავაჭრო ბლოკში გაწევრიანება კანადაზე უფრო მეტ გავლენას მოახდენდა, ვიდრე ამერიკაზე. ამ ორ ქვეყნის ინტეგრირების შედეგად მიღებული მოგების გადანაწილება ხდება ფასთა ცვლილების პროპორციულად. კანადის მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები უფრო ელასტიურია, ვიდრე ამერიკისა. ამიტომ ვაჭრობის გახსნა უფრო დიდ ცვლილებებს გამოიწვევს კანადაში. ეს ეხება შეფარდებით ფასთა ცვლილებასაც. ექსპერტთა შეფასებით, ამ ინტეგრაციის შედეგად კანადის მთლიანი შიდა პროდუქცია უნდა გაზრდილიყო 10%-ით, რაც ბევრად აღემატება ევროკავშირში ნებისმიერი ქვეყნის გაწევრიანების ეფექტს. კანადური მოგების დიდი ნაწილი მიღწეულ იქნა კანადელი მეწარმეებისათვის ამერიკულ ბაზრებზე დაშვების უფლებით. კანადურმა წარმოებამ მიიღო მასშტაბის ეფექტი, უფრო დიდი ტევადობის მქონე ამერიკულ ბაზრებზე გასვლის შედეგად.

მექსიკისა და NAFTA-ს ლიბერალიზაცია. მექსიკის მთავრობა 1985 წლიდან ინტენსიურად ახორციელებს უცხოური საქონლის იმპორტზე დაწესებულ სავაჭრო ბარიერთა დაქვეითებას. ლიბერალიზაციის კულმინაციური ეტაპი იყო 1993 წელს, როცა მან ამერიკასთან მოაწერა ხელი შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ზონის – NAFTA-ს შექმნის შესახებ.

ამ ეკონომიკურმა ინტეგრაციამ მომსახურების სფეროში განხორციელებული სავაჭრო და საინვესტიციო პროცესები

უფრო ლიბერალური გახადა. იმავდროულად შედარებით უფრო მკაცრი მოთხოვნები წაეყენა შრომითი რესურსების კვალიფიკაციასა და დამზადებული პროდუქციის საწარმოო სტანდარტებს. ამდენად ეს ინტეგრაცია ზღუდავს სამუშაო ძალთა ქვეყნებს შორის მიგრაციას. ამიტომ მექსიკელი ექსპერტების მიერ ამ ინტეგრაციის წინააღმდეგ კრიტიკა მისი დაარსებისთანავე დაიწყო. მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ ასეთი ზონის შექმნა მექსიკაში გამოიწვევს სამუშაო ადგილთა შემცირებას, მდიდარ და ღარიბ ფენებს შორის დიფერენციაციის კიდევ უფრო გაღრმავებას. გარდა ამისა, ისინი შიშობდნენ, რომ მექსიკის მიმართ აშშ NAFTA-ს გამოიყენებდა ამერიკული პოლიტიკის თავსმოხვევის იარაღად, რაც შეარყევდა მექსიკის სუვერენიტეტს.

ამერიკული პროფკავშირები დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ მათ მოუწევდათ სამუშაო ადგილთა დათმობა მექსიკელების სასარგებლოდ. დაქვეითდებოდა ხელფასები. ეს ინტეგრაცია გააღრმავებდა მექსიკის კორუმპირებულ სისტემას. გარემოს დამცველები ამტკიცებდნენ, რომ ამ ინტეგრაციის ფორმირება გააუარესებდა ეკოლოგიურ მდგომარეობას, განსაკუთრებით მექსიკის სასაზღვრო ქალაქებში.

სამუშაო ადგილთა შემცირებისა და ეკოლოგიური ვითარების გაუარესების შესახებ საფრთხე იმდენად ძლიერი იყო, რომ კინაღამ დაასამარა ამ ზონის შექმნის იდეა, მაგრამ ში'ში ზედმეტად დრამატიზირებული აღმოჩნდა. ამ ინტეგრაციამ შექმნა ბევრი ახალი დარგი მექსიკასა და აშშ-ში.

თავისუფალი სავაჭრო ზონები განვითარებად ქვეყნებს შორის. 1960-70-იან წლებში, ევროკავშირის წარმატების ფონზე, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანაში პოპულარული გახდა ეკონომიკურ კავშირთა შექმნის იდეა. მისი მთავარი განმსაზღვრელი არგუმენტი გახდა ახალ დარგთა დაცვის მოტივი. ადვილი წარმოსადგენია, რომ განვითარებად ქვეყნებს შორის ასეთი საბაჟო კავშირების შექმნა უზრუნველყოფს მათ გასაღების უფრო დიდი ბაზრებით, რათა ყველა კონკურენციულ სექტორში შენარჩუნდეს მსხვილი წარმოება.

იდეის მიმზიდველობის მიუხედავად, პრაქტიკაში მის რეალიზაციას ბევრი წინააღმდეგობა შეხვდა. **თავისუფალი**

ვაჭრობის ლათინურ-ამერიკულ ზონას,_რომელშიც შედიოდ-ნენ მექსიკა და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები, არ ჰყოფ-ნიდა წარმატების დამაჯერებლობა მისი დაარსების მომენტ-შიც კი (1960 წელს). 1969 წელს, ორმხრივი ხელშეკრულებე-ბის საფუძველზე, იგი დაიშალა წვრილ დაჯგუფებებად. **ცენტრალურ-ამერიკული საერთო ბაზარი,** რომელიც შეიქმნა 1960 წელს და წარმატებით მოქმედებდა 10 წლის განმავლო-ბაში, დაიშალა 1970 წელს. სხვა ხანმოკლე კავშირთა შორის შეიძლება დავასახელოთ **კარიბის კავშირი, აღმოსავლეთ აფ-რიკული საზოგადოება** (1977 წელს) და კავშირის შექმნის სხვა რამოდენიმე მცდელობა აფრიკაში. მათი ხანმოკლეობის ძირითადი მიზეზი იყო წვერი ქვეყნების მიერ ახალ, იმპორტ-შემცვლელ დარგთა განვითარებიდან განსხვავებული მოგების მიღება. თუ მიიღებოდა რაიმე მოგება, იგი კონცენტრირდე-ბოდა მხოლოდ რამოდენიმე წამყვან სამრეწველო ცენტრში. კავშირის ყველა წევრი ქვეყანა ცდილობდა გამხდარიყო ახალი სამრეწველო ლიდერი და არავის არ სურდა დარ-ჩენილიყო აგრარულ ქვეყნად. ვერ იქნა შემუშავებული მოგების გადანაწილების ერთიანი მექანიზმი.

სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნების ასოციაციამ შეთანხ-მებასაც კი ვერ მიაღწია შეფარდებით უპირატესობათა ფლო-ბის საკითხებში. ამ კავშირთა გამოცდილების გახსენებით ბევრი ექსპორტიორი სკეპტიკურად უყურებდა ქვეყნებს შო-რის ახალი ზონის შექმნის იდეას. რომ არ ყოფილიყო ექს-პერტთა მიერ ამ რეგიონული სავაჭრო ბლოკების ფორმი-რებისადმი წინასწარი, სკეპტიკური განწყობა, შესაძლებელია ეს ინსტიტუტები მართლაც ეფექტური გამხდარიყო.

ჯერჯერობით მოქმედებს რეგიონული სავაჭრო ბლოკის ფორმირების წარმატებული მცდელობის მხოლოდ ერთი მა-გალითი ლათინურ ამერიკაში. 1991 წელს არგენტინამ, ბრაზილიამ, პარაგვაიმ და ურუგვაიმ დააარსეს MERCOSUR. 1995 წელს ეს რეგიონი გამოცხადდა თავისუფალი ვაჭრობის ზონად, საქონელთა უმრავლესობაზე, საშუალოდ 12 %-ის ოდენობით, საერთო საბაჟო ტარიფის დაწესებით.

§ IX. 5. სავაჭრო ემბარგო

სავაჭრო ბლოკებთან შედარებით, ბევრად უფრო აგრესიულია სავაჭრო ემბარგოს გამოყენება. ეს ის შემთხვევაა, როცა ერთი ქვეყანა (ან ქვეყანათა ჯგუფი) ინარჩუნებს მაღალ საბაჟო ტარიფს უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე, ეს მაშინ, როცა სრულიად წყვეტს მის შემოტანას მხოლოდ ერთი ქვეყნიდან. საგარეო პოლიტიკაზე გავლენის მოპოვების მიზნით, ერთ-ერთი რომელიმე ქვეყანას სხვა მძლავრი სახელმწიფოები უწესებენ ეკონომიკურ სანქციებს, ემბარგოს, ან უცხადებენ ბლოკადას. სანქცია მოიცავს მოცემულ ქვეყანასთან სავაჭრო საქონელგაცვლის, როგორც დისკრიმინაციულ შეზღუდვას, ისე მის სრულ შეწყვეტას. ემბარგო, ან ბოიკოტი გულისხმობს „სამიზნე“ ქვეყანასთან ვაჭრობის სრულ შეწყვეტას. ვაჭრობის შეზღუდვა, ან შეწყვეტა შეიძლება შეეხოს, როგორც საქონლით, ისე კაპიტალითა და მომსახურებით ვაჭრობასაც.

ემბარგოსა და სხვა ეკონომიკური სანქციის გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ქვეყნების მიერ ჯერ კიდევ 1500 წლის წინ გამოიყენებოდა. „სამიზნე” ქვეყანასთან ვაჭრობის შეწყვეტა ეკონომიკურ ზარალს აყენებს, როგორც „სამიზნე”, ისე მისი შემოღების ინიციატორ ქვეყანას. ეკონომიკური სანქციების წარმატების, ან წარუმატებლობის შესასწავლად საჭიროა ცალკ-ცალკე განვიხილოთ „სამიზნე” ქვეყნის პროდუქციის ექსპორტის შეზღუდვის შემდეგი ორი შემთხვევა: **1. სრული ემბარგო.,** და **2. ნაწილობრივი ემბარგო.** ემბარგო განსხვავებულად ზემოქმედებს „სამიზნე” ქვეყნის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე. „სამიზნე” ქვეყნის მიმართ პროდუქციის გაყიდვაზე გამოცხადებული ემბარგო აქვეითებს სამამულო ფასებს ამ ქვეყანაში, რაც აუმჯობესებს მის მომხმარებელთა კეთილდღეობას. ემბარგო წამგებიანია როგორც „სამიზნე” ქვეყნისათვის, ისე მისი შემოღების ინიციატორი მხარისათვის. იმავდროულად სანქციები ხშირად ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ბუნებრივია, ისმის ასეთი კითხვა: თუ ემბარგო აზარალებს ორივე მოვაჭრე მხარეს, მაშინ რატომ გამოიყენება იგი? მით უმეტეს, თუ მას ყოველთვის არ მოაქვს

სასურველი შედეგი? არსებობს სანქციების დაწესების პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივები.

პოლიტიკური მოტივით ემბარგო წესდება მაშინ, როცა ინიციატორ ქვეყანას სურს „სამიზნე" ქვეყნის საგარეო პოლიტიკა შეცვალოს მის სასარგებლოდ, თუნდაც ამ სანქციის ეკონომიკური ზარალი მისთვის იყოს ძალზე დიდი. ასეთი პოლიტიკური სანქციები გამოიყენება იმ ქვეყნების წინააღმდეგ, სადაც არის მართვის დიქტატორული სისტემა. ამის მაგალითია სადამ ჰუსეინის ჯერ კუვეითიდან, ხოლო შემდეგ კი ერაყიდან განდევნა. მსგავსი სანქციები შემოღებულ იქნა გაეროს მიერაც 1986 წელს სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ. ემბარგო შეიძლება დაწესდეს ეკონომიკური მოტივითაც, სავაჭრო ემბარგოს გამოცხადების შედეგად მიღებული ეკონომიკური ზარალი გვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რატომ აღწევს ზოგიერთ შემთხვევაში ემბარგო დასახულ მიზანს, ზოგიერთ შემთხვევაში კი – არა.

თუ სანქცირებულ პროდუქციაზე არსებული მოთხოვნის ელასტიურობა მაღალია ემბარგოს შემოღების ინიციატორ ქვეყანაში (ან ქვეყანათა ჯგუფში), ხოლო „სამიზნე" ქვეყანაში კი ეს მაჩვენებელი დაბალია, მაშინ ემბარგოს, ან სხვა ნებისმიერი სახის ეკონომიკური სანქციის შემოღებას გააჩნია დიდი ეკონომიკური ეფექტი. ეს ანალიზი იძლევა შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

1. დიდი ქვეყნები ზეწოლას ახდენენ მცირე ერებზე. ქვეყანას, ან ქვეყანათა ჯგუფს, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ვაჭრობაში, შეუძლია სანქციები შემოიღოს მცირე ერების წინააღმდეგ, დიდი ძალისხმევის გაწევის გარეშეც კი. რეალურ სამყაროში დიდ ქვეყანას აქვს უფრო მაღალი დონის ელასტიურობის მქონე მიწოდების მრუდი, რადგანაც მას გააჩნია, „სამიზნე" ქვეყნის საზღვრების გარეთ მდებარე ბაზრებზე, მანევრირების უფრო მეტი შესაძლებლობა, ვიდრე პატარა ქვეყანას. იმავდროულად, „სამიზნე" ქვეყანა, როგორც წესი, საკუთარი ვაჭრობით უფრო მეტად არის დამოკიდებული მის წინააღმდეგ ემბარგოს შემომღებ, დიდ ქვეყანაზე. შესაბამისად, მისი მოთხოვნისა და მიწოდების მრუდები უფრო ნაკლებად ელასტიურია;

2. სანქციის შემოღების შედეგად წარმატების მიღების უფრო მეტი შანსი იქნება, თუ იგი ხანმოკლე ხასიათს ატარებს და აქვს გადამწყვეტი ხასიათი. ზარალი მით უფრო დიდია, რაც უფრო დაბალია „სამიზნე" ქვეყნის სავაჭრო ელასტიურობა. ელასტიურობის ხარისხი, როგორც წესი, ძალზე დაბალია ხანმოკლე პერსპექტივაში და იგი მით უფრო დაბალია, სამამულო პროდუქციის რაც უფრო დიდი ნაწილი ექვემდებარება ემბარგოს. თუ ემბარგოს შემოღებამდე „სამიზნე" ქვეყანას ექნება საკმარისი დრო მოსამზადებლად, მან შეიძლება წინასწარ დააგროვოს მარაგი, ან მოძებნოს ალტერნატიული მიმწოდებელი და გამსაღებელი;

3. **პოლიტიკური მოტივით დაწესებული ემბარგოს წარმატების შანსი მაღალია მაშინ, თუ მოქალაქეები, რომლებიც განიცდიან ემბარგოს, გააჩნიათ იმის შესაძლებლობა, რომ ზეგავლენა მოახდინონ თავიანთი ქვეყნის მმართველობაზე.**

ეს სამი დასკვნა გვიჩვენებს იმას, თუ რატომ არ მოაქვს ემბარგოს ყოველთვის სასურველი შედეგი. მაგალითად, 1950 წელს ირანის წინააღმდეგ ამერიკის მიერ დაწესებული სანქციები, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სანქციები. ამ დროს სამიზნე ქვეყნებს გააჩნდათ მიწოდების მაღალი ელასტიურობის დონე. სწორედ ამიტომ ითხოვს ამერიკა ასე ინტენსიურად გაეროს მხარდაჭერას სანქციებთან მიმართებაში. ამ მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მართლაც გაუწია მხარდაჭერა ამერიკას ემბარგოს დაწესებაში ერაყის, სერბეთის, სომალის, ლიბიის, ანგოლასა და სამხრეთ აფრიკის წინააღმდეგ. ასეთი სანქციების დაწესებას აპირებს ამერიკა იმ ფირმებზე, რომლებიც კაპიტალს დააბანდებენ ირანის ნავთობის მრეწველობაში. უცხოეთის სახელმწიფოები სწრაფად გამოხატავენ უარყოფით რეაქციას მათ ფირმებზე ასეთი ზეწოლის მიმართ.[1]

---

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. с англ. М. изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 237 -- 264 с.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია რეგიონული სავაჭრო ბლოკები და ეკონომიკური ინტეგრაციები. არსებობს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის შემდეგი ძირითადი ფორმები: თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ზონა, საბაჟო კავშირი, საერთო ბაზარი, სრული ეკონომიკური კავშირი;

2. დისკრიმინაციით ვაჭრობის ერთ-ერთი გამოხატულებაა დემპინგი. უცხოეთის ბაზრებზე შიდა ფასებთან შედარებით საქონლის უფრო იაფად (ზოგჯერ თვითღირებულებაზე დაბალ ფასადაც კი) გაყიდვას დემპინგი ეწოდება. განასხვავებენ ორი სახის დემპინგს. ესენია: დროებითი (ანუ დანაშაულებრივი) და მუდმივი დემპინგი;

3. მუდმივი დემპინგი, თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე, გრძელდება განუსაზღვრელი ვადით. დემპინიგის განხორციელების მთავარი მიზანი არის მოცემული ბაზრიდან მოქმედი კონკურენტების განდევნა;

4. მსოფლიოში გავრცელება ჰპოვა სავაჭრო რეგიონული ბლოკების შემდეგმა სახეებმა: ევროკავშირი, ჩრდილო-ამერიკული ბლოკი, თავისუფალი ვაჭრობის კანადურ-ამერიკული ზონა, მექსიკისა და NAFTA-ს ლიბერალიზაცია, თავისუფალი სავაჭრო ზონები განვითარებად ქვეყნებს შორის და ა. შ;

5. დიდი ქვეყნები ზეწოლას ახდენენ მცირე ერებზე. სანქციის შემოღების შედეგად წარმატების მიღების უფრო მეტი შანსი იქნება, თუ იგი ხანმოკლე ხასიათს ატარებს და აქვს გადამწყვეტი ხასიათი.

ძირითადი ტერმინოლოგია

- კოლექტიური მოქმედება;
- თავისუფალი ვაჭრობის მხარდაჭერის არგუმენტი;
- თავისუფალი ვაჭრობის ზონა;
- პოლიტიკური არგუმენტი ვაჭრობის სასარგებლოდ;
- პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმება. სავაჭრო ომი.

ამოცანები

1. მცირე ქვეყანა ახორციელებს X საქონლის იმპორტირებას, რომლის მსოფლიო ფასია 10 დოლარი. ამ ქვეყანაში მოცემული საქონლის მიწოდების მრუდი განისაზღვრება შემდეგი განტოლებით: S = 50 + 5 P, ხოლო მოთხოვნის მრუდის გამოსათვლელი განტოლებაა: D = 400 – 10 P, დავუშვათ, X საქონლის ყოველ ერთეულზე ქვეყანამ დააწესა სპეციფიკური საბაჟო ტარიფი 5 დოლარის ოდენობით, გაიანგარიშეთ საბაჟო ტარიფის გავლენა:

ა) მომხმარებელთა კეთილდღეობაზე;

ბ) ქვეყანაში X საქონლის მწარმოებელთა შემოსავლებზე;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

დ) მთელი ქვეყნის კეთილდღეობაზე;

2. ბრაზილია აწესებს ტარიფს შაქრის ექსპორტზე: ერთ ტონაზე 20 დოლარის ოდენობით.

	უტარიფოდ	ტარიფით
შაქრის მსოფლიო ფასი	1 ტონაზე 300 დოლარი	ტონაზე 300 დოლარი
შიდა მოხმარების მოცულობა	6 მლნ. ტონა	8 მლნ. ტონა
შიდა წარმოების მოცულობა	22 მლნ. ტონა	20 მლნ. ტონა

ცხრილში მოყვანილი მონაცემების საფუძველზე გაიანგარიშეთ შემდეგი სიდიდეები:

ა) ბრაზილიური შაქრის მომხმარებლის მიერ საექსპორტო ტარიფის დაწესების შედეგად მიღებული მოგება;

ბ) ბრაზილიური შაქრის მწარმოებლის მიერ საექსპორტო ტარიფის დაწესების შედეგად მიღებული ზარალი

გ) სატარიფო მოსაკრებლების საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მიღებული შემოსავლები;

დ) შაქარზე საექსპორტო ბაჟის დაწესების წმინდა ეფექტი მთელი ქვეყნისათვის.

თავი X

ექსპორტის სტიმულირება

აუცილებელია, რომ შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც მიდის საზღვარგარეთ ფულისა თუ საქონლის ფორმით, უკან ბრუნდებოდეს ქვეყანაში.

ფ. ძენე

მეექვსე თავში, საგარეო ვაჭრობის სატარიფო ბარიერებით რეგულირების ანალიზის დროს აღვნიშნეთ, რომ საბაჟო ტარიფებით ძირითადად ხდება უცხოური საქონლის იმპორტის მოცულობის რეგულირება. სატარიფო ბარიერთა მეშვეობით ექსპორტის რეგულირების ანალიზის დროს კი მივედით იმ დასკვნამდე, რომ არსებობს მხოლოდ ოთხი გამონაკლისი შემთხვევა, როცა გამართლებულია საექსპორტო ბაჟებით სამამულო პროდუქციის უცხოეთში ექსპორტის მოცულობის რაოდენობრივი შეზღუდვა. გარდა ამ ოთხი შემთხვევისა, ექსპორტს არა თუ ზღუდავენ, არამედ ახდენენ მის სტიმულირებას. არსებობს ექსპორტის სტიმულირების მრავალი მეთოდი, რომელთაგან ყველაზე ყფრო გავრცელებულია საექსპორტო სუბსიდიები.

საექსპორტო დარგთა პირდაპირი ფინანსური სუბსიდირება საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, აკრძალულია და იგი მიჩნეულია „არაკეთილსინდისიერი კონკურენციის" ნაირსახეობად. საექსპორტო სუბსიდიები გულისხმობს საექსპორტო საწარმოთა დანაკარგების კომპენსაციას, რაც შეიძლება გამოიხატოს ექსპორტიორთათვის სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევაში (გასაღების ბაზრების შესახებ ინფორმაციების მოპოვებაში, სავაჭრო გამოფენების ორგანიზებისათვის დახმარების გაწევაში, უცხოელ პარტნიორებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების დამყარების მხარდაჭერაში და ა. შ.).

§ X. 1. საექსპორტო სუბსიდიის გავლენა ქვეყნის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე და საგარეო ვაჭრობის პირობებზე

თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში შეიმჩნევა კიდევ ერთი კანონზომიერება: ქვეყნები, რომლებიც ახდენენ ექსპორტის სტიმულირებას, იმპორტთან მიმართებაში აწარმოებენ შემზღუდავ პოლიტიკას, ეს მაშინ, როცა ექსპორტის სუბსიდირება იმავდროულად ნიშნავს იმპორტის წახალისებასაც, რადგანაც საექსპორტო სუბსიდიები იწვევს ვალუტის კურსის ზრდას, რაც აიაფებს იმპორტულ ნაწარმს ქვეყანაში.

საერთაშორისო ორგანიზაციები უფლებას აძლევენ იმპორტიორ ქვეყნებს უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქციის სუბსიდირების შემჩნევისას მიიღონ საპასუხო ზომები -- „საკომპენსაციო ბაჟების" შემოღების სახით. საერთაშორისო სამართლის მიხედვით, არსებობს ექსპორტის სუბსიდირების ნებადართული მეთოდებიც: მაგალითად, სახელმწიფოს მიერ ექსპორტიორთათვის საგადასახადო შეღავათების დაწესება, ან მათი პროდუქციის მყიდველ უცხოელ კლიენტებზე, მინიმალური საპროცენტო განაკვეთების მქონე სესხების გაცემა. და ა. შ. სახელმწიფო მნიშვნელოვნად უნდა უწყობდეს ხელს სამამულო პროდუქციის უცხოეთში რეალიზაციას. ის უნდა აწვდიდეს სწორ ინფორმაციას უცხოელ კლიენტებს საექსპორტო საქონლის ხარისხის შესახებ, შეღავათს უნდა აძლევდეს საექსპორტო დარგებს საგადასახადო დავალიანებათა დაფარვის დროს და ა. შ.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს მრავალმა მაღალგანვითარებულმა ქვეყანამ უარყო ფერმერთა დაფინანსების მხარდამჭერი პოლიტიკა, რომელიც მოიცავდა ჭარბ აგრარულ პროდუქციაზე საგადასახადო შეღავათების დაწესებას, გასაღების გარანტირებული ბაზრებით უზრუნველყოფას, სათესი მიწების დაუმუშავებლობისა და დასვენებისათვის პრემიების გაცემას და ა. შ. ფერმერთა შემოსავლების მხარდამჭერ პოლიტიკაზე გაწეულ სახელმწიფო დანახარჯთა შემცირების მიზნით, დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის

ქვეყნები ჭარბ აგრარულ პროდუქციას საზღვარგარეთ ყიდიან გაცილებით უფრო იაფად, ვიდრე შიდა ბაზარზე.

დაუბრკოლებლად უნდა იმპორტირდეს თუ არა სუბსიდირებული პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში? პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია სამამულო მეწარმეთა ლობირების დონე და მომხმარებელთა ანტიინფლაციური განწყობა?

თუ იმპორტიორი ქვეყანა სუბსიდირებული პროდუქციის იმპორტზე დააწესებს საკომპენსაციო ბაჟს, მაშინ ვაჭრობის მოცულობა და ფასები კვლავ ადრინდელ, სუბსიდირებამდე არსებულ, დონეს გაუტოლდება. მაგრამ ამ შემთხვევაში განსხვავება ისაა, რომ მოგების ის ნაწილი, რომელიც ადრე სუბსიდირების გამწევ, ექსპორტიორ ქვეყანას რჩებოდა, უკვე გადაინაცვლებს იმპორტიორ ქვეყანაში.

საექსპორტო სუბსიდიების გავლენა საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე. საექსპორტო სუბსიდიები წარმოადგენს საზღვარგარეთ საქონლის ექსპორტიორი კერძო ფირმებისათვის ფანანსური სახსრების გადახდას. საბაჟო გადასახადების მსგავსად, საექსპორტო სუბსიდიები შეიძლება იყოს სპეციფიკური (საქონლის ერთეულზე დაწესებული ფიქსირებული თანხა), ან ღირებულებითი (საექსპორტო პროდუქციის ღირებულების პროცენტი).

ნახ. X. 1.-ზე ნაჩვენებია საექსპორტო სუბსიდიის შემოღების შედეგები, როგორც მწარმოებლისათვის, ისე მომხმარებლისა და მთლიანი ქვეყნისათვის. ექსპორტიორ ქვეყანაში ფასი იზრდება P_w-დან P_s-მდე, ხოლო იმპორტიორ ქვეყანაში კი იგი მცირდება P_w-დან P_s*-მდე, ამიტომ ფასთა შორის წარმოიქმნება სუბსიდიის ოდენობის სხვაობა. ექსპორტიორ ქვეყანაში მწარმოებლები მოგებულნი რჩებიან, მაგრამ მომხმა-



ნახ. X. 1. საექსპორტო სუბსიდიის შემოღების შედეგი

რებელთა კეთილდღეობა უარესდება.

მომხმარებელთა დანაკარგები შეესაბამება a + b უბანს. მწარმოებელთა მოგება კი – a + b + c ფართს. სახელმწიფო სუბსიდიის მოცულობა შეესაბამება b+ c + d + e + f + g ფართობს. შესაბამისად, საექსპორტო სუბსიდიის შემოღების შედეგად გამოწვეული ჯამური ზარალი შეესაბამება b + d + e + f + g ფართობს. b+d უბანი, საბაჟო ტარიფების შემოღების მსგავსად, შეესაბამება იმ ზარალს, რაც გამოწვეულია წარმოებისა და მოხმარების სტიმულის დაქვეითებით. მაგრამ, საბაჟო ტარიფისაგან განსხვავებით, საექსპორტო სუბსიდიის შემოღება აუარესებს მისი შემოღების ინიციატორი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს, რადგანაც იგი საგარეო ბაზარზე იწვევს ამ ქვეყნის მიერ წარმოებული სუბსიდირებული პროდუქციის ფასის P_w-დან P_s*-მდე ვარდნას. ეს იწვევს ამ ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობების e + f + g სიდიდით გაუარესებას, რომელიც P_w – P_s* ფასთა შორის არსებული სხვაობისა და სუბსიდირებულად ექსპორტირებული საქონლის რაოდენობის ნამრავლის ტოლია. ამრიგად, საექსპორტო სუბსიდიის შემოღებით გამოწვეული ზარალი აშკარად აჭარბებს მისგან მიღებულ მოგებას.

§ X. 2. ევროკავშირის აგრარული პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირების პოლიტიკა

სუბსიდია ევროკავშირში თავდაპირველად შემოიღეს ფერმერთა საქმიანობის წახალისების მიზნით, აგრარულ პროდუქციაზე მაღალი ფასების შესანარჩუნებლად. იმპორტული სურსათის მხრიდან გამოწვეული კონკურენციისაგან სამამულო საწარმოოთა დასაცავად შემოღებული იქნა საიმპორტო ტარიფები, რომელიც აკომპენსირებდა ევროპულ და მსოფლიო ფასთა შორის არსებულ სხვაობას.

მაგრამ 1970-იანი წლებიდან ფასის მხარდამჭერი პოლიტიკა იქამდე მივიდა, რომ სამამულო აგრარული პროდუქციის

წარმოებამ ბევრად გადააჭარბა ადგილობრივ მომხმარებელთა საჭიროებას. ევროკავშირი იძულებული გახდა სამამულო აგრარული ფერმერებისაგან სუბსიდირებულ ფასად შეესყიდა აგრარული პროდუქციის მსხვილი პარტია და შედეგად დაეგროვებინა სურსათის უდიდესი მარაგი: მაგალითად, ჯერ კიდევ 1985 წელს ევროკავშირის საწყობებში ინახებოდა 780 ათასი ტონა გავიადინა, 1,2 მლნ. ტონა ხორცი, 12 მლნ. ტონა ხორბალი და ა. შ. იმისათვის რომ, ევროკავშირს შეეჩერებინა დაგროვების ეს პროცესი, იგი იძულებული გახდა გადასულიყო ექსპორტის აგრესიული სუბსიდირების პოლიტიკაზე. საექსპორტო სუბსიდია იმ ოდენობით დაწესდა, რომ მას დაეკომპენსირებინა აგრარული პროდუქციის ევროპულ და მსოფლიო ფასებს შორის არსებული სხვაობა.

სუბსიდირებული ევროპული აგრარული საქონლის ექსპორტმა თავად გამოიწვია მსოფლიო ფასთა ვარდნა აგრარულ პროდუქციაზე, რამაც სხვა ქვეყნებიც აიძულა გადასულიყო აგრარული პროდუქციის ექსპორტის აგრესიულ სუბსიდირებაზე. აგრარული პროდუქციის წარმოების ევროპულმა სუბსიდირებამ ისეთი მოქნილი სახე მიიღო რომ, მას ბევრი წინააღმდეგობა არ შეხვედრია მოსახლეობის მხრიდან. მისი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა მხოლოდ აშშ, რომელმაც წამოაყენა ულტიმატივი, რომ ევროკავშირს 2000 წლისათვის საერთოდ მოეხსნა აგრარული პროდუქციის გატანაზე დაწესებული საექსპორტო სუბსიდია. მაგრამ ევროპელ აგრარულ მეწარმეთა მხრიდან ევროკავშირის მთავრობაზე გავლენა იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ ევროკავშირმა მთლიანად მაინც არ მოხსნა საექსპორტო სუბსიდიები სამამულო აგრარულ პროდუქციაზე, არამედ იგი დააქვეითა მხოლოდ 1/3 სიდიდით 2000 – 06 წლებში.

საექსპორტო სუბსიდიის გავლენა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე. რა მოტივითაც არ უნდა იქნეს შემოღებული საექსპორტო სუბსიდია, იგი ყოველთვის მოქმედებს ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე. მისი ანალიზი შეიძლება მოხდეს საგარეო ვაჭრობის სტანდარტული მოდელით. საექსპორტო სუბსიდია იწვევს მოცემული პროდუქციის სამამულო და მსოფლიო ფასთა შორის განსხვავებას. საექს-

პორტო სუბსიდია სტიმულს აძლევს მეწარმეებს მათი პროდუქციის საზღვარგარეთ გასაყიდად. ამიტომ, თუ შიდა ბაზარზე ფასები არ იქნება უფრო მაღალი საზღვარგარეთულთან შედარებით, მაშინ მეწარმისათვის უფრო მომგებიანი იქნება მისი პროდუქცია გაყიდოს შიდა ბაზარზე. ამრიგად, სუბსიდია ზრდის ექსპორტაბელური საქონლის ფასს ქვეყნის შიგნით.

საექსპორტო სუბსიდიის შემოღების შედეგად გამოწვეულ ფასთა ცვლილება გავლენს ახდენს როგორც შეფარდებით მოთხოვნაზე, ისე შეფარდებით მიწოდებაზე. ამის შედეგად, იცვლება მოცემული ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებიც. როგორც ცნობილია, საგარეო ვაჭრობის პირობები გაინსაზღვრება იმის მიხედვით, თუ ერთეული პროდუქციის ექსპორტით რა რაოდენობის იმპორტული პროდუქციის შეძენაა შესაძლებელი. შესაბამისად, საგარეო ვაჭრობის პირობები განისაზღვრება საგარეო სავაჭრო ფასებით და არა შიდა ბაზრის ფასებით.

საექსპორტო სუბსიდია განიხილება, როგორც მოქნილი ეკონომიკური ბერკეტი, რომელიც მიმართულია სამამულო წარმოების დასაცავად, მაგრამ მათი გავლენა საგარეო სავაჭრო პირობებზე ფრიად განსხვავებულია შესაბამისი სიდიდის საიმპორტო ტარიფის გამოყენებით მიღებული ეფექტისაგან. საექსპორტო სუბსიდია ფასებს ზრდის შიდა ბაზარზე. ეს მეწარმეს უბიძგებს გამოუშვას უფრო მეტი რაოდენობის პროდუქცია, ხოლო ადგილობრივი მომხმარებელი კი შეამცირებს მის მოხმარებას. საექსპორტო სუბსიდიების შემოღება ზრდის ამ პროდუქციის მსოფლიო მიწოდებას და ამცირებს მასზე არსებულ სამამულო მოთხოვნას. ამის შედეგად, ნახ. X. 2.-ზე წონასწორობის წერტილი გადაინაცვლებს 1 მდგომარეობიდან 2 მდგომარეობაში. საექსპორტო სუბსიდიების შემოღება აუარესებს მოცემული ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს და აუმჯობესებს საზღვარგარეთისას.

საექსპორტო სუბსიდიების შემოღება ქვეყანაში ზრდის საექსპორტო საქონლის ერთობლივ მიწოდებას და ზღუდავს მასზე არსებულ ერთობლივ მოთხოვნას, საგარეო ვაჭრობის პირობების გაუარესების შედეგად. ქვეყნის საგარეო ვაჭ-

რობის პირობებზე საექსპორტო სუბსიდიების გავლენა აისახება მისი კეთილდღეობის გაუარესებაში და დანარჩენი ქვეყნების კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ეს მაშინ, როცა VI თავში საიმპორტო ტარიფების შემოღებას საპირისპირო შედეგი გააჩნდა.



ნახ. X. 2. საექსპორტო სუბსიდიის გავლენა საგარეო ვაჭრობის პირობებზე

საექსპორტო სუბსიდია იწვევს საწინააღმდეგო ეფექტს, ვიდრე შესაბამისი ექვივალენტის საიმპორტო ტარიფის შემოღება. პროდუქციის შეფარდებითი მსოფლიო მიწოდება იზრდება ხოლო, მისი შეფარდებითი მსოფლიო მოთხოვნა კი - ქვეითდება. ამ დროს მოცემული ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობები უარესდება, რადგანაც პროდუქციის შეფარდებითი მსოფლიო ფასები ეცემა.

§ X. 3. სახელმწიფოს როლი ეხსპორტის წახალისებაში

სამამულო პროდუქციის საზღვარგარეთ ექსპორტი ქვეყანაში წარმოების განვითარების ხელშემწყობი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. ამიტომ სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს ექსპორტის სტიმულირებას, რადგანაც წარმოებისა და დასაქმების ზრდასთან ერთად, ვითარდება შესაბამისი საბაზრო ინფრასტრუქტურა. არსებობს ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების მრავალი მექანიზმი. პირდაპირი სუბსიდია თანამედროვე ეტაპზე არის ექსპორტის სტიმულირების საკმაოდ გავრცელებული და აგრესიული ფორმა. სახელმწიფო სუბსიდიებში იგულისხმება საქონელმწარმოებელთა დანაკარგების კომპენსაცია ფულადი სახსრების პირდაპირი გაცემით,

მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი ხორციელდება სხვა სახის დახმარებითაც. ეს შეიძლება გამოიხატოს ექსპორტიორებისათვის მომსახურების გაწევაში, მაგალითად: ინფორმაციის მიწოდება, სავაჭრო გამოფენების ორგანიზებაში დახმარება და ა. შ. [1]

სუბსიდირების მთავარი მიზანია საქონელმწარმოებელთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება. სუბსიდიების გამოყენება მკაცრადაა რეგლამენტირებული ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირებაში დიდი მნიშვნელობა აქვს კრედიტებსა და უცხოურ დახმარებებს. სახელმწიფო საექსპორტო კრედიტს იძლევა კომერციულ ბანკებთან შედარებით უკეთესი პირობებით. ექსპორტის ხელშესაწყობად აგრეთვე გამოიყენება მისი შერეული დაკრედიტება, სახელმწიფო და კერძო ფინანსური სახსრების შერწყმის გზით, როცა კრედიტების შეღავათიან და საბაზრო განაკვეთებს შორის სხვაობას ფარავს სახელმწიფო. მაღალგანვითარებული ქვეყნები, თავიანთი პროდუქციის „ღარიბ" ქვეყნებში რეალიზაციის წასახალისებლად, განვითარებად ქვეყნებს აძლევენ შეღავათიან, ან უპროცენტო, გრძელვადიან სესხებს. ისინი ირიბად აფინანსებენ მათივე ქვეყნის პროდუქციის ექსპორტს. ამნაირად ფინანსდება მათი ექსპორტის დაახლოებით 1/10 ნაწილი. „მესამე სამყაროს" ქვეყნებზე ამ მოტივით შეღავათიანი კრედიტების გაცემა უმეტესად პოლიტიკურ მიზანს ემსახურება. განვითარებადი ქვეყნები, ამნაირი სესხების აღებით კიდევ უფრო იმძიმებენ თავიანთ საგარეო დავალიანებას.

ექსპორტის სახელმწიფო სტიმულირების ერთ-ერთი მეთოდია კომერციული და პოლიტიკური რისკების დაზღვევა. ასეთ რისკებს განეკუთვნება: სავალუტო რისკის დაზღვევა, სამამულო ფირმების ნედლეულზე ფასთა მკვეთრი რყევისაგან დაზღვევა და ა. შ. ამ დროს კომერციული რისკისაგან დაზღვევა ხდება სახელმწიფო გარანტიებით. ექსპორტის სტიმულირებისათვის ფართოდ გამოიყენება საგადასახადო

[1] ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: "მერიდიანი და კაბადონი". თბილისი. 1997. გვ. 155.

შეღავათები. სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს მასტიმულირებელი საექსპორტო პოლიტიკა, რომლის მეშვეობითაც მთავრობა სისტემატურად უნდა სრულყოფეს სამამულო ნაწარმის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ, ირიბი გავლენის მქონე, საშუალებებს -- სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სტანდარტებისა და ხარისხის რეგლამენტირების, სამამულო საქონლის პროპაგანდის და სხვა ღონისძიებათა გატარების გზით.

რეზიუმე

1. ამ თავში გაანალიზებულია ექსპორტის სტიმულირების შესაძლებობები. არსებობს ექსპორტის სტიმულირების მრავალი მექანიზმი, რომელთა შორის ყველზე უფრო გავრცელებულია საექსპორტო სუბსიდიები. სახელმწიფო სუბსიდიებში იგულისხმება საქონელმწარმოებელთა დანაკარგების კომპენსაცია ფულადი სახსრების პირდაპირი გაცემის გზით, მაგრამ ხშირ შემთხვევაში იგი ხორციელდება სხვა სახის დახმარებათა გაწევითაც. ეს შეიძლება გამოიხატოს ექსპორტიორებისათვის მომსახურების გაწევაში, გასაღების ბაზრების შესახებ მათთვის ინფორმაციის მიწოდებაში, სავაჭრო გამოფენების ორგანიზებისას დახმარებაში და ა. შ;

2. ექსპორტის პირდაპირი ფინანსური მხარდაჭერა, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, აკრძალულია, გარდა მძაფრი კონკურენციის მქონე დარგებისა (სოფლის მეურნეობა, თვითმფრინავთმშენებლობა, გემთმშენებლობა და ა. შ.) საექსპორტო სუბსიდიების შემოღების შემთხვევაში პარტნიორ მხარეს უფლება აქვს შემოიღოს საკომპენსაციო ბაჟები;

3. საექსპორტო სუბსიდიის დაწესება გავლენას ახდენს ქვეყნის საგარეო სავაჭრო პირობებზე. კერძოდ, იგი აუარესებს საექსპორტო სუბსიდიის შემოღების ინიციატორი ქვეყნის საგარეო სავაჭრო პირობებს და აუმჯობესებს მისი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის პირობებს;

4. სახელმწიფოს გააჩნია ექსპორტის სტიმულირების სხვა მეთოდებიც, რომელთა შორის აღსანიშნავია: შეღავათიანი

კრედიტების გაცემა, კომერციული და პოლიტიკური რისკების დაზღვევა, საგადასახადო შეღავათების დაწესება, საექსპორტო პოლიტიკის შემუშავება და ა. შ;

5. სახელმწიფო სისტემატურად უნდა სრულყოფდეს ეროვნული საქონლის კონკურენტუნარიანობაზე მოქმედ, ირიბი გავლენის მქონე საშუალებებს -- სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, სტანდარტებისა და ხარისხის რეგლამენტირების, სამამულო საქონლის პროპაგანდის და სხვა ღონისძიებათა გატარების გზით.

ძირითადი ტერმინოლოგია

- საექსპორტო სუბსიდია;
- კომერციული და პოლიტიკური რისკების დაზღვევა;
- საგადასახადო შეღავათები;
- საექსპორტო პოლიტიკის შემუშავება;
- ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა.

ამოცანები

1. ზოგიერთ ეკონომიკაში შეფარდებითი მიწოდება შეიძლება არ რეაგირებდეს ფასთა ცვლილებაზე. მაგალითად, წარმოების ფაქტორებს თუ არ შეუძლიათ სექტორებს შორის გადანაცვლება, მაშინ ზღვრული საწარმოო შესაძლებლობების მრუდი იქნება ვერტიკალური, ხოლო ამ საქონელთა წარმოების მოცულობა არ იქნება დამოკიდებული მათ შეფარდებით ფასებზე. შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ ამ დროს საგარეო ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება გამოიწვევს ერის კეთილდღეობის ზრდას? მოახდინეთ თქვენი პასუხის ილუსტრირება გრაფიკულად;

2. მიწოდების ანალიზის დროს წარმოების „უძრავ” ფაქტორთა არსებობის შემთხვევის საწინააღმდეგო არგუმენტია ფაქტორების ურთიერთჩანაცვლების შეუძლებლობის ვარიანტი. მოთხოვნის დროს ვთქვათ მოქმედებს ისეთი ეკონომიკა, სადაც მომხმარებელი საქონელს ყოველთვის იძენს მკაცრი პროპორციით, მათზე ფასთა ცვლილების მიუხედავად. აჩვე-

ნეთ, რომ ასეთი ეკონომიკაც მოიგებს ვაჭრობის პირობების გაუმჯობესების შედეგად;

3. იაპონია ძირითადად ახდენს გადამამუშავებელი მრეწ-ველობის დარგთა პროდუქციის ექსპორტს, ნავთობისა და სურსათის იმპორტს. გაანალიზეთ შემდეგი მოვლენების გავლენა იაპონიის საგარეო ვაჭრობის პირობებზე:

ა) ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ომი გამოიწვევს ნავ-თობის მიწოდების შეზღუდვას; ბ) სამხრეთ კორეა იწყებს ავტომობილების წარმოებას, რომელსაც იგი წარმატებით გა-ყიდის კანადასა და აშშ-ში; გ) ამერიკელი ინჟინრები ქმნიან თერმოატომურ რეაქტორს, რომელიც ჩაანაცვლებს ბუნებრივ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებს; დ) მოუსავლიანობა რუსეთში; ე) იაპონიის ხელმძღვანელობა ამცირებს საიმპორ-ტო ბაჟებს გავიადინაზე და ციტრუსზე;

4. დავუშვათ, რომ A და B ქვეყნები ფლობენ 2 ფაქ-ტორიან წარმოებას – შრომითა და კაპიტალით და იყენებენ მათ 2 საქონლის - X-ის და Y -ის საწარმოებლად. ორივე ქვეყანა იყენებს ერთი და იგივე ტექნოლოგიას. X საქონელი ითვლება კაპიტალტევადად, ხოლო A ქვეყანას გააჩნია ჭარბი სამუშაო ძალა. გაანალიზეთ შემდეგი მოვლენების გავლენა ორივე ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებზე და ერის კეთილდღეობაზე:

ა) A ქვეყანაში იზრდება კაპიტალის რაოდენობა; ბ) B ქვეყანაში იზრდება შრომის მიწოდება; გ) B ქვეყანაში იზ-რდება კაპიტალის რაოდენობა; დ) A ქვეყანაში იზრდება შრომის მიწოდება;

5. ვთქვათ ერთი ქვეყანა ახდენს მისი ექსპორტის სუბსი-დირებას ხოლო მეორე კი ამ ღონისძიების დასაკომპენ-სირებლად იღებს „შემხვედრ" საიმპორტო ბაჟს ისე, რომ საბოლოო ჯამში მათი შეფარდებითი ფასები დარჩება უცვლელი. რა მოუვა ასეთ ვითარებაში საგარეო ვაჭრობის პირობებს? როგორ შეიცვლება თითოეული ამ ქვეყნის ერის კეთილდღეობის დონე?

თავი XI

საერთაშორისო ვაჭრობა და გარემოს დაცვა

თანამედროვე ბიზნესმენს საქმე აქვს მთელს მსოფლიოსთან, უნდა ჩაწვდეს მის რთულ ხლართებს. „გვიანდელი კაპიტალიზმის" ახლანდელ პერიოდში მარტო მოგებაზე ზრუნვა შეუძლია მხოლოდ ძალიან ჩამორჩენილ ადამიანს, ან ისეთს, რომელსაც რატომღაც შენარჩუნებული აქვს ფეოდალური წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ წაუძღვეს საქმეს.

სეიმი ცუცუმი

ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა დამყარება გავლენას ახდენს არა მარტო მათ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ მათ გარემო პირობებსა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზეც. ხშირად საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს უარყოფით ეკოლოგიურ ეფექტს, რადგანაც ერთ სახელმწიფოში მიმდინარე ეკონომიკურმა საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს მეორე ქვეყნის წყლისა და საჰაერო სივრცის გაჭუჭყიანება, ან ერთი სახელმწიფო შეიძლება ფლანგავდეს იმ რესურსებს, რომლებზეც დამოკიდებულია სხვა ქვეყნები. გარემოს კატასტროფის საშიშროება სულ უფრო იძენს საერთაშორისო ხასიათს და ხდება აზრთა სხვადასხვაობის მიზეზი.

საერთაშორისო ვაჭრობა ყოველთვის იმყოფებოდა ეკოლოგიურ პრობლემათა ყურადღების ცენტრში, რადგანაც ხშირად სწორედ იგი ითვლება გარემოს გაჭუჭყიანების გამომწვევ ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. ზოგჯერ საგარეო ვაჭრობა ხდება საერთაშორისო ეკოლოგიური დისკუსიისა და კამათის წარმოქმნის ძირითადი წყარო. ამიტომ სახელმწიფომ მზარდი როლი უნდა ითამაშოს ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში, რადგანაც პოლიტიკასაც და პრობლემებსაც ახასიათებს საერთაშორისო ეფექტი.

§ XI. 1. საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა ქვეყნის ეკოლოგიაზე

გარემოს გაჭუჭყიანების შესახებ საგარეო ვაჭრობის მიმართ გამოთქმული ბრალდება იმითაა არგუმენტირებული, რომ იგი მართლაც აძლიერებს ეკოლოგიურ პრობლემებს. არსებობს ამ ბრალდებათა გამამართლებელი რამდენიმე მიზეზი, რომელთაც განეკუთვნება შემდეგი:

1. შეიძლება შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა **თავისუფალი ვაჭრობა ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად საზიანო საქონლის წარმოებასა და მასზე არსებული მოთხოვნის შემდგომ ზრდას.** ძნელია შეფასდეს რამდენად საფუძვლიანია ეს ბრალდება, მაგრამ შეიძლება მოვიყვანოთ საპირისპირო მაგალითიც, როცა სახელმწიფო პოლიტიკა საგარეო ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ ზიანს აყენებს გარე ატმოსფეროს. მაგალითად ამერიკის მიერ იაპონური ავტომობილების იმპორტის შეზღუდვამ მომხმარებელი გადართო სამამულო ავტომობილების შეძენაზე, რომლებიც იაპონურ ავტომობილებთან შედარებით უფრო მეტ საწვავს ხარჯავენ. ამან ხელი შეუწყო გარემოს გაჭუჭყიანების შემდგომ გაღრმავებას.

2. მეორე შესაძლო მიზეზი ისაა, რომ **თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი შესაძლებლობას იძლევა ქვეყნებს შორის საწარმოები გადანაწილდეს ნაკლებად მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტების მიხედვით.** „გაჭუჭყიანებისაგან ასეთნაირად გაქცეული" საქონლის მახასიათებელი სამომხმარებლო პარამეტრები აკმაყოფილებენ მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტების მქონე ქვეყნების მომხმარებელთა მოთხოვნას. ამის შედეგად უარესდება მსოფლიოს ეკოლოგიური მდგომარეობა.

3. მესამე შესაძლო მიზეზი ეს არის **საერთაშორისო ვაჭრობიდან მისაღები მოგება**. საერთაშორისო ვაჭრობა იწვევს შემოსავლების ზრდას მთელი მსოფლიო მასშტაბით. ბუნებრივია ჩნდება ასეთი კითხვები: გამოიწვევს თუ არა მოსახლეობის საშუალო შემოსავლების ზრდა გაჭუჭყიანების საერთო დონის ამაღლებას? გამოიწვევს თუ არა ეს ძნელად მოსაპოვებელი რესურსის ინტენსიურ გამოყენებას?



ნახ. XI 1. ეკოლოგიური პრობლემის დამოკიდებულება მოსახლეობის შემოსავლების დონესთან

იმისათვის რომ დავადგინოთ, თუ როგორ მოქმედებს შემოსავლების ზრდა გარემოს გაჭუჭყიანებაზე, მივმართოთ ნახ. XI. 1-ს, რომელზეც ნაჩვენებია გარემო პირობების მოსახლეობის ერთ სულზე მოსული შემოსავლების დონესთან დამოკიდებულება. ნახაზის ზედა მხარეს ვხედავთ, რომ გარემოს

ეკოლოგიური გაჯანსაღების პროცესი დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობასთან.[1]

ანალოგიური მოსაზრებით, შემოსავლების ზრდა იწვევს ჰაერის გაწმენდას ქალაქად, მაგრამ იგი ვერ დააქვეითებს ნახშირორჟანგის დონეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რადგანაც მზარდი ურბანიზაციის შედეგად ნახშირორჟანგის დონე ქალაქად უფრო მაღალია, ვიდრე სოფლად. გარკვეული პრობლემები ღრმავდება სიმდიდრის ზრდასთან ერთად, როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზის ქვედა მრუდზე. ბევრად უფრო მდიდარ ქვეყნებში ბევრია საწარმოო ნარჩენები, მეტია ნახშირორჟანგისა და ავტომობილების გამონაბოლქვი, რომელიც პოტენციურად ემუქრება დედამიწის კლიმატს.

ამრიგად, თავისუფალი ვაჭრობა მთლიანობაში არ ატარებს ანტიეკოლოგიურ ხასიათს, რადგანაც წარმოება იშვიათად გადადის ნაკლები სიმკაცრის სტანდარტების მქონე ქვეყნებში, გარემოს დაცვის მიზნით.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ანტიეკოლოგიური ხასიათი. თავისუფალი ვაჭრობა რომ არც ატარებდეს ანტიეკოლოგიურ ხასიათს, ხშირად გარემოს დამცველები მაინც ამტკიცებენ, რომ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის სამართალი არ აძლევს ქვეყნებს იმის საშუალებას, რომ გაატარონ გადამჭრელი ღონისძიებანი გარემოს დაცვის მიზნით, მაგრამ მთავრობა არც მთლად ისე უსუსურია ამ სფეროში.

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზანია ვაჭრობის ლიბერალიზაციის გაღრმავება, მაგრამ მისი საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმატივებში შეიმჩნევა ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მცდელობაც. ამ ორგანიზაციის მეცნიერ-მუშაკთა მტკიცების თანახმად, თავისუფალი ვაჭრობიდან ნებისმიერი გადახრა თავიანთ სასარგებლოდ შეიძლება გამოიყენონ პროტექციონისტებმა. ეს ეხება გარემოს დაცვით საკითხებს: **„არ უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქვეყნებს შორის დისკრიმინაციის განხორციე-**

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. с англ. М. изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 260 --288 с.

ლების საშუალებად, სადაც შემოღებული იქნება ფარული შეზღუდვები საერთაშორისო ვაჭრობაში.”

არსებობს სავაჭრო პოლიტიკის სამი მიმართულება, რომელსაც, ეკოლოგიური მოსაზრებიდან გამომდინარე, შეიძლება დაეფუძნოს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებიდან გადახრის სამართალებრივი საფუძვლები. კერძოდ, ეს მიმართულებებია:

1. გარემო პირობებზე ზარალის მიმცემი პროდუქციის მოხმარების შეზღუდვა. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების თანახმად, ქვეყნებს შეუძლიათ შემოიღონ საწარმოო სტანდარტები, ან მოხმარებაზე დაწესებული სხვა სახის შეზღუდვები, რათა დაცულ იქნეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობა, გარემოს ეკოლოგია და სასურსათო უსაფრთხოება, თუნდაც ეს პოლიტიკა ზღუდავდეს იმპორტს,

2. სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება მავნე ზეგავლენას ახდენდეს საზღვარგარეთის ქვეყნების ეკოლოგიაზე. შეუძლია თუ არა მთავრობას შეზღუდოს საქონლის იმპორტი, თუ ის ნაწარმოებია ისეთი ტექნოლოგიით, რომელიც არღვევს სხვა სახელმწიფოთა შიდა ეკოლოგიურ სტანდარტებს? ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესდების თანახმად, სხვა ქვეყნის მთავრობას არ შეუძლია ასეთი შეზღუდვების დაწესება, რათა ქვეყნებმა თავიანთი ეკოლოგიური პოლიტიკა არ გამოიყენონ დისკრიმინაციის იარაღად.

3. არსებობს გარკვეული პრობლემები, რომლებიც გლობალურია თავისი მასშტაბით და მათი გადაჭრა მოითხოვს სახელმწიფოთა შეთანხმებულ თანამშრომლობას. შეიძლება თუ არა, რომ ეკოლოგიის საკითხებში მრავალმხრივი შეთანხმება დაექვემდებაროს საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლს, ან ქვეყნის ვაჭრობაზე დაწესებულ სანქციას? აქ გამოიყოფა ორი მრავალმხრივი შეთანხმება: 1. კონვენცია იშვიათი ჯიშის ცხოველებით ვაჭრობის შესახებ; და 2. მონრეალის შეთანხმება.

§ XI. 2. გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის დაცვის „სპეციფიკურობის” წესი

როგორც ჩანს, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია ქმნის მკაცრად განსაზღვრულ მრავალმხრივ შეთანხმებებს ეკოლოგიურ პრობლემებთან მიმართებაში, რომლებიც მკაფიოდ საზღვრავს „თამაშის წესებს” ეკოლოგიურ საკითხებთან მიმართებაში. მაგრამ არ იქნა მიღებული ამ შეთანხმებებიდან გადახრის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ გადაწყვეტილებები. საერთაშორისო ვაჭრობასა და ეკოლოგიას შორის არსებული კავშირის უფრო კარგად გასაგებად საჭიროა მაკროეკონომიკური თეორიის ზოგიერთი საკვანძო საკითხის გახსენება. ეკოლოგიური ეფექტი, მაგალითად გარემოს გაჭუჭყიანება, მოითხოვს განსაკუთრებული პოლიტიკის გატარებას, მხოლოდ მაშინ, როცა იგი გამოწვეულია საგარეო ფაქტორებით.

გავიხსენოთ ისიც, რომ სადაც წარმოიქმნება საგარეო ფაქტორი, ის განპირობებულია კერძო და საზოგადოებრივ ინტერესთა შორის არსებული წინააღმდეგობით. კონკურენციული ბრძოლის პირობებში თუ სახელმწიფო არ ჩაერევა, მაშინ ადამიანები იწყებენ ინტენსიურ მუშაობას, რადგანაც ისინი არ ცნობენ საზოგადოებრივ პრობლემებს. გარემოს გაჭუჭყიანება ითვლება ისეთ საგარეო ეფექტად, რომელიც აზარალებს ყველას. საგარეო ფაქტორად ითვლება ძნელად მოსაპოვებელი რესურსების ათვისებაც.

ამ შემთხვევაშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს **სპეციფიკურობის წესი,** რომლის თანახმადაც უნდა ვიმოქმედოთ პრობლემის წარმომქმნელ წყაროზე: ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდება ის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც უშუალოდ იმოქმედებს კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის განსხვავების წარმოქმნის მიზეზზე. მაგალითად, თუ საწარმოოთა გამონაბოლქვი იწვევს ჰაერის გაჭუჭყიანებას, მაშინ საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება უნარჩენო ტექნოლოგიების გამოგონება, ან წარმოებაში ისეთი ტექნოლოგიების დანერგვა, რომლებიც მოახდენენ საწარმოო ნაცრენების უნაშთო უტილიზაციას. როგორც წესი, ეს უფრო

კარგად იმოქმედებს გარემოს ეკოლოგიურ გაჯანსაღებაზე, ვიდრე გადასახადების ზრდა, ვთქვათ გარემოს დამაბინძურებელი რესურსებით სარგებლობაზე, რადგანაც მსგავსი გადასახადების ზრდას კომპანიები ვერ აღიქვამენ გაჭუჭყიანების შემცირების მოთხოვნად.

1. **სახელმწიფოთა მიერ გადასახადებისა და სუბსიდიების გამოყენება.** მთავრობამ შეიძლება გადასახადებით დაბეგროს იმ ადამიანთა და კომპანიათა საქმიანობა, რომლებიც თავიანთი ქმედებით მავნე გავლენას ახდენენ გარემოზე. შესაბამისად, მთავრობას შეუძლია სუბსიდიები გასცეს იმ პირებზე, რომლებიც ზარალს განიცდიან ამ საგარეო ფაქტორთა მოქმედების შედეგად.

2. საკუთრების უფლების შეცვლა, ყველა რესურსის კერძო საკუთრებაში გადაცემის გზით. თუ ვინმე ფლობს რესურსს, ეს აძლევს მას იმის უფლებას, რომ ეს რესურსები მოიხმაროს სურვილისამებრ, თუ მოისურვებს მათი მეშვეობით გააჭუჭყიანოს კიდეც გარემო, ასეთ შემთხვევაში ის ფაქტი, თუ როგორ გამოიყენებენ მესაკუთრეები მათ მფლობელობაში გადასულ რესურსებს, დამოკიდებულია იმაზე, თუ რისთვის გამოიყენება ეს რესურსი.

პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა გავლენა ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. „სპეციფიკურობის" წესის საფუძველზე შესაძლებელი ხდება შემუშავებულ იქნეს გარემოს გაჭუჭყიანებაზე საერთაშორისო ვაჭრობის ზეგავლენის შესახებ მისაღებ გადაწყვეტილებათა ძირითადი მიმართულებანი. თუ შესაძლებელია ამ „სპეციფიკურობის" წესებს შორის არჩევანის გაკეთება, მაშინ უნდა შეირჩიოს ის წესი, რომელიც ყველაზე უფრო ეფექტურად იმოქმედებს პრობლემაზე: თუ საგარეო ეფექტი გამოხატულია გარემოს გაჭუჭყიანებაში, მაშინ უნდა გატარდეს ის ღონისძიებანი, რომლებიც „გააძვირებენ" ამ გაჭუჭყიანების პროცესს. თუ პრობლემა ბუნებრივი რესურსების გამოლევაშია, მაშინ მფლობელებს მათ შეძენაზე მთავრობამ უნდა გადაახდევინოს მეტი.

როცა ხდება არჩევანის გაკეთება უმოქმედობასა და ბაზარზე ჩარევას შორის, რომელიც დაკავშირებულია საგარეო ეფექტთან, საჭიროა შედარებით უკეთესი ვარიანტის არჩევა.

ამ დროს მთლიანი მსოფლიო უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ერთიანი სახელმწიფო, ან როგორც ცალკეული ქვეყნების ერთობლიობა, რომლებიც ვერ თანხმდებიან თანამშრომლობაზე. ამ დროს უნდა განვიხილოთ ორი უკიდურესი შემთხვევა: 1. როცა საერთაშორისო მოლაპარაკებებში სადავო ხდება გარემოს გაჭუჭყიანება; და 2. რესურსების გამოლევა: რაც უფრო დიდია საერთაშორისო თანამშრომლობის მასშტაბი, მით უფრო საგრძნობი ხდება პრობლემის გადაჭრის აუცილებლობა მთელი მსოფლიოსათვის.

თუ ქვეყნები ითანამშრომლებენ, როგორც ერთიანი სახელმწიფო, მაშინ საერთაშორისო ვაჭრობა აღარ ითამაშებს გადამწყვეტ როლს. ოპტიმალურ სამყაროში „ერთიანი მსოფლიოს მმართველობა" შეიმუშავებდა იმ საქმიანობის გადასახადებით დაბეგვრას, რომელიც იწვევს გარემოს გაჭუჭყიანებას. ეს კი ეკოლოგიის გაჯანსაღების პირდაპირ სტიმულად გადაიქცეოდა. ერთიან სამყაროში გადასახადები დაწესდებოდა თვით გაჭუჭყიანებაზე, რომელიც მიიღებდა საქონლის მოხმარებაზე, ან წარმოებაზე დაწესებული ტარიფის სახეს.

თუ ცალკეული ქვეყანა იძულებული იქნება იმოქმედოს ინდივიდუალურად, მაშინ სავაჭრო ბარიერები შეიძლება ჩაითვალოს „მეორე წესრიგის დამყარების შედარებით კარგ" ვარიანტად. ეს მაშინ მოხდება, თუ მოცემული ქვეყანა განიცდის გაჭუჭყიანებას უცხოური წარმოების, ან მოხმარების გამო (მაგ., როცა უცხოური ავტომობილები უშვებენ გამონაბოლქვს ჩვენგან ნაყიდი საწვავის მოხმარების შედეგად).

გადასახადი ამ შემთხვევაში ნიშნავს სახელმწიფო შეზღუდვების შემოღებას. იგი შეიძლება იყოს გადასახადი, რაოდენობრივი ქვოტა, ან პირდაპირი შეზღუდვა. აქ განიხილება მხოლოდ შედარებით უკეთესი საბაზრო-საწარმოო გადაწყვეტილება. ხშირ შემთხვევაში ბევრად უფრო პირდაპირ გადაწყვეტილებად მიჩნეულია მატერიალურ დანახარჯებზე, ან განსაკუთრებული ტექნოლოგიიის გამოყენებაზე გადასახადის დაწესება (მაგალითად თუჯის მოხმარებაზე, ან დიდი წვადობის მქონე ავტომობილებით სარგებლობაზე) და არა საბოლოო პროდუქტზე (მაგალითად, ელექტროობაზე).

§ XI. 3. საგარეო ვაჭრობა და შიდა დაჭუჭყიანება. დაბინძურების გავრცელება საზღვრების მეშვეობით

ეკონომიკური საქმიანობის შედეგად ხშირად ხდება ძლიერი შიდა დაჭუჭყიანება (ან ეკოლოგიის ანალოგიური გაუარესება). ამნაირად გაჭუჭყიანების შედეგად გამოწვეული ყველა დანაკარგი „გადადის ამ ქვეყნის მცხოვრებთა მხრებზე", თუ არ გატარდება მსგავსი საგარეო ეფექტის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. მსგავს შემთხვევაში საერთაშორისო ვაჭრობაზე ზეგავლენისათვის შეიძლება გაკეთდეს ორი საკვირველი დასკვნა:

1. თავისუფალმა ვაჭრობამ შეიძლება დააქვეითოს ერის კეთილდღეობა;

2. ქვეყანამ შეიძლება მოახდინოს იმ საქონლის ექსპორტი, რომლის იმპორტიც უნდა მოეხდინა.

ამ ვითარებაში გასარკვევად საჭიროა განვიხილოთ ის შემთხვევა, როცა დარგის საქმიანობა იწვევს წყლის – მდინარეების, ტბების, ან გრუნტის წყლების მნიშვნელოვან გაჭუჭყიანებას. მაგალითად, ასეთია ქაღალდის წარმოება. კომპანიისათვის ადვილია ქაღალდის ნარჩენები ჩაყაროს მდინარეში და ფირმამ ეს ქმედება შეიძლება ჩათვალოს თავისუფალ მეწარმეობად (თუ ქვეყანაში არ არის შემუშავებული ასეთი გაჭუჭყიანების შემზღუდავი სახელმწიფო პოლიტიკა).

თავისუფალი საგარეო ვაჭრობის პირობებში, ქაღალდის წარმოების კონტროლის არარსებობისას სამამულო წარმოება იაფი ქაღალდით შიდა ბაზრიდან განდევნის არა მარტო უცხოურ ნაწარმს, არამედ შემოსავლებს იძლევა ექსპორტიდანაც. მაგრამ ეკოლოგიური მოტივით ქაღალდის წარმოების დაბეგვრა აძვირებს ნაწარმს, რის გამოც ამ პროდუქციის ექსპორტი ჯერ მცირდება, შემდეგ კი – ქრება.

როცა შიდა წარმოება იწვევს გაჭუჭყიანებას, რომელიც ზიანის მომტანი ხდება ქვეყნისათვის, მაშინ საგარეო ვაჭრობის შესახებ კეთდება რამოდენიმე საკვირველი დასკვნა. თუ მთავრობა არ ატარებს გარემოს გაჭუჭყიანების შემზღუდავ პოლიტიკას, ფირმები აღარ გასწევენ დამატებით საზოგადოებრივ დანახარჯებს გაჭუჭყიანების შესამცირებლად,

რის წყალობით ისინი ახდენენ ექსპორტს. მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან გაჭუჭყიანების შემზღუდავი პოლიტიკის გატარების შემდეგ ერის კეთილდღეობა ქვეითდება, რის გამოც ფირმის კონკურენტუნარიანობა მცირდება. მისი ნაწარმი, არა თუ ექსპორტზე ვერ გავა, არამედ შიდა ბაზრის მნიშვნელოვან სეგმენტს დაუთმობს უცხოური ქაღალდის ნაწარმს.

მთავრობას შეუძლია გაჭუჭყიანებას თავი აარიდოს, თუ საერთოდ აკრძალავს ქაღალდის ექსპორტს. მაგრამ, „სპეციფიკურობის" წესის თანამხმად, ეს არ იქნება საუკეთესო სახელმწიფო პოლიტიკა. საუკეთესო პოლიტიკა იქნება ის მხოლოდ, რომელიც უშუალოდ ებრძვის გარემოს გაჭუჭყიანებას. მაგალითად, ქაღალდის წარმოებაზე წყლის გადასახადის დაწესება. ეს აიძულებს ფირმებს ხარჯები გასწიონ გაჭუჭყიანების შესამცირებლად, რაც ცვლის მათ ქცევას.

გაჭუჭყიანების საწინააღმდეგო პოლიტიკის არარსებობისას, საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა არარეალურია. სამეწარმეო საქმიანობით გამოწვეული გაჭუჭყიანების შემთხვევაში ქვეყანა ახდენს იმ საქონლის ექსპორტს, რომლის იმპორტიც უმჯობესი იქნებოდა მისთვის. ქვეყანას შეუძლია საერთაშორისო ვაჭრობის ამ არარეალური სტრუქტურის კორექტირება, თუ იგი მოსპობს გაჭუჭყიანების გამომწვევ წყაროს. ქაღალდის წარმოების შემთხვევაში მთავრობას გადასახადების შემოღების ნაცვლად შეეძლო გამოეცვალა წარმოების საკუთრების უფლება – მაგალითად, მდინარის კერძო პირზე მიყიდვის შემთხვევაში. ამ დროს ქაღალდის მეწარმე იძულებული იქნებოდა ამ კერძო მეპატრონისათვის გადაეხადა წყლით სარგებლობისათვის დაწესებული გადასახადი. ცხადია, სამამულო ფირმები „შეწუხდებიან", თუ მათ დაუწესებენ გადასახადს გარემოს გაჭუჭყიანებაზე. ეს კი გაზრდის მათ სამეწარმეო ხარჯებს, რაც დააქვეითებს სამამულო ნაწარმის გასაღების დონეს. სამამულო ნაწარმი „დამარცხდება" ალტერნატიულ იმპორტულ საქონელთან გასაღების სფეროში გამართულ კონკურენციაში.

რა უნდა გააკეთოს ასეთ შემთხვევაში ეკოლოგიურ მოტივზე გადასახადის შემოტანის ინიციატორმა ქვეყანამ, რომელიც უცხოელების მხრიდან განიცდის ეკოლოგიურ დემ-

პინგს? შემოიღოს უნდა თუ არა მან მაკომპენსირებელი ანტიდემპინგური გადასახადი? უცხოური ფირმების ანტიეკოლოგიური ქმედებები გააჭუჭყიანებს მათი ქვეყნების გარემოს, რაც დააზარალებს მათ მოქალაქეებს. როცა ვაწყდებით „ეკოლოგიურად სუბსიდირებულ" ექსპორტს, მაშინ საუკეთესო ტაქტიკა იქნებოდა იაფი იმპორტული პროდუქციით სარგებლობა, მით უმეტეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნების თანახმად, არასწორი უცხოური პოლიტიკა ვერ იქნება საკომპენსაციო ბაჟის შემოღების კანონიერი საფუძველი. მთლიანი მსოფლიოს თვალსაზრისით, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რატომ განსხვავდება უცხოეთის გაჭუჭყიანების საწინააღმდეგო პოლიტიკა ეროვნულისაგან.

დაბინძურების გავრცელება საზღვრების მეშვეობით. როცა ადგილი აქვს შიდა ეკონომიკური მოვლენებით გარემოს დაჭუჭყიანებას, მაშინ მისი გამოსწორებით მთავრობა აამაღლებს მისი ქვეყნის კეთილდღეობას, მაგრამ ვითარება კიდევ უფრო მწვავდება, როცა მოცემული ქვეყნის ბუნებრივ გარემოს მდინარეების, ან საზღვრების მეშვეობით, აჭუჭყიანებენ მეზობელი ქვეყნები. შესაბამისად ისინი არც არიან დაინტერესებული ამ კატასტროფული ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებით, რადგანაც ეკოლოგიის გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გატარება აქვეითებს მათი ერის კეთილდღეობას. გაჭუჭყიანების ბევრი სახე შეიძლება გავრცელდეს საზღვრების მეშვეობით, რაც სახელმწიფოებს უბიძგებს იზრუნონ ახალი, შეთანხმებული საერთაშორისო პოლიტიკის გატარებისაკენ. მაგალითად, თურქეთი აშენებს დერინერის სახელობის კაშხალს მდინარე ჭოროხის თავის ტერიტორიაზე, მაგრამ მშენებლობის დროს და კაშხლის ექსპლოატაციაში გაშვების შემდეგ მდინარე შავ ზღვაში აღარ ჩამოიტანს ქვიშის ჩამონაშალს საქართველოს ზღვისპირა რეგიონებში – გონიოში, ადლიაში, ჩაქვში, ქობულეთში და ა. შ.). თუ საქართველოს მთავრობა ზეგავლენას არ მოახდენს თურქეთის რესპუბლიკის მთავრობაზე, მაშინ თურქეთს ექნება მოქმედების სრული თავისუფლება.

საქართველოს მთავრობამ პრობლემას სრულიად სხვა თვალით უნდა შეხედოს. მდინარის მიერ ქვიშის ჩამონაშალის

ზღვაში ჩამოტანის შეწყვეტა დაარღვევს ეკოლოგიურ წონასწორობას შავი ზღვის სანაპიროზე. რა ღონისძიება უნდა გაატაროს საქართველომ იმისათვის, რომ ორივე მხარე და მთელი მსოფლიოც დარჩეს მოგებული. კაშხლის მუშაობა მოგებას აძლევს თურქეთს, მაგრამ ქვიშის ჩამონაშალის ჩამოუტანლობის გამო, ჭოროხი მდინარე საფრთხეს უქმნის აჭარის ზღვისპირა რეგიონს. თუ საქართველო პასიურად იქნება, თურქეთი კაშხალს აამოქმედებს მთელი სიმძლავრით, რაც კატასტროფული იქნება საქართველოსათვის.

მდინარე ჭოროხის ეკობალანსის სრული აღდგენა ძალიან ძვირი დაუჯდება თურქეთს, რადგანაც საქართველოს ზღვისპირა რეგიონში განთავსებული მოსახლეობა და ფირმები ზარალდებიან ზღვის მიერ სანაპირო ადგილების „წართმევის" გამო. პირველი ტონა ნაშალის ჩამოუტანლობა არ იქნება ძვირი თურქეთისათვის, რადგანაც იგი შეუმჩნეველია თავიდან ქართველებისათვის, ხოლო მდინარე ჯერჯერობით დამოუკიდებლადაც ინარჩუნებს ეკობალანსს. მოგება კი პირველივე კილოვატ ელექტროენერგიაზე იგივეა, რაც ნებისმიერ მომდევნო კილოვატზე. ერთეული კილოვატი ელექტროენერგიის რეალიზაციიდან მიღებული მოგება უცვლელი რჩება, ჩამონატანის შეზღუდვა კი გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. ამიტომ დადგება მომენტი (ვთქვათ 80 მლნ. ტონა ჩამონაშალის შემდეგ), როცა კაშხლის ამოქმედებიდან მიღებული ზღვრული დანაკარგები გაუტოლდება ელექტროენერგიისაგან მიღებულ ზღვრულ მოგებას.

იმისათვის, რომ იქნეს მიღებული სწორი გადაწყვეტილება იმ ზარალის კომპენსირების თაობაზე, რასაც მდ. ჭოროხის ეკობალანსის რღვევა გამოიწვევს, საჭიროა ამ შემთხვევაშიც შემუშავდეს სპეციფიკურობის წესი. საუკეთესო იქნება ის ვარიანტი, რომელიც ზუსტად იმოქმედებს პრობლემის წარმომქმნელ წყაროზე. საქართველომ შეიძლება იმოქმედოს გადასახადებისა და სუბსიდიების გამოყენების მეთოდით, რათა აღდგეს მდ. ჭოროხის ეკობალანსი. მაგალითად, საქართველოს მხარემ თურქეთის მთავრობას დააკისროს ზარალის გადახდა ყოველი ტონა ჩამონაშალის ზღვაში ჩამოტანის შეწყვეტისათვის.

მიღებული იქნება თუ არა ეს გადასახადი დამოკიდებულია საქართველოს მთავრობაზე, მაგრამ ეს პრობლემა იმით განსხვავდება წინა პრობლემებისაგან, რომ იგი საერთაშორისო ხასიათს იძენს. საქართველოს მთავრობას არ შეუძლია თვითნებურად დაუწესოს გადასახადი თურქეთის ენერგოკომპანიას, რადგანაც კაშხალი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს და ადგილობრივი კომპანიებიც მხოლოდ თურქეთის კანონმდებლობას ექვემდებარება. ამიტომ თურქულ ენერგოკომპანიაზე გადასახადის დაწესება მხოლოდ თურქეთის მთავრობას შეუძლია.

ამ დროს შესაძლებელია პრობლემას მეორენაირადაც მივუდგეთ: შევცვალოთ ზღვისპირა რეგიონის საკუთრების უფლება. თუ საქართველო გაყიდის ზღვისპირა რეგიონს კერძო სექტორზე, მაშინ თურქეთის მთავრობა უკვე იძულებული იქნება ზარალი აუნაზღაუროს საქართველოს კერძო ტურისტულ კომპანიებს, კერძო სექტორი კი არ წავა დათმობაზე. ნობელის პრემიის ლაურიატმა **რონალდ კოაზმა** აღნიშნა, რომ „ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილება გამართლებული იქნება, თუ იგი გულისხმობს ზარალის კომპენსირებას.” თუ ზღვისპირა ადგილებს კერძო კომპანიები დაიჭერენ, ისინი მთელი ძალისხმევით იბრძოლებენ თავიანთი ინტერესების დასაცავად.

§ XI. 4. გლობალური ეკოლოგიური პრობლემებისადმი კომპლექსური საერთაშორისო მიდგომა

ჩვენ განვიხილეთ გარემოს გაჭუჭყიანების ისეთი შემთხვევა, როცა ერთი სახელმწიფოს ეკონომიკური ქმედება უარყოფითად მოქმედებს მეორეზე. პრობლემა კიდევ უფრო წინააღმდეგობრივი ხდება, თუ ეკონომიკური საქმიანობა მთლიანობაში იწვევს გლობალურ ეფექტს მთელ მსოფლიოში. ამ მხრივ გამოიყოფა ორი მთავარი პრობლემა. ესენია: 1. ოზონის შრის გათხელება; 2. გლობალური დათბობა, მაგრამ სხვა პრობლემებსაც აქვს გლობალური მასშტაბი. განსაკუ-თრებით

ეს ეხება იშვიათი ჯიშის ცხოველებით ვაჭრობასა და ბუნებრივი რესურსების გამოლევას.

ოზონის შრის გათხელებას იწვევს ქიმიური წარმოების ნარჩენები, რომლებიც იქმნება მთელი რიგი პროდუქციის წარმოების შედეგად. ეს პრობლემა მტკივნეულია მთელი მსოფლიოსათვის, თუმცა ზოგიერთი ქვეყანა უფრო მეტად განიცდის მას, ზოგიც კი – შედარებით უფრო ნაკლებად. რა უნდა გააკეთონ ეკოლოგიური პრობლემატიკის კვლევით დაკავებულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა, რომლებიც ამუშავებენ პოლიტიკას ამ პრობლემების აღმოფხვრასთან მიმართებაში? ყოველმა ქვეყანამ უნდა გაიაზროს, რომ ქიმიურ შენაერთებს მოაქვთ სერიოზული ზიანი.

იმისათვის რომ შემუშავდეს საერთო გლობალური ეკოლოგიური პოლიტიკა, საჭიროა ქვეყნებმა ითანამშრომლონ ერთმანეთთან. თითოეულმა მათგანმა უნდა წარმოადგინოს თავისი სტანდარტები, იმისგან განსხვავებით, როცა ქვეყნები ითვალისწინებდნენ მხოლოდ თავიანთ ინტერესებს. თუ ყველა ქვეყანა მსგავს ეკოლოგიურ პოლიტიკას გაატარებს, მაშინ ამით მოიგებს მსოფლიო. ყველა ქვეყანა არა მარტო ხარჯებს გასწევს ეკოლოგიის გასაჯანსაღებლად, არამედ მოგებასაც მიიღებს ეკოლოგიური ზარალის შემცირების ხარჯზე.

ქვეყნები, რომელთაც გარკვეული ხარჯის გაწევა სჭირდებათ თავიანთი სტანდარტების შემოსაღებად, ცხადია, არ შეხვდნენ ამ მოთხოვნას ენთუზიაზმით, რადგანაც მათ ამ პოლიტიკის გატარებით არაფერი სარგებელი არ რჩებათ. იმ ქვეყნებსაც კი, რომლებიც ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით მიღწეული საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე მოგებულნი რჩებიან, არა აქვთ ეკოლოგიური ხარჯის გაწევის სტიმული. ცხადია, ქვეყანას უფრო მეტი მოგების მიღება შეეძლება, თუ იგი თავს აარიდებს ეკოლოგიურ შეზღუდვებს და იმოქმედებს თავისუფლად, ანუ თუ სხვა ქვეყნები შეუერთდებიან ეკოლოგიური პრობლემის გადაჭრის შესახებ საერთაშორისო შეთანხმებებს, ხოლო ეს ქვეყანა კი –არა. შედეგად ეს ქვეყანა არ გასწევს ეკოლოგიურ ხარჯებს.

გლობალური პრობლემებისადმი კომპლექსური საერთაშორისო მიდგომა. იმისათვის რომ თავისუფალი ვაჭრობის

პრობლემა მოექცეს საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებში, საჭიროა შემუშავდეს მათი შესრულების კონტროლის მეთოდები. დღესდღეობით ჯერ კიდევ არ არსებობს რაიმე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც თავის თავზე აიღებდა ამ ვითარების კონტროლს. ქვეყნებს შეუძლიათ შეიმუშაონ გარკვეული მექანიზმები ამ შეთანხმების ფარგლებში, მაგრამ გაუგებარია, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი აღსრულება. ხშირად იქმნება ისეთი ვითარება, როდესაც შეუძლებელია ეკოლოგიური ნორმების დამრღვევ ფირმას, ან ქვეყანას დაუწესო პირდაპირი ჯარიმები. შექმნილი ვითარებიდან შედარებით უკეთესი გამოსავალია სანქციების გამოყენება, რომელიც უწესდება მოლაპარაკების დამრღვევ ქვეყანას.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, როცა ეკოლოგიური პრობლემები მხოლოდ შიდა ზარალს იძლევა, მაშინ მისი გადაჭრა სახელმწიფოს შეუძლია მისი შესაძლებლობის ფარგლებში. მაგრამ როცა იგი სცილდება ერთი ქვეყნის ეროვნულ საზღვრებს, მაშინ მისი უფრო ეფექტურად გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ მოლაპარაკებათა წარმართვის გზით. თუმცა ეს მეტად რთული პროცესია, რადგანაც პრობლემა იღებს გლობალურ მასშტაბს. საჭირო ხდება მრავალმხრივ მოლაპარაკებათა წარმართვა, მაგრამ შეთანხმების მიღწევა და მით უმეტეს, მისი შესრულება შეიძლება აღმოჩნდეს ბევრად უფრო რთული და ზოგჯერ შეუძლებელიც კი.

ამ ვითარებაში უფრო კარგად გარკვევისათვის საჭიროა ცალ-ცალკე განვიხილოთ ოთხი გლობალური პრობლემა. ჯერ დავიწყოთ იშვიათი ჯიშის ცხოველების გადაშენების პრობლემის აღმომფხვრელი სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებით. შემდეგ შევეხებით ზღვის თევზების მარაგის გამოლევის პრობლემას და მისი გადაჭრის მეთოდების არაეფექტურობას. მომდევნო საკითხი შეეხება გლობალურ შეთანხმებას ოზონის შრის გათხელების თავიდან აცილების შესახებ და ბოლოს შევეხებით გლობალური დათბობის პრობლემას.

ზოგიერთი სახეობის ცხოველების გადაშენება ბუნებრივი პროცესია. მაგრამ ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში განსაკუთრებით გაიზარდა ადამიანთა როლი ამ პროცესში. ფრინველისა, თუ ცხოველის ამათუიმ სახეობის გაქრობა

საუკუნეების განმავლობაში გეომეტრიული პროგრესიით იზრდება. სავარაუდოდ, ჩვენ განვიცდით მნიშვნელოვან დანაკარგს, როცა რომელიმე სახეობის ცხოველი, ან ფრინველი საბოლოოდ ნადგურდება, რადგანაც იგი შეიძლება გამოყენებულიყო ადამიანის მიერ (მაგალითად, წამლის დამზადების დროს). ამრიგად, ამა თუ იმ ჯიშის ცხოველის, ან ფრინველის გადარჩენას გააჩნია გარკვეული სარგებელი.

ამ სფეროში დიდ როლს ასრულებს ადამიანთა ყოფა-ცხოვრება, რადგანაც ისინი გარემოს გაჭუჭყიანებით, ანადგურებენ ცხოველთა საარსებო პირობებს. გარდა ამისა, ჭარბი ნადირობა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა შეიძლება გადაიქცეს გადაშენების გზაზე მყოფი ჯიშის ცხოველთა განადგურების დაჩქარების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად. ამ შემთხვევაშიც „სპეციფიკურობის" წესი გვაუწყებს, რომ დეფიციტური ჯიშის ცხოველთა შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ნაკრძალების შექმნა და სხვა ღონისძიებათა გატარება, რომელიც მიმართული იქნება ამ ცხოველების შენარჩუნებიდან მოგების მიღებისაკენ.

1973 წელს 100-ზე მეტმა ქვეყანამ მოაწერა ხელი იშვიათი სახეობის ფლორისა და ფაუნის პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ. 1997 წელს ამ სიას შეუერთდა კიდევ 38 ქვეყანა. მეცნიერები საზღვრავენ, თუ რომელი სახის ჯიშს ესაჭიროება დაცვა. ასეთი ჯიშის ცხოველებითა და ფრინველებით კომერციული ვაჭრობა აკრძალულია. ამჟამად ასეთ იშვიათი ჯიშის ფლორად და ფაუნად ითვლება 900-ამდე სახეობის ცხოველი და ფრინველი. არაკომერციული დანიშნულებით მათი ექსპორტის მიზნით ქვეყანამ ჯერ უნდა მიიღოს შესაბამისი ნებართვა. იმავდროულად ასეთი ნებართვა უნდა მიიღოს მყიდველმა მხარემაც, თუ ის ცხოვრობს კონვენციაში გაწევრიანებულ ქვეყანაში. ასევე კომერციული ვაჭრობა აკრძალულია 2900 სახეობის ცოცხალ არსებაზე, რადგანაც მათზე თავისუფალი ვაჭრობის ნებართვის გაცემა გადაშენების პირას მიიყვანდა ამ ჯიშის ცხოველებსაც.

მიუხედავად ამ სიფრთხილისა, ზოგიერთი ჯიშის ცხოველი (მაგალითად, ვეფხვი) მაინც განაგრძობს გადაშენებას, მაგრამ ეს პროცესი დროულად იქნა შემჩნეული. მთლიანო-

ბაში კონვენციამ გაამართლა. ბევრ ქვეყანას ამ სფეროში კანონმდებლობაც კი არ ჰქონდა შემუშავებული, რომლის მიხედვითაც უნდა მოეხდინა კონტროლი, ან დაეწესებინა ჯარიმები. იშვიათი ჯიშის ცხოველებით ვაჭრობასთან დაკავშირებული კონფლიქტები ხშირად სწორედ აფრიკაში ხდება, უნიკალური ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების გამო.[1]

§ XI. 5. ჭარბი რეწვა, ოზონი, გლობალური დათბობა

ოკეანე, თავისი თევზით, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მდიდარ რესურსს წარმოადგენს. მაგრამ პრობლემა იმაშია, რომ არავინ ითვლება ამ რესურსის მესაკუთრედ. 20-ზე მეტი სახეობის თევზის მოცულობა რეწვისათვის საჭირო მინიმალურ მარაგზე უფრო ნაკლებია, ხოლო კიდევ ოთხის რაოდენობა კი მიახლოებულია ამ ზღვართან. ბევრ მათგანს ამით არ ემუქრება გადაშენება, მაგრამ მათი რაოდენობის შემცირება მაინც სახიფათოა. რატომ მოვიხმართ თევზს ასე არაეკონომიკურად? როგორ უნდა ვებრძოლოთ პრობლემას?

აქ საქმე ეხება „საზოგადოებრივი საკუთრების პრობლემას". თავისუფალი რეწვის არსებობისა და საკუთრების გაურკვევლობის პირობებში, ნებისმიერი ფირმა შეეცდება მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი თევზი. მათ არა აქვთ რესურსების დაცვის სტიმული. ერთმა ფირმამ რომც შეზღუდოს რეწვა, მას სხვები გააფართოებენ. ასე რომ, თევზის მარაგები მცირდება. იმის ნაცვლად რომ მთავრობამ შეზღუდოს კვების მრეწველობის ეს დარგი, მმართველობა პირიქით, ახდენს მის სუბსიდირებას.

როცა სახელმწიფო ზღუდავს თევზის რეწვას, მის ნაცვლად წარმოიქმნება სხვა, ბევრად უფრო არაეფექტური დარგები. თევზმჭერი ფირმები, თავის მხრივ, იბრძვიან თევზის რეწვის შეზღუდვის წინააღმდეგ. თევზის ასეთი მფლანგველური რეწვა საშიშია და იწვევს ფასების ხელოვნურ

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. с англ. М. изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 260 --288 с.

დაქვეითებას, რადგანაც მოსახლეობა მეტს აღარ გადაიხდის ჭარბ თევზში, თუ არ დავარდა მისი ფასი.

ოზონი. 1940-იან წლებში მრეწველობაში გამოყენებულ იქ-ნა ისეთი ტექნოლოგიები, რომლითაც მზადდებოდა ქიმიური შენაერთები მაცივრების, კონდენციონერების, სარაკეტო საწ-ვავისა და სხვა სამრეწველო დანადგარებისათვის. 1970-იან წლებში დადგინდა, რომ ეს ქიმიური შენაერთები ათხელებს ატმოსფეროში ოზონის შრეს. ეს სამრეწველო ნარჩენები დაახლოებით 7-10 წლის შემდეგ, სხვა კლიმატური პირობების ზეგავლენით, იწყებენ ოზონის დაშლას. 1985 წელს შემჩნეულ იქნა ოზონის დიდი ხვრელები ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე. სტრატოსფეროში მყოფი ოზონი საჭიროა მზის ულტრაიისფერი სხივების შესაჩერებლად. მისი გათხელება საფრთხეს უქმნის კანის დაავადებებს, მოსავლიანობის დაქ-ვეითებასა და კლიმატურ ცვლილებებს. 1987 წელს 50-მდე ქვეყანამ ხელი მოაწერა მონრეალის პროტოკოლს, რომლის თანახმადაც მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ აკრძალონ იმ ქიმიურ შენაერთთა და მავნე გაზების ექსპორტ-იმპორტი.

სასურველია ამ შეზღუდვებს დაერთოს სამართლებრივი საფუძვლები. მონრეალის შეთანხმებამ მიაღწია ეკონომიკურ და ეკოლოგიურ მიზანს. ქიმიური ნივთიერებებით ატმოსფე-როს გაჭუჭყიანების დონე 1988 წლიდან 1992 წლამდე 50 %-ით შემცირდა, რამაც გადააჭარბა მოლოდინსაც კი. ამ სფე-როში გარკვეული საშიშროება ჯერ კიდევ შენარჩუნებულია: 1. ოზონის ხვრელები ჯერ კიდევ დიდხანს იარსებებს. და სასურველ ნივთიერებათა კონცენტრაცია ჰაერში დაშვებულ ნორმას ვერ დაუბრუნდება XXI საუკუნის ბოლომდე; 2. პროტოკოლის თანახმად, განვითარებად ქვეყნებს, ამ მავნე ქიმიური შენაერთების მრეწველობიდან ამოღების მიზნით, მიეცათ 10 წლიანი ვადა. მით უმეტეს პროტოკოლი იძლევა იმის საშუალებას, რომ პროდუქცია წარმოებულ იქნეს ეკო-ლოგიურად სუფთა მეთოდებით. საბედნიეროდ, მაცივრების მწარმოებელი ქვეყნები: ჩინეთი და ბრაზილია ადრიანად გადავიდნენ ნაკლებადსაშიშ გაზზე,

გლობალური დათბობა. გლობალური დათბობა ყველაზე საშიში ეკოლოგიური პრობლემაა. არსებობს იმის საფრთხე, რომ საწვავის გაზრდილმა მოხმარებამ ატმოსფეროში მოა-

მატოს ნახშირორჟანგის მოცულობა, რაც გამოიწვევს კლიმატის დათბობას. დათბობის საშიშროება განსაკუთრებით ემუქრება ათვისებულ ტერიტორიებს – ქალაქებსა და სოფლებს. ამ პრობლემის გადაჭრა გაცილებით უფრო ძნელია, უმოქმედობა კი კიდევ უფრო საშიში.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს გლობალურ დათბობას, საჭიროა ჯერ დავადგინოთ თუ რა პროფილაქტიკური ზომების გატარება შეიძლება ამ სფეროში. აქ გასათვალისწინებელია სამი ძირითადი მომენტი: 1. სამეცნიერო გამოკვლევებს არ ჰყოფნის მტკიცებულება; 2. მიმდინარე ეტაპზე ვერანაირი გადაწყვეტილების მიღება ვეღარ შეამცირებს ჰაერში უკვე კონცენტრირებული ნახშირორჟანგის მოცულობას; 3. საერთაშორისო ვაჭრობა არ არის ამ „ავადმყოფობის განკურნების" საშუალება.

ჯერ კიდევ არ არის გამოგონილი ნავთობის შემცვლელი საწვავი საშუალება. პრობლემის ოდნავ მაინც შემსუბუქების მიზნით, საჭიროა ვეძებოთ გამოსავალი: რომელია უკეთესი -- დავაწესოთ მაღალი გადასახადი საწვავის მოხმარებაზე, თუ მაქსიმალურად ვეძებოთ ნავთობის შემცვლელი საწვავი?

საწვავის მოხმარებაზე გადასახადების შემოღების შესახებ გამართულ სხვადასხვა დონის შეხვედრებსა და კონფერენციებზე გამოვლინდა მსოფლიოს ცალკეულ რეგიონებს შორის შემოსავლების გადანაწილების მხრივ არსებული უდიდესი განსხვავება. ამ შეხვედრებზე კითხვა დაისვა შემდეგნაირად: რომელია უმჯობესი გადასახადი დაწესდეს სათბობის მომპოვებელ ქვეყნებზე, თუ მომხმარებელზე. მაგრამ მხარეები ვერ შეთანხმდნენ ვერც გადასახადის განაკვეთზე და ვერც მისი დიფერენციაციის ხარისხზე, ამიტომ გლობალური დათბობის შეჩერების მიზნით ჩატარებული ყველა კონფერენცია უშედეგო აღმოჩნდა.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია საერთაშორისო ვაჭრობის გავლენა გარემოს გაჭუჭყიანებაზე. ეკონომისტებს შორის გავრცელებულია შეხედულება, იმის შესახებ, რომ მსოფლიო ვაჭრობას აძლიერებს გარემოს გაჭუჭყიანებას;

2. თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი შესაძლებლობას იძლევა საწარმოები ქვეყნებში გადანაწილდეს ნაკლებად მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტების მიხედვით. ეკოლოგიური ფაქტორის გათვალისწინების შემდეგ მცირდება მსოფლიო ვაჭრობიდან მისაღები მოგების ნორმა;

3. იმ შემთხვევაში, თუ ერთ ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები მავნე გავლენა ახდენს სხვა ქვეყნების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, მაშინ დაზარალებულ სახელმწიფოებს უფლება აქვთ გაატარონ საპასუხო ღონისძიებანი;

4. თანამედროვე მსოფლიოში წარმოიქმნა ბევრი ისეთი გლობალური ეკოლოგიური პრობლემა, რომელთა გადაჭრაც მოითხოვს სახელმწიფოთა ერთობლივ ძალისხმევას. საერთაშორისო ვაჭრობა შეიძლება დაექვემდებაროს მრავალმხრივ შეთანხმებას ეკოლოგიურ საკითხებში, ან სხვადასხვა ქვეყნის მიერ დაწესებულ სანქციებს;

5. გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით საჭიროა საერთაშორისო დონეზე შემუშავდეს და გავრცელდეს მისი მარეგულირებელი სპეციფიკური წესები;

6. არსებობს საგარეო ვაჭრობის მიერ გარემოს გაჭუჭყიანებზე ზემოქმედების ორი ძირითადი ფორმა, ესენია: 1. საგარეო ვაჭრობის მიერ გარემოს შიდა დაჭუჭყიანება; 2. საგარეო ვაჭრობის მიერ გარემოს დაბინძურების გავრცელება საზღვრების მეშვეობით;

ძირითადი ტერმინოლოგია

- ნაკლებად მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტები;
- გარემო პირობებზე ზარალის მიმცემი პროდუქცია;
- სახელმწიფოთა შიდა ეკოლოგიური სტანდარტები;
- დაბინძურების გავრცელება საზღვრების მეშვეობით;
- ჭარბი რეწვა. ოზონი. გლობალური დათბობა.

ამოცანები

1. ვთქვათ X ქვეყანაში ხორბალზე არსებული მოთხოვნის ფუნქცია გამოისახება ფორმულით: D=100–20xP. ხოლო მისი მიწოდების ფუნქციაა – S=20+20xP. განსაზღვრეთ X ქვეყა-

ნაში იმპორტზე არსებული მოთხოვნის ფუნქცია და დახაზეთ შესაბამისი მრუდი. რას უდრის ხორბლის სამამულო ფასი ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში? ვთქვათ, Y ქვეყანაში ხორბალზე არსებული მოთხოვნის ფუნქცია გამოიხატება ფორმულით: D=80–20xP. ხოლო მისი მიწოდების ფუნქციაა კი – S=40+20xP; განსაზღვრეთ ხორბლის ექსპორტზე მიწოდების ფუნქცია Y ქვეყანაში და დახაზეთ შესაბამისი მიწოდების მრუდი. რას უდრის ხორბლის ფასი Y ქვეყანაში ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში?

2. ცხრილში მოყვანილია A ქვეყანაში მარცვლეულისა და შაქრის წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის დამატებით ღირებულებაში განსხვავებულ ფაქტორთა ხვედრითი წილის შესახებ მონაცემები. ვთქვათ, A ქვეყანას გააჩნია შედარებითი უპირატესობა მარცვლეულის წარმოებაში და შესაბამისად საგარეო ვაჭრობის დამყარების შემდეგ იგი იწყებს მარცვლეულის ექსპორტსა და შაქრის იმპორტირს. ა) გაიანგარიშეთ თითოეული ამ სამი ფაქტორის საექსპორტო სპეციალიზაციის მაჩვენებელი ($S_{i\,x/m}$);

ფაქტორები	მარცვლეული	შაქარი	შემოსავალი
შრომა	0,35	0,20	0,30
მიწა	0,45	0,20	0,35
კაპიტალი	0,20	0,60	0,35

ბ) თუ სექტორებს შორის შეუძლებელია ფაქტორთა თავისუფალი გადანაცვლება, მაშინ ვისთვის იქნება მომგებიანი ვაჭრობის გაფართოება?

გ) თუკი საწარმოო ფაქტორთა ქვეყნის შიგნით გადაადგილება სრულიად მობილურია ვინ მიიღებს სარგებელს და ვინ დაზარალდება ასეთ შემთხვევაში?

თავი XII

მაღალგანვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო ვაჭრობის რეგულირების თავისებურებანი

გონივრული რისკი მეწარმის გამოწვევის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ეს უდიდესი სიამოვნებაა.

რ. თაგორი

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა შემდგომი კვლევისათვის საჭიროა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მაღალგანვითარებული, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკაში მიმდინარე ტენდენციები, დადგინდეს მათ შორის არსებული განსხვავებანი და საერთო ნიშნები, მათი ურთიერთქმედების ზღვრები. ამისათვის საჭიროა შევისწავლოთ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების გავლენა თითოეული ამ ჯგუფის ქვეყნების მიერ წარმართულ საგარეო სავაჭრო პოლიტიკაზე და როგორ შეუძლიათ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ქვეყნებს ეროვნულ ინტერესთა მაქსიმალურად წარმოჩენისა და დაცვის მიზნით ისე იმოქმედონ თავიანთ სავაჭრო პოლიტიკაზე, რომ არ დაარღვიონ ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული ვაჭრობის ლიბერალიზაციის პრინციპები.

ბუნებრივია, ისმის ასეთი კითხვა: რა მეთოდებით შეძლეს თანამედროვე მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა ამ მიზნის მიღწევა და რა ვერ გააკეთეს განვითარებადმა ქვეყნებმა ამ იდეის რეალიზაციის დროს? როგორი საგარეო სავაჭრო პოლიტიკა უნდა გაატარონ მცირე ერებმა, რათა დაიცვან თავიანთი ეკონომიკური ინტერესები მსოფლიო მეურნეობის გლობალიზაციის პირობებში? სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა არის ამ თემის შესწავლის ძირითადი მიზანი.

§ XII. 1. მაღალგანვითარებული ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკა

მაღალგანვითარებულ ქვეყნეში განხორციელებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის თავისებურებანი იმაში გამოიხატება, რომ ისინი ახდენენ აგრარული პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის აგრესიულ სუბსიდირებას, რის ხარჯზეც ამ სექტორში გამოყენებულ საწარმოო ფაქტორთა სიძვირის მიუხედავად, ეს ქვეყნები მაინც ახერხებენ აგრარული საქონლით მსოფლიო ვაჭრობაში თავიანთი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას.

რაც შეეხება მრეწველობის დარგებს, მდიდარ ქვეყნებს შორის ამ დარგებში დამზადებული პროდუქციით ვაჭრობა გაცილებით უფრო ლიბერალურია (თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს გემებითა და თვითმფრინავებით ვაჭრობა). მაღალგანვითარებულ ქვეყნებს შორის გამართული მომსახურებით ვაჭრობა გაცილებით უფრო ინტერნაციონალურია, ვიდრე მათ მიერ წინა ორი დაჯგუფების პროდუქციით განხორციელებული ვაჭრობა.

ამრიგად, მაღალგანვითარებული ქვეყნების აგრარული პოლიტიკა არაერთგვაროვან გავლენას ახდენს მათ მიერ წარმართულ საგარეო ვაჭრობაზე, რადგანაც მრავალფეროვანია თვით მათ მიერ განხორციელებული აგრარული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. ზოგიერთ მდიდარ ქვეყანაში აგრარული პროდუქციით საგარეო ვაჭრობას ახალისებენ, ზოგიერთ მძლავრ ქვეყანაში კი ზღუდავენ მას. ცალკეული ქვეყნის მხრიდან თავიანთი აგრარული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მიმართ ასეთი სხვადასხვაგვარი მიდგომა სრულიად ურთიერთგანსხვავებულ გავლენას ახდენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ეროვნულ მოთხოვნასა და მიწოდებაზე.

ხშირად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მიმართულია ფერმერთა შემოსავლების ზრდისაკენ. ზოგიერთ შემთხვევაში ის ხორციელდება იმპორტის წინააღმდეგ ტარიფებისა და ქვოტების გამოყენების გზით. ხშირად მათი სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია ქვეყნის შიგნით დამზადებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-

ციაზე მინიმალურ ფასთა დაწესებისაკენ. ამ დროს სახელმწიფო ფერმერებისაგან მინიმალურ ფასად ყიდულობს შიდა ბაზარზე გაუსაღებელ პროდუქციას.

ფასისმიერი მხარდაჭერა მოითხოვს კონკურირებადი აგრარული ნაწარმის იმპორტის შეზღუდვას, რათა მის შემცვლელ სამამულო ნაწარმზე დაწესდეს მსოფლიოსთან შედარებით მაღალი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში იაფი იმპორტული საქონელი „მოზღვავდება" ქვეყანაში და ძირს გამოუთხრის სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ფასისმიერი მხარდაჭერის იდეას.

საექსპორტო პროდუქციაზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების მექანიზმი. საექსპორტო პროდუქციაზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების მექანიზმი, ნაჩვენებია ნახ. XII. 1-ზე. საექსპორტო საქონელზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნებამ უნდა უზრუნველყოს არასასოფლო-სამეურნეო სექტორიდან მიღებული შემოსავლების ფერმერების სასარგებლოდ გადანაწილება. მთავრობა აგრარულ ნაწარმს ყიდულობს იმ ფასად, რომელიც აჭარბებს საბაზრო ფასს. საცავებში დაგროვილ ჭარბ ნაწარმს შემდეგ სახელმწიფო ყიდის საზღვარგარეთ დაბალ მსოფლიო ფასად $P_0x(S_9--D_9)$ ოდენობით. მაშინ მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნებში აგრარული საექსპორტო პროდუქციის ფასისმიერი მხარდაჭერის პოლიტიკის გატარებით მიღებული ზარალი იქნება $(P_1 --P_0) x (S_1-- D_1)$. შიდა ბაზარზე დაწესებული მაღალი ფასის (P_1-ის) პირობებში რომ არ მოხდეს იმპორტული ნაწარმის „მოზღვავება", საჭიროა ამ პროდუქციის იმპორტზე დაწესდეს $(P_1-- P_0)$ სიდიდის საიმპორტო ბაჟი.

მოსახლეობის არასასოფლო-სამეურნეო ნაწილი ორმაგად ზარალდება აგრარული საექსპორტო ნაწარმის P_1 მაღალ ფასებში შეძენის გამო. ამ პროდუქციის მწარმოებლები კი საექსპორტო საქონელზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების პოლიტიკის შედეგად იგებენ. მთლიანი ქვეყანა კი ზარალდება პროდუქციის გაძვირებით, მისი გასაღების შეზღუდულობისა (რასაც შეესაბამება AHE ფართობი) და რესურსების გაფლანგვის გამო (რასაც შეესაბამება BCD ფართობი).

დროის ხანგრძლივ პერიოდში ეს ზარალი კიდევ უფრო იზრდება, მოცემული პროდუქციის მიწოდების ელასტიურობის ზრდის გამო. მაღალი ფასების შენარჩუნების გამო ფერმერები ზრდიან სამამულო პროდუქციის მიწოდების მოცულობას, რითაც იზრდება საბიუჯეტო ხარჯები.



ნახ. XII. 1. საექსპორტო საქონელზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების მექანიზმი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში.

ნახ. XII. 1-ზე საანალიზო პროდუქციის მსოფლიო ფასები უცვლელადაა მიჩნეული. მცირე ქვეყნები როგორადაც არ უნდა ზრდიდნენ თავიანთი პროდუქციის ექსპორტს, მათ მიერ საექსპორტო საქონელზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების პოლიტიკა მაინც ვერ მოახდენს გავლენას ამ პროდუქციის მსოფლიო ფასებზე. მაგრამ თუ საქმე ეხება დიდ ქვეყნებს, მათ მიერ საექსპორტო საქონელზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების პოლიტიკა უდავოდ გამოიწვევს ამ საქონლის მსოფლიო ფასის ვარდნას. ეს კი კიდევ უფრო გაზრდის მთლიანი ქვეყნის მიერ მიღებულ დანაკარგებს (P_1--P_0) ფასთა შორის სხვაობის კიდევ უფრო მომატების გამო. გარდა ამისა, ყოველივე ეს კიდევ უფრო ზრდის დასაცავი პროდუქციის იმპორტიორი ქვეყნების მოგებას, ამ საქონელზე მსოფლიო ფასთა ვარდნის გამო, ამიტომ დიდი ქვეყნები აგრარულ საექსპორტო საქონელზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების მექანიზმით კიდევ უფრო ზარალდებიან.

§ XII. 2. ფასების შენარჩუნებით ახალი საექსპორტო პროდუქციის წარმოქმნის შესაძლებლობა მოწინავე ქვეყნებში

აგრარული პროდუქციის ექსპორტზე მხარდამჭერი მეორე მეთოდია „მოტრიალე საქონლის პრინციპი", რომლის დროსაც სამამულო ფერმერთა მიერ პროდუქციის წარმოების გულუხვი სუბსიდირების გამო, ეს ნაწარმი იმპორტშემცვლელ საქონელთა სიიდან გადავა საექსპორტო საქონელთა ჩამონათვალში. ამის მაგალითია ხორბლის ევროპული წარმოება, რომლის მსხვილი იმპორტიორები XIX საუკუნეში იყვნენ ინგლისი და საფრანგეთი. 1970-იან წლებში ისინი გადაიქცნენ ხორბლის მსხვილ ექსპორტიორებად. ამ მეთოდის კარგი მაგალითია ევროპული კარაქის წარმოებაც.

სახელმწიფო მხარდაჭერის გარეშე, თავისუფალი ვაჭრობის დროს, ევროკავშირის რძის პროდუქცია, დაბალი მსოფლიო ფასების პირობებში, ვერ გაუწევდა კონკურენციას ახალი ზელანდიისა და სხვა ქვეყნების ნაწარმს. აგრარულ ნაწარმზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნებას ევროკავშირის მთავრობა ახდენს ჭარბი რძის ნაწარმის შესყიდვით. ამის შედეგად ფერმერები განუზომლად ზრდიან წარმოებას.[1]

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში აგრარული პროდუქციის იმპორტზე დაწესებული ბარიერები. განვითარებულ სახელმწიფოებში განხორციელებული სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის კიდევ ერთი ნაირსახეობაა უცხოური საქონლის იმპორტის შეზღუდვა სხვადასხვა სახის ტარიფისა და ქვოტის მეშვეობით, რომელიც უპირატესად წესდება განვითარებადი ქვეყნებიდან იმპორტირებულ აგრარულ პროდუქციაზე. მაგალითად, ამერიკამ, იაპონიამ და ევროკავშირმა მაღალი საბაჟო გადასახადები დააწესეს შაქრის იმპორტზე. აგრარული ნაწარმის იმპორტის დაბეგვრასთან მიმართებაში იაპონიის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ახდენს

[1] Е. Ф. Авдокушин. Муждународние экономические отношенияя. Учебник. Изд. «Экономисть». Москва. 2004 г. 289 -- 301---с

დისკრიმინაციას და შეზღუდვებს ავრცელებს მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებზეც. იაპონიისათვის სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს მცირე, მაგრამ ძლიერი ფერმერული ლობი. ამ ქვეყნის მიერ იმპორტის შეზღუდვა ზრდის იაპონური იენის კურსს, რის გამოც მისი საექსპორტო პროდუქციის კონკურენტუნარიანობა უარესდება. ამრიგად, მდიდარი ქვეყნები აგრარული პროდუქციის იმპორტზე აწესებენ გარკვეულ ბარიერებს მისი შემცვლელი სამამულო პროდუქციის წარმოების დაცვის მიზნით. ეს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის გარდა დადებითია იმ თვალსაზრისითაც, რომ ამით შენარჩუნდება შრომატევად სამუშაო ადგილებს იმპორტშემცვლელ დარგებში.

§ XII. 3. განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის სპეციფიკა

განვითარებად ქვეყნებს გააჩნიათ საერთო მახასიათებელი ნიშნები, რაც იძლევა ერთიან სისტემაში მათი გაერთიანების საშუალებას. კერძოდ: კოლონიალისტური წარსულის მძიმე დაღი დღესაც სერიოზულად აფერხებს თანამედროვე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობას; მათ ახასიათებთ საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე; ამ ქვეყნებში დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე მოსული ეროვნული შემოსავალი. განვითარებად ქვეყნებში მაღალია უმუშევრობის დონე. მათ ახასიათებთ შრომის დაბალი მწარმოებლურობა. ამ ქვეყნებში დაბალია მოხმარების დონე.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებად ქვეყნებს გაერო-ს ექსპერტებმა შესთავაზეს განვითარების სხვადასხვაგვარი პროგრამა, რომელთა შორის პირველად შეთავაზებულ იქნა **„დამწევი განვითარების" კონცეფცია.**_იგი მოიცავდა 1950-60-იან წლებს და გულისხმობდა, ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, ღარიბი ქვეყნების მძლავრ სახელმწიფოებთან დაახლოებას. ამ პროგრამის მიხედვით, „მესამე სამყაროს" ქვეყნებში უნდა მომხდარიყო

ეროვნული შემოსავლების ზრდა, დაგროვების დონის ამაღლება, იმპორტის შეზღუდვა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მაგრამ ამ კონცეფციამ თავისი დაარსებიდან 10 წლის შემდეგ კრახი განიცადა, რადგანაც მასში არ იყო გათვალისწინებული სოციალური საკითხები.

ამ კონცეფციის კრიზისმა 1960-70-იან წლებში გამოიწვია ახალი კონცეფციის **„ინსტიტუციონალური" კონცეფციის** განვითარება, რომელიც ითვალისწინებდა ტრადიციულ დარგთა აღორძინებას და მოსახლეობის ღარიბ ფენებზე სოციალური დახმარების გაწევას, მაგრამ ამ კონცეფციაში არ იყო გამოკვეთილი საგარეო ეკონომიკური პრობლემები, რომელმაც მკვეთრად იჩინა თავი 1970-იანი წლების განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. ეს ის პერიოდი იყო, როცა განვითარებადმა ქვეყნებმა ვერ მიაღწიეს ძლიერ სახელმწიფოებთან თანასწორუფლებიან თანამშრომლობას და შეეცადნენ საკუთარ ძალებზე დაყრდნობითა და ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავების გზით, მიეღწიათ ეკონომიკურ აღმავლობას. ამის საფუძველზე 1970-80-იან წლებში აღმოცენდა **„საკუთარ ძალებზე კოლექტიური დაყრდნობის" კონცეფცია,** რომელიც მიზნად ისახავდა მათ ეკონომიკურ აღმავლობას შიდა ფაქტორთა ამოქმედების გზით.

განვითარებადი ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენცირება ხდება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: 1. შიდა ფაქტორების (მათი ბენებრივ-კლიმატური პირობების, გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა და დემოგრაფიული ვითარების) მიხედვით, გარე ფაქტორების (უცხოური კაპიტალის გადაადგილების სტრუქტურის, ფორმისა და მიმართულების, პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო სტრუქტურის თავისებურებების, ფულად-საკრედიტო და სავალუტო ურთიერთობათა სპეციფიკის, სამუშაო ძალთა მიგრაციის თავისებურებების და სხვათა) მიხედვით.

გარდა ამისა, განვითარებადი ქვეყნები იყოფიან „ახალინდუსტრიულ", ნავთობის ექსპორტიორ („ლიდერთა ჯგუფის"), ნაკლებად განვითარებულ და ნავთობის იმპორტიორ ქვეყნებად. „ლიდერთა ჯგუფში" ცხოვრობს ღარიბი მოსახლეობის 1/4 ნაწილი, სადაც მოსახლეობის ერთ სულზე მო-

სული მთლიანი შიდა პროდუქცია უდრის 10000 აშშ. დოლარს. „უღარიბესთა ჯგუფში" ცხოვრობს „მესამე სამყაროს" მოსახლეობის 15 %. ამ ქვეყნებში მძაფრად დგას სასურსათო და საგარეო დავალიანების პრობლემები, რომელთა გადაჭრაც დამოუკიდებლად მათ არ ძალუძთ.

§ XII. 4. განვითარებადი ქვეყნების საგარეო ეკონომიკური კავშირები

განვითარებადი ქვეყნები კოლონიალიზმის პერიოდშიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, მაგრამ მათი საგარეო ეკონომიკური საქმიანობა ძირითადად მდიდარი ქვეყნების ინტერესებს ემსახურებოდა, რომელიც იმართებოდა კოლონიალისტური ხელისუფლების უცხოური კაპიტალით. დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, განვითარებად ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცათ უფრო მაღალ დონეზე დაეყენებინათ ეროვნული ინტერესები, გაეუმჯობესებინათ მათი საგარეო ეკონომიკური კავშირები.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა მკვეთრად შეამცირა მსოფლიო მოთხოვნა სურსათსა და ნედლეულზე, რომლის ძირითადი ექსპორტიორები განვითარებადი ქვეყნები არიან. ამან შეამცირა მათი სავალუტო შემოსავლები, სასაქონლო ექსპორტის მოცულობა და შესაბამისად მათი ხვედრითი წილი მთლიან მსოფლიო ვაჭრობაში.

შრომის დაბალი ანაზღაურების გამო, ტრანსნაციონალური კომპანიები განვითარებად ქვეყნებში აგებენ თავიანთ ფილიალებს, რითაც უზრუნველყოფენ მათ ბატონობას მსოფლიო ბაზარზე. ასეთ ფილიალებში მზადდება სათავო კომპანიებისათვის საჭირო დეტალები და კვანძები. ამიტომ, განვითარებადი ქვეყნები მხოლოდ დეტალობრივი და ტექნოლოფიური სპეციალიზაციის დონეზე მონაწილეობენ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და წარმოადგენენ ტრანსნაციონალური კორპორაციების ერთიანი ჯაჭვის მხოლოდ ერთერთ შემადგენელ „რგოლს".

განვითარებადი ქვეყნები ტრადიციულად კაპიტალის წმინდა იმპორტიორებად გვევლინებიან. გამონაკლისს წარმოადგენს ნავთობის მფლობელი ქვეყნები, რომელთაც 800 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალი დაბანდებული აქვთ მაღალგანვითარებული ქვეყნების – აშშ-ს, ინგლისისა და სხვათა ეკონომიკაში. მათი ყოველწლიური საპროცენტო შემოსავალი შეადგენს 40 მლრდ. აშშ დოლარს, რომელსაც იღებს საუდის არაბეთი, კუვეითი, კატარი და ლიკია.

სავალუტო შემოსავლების შემცირების გამო, განვითარებად ქვეყნებს მძლავრ სახელმწიფოთა მიმართ დაუგროვდათ დიდი მოცულობის ფინანსური დავალიანება, რაც მიუთითებს შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მათ დაქვემდებარებით მდგომარეობაზე. ამ პრობლემის მოსაგვარებლად განვითარებადი ქვეყნები მოითხოვენ ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარებას, რადგანაც კოლონიალიზმი შეცვალა ნეოკოლონიალიზმმა. ადრე თუ მდიდარი ქვეყნები, პირდაპირი, სამხედრო, საომარი მეთოდებით იპყრობდნენ და ბატონობდნენ განვითარებად ქვეყნებს, ახლა იგი შეცვალა ირიბმა მეთოდმა – კაპიტალით დაპყრობამ.

ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის დამყარების პროგრამა მოითხოვს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირებას, საგარეო ვაჭრობის პირობების, განვითარებადი ქვეყნების სასარგებლოდ, გაუმჯობესებას და საგარეო ეკონომიკური კავშირების დემოკრატიზაციას, მაგრამ 1980-იან წლებში ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის პრაქტიკული რეალიზება გაძნელდა, თვით განვითარებად ქვეყნებს (ნავთობის ექსპორტიორ და იმპორტიორ ქვეყნებს, „ახალინდუსტრიულ" და ნედლეულის ექსპორტიორ ქვეყნებს) შორის შეუთანხმებლობის გამო.

როცა განვითარებადმა ქვეყნებმა მძლავრ სახელმწიფოებთან ვერ მიაღწიეს სამართლიანობას, ისინი დაადგნენ ურთიერთთანამშრომლობის გზას, რეგიონული ინტეგრაციების განვითარების გზით. ინტეგრაციული პროცესების განვითარება შედარებით ახალი მოვლენაა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში, რამაც ხელი შეუწყო მათი ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის ოპტიმიზაციას წარმოების მასშტაბის

მასობრივი გასაღების ბაზრებით უზრუნველყოფასა და ზესახელმწიფოების მხრიდან ზეწოლის შესუსტებას. **განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ინტეგრაციული ეფექტი უზრუნველყოფილია ხარისხობრივად ახალ საწარმოო ძალთა განვითარებით, რომლის საფუძველს წარმოადგენს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია.**[1]

მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის უქონლობა, საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე არასტაბილურს და საგარეო ბაზრებზე დაქვემდებარებულს ხდის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას. ამ ქვეყნების ინტეგრაციული კავშირები იქმნება სავაჭრო ბლოკების ფორმირების მიზნით.

§ XII. 5. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო სავაჭრო პოლიტიკის სპეციფიკა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში 1989 წელს დაიწყო ცენტრალური გეგმური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე მასობრივი გადასვლა. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად 1991 წელს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკებიც, რომელთაც ახლადდამოუკიდებელ სახელმწიფოებსაც უწოდებენ, შეუერთდნენ ამ პროცესს. ეს არის ლიბერალიზაციის ბევრად უფრო დრამატული ეპიზოდი, ვიდრე ყოფილა დღემდე ოდესმე. რა როლს ასრულებს ამ პროცესში საგარეო პოლიტიკის ცვლილება მათ საერთაშორისო ვაჭრობაზე?

1989-91 წლებში, ყოფილი სოციალისტური ქვეყნების საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დაწყებამდე, ამ სახელმწიფოებში მეფობდა ცენტრალიზირებული დაგეგმვა. 1990-იან წლებმადე მათ მიერ განხორციელებული საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო მაქსიმალურად მიეღწიათ ეროვნულ თვითუზრუნველყოფისთვის. უცხოური საქონლის იმპორტი გამოიყენებოდა მხოლოდ იმისათვის, რომ შეევსოთ

[1] М.В. Колесов. Экономика зарубежныж стран.. М. 1994 г. с -- 197/

ცენტრალიზირებულ ეკონომიკაში შექმნილი სასაქონლო დეფიციტი. მას ძირითადად განეკუთვნებოდა ნედლეული და ის საქონელი, რომელიც ვერ იწარმოებოდა ქვეყნის შიგნით, ხოლო სასაქონლო პროდუქციის საექსპორტო-საიმპორტო ნაკადები კი კონტროლდებოდა სახელმწიფოს მიერ. საბჭოთა კავშირი საგარეო ვაჭრობას ავითარებდა მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნეობდა ამის აუცილებლობა და ისიც მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ბლოკში შემავალ მოკავშირეებთან.

ამ ქვეყნებს შორის სავაჭრო კავშირები მყარდებოდა ორმხრივი ბარტერული გაცვლის საფუძველზე, თავიანთი საექსპორტო და საიმპორტო პროდუქციის ხანგრძლივი მოწოდებით. 1949 წელს ყოფილი სოციალისტური სამყაროს ექვსმა ქვეყანამ, ეფექტური ორმხრივი ვაჭრობის განვითარების მიზნით, მიაღწია ეკონომიკური ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებას,. მაგრამ მალე მათ შორის დამყარებული ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები გართულდა. საბჭოთა კავშირი დასპეციალდა ნავთობისა და გაზის, მსოფლიო ფასებთან შედარებით უფრო დაბალ ფასად, ექსპორტზე, ხოლო სხვა ქვეყნები კი ახდენდნენ სამრეწველო პროდუქციის ექსპორტს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ამ ქვეყნებს ჰქონდათ გადაწყვეტილების მიღების სუსტი მექანიზმი. მძაფრ კრიზისს განიცდიდა მძიმე მრეწველობა, მოძველდა მათი ტექნოლოგია, იმატა ეკოლოგიურმა პრობლემებმა, არ იყო ჩამოყალიბებული სავაჭრო კავშირები საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებთან. საჭირო იყო წარმოების კარდინალური რეორგანიზაცია. გარდამავალ პერიოდში მათ განიცადეს სერიოზული ეკონომიკური კრიზისი. ყოველი ქვეყანა განიცდიდა სამამულო ეკონომიკის რეორგანიზაციით გამოწვეულ პრობლემებს. რამდენ ხანს გაგრძელდება მათი მეურნეობის საბაზრო „რელსებზე" გარდამავალი ეტაპი და რამდენად ძლიერი იქნება მათი ეკონომიკური ვარდნა? ამ კითხვებზე პასუხი მსოფლიოს არც ერთ ცნობილ ექსპერტს არ გააჩნია.

ამ ქვეყნებში საგარეო და საშინაო რეფორმები ხორციელდება ურთიერთპარალელურად. მათ მიერ განხორციელებულ სავაჭრო პოლიტიკას გარკვეული როლი უნდა დაეკისროს გარდამავალ პერიოდში. ევროპის განვითარებისა და რე-

კონსტრუქციის ბანკი აკვირდება გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სავაჭრო რეფორმების პროცესს. ცენტრალური, აღმოსავლეთ ევროპისა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა განახორციელა სახელმწიფო საკუთრებში არსებულ საწარმოთა სწრაფი პრივატიზაცია. 1994 წელს საგარეო ვაჭრობაში მათ მოხსნეს ყველა სახის შეზღუდვები. იგივე დაბალი საბაჟო ტარიფებისა და საიმპორტო ქვოტების დაწესების შედეგად, შიდა სამომხმარებლო ბაზარზე რეალიზებული პროდუქციის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვნად იმატა უცხოური საქონლის გაყიდვის ხვედრითმა წილმა.

გაუქმდა სამამულო პროდუქციის ექსპორტის კონტროლი და სახელმწიფო სავაჭრო მონოპოლია. ნება მისცეს ბაზარს თავად განესაზღვრა ფასები. ის ქვეყნები, რომლებიც დაადგნენ სამამულო ეკონომიკის საბაზრო „რელსებზე" ტრანსფორმაციის ამ გზას, ცდილობდნენ შეესრულებინათ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები. ჩეხეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ესტონეთი ამ ორგანიზაციის წევრები გახდნენ 1995 წელს. გარდა ამისა, ამ ქვეყნებმა (ალბანეთის, ხორვატიისა და მაკედონიის გამოკლებით) 1992-95 წლებში მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას ევროკავშირთან თანამშრომლობის შესახებ. ევროკავშირის მიერ ამ ქვეყნების პროდუქციის მიმართ წაყენებული ეკოლოგიური ნორმების, წარმოების სტანდარტებისა და სხვა სამომხმარებლო მოთხოვნათა დაკმაყოფილების შემთხვევაში, მათ მიიღეს ევროკავშირის მაღალი გადახდისუნარიანობის მქონე ბაზრებზე თავიანთი სამრეწველო საქონლის თავისუფლად რეალიზაციის უფლება. იმავდროულად ისინი დაადგნენ ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობის გზას.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნები დაადგნენ თავიანთი ეკონომიკის სისტემური ლიბერალიზაციის გზას. არცერთ მათგანს არ გამოუყენებია სრულად სავაჭრო ბარიერები. ლიბერალიზაციაზე უარი თქვა უკრაინამ, რომელმაც შეინარჩუნა სახელმწიფო ვაჭრობა და ადმინისტრაციული კონტროლი, რათა სამამულო საქონლისა და მომსახურების ფასები შეენარჩუნებინა მსოფლიო დონესთან შედარებით უფ-

რო დაბლა. ამ ქვეყანაში საიმპორტო ბარიერები არ იყო მაღალი, მაგრამ იმპორტის შესასყიდად არ არსებობდა საკმარისი სავალუტო მარაგი. ნაწილობრივი ლიბერალიზაციის გზას დაადგა რუსეთი, რომელმაც 1992 წელს მნიშვნელოვნად შეასუსტა საქონლის იმპორტის კონტროლი.

სხვა ქვეყნებს, უცხოური საქონლის იმპორტის მიმართებაში ემჩნეოდათ ნაწილობრივი ლიბერალიზაცია, მაღალი ტარიფებისა და საწარმოო სტანდარტების შემოღების სახით. 1997 წელს ამ ქვეყნებში (მათ შორის ბელორუსიაში, თურქმენეთსა და უზბეკეთში) გაუქმდა სამამულო პროდუქციის ექსპორტზე არსებული შეზღუდვები. გარდა ამისა, ყველა ქვეყანამ, ტაჯიკეთის ჩათვლით, ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროკავშირთან თანამშრომლობის შესახებ. ამის შედეგად, მათ მიეცათ ბევრად უფრო ხელსაყრელი საიმპორტო ქვოტების დაწესების უფლება. როგორ განვითარდა ამ სახელმწიფოთა საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და დინამიკა საბაზრო ეკონომიკაზე მათი სახალხო მეურნეობის გადასვლის დროს? ცხადია, პროცესი წარიმართა უცხოური (განსაკუთრებით სამომხმარებლო) საქონლის იმპორტის სწრაფი ზრდით. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს, უცხოური საქონლის იმპორტის დასაფინანსებლად, უნდა მოეხდინათ სამამულო ნაწარმის ექსპორტი.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგარეო ვალის პრობლემა. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან, პრობლემას წარმოადგენს ქრონიკული საგარეო დავალიანების ფორმირების ტენდენცია, რაც მათი ფინანსური კრიზისით არის გამოწვეული. ამ ქვეყნებს ჭარბი ფინანსური სახსრები ჭირდებათ, ერთის მხრივ, კრიზისში, ან აღმავლობის სტადიაზე მყოფ სამამულო დარგთა კვლავწარმოების დასაფინანსებლად, მეორე მხრივ, საკუთარი მოსახლეობის არსებობისათვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების იმპორტის დასაფინანსებლად. მაგრამ ზემოთ აღნიშნულ პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს ის გარემოება, რომ აღებული ვალები არ იხარჯება მიზნობრივად, არამედ ისინი მიემართება პრესტიჟული ავტო-

მობილების უცხოეთის აგარაკების, ავეჯის, ან სხვა სახის უცხოური საქონლისა და მომსახურების შესაძენად.

სესხებმა, შესაბამისად დატოვა წარმოების სფერო და სამომხმარებლო ხასიათი შეიძინა, რომელთაც უკუგება არ ახასიათებს. საგარეო ვალი კი გარკვეული სარგებლის განაკვეთის გადახდის პირობით არის აღებული. ამიტომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები სულ უფრო ეფლობიან ქრონიკული საგარეო ვალის ჭაობში. მათი საგარეო ვალის ზრდის ტემპმა თანამედროვე ეტაპზე გადააჭარბა დანარჩენი ორი კატეგორიის სახელმწიფოთა საგარეო ვალის ზრდის ტემპს. მათი ეკონომიკური ზრდის ტემპები კი არ იძლევა მზარდი საგარეო ვალის დაფარვის შესაძლებლობას. ამიტომ საგარეო ვალის პრობლემა ყველაზე უფრო მტკივნეულია სწორედ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის. ბუნებრივია, ჩნდება ასეთი კითხვა: შეუძლიათ თუ არა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს გაზარდონ თავიანთი პროდუქციის ექსპორტი ევროკავშირისა და საბაზრო ეკონომიკის მქონე სხვა ქვეყნებში? აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების პროდუქციის ევროკავშირის ბაზრებზე დამკვიდრების სფეროში წარმოიქმნება ორი სახის პრობლემა. კერძოდ ესენია: 1. ამ ქვეყნების პროდუქციის ხარისხი საერთაშორისო სტანდარტებთან შედარებით უფრო დაბალია; 2. ამ ქვეყნებში საკმაოდ მაღალია იმპორტზე დაწესებული ბარიერები.[1]

§ XII. 6. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წინაშე წარმოქმნილი სხვა პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საქონლის ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტი აწყდება არასავაჭრო ბა-

[1] [1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. с англ. М. изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 292 --323 с.

რიერებს. ისინი ზღუდავენ ამ ეკონომიკური ინტეგრაციისათვის საციცოცხლო მნიშვნელობის, („მგრძნობიარე") საქონლის: სოფლის მეურნეობის პროდუქციის, სურსათის, ქსოვილის, ტანსაცმლის, ტყავისა და ფოლადის იმპორტს. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ხშირად აწყდებიან მათ მიერ დამზადებული პროდუქციით ვაჭრობაში დისკრიმინაციულ მიდგომას, მაღალგანვითარებული ქვეყნების მხრიდან. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ზოგიერთ ქვეყანას შეუძლია მსუბუქი მრეწველობის პროდუქციით (ქსოვილით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით) ექსპორტის გაფართოება. ამ ქვეყნების ეკონომიკური წარმატება შეიძლება უზრუნველყოს იაფი და კვალიფიცირებული შრომითი რესურსების ფლობამ. განვითარებული ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციები დიდ კაპიტალს აბანდებენ ამ ქვეყნებში, რათა გამოიყენონ მათი იაფი მუშახელი, გააკონტროლონ პროდუქციის ხარისხი, ჩაატარონ მარკეტინგული კვლევები.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წარმატების საწინდარი უნდა გახდეს მათი პროდუქციის ექსპორტის ზრდა თვით ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, რომელთა ბაზრები ერთმანეთის მსგავსია, მით უმეტეს, ეკონომიკური გარდაქმნის დაწყებამდე ეს ქვეყნები ძირითადად ერთმანეთს შორის ვაჭრობდნენ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს თავიანთი პროდუქციის ექსპორტის 70 % გააქვთ ამ რეგიონის ფარგლებს გარეთ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები დღესაც ძირითადად ურთიერთშორის ვაჭრობენ. სწრაფმა ლიბერალიზაციამ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ტერიტორიულმა სიახლოვემ დააჩქარა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, ადრინდელთან უფრო ხელსაყრელ სავაჭრო სტრუქტურაზე გადასვლა.

მსოფლიო ბანკმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა გამოიკვლიეს ამ ქვეყნებში მიმდინარე სავაჭრო რეფორმები და დაასკვნეს, რომ მათთვის დამახასიათებელია ეკონომიკური გარდაქმნის სწრაფი ტემპი. თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლამ ხელი შეუწყო მასშტაბის ეფექტის კვალობაზე მათი პროდუქციის წარმოების დანახარჯთა მინიმიზაციას. მსოფლიო ფასებმა განსაზღვრა რესურსების ნაკადთა

დენადობის მიმართულება, მაგრამ ამ ქვეყნების საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ დაბალია მათი ეროვნული უსაფრთხოების დონე.

თავისუფალი ვაჭრობა აიძულებს ამ ქვეყნების მეწარმეებს აამაღლონ თავიანთი პროდუქციის ხარისხი. საგარეო ვაჭრობიდან მოგების მიღება დამოკიდებულია მოქმედი, არაეფექტური სავაჭრო სტრუქტურის გამოცვლაზე. სწრაფ გარდაქმნას ის უპირატესობა გააჩნია, რომ ეს პროცესი დამთავრდება მანამდე, სანამ მოასწრებენ რეაგირებას ლიბერალიზაციის მოწინააღმდეგენი.

საგარეო ვაჭრობის სისტემატური ლიბერალიზაციის პირობებში სავაჭრო კონტროლის შენარჩუნებამ შეიძლება გამოიწვიოს გარდაქმნის პროცესის დეფორმაცია, ამ დროს დანაკარგები შეიძლება აღმოჩნდეს იმაზე უფრო დიდი, ვიდრე ნავარაუდები იყო გარდაქმნის დაწყებამდე. მაგალითად, თუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები არ მოახდენენ საგარეო ვაჭრობის სრულ გათავისუფლებას შეზღუდვებისაგან, ეს კარჩაკეტილობა მათთვისვე იქნება დამანგრეველი, რადგანაც ამ ქვეყნების საწარმოები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებულნი ნედლეულის იმპორტზე. გარდა ამისა, საგარეო ვაჭრობაზე კონტროლის შენარჩუნება სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესის დირექტიულად მართვის გაგრძელების მაჩვენებელია. საგარეო ვაჭრობისადმი ზედმეტი სახელმწიფო კონტროლი, თავის მხრივ, ასაზრდოებს კორუფციას.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური გარდაქმნის წარმატების ერთ-ერთი მახასიათებელი ნიშანია მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა. გარდამავალ ეტაპზე სამამულო წარმოების მოცულობის შემცირება ბუნებრივი პროცესია, რადგანაც: 1. თავიდან ნაწარმის ხარისხი ძალიან დაბალია და მას არ გააჩნია რეალური ღირებულება. 2. გაუთვალისწინებელია კერძო მეწარმეობის როლის ზრდაც.

1996 წელს წარმოების დონე ამ ქვეყნებში 1989 წლის დონესთან შედარებით უფრო დაბლა დაეცა. განსხვავებულია მათი საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ტემპიც. 1996 წელს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მთლიანი შიდა პროდუქცია გაუთანაბრდა 1989 წლის დონეს.

ამ სახელმწიფოებში წარმოების ზრდის ტემპების დაჩქარება შეინიშნა მხოლოდ 1992-94-იან წლებში მათ მიერ ღრმა ეკონომიკური კრიზისის გადატანის შემდეგ.

საგარეო ვაჭრობის სწრაფი ლიბერალიზაციის პირობებში დეპრესია, რეფორმების ალტერნატიულ მეთოდებთან შედარებით ხანმოკლეა ხოლო ეკონომიკური ზრდა კი შედარებით უფრო ხანგრძლივი. საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია და რეგიონში შემავალი ქვეყნების ეკონომიკის ინტეგრაციის მაღალი ტემპი მსოფლიო ეკონომიკას აძლევს წმინდა მოგებას. იმავდროულად ეკონომიკური ტრანსფორმაციის დასაწყისში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სასტარტო მდგომარეობა უფრო ხელსაყრელია, რადგანაც ისინი გეოგრაფიულად ახლოს არიან დასავლეთ ევროპასთან.

ბევრად უფრო თვალშისაცემია ბალტიის ზღვისპირეთის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის ჩქარი ტემპი. ეკონომიკური რეფორმების დროს ესტონეთმა აჩვენა კარგი შედეგები. ლიტვიამ და ლატვიამ წარმატებით გარდაქმნეს ვაჭრობა. მათთვის მნიშვნელოვანია გეოგრაფიული განლაგების ფაქტორიც. მომავალში მოსალოდნელია, რომ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები ეკონომიკურ წარმატებას გეგმავენ კვალიფიცირებული მუშახელის მაღალი დონის განათლებისა და საინჟინრო მშენებლობის სფეროში დაგროვილი გამოცდილების გამოყენების ხარჯზე. მაგრამ პოლიტიკურ ღონისძიებათა დაყოვნებით და არაადეკვატურად გატარების შედეგად ისინი ნაკლები წარმატებით ახორციელებენ ეკონომიკის გარდაქმნის პროგრამას.

რეზიუმე

1. ამ თავში გაანალიზებულია მაღალგანვითარებული ქვეყნების აგრარული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ასიმეტრიულად განსხვავებულია განვითარებადი ქვეყნების მიერ განხორციელებული აგრარული საგარეო სავაჭრო პოლიტიკისაგან. ამ ქვეყნებში ხორციელდება აგრარული პროდუქციის სამამულო წარმოების პირდაპირი ფასისმიერი

მხარდაჭერა, აგრარულ საექსპორტო პროდუქციაზე დაწესებულ ფასთა შენარჩუნების პოლიტიკა;

2. 1950-იან წლებში, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებადმა ქვეყნებმა დაიწყეს სამამულო ეკო-ნომიკის განვითარების სხვადასხვაგვარი კონცეფციის შემუშავება და რეალიზაცია, რომელთაგან აღსანიშნავია: „დამწვეი განვითარების" კონცეფცია, „ინსტიტუციონალური" განვითარების კონცეფცია, „საკუთარ ძალებზე კოლექტიური დაყრდნობით" ეკონომიკის განვითარების კონცეფცია;

3. განვითარებადი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის გაფართოების მიუხედავად ისინი მაინც დაღარიბებულნი რჩებიან. ნედლეულის წარმოებასა და ექსპორტთან დაკავშირებული განვითარებადი ქვეყნების უპირატესობა არამდგრადია და განუხრელად მცირდება;

4. მათ არასწორი პრიორიტეტები აქვთ არჩეული საგარეო ეკონომიკური კავშირებთან მიმართებაშიც. რეგიონული ინტეგრაციების განვითარება შედარებით ახალი მოვლენაა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. მათ შორის თანამშრომლობის ინტეგრაციული ეფექტი უზრუნველყოფილია ხარისხობრივად ახალ საწარმოო ძალთა განვითარებით, რომლის საფუძველს წარმოადგენს სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია;

5. სამამულო ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციის სფეროში წარმატებას მიაღწიეს მხოლოდ იმ ქვეყნებმა, რომელთაც გააჩნიათ დიდი ტევადობის მქონე შიდა ბაზარი. სამამულო ეკონომიკის ინდუსტრიალიზაციას ქვეყნისათვის მოაქვს დამატებითი სოციალურ-ეკონომიკური სიკეთე; უცხოური საქონლის იმპორტის სამამულო ნაწარმით ჩანაცვლება დიდ ქვეყნებში აუმჯობესებს საგარეო ვაჭრობის პირობებს;

6. სასაქონლო ნედლეულსა და სურსათზე დაწესებულ მსოფლიო ფასთა ვარდნის გამო მათ მწარმოებელ განვითარებად ქვეყნებს ეკონომიკური განვითარების ცუდი პერსპექტივა აქვთ. განვითარებად ქვეყნებს უზღუდავენ მზა სამრეწველო პროდუქციის ინდუსტრიულ ქვეყნებში ექსპორტსაც;

7. გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს გააჩნით დიდი მოცულობის საგარეო ვალი; ისინი საგარეო ბაზარზე

აწყდებიან თავიანთი პროდუქციით ვაჭრობის დისკრიმინაციის პრობლემას. თემის ბოლოს განხილულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების სამამულო პროდუქციის წარმოების ტრანსფორმაციის პროცესში წარმოქმნილი პრობლემები და დასახულია მათი გადაჭრის გზები.

ძირითადი ტერმინოლოგია

- სავაჭრო პოლიტიკა;
- ეკონომიკური დუალიზმი;
- „დამწევი განვითარების" კონცეფცია;
- „ინსტიტუციონალური" კონცეფცია;
- სასურსათო უსაფრთხოების პრობლემა;
- თანამშრომლობის ინტეგრაციული ეფექტი.

ამოცანები

1. იაპონიის გამოცდილება ამართლებს მრეწველობის ახალ დარგთა დაცვის აუცილებლობას. ეს ქვეყანა იქნებოდა გაცილებით უფრო ღარიბი, თუ იგი განახორციელებდა სათამაშოებისა და ტყავის ექსპორტს. მაგრამ იაპონიის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო მეტალურგიისა და ავტომობილების – თავდაპირველად არაეფექტურ დარგთა დაცვა. ამით იაპონურმა ფირმებმა დომინირებადი ადგილი დაიჭირეს მსოფლიო ბაზარზე. განსაჯეთ ეს მტკიცებულება;

2. ვთქვათ, მიმდინარე მომენტში ქვეყანა ახდენს ავტომობილების იმპორტს 8 ათას აშშ. დოლარად. მისი მმართველობა თვლის, რომ სამამულო საწარმოებს მოგვიანებით შეეძლებათ მანქანები გამოუშვან 6 ათას აშშ. დოლარად, მაგრამ თავდაპირველად მათი ღირებულება გაუტოლდება 10 ათას აშშ. დოლარს:

ა) ვთქვათ, ასეთ ქვეყანაში ყოველმა საავტომობილო ფირმამ უნდა განვლოს განსაზღვრული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც სამამულო ავტომობილები ძვირადღირებული იქნება. წარმოების საწყისი მაღალი დანახარჯების არსე-

ბობის რა პირობებში იქნება გამართლებული დარგის დაცვა მისი ფორმირების ეტაპზე პროტექციონიზმის მეშვეობით?

ბ) ახლა დავუშვათ, რომ ზოგიერთ ფირმას შეუძლია ავტომობილების წარმოების დანახარჯები შეამციროს 6 ათას აშშ. დოლარამდე. მაგრამ ზოგიერთი ფირმა აგრძელებს ძველ ფასად ავტომობილების გაყიდვას. ახსენით, თუ რანაირად შეუძლია ამ პროცესს ხელი შეუშალოს სამამულო დარგთა განვი-თარებას და რანაირად დაეხმარება ამ პრობლემის გადაჭრა იმ დარგებს, რომლებიც კრიზისს განიცდიან განვითარების საწყის ეტაპზე;

3. რატომ შეიძლება აღმოჩნდეს უცხოური საქონლის იმ-პორტის სამამულო ნაწარმით ჩანაცვლების შედეგად ეკო-ნომიკის ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკა ბევრად უფრო ეფექტურ სტრატეგიად ისეთ მსხვილ ქვეყნებში, როგორიც ბრაზილიაა, და არა მცირე ერებში, როგორიც არის განა?

4. ვთქვათ ზოგიერთი მცირე ქვეყანა მრეწველობის დარგში დამზადებული როდუქციის ყოველ ერთეულზე ასაქმებს 20 ადამიანს. ვთქვათ ამ მუშებს შეუძლიათ გამოუშ-ვან ორი სახის პროდუქცია: სამრეწველო დანადგარები და სურსათი. სამრეწველო საქონლის წარმოების დროს შრომის ზღვრული პროდუქტიულობა დამოკიდებულია გამოყენებულ მუშაკთა რაოდენობაზე შემდეგნაირად:

ვთქვათ კვების მრეწველობის შრომის ზღვრული პროდუქ-ტიულობა არაა დამოკიდებული სამუშაო ძალთა რაოდენობა-ზე და უდრის 9-ს, ხოლო სამრეწველო დანადგარის ერთეუ-ლის ღირებულება უდრის სურსათის ერთეულის ღირებუ-ლებას და იგი შეესაბამება 10 აშშ. დოლარს. განსაზღვრეთ შრომის ანაზღაურება, შრომითი რესურსების დარგთაშორისი ჩანაცვლების სტრუქტურა და ყოველი საქონლის წარმოების მოცულობა იმ პირობით, რომ ამ ქვეყანაში არ არსებობს შრომის ღია ბაზარი.

მუშაკთა რიცხვი	შრომის ზღვრული პროდუქტიულობა, რომელსაც იძლევა უკანასკნელი მუშა
1	20
2	18
3	16

4	14
5	12
6	11
7	10
8	9
9	8
10	7

თავი XIII

საერთაშორისო სასაქონლო ბაზრები და მათი ფუნქციონირების მექანიზმი

როდესაც საქმე ბაზრის დაპყრობას ეხება, ესთეთიკური თვალსაზრისი მნიშვნელოვანი ხდება.

პ. მაკნიკოლი

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების უფრო სრულყოფილად გაანალიზების მიზნით დიდი მნიშვნელობა აქვს ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეული სასაქონლო ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი, ავხსნათ ამ ბაზრებზე მოქმედი კანონზომიერებანი და შევადაროთ, თუ რამდენად შეესაბამება ამ სფეროში მიმდინარე პრაქტიკული მოვლენები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში შემუშავებულ თეორიებს.

მსოფლიო მეურნეობის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს განეკუთვნება სოფლის მეურნეობა. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა სპეციფიკური ნიშან-თვისებებით ხასიათდება. ამიტომ იგი შესაბამის გავლენას ახდენს საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურასა და დინამიკაზე. განვიხილოთ აგრარულ სექტორში მიმდინარე მოვლენების სპეციფიკური თავისებურებანი. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება ხორბლის მსოფლიო საქველმოქმედო ბაზარს.

საინტერესო პროცესები ვითარდება ევროკავშირის აგრარული პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სფეროში. ამ ინტეგრაციაში შემავალი ქვეყნები „სავსეა" ჭარბი აგრარული ნაწარმით. მათი მმართველობა ცდილობს თავიანთი პროდუქციის ევროკავშირის ფარგლებში რეალიზაციის დროს შეინარჩუნოს მაღალი სამომხმარებლო ფასები.

§ XIII. 1. აგრარული პროდუქციით ქვეყნებს შორის ვაჭრობის სპეციფიკა

მსოფლიო ფასებთან შედარებით უფრო მაღალი სამამულო ფასის დაწესება ხდება უცხოური აგრარული პროდუქციის იმპორტისაგან ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო სექტორის სავაჭრო ბარიერებით დაცვის მიზეზი. აგრარული პროდუქციის ევრობაზარზე, მსოფლიო დონესთან შედარებით უფრო მაღალი ფასების შენარჩუნებით, ადგილობრივი ფერმერებისათვის შექმნილია „ერთგვარი სათბური", რის გამოც დიდია ამ ინტეგრაციის არაწევრი, მეზობელი ქვეყნების უცხოელი მცირე მეწარმეების მხრიდან აგრარული პროდუქციის „შენიღბული" ფორმით რეალიზაციის სურვილი. ამგვარად, ტურისტული ლიმიტის ფარგლებში, ევროკავშირიდან უბაჟოდ გატანილი აგრარული პროდუქცია შეიძლება იმავე დღეს დაბალ ფასად გაიყიდოს ამ ინტეგრაციის შიდა ბაზარზე.

მსგავსი კურიოზები სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, რადგანაც სოფლის მეურნეობა ძალზე სპეციფიკური სექტორია. ყველა ქვეყანა აგრარული სექტორის მიმართ თავისებურ პოლიტიკას ატარებს. საერთაშორისო შეთანხმებით, სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი ამოღებულია მსოფლიო ვაჭრობის სტანდარტული პროდუქციის სიიდან. ამიტომ, აგრარული საქონლით საერთაშორისო ვაჭრობაში არ არის აკრძალული სავაჭრო პოლიტიკის ისეთი სახეები, როგორიცაა დემპინგი, საექსპორტო სუბსიდიები, საიმპორტო ქვოტები, საგარეო ვაჭრობის დისკრიმინაცია და საერთაშორისო კარტელები, ეს მაშინ, როცა საერთაშორისო შეთანხმებით, მსგავსი ზომების გატარება ეკონომიკის სხვა დარგებში აკრძალულია.

სოფლის მეურნეობის დარგთა გადასახადებით დაბეგვრის ტენდენცია. სახელმწიფო აქტიურად ერევა სოფლის მეურნეობის განვითარებაში ეხება და შესაბამისად დიდ გავლენას ახდენს აგრარული ნაწარმით მსოფლიო ვაჭრობის სტრუქტურასა და დინამიკაზე. თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნების სოფლის მეურნეობაში მინიმუმამდეა დაყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების პირდაპირი სახელმწიფო სუბსიდიების მეშვეობით დახმარების მოცულო-

ბა. შესაბამისად, ამ საქონელთა (მაგალითად მარცვლეულის წარმოება და ექსპორტი ხდება სწორედ იმ ქვეყნებში, რომლებშიც ყველაზე უფრო ხელსაყრელი კლიმატია მათი წარმოებისათვის. მხოლოდ საუდის არაბეთმა 1980-იან წლებში გააფართოვა ხორბლის წარმოება იმ დონეზე უფრო მეტად, ვიდრე მოიხმარდა ამ პროდუქციას მისი მოსახლეობა. მთავრობა იმდენად დაინტერესდა ხორბლის მოყვანით, რომ მათ არა მარტო აკრძალეს ამ პროდუქციის იმპორტი, არამედ მოახდინეს მისი წარმოების სუბსიდირებაც. სხვა შემთხვევებში მარცვლეული ძირითადად იმპორტირდება, მისი მოყვანის მხრივ, არახელსაყრელი კლიმატის მქონე ქვეყნებში.

ზოგიერთ ქვეყანაში უცხოური საქონლის იმპორტისაგან სოფლის მეურნეობის დარგთა დაცვის ნაცვლად ახდენენ მათი პროდუქციის წარმოების გადასახადებით დაბეგვრას. განსაკუთრებით ეს ეხება განვითარებად ქვეყნებს, რომლის აგრარულ სექტორსაც ბეგრავენ მაღალი გადასახადებით. მაგალითად, განის ფერმერები იძულებულნი იყვნენ 1980-იან წლებში სახელმწიფოსათვის კაკაო მიეყიდათ მსოფლიო ფასების მხოლოდ 40 %-ში. ამ დროს სახელმწიფო კაკაოს იმპორტზე აწესებდა მაღალ გადასახადებს. საბაჟო ტარიფების მაღალი განაკვეთები ვრცელდებოდა სამრეწველო საქონლის იმპორტზეც, რაც ხელოვნურად აძვირებდა მათ ამ ქვეყანაში, კაკაოს მწარმოებლებს უხდებოდათ ამ საქონელთა (ვთქვათ ტყავის) შესაძენად გადაეხადათ მსოფლიო ფასებთან შედარებით 3-ჯერ უფრო მეტი თანხა. მსგავსი საგარეოსავაჭრო პოლიტიკის გატარების პირობებში კიდევ უფრო გაუარესდა განის სოფლის მეურნეობის მაცხოვრებელთა საზოგადოებრივი კეთილდღეობა. ანალოგიურ ვითარებაში აღმოჩნდა ბევრი სხვა განვითარებადი ქვეყანა, რომლებშიც შეიმჩნეოდა აგრარული ექსპორტის მაღალი გადასახადებით დაბეგვრის ტენდენცია.[1]

აგრარული სავაჭრო პოლიტიკის განვითარებაში შეიმჩნევა შემდეგი ძირითადი ტენდენციები: სასოფლო-სამეურნეო

[1] Пол кругман, Морис Обсевельд. Международная экономика. 5-ое международное издания. Изд. «Питер». Москва. 2003 г.—311 -- 341 с.

დარგთა პროდუქციის წარმოების მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე მოხდენილი გავლენის შესაფასებლად თანამედროვე მსოფლიოს მეცნიერ-ეკონომისტებმა შეიმუშავეს გარკვეული თეორიული ბაზა, რომელიც საშუალებას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა ქვეყნის მიერ გატარებული, ურთიერთგანსხვავებული აგრარული საგარეო-სავაჭრო პოლიტიკა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენების დასახასიათებლად გამოიყენება **ნომინალური დაცვის კოეფიციენტი.** დაცვის ნომინალური კოეფიციენტი (ნ. დ. კ.) ეწოდება აგრარული პროდუქციის ეროვნულ და მსოფლიო ფასთა თანაფარდობას, საგარეო ვაჭრობის სრული ლიბერალიზაციისა და სავალუტო კურსთა კორექტირების გათვალისწინებით. საექსპორტო დარგებისათვის ნ. დ. კ.<1-ზე; ხოლო იმპორტშემცვლელი დარგებისათვის კი – ნ.დ.კ. > 1-ზე; ეს მაჩვენებელი საშუალებას იძლევა განისაზღვროს, თუ რამდენად დისკრიმინაციულია ცალკეულ შემთხვევებში სახელმწიფოს მხრიდან ფერმერების მიმართ განხორციელებული საგარეო სავაჭრო პოლიტიკა. ნ. დ. კ. იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას:

1. **რაც უფრო მდიდარია ერი, მით უფრო ძლიერია აგრარული პროდუქციის მწარმოებელთა პროტექციონისტული დაცვის ტენდენცია,** ე. ი. მით უფრო მაღალია მათი ნომინალური დაცვის კოეფიციენტი, **ხოლო დაბალშემოსავლიანი ქვეყნები კი ისწრაფვიან გადასახადებით დაბეგრონ აგრარული პროდუქციის მწარმოებლები.** იმავდროულად მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ფერმერები დაცულნი არიან იმპორტული აგრარული პროდუქციის მხრიდან კონკურენციისაგან და, მომხმარებელთა დაზარალების ხარჯზე, სარგებლობენ იმ უპირატესობით, რომ სამამულო პროდუქცია შიდა ბაზარზე გაყიდონ, მსოფლიო ფასებთან შედარებით, უფრო ძვირად;

2. ზოგიერთ ქვეყანაში აგრარული საექსპორტო პროდუქციის მწარმოებლები იძულებულნი არიან თავიანთი პროდუქციის წარმოების დროს, იხადონ ბევრად უფრო მაღალი გადასახადები, ვიდრე იმპორტთან კონკურენციაში მყოფი საქონლის მწარმოებელი ფერმერები. ასეთი საგარეო სავაჭ-

რო პოლიტიკა მიმართულია აგრარული პროდუქციით საგარეო ვაჭრობის შეზღუდვისაკენ.

ამრიგად, ნომინალური დაცვის კოეფიციენტი აგრარული პროდუქციის ეროვნულ და მსოფლიო ფასთა თანაფარდობის ტოლია, თავისუფალი ვაჭრობისა და ვალუტის კურსის კორექტირების პირობებში. თუ ეს მაჩვენებელი ერთზე მეტია, მაშინ მთავრობა იცავს ამ პროდუქციის მწარმოებელს, ხოლო თუ ერთზე ნაკლები, მაშინ სახელმწიფო დამატებითი გადასახადებით ბეგრავს ადგილობრივ მეწარმეებს. იმ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, სადაც მძლავრად იწარმოება აგრარული საექსპორტო პროდუქცია, თითქმის არ არსებობს ეროვნული სოფლის მეურნეობის დაცვის საკუთარი პროგრამა. ხოლო იმ ქვეყნებში კი, სადაც აგრარული სექტორი შედარებით უფრო სუსტია და მის ნაწარმზე არსებული მზარდი მოთხოვნა კმაყოფილდება უცხოური სასურსათო საქონლის იმპორტით, (მაგალითად, იაპონიაში) გაცილებით უფრო გაძლიერებულია აგრარული სექტორის დაცვის მექანიზმი.

§ XIII. 2. სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მსოფლიო მოდელი

არსებობს აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელი ორი ძირითადი მოდელი:

1. **ევოლუციური მოდელი,** როცა დაბალი შემოსავლების მქონე ქვეყნები აწესებენ მაღალ გადასახადებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაზე, რაც აუარესებს მათი ვაჭრობის პირობებს, ეს მაშინ, როდესაც მდიდარი ქვეყნები ჩვეულებისამებრ სუბსიდიებით იცავენ მათ აგრარულ დარგებს;

2. **ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული მოდელი** ძირითადად გამოიყენება განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც გადასახადებით ბეგრავენ აგრარული საექსპორტო საქონლის წარმოებას, და იმავდროულად იცავენ იმპორტთან კონკურენ-

ციაში მყოფ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებელ დარგებს.

ამ მოდელების გამოსაკვლევად, საჭიროა ჯერ განისაზღვროს სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებზე სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენის ერთეული. ამ ერთეულად შეიძლება გამოყენებული იქნეს ნომინალური დაცვის კოეფიციენტი. მაგრამ მის მთავარ ნაკლოვანებად ის ითვლება, რომ იგი არ ითვალისწინებს ფერმერთა შემოსავლებზე მოქმედ იმ სახელმწიფო პოლიტიკას, რომელიც გავლენას არ ახდენს აგრარული პროდუქციის სამამულო ფასებზე. მაგალითად, თუ სახელმწიფო შემოსავლების დონის შესანარჩუნებლად, სუბსიდიებს აძლევს თავის ფერმერებს, მაგრამ ნებას აძლევს თავისუფალ ვაჭრობას დაექვემდებაროს შიდა ფასები მათ ნაწარმზე, რომლის ნომინალური დაცვის კოეფიციენტი უდრის ერთს. ამ კოეფიციენტის კიდევ ერთ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ მასში არ გაითვალისწინება სახელმწიფო პოლიტიკა იმ საქონელთან მიმართებაში, რომელთაც მოიხმარებენ თავად ფერმერები. ეს კოეფიციენტი არ ასახავს იმ ფაქტს, რომ მრეწველობის დარგთა დაცვისათვის საჭირო ხარჯები აჭარბებს სოფლის მეურნეობის სუბსიდირებაზე გაწეულ დანახარჯებს. ეს კი ზრდის იმ საქონელთა ფასებს, რომელთაც იყენებენ ფერმერთა ოჯახები. აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელ მოდელთა შეფასებისათვის ბევრად უფრო ხელსაყრელია ეფექტური დაცვის კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც მიიღება, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში, აგრარულ სექტორზე სახელმწიფო დახმარებით გამოწვეული ხარჯების შეფარდებით პროდუქციის ერთეულის ნამატ ღირებულებასთან.

ნომინალური დაცვის კოეფიციენტთან შედარებით დაცვის ეფექტური დონის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მასში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობისათვის გაწეულ ხარჯებზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა. ანუ ამ მაჩვენებელში გათვალისწინებულია აგრარული სუბსიდიები, ან მრეწველობის დარგთა სახელმწიფო დაცვაზე გაწეული ხარჯები, რომელიც მინერალური სასუქებითა და წარმოების

იარაღებით უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობას, მაგრამ მასში არაა გათვალისწინებული შემდეგი ორი გარემოება:

1. სახელმწიფო სუბსიდიები, ან გადასახადები, რომლებიც არ მოქმედებენ ფასებზე;

2. სახელმწიფო პოლიტიკის გავლენა ფერმერთა ცხოვრების გაძვირებაზე.

დაბოლოს, ეკონომისტებმა შეიმუშავეს აგრარული პოლიტიკის განმსაზღვრელ მოდელთა შეფასების ბევრად უფრო ყოვლის მომცველი საშუალება, სადაც სუბსიდიები და გადასახადები გამოისახება, როგორც ფერმერთა საწყისი შემოსავლების წილი, ამ შემოსავლებზე სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის გათვალისწინებით, გამოსახული პროცენტებში. ეს სიდიდე დაახლოებით საწარმოო სუბსიდიების ექვივალენტია, რომელიც მიიღება აგრარულ ნაწარმზე ეროვნულ და მსოფლიო ფასთა სხვაობას დამატებული სახელმწიფო სუბსიდიისა და ნამატ დანახარჯთა სიდიდის სხვაობა შეფარდებული მოცემული პროდუქციის მსოფლიო ფასთან. სხვა ზემოთ განხილულ სიდიდეებთან შედარებით, ამ მაჩვენებელს გააჩნია ის უპირატესობა, რომ იგი სრულად ითვალისწინებს სახელმწიფო პოლიტიკის გავლენას სოფლის მეურნეობაში გაწეულ დანახარჯებზე, მაგრამ ამ გამოთვლაშიც კი რჩება უზუსტობები: პრაქტიკულად ის ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში გაწეულ ხარჯებზე სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გავლენის მხოლოდ რამდენიმე ასპექტს.

უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მასში გაითვალისწინება მხოლოდ სოფლის მეურნეობაზე მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკა და არა ყველა სხვა სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ღონისძიებები. მაგალითად, იგი უძლურია აღრიცხოს სახელმწიფოებრივი დაცვის გავლენა, რომლის შედეგადაც იზრდება სასოფლო-სამეურნეო ხარჯები. წინა ორი კოეფიციენტის მსგავსად, ეს მაჩვენებელიც არ ითვალისწინებს ფერმერულ ოჯახთა ცხოვრების ღირებულების ზრდას. არცერთ ამ მაჩვენებელს არ შეუძლია გადაჭრას სოფლის მეურნეობის შემოსავლებზე სახელმწიფო პოლიტიკის ყველა ასპექტის ერთდროულად შესწავლის ამოცანა. შესაძლებელია მიღებული იქნეს მეტ-ნაკლებად უფრო სრული სურათი მხო-

ლოდ მესამე მაჩვენებლის გამოთვლის შემდეგ. ნომინალური დაცვის კოეფიციენტი თანამედროვე ეტაპზე იძლევა ფართო წარმოდგენას მსოფლიო მასშტაბით შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

§ XIII. 3. ნავთობის მსოფლიო ბაზარი და მისი ფუნქციონირების მექანიზმი

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზარს, რომელიც საჭიროებს ცალკე განხილვას, წარმოადგენს ნავთობის მსოფლიო ბაზარი. ნავთობი წარმოადგენს მსოფლიო ინდუსტრიალიზაციის საწვავ საშუალებას. იმავდროულად ნავთობის საბადოები გამოლევადია. ამიტომ მისი მიწოდების თანდათანობითი შეზდუდვა და საწვავის ამ სახეობაზე არსებული მოთხოვნის განუხრელად ზრდა იწვევს ნავთობზე მსოფლიო ფასთა კატასტროფულ ზრდას.

ნავთობის მსოფლიო მარაგები ძალზე უთანასწოროდაა განაწილებული. მისი უმეტესი ნაწილი მოთავსებულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელთაც ჩამოაყალიბეს ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (ნექო). ნავთობის მსოფლიო მოპოვებაში ნექო-ს (ანუ OPEK-ის) ხვედრითი წილი 1938 წელს თუ შეადგენდა 20 %-ს, 1960 წელს მან შეადგინა 40 %, ხოლო 1972 წელს კი მან შეადგინა 50 %, რის გამოც ნავთობის იმპორტიორი ქვეყნები სულ უფრო დამოკიდებულნი ხდებოდნენ OPEK-ზე. ნექო-ს წევრ ქვეყნებს არ ჰქონდათ ნავთობის მოპოვება-რეალიზაციის წინასწარ, მკაცრად განსაზღვრული შეთანხმება. იმავდროულად მისი წევრები ნავთობზე ფასს ინდივიდუალურად აწესებდნენ.

ნავთობზე არსებული მსოფლიო მოთხოვნა 1950-70-იან წლებში საშუალოდ იზრდებოდა 5%-ით. დროის ამავე ინტერვალში მსოფლიო ენერგომოთხოვნილებაში ნავთობის წილი 29 %-დან 46 %-მდე გაიზარდა. ანუ ნავთობზე არსებული რეალური მოთხოვნა 7,5 %-ით იზრდებოდა. ფასთა ზრდის შესაბამისად იზრდებოდა ნავთობის მიწოდებაც. ნავთობზე

მსოფლიო ფასები 1950-60-იან წლებში ოდნავ დაეცა, რომელიც არ იძლეოდა ნავთობის მსოფლიო მარაგის გამოლევის გამაფრთხილებელ ნიშანსაც კი. უმნიშვნელო იყო ნავთობის მოპოვებაზე გაწეული ხარჯებიც. ნავთობის ყოველ ბარელზე მოგების ნორმა გაიზარდა 1,62 დოლარიდან 7,01 დოლარამდე.

ამასთან ერთად, 1973-იან წლებში ადგილი ჰქონდა პირველ სანავთობო შოკს, რომლის დროსაც მოხდა ნავთობზე დაწესებულ ფასთა გასამმგება. სანავთობო კომპანიებთან მიღწეული შეთანხმების თანახმად, ერთ ბარელ ნავთობზე დაწესდა 11,65 აშშ. დოლარი (ერთი ბარელი უდრის 159 ლიტრ ნავთობს). არაბეთ-ისრაელის ომმა გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ამ სანავთობო შოკზე. კერძოდ, საუდის არაბეთმა აუწყა ამერიკას, რომ თუ იგი ისრაელს არ გამოაყვანინებდა ჯარს, 1967 წლის ნოემბერში, ექვსდღიან საომარ მოქმედებათა შედეგად, დაპყრობილი არაბული ტერიტორიებიდან, მაშინ იგი მიმართავდა რადიკალურ ზომებს, რაც დამღუპველი იქნებოდა თვით ამერიკისათვის. ამერიკის მიერ ისრაელისადმი გამოხატულმა აშკარა სიმპათიამ კიდევ უფრო დაძაბა არაბეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობა, რამაც გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ნავთობის მსოფლიო ფასთა ზრდაზე. მართლაც ნავთობის მსოფლიო მომარაგებაში საუდის არაბეთის გამოკლებამ პირველ რიგში დარტყმა მიაყენა თავად ამერიკას. ამრიგად, ნავთობზე მსოფლიო მოთხოვნა, 1970-იანი წლების შემდეგ ბევრად უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე მისი მიწოდება. პირველი სანავთობო შოკის დროს, 1973-74 წლებში, ნავთობზე მსოფლიო ფასთა უეცარი ზრდა ხელოვნურ ხასიათს ატარებდა და იგი არ იყო გამოწვეული ნავთობის მსოფლიო მარაგების გამოლევის შედეგად.

§ XIII. 4. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი

1974 წლიდან 1978 წლამდე ნავთობზე მსოფლიო ფასი დაეცა 1973 წლის მისი ყველაზე მაღალი ნიშნულის 1/6

ნაწილით, მაგრამ იგი, 1973 წლამდე ნავთობზე არსებული ფასთა დონესთან შედარებით, მაინც ბევრად უფრო მაღალი იყო. ამის შემდეგ აღიმართა ნავთობზე მსოფლიო ფასთა ზრდის მეორე ზვირთი, რომელიც ცნობილია „II სანავთობო შოკის" სახელწოდებით (1979-80-იან წლებში). 1979 წელს ნავთობზე დაწესებული ფასმა 28 აშშ. დოლარს მიაღწია. ამ დროს მოხდა ნავთობზე ფასთა 2-ჯერადი ზრდა, რაც განპირობებული იყო მომხმარებელთა პანიკური ქცევითა და ირანში მომხდარი რევოლუციით. ნავთობზე დაწესებული მსოფლიო ფასი, 1979--1989 წლებში ქანქარისებული ირყეოდა 18-სა და 28 დოლარს შორის. ნავთობზე დაწესებული ფასი, 1980-იანი წლების შემდეგ ინერციით იზრდებოდა, რაც სავალუტო ფაქტორებით იყო გამოწვეული.

იმავდროულად, 1990-იანი წლების შემდეგ, შესამჩნევი გახდა სანავთობო კარტელში შემავალ ქვეყნებს შორის „შიდასაკარტელო" დისციპლინის რღვევა. მომძლავრდა მის წევრ ქვეყნებს შორის ფარულად გამართული კონკურენცია. ნექო-ს ფარული შესუსტების ტენდენცია. უკვე შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ 1983-84-იანი წლებიდან. მიუხედავად ამისა, ნავთობზე მსოფლიო ფასები არ დაქვეითებულა. ამიტომ, ექსპერტები თვლიან, რომ საერთოდ სულ რომ არ დაარსებულიყო ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მის ექსპორტიორთა მხრიდან მონოპოლისტური კარტელი, ნავთობზე მსოფლიო ფასები მაინც იგივე ტემპით გაიზრდებოდა. მსოფლიოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებამ, თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოებში, წარმოქმნა ბუნებრივი რესურსების დაცვის აუცილებლობა, რამაც დააჩქარა ნავთობის იმპორტზე მათი დამოკიდებულების ზრდა.

ნავთობზე მსოფლიო ფასი 1990-იანი წლებიდან 2003 წლამდე ნელი ტემპით იზრდებოდა. თუ 1990-იან წლებში 1 ბარელი ნავთობი ღირდა 28-30 აშშ. დოლარ, 2003 წელს იგი გაუტოლდა 35 აშშ დოლარს, ანუ ამ პერიოდში ნავთობზე მსოფლიო ფასთა უმნიშვნელო ზრდა მხოლოდ მსოფლიო ინფლაციითა და სავალუტო ფაქტორებით იყო გამოწვეული. ნავთობზე მსოფლიო ფასმა კატასტროფულად ზრდა დაიწყო 2004 წლიდან და მისმა ფასმა ამ წელს მიაღწია 55 აშშ.

დოლარს, 2005 წელს კი ეს მაჩვენებელი გაიზარდა 67 აშშ. დოლარამდე, ხოლო ნავთობზე მსოფლიო ფასმა 2006 წელს მიაღწია 75 აშშ დოლარს. ნავთობის მსოფლიო ფასმა 2007 წლის განმავლობაში, ზრდის ტენდენცია შეინარჩუნა და 2008 წლის აპრილში მან შეადგინა 112 აშშ. დოლარი.

თანამედროვე ეტაპზე ნავთობზე მსოფლიო ფასთა ასეთი მკვეთრი ზრდის ძირითადი მიზეზებია: 1. ნავთობზე არსებული მსოფლიო მოთხოვნის ზრდა; 2. ნავთობის საბადოებში არსებული მარაგის გამოლევის საფრთხე; 3. ეკოლოგიური უსაფრთხოების მოტივიდან გამომდინარე, ნავთობის იმპორტზე მრეწველობით მაღალგანვითარებული ქვეყნების დამოკიდებულების ზრდა; 4. 2003 წლის შემდეგ, ერაყში მიმდინარე საომარი კამპანიის დაფინანსების შედეგად, ამერიკული დოლარის კურსის მკვეთრი ვარდნა.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია საერთაშორისო სასაქონლო ბაზრები და მათი ფუნქციონირების მექანიზმი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით მსოფლიო ვაჭრობის მოდელი. აგრარული პროდუქციით საერთაშორისო ვაჭრობაში დაშვებულია სავაჭრო პოლიტიკის გატარების ყველა მეთოდი: დემპინგი, სუბსიდია და ა. შ. რაც, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, დაუშვებელია ეკონომიკის სხვა სექტორებში;

2. მაღალგანვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა იმპორტთან კონკურენციაში მყოფ აგრარულ დარგთა დაცვის გაძლიერების ტენდენცია, აგრარული ნაწარმის იმპორტზე გადასახადებით დაწესებით, ხოლო აგრარული პროდუქციის ექსპორტთან მიმართებაში კი ისინი იყენებენ აგრესიული სუბსიდირების პოლიტიკას;

3. განვითარებადი ქვეყნები კი პირიქით, მაღალი გადასახადებით ბეგრავენ არა მარტო აგრარული პროდუქციის ექსპორტს, არამედ იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებსაც, ხოლო ბიუჯეტის შევსების მიზნით, აგრარული ნაწარმის იმპორტზე აწესებენ მაღალ საბაჟო ტარიფებს, ამდენად

განვითარებადი ქვეყნები ეწევიან შემზღუდავ საგარეო სავაჭრო პოლიტიკას აგრარული პროდუქციით საგარეო ვაჭრობასთან მიმართებაში;

4. ნომინალური დაცვის კოეფიციენტი განსაზღვრავს სამამულო აგრარული ნაწარმის იმპორტისაგან დაცვის დონეს. არსებობს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის განვითარების ასეთი ტენდენცია. ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში სოფლის მეურნეობის დაბეგვრიდან შედარებით უფრო განვითარებულ სახელმწიფოებში გადადიან მის დაცვაზე; სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მსოფლიო მოდელი შედგება ევოლუციური და ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული მოდელებისაგან;

5. ამავე თავში განხილულია ნავთობის მსოფლიო ბაზარი და მისი ფუნქციონირების მექანიზმი, სადაც გამოვლენილია ნავთობზე მსოფლიო ფასთა ზრდის მიზეზები. აქვე გაანალიზებულია ნავთობის თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენები.

ძირითადი ტერმინოლოგია

- აგრარული პროდუქციით ვაჭრობის სპეციფიკა;
- ნომინალური დაცვის კოეფიციენტი;
- ეფექტური დაცვის დონე;
- აგრარული პოლიტიკის მსოფლიო მოდელი;
- ევოლუციური მოდელი;
- ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული მოდელი.

ამოცანები

1. რას უდრის 1 ტონა ხორბლის წარმოების სამამულო ფასი, თუ მისი მსოფლიო ფასია 370 აშშ. დოლარი, ხოლო წარმოების ნომინალური დაცვის კოეფიციენტი --უდრის 1,2-ს;

2. რას უდრის ავტომობილების წარმოების ნომინალური დაცვის კოეფიციენტი თურქეთში, თუ გერმანული ავტომობილების მსოფლიო ფასი 8 ათასი აშშ. დოლარია, ხოლო თურქეთში კი მათი ფასია 10 ათასი აშშ დოლარი?

3. რა რაოდენობის სავალუტო შემოსავალს მიიღებს უკრაინა, თუ იგი 1 ტონა ხორბალს მსოფლიო ბაზარზე ყიდის 370 აშშ. დოლარად, ხოლო მისი სამამულო წარმოება კი უდრის 40 მლნ. ტონას. სამამულო მომხმარებელი ამ ფასად მოიხმარს მხოლოდ 18 მლნ. ტონა ხორბალს? რა რაოდენობის მოგებას მიიღებს ხორბლის ექსპორტიდან უკრაინა, თუ 1 ტონა ხორბლის წარმოებისა და მსოფლიო ბაზარზე ტრანსპორტირების დანახარჯები უდრის 325 აშშ. დოლარს?

4. გერმანია ვერ ძლებს ხორბლის წარმოების კონკურენციას, რადგანაც ამ დარგში გამოყენებული მისი საწარმოო ფაქტორების (მიწისა და შრომის) ანაზღაურება, მსოფლიო ფასებთან შედარებით, უფრო მაღალია. ამის გამო გერმანია ახდენს 1 ტონა ხორბლის წარმოების სუბსიდირებას 45 დოლარის ოდენობით. შედეგად გერმანელი მომხმარებელი მოიხმარს 20 მლნ. ტონა ხორბალს, ხოლო მეწარმეები კი აწარმოებენ 25 მლნ. ტონა ხორბალს. დანარჩენის (თითოეული თონის 370 აშშ. დოლარად) ექსპორტს გერმანია ახდენს საზღვარგარეთ:

ა) რას უდრის ხორბლის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები, მისი წარმოების სუბსიდირებაზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით?

ბ) რას უდრის ხორბლის წარმოების სუბსიდირებაზე გაწეული ხარჯები?

გ) ხორბლის ჭარბი ნაწარმის განადგურების შემთხვევაში რისი ტოლი იქნება გერმანიის მიერ განცდილი ზარალი?

თავი XIV

სავაჭრო პოლიტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

თუ გონივრულად არ გამოიყენებ შენს რესურსებს, ყოველთვის გამოჩნდება ის, ვინც შეეცდება შენს ნაცვლად ამის გაკეთებას.

ა. ბლოხინი

სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ჩვენ მიერ წარმართული თეორიული კვლევა ცალსახად ამტკიცებს, რომ როგორც ცალკეული ქვეყნისათვის, ისე მთლიანი მსოფლიოსათვის უმჯობესია ვაჭრობის სრული ლიბერალიზაცია. მაგრამ თუ გადავხედავთ საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრააქტიკულ რეალობას დავინახავთ, რომ იგი საკმოად „დახუნძლულია" სხვადასხვა სახის სავაჭრო შეზღუდვებით – საიმპორტო ბაჟებითა და არასატარიფო ბარიერებით. ამიტომ ბუნებრივია ჩნდება ასეთი კითხვები: რატომ არ ემთხვევა ჩვენს მიერ წარმოებული თეორიული კვლევა პრაქტიკულ რეალობას?! ხომ არ მოძველდა სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ჩვენს მიერ წარმართული თეორიული ანალიზი?!

არ არსებობს ზუსტი პასუხი კითხვაზე: ხელს უწყობს თუ არა ცალკეული ქვეყნის, და განსაკუთრებით მთლიანი მსოფლიოს, კეთილდღეობას რეგიონული სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბება (მაგალითად, ისეთის, როგორიცაა ევროკავშირი), მაგრამ ერთი ფაქტი კი აშკარაა, რომ ქვეყნების მიერ პრაქტიკულად გატარებული სავაჭრო პოლიტიკა ხშირად იხრება მისი წინამძღვარი თეორიული საფუძვლებისაგან, ჩვეულებრივ სავაჭრო შეზღუდვების გამკაცრების მიმართულებით. შესაძლოა სახელმწიფო მოხელეებს ყოველთვის არც კი ჰქონდეთ იმის წარმოდგენა, თუ რა შედეგებს მისცემთ მათ სავაჭრო ბარიერების შემოღება.

§ XIV. 1. სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორები

სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ისტორიული ასპექტი. იმის ცოდნა, რომ ლობიზმი დიდ როლს ასრულებს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებაში, საშუალებას იძლევა უფრო ფართო სპექტრში განხილულ იქნეს სავაჭრო ბარიერების ისტორია. ისტორიულად სხვადასხვა საქონელზე დაწესებული ბაჟები განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთი საქონლის ექსპორტ-იმპორტი თავისუფალია საბაჟო შეზღუდვებისაგან, ზოგიერთზე კი შემოღებულია მკაცრი ამკრძალავი ბარიერები. არასატარიფო ბარიერებმა გავრცელება ჰპოვა 1930-იან წლებში, რაც არ არის სათანადოდ გათვალისწინებული საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სამეცნიერო კვლევაში და ვაჭრობის ლიბერალიზაციის ომისშემდგომი ტენდენცია გადაჭარბებით არის შეფასებული. ამის გათვალისწინება საშუალებას იძლევა გამოვლინდეს XX საუკუნის სავაჭრო პოლიტიკის კანონზომიერებანი, რომლებმაც შეიძლება მომავალშიც იჩინოს თავი.

1. როდესაც ექსპორტით დაინტერესებულ ჯგუფებს ლობისტური ორგანიზაცია აქვთ ჩამოყალიბებული, მაშინ სახელმწიფო პოლიტიკა უმეტესწილად ორიენტირებულია თავისუფალ ვაჭრობაზე. როგორც წესი, ექსპორტიორთა ჯგუფებს ისტორიულად ხშირად სუსტი ლობი ჰქონდათ, მაგრამ იყო გამონაკლისი შემთხვევებიც, როცა მათ კარგად ორგანიზებული მფარველებიც ჰყავდათ (მაგალითად, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია);

2. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა თავისუფალ ვაჭრობაზეა უფრო ორიენტირებული იმ ქვეყნებში, სადაც იმპორტული პროდუქცია კონკურენციას არ უწევს სამამულო პროდუქციის წარმოებას, ან ქვეყნის მნიშვნელოვანი დარგებისათვის ნედლეულად გამოიყენება. იმ შემთხვევაში, თუ უცხოური საქონლის იმპორტი კონკურენციაში არაა სამამულო წარმოებასთან, მაშინ ქვეყნის ხელმძღვანელობა საჭიროდ თვლის იმპორტული პროდუქცია მყიდველს მიეწოდოს რაც შეიძლება

იაფად. პროტექციონიზმი რაღა საჭიროა იქ, სადაც დასაცავი არაფერია?! იმავდროულად ის საქონელი, რომელიც მნიშვნელოვანი ნედლეულია მსხვილი სამამულო დარგებისათვის, ჩვეულებრივ თავისუფლდება ბაჟისაგან (ან საბაჟო განაკვეთი მათი ნედლეულის იმპორტზე ძალიან მცირეა). თუმცა შეიძლება იყოს გამონაკლისიც.

***3.* ეკონომიკური დეპრესია და კონკურირებადი იმპორტის სწრაფი ზრდა ხელს უწყობს პროტექციონიზმის წარმოქმნასა და გაძლიერებას.** როცა იწყება მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, ბაზარს თავს ატყდება იაფი, მზა იმპორტული პროდუქციის „ტალღა", რაც პანიკას იწვევს ადგილობრივ მეწარმეთა შორის. ამ დროს ქვეყანა აძლიერებს პროტექციონიზმს. ასე მოხდა 1874-75 წლებში, როცა ქვეყნების სავაჭრო ბალანსი მკვეთრად გაუარესდა, და ასევე 1930-იანი წლების დეპრესიის დროსაც.

ამრიგად, წარმოების დაქვეითებას, იმპორტის ზრდასა და პროტექციონიზმს შორის არსებობს აშკარად პირდაპირპროპოციული კავშირი. როდესაც უმუშევრობა ისედაც მაღალია, ხოლო უცხოური საქონლისა და მომსახურების იმპორტის ზრდა კი იწვევს კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილის გაუქმებასა და ფირმების გაკოტრებას, ასეთ პირობებში პროტექციონიზმი ადგილობრივ მუშაკთა დასაქმებისა და მათი შემოსავლების დაცვისაკენ მიმართული ბუნებრივი რეაქციაა. ეს რეაქცია ეკონომიკურად შეიძლება დასაბუთდეს სტრუქტურული ხარჯების მაღალი დონით. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პროტექციონიზმი ადგილობრივი შრომითი რესურსების სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების დაცვის ყველაზე საიმედო ხერხია, მაგრამ დროის ხანმოკლე პერიოდში იგი შეიძლება ბევრად უფრო ეფექტური აღმოჩნდეს, ვიდრე პასიური პოზიციის შენარჩუნება, ან სავაჭრო პოლიტიკის სხვა რომელიმე სახეობის გამოყენება.

სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი ფაქტორები. სავსებით დასაშვებია, რომ საექსპორტო დარგთა პროდუქციის მეწარმეებმა არც კი იცოდნენ, რომ უცხოური საქონლის იმპორტზე საბაჟო ბარიერთა შემოღებამ შეიძლება მათ ზარალი მიაყენოს, შეაფერხოს მათი

საქონლის ექსპორტი – გაძვირებული იმპორტული ნედლეულისა და ნახევაფაბრიკატების გამოყენების შედეგად საექსპორტო პროდუქციის წარმოების ხარჯების ზრდის, ამ პროდუქციის მყიდველი უცხოელ პარტნიორთა შემოსავლების ვარდნის, საზღვარგარეთის ქვეყნების პროფკავშირების მხრიდან საპასუხო ზომების გატარებისა და ეროვნული ვალუტის კურსის გამყარების გამო. ზოგჯერ მომხმარებელსაც და თვით იმპორტშემცვლელ დარგებსაც (რომელთა დასაცავად შემოიღება საიმპორტო ბარიერები) კი არ შეუძლიათ იმის გაცნობიერება, რომ მათი დანაკარგების მიზეზი შეიძლება იყოს სავაჭრო ბარიერების შემოღება.

ეკონომიკაში საგარეო ფაქტორთა როლის განმსაზღვრელი კრიტერიუმები. სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, სახელმწიფო მოხელეები უნდა იყენებდნენ ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებრივი ფორმაციისათვის და რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება კო-ნკრეტული ეკონომიკური მოვლენის შესახებ მონაცემთა ბაზის შედგენა. ისინი ახასიათებენ სავაჭრო პოლიტიკის მიერ ეკონომიკაზე მოხდენილ გავლენას. მათ განეკუთვნება:

1. საგარეო ვაჭრობის როლი ეკონომიკის განვითარებაში:

$$Q_{\text{тв/ввп}} = \frac{Q_{\text{тв.}}}{Q_{\text{ввп}}} \times 100\ \% \quad \text{.....XIII. 1.}$$

სადაც, $Q_{\text{тв/ввп}}$ -- არის საგარეო ვაჭრობის ხვედრითი წილი მთლიან შიდა პროდუქციასთან მიმართებაში; $Q_{\text{тв.}}$—საგარეო ვაჭრობის მოცულობა (ღირებულებით ფორმაში), ხოლო $Q_{\text{ввп}}$ კი არის მთლიანი შიდა პროდუქციის მოცულობა საანალიზო პერიოდში; მცირე ერებისათვის ეს მაჩვენებელი ძალზე დიდია.

2. საგარეო ვაჭრობის გავლენა მოსახლეობის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე:

$$Q_{\text{тв/L}} = \frac{Q_{\text{тв.}}}{L} \times 100\ \% \quad \text{..... XIII. 2.}$$

სადაც $Q_{\text{тв/L}}$ – არის მოსახლეობის ერთ სულზე მოწეული საგარეო ვაჭრობის მოცულობა; $Q_{\text{тв.}}$ – არის წლის განმავლობაში ქვეყნის მიერ განხორციელებული საგარეო ვაჭრო-

ბის მოცულობა, ხოლო L კი არის ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა. ამ მაჩვენებლის მიხედვით, შესაძლებელი ხდება არამარტო თითოეული ქვეყნის, არამედ ცალკეული რეგიონის, დარგის და უფრო მეტიც, ყოველი პროდუქციის ფარგლებში განხორციელებული ვაჭრობის მიერ მოსახლეობის ყოველ წევრზე მოხდენილი გავლენის ანალიზი;

3. უცხოური ინვესტიციების გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობაზე;

$$I_{f/L} = \frac{I_{f.}}{L} \quad \text{.....} \quad \textbf{XIII. 3.}$$

სადაც $I_{f/L}$ არის მოსახლეობის ერთ სულზე მოწეული უცხოური ინვესტიციების მოცულობა; $I_{f.}$ -- კი არის წლის განმავლობაში ქვეყანაში დაბანდებული წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა, ხოლო L --კი არის მიმდინარე პერიოდში ქვეყანაში მცხოვრები მოსახლეობის რაოდვნობა. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს იმას, თუ რა რაოდენობის უცხოური ინვესტიცია მოდის მოსახლეობის ერთ სულზე.

4. საექსპორტო ქვოტა;

$$K_x = \frac{X}{Q_{\text{ერთ.}}} \times 100\ \% \quad \text{.....} \quad \textbf{XIII. 4.}$$

სადაც K_x არის მოცემული ქვეყნის საექსპორტო ქვოტა; X კი არის -- წლის განმავლობაში ქვეყნიდან ექსპორტირებული პროდუქციის მოცულობა.

მაღალი საექსპორტო ქვოტა ნიშნავს იმას, რომ მოცემული ქვეყნის სამამულო პროდუქცია კონკურენტუნარიანია და შესაბამისად ერთობლივ ეროვნულ პროდუქციაში საექსპორტოდ დამზადებული პროდუქციის ხვედრითი წილი მაღალია. და პირიქით.

5. საიმპორტო ქვოტა,

$$K_m = \frac{M}{Q_{\text{ВВП}}} \times 100\ \% \quad \text{.....} \quad \textbf{XIII. 5.}$$

სადაც K_m არის მოცემული ქვეყნის საიმპორტო ქვოტა, ხოლო M კი არის წლის განმავლობაში ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობა. ეს მაჩვენებელი გამოხა-

ტავს მთლიან მოხმარებულ პროდუქციაში იმპორტირებული პროდუქციის ხვედრით წილს.

6. საინვესტიციო ქვოტა,

$$K_i = \frac{I_f}{S_d} \times 100\ \% \quad \text{.....} \quad \textbf{XIII. 5.}$$

სადაც K_i არის ქვეყნის საინვესტიციო ქვოტა, I_f – არის მოცემულ ქვეყანაში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების მოცულობა, ხოლო S_d -- კი არის ეროვნული კაპდაბანდების მოცულობა.

საგარეო ეკონომიკურ ფაქტორთა გავლენა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე განისაზღვრება სწორედ ზემოთ განხილული მაჩვენებლების მეშვეობით, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ საკუთარი მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის დონის ამაღლებით დაინტერესებულმა სახელმწიფო მოხელეებმა.

§ XIV. 2. სახელმწიფო მოხელეთა მოქმედების მიზნები და მათი გავლენა სავაჭრო პოლიტიკის ფორმირებაზე

მეცნიერეკონომისტებმა და პოლიტიკოსებმა დიდი ძალისხმევა შეალიეს სახელმწიფო მოხელეთა ქცევის მოდელირებას. სავაჭრო პოლიტიკის ანალიზის დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს სახელმწიფო მოღვაწეებზე და არა საზოგადოებრივ აზრზე, რადგანაც ამომრჩევლები, საარჩევნო უბნებზე მისვლის დროს, ირჩევენ, არა სავაჭრო პოლიტიკის ამა თუ იმ ვარიანტს, არამედ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც შემდგომში შეიმუშავებენ სავაჭრო პოლიტიკის გარკვეულ სახეს. სავაჭრო პოლიტიკას ქმნიან და წარმართავენ არჩეული კანონმდებლები, სახელმწიფოს მოხელეები. ხელისუფლების მიერ საგარეო ვაჭრობის სფეროში მიღებული გადაწყვეტილებანი სავაჭრო პოლიტიკის თეორიულად გამართლებულ ვარიანტთან შედარებით, მკვეთრად ცვლის მის პრაქტიკულ სახეს.

სავაჭრო პოლიტიკის სფეროში გადაწყვეტილების მიღება უფრო სხვა კრიტერიუმებს ეყრდნობა, ვიდრე ჩვენს მიერ თე-

ორიულად განხილულ **„ფულის ტოლფასოვნების" კრიტერიუმს.** ჩვეულებრივ არჩეული თანამდებობის პირები, სავაჭრო პოლიტიკის შესახებ პრაქტიკულ გადაწყვეტილებათა მიღების დროს, ხელმძღვანელობენ, არა „ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმით" (როგორც ამას თეორიულიად ვასაბუთებდით), არამედ **მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციით**.

პირდაპირი გაგებით, საკითხისადმი მსგავსი მიდგომა უნდა იწვევდეს ბიუროკრატიული მექანიზმის ჩამოყალიბებას, რომლის მუშაკებიც მხოლოდ თავიანთ განდიდებაზე, ძალაუფლების მოხვეჭასა და შემოსავლების მითვისებაზე უნდა ზრუნავდნენ, ხოლო სავარძლის შესანარჩუნებლად კი არაფრის წინაშე უკან არ უნდა იხევდნენ, მაგრამ ხელახალი არჩევის შანსის მაქსიმიზაცია ამ გზით ვერ მიიღწევა. სინამდვილეში თანამდებობის პირები იბრძვიან ეროვნული ინტერესების, საკუთარი ხედვით, რეალიზაციისათვის. მაგრამ ამ თანამდებობაზე ხანგრძლივი მუშაობის პროცესში, ისინი გაცილებით უფრო მეტ პრობლემას აწყდებიან, ვიდრე წარმოუდგენიათ პოლიტიკური სარბიელის დასაწყისში. ისინი ცდილობენ დაიკავონ ისეთი პოზიცია, რომელიც უზრუნველყოფს ამომრჩეველთა მიერ მათი კანდიდატის მხარდაჭერას. ასე რომ, სახელმწიფო მოხელეთა ქცევის საბოლოო მიზანი ამომრჩეველთა ხმების მაქსიმიზაციაა.[1]

სახელმწიფო მოხელეთა მიზნებს შორის განსხვავება დიდი არ არის. როგორც, ბიუროკრატიულ სახელმწიფო მოხელეთა და მათი მთლიანი აპარატის მიერ ეკონომიკის მართვის, გამოკვლევებმა ცხადყო, სახელმწიფო მოხელეებისათვის დამახასიათებელია თავიანთი დაწესებულების რომლის ხელოვნური ზრდა, საშტატო ერთეულთა რაოდენობის გაბერვა და გადასაჭრელი პრობლემების გამძაფრება.

როგორც ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ჩანს, სახელმწიფო მოხელეთა მიერ პრაქტიკაში განხორციელებული სავაჭრო პოლიტიკის სახეობა სრულიად განსხვავდება, მთე-

---

[1] ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი გამომცემლობა „სიახლე" 2001 წ. გვ. 190 -- 205;

ლი საზოგადოებისათვის მოგების მაქსიმიზაციის შესახებ, ჩვენს მიერ თეორიული გამოკვლევების შედეგად მიღებული სავაჭრო პოლიტიკის მოდელისაგან. ეს განსხვავება იმითაა გამოწვეული, რომ არჩევნებში (ანუ ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების დროს) ყოველი ამომრჩევლის ინტერესი კი არ გაითვალისწინება, არამედ ადამიანთა იმ ყველაზე უფრო კარგად ორგანიზებული და მობილიზებული მცირე ჯგუფისა, რომელმაც გაიმარჯვა არჩევნებში. ამრიგად, პრაქტიკული საარჩევნო სისტემა ვერ იქნება სრულიად დემოკრატიული, რადგანაც ირღვევა პრინციპი – „ერთი ადამიანი ერთი ხმის უფლებით". რეალურად არჩეული ერთი თანამდებობის პირი სარგებლობს არა ერთი ხმის, არამედ იმდენი ხმის უფლებით, რამდენმა ამომრჩეველმაც დაუჭირა მას მხარი არჩევნებში.

ამიტომ, ხელახალი არჩევის შანსის მაქსიმიზაცია სულაც არ მოითხოვს იმ ამომრჩეველთა ხმების რაოდენობის მაქსიმიზაციას, რომლებიც არ ემსახურებიან მათ ინტერესებს. სინამდვილეში არჩევნების დროს, რომ დაცულიყო დემოკრატიულობის პრინციპი – „ერთი ადამიანი ერთი ხმის უფლებით", მაშინ თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა ბევრად უფრო ფართო გავრცელებას ჰპოვებდა, ვიდრე შემზღუდავი სავაჭრო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვაჭრობის შემზღუდავი სატარიფო პოლიტიკა ემსახურება მხოლოდ იმპორტშემცვლელი დარგებისა და ამ დარგებში დასაქმებულ მუშაკთა მცირერიცხოვან ჯგუფთა ინტერესებს, არჩევნებში პროტექციონისტული საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მომხრეები მაინც ხშირად იმარჯვებენ, ეს იმით არის გამოწვეული, რომ დიდია ადამიანთა მცირე ჯგუფის ორგანიზების უნარი.

როგორც ჩანს, მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციის მიდგომა შორსაა საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის შესახებ წარმართული თეორიული კვლევებისა და დემოკრატიულობის პრინციპებისაგან. ხელახალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციის მიზნით, სახელმწიფო მოხელე, მის მიერ გადასაჭრელ ყოველ პრობლემას ისე სვამს, რომ იგი თითქოს სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მისი ამომრჩევლისათვის. საგარეო ვაჭრობის საკითხები ამომრჩე-

ველთა ფართო მასისათვის მეორეხარისხოვანია. ამიტომ, იგი რჩება უმცირესობათა კონტროლის ქვეშ.

საარჩევნო უბნებზე მისული ამომრჩევლები, თავიანთი ბიულეტენის საარჩევნო ყუთებში მოთავსებით, კანდიდატებს ირჩევენ და არა კანონპროექტებს. ეს „კანდიდატები" კი ისეთ კანონპროექტებს ადგენენ, რომელიც შეესაბამება, მოსახლეობის არა მთლიანი მასის, არამედ არჩევნებში მათ მხარდამჭერთა მცირე ჯგუფის ინტერესებს. ასეთ მხარდამჭერთა ჯგუფები, როგორც წესი იქმნება, არა მომხმარებელთა ფართო ფენების მიერ, არამედ მწარმოებლების, ბიზნესმენების, ბანკირების, ინვესტორებისა და ეკონომიკურად აქტიური სხვა სუბიექტების მიერ. ეს იწვევს ისეთი სავაჭრო კანონპროექტების შემუშავებასა და რეალიზაციას, რომელიც ემსახურება მწარმოებელთა ინტერესებს.

ეს გასაგებიცაა, რადგანაც სპეციალიზაცია წარმოებაში უფრო ღრმავდება, ვიდრე მოხმარებაში. მაგალითად, საიმპორტო ბაჟის დაწესება აშკარად უფრო საგრძნობია იმპორტშემცვლელ დარგთა მუშებისათვის, ვიდრე უცხოური პროდუქციის მომხმარებლისათვის, რადგანაც იმპორტშემცვლელი პროდუქციის გაძვირებით, იგი უშუალო გავლენას ახდენს იმპორტთან კონკურენციაში მყოფი დარგების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ზრდაზე, ეს მაშინ, როცა იგი უმნიშვნელოდ აქვეითებს ამ პროდუქციის მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობას.

მომხმარებელი არაა იმდენად ორგანიზებული და არ გააჩნია იმდენი დრო, ენერგია და ფული, რომ იბრძოლოს ასეთი წვრილმანი, მაგრამ ბევრი, დაქსაქსული პრობლემის დასაძლევად. იმპორტშემცვლელი პროდუქციის მწარმოებელი დარგებისათვის კი მათი დამცველი ტარიფის დაწესება ერთადერთი, უმთავრესი და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ამიტომ მწარმოებლები პარლამენტში ქმნიან ძლიერ ლობს და შესაბამისად დასამტკიცებლად გააქვთ მათთვის ხელსაყრელი კანონპროექტები.

ამასთან ერთად, სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გამართულ დებატებზე უმთავრესად განიხილება, არა საექსპორტო, არამედ იმპორტშემცვლელი პროდუქციის მწარმოებელ დარ-

გთა დაცვის ხელშემწყობი (უცხოური საქონლის იმპორტის შემზღუდავი) საკითხები, რომელიც ზარალს აყენებს ბევრ საექსპორტო დარგს. ექსპორტიორებს კი ხშირად ეს არა აქვთ სრულყოფილად გათვითცნობიერებული. კანონმდებლებმა კი იციან, რომ, იმპორტშემცვლელ დარგებში დასაქმებულ ამომრჩეველთა ინტერესების დაცვით, კარგავენ იმ ამომრჩეველთა ხმებს, რომლებიც ემხრობიან საგარეო ვაჭრობის თავისუფლებას.

საგარეო-სავაჭრო პოლიტიკის, პრაქტიკაში განხორციელების დროს, მწარმოებელთა სასარგებლოდ გადახრა დიდადაა დამოკიდებული მათი მფარველი ლობის დაფინანსებაზე. საზოგადოების ფართო ფენების ლიბირება იმიტომ არის ძნელი, რომ იგი მეტად დაქსაქსულია, რის გამოც რთულდება მისი თითოეული წევრის „ბრძოლაში" ჩართვა და, შესაბამისად -- ლობის გამარჯვებაში მისი დაჯერება. მოსახლეობის ფართო ფენების თითოეული წევრი, მოუცლელობის, ან სხვა მიზეზით თავს არიდებს ასეთ საერთო საქმეში ჩარევას და თვლის, რომ „საქმე" მის გარეშედაც ადვილად მოგვარდება. როცა ადამიანთა დიდი ჯგუფის თითოეული წევრი თავს არიდებს ფულის ხარჯვას პოლიტიკურ ბრძოლაში, ამით საერთო „საქმეც" წაგებულია.

ამის საპირისპიროდ, მცირე, მაგრამ კარგად ორგანიზებული, ჯგუფი ადვილად ქმნის ძლიერ ლობს, რადგანაც მისმა თითოეულმა წევრმა კარგად იცის, რომ მისი ხმა წონადია „საერთო ბრძოლაში" და შესაბამისად, ამ მიზნის მისაღწევად, იგი არ ზოგავს ფულს, დროსა და ენერგიას. ამდენად, სახელმწიფო მოხელეები ხელახალ არჩევნებში გამარჯვებისათვის, უფრო მომგებიანს თვლიან მცირე ჯგუფების მფარველობას. სწორედ ამიტომ სავაჭრო პოლიტიკის პრაქტიკაში რეალიზაციის დროს, თავისუფალი საგარეო ვაჭრობის დაცვის ნაცვლად, ისინი ემხრობიან პროტექციონიზმს, თუმცა იგი წამგებიანია მთლიანი ქვეყნისათვის. პროტექციონიზმისაკენ მთავრობის მიდრეკილება მით უფრო ძლიერი იქნება, რაც უფრო დაქსაქსულია მოცემული ქვეყნის პროდუქციის ექსპორტიორები. სავაჭრო პოლიტიკაზე ჯგუ-

ფური ინტერესების გავლენა აისახება სავაჭრო ბარიერების სტრუქტურაში:

1. **საბაჟო ტარიფი ბევრად უფრო მაღალია იმ საქონელთა იმპორტზე, რომელსაც მომხმარებელი იძენს პირადი მოხმარებისათვის, ვიდრე შუალედური პროდუქტების (ნახევარფაბრიკატების) იმპორტზე,** რომელსაც ფირმები მოიხმარენ. ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს მომხმარებელთა მიერ ძლიერი ლობისტური ჯგუფის შექმნის უუნარობას. ვითარება სრულიად იცვლება, როცა პროდუქციას იძენენ ფირმები, რომლებიც არანაკლებ ლობისტურ ძალას ფლობენ, ვიდრე მიმწოდებლები;

2. **ქვეყნები ეტაპობრივად ახდენენ საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, სავაჭრო შეზღუდვების თანდათანობითი გაუქმების გზით.** მაგალითად, ჯერ მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა მოახდინეს საბაჟო ტარიფების მნიშვნელოვანი შემცირება, ხოლო საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შემდგომი ეტაპი იყო სატარიფო ბარიერების პარალელურად არასატარიფო შეზღუდვების მნიშვნელოვანი შემცირება. ბოლო დროს ფართო გავრცელება ჰპოვა სავაჭრო ბარიერთა დემონტაჟის კიდევ ერთმა ახალმა სახემ -- „დაბალანსებულ დათმობათა წესების" სახელწოდებით, რომლის თანახმადაც ერთი მოვაჭრე მხარე ამცირებს საიმპორტო ტარიფს და ამით უცხოური საქონლის იმპორტს, (ანუ პარტნიორი ქვეყნის პროდუქციის ექსპორტს) აძლევს ზრდის საშუალებას, მხოლოდ იმ პირობით, თუ ისიც გაატარებს ანალოგიურ ღონისძიებას ამ (პირველი) ქვეყნის პროდუქციის თავის საზღვრებში იმპორტის გაზრდის მიზნით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, პარტნიორთა მიერ ერთმანეთის პროდუქციის თავიანთ ქვეყანაში იმპორტზე სავაჭრო ბარიერების ერთდროულად დაქვეითებას.

§ XIV. 3. ოპტიმალური სავაჭრო პოლიტიკა

სახელმწიფო მოხელეთა მიერ საგარეო სავაჭრო პოლიტიკაზე მოხდენილი გავლენის ანალიზი იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ დავადგინოთ თუ რა გზებითა და მეთოდებით შეიძლება შემუშავდეს ოპტიმალური სავაჭრო პოლიტიკა. როგორც ზემოთ განვიხილეთ, საგარეო ვაჭრობა ხშირად იწვევს ადამიანთა ერთი ჯგუფის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და მეორე ჯგუფის მატერიალური მდგომარეობის გაუარესებას. ამ დასკვნას დიდი მნიშვნელობა გააჩნია იმ ფაქტორთა შესწავლისათვის, რომლებიც რეალურად განსაზღვრავენ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში წარმართულ სავაჭრო პოლიტიკას.

ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების მთავარი მიზანია უზრუნველყოს მისი მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაღალი დონე. ყველა მოქალაქეს ერთნაირი გემოვნება და შემოსავლები რომ ჰქონოდა, მაშინ პრობლემაც ადვილად გადაიჭრებოდა. სახელმწიფომ უნდა აირჩიოს ისეთი სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც მოსახლეობას უზრუნველყოფს იმდენად, რა შესაძლებლობებიც გააჩნია ქვეყანას მოცემულ პირობებში. ასეთ ეკონომიკაში თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობა უპირობოდ დაეხმარება სახელმწიფოს ამ მიზნის მიღწევაში. მაგრამ ადამიანები, ხასიათითა და გემოვნებით, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ამიტომ სახელმწიფოს წინაშე საგარეო ვაჭრობის გავლენის შედეგად წამოჭრილი შემოსავლების გადანაწილების პრობლემის გადაჭრა კიდევ უფრო რთულდება.

მაგალითად, თუ ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის იმპორტზე მაღალი ტარიფია დაწესებული, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მწარმოებლებს მაინც დაბალი შემოსავლები აქვთ, ხოლო ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის მომხმარებელი კი – მდიდარია, მაშინ, ლიბერალური საგარეო ვაჭრობისაკენ „მოდური” სწრაფვის მიზნით, ამ სავაჭრო შეზღუდვების მოხსნა კიდევ უფრო გააღატაკებს ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის, ისედაც ღარიბ სამამულო მწარმოებლებს და უმნიშვნელო ეკონომიას მისცემს ამ საქონელთა ისედაც მდიდარ მომხმა-

რებელს. ეს კი შემოსავლების უთანასწოროდ გადანაწილებას კიდევ უფრო გააღრმავებს. ამიტომ, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ამ შემთხვევაში წამგებიანია.

ამრიგად, **საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მხოლოდ მაშინ იქნება მომგებიანი ქვეყნისათვის, თუ იგი ზარალს არ აყენებს მოსახლეობის ისედაც ღარიბ ფენებს..** მსგავს მტკიცებას ეთანხმება საერთაშორისო ეკონომიკაში მოღვაწე მეცნიერ-ეკონომისტთა მხოლოდ მცირე ნაწილი. შემოსავლების გადანაწილების პრობლემის სიმძაფრის მიუხედავად, სპეციალისტთა უდიდესი ნაწილი მხარს უჭერს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებს. არსებობს სამი მიზეზი, რის გამოც ეკონომისტები დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ შემოსავლების განაწილებაზე საგარეო ვაჭრობის ზეგავლენას.

1. შემოსავლების გადანაწილება ხდება, არა მარტო საერთაშორისო ვაჭრობის ზემოქმედების შედეგად, არამედ ეკონომიკაში მიმდინარე მთელი რიგი სხვა მოვლენებითაც. ქვეყანაში მომხდარი ყველა ცვლილება – მათ შორის: ტექნოლოგიური სიახლეების ამოქმედება, მომხმარებელთა მიერ უპირატესობის მინიჭებაში მომხდარი ცვლილებანი, რესურსების ძველი წყაროების გამოლევა და ახლის აღმოცენება, და ა. შ. ზემოქმედებს შემოსავლების გადანაწილებაზე. ყველა ცვლილებაზე ნებართვა ეკონომიკაში რომ გაიცემოდეს შემოსავლების გადანაწილებაზე მისი ზეგავლენის შესწავლის შემდეგ, მაშინ ეკონომიკური პროგრესი აღმოჩნდებოდა ინერტული ბიუროკრატიზმის ტყვედ;

2. ყოველთვის მომგებიანია კი არ შევზღუდოთ საგარეო ვაჭრობა, არამედ მოვახდინოთ იმათი ზარალის კომპენსაცია, რომელთაც ვერ მოუტანა მოგება საგარეო ვაჭრობამ. მრეწველობით განვითარებული ყველა თანამედროვე ქვეყანა ქმნის ერთგვარ „სადაზღვევო ფონდს", იმ პროგრამების დასაფინანსებლად, რომელსაც შეუძლია დააკომპენსიროს საგარეო ვაჭრობის გავლენის შედეგად, საზოგადოების გაღატაკებული ნაწილის მიერ განცდილი ზარალი. ზოგიერთი ეკონომისტი ამტკიცებს, რომ თუ ეს მაკომპენსირებელი ღონისძიებები აღმოჩნდა არასაკმარისი, მაშინ საგარეო ვაჭრო-

ბის შეზღუდვის ნაცვლად, უნდა გავაძლიეროთ მათი გამაწონასწორებელი ფუნქცია;

3. ისინი, ვინც ზარალს განიცდიან საგარეო ვაჭრობის ზრდის შედეგად, გაცილებით უფრო მაღალორგანიზებულნი ხდებიან, ვიდრე ისინი, ვინც იგებენ საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციით. მსგავსი დისბალანსი ხშირად იწვევს გაუმართლებელ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომელიც გამოსწორებას საჭიროებს. ეკონომისტების როლი სწორედ უნდა გამოიხატებოდეს თავისუფალი საგარეო ვაჭრობის თავგამოდებულ მხარდაჭერაში და იმის დემონსტრირებაში რომ, იგი მომგებიანია მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის, უთანასწოროდ გადანაწილებული შემოსავლების, ხელახალი სამართლიანი გადანაწილების გზით.

ამიტომ ეკონომისტთა უდიდესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს არა საგარეო ვაჭრობის მიერ შემოსავლების განაწილებაში მოხდენილ გავლენაზე, არამედ მისგან პოტენციური მოგების მიღების შესაძლებლობაზე. მაგრამ ეკონომისტებს, პარლამენტსა და სხვა საკანონმდებლო ორგანოებში, სადაც მიიღება საგარეო სავაჭრო პოლიტიკის ამა თუ იმ სახეობის დამტკიცების შესახებ პოლიტიკური გადაწყვეტილებანი, ხშირად არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება თავიანთი ქვეყნის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის დროს, საზოგადოებაში ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას.

ამრიგად, საგარეო სავაჭრო პოლიტიკა ოპტიმალური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგარეო ვაჭრობა მოგებას აძლევს მთლიან საზოგადოებას, რითაც მოსახლეობა გადავა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ადრინდელთან შედარებით უფრო მაღალ დონეზე. შემოსავლების გადანაწილებაზე საგარეო ვაჭრობის ნეგატიური გავლენის მოტივით, მისი შეზღუდვა გაუმართლებელია, რადგანაც იგი, თავისი შინაარსით, არ განსხვავდება სხვა სახის ეკონომიკური ცვლილებებისაგან, რომლებიც, როგორც წესი, არ ექვემდებარებიან მკაცრ რეგულირებას. მით უმეტეს ეკონომისტები ამჯობინებენ შემოსავლების გადანაწილების პრობლემას მთავრობა მიუდგეს უშუალოდ, და არა საგარეო ვაჭრობაზე

ზემოქმედების გზით. მიუხედავად ამისა, რეალურ სავაჭრო პოლიტიკაში მას მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საგარეო ვაჭრობის პირობების ცვლილების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მსხვილი იქნება, მთელი მსოფლიო ეკონომიკის მასშტაბით, ის ქვეყანა, რომელმაც განახორციელა ცვლილება საგარეო ვაჭრობაში. თუ ქვეყანა მცირეა, მაშინ იგი ვერ მოახდენს შესამჩნევ გავლენას ამა თუ იმ პროდუქციაზე არსებულ შეფარდებით მსოფლიო მოთხოვნასა და მის შეფარდებით მსოფლიო მიწოდებაზე. შესაბამისად, იგი ვერ მოახდენს გავლენას ამ პროდუქციის შეფარდებით მსოფლიო ფასზეც, მაგრამ თუ ქვეყანა დიდია, მაშინ მის მიერ საგარეო ვაჭრობაში გატარებული ცვლილება მკვეთრად იმოქმედებს თავისივე საგარეო-სავაჭრო პირობებზე.

როგორც პოლიტიკურ მოღვაწეთა ქცევის შემსწავლელი თანამედროვე თეორიები, ისე პრაქტიკული რეალობა გვიჩვენებს, რომ სავაჭრო პოლიტიკა შეიძლება საგრძნობლად გადაიხაროს „ფულის ტოლფასოვნების" კრიტერიუმიდან, სხვა ნორმატივებზე (მაგალითად, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ „მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაციის" კრიტერიუმზე). პოლიტიკურ რეალობას ხშირად მივყავვართ საბაჟო ტარიფების იმაზე უფრო მეტად ზრდამდე, ვიდრე იგი გამართლდებოდა მოსახლეობის საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაქსიმიზაციისკენ მიმართული თეორიული იდეოლოგიით.

მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვეულებრივმა თეორიულმა გამოკვლევებმა დაკარგა თავისი მნიშვნელობა. სავაჭრო პოლიტიკის შემსწავლელი ეკონომისტები კარგად აცნიბიერებენ, თუ როგორ მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მოსახლეობის საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე ფინანსურად მძლავრ ჯგუფთა მიერ პარლამენტის ლობირების სისტემა. სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ზემოთ მოყვანილი თეორიული კვლევის შედეგების გამოყენება შეუძლია საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს, ეს იქნება მომხმარებელი, თუ მწარმოებელი.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია თანამედროვე სავაჭრო პოლიტიკის ფორმირების ძირითადი ტენდენციები, სადაც დახასიათებულია სავაჭრო პოლიტიკის განვითარების ისტორიული ასპექტი, განხილულია სავაჭრო პოლიტიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე მოქმედი რეალური კრიტერიუმი: „მომავალ არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაცია";

2. საბაჟო ტარიფი ბევრად უფრო მაღალია იმ საქონელთა იმპორტზე, რომელთაც მომხმარებელი იძენს პირადი მოხმარებისათვის, ვიდრე ნახევარფაბრიკატების იმპორტზე ქვეყნები ეტაპობრივად ახდენენ საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას, სავაჭრო შეზღუდვების თანდათანობითი გაუქმებით;

3. როდესაც სამამულო პროდუქციის ექსპორტით დაინტერესებულ ჯგუფებს ლობისტური ორგანიზაცია აქვთ ჩამოყალიბებული, მაშინ სახელმწიფო პოლიტიკა უმეტესწილად ორიენტირებულია თავისუფალ ვაჭრობაზე. საგარეო სავაჭრო პოლიტიკა თავისუფალ ვაჭრობაზეა უფრო ორიენტირებული იმ ქვეყნებში, სადაც იმპორტული პროდუქცია კონკურენციას არ უწევს შიდა წარმოებას, ან სამამულო დარგებისათვის ნედლეულად გამოიყენება. ეკონომიკური დეპრესია ხელს უწყობს პროტექციონიზმის გაძლიერებას.

ძირითადი ტერმინოლოგია

- სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა;
- „ფულის ტოლფასოვნების კრიტერიუმი";
- არჩევნებში გამარჯვების შანსის მაქსიმიზაცია.

ამოცანები

1. ვთქვათ საქართველოს მთავრობას შეუძლია განსაზღვროს ეროვნული ეკონომიკის რომელი დარგები განვითარდება ბევრად უფრო სწრაფად უახლოესი 20 წლის განმავლობაში. რატომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ საქართველოს მთავრობა

ვალდებული იქნება განახორციელოს ამ დარგთა სტიმულირების პოლიტიკა?

2. ამერიკის ვაჭრობის სამინისტრო ამტკიცებს, რომ ამერიკის მთავრობა სპეციალურ მხარდაჭერას გაუწევს მაღალტექნოლოგიურ დარგებს. იგი ამტკიცებს, რომ ამ დარგებს გააჩნიათ სამომავლოდ ზრდის კარგი პერსპექტივა, რადგანაც ისინი პროდუქციას აწვდიან ამერიკის ეკონომიკის ბევრ სხვა სექტორს და ქმნიან იმ ტექნოლოგიებს, რომელთაც სარგებელი მოაქვთ მთლიანი მრეწველობისათვის. გარდა ამისა, ამერიკის ზოგიერთი მაღალტექნოლოგიური დარგი, კერძოდ თვითმფრინავთმშენებლობა და მიკროელექტრონიკა, კონკურენციას აწყდება იმ უცხოური ფირმების მხრიდან, რომლებიც მხარდაჭერას იღებენ მათი სახელმწიფოსაგან. რომელი არგუმენტი შეიძლება აღმოჩნდეს ბევრად უფრო საფუძვლიანი იმისათვის, რომ ამერიკის მმართველობამ გაატაროს ამ დარგთა მხარდამჭერი პოლიტიკა?

3. ამერიკას რომ ჰქონოდა ამის შესაძლებლობა, იგი იაპონიას მოთხოვდა ფუნდამენტალურ სამეცნიერო გამოკვლევებზე დაეხარჯა ბევრად უფრო მეტი ფული, და უფრო ნაკლები – უკვე ცნობილი სამეცნიერო აღმოჩენების განხორციელებაზე. ახსენით ამერიკის ასეთი ქცევის მიზეზები?

4. ევროპის სახელმწიფოებს შეეძლოთ გამოეყენებინათ სუბსიდიები სტრატეგიულ უპირატესობათა მოსაპოვებლად. მაგრამ ეს ღონისძიება არ აღმოჩნდა ეფექტური. რაში მდგომარეობს ამ ორ შეხედულებას შორის უმთავრესი წინააღმდეგობა? როგორი უნდა იყოს იმ პირობის განსაზღვრის წესი, რომლის დროს გამართლებულია სუბსიდიის შემოღება?

5. ახალი სტრატეგიული სავაჭრო პოლიტიკა ამართლებს ისეთი ქვეყნების მთავრობათა პოლიტიკურ ლობირებას, როგორიცაა სამხრეთ კორეა. იგი ახდენს თავისი პროდუქციის ექსპორტის სუბსიდირებას. განსაჯეთ ამ მტკიცებულების საფუძვლიანობა;

6. ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი ამყარებს, თუ ასუსტებს მისი მრეწველობის მაღალტექნოლოგიური დარგების სტრატეგიულ პოზიციებს? მოიყვანეთ მაგალითი ყოველი თქვენი მოსაზრების მხარდასაჭერად.

ნაწილი III

საერთაშორისო სავალუტო პოლიტიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები

საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობათა სფეროში მოქმედი კანონზომიერებანი შორს დგას ჩვეულებივი ეკონომიკური მოვლენებისაგან. მაგალითად: არბიტრაჟი, დილერები, მაკლერები, „გვირაბის" გველი, „მცოცავი მიბმა", „ჭუჭყიანი ცურვა" და ა. შ., ეს ისეთი ტერმინებია, რომლებიც არ ექვემდებარება უბრალო ინტუიტ-ციას. ფაქტიურად, ეს არის ეკონომიკური თეორიის კვლევის ისეთი სფერო, სადაც არსებითი ცვლილებების გარეშე შეუძლებელია გამოვიყენოთ მაკროეკონომიკური თეორიები.

ქვეყნები, ერთმანეთს შორის საქონლისა და მომსახურე-ბის გაცვლის დროს, აწარმოებენ საერთაშორისო ანგარიშ-სწორებას, რაც შესაბამისი ორგანოების (საბაჟო სამსახურე-ბის, სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსთა სამინისტროსა და სხვა უწყებების) მიერ აღირიცხება სპე-ციალურ უწყისებში, რომლებიც გროვდება მთელი წლის განმავლობაში და ქვეყნდება საინფორმაციო საშუალებებით.

ამისათვის საჭიროა ოფიციალური ორგანოები ფლობდნენ ინფორმაციას საერთაშორისო დონეზე აღიარებულ მაკრო-ეკონომიკურ მაჩვენებელთა ერთიანი კომპლექსის, სავალუტო ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმის, საერთაშორისო ეკონო-მიკურ ურთიერთობებში წამოჭრილი პრობლემების შესახებ.

თავი XV

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბალანსი

მოგების დაგმობის ტენდენცია მიმდინარეობს შუა საუკუნეების თვალსაზრისიდან, რომლის მიხედვით, ერთი ადამიანის მოგება მეორის ზარალია.

ჰ. სამუელსონი

იმისათვის, რომ შემუშავებული იქნეს სწორი ფულადსაკრედიტო, საბიუჯეტო, საგადასახადო და სავალუტო პოლიტიკა, საჭიროა დაწვრილებით შესწავლილი იქნეს საგადასახადო ბალანსის ანგარიშთა სისტემა, რომელიც იძლევა რეალურ ინფორმაციას მოცემულ ქვეყანასა და მის ეკონომიკურ პარტნიორებს შორის არსებულ სავაჭრო და საფინანსო ურთიერთობათა შესახებ. საგადასახადო ბალანსი არ ახასიათებს რა არის კარგი და რა – ცუდი, ან რა იწვევს ამათუიმ მოვლენას. მაგრამ იგი გვიჩვენებს ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაში შექმნილ რეალურ მდგომარეობას, ხოლო მისი გაანალიზება და დასკვნების გაკეთება მეცნიერ-ეკონომისტების მოვალეობაა. საგადასახადო ბალანსი მოიცავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მისაღებად. კერძოდ, ესენია:

1. ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის შედეგების ანალიზი იძლევა მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის შემოღების მიზანშეწონილობის განსაზღვრის საშუალებას. საგადასახადო ბალანსი გვეხმარება იმის დადგენაში თუ, ვინ ცდილობს ეროვნული ვალუტის აკუმულირებას და ვინ–მის მოშორებას;

2. საგადასახადო ბალანსი საშუალებას იძლევა, გადაიჭრას კრიზისში მყოფი ვალუტის ფიქსირებული კურსის შენარჩუნების მიზანშეწონილობის საკითხი. მისი მეშვეობით შესაძლებელია დადგინდეს, თუ რა რაოდენობის ეროვნული ვალუტა გროვდება უცხოელთა ხელში;

3. საგადასახადო ბალანსი იძლევა ინფორმაციას ქვეყნის საგარეო დავალიანების ზრდის შესახებ, ეს ინფორმაცია საჭიროა ვალის ძირითად თანხაზე პროცენტებისა და ვადა-

გადაცილებული თანხების გადახდის, ქვეყანაში მომავალი გადასახადისათვის საჭირო ვალუტის გამომუშავების შესაძლებლობათა დასადგენად, ასევე იმის გასარკვევად, თუ რამდენად გაუძნელდა მოცემულ ქვეყანას კრედიტორთა წინაშე არსებული ვალის დაფარვა, ან რამდენად გაძვირდა იგი.

§ XV. 1. მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის დადებითი სალდოს მაკროეკონომიკური მნიშვნელობა

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დიფერენციაციის მიხედვით, საგადასახადო ბალანსი ძირითადად შედგება სამი სტრუქტურული ელემენტისაგან. ესენია: სავაჭრო ბალანსი, მიმდინარე ანგარიშთა ბალანსი და ოფიციალურ ანგარიშთა ბალანსი. მათ შორის სავაჭრო ბალანსი ყველაზე უფრო მარტივია და მისი შედგენისათვის საკმარისია საბაჟო სამსახურებიდან შევაგროვოთ ინფორმაცია ქვეყანაში იმპორტირებული და ქვეყნიდან ექსპორტირებული საქონლის მოცულობისა და ღირებულების შესახებ.

მიმდინარე ანგარიშთა ბალანსი ყველაზე უფრო ინფორმაციულია, რომელიც ეხება მომსახურების, ფინანსებისა და შეწირულობების (საჩუქრების) დენადობას. აქტივების მოძრაობა ახასიათებს მიმდინარე საგადასახადო ბალანსის დადებით სალდოს და დეფიციტს. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის დადებითი სალდო იმას გვიჩვენებს, რომ საქონლის, მომსახურებისა და საჩუქრების მოძრაობის მუხლებში კრედიტი დებეტზე მეტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მოცემული ქვეყანა საზღვარგარეთ აგროვებს სიმდიდრეს, ანუ ქვეყანა სხვა სახელმწიფოთა მიმართ წმინდა ინვესტორია (I_f სიდიდით) და პირიქით, მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის დეფიციტი იმის მომასწავებელია, რომ ქვეყნის ინვესტიციები საზღვარგარეთ მცირდება და სხვა ქვეყნების წინაშე იგი ხდება წმინდა მოვალე.

ის ფაქტი, რომ მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის დადებითი სალდო წმინდა უცხოური ინვესტიციების ტოლია, საშუა-

ლებას იძლევა დავამყაროთ მისი კავშირი მთლიანი ეროვნული პროდუქციის მოცულობასთან. ქვეყანა, რომელსაც წმინდა უცხოური ინვესტიციები დადებითი აქვს (ანუ $I_f > 0$), კაპიტალის ქვეყნის შიგნით დაგროვების ნაცვლად, ეროვნულ დანაზოგთა (S-ის), გარკვეული ნაწილის საზღვარგარეთ ინვესტირებას ახდენს. ამრიგად ეროვნული დანაზოგი უდრის ქვეყნის შიგნით დაბანდებულ ინვესტიციებს (I_d) პლუს წმინდა უცხოური ინვესტიციები:

$$S = I_d + I_f \quad \text{XV. 1.}$$

წმინდა უცხოური ინვესტიციები ($I_f = S - I_d$) წარმოადგენს თანხას, რასაც ქვეყანა ხარჯავს საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად, კაპიტალის შიდა დაგროვების ჩათვლით. ეს ჯამური დანახარჯები (E) ტოლია სამამულო და უცხოური საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს (c-ს) პლუს მთავრობის მიერ განხორციელებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვა (G), დამატებული წარმოების საშუალებათა შეძენაზე დაბანდებული კერძო ინვესტიციები (I_d). მაშინ მთლიანი ეროვნული პროდუქციის მოცულობა ღია ეკონომიკის პირობებში გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$Y = c + G + I_d + X - m \quad \text{XV. 2.}$$

ეს იმას ნიშნავს, რომ ღია ეკონომიკის პირობებში ერთობლივი ეროვნული პროდუქცია განსხვავდება ქვეყნის მიერ განხორციელებული ერთობლივი ეროვნული ხარჯებისაგან:

$$E = c + G + I_d \quad \text{XV. 3.}$$

ეს განსხვავება გამოისახება მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის სალდოთი, ანუ საქონლისა და მომსახურების (ტრანსფერტების ჩათვლით) ექსპორტსა და იმპორტს შორის არსებული სხვაობით ($X - m$), ანუ:

$$Y - E = X - m \quad \text{XV. 4.}$$

ამრიგად, მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის დადებითი სალდო ოთხი სხვადასხვა სიდიდის ტოლია:

$$X - m = S - I_d = Y - E = I_f \quad \text{XV. 5.}$$

ეს ფორმულები გამოიყენება საგარეო ეკონომიკურ ფაქ-ტორთა მიერ ეროვნულ ანგარიშთა ბალანსზე მოხდენილი გავლენის შესაფასებლად.

XV. 5 ფორმულიდან ნათლად ჩანს, რომ მიმდინარე ანგარიშთა ბალანსში დადებითი სალდოს მიღწევა ($I_f > 0$, ანუ $X > m$) შეუძლებელი ხდება ორი პრობლემის ერთდროულად გადაჭრის გარეშე. ესენია: 1. ერთობლივი ეროვნული დანახარჯების შემცირების, ან მუდმივობის ფონზე უნდა იზრდებოდეს ერთობლივი ეროვნული პროდუქციის მოცულობა (ანუ Y -- E სხვაობა); 2. შიდა ინვესტიციების მუდმივობის, ან ვარდნის ფონზე უნდა იზრდებოდეს ეროვნული დანაზოგები (ანუ S -- I_d სხვაობა), 3. უნდა იზრდებოდეს საქონლის, მომსახურებისა და ტრანსფერტების ექსპორტი მათი იმპორტის მუდმივობის ან ვარდნის ფონზე (ანუ X -- m სხვაობა); დაბოლოს 4. უნდა იზრდებოდეს თვით წმინდა უცხოური ინვესტიციების მოცულობა (I_d).[1]

მაგალითად, თუ მთავრობა მოსახლეობას სთავაზობს ისეთ პოლიტიკას, რომ გაუმყობესდება მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის მდგომარეობა უფრო მაღალი საიმპორტო ტარიფების დაწესების, ან ფასების შესაბამისი ზრდის, ან მთლიანი ეროვნული პროდუქციისა და დანაზოგების მოცულობათა ყოველგვარი ზრდის გარეშე (ანუ Y--E სხვაობის მუდმივობის პირობებში, მაშინ მოსახლეობამ უნდობლობა უნდა გამოუცხადოს ამ დაპირებას, რადგანაც ის მიუღწეველი დარჩება. ამრიგად, მიმდინარე ანგარიშთა ბალანსი საშუალებას იძლევა სრული წარმოდგენა შეგვექმნას ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის ცვლილებაზე.

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. С англ. М. Изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г.418 -- 433 с.

§ XV. 2. საერთო საგადამხდელო ბალანსის მაკროეკონომიკური მნიშვნელობა

1919-71 წლებში, სავალუტო კრიზისების წარმოქმნის დროს უცხოელ მევალუტე დილერთა შემოტევების გამო, სულ უფრო იზრდებოდა სხვადასხვა ქვეყნის მთავრობისა და ცენტრალურ ბანკთა შეშფოთება, რაც გამოიხატებოდა ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის შენარჩუნების უზრუნველმყოფ ღონისძიებათა გატარებაში.

კრიზისში მყოფი ეროვნული ვალუტის მფლობელები ცდილობდნენ მის გაყიდვას, სარეზერვო აქტივებზე გაცვლის მიზნით. მყარი სავალუტო კურსის შენარჩუნების მცდელობაში ქვეყნები მკაცრად ადევნებდნენ თვალყურს ვალუტის ლიკვიდურობას, წინასწარ იღებდნენ ზომებს ეროვნულ ვალუტაზე სპეკულიაციურ ქმედებათა წინააღმდეგ და ვალუტის კურსის გამყარების მიზნით, ზრდიდნენ რეზერვებს.

ქვეყნები სხვადასხვაგვარად აფასებდნენ საერთო საგადამხდელო ბალანსში შექმნილ დადებით სალდოს, ან დეფიციტს. ზოგიერთი ქვეყანა ერთმანეთს ადარებდა თავისი რეზერვებისა და მის ვალუტაზე უცხოელთა ლიკვიდური მოთხოვნების წმინდა ზრდას. სხვა სახელმწიფოები ორიენტაციას იღებდნენ რეზერვების ცვლილებაზე. საგადასახადო ბალანსის საერთო სალდოს ყველაზე გავრცელებული განსაზღვრა იყო ოფიციალურ ანგარიშსწორებათა ბალანსი. ოფიციალურ ანგარიშთა ბალანსის დადებითი სალდო უდრის ქვეყნის ოფიციალური რეზერვების წმინდა ნაზრდს პლუს უცხოეთის ქვეყნების მიმართ მოცემული ქვეყნის ლიკვიდურ დავალიანებათა წმინდა შემცირება, ხოლო ოფიციალურ ანგარიშთა ბალანსის დეფიციტი კი უდრის ქვეყნის ოფიცილური რეზერვების შემცირებას პლუს უცხოეთის ქვეყნების მიმართ ლიკვიდურ ვალდებულებათა წმინდა ნაზრდი.

1971 წლამდე, როდესაც მოქმედებდა ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემა, საერთო საგადასახადო ბალანსის დეფიციტი სამთავრობო პოლიტიკის მუდმივი საზრუნავი იყო, რადგანაც იგი განუხრელად იზრდებოდა, მაგრამ ბოლო დროს ეკონომისტები სულ უფრო ნაკლებ მნიშვნელობას

ანიჭებდნენ საერთო საგადასახადო ბალანსის რეგულირებას. ისინი ამ პოზიციას შემდეგი ორი მიზეზით ხსნიდნენ:

1. **მსოფლიო ეკონომიკაში მომხდარმა ცვლილებებმა გამოიწვია თვით საერთო საგადასახადო ბალანსის ცნების გაუფასურება.** 1971 წლის შემდეგ, მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის შემოღების გამო, გაძნელდა იმის მტკიცება, რომ მართლაც გამოხატავდა თუ არა, ოფიციალურ ანგარიშთა ბალანსის დეფიციტი სხვა ქვეყნების წინაშე ამ ქვეყნის ვალდებულებათა ზრდას, რასაც თითქოს უნდა გამოეწვია, თავის მხრივ, ვალუტის ფიქსირებული პარიტეტის რღვევის საფრთხე. მაგრამ ვალუტის კურსთა ფიქსაციაზე უარი თქვა ქვეყნების უმრავლესობამ. გარდა ამისა, მაღალინტერნაციონალიზირებული ეკონომიკის პირობებში ქვეყნები ამჯობინებენ გააჩნდეთ მხოლოდ წამყვანი ქვეყნების ვალუტა. ძველი წესი, როცა რეზიდენტები ირჩევდნენ მხოლოდ დოლარს და არა სხვა რომელიმე ქვეყნის ვალუტას, სულ უფრო კარგავს თავის მნიშვნელობას. ასევე აღარაა საჭირო ქვეყნებს შორის საერეზერვო ნაკადების ოდენობის განსაზღვრაც;

2. რამდენადმე შეიცვალა საერთო საგადასახადო ბალანსის ძველი ინტერპრეტაცია, რადგანაც ივარაუდება, რომ ლიკვიდურ ვალდებულებათა ზრდა ყოველთვის არ არის საგარეო ვაჭრობის, მომსახურების, კერძო დაკრედიტებისა და გზავნილების დეფიციტის შედეგი, არამედ ყოველივე ეს შეიძლება იყოს საერთო საგადასახადო ბალანსის დეფიციტის წარმოქმნის მიზეზი. **სწორედ ამაში მდგომარეობს საგადასახადო ბალანსისადმი მონეტარისტული მიდგომა,** რომლის თანახმადაც საგარეო ანგარიშთა ბალანსის დეფიციტი შეიძლება გამოიწვიოს უცხოური მოთხოვნის ზრდამ ამ ქვეყნის ფულზე, მისი სარეზერვო აქტივების სახით, გამოყენების მიზნით.

სწორედ ამნაირად 1980-იან წლებში ამერიკის საგადასახადო ბალანსის დეფიციტი გამოიწვია საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ, თავიანთი აქტივები დოლარებში გაზრდის სურვილმა. ამერიკულ აქტივებს ისინი იღებდნენ სესხების დოლარში აღებით, ან ამ ქვეყანაში საქონლის გაყიდვით. სწორი

არ იქნებოდა ამ დროს ამ ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი ჩაგვეთვალა მისი ვალუტის სისუსტის ნიშნად.

ამგვარად, საგადასახადო ბალანსისადმი მონეტარისტული მიდგომა, იმას მოწმობს, რომ საერთო საგადასახადო ბალანსის დეფიციტი, ან დადებითი სალდო შეიძლება იყოს მოცემული ქვეყნის ვალუტაზე მოთხოვნის გადიდებით, ან შემცირებით გამოწვეული რეაქცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგადასახადო ბალანსის ცალკეული მუხლის განხილვისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რა არის მიზეზი და რა – შედეგი. რეზერვებსა და სხვა ფულად აქტივებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება იყოს საგადასახადო ბალანსის „ზედა“ მუხლებში აღრიცხული ნაკადების გამომწვევი მიზეზი, და არა შედეგი. ნორმალურად მზარდი მსოფლიო ეკონომიკის პირობებში, ქვეყანას (მაგალითად, თანამედროვე პირობებში ევროკავშირს), რომლის ვალუტაც (ევრო) საერთაშორისო ანგარიშსწორების მთავარ საშუალებად არის გამოყენებული, მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის მიხედვით, შეიძლება გააჩნდეს დეფიციტი, რაც ნორმალური მოვლენაა.

ისევე როგორც, ბანკის მიერ აღებული ის ვალდებულებები, რომლებიც აჭარბებენ რეზერვებს, არ არის საგანგაშო, რადგანაც ნორმალურად მოქმედი ბანკისათვის გამართლებულია ისეთი მდგომარეობა, როცა საბანკო რეზერვები შეადგენს აღებული ვალდებულ;ებების მხოლოდ 1/3 ნაწილს. როცა ბანკი აფართოებს თავის საქმიანობას, ცხადია მისი ვალდებულებები, აბსოლუტური გამოხატულებით, გაცილებით უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე რეზერვები, მაგრამ მათ შორის არსებული პროპორცია ამ დროს არ ირღვევა.

მსგავსი ვითარება იყო ისტორიულად სხვა ქვეყნებშიც, რომლებიც თავის დროზე წარმოადგენდნენ მსოფლიოს წამყვან საფინანსო ცენტრებს (ნიუ-იორკი, ლონდონი და ა. შ.). მათ საგადასახადო ბალანსის დეფიციტი გააჩნდათ სწრაფი აღმავლობის პერიოდშიც კი, რადგანაც მათი ლიკვიდური ვალდებულებები, რომლებიც რეზერვების პროპორციული იყო, აბსოლუტური გამოხატულებით, რეზერვებზე სწრაფად იზრდებოდა, მაგრამ ეს არ იყო მტკივნეული მათი ეკონომიკისათვის. მაგალითად, დიდ ბრიტანეთს არც კი შეუმჩნევია

ეს ფაქტი, რადგანაც 1914 წლისათვის არ არსებობდა საგარეო ანგარიშთა ოფიციალური სტატისტიკა. ეს კი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ მსოფლიო თანამეგობრობა არ შეშფოთებულიყო დიდი ბრიტანეთის მზარდი საგარეო დეფიციტის გამო. ამავე თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ ამერიკის საგადასახადო ბალანსის დეფიციტიც.

ამერიკა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში აკრედიტებდა მთელ მსოფლიოს, თავის ლიკვიდურ ვალდებულებათა ზრდის წყალობით, მსოფლიო „ბანკირი" იყო და შესაბამისი დეფიციტიც ჰქონდა. ისმის ასეთი კითხვა: არის თუ არა კრიზისის ნიშანი რეზერვებთან შედარებით, ლიკვიდური აქტივების წინმსწრები ტემპით დაგროვება? ნეგატიური მოვლენები სხვა ნიშნებით უმალვე უნდა გამოჩენილიყო. 1958-70-იან წლებში ამერიკის ოქროსა და ვალუტის რეზერვები განუწყვეტლივ მცირდებოდა. უცხოელთა მიმართ ლიკვიდურ ვალდებულებათა ზრდა შეიძლება ახსნილიყო უცხოელთა მიერ აქტივების დოლარებში ფლობის სურვილით. ამ ფაქტებმა 1970-იან წლებში ხელი შეუწყო, ლიკვიდურობისა და საერთო საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის მიმართ, წამყვანი ქვეყნების მთავრობათა ყურადღების შესუსტებას. ახლა იგი განიხილება ნეიტრალურ ვითარებაში, თუმცა პოლიტიკოსები მაინც აგრძელებენ ლიკვიდურობისა და საერთო საგადასახადო ბალანსის მდგომარეობის ანალიზს. ხშირად ისინი მაინც აანალიზებენ მიმდინარე ანგარიშთა ბალანსს, რომელიც გვიჩვენებს წმინდა უცხოური ინვესტიციების დენადობას.

§ XV. 3. საგაჭრო ბალანსის გავლენა საგალუტო კურსსა და პოლიტიკაზე

საგადასახადო ბალანსის გავლენა ვალუტის კურსსა და საგალუტო პოლიტიკაზე. საგადასახადო ბალანსი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეროვნული ვალუტის კურსზე და თანამედროვე საგალუტო პოლიტიკის განვითარებაზე. მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის ხშირი და მკვეთრი რყევა

არ არის სასურველი ქვეყნისათვის, რადგანაც მიმდინარე ოპერაციათა ბალანსის დადებითი სალდოს მკვეთრი ზრდა იწვევს ფულის მასის სწრაფ ზრდას, რაც ინფლაციის გამომწვევი მიზეზია, ხოლო მისი დეფიციტის მკვეთრი გაღრმავება კი იწვევს სავალუტო კურსის ვარდნას.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკისათვის დამახასიათებელია საერთაშორისო ანგარიშსწორების დაუბალანსებელი ზრდა. საგადასახადო ბალანსის აქტიური სალდო გააჩნიათ იმ ქვეყნებს (მაგალითად, იაპონია, გერმანია და ა. შ.), რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ეწევიან აქტიური საინვესტიციო ექსპანსიის პოლიტიკას, მაგრამ თვით ლიდერი ქვეყნების რიგშიც კი არიან უარყოფითი სალდოს მქონე სახელმწიფოებიც, რომელთა საგადასახადო ბალანსის დეფიციტმაც არნახულ მასშტაბს მიაღწია.

თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო ბალანსი სრულად ვერ ასახავს სავალუტო ოპერაციების მოცულობასა და სტრუქტურას, რადგანაც ფულადი სახსრები სხვადასხვა ქვეყნის ბანკებსა და საკრედიტო დაწესებულებებს შორის გადაიგზავნება მიმოქცევის წმინდა ინტერნაციონალური არხებით. ამ დროს სავალუტო ოპერაციები სრულდება მატერიალური ფასეულობების ყოველგვარი გადადინების გარეშე. ამის გამო საგადასახადო ბალანსში იგი აისახება, როგორც საბანკო ანგარიშსწორებათა ნაშთი. ვადიანი გარიგება და ვალუტის სპეკულაციური არბიტრაჟი **(არბიტრაჟი ეწოდება ორ საერთაშორისო საფინანსო ცენტრს შორის დადებულ გარიგებას ვალუტის კურსთა დროებითი სხვაობის საფუძველზე, მოგების მიღების მიზნით),** საერთოდ არ აღირიცხება საგადასახადო ბალანსში.

საგადასახადო ბალანსი ვალუტის კურსზე მოქმედი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. ვალუტის კურსზე სავაჭრო ბალანსის მიერ მოხდენილი გავლენა გამოითვლება ფორმულით:

$$E_{TB} = \frac{V_x (d_x + 1)}{V_m(d_x/S_x) - 1} - \frac{S_m + 1}{(S_m/d_m) - 1} \quad \text{..... XV. 6..}$$

სადაც E_{TB} -- არის სავაჭრო ბალანსის ელასტიურობა სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ; V_x -- არის

უცხოური ვალუტის მიწოდება (ანუ სამამულო პროდუქციის ექსპორტის ღირებულება); V_m – არის უცხოურ ვალუტაზე არსებული მოთხოვნა (ანუ უცხოური საქონლის იმპორტის ღირებულება); d_x – არის სამამულო პროდუქციის ექსპორტზე არსებული მოთხოვნის ელასტიურობა; S_x – არის სამამულო პროდუქციის ექსპორტის მიწოდების ელასტიურობა; d_m – არის უცხოური საქონლის იმპორტზე არსებული მოთხოვნის ელასტიურობა; S_m – არის უცხოური საქონლის იმპორტის მიწოდების ელასტიურობა.

	ელასტიურობის მნიშვნელობა	დევალვაციის გავლენა სავაჭრო ბალანსზე
სიტუაცია I არაელასტიური მოთხოვნა	$d_m = d_x = 0$	სავაჭრო ბალანსი უარესდება $E_{TB} = -V_x/V_m < 0$
სიტუაცია II მცირე ქვეყანა	$S_m = -d_x \to \infty$	სავაჭრო ბალანსი უმჯობესდება $E_{TB}=(V_x/V_m)S_x+S_m+1>0$
სიტუაცია III ფასები ფიქსირებულია მყიდველის ვალუტაში	$d_m = d_x \to -\infty$	სავაჭრო ბალანსი უმჯობესდება $E_{TB}= (V_x/V_m) S_x - d_m > 0$
სიტუაცია IV ფასები ფიქსირებულია გამყიდველის ვალუტაში	$S_m = -S_x \to \infty$	განუსაზღვრელი შედეგი $E_{TB}=(V_x/V_m)(-d_x-1)-d_m >/< 0$

ცხრილი XV. 1. დევალვაცია და სავაჭრო ბალანსი.

მოცემული (XV. 6) ფორმულის თანახმად, რაც უფრო ელასტიურია მოთხოვნა სამამულო პროდუქციის ექსპორტსა და უცხოური საქონლის იმპორტზე, მით უფრო „სტაბილური“ რეაქცია აქვს სავაჭრო ბალანსს სავალუტო კურსის ცვლილების მიმართ. ამდენად, მოთხოვნის ელასტიურობას გადამწყვეტი გავლენა აქვს სავალუტო კურსზე სავაჭრო ბალანსის

ზემოქმედების თვალსაზრისით. ამისგან განსხვავებით, მიწოდების ელასტიურობას შედარებით უფრო ნაკლები გავლენა აქვს ამ სფეროში. XV. 1. ცხრილში მოცემულია სავალუტო კურსზე სავაჭრო ბალანსის ზემოქმედების ოთხი შესაძლო შემთხვევა:. კერძოდ, ესენია:

***1.* ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო უარესდება სავაჭრო ბალანსი,** რაც გამოწვეულია მოთხოვნის არაელასტიურობის შედეგად ($d_m=d_x=0$). ამ დროს სავაჭრო ბალანსში შექმნილი ვითარება რაიმე გავლენას ვერ ახდენს სავალუტო კურსის ცვლილებაზე;

2. მეორე სიტუაცია დაკავშირებულია ქვეყნის მცირე ზომასთან.__მცირე ერები ვერ ახდენენ გავლენას მსოფლიო ფასებზე თავიანთი პროდუქციის ექსპორტისა და უცხოური ნაწარმის იმპორტის რეგულირებით. ამიტომ ისინი პასიურად მოვაჭრე ქვეყნები არიან და პირდაპირ ექვემდებარებიან დიდი მიმწოდებელი, ან გამსაღებელი ქვეყნების მიერ მსოფლიო ბაზარზე ნაკარნახევ ფასებსა და ვაჭრობის პირობებს. მსგავსი სიტუაცია საკმაოდ გავრცელებულია, რადგანაც არა მარტო მცირე, არამედ დიდი ქვეყნებიც კი დამოკიდებულნი არიან მსოფლიო ბაზრის ფასებზე. სწორედ ამ სიტუაციიდან ამტკიცებენ, რომ **სავაჭრო ბალანსის ცვლილებით შესაძლებელი ხდება სავალუტო ბაზრის სტაბილიზაცია;**

3. მესამე ვითარება ასახავს მოცემულ საქონელზე არსებული მოთხოვნის ელასტიურობის მნიშვნელობას,__თუ ფასი დგინდება მყიდველის ვალუტაში (III სიტუაცია), მაშინ XV. 6 ფორმულიდან ნათლად ჩანს, რომ ამ დროს შექმნილი ვითარება სავაჭრო ბალანსში ვერ იძლევა კარგ შედეგებს: მრავალი სამრეწველო საქონლისა და მომსახურების ფასები ასეთ შემთხვევაში, სავალუტო კურსის რყევის მიუხედავად, მაინც უცვლელი რჩება;

4. მეოთხე შემთხვევა ითვალისწინებს გამყიდველის ვალუტაში დადგენილ ფასებს. ამ დროს დევალვაციის გავლენა სავაჭრო ბალანსზე განისაზღვრება **მარშალ-ლერნერის პირობით,** რომლის თანახმადაც **„სამამულო პროდუქციის ექსპორტსა და უცხოური საქონლის იმპორტზე არსებული მოთხოვნის ჯამური აბსოლუტური სიდიდე უნდა აღემატე-**

ბოდეს ერთს ($d_x+d_m>1$)”. მარშალ-ლერნერის პირობის დაცვა საკმარისია სტაბილური შედეგების მისაღწევად: იგი იძლევა სავაჭრო ბალანსზე დევალვაციის მიერ დადებითი გავლენის მოხდენის უხეში შეფასების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი გამოხატავს საერთო კანონზომიერებას: **„რაც უფრო მაღალია ელასტიურობა, მით უფრო მაღალია შედეგიც”.**[1]

ვალუტის კურსთა ცვლილების გავლენა სავაჭრო ბალანსზე. სავაჭრო ბალანსსა და ვალუტის კურსს ახასიათებთ ურთიერთქმედების თვისება, ანუ არა მარტო სავაჭრო ბალანსი მოქმედებს ვალუტის კურსზე, არამედ პირიქით, ხშირად ვალუტის კურსის ცვლილებაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სავაჭრო ბალანსის მდგომარეობაზე. თუ დევალვაციის შედეგად სამამულო პროდუქციაზე არსებული უცხოური მოთხოვნისა და უცხოურ საქონელზე ეროვნული მოთხოვნის სრული არაელასტიურობის დროს ქვეყნის სავაჭრო ბალანსი უარესდება, რაც გაზრდის მოცემული ვალუტის მიწოდებას (გაიზრდება მოთხოვნა უცხოურ ვალუტაზე), მაშინ ბაზარზე ატყდება პანიკა და დაიწყება მოცემული ვალუტისაგან „გაქცევა”, რაც მისი კურსის დაცემას გამოიწვევს.

განვიხილოთ ეროვნული ფასებისა და საქონლის მოცულობის შესაძლო ცვლილებები ვალუტის (ვთქვათ, ლარის) კურსის დაცემის დროს:

$$CA^t = P_X^t X - P_m^t M \quad \text{.....} \quad \text{XV. 7.}$$

სადაც CA^t – არის მიმდინარე ანგარიშთა ბალანსი (უცხოურ ვალუტაში), P_X^t – არის სამამულო პროდუქციის საექსპორტო ფასი (უცხოურ ვალუტაში), X -- სამამულო პროდუქციის ექსპორტის მოცულობა, P_m^t – არის უცხოური საქონლის იმპორტის ფასი (უცხოურ ვალუტაში), M -- უცხოური საქონლის იმპორტის მოცულობა.

$CA^S = P_X^S X - P_m^S M$ ლარის გაუფასურების შემდეგ სამამულო პროდუქციის საექსპორტო ფასი არ იცვლება, ან ეცემა, ხოლო ექსპორტის მოცულობა არ იცვლება, ან

---

[1] ლარისა ყორღანაშვილი. საერთაშორისო სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: “მერიდიანი და კაბადონი”. თბილისი. 1997. გვ. 276 -- 302;

იზრდება, უცხოური საქონლის იმპორტთან მიმართებაში კი მისი ფასი იზრდება, ან ეცემა, ხოლო მოცულობა კი არ იცვლება, ან მცირდება.

როგორც ჩანს, ლარის დევალვაცია იწვევს საექსპორტო საქონლის ფასთა დაწევას (უცხოურ ვალუტაში), ქართველი ექსპორტიორები დაინტერესებულნი არიან თავიანთ პროდუქციაზე უფრო დაბალი ფასის დაწესებით (უცხოურ ვალუტაში), რადგანაც სამამულო პროდუქციის ლარებში გამოსახული საექსპორტო ფასი უცვლელია. სამამულო პროდუქციის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფასების დაქვეითება ზრდის სამამულო საქონლის ექსპორტის მოცულობას.

ეროვნულ ვალუტაში იმპორტის გაძვირების გამო ადგილობრივი მომხმარებელი დაუწყებს ძებნას იმპორტული პროდუქციის შემცვლელ, სამამულო ნაწარმს. უცხოური საქონლის იმპორტზე არსებული მოთხოვნის დაცემა შეამცირებს უცხოური საქონლის იმპორტის მოცულობას. მაგრამ თუ უცხოური საქონლის იმპორტის ღირებულებას გამოვაკლებთ სამამულო პროდუქციის ექსპორტის ღირებულებას (რომელიც შეიძლება არ შეიცვალოს, ან შემცირდეს), მაშინ საგარეო ვაჭრობის სალდოს საბოლოო სურათი გაურკვეველი დარჩება. ამის დასაზუსტებლად საჭიროა მოვიპოვოთ მონაცემები, როგორც საექსპორტო, ისე იმპორტულ საქონელზე არსებული მოთხოვნისა და მათი მიწოდების ცვლილებათა ელასტიურობის შესახებ.

ლარის კურსის დაცემას (უცხოური ვალუტის გაძვირებას) შეუძლია გააუარესოს კიდეც სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა. ეს შეიძლება მოხდეს **სამამულო პროდუქციის ექსპორტსა და უცხოური საქონლის იმპორტზე არსებული მოთხოვნის მრუდთა სრული არაელასტიურობის დროს.** ამ დროს ადგილობრივი მომხმარებელი განაგრძობს იმავე მოცულობის იმპორტული საქონლის შეძენას იმავე ფასად – უცხოურ ვალუტაში და იხდის უფრო მეტ თანხას ლარებში.

მეორე მხრივ, ეროვნული ვალუტის დევალვაციის შედეგად, სამამულო საექსპორტო პროდუქციის, ლარებში გამოსახული, ფასები უცვლელი რჩება, მაგრამ, უცხოურ ვალუტაში გამოსახული, მათი ღირებულება მცირდება. ჩვენი ქვეყნის

ექსპორტიორები საქართველოდან გატანილ ყოველ ერთეულ პროდუქციაზე ნაკლებ სავალუტო შემოსავლებს მიიღებენ უცხოურ ვალუტაში. ამასთან ერთად, ისინი სამამულო საქონელს, მასზე არსებული უცხოური მოთხოვნის სრული არაელასტიურობის გამო, იგივე ოდენობით ყიდიან, მისი საექსპორტო ფასების დაწევის მიუხედავად.

საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე არსებული მოთხოვნის სრული არაელასტიურობის დროს მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის შეცვლილი სახე ასეთი იქნება: **საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე არსებული მოთხოვნის სრული არაელასტიურობის დროს. მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის სალდო უცხოურ ვალუტაში უარესდება, რადგანაც სამამულო პროდუქციის ექსპორტზე დაწესებული ფასები ეცემა, მოცულობა კი უცვლელია, ხოლო უცხოური საქონლის იმპორტზე კი ფასებიცა და მოცულობაც უცვლელია.** თუ მიმდინარე ანგარიშთა ბალანსს **ეროვნულ ვალუტაში** (ლარებში) გამოვსახავთ, მაშინ აქაც შეინიშნება მისი სალდოს გაუარესება. **მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის სალდო (ლარებში) უარესდება, რადგანაც სამამულო პროდუქციის ექსპორტზე დაწესებული ფასები და მოცულობა უცვლელია, ხოლო უცხოური საქონლის იმპორტის ფასები კი იზრდება, ხოლო მისი მოცულობა კი უცვლელი რჩება.**

მაგრამ სამამულო და უცხოურ საქონელზე მოთხოვნის სრული არაელასტიურობა მხოლოდ თეორიული დაშვებაა და სინამდვილეში ეროვნული ვალუტის (ლარის) ღირებულების დაცემა იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას. რადგანაც ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ, საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე არსებული მოთხოვნის ელასტიურობის მაჩვენებელი პრაქტიკაში მაინც საკმარისად მაღალია, რაც უზრუნველყოფს სავაჭრო ბალანსის მასტაბილიზირებელ ცვლილებას. რეალურად საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე არსებული მოთხოვნა საკმაოდ მაღალ ელასტიურია და დროის გრძელვადიან პერიოდში იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

მცირე ქვეყნებისათვის, დროის ხანგრძლივ პერიოდში, საექსპორტო და საიმპორტო საქონელზე არსებული მოთხოვ-

ნის ელასტიურობის კოეფიციენტი უსასრულოდ დიდია. თუ უცხოური ვალუტის (ვთქვათ ევროს) კურსი უცვლელია, მაშინ ეროვნული ვალუტის (ლარის) კურსის დაცემის გავლენა მიმდინარე ანგარიშთა ბალანსზე შემდეგნაირად აისახება: სავაჭრო ბალანსის სალდო უმჯობესდება, რადგანაც საექსპორტო პროდუქციის ფასები უცხოურ ვალუტაში მცირდება, რის გამოც მისი მოცულობა იზრდება, ხოლო იმპორტული საქონლის ფასები ეროვნულ ვალუტაში იზრდება, რის გამოც მისი მოცულობა მცირდება.



ნახ. XV. 2. სავაჭრო ბალანსის რეაქცია ეროვნული ვალუტის კურსის დაცემაზე

„მცირე" ქვეყნის სავაჭრო ბალანსი უმჯობესდება, რადგანაც იზრდება, როგორც სამამულო პროდუქციის ექსპორტის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები, ასევე მცირდება იმპორტული საქონლის შესაძენად გაწეული დანახარჯები.[1] ამრიგად, ლარის კურსის დაცემა დროის გრძელ პერიოდში, გამოიწვევს საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, მომხმარებელთა კეთილდღეობის ვარდნის (მათი ცხოვრების ღირებულების გაზრდის) ხარჯზე.

[1] ირინა გოგორიშვილი. საერთაშორისო ეკონომიკა თბილისი 2002 წ. გვ. 84 – 97.

§ XV. 4. სავაჭრო დისბალანსის გავლენა ეკონომიკაზე

ბუნებრივია ნებისმიერი ქვეყნის მთავრობისათვის ხელსაყრელია მუდმივად აფინანსებდეს სავაჭრო ბალანსის დეფიციტს და დამატებით, სხვა ზომებს არ მიმართავდეს. მოსახლეობა კი მზარდ საბანკო დეპოზიტებს იღებდეს. ეს ძალზე მოსახერხებელია მოვალე ქვეყნისათვის, რადგანაც მას ამ შემთხვევაში დაგროვილი ფულადი ვალდებულებებისათვის პროცენტების გადახდაც კი არ სჭირდება.

ქვეყნები, რომელთაც საერთაშორისო ანგარიშსწორების დადებითი სალდო აქვთ და უგროვდებათ რეზერვები, ასეთი იძულებითი ქველმოქმედების გამო, სწრაფად კარგავენ მოთმინებას, ამ დროს მათი კერძო აგენტები ცენტრალურ ბანკში წარადგენენ სავალუტო დეპოზიტებს, რომელთაც მოვალე ქვეყნებში გამომუშავებული აქვთ თანხები სავაჭრო გარიგებებისა და საერთაშორისო ინვესტიციების მეშვეობით.

თავის მხრივ, ამ ქვეყნების ცენტრალური ბანკები საგადასახადო ბალანსის დეფიციტის მქონე ქვეყნის სავალუტო ორგანოებს მოსთხოვენ დაფარონ ვალდებულებები ადგილობრივი ბანკების მიმართ და ამ მიზნით გადაიხადონ საზღვარგარეთული ვალუტა, ან ოქრო. რამოდენიმე ხნის შემდეგ საგარეო გადახდების დეფიციტის მქონე ქვეყანა აღმოჩნდება რეზერვების გამოლევის პრობლემის წინაშე. დისბალანსის აღმოსაფხვრელად ქმედითი ზომების მიღება იქნეს საჭირო. მან ან ვალი უნდა აიღოს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ან უნდა გაყიდოს შემოსავლების მომტანი აქტივები (პორტები, საწარმოები, საბადოები, ხე-ტყე, მდინარეები და ა. შ.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, შესაძლებელია მოხდეს გარემოებათა ისეთი დამთხვევა, რომლის დროსაც საერთაშორისო გადახდების დისბალანსი შეიძლება უსასრულოდ დაფინანსდეს. ეს ის შემთხვევაა, როცა დეფიციტსა და დადებით სალდოს აშკარად დროებითი, სეზონური და ურთიერთშენაცვლებადი ხასიათი აქვს.

დროებითი დისბალანსის დაფინანსების შემთხვევა განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე, რომელიც აწარმოებს ეროვნული სეზონური პროდუქციის, (ვთქვათ ციტრუსის) დი-

დი რაოდენობით ექსპორტს და შესაბამისად იღებს უცხოური ვალუტის დიდ მარაგს. მოსავლის აღების – შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, ვიდრე წელიწადის მეორე ნახევარში-- გაზაფხულიზაფხულის პერიოდში. ანალიზის დამაჯერებლობის გაზრდის მიზნით, საჭიროა მივუთითოთ იმ ფაქტს, რომ ფერმერებისათვის ციტრუსის გაყიდვისაგან თავშეკავება წამგებიანია, ამ პროდუქციის მალე ფუჭებადი (ლპობადი) თვისების გამო.



ნახ. XV. 3. დროებითი დეფიციტისა და სიჭარბის წარმატებული დაფინანსება ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის დაცვის დროს.

ნახაზზე მოცემულია საერთაშორისო გადახდათა დროებითი სიჭარბისა და დეფიციტის წარმატებული და საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის ხელსაყრელი დაფინანსების მაგალითი საქართველოსათვის ეროვნული ვალუტის -- ლარის ფიქსირებული კურსის შენარჩუნებისათვის. ვთქვათ საგადასახადო ბალანსში და სავალუტო ბაზარზე მომხდარი დროებითი ცვლილებანი გამოწვეულია ისეთ ფაქტორთა ზეგავლენით, როგორიცაა უცხოური ვალუტის შემოდენის სეზონური ხასიათი.

თუ ქვეყნის მმართველობა არ დააფინანსებს დროებით დისბალანსს, მაშინ მოსავლის აღების სეზონში, როცა ფერმერები ფლობენ ციტრუსის დიდ რაოდენობას, ლარის კურსი გამყარდება 1,5 ლარი/დოლარამდე, ხოლო წელიწადის მეორე ნახევარში კი ლარის კურსი დაეცემა 2,0 ლარი/დოლარამდე. ამ დროს საქართველო განიცდის აშკარა ფინანსურ ზარალს, რადგანაც მას, ვისაც, იმპორტის გაზრდის მიზნით უცხოური ვალუტა დასჭირდება გაზაფხყლული-ზაფხულის სეზონში

იძულებული გახდება ყოველი დოლარის შესაძენად გადაიხადოს 2,0 ლარი, და არა 1,5 ლარი, როგორც ეს იყო მოსავლის აღების მომენტში. ოფიციალურ ორგანოებს შეუძლიათ შეამცირონ ეს ზარალი სავალუტო კურსის 1 დოლარი/1,75 ლარის დონეზე სტაბილიზაციის გზით.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში დაგროვილი სავალუტო მარაგების ხარჯზე გაზაფხული-ზაფხულის სეზონის სავალუტო დეფიციტის დაფინანსება წმინდა მოგებას აძლევს სხვა ქვეყნებსაც. ეს მოგება მიიღება სავალუტო ორგანოთა მიერ ეროვნული ვალუტის კურსის 1,75 ლარი/დოლარის დონეზე უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფის ხარჯზე. იმათ, ვინც იძულებული იყო გადაეხადა 2,0 ლარი ყოველ დოლარზე გაზაფხული—ზაფხულის პერიოდში, ახლა უკვე შეეძლება იგივე დოლარი შეიძინოს 1,75 ლარად, იმათგან ვისაც ეს ვალუტა უნდა გაეყიდა მხოლოდ 1,5 ლარი/დოლარზე კურსით. ნახ. XV. 3.-ზე ამ მოგებას შეესაბამება ACD და BDE ფართობთა ჯამი.

ქრონიკული საგადასახადო დისბალანსის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ წონასწორობაზე. არსებობს იმის ფაქტებიც (შემთხვევებიც), რომ დროებითი დისბალანსის დაფინანსებამ შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი (ქრონიკული) დისბალანსის წარმოქმნა. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი 1967 წელს წარუმატებლად ცდილობდა შეენარჩუნებინა სტერლინგის კურსი 2.8 დოლრი-/სტერლინგის დონეზე. 1964—67 წლებში ინგლისური ვალუტის კურსი (2.8 დოლრი/სტერლინგზე) იმაზე მეტი აღმოჩნდა, რაც იარსებებდა ოფიციალური მხარდაჭერის გარეშე. ეს რომ დროებითი დისბალანსი ყოფილიყო, როგორც ამას მთავრობა ვარაუდობდა, მაშინ მას უნდა მოჰყოლოდა სტერლინგზე მოთხოვნის ზრდა და მისი კურსის აწევა 2,8 დოლარამდე ყოველ სტერლინგზე, რაც შესაძლებლობას მისცემდა მთავრობას დეფიციტის დაფინანსებიდან გადასულიყო სადოლარო აქტივების ზრდაზე. მაგრამ დისბალანსი დროებითი არ აღმოჩნდა. მსგავსი რამ გადახდათ იმ ქვეყნების მთავრობებსაც, რომელთა ვალუტის კურსიც, მათი მცდელობის მიუხედავად, მაინც მაღლა იწევდა.

თუ ოფიციალური სავალუტო კურსი გრძელვადიან პერსპ-ექტივაში აღარ შეესაბამება რეალურ ეკონომიკურ სიტუაციას, ამ დროს, მხოლოდ დროებითი ფინანსური ღონისძიებების გატარებით, ძველი სავალუტო კურსის შენარჩუნება გამოიწ-ვევს სავალუტო კრიზისს. აუცილებელი ხდება დამატებით ღონისძიებათა გატარება, რათა აღმოიფხვრას ქრონიკული დისბალანსი. ფუნდამენტალური დისბალანსის აღმოფხვრა ეკონომიკურ პოლიტიკაში მოითხოვს ფინანსური ზომებთან შედარებით უფრო ღრმა ცვლილებათა გატარებას.

დისბალანსის მიზეზების დადგენა ისევე ძნელია, რო-გორც უახლესი ხუთი წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქციის პროგნოზირება. **ფუნდამენტური დისბალანსი ეს არის ძალზე რთული და ხანგრძლივი ეკონომიკური პროცესი, რომლის აღმოფხვრაც მხოლოდ ფინანსურ ღონისძიებათა გატარების შედეგად შეუძლებელია, თუ არ გატარდება ღრმა ეკონომიკური – სავაჭრო, საფინანსო, სავალუტო-საკრედიტო, საბიუჯეტო-საგადასახადო, სოციალური და სამრეწველო ხა-სიათის ძვრები.** დღეისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს რაიმე მკაფიო კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გა-ხდებოდა ქრონიკული დისბალანსის გამომწვევი მიზეზების ზუსტი განსაზღვრა. შესაბამისად შეუძლებელი ხდება მისი პროგნოზირებაც.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია საგადასახადო ბალანსი, სადაც გამოვლენილია საერთაშორისო ანგარიშსწორების სპეციფი-კური თავისებურებანი. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის სტაბილურობა განისაზღვრება ქვეყნებს შორის საქონელ-გაცვლის შედეგების ანალიზით;

2. საქონლის ექსპორტსა და იმპორტზე არსებული მოთ-ხოვნის სრული არაელასტიურობის დროს მიმდინარე ანგა-რიშთა ბალანსის სალდო უარესდება, რადგანაც უცხოურ ვა-ლუტაში. სამამულო საქონლის ექსპორტზე დაწესებული ფა-სები ეცემა, მისი მოცულობა კი უცვლელია, ხოლო უცხოური საქონლის იმპორტზე ფასებიცა და მოცულობაც უცვლელია

თუ მიმდინარე ანგარიშთა ბალანსს გამოვსახავთ ეროვნულ ვალუტაში (ლარებში), მაშინ ამ შემთხვევაშიც შეინიშნება მისი სალდოს გაუარესება;

3. საგადასახადო ბალანსი ზემოქმედებს ვალუტის კურსსა და სავალუტო პოლიტიკაზე. ამ დროს გამოიყოფა ოთხი შემთხვევა: ა). როცა სავაჭრო ბალანსი უარესდება, ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო; ბ). მეორე სიტუაცია დაკავშირებულია ქვეყნის ზომასთან; გ). მესამე ვითარება ასახავს მოცემულ საქონელზე არსებული მოთხოვნის ელასტიურობის მნიშვნელობას, დ) მეოთხე შემთხვევა ითვალისწინებს გამყიდველის ვალუტაში დადგენილ ფასებს;

4. დროებითი არასტაბილურობის დაფინანსება მაშინ არის მისაღები, თუ ქვეყნის ეკონომიკა იმყოფება ფუნდამენტურ წონასწორობაში და საგადამხდელო დისბალანსს დროებითი და სეზონური ხასიათი აქვს;

5. ქრონიკული საგადასახადო დისბალანსი დამანგრეველ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ წონასწორობაზე და უბიძგებს მას ფუნდამენტური დისბალანსისაკენ. ფუნდამენტური დისბალანსი ეს არის ძალზე რთული და ხანგრძლივი ეკონომიკური პროცესი, რომლის აღმოფხვრაც მხოლოდ ფინანსურ ღონისძიებათა გატარების შედეგად შეუძლებელია, თუ არ გატარა ღრმა ეკონომიკური – სავაჭრო, საფინანსო, საბიუჯეტო, სავალუტო ხასიათის ძვრები.

ძირითადი ტერმინოლოგია

- საგადამხდელო ბალანსის ანგარიშთა სისტემა;
- მიმდინარე ანგარიშთა ბალანსი;
- კაპიტალის გადინება. ეროვნული დანაზოგები;
- სავალუტო ინტერვენცია;
- საგადასახადო დისბალანსი.

ამოცანები

1. ორმაგი აღრიცხვის აღმოფხვრის მიზნით მთლიან შიდა პროდუქციაში შეტანილია მხოლოდ დასრულებული, ბაზარზე

უკვე რეალიზებული საქონელი და მომსახურება. საჭიროა თუ არა იმ იმპორტის შეფასება, რომელიც გამოიყენება მთლიანი შიდა პროდუქციის განსაზღვრის დროს, თუ აქაც უნდა ჩაერთოს მხოლოდ დასრულებული საქონლისა და მომსახურების იმპორტი? რა შეიძლება ითქვას ამ დროს სამამულო პროდუქციის ექსპორტის შესახებ?

2. ნიუ-იორკის მაცხოვრებლები მიემართებიან ნიუ-ჯერში სატელეფონო აპარატების შესაძენად, რომელიც 100 დოლარი ღირს. ამ პროდუქციის გამყიდველი ფირმები ახდენენ 100 დოლარიანი ჩეკების დეპონირებას ნიუ-იორკის ბანკის თავის ანგარიშზე. როგორ აისახება ეს გარიგება ამ ქალაქების საგადამხდელო ბალანსზე? რა შეიცვლება იმ დროს, თუ ნიუ-იორკის მყიდველები ფულს გადაიხდიან ნაღდ ანგარიშზე?

3. რა შემთხვევაში უნდა გამოიწვიოს მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის მნიშვნელოვანმა დეფიციტმა ან პროფიციტმა სახელმწიფოს შეშფოთება?

4. იძლევა თუ არა საქართველოს საგადამხდელო ბალანსის ოფიციალური მონაცემები იმის ზუსტ შეფასებას, თუ რამდენად აქტიურად იძენს, ან ყიდის ლარს უცხოური ვალუტის ბაზარზე სხვა ქვეყნების ცენტრალური ბანკი?

5. შეიძლება თუ არა, რომ ქვეყანას ერთდროულად გააჩნდეს მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის დეფიციტი და საგადამხდელო ბალანსის პროფიციტი? ახსენით თქვენი პასუხი კაპიტალის მოძრაობის ბალანსის ჰიპოთეზური ციფრების გამოყენებით, რომელსაც არა აქვს ურთიერთობა რეზერვებთან. დარწმუნდით იმაში, რომ თქვენ განიხილავთ სახელმწიფო რეზერვების მოძრაობის მაგალითს;

6. აჩვენეთ თუ როგორ შეცვლის ცენტრალური ბანკის სამამულო აქტივების ზრდა, ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში, მისი საბალანსო ანგარიშის მდგომარეობას? რა გავლენას მოახდენს სავალუტო ბაზარზე ცენტრალური ბანკის ოპერაციები მისი ქვეყნის საგადასახადო ბალანსის ანგარიშზე?

7. რა გავლენას მოახდენს სახელმწიფო ხარჯების ზრდა საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე?

8. აღწერეთ ცენტრალური ბანკის საბალანსო ანგარიშზე და მისი ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე ეროვნული ვალუტის მოულოდნელი დევალვაციის შედეგები;

9. ახსენით, თუ რატომ იწვევს ეროვნული ვალუტის დევალვაცია მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის მდგომარეობის გაუარესებას;

10. არსებობს, თუ არა, ეროვნული ვალუტის ბევრად უფრო სტაბილური კურსის მისაღწევად, სახელმწიფოს მიერ მონეტარისტული პოლიტიკის გამოყენების შესაძლებლობებზე ნებაყოფილობით უარი თქმის მიზეზი? თუ კი, მაშინ – რომელი?

11. რა გავლენას მოახდენს ფიქსირებულ კურსთა სისტემის დროს ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის „შერბილება" მისი საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობაზე?

12. ახსენით, თუ რატომ იწვევს ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის დროებითი და პერმანენტული ექსპანსია ერთსა და იმავე შედეგებს, მცურავი სისტემის დროს კი – სხვადასხვას?

13. ეროვნული ვალუტის დევალვაცია ჩვეულებისამებრ გამოიყენება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსში წმინდა ექსპორტის გასაზრდელად, რომელიც ეროვნული დანაზოგებისა და სამამულო ინვესტიციების სხვაობის ტოლია. ამიტომ წმინდა ექსპორტის ზრდა შეიძლება მოხდეს მხოლოდ შიდა ინვესტიციების შეზღუდვით, დანაზოგიების ზრდით, ან ამ ორივე პირობის ერთდროულად შესრულებით. როგორ იმოქმედებს ასეთ ვითარებაში ეროვნული ვალუტის დევალვაცია დანაზოგებსა და შიდა ინვესტიციებზე?

14. მოთხოვნა-მიწოდების მრუდთა მეშვეობით გაანალიზეთ ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში საიმპორტო ტარიფების შემოღების გავლენა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსზე და სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობაზე. რა მოხდება, თუ ერთდროულად მსოფლიოს ყველა ქვეყანა შეეცდება გააუმჯობესოს თავისი მოსახლეობის დასაქმებისა და საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა საიმპორტო ბაჟების შემოღების გზით?

თავი XVI

უცხოური ვალუტის ბაზარი

ცოდნა საბანკო სესხის სისტემაში – ეს არის ცოდნა სესხის მიმღები კომპანიისა, რისკისა, ეკონომიკისა და ბევრი სხვა ფაქტორისა.
ე. კომპტონი.

სავალუტო ბაზარი ეს არის სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ვალუტების ურთიერთგაცვლის მიზნით შექმნილი ორგანიზაციულ-ინსტიტუციონალური სისტემა. სასაქონლო ბაზრის მსგავსად, სავალუტო ბაზარზეც მოქმედებს მოგების მაქსიმიზაცია და კონკურენცია. ეკონომიკის სხვა სფეროების მსგავსად, სავალუტო ბაზრის აგენტებიც და საერთაშორისო ფინანსებში მონაწილე სუბიექტები მოქმედებენ კონკურენციის პირობებში ისე, რომ მოახდინონ მათი შემოსავლების მაქსიმიზაცია.

სავალუტო ბაზარზე მოგება განისაზღვრება პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების ურთიერთშეხამებით. მაგრამ საერთაშორისო ფინანსებში მონაწილე მხარეები გარე ფაქტორთა ცვლილებაზე ისევე რეაგირებენ, როგორც ჩვეულებრივი ბაზრის მონაწილეები. ამასთან, კონკურენცია მოქმედებს ყველა სახის საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე. კონკურენცია არსებობს, როგორც საერთაშორისო სავალუტო, ისე საკრედიტო ბაზარზე. ამიტომ სავალუტო ბაზრის ანალიზისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმი, რომელიც ეფუძნება კონკურენციის კანონებს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ყველა სახის საერთაშორისო სავალუტო, საკრედიტო და საინვესტიციო (მაგალითად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების) ბაზარი არ ემორჩილება კონკურენციის კანონებს.

§ XVI. 1. უცხოური ვალუტის ბაზრით სარგებლობა

სასაქონლო ბაზრებთან შედარებით სავალუტო ბაზრის სპეციფიკურ თავისებურებას წარმოადგენს ეროვნული ვალუტის არსებობა. თუ სასაქონლო ბაზარზე ერთი მოვაჭრე მხარე გამოდის ფულით, მეორე კი – საქონლით, სავალუტო ბაზარზე ორივე მოვაჭრე მხარეს ხელთ გააჩნია ვალუტა. ამ დროს ერთი ვალუტა უშუალოდ (და არა საქონელში განთავსებული) იცვლება მეორეზე.

ვალუტა იტალიური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ფასს, ღირებულებას. ვიწრო გაგებით, ვალუტა ქვეყნის ფულადი ერთეულია, რომელშიც იგულისხმება სახელმწიფოს ფულადი ნიშნები, ფართო გაგებით, კი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ვალუტა საერთაშორისო ანგარიშსწორების უმთავრესი საშუალებაა.[1] **ერთი ქვეყნის ვალუტის გაცვლას მეორე ქვეყნის ფულად ერთეულზე სავალუტო ვაჭრობა ეწოდება.** საერთაშორისო ანგარიშსწორებაში ვალუტა იმავე როლს ასრულებს, რა როლსაც ასრულებდა ფულის ერთეული ეროვნულ ეკონომიკაში. სავალუტო ბაზარზე გაცემული ფულადი აქტივების უმეტესი ნაწილი დეპოზიტების სახისაა. წამყვან ბანკებში. სავალუტო ვაჭრობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოდის ნაღდი ფულის გაცვლაზე. **ყოველი ქვეყნის ეროვნული ვალუტის ფასს, გამოსახულს სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში, სავალუტო კურსი ეწოდება, ხოლო სავალუტო კურსის დადგენას კოტირება ჰქვია.**

სავალუტო კოტირება წარმოებს ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. თანამედროვე მაღალინტერნაციონალიზირებულ მსოფლიოში ყოველდღე ქვეყნდება ცალკეული ქვეყნის ვალუტის კურსი სხვა ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში. არსებობს სავალუტო კურსის დადგენის ორი ძირითადი მეთოდი: **1. პირდაპირი კოტირება,** როცა სამამულო ვალუტის კურსი დგინდება უცხოურ ვალუტაში; და **2. „უკუ კოტირება**", რომლის დროსაც უცხოური ვალუტის ფასი, გამოისახება

---

[1] ლარისა ყორღანაშვილი. საერთაშორისო სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: "მერიდიანი და კაბადონი". თბილისი. 1997. გვ. 276 – 302.

ეროვნულ ვალუტაში. მაგალითად, 1 დოლარი ღირს 1,67 ლარი, ეს იგივეა, რაც 1 ლარი ღირს 1/1,67 = 0,6 დოლარი. ამრიგად, ვალუტის კურსი შეიძლება დადგინდეს, როგორც ერთი, ისე მეორე მეთოდით. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ორივე მოვაჭრე მხარეს გააჩნია ეროვნული ფულადი ერთეული, განსხვავებით სასაქონლო გარიგებისაგან. (მაგალითად 1 ბარელი ნავთობი უდრის 112 აშშ. დოლარს). ამ ორი მეთოდის არსებობის გამო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სავალუტო კურსი განიხილება, როგორც უცხოური ვალუტის ფასი, გამოსახული ეროვნულ ვალუტაში: ანუ პრაქტიკაში ძირითადად გამოიყენება უკუკოტირების მექანიზმი.

ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს სავალუტო ბაზრის რეგულირების ისეთი ინსტ-რუმენტები, როგორიცაა ეროვნული ფულის მასა, ფულად-სა-კრედიტო პოლიტიკა, სარგებლის განაკვეთი სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკა და სხვა ბერკეტები. სავალუტო ბაზარი იქმნება ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე კავშირგაბმულობის პროგრესული საშუალებების გამოყენებით. ასე რომ, სავალუტო ბაზრის ფუნქციონირება სულაც არ საჭიროებს მყიდველთა და გამყიდველთა უშუალო, ფიზიკურ შეხვედრას (ზოგიერთი სპეციფიკური ბაზრის, მაგალითად, ფულის ბაზრის გამოკლებით). ვალუტის ბაზარზე მომუშავე დილერები, კომპიუტერული და ინტერნეტტექნოლოგიების მეშვეობით, იგებენ ყველა ძირითადი ვალუტის მიმდინარე კურსს, იმ თარიღის მინიშნებით, როცა უნდა მოხდეს სავალუტო გარიგება.

ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე სავალუტო ვაჭრობაში მონაწილეობენ მსხვილი აგენტები, რომლებიც აწარმოებენ არანაკლებ 1 მლნ. დოლარის ღირებულების სავალუტო გარიგებას. ნებისმიერი ბანკის ფინანსური მოგება, ან ზარალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ ბანკში დასაქმებულ მუშაკთა მიერ ფინანსური ოპერაციების ოპტიმალურად წარმართვის სისწრაფეზე. ისინი ვინც ზანტად რეაგირებენ მოვლენებზე (მაგალითად, ამათუიმ ქვეყანაში ფულის მასის სწრაფი ზრდის, სამხედრო თავდასხმის, გაფიცვების, ან სხვათა შესახებ) ყოველთვის ზარალდებიან. პროფესიონალებმა საშუალოდ უფრო მეტი ფული უნდა

გააკეთონ, ვიდრე დაკარგონ. მათ მიერ, მოგების სახით, მიღებული შემოსავალი მინიმუმ უნდა უთანაბრდებოდეს საბანკო სექტორში გავრცელებულ საშუალო ხელფასს.

§ XVI. 2. სავალუტო კურსის დაზღვევა და სპეკულაცია

თითოეული ქვეყნის საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის მიზნით განხორციელებული სავალუტო გარიგებანი წარმოადგენს მისი ვალუტის კურსის დადგენის ძირითად ფაქტორს. **სამამულო საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ზრდის ეროვნულ ვალუტაზე არსებულ მოთხოვნასა და უცხოური ვალუტის მიწოდებას, რითაც აუმჯობესებს მის სავალუტო კურსს.** საილუსტრაციოდ განვიხილოთ ასეთი მაგალითი: ვთქვათ საქართველომ რუსეთს მიჰყიდა 1 მლნ. ლარის ღირებულების ციტრუსი, მაშინ რუსეთის მხარე გაყიდის თავის ვალუტას (მანეთს) ერთი მილიონი ლარის შესაძენად. თუ რუსეთის მხარე ფულს იხდის ჩეკის მანეთებში გამოწერით, მაშინ ქართულმა მხარემ ბანკში უნდა გახსნას ანგარიში მანეთებში.

თუ საქართველოს მხარე მკაცრად მოითხოვს, რომ ანაზღაურება მიიღოს მხოლოდ ლარებში, მაშინ რუსეთის მხარე იძულებული იქნება თვითონ გამონახოს ლარის შეძენის საკუთარი გზები. ორივე შემთხვევაში ქართული პროდუქციის ექსპორტი ზრდის უცხოური ვალუტის (ჩვენს შემთხვევაში მანეთის) მიწოდებას და ეროვნულ ვალუტაზე (ლარზე) მოთხოვნას, რადგანაც უცხოელი მყიდველი, როგორც წესი, ფულს ყოველთვის იხდის თავის ვალუტაში, ხოლო ჩვენი ქვეყნის პროდუქციის ექსპორტიორს კი გარიგების ბოლოს ყოველთვის რჩება ეროვნული ვალუტა.

საქონლისა და მომსახურების იმპორტი კი – პირიქით, ზრდის ეროვნული ვალუტის მიწოდებასა და უცხოურ ვალუტაზე არსებულ მოთხოვნას, რითაც აუმ-ჯობესებს მის სავალუტო კურსს. ვთქვათ, საქართველო ახდენს 1 მლნ. ლარის ღირებულების რუსული ავტომობილის იმპორტს. მაშინ ქართ-

ველ იმპორტიორს დასჭირდება 1 მლნ. ლარის გაცემა, რუსული მანეთის შეძენის მიზნით. თუ ქართველ იმპორტიორს უფლება აქვს თანხა გადაიხადოს ლარებში, მაშინ რუსეთის ავტომობილების ექსპორტიორების წინაშე დადგება 1 მლნ. ლარის გაყიდვის საკითხი, რათა მიიღოს რუსული მანეთი, თუ მათ სურთ სავალუტო ოპერაციების დასასრულს გააჩნდეთ მხოლოდ მანეთები. თუ რუსეთის ექსპორტიორი მკაცრად მოითხოვს, რომ მას თანხა გადაუხადონ მხოლოდ მანეთებში, მაშინ ქართველი იმპორტიორი იძულებული იქნება გავიდეს სავალუტო ბაზარზე ლარის მანეთზე გასაცვლელად. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, საქონლისა და მომსახურების იმპორტი ქმნის მოთხოვნას უცხოურ ვალუტაზე და ზრდის ეროვნული ვალუტის მიწოდებას. მაგრამ მსგავს შედეგს ადგილი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს რეზიდენტი ფულს იხდის ლარებში, ხოლო უცხოური პროდუქციის გამყიდველი კი ანაზღაურებას ითხოვს მხოლოდ თავის ვალუტაში..[1]

სავალუტო გარიგებათა განხორციელების მიზნით, საგარეო სავაჭრო ოპერაციებთან დაკავშირებული რეზიდენტები: სამამულო პროდუქციის ექსპორტიორები, უცხოური საქონლის იმპორტიორები და ეკონომიკურად აქტიური სხვა სუბიექტები მიმართავენ თავიანთი ქვეყნის ცენტრალურ ბანკს, რომელიც, თავის მხრივ, ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე მომუშავე ბროკერების მეშვეობით, აწარმოებს ვალუტების ურთიერთგაცვლას. ჩვენს მაგალითში, ქართველი ექსპორტიორი, რომელიც ციტრუსს ყიდის ლარებში, ავალდებულებს რუს იმპორტიორს გადაუხადოს რუსული მანეთი საქართველოს ბანკს. ეს ბანკი, თავის მხრივ, გასცემს რუსულ მანეთს იმ ბანკებზე, რომელთაც გააჩნიათ ლარის კუპიურების გარიგებისათვის საკმარისი მარაგი და სურთ შეიძინონ რუსული მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული სავალუტო ოპერაციები წარმოადგენს სავალუტო

---

[1] ირინა გოგორიშვილი. საერთაშორისო ეკონომიკა თბილისი 2002 წ. გვ. 50 – 67.

კურსის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს, იგი მაინც არ წარმოადგენს სავალუტო საქმიანობის ერთადერთ ფორმას, რომელსაც შეეძლებოდა სრულად განესაზღვრა ვალუტაზე არსებული მოთხოვნა და მისი მიწოდების მოცულობა. მაგალითად, სავალუტო ბაზრის კერძო მონაწილეებმა შეიძლება დამოუკიდებლად შექმნან მოთხოვნა რუსულ მანეთზე, რუსული საქონლისა და მოსახურების ყოველგვარი შეძენის გარეშეც კი. საქართველოს ბევრი მოქალაქე უცხოურ ვალუტას ხშირად ყიდულობს აქტივების შენახვის მიზნით, შესაბამისად იზრდება მასზე არსებული მოთხოვნა.

სავალუტო რისკის დაზღვევა (ჰეჯირება). სავალუტო რისკის დაზღვევას ჰეჯირება ეწოდება, ხოლო დამზღვევს კი – ჰეჯერი. **აქტივის (მოცემულ შემთხვევაში ვალუტის) დაზღვევა, ანუ ჰეჯირება წარმოადგენს ისეთ სავალუტო ოპერაციას, რომელიც მიმართულია იქით, რომ არ დაუშვას მოცემული ვალუტის სახით არც წმინდა აქტივები და არც წმინდა პასივები.**

მაგალითად, ქართველი, რომელმაც დააზღვია მისი პოზიცია ამერიკული დოლარის მიმართ, დარწმუნებულია იმაში, რომ ლარსა და დოლარს შორის სავალუტო კურსის ნებისმიერი სამომავლო ცვლილება ვერ მოახდენს რაიმე გავლენას თავის კაპიტალზე. დაზღვევა წარმოადგენს საჭირო სავალუტო ოპერაციას მათთვისაც, ვისთვის საერთაშორისო საფინანსო ოპერაციებს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

სავალუტო ბაზარი ეხმარება დაზღვევის მსურველებს გათავისუფლდნენ იმ ვალუტის წმინდა აქტივებისა და პასივებისაგან, რომლის ფლობაც სარისკოა მათთვის. ვთქვათ ერთ-ერთმა ქართულმა როკ-ჯგუფმა ამერიკაში გამოიმუშავა 100 ათასი აშშ. დოლარი, თავიანთი ჩანაწერების ამერიკაში გაყიდვის გზით. ჯგუფს სურს აღნიშნული თანხა (ლარებში) ნაღდ ანგარიშზე გააჩნდეს 3 თვის შემდეგ. მაგრამ დროის ამ ინტერვალის განმავლობაში ჯგუფს მოუხდება სავალუტო რისკის გაწევა. დოლარის ღირებულება, რომელიც მოცემული მომენტისათვის შეადგენს ვთქვათ 1,65 ლარს, მომდევნო 3 თვის განმავლობაში შეიძლება დაეცეს, ან გაიზარდოს. ეს კი შეცვლის 100 ათასი აშშ. დოლარის ღირებულებას ლარებში.

ჯგუფს კი არ უნდა ამ რისკის გაწევა: მას სურს დააზღვიოს აქტივი ლარებში (100 ათასი X 1,65). მაშინ ჯგუფს შეუძლია თავისი 100000 აშშ. დოლარით მიმართოს სავალუტო ბაზარს, შეიძინოს 165000 ლარი და ეს თანხა „გააპროცენტოს" საქართველოს რომელიმე ბანკში.

ვალუტით სპეკულაცია სავალუტო ბაზარზე. სავალუტო სპეკულაცია ეწოდება უცხოური ვალუტით წმინდა აქტივების, ან წმინდა პასივების ღია პოზიციების შენარჩუნებას. სპეკულაცია ნიშნავს ისეთ სავალუტო ვალდებულებათა საკუთარ თავზე აღებას, რომელთა სამომავლო ღირებულებაც ეროვნული ვალუტით განუსაზღვრელია. იგი ემყარება უცხოური ვალუტის სამომავლო ღირებულების მოლოდინზე აგებულ „თამაშს". სპეკულიანტების ქმედება სრულიად ამოუცნობია და მარეგულირებელ ორგანოთა წარმომადგენლების აზრით, ეკონომიკაში ისინი ხელს უწყობენ ქაოსის გაძლიერებას.

ქართულ როკ-ჯგუფს, რომელმაც ამერიკაში გამოიმუშავა 100 ათასი აშშ დოლარი, შეუძლია არამარტო დააზღვიოს თავისი კაპიტალი, არამედ მოახდინოს მათი სპეკულაცია: კერძოდ, ქართულ როკ-ჯგუფს შეუძლია აღნიშნული თანხა 3 თვის განმავლობაში „გააპროცენტოს" ამერიკულ ბანკში და სამი თვის შემდეგ, სარგებლის განაკვეთის სახით მიღებულ, ნამატ შემოსავლებთან ერთად, უკვე შეცვლილი, განახლებული კურსის მიხედვით შეიძინოს აქტივები ლარებში.

ამათუიმ უცხოური ვალუტით სავალუტო ბაზარზე განხორციელებული სპეკულაცია დამოკიდებულია ეროვნული და უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთთა და სავალუტო კურსთა მოსალოდნელ ცვლილებაზე. ვთქვათ ამერიკაში საპროცენტო განაკვეთია 4 %, საქართველოში კი -- 3 %. მაშინ ქართულ როკ-ჯგუფს შეუძლია მოახდინოს 4 %-იანი ინვესტირება ამერიკის ბანკში და სამი თვის შემდეგ აიღოს 112 ათასი აშშ დოლარი, ან შეიძინოს 100 ათასი აშშ დოლარით 165 ათასი ლარი და მოახდინოს 3 %-იანი ინვესტირება (165 X 1,09 = 179,85 ათასი ლარი). რომელია უკეთესი: ფლობდე 112 ათას აშშ დოლარს, თუ 179,85 ათას ლარს? ეს დამოკიდებულია, სამი თვის შემდეგ, ლარსა და დოლარს შორის დამყარებულ, ახალ სავალუტო კურსზე. თუ ჯგუფი ინფორმი-

რებულია, რომ დოლარის სამომავლო კურსი ლართან მიმართებაში არ შეიცვლება, მაშინ ცხადია, იგი ფულს დააბანდებს 4 %-იან ამერიკულ ბანკში და მიიღებს 112 ათასი X 1,65 = 184,8 ათას ლარს, რაც 3 %-ით მეტია იმ თანხაზე, რასაც ჯგუფი აიღებდა ფულის საქართველოში დაბანდებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სპეკულიაციური ოპერაციებიდან მიღებული მოგება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება ეროვნული და უცხოური ვალუტების საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებული სხვაობა.

§ XVI. 3. ვადიანი ვალუტის კურსები და სპოტ-კურსები სავალუტო ბაზარზე

აქამდე ჩვენ ვიხილავდით სავალუტო ბაზრის ყველაზე დიდ ნაწილს – სპოტ-ბაზარს, ანუ ისეთ ბაზარს, სადაც ვალუტა მიეწოდება დაუყოვნებლივ (ორი სამუშაო დღის განმავლობაში). ბაზრის მონაწილეებს კი უფრო ხშირად მოსახერხებლად მიაჩნიათ, რომ ვალუტების ურთიერთგაცვლის შესახებ კონტრაქტები გააფორმონ სამომავლოდ. ამ დროს ვალუტის უშუალო გაცვლა ხდება კონტრაქტის გაფორმებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (ვადიანი კონტრაქტები). **სავალუტო კურსს, მოლაპარაკებულს მიმდინარე პერიოდში, რომლის მიხედვითაც ვალუტების ურთიერთგაცვლა უნდა მოხდეს მოგვიანებით ვადიანი (forvard) სავალუტო კურსი ეწოდება.** ვადიანი სავალუტო კურსი დგინდება კონტრაქტებით, რომლის მიხედვითაც ვალუტები გადაიცვლება სამომავლოდ დათქმულ ვადაში. ვადიანი კურსის დადგენის დროს მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილება. ამით სავალუტო ბაზრის ნებისმიერ აგენტს შეუძლია აწარმოოს თავისი კაპიტალის, არა მარტო დაზღვევა, არამედ სპეკულაციაც, რომლის დროსაც, ვადიან სავალუტო კურსსა და მოგვიანებით სპოტ-კურსს შორის არსებული სხვაობის ხარჯზე, იგი ეწევა გარკვეულ სავალუტო რისკს. თუ ბაზრის

აგენტს გააჩნია სწორი ინფორმაცია ვალუტის კურსის მოსალოდნელი ცვლილების შესახებ, მაშინ მას შეუძლია მაქსიმალური მოგების მიღება სპეკულაციის საფუძველზე.

სპოტ-კურსი ეს ის სავალუტო კურსია, რომელიც უშუალოდ დომინირებს სავალუტო ბაზარზე მოგვიანებით პერიოდში. ვადიანი ვალუტის კურსი შეიძლება აღმოჩნდეს სპოტ-კურსთან შედარებით, როგორც მაღალი, ან დაბალი, ისე მისი ტოლიც. ამ თვალსაზრისით ვადიანი სავალუტო კურსი ემსგავსება სანედლეულო საქონელთა ვადიან ფასებს, ან სასტუმროში ადგილის წინასწარ „დაჯავშნას". სავალუტო ბაზრის ყველა ძირითადი ფუნქცია – სავალუტო კლირინგი, დაზღვევა და სპეკულაცია შეიძლება განხორციელდეს, როგორც ვადიან, ისე სპოტ-ბაზარზეც.

სავალუტო დაზღვევა ვადიან ბაზარზე შეიძლება ისევე მოხდეს, როგორც სპოტ-ბაზარზე. მაგალითად, ქართულ როკ-ჯგუფს შეუძლია 100 ათასი აშშ. დოლარი დატოვოს ამერიკაში და დააფიქსიროს ის სავალუტო კურსი, რომლის მიხედვითაც მას შეეძლება მოგვიანებით გაყიდოს თავისი აქტივები. ჯგუფს შეუძლია ეს თანხა განათავსოს 4 %-იან დეპოზიტებში, ან 100 ათასი აშშ. დოლარი დაუყოვნებლივ გაყიდოს ვადიან ბაზარზე (გარკვეულ საპროცენტო განაკვეთთა ნამატით). ჯგუფმა ჯერ კიდევ მარტში იცის, რომ ივნისში მიიღებს 100 X 1,12 X1,65= 184,8 ათას ლარს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეიცვლება კურსი ამ დროის განმავლობაში

ვადიანი ბაზარი სპეკულიანტებს აძლევს დამატებით შესაძლებლობებსაც. როცა სპეკულიანტმა კარგად იცის, თუ რა მოუვა მომავალში სპოტ-სავალუტო კურსს, მაშინ მას შეუძლია ვადიანი ბაზარი გამოიყენოს პირადი მოგების გაზრდის მიზნით. კერძოდ, მას შეუძლიათ დამატებითი მოგება მიიღოს ვადიანი ბაზრის ეფექტური გამოყენებით ისე, რომ ხელთ არც კი გააჩნდეს სავალუტო გარიგებისათვის საჭირო თანხა. მაგალითად, ვთქვათ ქართულმა როკ-ჯგუფმა წინასწარ განჭვრიტა, ან სხვებისაგან საიდუმლოდ გაიგო (ისე, რომ მის გარდა ეს ინფორმაცია არავინ იცოდა), რომ ამერიკას ელის პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი.

თუ ჯგუფი სავალუტო დილერთან გააფორმებს კონტ-რაქტს 10 მლნ. დოლარის გაყიდვაზე 90 დღის ინტერვალით ვადიანი კურსის -- 1დოლ.=1,65 ლარის -- მიხედვით. თუ ჯგუფი დაარწმუნებს დილერს, რომ იგი ივნისში ნამდვილად შეასრულებს მის ნაკისრ ვალდებულებას, მაშინ ჯგუფს არც კი მოეთხოვება კონტრაქტის გაფორმებისას (მარტში) იქონი-ოს ნაღდი ფული (დოლარებში). თუ ჯგუფის ვარაუდი გა-მართლდა და ამერიკის ეკონომიკა მართლაც დაეცა და დო-ლარის კურსი დაქვეითდა 1,65 ლარიდან 1,5 ლარამდე ყოველ დოლარზე, მაშინ (ივნისში) კონტრაქტის ვადის გათავებამდე ორი დღით ადრე ჯგუფი მივა ამერიკულ ბანკში, წარადგენს ვადიან კონტრაქტს, რომლის საფუძველზეც დილერი ვალდე-ბულია ჯგუფს გადაუხადოს 16,5 მლნ. ლარი. ამის შედეგად ჯგუფი მიიღებს მოგებას -- 1,5 მლნ. ლარის ოდენობით.

როკ-ჯგუფის სპეკულიაციური ოპერაციები შეიძლება დამ-თავრდეს მარცხითაც. თუ მათი ვარაუდი არ გამართლდა და ამერიკის ეკონომიკამ ვარდნის ნაცვლად აღმავლობა განი-ცადა, ხოლო დოლარის კურსი გამყარდა, ვთქვათ 1 დოლ. = 2 ლარს, მაშინ ჯგუფი მიიღებს 16,5 მლნ. ლარს, ეს მაშინ როცა ამ 16,5 მლნ. ლარის შესაძენად მან უნდა იშოვოს 10 მლნ. დოლარი, რომლის შესაძენად მან უნდა გადაიხადოს მიმდინარე საბაზრო ფასი 20 მლნ. ლარი.

ამდენად, ვადიანი ბაზრის სპეკულიანტები იგებენ, ან ზარალობენ ვადიან და სპოტ-კურსს შორის არსებული სხვაობის ხარჯზე. რა განაპირობებს მათ შორის არსებულ სხვაობას? **ვადიანი ვალუტის კურსი და სპოტ-კურსი იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რამდენადაც განსახილველი ვალუტების ქვეყნებში საპროცენტო განაკვეთებია განსხვავე-ბული ერთმანეთისაგან.**

რადგანაც სავალუტო ბაზრის ყველა მონაწილე იმყოფება ვადიან და სპოტ-კურსს შორის მსგავსი არჩევანის წინაშე, ამიტომ ბაზრის ყველა აგენტი დაიწყებს თავისი აქტივების წარდგენას მაღალი პროცენტის გადამხდელ ბანკებში, და არა საქართველოში. ლარის მფლობელები თავიანთ აქტივებს განათავსებდნენ ამერიკულ დეპოზიტებში ვადიანი კურსით. საქმის ამდაგვარი განვითარება გამოიწვევდა ლარისა და

დოლარის კურსის, ან მათი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებას. ვადიანი კურსი სპოტ-კურსთან შედარებით 1%-ით დაბლა დაიწვედა (დოლარებში), რაც დააკომპენსი-რებდა იმას, რომ საპროცენტო განაკვეთი ამერიკაში 1 %-ით უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოში. სწორედ ამაში მდგომარეობს **საპროცენტო პარიტეტის თეორიის** შინაარსი: **„ვადიანი ვალუტის კურსს სპოტ-კურსთან შედარებით გააჩნია ამაღლების ტენდენცია (პროცენტებში) იმდენად, რამდენადაც უფრო დაბალია ამ ვალუტის საპროცენტო განაკვეთი, ვიდრე მეორე ქვეყნის ვალუტის საპროცენტო განაკვეთი."**

§ XVI. 4. ვალუტის კურსის განსაზღვრა მცურავ და ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემაში

ვალუტის კურსის განსაზღვრა მცურავ სავალუტო კურსთა სისტემაში. ვალუტის ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორთა დასადგენად საჭიროა გამოყენებულ იქნეს ბაზრის მექანიზმი, სადაც მოქმედებს კონკურენციის კანონი. ამისათვის საჭიროა განხილულ იქნეს მოთხოვნა-მიწოდების მრუდთა ურთიერთქმედება, რომელიც განსაზღვრავს ვალუტის წონასწორულ ფასსა და რაოდენობას. ვალუტაზე არსებული მოთხოვნა და მისი მიწოდება განსაზღვრავს სავალუტო კურსს იმ ზღვრებში, რომელთაც ქმნის ამა თუ იმ ქვეყნის სავალუტო სისტემის თავისებურებანი.

მცურავ სავალუტო კურსთა სისტემაში არ მოქმედებს რაიმე შემზღუდავი სავალუტო კონტროლი, ხოლო ექსპორტიორები, იმპორტიორები, ბანკები და ბროკერები კი მოქმედებენ სრულყოფილი კონკურენციის პირობებში. მსოფლიოს წამყვანი განვითარებული ქვეყნები ამ სისტემას დაადგნენ 1971 წლიდან. ვალუტის ვადიანი კურსი და სპოტ-კურსი განისაზღვრება სწორედ ვალუტაზე არსებული მოთხოვნისა და მისი მიწოდების ურთიერთქმედებით. ამ დროს ვალუტაზე არსებულ მოთხოვნასა და მის მიწოდებაზე მოქმედებს ვალუტის ფასი, ხოლო სავალუტო ბაზარზე კი წონასწორობა მყარდება

საკურსო მექანიზმით. ნახ. XVI. 1-ზე ნაჩვენებია ის, თუ როგორ ამყარებს მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა ლარსა და ევროს შორის სავალუტო კურსის წონასწორობას E წერტილში. ვერტიკალური ($S_ლ$ და $S_ე$) მრუდები ორივე შემთხვევაში წარმოადგენს ფულის მიწოდებას (მასას), რომელშიც შედის მთლიანი ქვეყნის ფულის მასა, და არა ფულის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც გააჩნიათ ვალუტით მოვაჭრეებს. მრუდის ვერტიკალობა გვიჩვენებს, რომ ფულის მიწოდება მკაცრადაა განსაზღვრული.



ნახ. XVI. 1. სპოტ-ბაზარი სახელმწიფო ინტერვენციითა და მის გარეშე.

ბუნებრივია ჩნდება ასეთი კითხვები: რატომ ეცემა მოთხოვნის მრუდი ფულის მიწოდების ზრდასთან ერთად? რატომ განსაზღვრავს ვალუტის კურსი მის საჭიროებას? ამის გასაგებად საჭიროა ნახ. XVI. 1-ზე პირობითად შევამციროთ ლარის მიწოდება 900 მლნ. ლარიდან 800 მლნ. ლარამდე. შესაბამისად ვალუტის კურსი ვეღარ შენარჩუნდება 1,45 დონეზე და გამყარდება 1 ლარი/1 დოლ დონეზე. ლარის მოცულობა შემცირდება კრედიტებსა და ხარჯებში. ლარის კურსის გამყარება აძვირებს ქართულ საქონელსა და მომსახურებას, გამოსახულს უცხოურ ვალუტაში. მაგალითად, თუ

ლარის კურსის გამყარებამდე (1,45 ლარ/1 დოლ. – კურსის პირობებში) ქართული ღვინო ღირდა 10 ლარი, ანუ 7 აშშ. დოლარი, კურსის (1 ლარი/1 დოლარი) გამყარების შემდეგ იგივე 10 ლარიანი ღვინო უცხოურ ვალუტაში ეღირება 10 აშშ. დოლარი. ქართულ ღვინოზე ფასის ზრდის გამო, რუსი მყიდველები შეამცირებენ მის შესყიდვას. მაგრამ ამ ღვინოზე ფასის ზრდას მარტო რუსი მყიდველები კი არ შეამჩნევენ, არამედ ამას შეამჩნევს ყველა სხვა ქვეყნების უცხოელი მყიდველები, რომლებიც ადრე იძენდნენ ქართულ ღვინოს, ახლა კი მისი ფასის ზრდის გამო, ისინი შეამცირებენ ქართულ ღვინის შეძენის მოცულობას. მაგრამ გასაღების მოცულობის შემცირება მარტო ქართულ ღვინოზე არ იქნება შესამჩნევი, არამედ გასაღების მოცულობა ასე მკვეთრად შემცირდება ყველა სახის ქართულ საქონელსა და მომსახურებაზე. საქართველოს საქონელზე მოთხოვნის დაქვეითება შესაბამისად შეამცირებს მოთხოვნას ლარზეც.

ლარის კურსის გამყარება იმპორტულ საქონელს, გამოსახულს ეროვნულ ვალუტაში, უმცირებს ფასს, რის გამოც იზრდება საქართველოს მოსახლეობის მიერ უცხოური პროდუქციის შეძენის მოცულობა. ეს კი ზრდის ლარის მიწოდებას და შესაბამისად – უცხოურ ვალუტაზე არსებულ მოთხოვნას. თანდათან ჩნდება იმის ტენდენცია, რომ მომხმარებელი, ეროვნულთან შედარებით, უპირატესობას ანიჭებს იმპორტულ ნაწარმს, მისი ფასის ვარდნის გამო. ამიტომ ლარზე არსებული მოთხოვნა მცირდება, სამამულო ნაწარმზე არსებულ არამარტო გარე, არამედ შიდა მოთხოვნის ვარდნის გამოც. სანამ ლარის უფრო მაღალი კურსი შეამცირებს მასზე არსებულ მოთხოვნას, მანამდე სავალუტო ბაზარი გამოსული იქნება წონასწორობიდან, მაგრამ ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელდეს დიდხანს.

ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემაში. ოფიციალური სავალუტო მარეგულირებელი ორგანოები ადგენენ სპეციალურ სავალუტო ზღვრებს – ზედა და ქვედა ზღვარს (ე. წ. „სავალუტო გვირაბს”), რომლის ჩარჩოებში ეროვნული ვალუტის კურსი (ე. წ. „გველი”) თავისუფლად მერყეობს. თუ ოფიციალური სავალუტო კურსი აცდება ამ დიაპაზონის

ზედა, ან ქვედა ზღვარს, მაშინ ოფიციალური ორგანოები ახდენენ ინტერვენციას ვალუტის კურსის ძველ, ფიქსირებულ დონეზე დაყვანის მიზნით. ნახ. XVI. 1. ა)-ზე ოფიციალური სავალუტო კურსია 1,47 ლარ/ 1 დოლ., ხოლო ლარის რეალური კურსი გამყარდა 1 ლარი /1 დოლ-მდე. სავალუტო პარიტეტი, ანუ ლარზე დაწესებული „ზღვრები" არის 1,45 – 1,50 დოლ. ყოველ დოლარზე. თუ ამ პარიტეტის ფარგლებში მოძრაობს ლარი, მაშინ სამთავრობო ინტერვენცია საჭირო არ არის. ლარის კურსის 1-დან 1,45-მდე დაქვეითების მიზნით მარეგულირებელი ორგანო იძულებულია გაყიდოს 100 მლნ. ლარი (ანუ შეავსოს ლარის AB დეფიციტი). მხოლოდ ამ გზით შეუძლია მარეგულირებელ ორგანოს დააქვეითოს ლარის კურსი, ისე რომ დაფაროს 900 მილიონ ლარზე მოსახლეობაში არსებული მოთხოვნა. თუ მთავრობას არ აღმოაჩნდა 100 მლნ. ლარი, მაშინ მისი კურსი გამყარდება.

ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის შენარჩუნების კიდევ ერთ მაგალითს წარმოადგენს ნახ. XVI. 1. ბ)-ზე ევროს ოფიციალური კურსის 1 დოლარზე 0,7—ევროს შორის ზღვრებში მოთავსება. იმისათვის, რომ ევროს კურსი არ ასცდეს დაწესებული სავალუტო პარიტეტის (0,7 ევრო/1 დოლარი) ზღვარს და არ გახდეს კურსი, ვთქვათ 0,6 ევრო/1 დოლარი, ოფიციალურმა ორგანოებმა უნდა გაყიდონ სავალუტო ბაზარზე 150 მლრდ. ევრო. თუ მთავრობას არა აქვს ევროს სათანადო მარაგი (AB მონაკვეთი) ჭარბი დოლარის შესაძენად, მაშინ ევროს კურსი უფრო გაიზრდება.

ვალუტის კურსის ზრდა იწვევს ოქროს უცხოეთიდან შემოდენას, მისი ვარდნა კი პირიქით – ოქროს საზღვარგარეთ გადინებას. სხვადასხვა სავალუტო სისტემაში ვალუტის კურსის ცვლილება განსხვავებულ სახელწოდებას ატარებს. **მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის დროს ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნას გაუფასურება ეწოდება, ხოლო ამაღლებას – გაძვირება. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის დროს ეს პროცესები ატარებს დევალვაციისა და რევალვაციის სახელწოდებას.**

§ XVI. 5. სავალუტო რისკის დაზღვევის კერძო საშუალებები

საერთაშორისო ვაჭრობასა და საინვესტიციო საქმიანობაში სავალუტო რისკის არსებობა ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის მხარდამჭერი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტია. ადამიანები ჩვეულებრივ უარყოფითად აფასებენ ნებისმიერი სახის რისკს. ცხადია, მეწარმეს ურჩევნია რაც შეიძლება ნაკლები რისკი გასწიოს. ალბათ ამიტომაც სადაზღვევო ინსტიტუტები უფრო კარგადაა განვითარებული, ვიდრე „სათამაშო ბიზნესი", მაშინაც კი, როცა ეს ბიზნესი სავსებით ლეგალურია.

სავალუტო კურსთა გაურკვევლად ცვლილების შიში აბრკოლებს ინვესტიციების ზრდას საერთაშორისო ვაჭრობასა და წარმოების განვითარებაში, თუნდაც ყველა მოვაჭრე მხარე თავისი ბიზნესიდან დიდ მოგებას იღებდეს. ამის გამო, მთლიანი მსოფლიო პროდუქცია მცირდება. სავალუტო რისკის დაზღვევა ვადიანი სავალუტო ბაზრის დახმარებით, მნიშვნელოვან ფინანსურ ხარჯებს იწვევს. ასეთ მომსახურებას ეწევიან კერძო სავალუტო დილერები. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემა კი, როგორც ამტკიცებენ, მყარ სავალუტო კურსს უქმნის საერთაშორისო გარიგებათა მონაწილეებს, იცავს მათ დაზღვევის ხარჯებისაგან.

მაგრამ მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის საწინააღმდეგო არგუმენტები ბევრად უფრო ნაკლებად სამართლიანია, ვიდრე ვარაუდობენ მისი დამცველები. ეს არგუმენტები თავის ჭეშმარიტებას მხოლოდ მაშინ ამართლებს, როცა ქვეყნის საერთაშორისო ანგარიშსწორება იმყოფება ფუნდამენტურ წონასწორობაში, ხოლო მისგან გადახრები კი დროებით და თვითრეგულირებად ხასიათს ატარებს. ამ შემთხვევაში გამართლებულია ვალუტის კურსის ფიქსირებულად შენარჩუნება წონასწორობის დონეზე. ამგვარად შესაძლებელია სოციალურ დანაკარგთა გარეშე შევამციროთ სავალუტო კურსის მოკლევადიან რყევათა რისკი.

თუ უფრო რამდენადმე გავაფართოებთ სავალუტო რისკების შესახებ არსებულ შეხედულებას, მათი (როგორც მცურავ

სავალუტო კურსთა სისტემის) შემოღების საწინააღმდეგო არგუმენტის მნიშვნელობა, რამდენადმე შემცირდება. მთავარი რისკი, რისიც ეშინიათ ადამიანებს, ეს არის, არა სავალუტო კურსთა რყევით გამოწვეული არამდგრადობა, არამედ მათი რეალური შემოსავლების რყევის შიში.

ვალუტის ფიქსირებული კურსები იწვევს დამატებით მაკროეკონომიკურ რისკს. კერძოდ, ფიქსირებულ სავალუტო კურსთა შენარჩუნების მცდელობაში, ქვეყნები ეკონომიკაში აწყდებიან მნიშვნელოვან ხარჯებს. საგადამხდელო ბალანსში უარყოფითი სალდოს მქონე ქვეყნები ამ დეფიციტის აღმოფხვრის მცდელობაში იძულებულნი არიან ერთდროულად აიტანონ უმუშევრობაცა და ინფლაციაც..[1]

ვალუტით ვაჭრობის სადაზღვევო საშუალება. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში სავალუტო კურსის დასაცავად საჭიროა მთავრობამ შეელიოს ქვეყნის შიდა ეკონომიკურ წონასწორობას. მსგავსი ხარჯები უზარმაზარ დონეს აღწევს ისეთ ქვეყნებში, სადაც საერთაშორისო ვაჭრობასა და საინვესტიციო საქმიანობაში ეროვნული ეკონომიკის მხოლოდ მცირე ნაწილია ჩართული (ანუ დიდ, ქვეყნები, ან ჩაკეტილი ეკონომიკის მქონე მცირე ქვეყნებიც). ამ დროს იმ მოულოდნელი ინფლაციის ან დეფლაციის შედეგად განცდილი რისკი შეიძლება გაცილებით უფრო მეტი იყოს, ვიდრე ვალუტის კურსის შეცვლით გამოწვეული რისკი.

კერძო ინვესტორები და საერთაშორისო დონის ბიზნესმენები ვალუტების პერიოდულად ცვალებადი კურსების სისტემის დროს აწყდებიან სრულიად სხვა სახის რისკს. ამ სისტემის ფუნქციონირების დროს ეროვნული ეკონომიკის ინფლაციით ან დეფლაციით გამოწვეული რისკი იცვლება პერიოდული დევალვაციის ან რევალვაციის შედეგად მიღებული რისკით. ინვესტორებს და სავაჭრო ფირმებს, ოფიციალური სავალუტო კურსების შეცვლის დროს თავიანთ სავალუტო აქტივებზე მოგების დიდი ნაწილის დაკარგვა, ან მიღება ელოდებათ.

---

[1] ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი გამომცემლობა „სიახლე" 2001 წ. გვ. 206 – 216.

თავისუფლად მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა რისკების სრულიად სხვა სტრუქტურას მოიცავს. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემასთან შედარებით იგი უზრუნველყოფს შემოსავლების უფრო მეტ დამოუკიდებლობას და ნეგატიური მოვლენებისაგან მათ უკეთეს დაცვას, მაგრამ ეს სისტემა შედარებით უფრო ნაკლებად სტაბილურია ეკონომიკაში შიდა რყევების წარმოშობის დროს. პერიოდულად ცვალებად სავალუტო პარიტეტთან შედარებით. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის დროს საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე ინვესტორები და ბიზნესმენები აწყდებიან ვალუტის კურსთა უფრო ხშირ, მაგრამ უმნიშვნელო რყევებს.

იმავდროულად მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის ერთ-ერთი მთავარი თვისება ის არის, რომ იგი იძლევა სავალუტო ბაზარზე ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკისაგან დაზღვევის კერძო საშუალებებს. ამტკიცებენ, რომ ამდაგვარი დაფარვა: **1. ძვირადღირებულია და 2. დიდი მოთხოვნით სარგებლობს ცვალებადი (და არა ფიქსირებული კურსების დროს).** ამათგან მეორე მტკიცება ჭეშმარიტია, ხოლო პირველი – მცდარი. ვადიანი დაფარვის სადაზღვევო მომსახურების ხარჯები უმნიშვნელოა. როგორია სავალუტო რისკის დაზღვევის ღირებულება კერძო ინვესტორისათვის?

ვისაც დოლარის ლარზე გადაცვლა სურს შეუძლია „ვადიანი ფასდაკლება” გააკეთოს უცხოურ ვალუტაში. დოლარის მფლობელმა შეიძლება თავიდან აიცილოს რისკი და თავისი ვალუტა მაღალი სპოტ-კურსით გაყიდოს. ბაზრის იგივე ძალები, რომლებიც იწვევენ ლარის კურსის დაცემას (საქართველოში ინფლაციის ტემპების დაჩქარების საშიშროების არსებობის გამო), ხელს უწყობენ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთის ზრდას, რადგანაც კრედიტორები განაკვეთებს ზრდიან ლარის კურსის დაწევის შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, **საპროცენტო განაკვეთთა პარიტეტის პირობები ეხმარება ლარის თავიდან მოშორების მსურველებს, რომ თანაბარი წარმატებით განახორციელონ ოპერაციები, როგორც სპოტ-, ისე ვადიან ბაზარზე, ყოველგვარი დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.**

თუ სავალუტო რისკის დაზღვევის ხარჯები უმნიშვნელოა, მაშინ მცდარია მეორე არგუმენტიც. ვალუტის ბაზარზე თუ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სავალუტო რისკისაგან დაზღვევა „შეიძინოს დაბალ ფასად", მაშინ სავალუტო რისკი აღარ შეაფერხებს ვაჭრობის განვითარებას. 1978 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომებში **ჰუპერი და კოლჰაგენი** ამტკიცებდნენ, რომ ვალუტის კურსთა რყევა მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს წამყვანი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოცულობაზე და იგი მხოლოდ ხელს შეუწყობს ხანმოკლე ვადით ფასების ზრდას.

§ XVI. 6. უცხოური ვალუტის სპოტ-ბაზარი. სამმხრივი არბიტრაჟი

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობის პირობებში, მოსალოდნელია სავალუტო ვაჭრობის მოცულობის კიდევ უფრო ზრდა. კომპანიები, ფიზიკური, თუ იურიდიული პირები, ვალუტით ვაჭრობენ სხვადასხვა მიზეზის გამო. ზოგიერთი მათგანი ეწევა საქონლისა და მომსახურების გაცვლას და ამისათვის ესაჭიროება ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტა, რისთვისაც ყიდის ეროვნულს, ან პირიქით, შეიძლება მათ დაუგროვდეთ უცხოური ვალუტის მარაგი და სურთ შეიძინონ ეროვნული ვალუტა. სავალუტო ბაზარი მათთვის ეწევა კლირინგულ მომსახურებას და ეხმარება თითოეულ მხარეს გარიგების ბოლოს ხელთ ჰქონდეს მისთვის სასურველი ვალუტა. სავალუტო ბაზარი ასევე აზღვევს თავის მონაწილეებს იმით, რომ ეხმარება მათ წმინდა აქტივებისა და პასივების (ვალდებულებების) თავიდან აცილებაში. იგი ასევე იძლევა „სპეკულირების" საშუალებას ვალუტის შეძენისას, თუ გაყიდვისას, მისი ფასის მოსალოდნელ ცვლილებებზე ორიენტირებით.

ვთქვათ დოლარის კურსი ლართან მიმართებაში შეადგენს 1,65 ლარს, ხოლო მისი კროს-კურსი კი 1,922 ლარს. მაშინ შესაძლებელია მოგების მიღება, თუ დოლარს შევიძენთ 1,65

ლარად, შემდეგ თითო დოლარს გავყიდით სხვა მესამე ვალუტაში, ვთქვათ რუსულ მანეთში: 1 დოლარი 31 მანეთად. შემდეგ რუსულ მანეთში ავიღებთ 0,062 ლარს, ხოლო იგივე 31 მანეთში ავიღებთ 31 X 0,062 = 1,922 ლარს, ანუ ყოველი დოლარიდან ავიღებთ 0,27 ლარის ოდენობით მოგებას. ამ ტიპის ოპერაციებს უწოდებენ **სამმხრივ არბიტრაჟს.** ტერმინი „არბიტრაჟი" ნიშნავს რაიმეს შესყიდვას და შემდგომში, უფრო მაღალ ფასად, მის დაუყონებლივ გაყიდვას. სამმხრივი არბიტრაჟის ზემოთ მოყვანილ ნიმუშში ჩვენ ვყიდულობდით დოლარს 1,65 ლარად და ვყიდდით მას 1,922 ლარად. თუ გაცვლითი კურსი აღემატება კროს-კურსს, მაინც მოგებული ვიქნებით კროს-კურსით შესყიდვისას და გაცვლითი კურსით გაყიდვისას. ამ დროს არბიტრაჟი სამმხრივია, რადგანაც მასში გამოიყენება სამი ვალუტა.

იმის გამო, რომ არბიტრაჟერები ვალუტას ყიდულობენ და ყიდიან მოგების მიღების მიზნით, ისინი ხელს უწყობენ ზოგიერთი ვალუტის დამატებით მიწოდებასა და ზოგიერთ ვალუტაზე დამატებითი მოთხოვნის წარმოქმნას. ვალუტაზე არსებული ეს დამატებითი მოთხოვნა და მისი მიწოდება მოქმედებს მის საბაზრო ფასზე. ორი ფასის ცვლილებით გამოწვეული კომბინირებული ეფექტი, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის კროს-კურსს, გამოიწვევს არბიტრაჟერების შემოსავალთა უფრო მეტ შეცვლას. არბიტრაჟერთა ურთიერთკონკურენციის შედეგად სავალუტო ბაზარზე კროს-კურსები და გაცვლითი კურსები პრაქტიკულად ერთმანეთს უტოლდება.

„სამმხრივი არბიტრაჟი" იმგვარი მექანიზმია, რომლის წყალობით ერთ ბაზარზე ვალუტის მიწოდებისა და მასზე არსებული მოთხოვნის ძალები უკავშირდება სხვა ბაზრებზე მისი მიწოდებისა და მოთხოვნის ფაქტორებს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სამამულო პროდუქციის ექსპორტი წარმოქმნის მოთხოვნას ეროვნულ ვალუტაზე, ხოლო უცხოური საქონლის იმპორტი კი განაპირობებს მის მიწოდებას. ამიტომ, სულაც არ არის საჭირო იმის ცოდნა, თუ რომელი ქვეყნისთვისაა გამიზნული ჩვენი ნაწარმის ექსპორტი, ან რომელი ქვეყანა გვაწვდის უცხოურ საქონელსა და მომსახუ-

რებას. სამმხრივი არბიტრაჟი აქტუალურია ყველა მოქმედ სავალუტო ბაზარზე.

მყიდველისა და გამყიდველის სადილერო კურსი. სპრედი. ხშირად განიხილება ისეთი სიტუაცია, როდესაც საზღვარგარეთის ვალუტის ყიდვა და გაყიდვა ერთი და იმავე ფასად ხორციელდება. ამგვარი დაშვება ჩვეულებრივ გამოიყენება საქონლისა და მომსახურების ფასთა გაანალიზების დროს. ამასთან მომხმარებელი იძულებულია უფრო მეტი ფული იხადონ საქონლის შეძენისას, ვიდრე მიიღება მისი გაყიდვის შემთხვევაში. საქონლის შესაძენ და გასაყიდ ფასთა შორის არსებული სხვაობა წარმოქმნის ოპერაციულ ფასნამატს, ანუ მარჟას: სწორედ ეს ფაქტორი წარმოადგენს საბითუმო და საცალო ვაჭრობის წამმართველ ძალას. მსგავსი სიტუაცია შეიმჩნევა ასევე უცხოური ვალუტით ვაჭრობის დროსაც. ბანკისაგან, ან დილერისაგან ვალუტის შესყიდვისას უფრო მაღალი ფასის გადახდა გვიხდება იმ ფასთან შედარებით, რომელსაც გვთავაზობენ იგივე ბანკი და დილერი ჩვენს მიერ ვალუტის გაყიდვისას.

ვალუტის გაცვლისას **მყიდველის სადილერო კურსი** ის ფასია, რომელსაც დილერი გვთავაზობს საზღვარგარეთული ვალუტის სანაცვლოდ. **გამყიდველის კურსი, ანუ მიწოდების კურსი** ეს უცხოური ვალუტის ის ფასია, რომელსაც აწესებს დილერი მის ხელთ არსებულ, გასაყიდ ვალუტაზე. მაგალითად, საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე მომუშავე დილერს შეუძლია ერთი დოლარი გაყიდოს 1,47 ლარად (გამყიდველის ფასად) და იყიდოს 1,45 ლარად (მყიდველის ფასად). ტერმინები „გამყიდველის კურსი" და „მიწოდების კურსი" სინონიმებია, პირველი მათგანი ფართოდ გამოიყენება ლონდონის სავალუტო ბირჟაზე.

ვინაიდან ვალუტების გადამყიდველმა დილერებმა წინასწარ არ იციან მოინდომებს თუ არა მათი კლიენტი ვალუტის შეძენას, ან მის გაყიდვას, მყიდველისა და გამყიდველის ფასები ჩვეულებრივად დაწყვილებულად კოტირდება. მაგალითად, თუ ბანკი მიმართავს ინგლისური გირვანქა სტერლინგის კოტირებას 1,8 დოლარად და გაყიდის მას 1,9 დოლარად, ასეთ შემთხვევაში აუცილებელი როდია ვიცოდეთ, რომელი

ფასი დადგინდა უფრო ადრე: გირვანქა სტერლინგის შესყიდვის ფასი თუ მისი გაყიდვის ფასი. გამყიდველის მიერ დაწესებული ფასი ყოველთვის ჭარბობს მყიდველის მიერ დაწესებულ ფასს. ეს რომ ასე არ იყოს კლიენტურა გააკოტრებდა დილერებს, მათგან ვალუტის იაფად შეძენისა და იმავე ვალუტის დილერებზე ძვირად მიყიდვის ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ არსებობს ერთი გამონაკლისი შემთხვევა, როცა ხდება გაცვლითი კურსის შებრუნებული კოტირება. მაგალითად, ადვილი შესამჩნევია, რომ შებრუნებული კოტირებისას დოლარის ლარებში მყიდველის კურსი უფრო მაღალი იქნება, ვიდრე გამყიდველის კურსი. ეს გამოწვეულია იმით, რომ ირიბი კოტირება პირდაპირი კოტირების შებრუნებული სიდიდეა. ე. ი. როდესაც ლარს გააჩნია პირდაპირი კოტირება დოლარის მიმართ, მაშინ ლარის გამყიდველის კურსი უდრის (1/1,65 = 0,67) დოლარს, ხოლო მყიდველის კურსი (1/1,67 = 0,65) დოლარს, ვალუტის მყიდველისა და გამყიდველის ფასებს შორის არსებული სხვაობას ეწოდება **სპრედი,** რომელიც გამოითვლება მყიდველის ფასის მიმართ.[1]

§ XVI 7. სავალუტო ბაზრის სახელმწიფო რეგულირება

სავალუტო ბაზრის სახელმწიფო რეგულირებაში ქვეყნის ხელმძღვანელობას მნიშვნელოვნად ეხმარება მსყიდველობითი უნარის პარიტეტის ჰიპოთეზა, რომელიც დაამუშავა და პრაქტიკაში პირველად გამოიყენა გუსტავ კასელმა 1920-იან წლებში და მისი შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: **`საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულ ერთსადაიმავე, ან ერთმანეთის შემცვლელ (სუბსტიტუტ) საქონელს, ყველა ქვეყანაში ერთიდაიგივე ფასი უნდა გააჩნდეს, გამოსახული ერთსა და იმავე ვალუტაში.”** მისი პრაქტიკული ღირებულება

[1] ირინა გოგორიშვილი. საერთაშორისო ეკონომიკა თბილისი 2002 წ. გვ. 74 - - 81;

მეტად მაღალია, რადგანაც მას იყენებენ ეკონომიკური და სავალუტო რეფორმებისა და კატაკლიზმების დროს.

სავალუტო კურსთა რყევის საფრთხესთან დაკავშირებით დასმულ კითხვებს მილტონ ფრიდმენმა მისცა მოკლე, მაგრამ ლაკონური განმარტება: **„სავალუტო ბაზრის მასტაბილიზირებელი სპეკულიაციური გარიგებები იძლევა ფულის კეთების (ანუ მოგების მიღების) საშუალებას, ხოლო მადესტაბილიზირებელი სპეკულიანტური ოპერაციები კი იძლევიან ზარალს.”** ბევრად უფრო საშიშია სპეკულიანტური შეტევები პერიოდულად ცვალებადი პარიტეტის სისტემის, ანუ ვალუტების კურსების მართვადი ცურვის დროს; **„სავაჭრო ბალანსი მდგრად რეაქციას იძლევა ვალუტის კურსთა თანაფარდობაში მომხდარ სერიოზულ ძვრებზე.”.** ფასიან ქაღალდზე ნებისმიერ ვალუტაში მოთხოვნა დაკავშირებულია ვალუტის კურსთა ცვლილების მოლოდინთან, რაც უნდა გაითვალისწინოს ბაზრის დარეგულირების მსურველმა მთავრობამ.

ხშირად მევალუტე დილერები იგებენ, რა ხელს უწყობენ ვალუტის კურსთა მოძრაობას მათი გაწონასწორებული ტრენდისაკენ და ბაზრიდან გამოდევნიან სავალუტო კურსთა დესტაბილიზაციისაკენ მიმართულ ოპერაციათა გამტარებლებს. ცვლადი კურსებისა და მართვადი ცურვის სისტემების დროს სავალუტო ბაზრის სპეკულიანტები ასეთივე მასტაბილიზირებელ როლს ასრულებენ, ეს მაშინ, როდესაც ოფიციალური ორგანოები უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვისას იქცევიან საპირისპიროდ: ისწრაფვიან არარეალური გრძელვადიანი წონასწორობის პარიტეტისაგან მოწყვეტილი ვალუტის კურსის შენარჩუნებისაკენ. ასეთივე შედეგს იძლევა სავაჭრო ბალანსის ცვლილებათა ანალიზი. ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას და ვალუტის კურსთა მოძრაობას წონასწორობის პარიტეტისაკენ. ამ შემთხვევაში საბაზრო ძალები ვალუტის კურსს აბრუნებენ წონასწორული ტრენდისაკენ. არსებობს სავალუტო ბაზრის გაწონასწორების რამოდენიმე გზა, რაც გულისხმობს ვალუტის კურსთა გრძელვადიანი წონასწორობის ტრენდისაკენ (პარიტეტისაკენ) დაბრუნებას.

მაგრამ რა შედეგები მიიღწევა მაშინ, თუ წონასწორული ტრენდი არ არსებობს და საბაზრო ძალები ვითარების სტაბილიზაციისაკენ არ არის მიმართული. სავალუტო ბაზარზე ხშირად მადესტაბილიზირებელ როლში გამოდის სახელმწიფოს მხრიდან უდროო, ან არაადეკვატური ინტერვენცია. როგორ შეძლებენ ასეთ ვითარებაში სავალუტო ორგანოები წონასწორობის არარსებული პარიტეტის აღდგენას. აქ არსებობს სამი ძირითადი მომენტი:

1. მთავრობა ვალუტის ბაზრის არასტაბილურობის პრობლემას გადალახავს სავალუტო ღონისძიებათა გატარებით, რადგანაც იგი ცენტრალურ როლს ასრულებს ვალუტის კურსის განსაზღვრაში. ისტორიულად ვალუტის კურსთა ფართო რყევა ყოველთვის ემთხვეოდა ფულის მასის ზრდის ტემპების დაჩქარებას (მაგალითად, ჰიპერინფლაციის შემთხვევები გერმანიასა და აღმოსავლეთ ევროპაში I და II მსოფლიო ომების დამთავრებისთანავე, ლათინურ ამერიკაში – XX საუკუნეში, ისრაელში – 1980-იან წლებში). ამ დროს თვით ბაზარი ქმნის არასტაბილურობის ელემენტებს. რადგანაც წარსულში ცნობილია ისეთი სპეკულიანტური კრიზისებიც, რომლებიც სამთავრობო ორგანოთა მოქმედებით არ იყო გამოწვეული, მაგრამ სახელმწიფო-მარეგულირებელ სამსახურთა მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებანი ხელს უწყობდა ვითარების გამწვავებას. სწორი სავალუტო პოლიტიკის წარმართვა სავალუტო ბაზრის სტაბილიზაციის მთავარი ატრიბუტია.

2. სახელმწიფო სავალუტო პოლიტიკის საერთო არასტაბილურობის პირობებში არცერთ დაწესებულებას არ ძალუძს დაიცვას ბაზარზე წესრიგი. მცურავი ვალუტის კურსები რყევას იწყებს, მართვადი ცურვა კრახს განიცდის, ზარალში ჩავარდნილი სახელმწიფო იძულებული ხდება მოახდინოს სავალუტო პარიტეტის კორექტირება. ფიქსირებული პარიტეტების სისტემის დროს კი მაკროეკონომიკური შოკები ერთი ქვეყნიდან მეორეში ვრცელდება.

3. არასტაბილურ ვითარებაში მცურავ სავალუტო კურსთა რყევა შეიძლება გასცდეს მთავრობის მიერ დაწესებულ ზღვრებს და ვალუტის კურსთა მოძრაობაში გამოიწვიოს არასასურველი ტენდენციები. სავალუტო პოლიტიკის სწრაფი

ცვლილება ბაზარზე იწვევს პანიკას და არღვევს მის სტაბილურობას, მაშინაც კი, როცა დილერები ზუსტად პასუხობენ სავალუტო პოლიტიკის ორიენტაციის შეცვლაზე. საბაზრო ძალები თავდაპირველად მკვეთრ რეაქციას იძლევიან ვალუტის კურსთა მოძრაობაში მომხდარ ცვლილებებზე, ხოლო შემდეგ კი თანდათანობით აღადგენენ სავალუტო ბაზრის წონასწორობას.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია უცხოური ვალუტის ბაზარი, სადაც გაანალიზებულია სავალუტო ვაჭრობისა და უცხოური ვალუტის ბაზრით სარგებლობის საფუძვლები. ვალუტა იტალიური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ფასს, ღირებულებას. ერთი ქვეყნის ვალუტის გაცვლას მეორე ქვეყნის ფულად ერთეულზე სავალუტო ვაჭრობა ეწოდება. ეროვნული ვალუტის ფასს, გამოსახულს სხვა ქვეყნის ფულად ერთეულში, სავალუტო კურსი ეწოდება;

2. სამამულო საქონლისა და მომსახურების ექსპორტი ზრდის ეროვნულ ვალუტაზე არსებულ მოთხოვნას და უცხოური ვალუტის მიწოდებას, რითაც აუმჯობესებს მის სავალუტო კურსს, ხოლო საქონლისა და მომსახურების იმპორტი კი – პირიქით;

3. სავალუტო რისკის დაზღვევას ჰეჯირება ეწოდება, ხოლო დამზღვევს კი –ჰეჯერი. აქტივის (მოცემულ შემთხვევაში ვალუტის) დაზღვევა, ანუ ჰეჯირება წარმოადგენს ისეთ სავალუტო ოპერაციას, რომელიც მიმართულია იქეთ, რომ არ დაუშვას მოცემული ვალუტის სახით, არც წმინდა აქტივები და არც წმინდა პასივები;

4. სავალუტო სპეკულაცია ეწოდება უცხოური ვალუტით წმინდა აქტივების, ან წმინდა პასივების ღია პოზიციების შენარჩუნებას. სავალუტო კურსს, მოლაპარაკებულს მიმდინარე პერიოდში, რომლის მიხედვითაც ვალუტების ურთიერთგაცვლა უნდა მოხდეს მოგვიანებით ვადიანი (forvard) სავალუტო კურსი ეწოდება;

5. საპროცენტო პარიტეტის თეორიის შინაარსი მდგომარეობს შემდეგში: „ვადიანი ვალუტის კურსს სპოტ-კურსთან შედარებით გააჩნია ვარდნის ტენდენცია (პროცენტებში) იმდენად, რამდენადაც უფრო დაბალია ამ ქვეყნის საპროცენტო განაკვეთი, მეორვსთან შედარებით".

ძირითადი ტერმინოლოგია

- კოტირება;
- რეპატრირება;
- ჰეჯირება;
- ჰეჯერი;
- ვადიანი სავალუტო კურსი და სპოტ-კურსი;
- საპროცენტო პარიტეტის თეორია;
- აქტივების დაზღვევა;

ამოცანები

1. მიუნხენში ცხელი ფუნთუშა ღირს 2 ევრო, ხოლო ბოსტონში კი – ჰოტ-დოკი ღირს 1 აშშ. დოლარი. როგორი იქნება ცხელი ფუნთუშის ფასი, გამოსახული ჰოტ-დოკის ფასში, იმ პირობით, თუ ვალუტის კურსი უდრის 1 ევრო = 1,5 აშშ. დოლარს? როგორ შეიცვლება ეს შეფარდებითი ფასი სხვა თანაბარ პირობებში, თუ დოლარის კურსი გაიზრდება 1,25 დოლ. = 1 ევრო? როგორ ფიქრობთ, წინა შემთხვევასთან შედარებით, გაიზრდება თუ დაეცემა, ცხელ ფუნთუშასთან შედარებით, ჰოტ-დოკის ფასი?

2. ერთი აშშ. დოლარი ღირს 7,5 ნორვეგიული კრონა, მაგრამ იმავდროულად ერთი დოლარი შეიძლება შეძენილი იქნეს 1,25 შვეიცარულ ფრანკად/ რას უდრის ნორვეგიული კრონის კურსი შვეიცარულ ფრანკთან მიმართებაში?

3. გამოთვალეთ შემდეგი აქტივების შემოსავლები დოლარებში: ა) სურათის, რომლის ფასი 200 ათასი აშშ. ოლარიდან გაიზარდა 250 ათას აშშ. დოლარამდე; ბ) 1978 წელს დამზადებული იმ ბოთლი ღვინოს, რომლის ფასი 1999 წლიდან 2000 წლამდე გაიზარდა 180 აშშ. დოლარიდან 216

აშშ. დოლარამდე; გ) ლონდონის ბანკში 1 წლიანი ვადით 10 ათასი ევროს თანხის დეპოზიტისა, იმ პირობით, რომ ამ დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთი სტერლინგში შეადგენს 10 % წლიურ სარგებელს, ხოლო სტერლინგის კურსი კი 1,5 დოლ./ სტერლ-დან გაიზარდა 1,38 დოლ./ სტერლინგამდე;

4. რას უდრის წინა ამოცანაში აქტივების დაბანდებით მიღებული მოგების რეალური ნორმა, თუ აღწერილი ცვლილებები იწვევს ყველა სადოლარო ფასის ამაღლებას?

5. ვთქვათ სარგებლის განაკვეთი დოლარისა და სტერლინგის დეპოზიტებში ერთნაირი აღმოჩნდა და იგი უდრის წლიურად 5 %ს. როგორი იქნება მიმდინარე კურსი დოლ./სტერლინგთან, თუ მისი სამომავლო ღირებულება 1,52 დოლ/სტერ? ვთქვათ, დოლარის სტერლინგთან მოსალოდნელი სამომავლო კურსი უდრის 1,52 დოლ./სტერლ. რჩება უცვლელი, ხოლო იმავდროულად სტერლინგურ დეპოზიტებში განაკვეთი გაიზარდა 10%-მდე. თუ პროცენტი დოლარებში დარჩა უცვლელი, მაშინ რას გაუტოლდება ახალი წონასწორული კურსი?

თავი XVII

ვადიან სავალუტო გარიგებათა დაზღვევის მექანიზმი

განცდილი კრახის შემდეგ ისევ ნულიდან დაწყება წარმატებული მეწარმის საერთო მახასიათებელი ნიშანია.

ე. ბაროუ

§ XVII. 1. ვადიან სავალუტო ბაზარზე აქტივების დაზღვევის საფუძვლები

წინა თავში განვიხილეთ, როგორც მცურავ, ისე ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში სავალუტო რისკისაგან დაზღვევის ძირითადი საშუალებები მხოლოდ სპოტ-სავალუტო ბაზარზე. მაგრამ საერთაშორისო ბიზნესით დაკავებულ ინვესტორებში დიდ ინტერესს იწვევს სადაზღვევო სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი ვადიან სავალუტო ბაზარზე. არსებობს რამდენიმე საშუალება ვადიან ბაზარზე სავალუტო რისკისაგან ისეთ მსხვილ ოპერაციათა დასაზღვევად, როგორიცაა: საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა, საერთაშორისო საფინანსო ინვესტიციები, ან მომავალ სავალუტო კურსზე წმინდა სპეკულაცია.

თანამედროვე ეტაპზე ჰეჯირებაში იგულისხმება აქტივების უცხოურ ვალუტაში შეძენა ვადიან გარიგებაში აღებულ იმ ვალდებულებათა კომპენსაციის მიზნით, რომელიც უნდა შესრულდეს მოცემულ მომენტში. როგორც წესი, არსებობს აქტივების დაზღვევის რამოდენიმე საშუალება, რომელიც დაკავშირებულია გაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებული რისკის დაზღვევასთან. ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ვადიანი გარიგებანი ბევრ სხვა შემთხვევაშიც გამოიყენება რისკისაგან ინვესტიციების დასაზღვევად. სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული რისკი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო ინვესტიციებისათვის, რომელთა მოცულობაც, ბოლო ათი წლის განმავლობაში განუხრელად იზრდება.

§ XVII. 2. უცხოური ინვესტიციების დაზღვევა ვადიან სავალუტო გარიგებათა მეშვეობით

. უცხოურ ინვესტიციათა შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოიცავს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკისაგან დაზღვევას, რომელიც ეფუძნება მოგების მიღებას და ალტერნატიული ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობას. იგი ასახავს რისკს, რომელიც დაკავშირებულია უცხოური ინვესტიციების დამზღვევ, სავალუტო ოპერაციებთან. თუ ინვესტორი კაპიტალს აბანდებს სამომავლო კურსის გაუთვალისწინებლად, მიმდინარე კურსის მიხედვით, მაშინ ასეთი კაპიტალდაბანდება მოიცავს სპეკულაციურ ელემენტებს. მას ეწოდება დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები.

უცხოური ინვესტიციების დაზღვევა. შიგა ინვესტიციები შესაძლებელია გათანაბრებულ იქნეს დაზღვეულ უცხოურ ინვესტიციებთან. სავალუტო კურსისა და სარგებლის განაკვეთის ცვლილებით გამოწვეული რისკისაგან უცხოური ინვესტიციების დაზღვევა იმას გვიჩვენებს, თუ როგორ ინარჩუნებს თავის ღირებულებას უცხოური ინვესტიციები დინამიკაში. კაპიტალის დაბანდების არჩევანი დამოკიდებულია შესადარი ვალუტების კურსსა და ამ ვალუტების მფლობელ ქვეყნებში მოქმედ სარგებლის განაკვეთზე. ამ დროს შესაძლებელია კაპიტალდაბანდება განხორციელდეს უცხოურ ვალუტაში, მისი კურსისა და სარგებლის განაკვეთის მიხედვით $(1 + l_f) / r_{ერ}$, რადგანაც იგი უნდა დაბანდდეს მეორე ვალუტაში, ამიტომ $(1 + l_f) \times r_f / r_{ერ}$); ან იგი შეიძლება დავაბანდოთ ეროვნულ ვალუტაში, მისი კურსისა და განაკვეთის გათვალისწინებით -- $(1 + i_f)$; მაშინ

§ XVII. 3. დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალი

დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალი (CD) მათი სხვაობის ტოლი იქნება:

$$CD = [(1 + i_f) \times r_f / r_{ერ}] - (1 + i_{ერ}) \text{ ---- XVII 1.}$$

თუ ეს მაჩვენებელი დადებითია, მაშინ კაპიტალის დაბანდება უმჯობესი იქნება უცხოეთში, ხოლო თუ ის უარყოფითია, მაშინ უმჯობესია კაპიტალი დავაბანდოთ ეროვნულ ვალუტაში. მას დასაზღვევი ეწოდა იმიტომ, რომ იგი აჩვენებს კაპიტალდაბანდების ორ ვარიანტს შორის არსებულ სხვაობას, ამ დროს ინვესტორი სრულიად დაზღვეულია იმ რისკის წინააღმდეგ, რაც დაკავშირებულია გაცვლით ოპერაციებთან. ვადიანი სავალუტო ბაზრის შემსწავლელ ლიტერატურაში შემუშავებულია დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალის გამოსათვლელი სხვა ფორმულაც, რომელიც შედარებით უფრო მარტივი და მოსახერხებელია. ამ მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს **ვადიანი პრემია** როგორც ვადიან კურსსა და მიმდინარე კურსს შორის არსებული პროპორციული სხვაობა, საკასო გარიგების მიხედვით:

$$F = (r_f - r_{ერ}) / r_{ერ} \text{ ..... XVII 2.}$$

ვადიანი პრემია გვიჩვენებს მიმდინარე პერიოდში მიღწეული შეთანხმების საფუძველზე მიმდინარე (სპოტ) და ვადიან სავალუტო კურსს შორის არსებულ სხვაობას. დასაზღვევი პროცენტული დიფერენციალი ტოლია ვადიან პრემიას დამატებული სტანდარტული საპროცენტო დიფერენციალი:

$$CD = F + (i_f - i_{ერ}) \text{ ..... XVII 3.}$$

დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალი ითვლება მომგებიან სავალუტო ოპერაციების განსაზღვრის იმდენად მოსახერხებელ საშუალებად, რომ ბანკებმა შეიმუშავეს დასაზღვევი საპროცენტო არბიტრაჟის მეთოდი ნებისმიერი დიფერენციალის დროს მოგების მიღების მიზნით. დასაზღვევი საპროცენტო არბიტრაჟი მოიცავს მოცემული ქვეყნის ვალუტების ვადიან და სპოტბაზარზე ყიდვა-გაყიდვას, ამ ვალუტების გაყიდვიდან მისაღები ვადიანი პრემიისაგან მაღალი სარგებლის განაკვეთის კომბინაციით წმინდა მოგების მისაღებად.

იგი ახლოსაა სრულყოფილ ფულად მექანიზმთან, რომელიც არ არის თანამედროვე ეტაპზე პოპულარული, რადგანაც ტელეკომუნიკაციებმა და კომპიუტერებმა გარიგებათა ღირებულება პრაქტიკულად ნულამდე დაიყვანეს. მაგრამ დასაზღვევი საპროცენტო არბიტრაჟი იმდენად უსაფრთხოა, რომ სავალუტო რისკის ქვეშ მყოფი ბანკები, მაკლერთა მიერ, ვადაინ ბაზარზე მიმდინარე მოვლენათა შესახებ, მოწოდებული კომპლექსური ინფორმაციის საფუძველზე, ამუშავებენ სავალუტო რისკისაგან უცხოური ინვესტიციების დასაზღვევ კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც მათ საშუალებას მისცემს წარმატებით განახორციელონ დასაზღვევი საპროცენტო არბიტრაჟი. **ჯონ მეინარდ კეინზი**_ამტკიცებდა, რომ დამზღვევი საპროცენტო არბიტრაჟიდან მოგების მიღების შესაძლებლობა თავის თავს გამორიცხავს, რადგანაც დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალი უბრუნდება ნულოვან მნიშვნელობას. ანუ როცა CD = 0-ს მაშინ მას ეწოდება დასაზღვევი საპროცენტო პარიტეტი, რომლის დროსაც ვალუტა იყიდება ვადიანი პრემიის სახით, იმის მიხედვით, თუ რამდენად მაღალია, ან დაბალი მისი სარგებლის განაკვეთი მეორე ქვეყნის საპროცენტო განაკვეთთან შედარებით.

დასაზღვევი საპროცენტო პარიტეტი ხსნის საკასო გარიგების მიხედვით, მიმდინარე და ვადიან სავალუტო კურსს შორის არსებულ სხვაობას. დასაზღვევი საპროცენტო პარიტეტი ერთმანეთთან აკავშირებს ოთხი სახის სავალუტო კურსს. ესენია, 1. ვადიანი გაცვლითი კურსი; 2. მიმდინარე კურსი, საკასო გარიგებით; და 3. ამ ორი ქვეყნის მიმდინარე საპროცენტო განაკვეთები. თუ შეიცვლება ერთ-ერთი რომელიმე ვალუტის კურსი, მაშინ უნდა შეიცვალოს ამ ორი ქვეყნიდან ერთ-ერთი რომელიმე მათგანის სარგებლის განაკვეთიც, რათა უცვლელი დარჩეს დასაზღვევი საპროცენტო პარიტეტი. მაგალითად, თუ საკასო გარიგების კურსი იზრდება, ხოლო საპროცენტო დიფერენციალი კი უცვლელი

რჩება, მაშინ ვადიანი გაცვლითი კურსიც უნდა გაიზარდოს, რათა ვადიანი პრემია დარჩეს სტაბილური.[1]

§ XVII. 4. დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები

დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები. დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები აისახება ფასიანი ქაღალდებით კაპიტალდაბანდებაში, რომლის ღირებულება გამოხატულია უცხოურ ვალუტაში. იგი გულისხმობს უცხოური ინვესტიციებიდან სამომავლოდ მისაღები მოგების (ან ეროვნულ ვალუტაში, ჰეჯირების გარეშე, გამოსახული მოგების) უზრუნველყოფას. ყველაზე მარტივ შემთხვევაში უცხოურ ვალუტაში მიღებული მოგება გადაიყვანება სამამულოში, საკასო გარიგების კურსის მიხედვით, რომლის შესახებაც, სამომავლოდ რომელიმე დღისათვის, ფორმდება ვადიანი კონტრაქტი. კაპიტალდაბანდების დროს არ შეიძლება განისაზღვროს ფიუჩერსული კურსი საკასო გარიგებით.

კაპიტალდაბანდების პირველ ეტაპზე ინვესტორმა უნდა იცოდეს, თუ რისი ტოლი იქნება ფიუჩერსული კურსი საკასო გარიგებით ($r_{ერ. საკასო}$), რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს დაუზღვეველი უცხოური კაპიტალდაბანდებიდან მისაღები მოგების განსაზღვრისათვის. მოსალოდნელი დაუზღვეველი საპროცენტო დიფერენციალი გამოითვლება ფორმულით:

$$EUD = (1 + i_f)\ X\ (r_{ერ. საკ.})\ /\ r_{ერ} -- (1 + i_{ერ}) \quad \text{.....} \quad \text{XVII 4.}$$

თუ ეს მაჩვენებელი დადებითია მაშინ, ფასიან ქაღალდებში დაუზღვეველი კაპიტალდაბანდებიდან მისაღები, უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოგება იქნება დადებითი და პირიქით. ამ მაჩვენებლის ცოდნა აუცილებელია დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალის გამოსათვლელად. მათ შორის ერთადერთი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მოსალოდნელი ფიუჩერსული კურსი საკასო გარიგებით -- $r_{ერ. საკ.}$

[1] Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. С англ. М. Изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 388 -- 418 с.

ცვლის ვადიან სავალუტო კურსს -- r_f-ს. ეს არაა გასაკვირი, რადგანაც ამ სიდიდეებს შორის არსებული განსხვავება მდგომარეობს იმის გარკვევაში, დაზღვეული უნდა იქნეს, თუ არა ვადიანი კონტრაქტი გაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებული რისკისაგან.

მოსალოდნელი დაუზღვეველი საპროცენტო დიფერენციალი უფრო მოსახერხებელი საშუალებაა და იგი ტოლია მოსალოდნელი სარგებლის განაკვეთის გაძვირებას (უარყოფითი მნიშვნელობის დროს – გაიაფებას) დამატებული სტანდარტული პროცენტული განაკვეთის დიფერენციალი:

$$EUD = I_{\text{მოს. გაძვ.}} + (i_f - i_{\text{ერ}}) \text{ .....-- XVII 5.}$$

თუ დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები ითვლება სარისკოდ, მაშინ უნდა დადგინდეს, თუ კონკრეტულად რომელი ვალუტა არის სარისკო და რამდენად ზრდის იგი რისკს მთლიან საინვესტიციო პორტფელში.

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია ვადიანი სავალუტო ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი, სადაც შესწავლილია ვადიან ბაზარზე უცხოური ინვესტიციების დაზღვევის სპეციფიკური თავისებურებანი. იგი თავისთავში მოიცავს ფორვარდ გარიგებათა ჰეჯირებისა და სპეკულაციის განხორციელების გზებს;

2. ვადიანი სავალუტო გარიგებანი მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ უცხოური ფინანსური ინვესტიციების დაზღვევაზე. საზღვარგარეთულ კაპიტალდაბანდებათა შესახებ გადაწყვეტილების მიღება მოიცავს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკისაგან დაზღვევას, რომელიც ეფუძნება მოგების მიღებას და ალტერნატიული ინვესტიციების დაბანდების შესაძლებლობას;

3. ვადიანი პრემია გვიჩვენებს ვალუტის ღირებულებაში ნაღდი ვალუტით მიმდინარე ოპერაციებსა და ვადიან კურსს შორის არსებულ სხვაობას, რომელიც შეიძლება მოლაპარაკებული იქნეს მიმდინარე მომენტში. დაზღვეული პროცენტული დიფერენციალი ტოლია ვადიან პრემიას დამატებული სტანდარტული საპროცენტო დიფერენციალი;

4. დაზღვეული საპროცენტო დიფერენციალი ითვლება მომგებიანი სავალუტო ოპერაციების განსაზღვრის იმდენად მოსახერხებელ საშუალებად, რომ მოგების მიღების მიზნით, ბანკებმა შეიმუშავეს ნებისმიერი დიფერენციალის დროს დაზღვეული საპროცენტო არბიტრაჟის შეფასების პროგრამა. დასაზღვევი საპროცენტო არბიტრაჟი მოიცავს მოცემული ქვეყნის ვალუტების ვადიან და სპოტ-ბაზარზე ყიდვა-გაყიდვას, ამ ვალუტების გაყიდვიდან მისაღები ვადიანი პრემიისაგან უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთის კომბინაციით წმინდა მოგების მისაღებად;

5. დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები აისახება ფასიანი ქაღალდებით კაპიტალდაბანდებაში, რომლის ღირებულება გამოხატულია უცხოურ ვალუტაში. იგი გულისხმობს უცხოური ინვესტიციებიდან სამომავლოდ მისაღები მოგების (ან ეროვნულ ვალუტაში, ჰეჯირების გარეშე, მოგების) უზრუნველყოფას.

ძირითადი ტერმინოლოგია

- ვადიანი სავალუტო გარიგება;
- უცხოური ფინანსური ინვესტიციების დაზღვევა;
- ვადიანი პრემია;
- დასაზღვევი საპროცენტო დიფერენციალი;
- სტანდარტული საპროცენტო დიფერენციალი;
- დაზღვეული საპროცენტო არბიტრაჟი;
- დაზღვეული საპროცენტო პარიტეტი;
- დაუზღვეველი უცხოური ინვესტიციები;
- სავალუტო ინტერვენცია.

ამოცანები

1. ვთქვათ, ინფლაციის ყოველწლიური ზრდის ტემპი რუსეთში შეადგენს 100 %-ს, შვეიცარიაში კი–მხოლოდ 5 %-ს. რა გავლენას მოახდენს, შვეიცარული ფრანკისა და რუსული „რუბლის” სავალუტო კურსთან მიმართებაში, ინფლაციის

ზრდის ტემპებს შორის არსებული სხვაობა შეფარდებითი მსყიდველუნარიანობის ცვლილებაზე ერთი წლის შემდეგ?

2. ახსენით, თუ რატომ აწყდებიან წინააღმდეგობებს ექსპორტიორები მაშინ, როცა უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში, მათი ვალუტის რეალური კურსი მყარდება, და რატომ განიცდიან ისინი აღმავლობას, როცა ხდება ეროვნული ვალუტის რეალური კურსის გაუფასურება სხვა ქვეყნების ფულად ერთეულებთან მიმართებაში?

3. მოახდენს თუ არა, სხვა თანაბარ პირობებში, ვალუტის გაცვლით კურსზე რაიმე გავლენას შემდეგი ცვლილებები:

ა) ხარჯების საერთო დონე ქვეყანაში უცვლელი რჩება, მაგრამ მისი რეზიდენტები შემოსავლების უდიდეს ნაწილს ხარჯავენ იმ საქონლის შეძენაზე, რომელიც არ მონაწილეობს საერთაშორისო ვაჭრობაში და უფრო ნაკლებ თანხებს ხარჯავენ იმ საქონლის შეძენაზე, რომელიც მიმართულია ექსპორტზე;

ბ) უცხოეთის მოქალაქეები ამცირებენ მოთხოვნას თავიანთი ქვეყნის პროდუქციის მოხმარებაზე და ზრდიან მოთხოვნას ჩვენი ქვეყნის პროდუქციაზე.

4. ახსენით, თუ როგორ მოქმედებს ფულის ეროვნული მიწოდებისა და მასზე არსებული მოთხოვნის ცვლილება რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსზე დროის გრძელვადიან პერიოდში?

5. რა გავლენას ახდენს ქვეყნებს შორის ფინანსური ტრანსფერტების დენადობა ვალუტის კურსზე დროის გრძელვადიან პერიოდში? რა გავლენას მოახდენს იგივე პროცესები ვალუტის ნომინალურ გაცვლით კურსზე?

6. ვთქვათ, ზოგიერთი ქვეყანა აწესებს საიმპორტო ბაჟს უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციაზე. რა გავლენას მოახდენს ეს ღონისძიება სამამულო და უცხოურ ვალუტებს შორის რეალურ და ნომინალურ გაცვლით კურსზე დროის გრძელვადიან პერიოდში?

7. ახსენით, სხვა თანაბარ პირობებში რა გავლენას მოახდენს დოლარის ევროსთან მიმართებაში კურსის რეალური ცვლილება ამ ვალუტების ნომინალურ გაცვლით კურსზე?

8. რეალურ ფულზე არსებული ერთობლივი მოთხოვნის შემცირების დროს, როგორ შეიცვლება ამ შემთხვევაში სავალუტო კურსი, სარგებლის განაკვეთი და ფასთა დონე დროის მოკლე და გრძელ პერიოდში?

9. რა გავლენას მოახდენს მოსახლეობის რაოდენობის შემცირება რეალურ ფულზე არსებული ერთობლივი მოთხოვნის ფუნქციაზე? შეიძლება თუ არა მოსახლეობის შემცირების მიზეზად ჩაითვალოს საოჯახო მეურნეობათა რიცხვის, ან მასში შემავალ ოჯახის წევრთა რაოდენობის შემცირება?

10. ფულის ბრუნვის სიჩქარე (V) განისაზღვრება, როგორც რეალური ფულის რაოდენობასთან მთლიანი შიდა პროდუქციის დამოკიდებულება, ანუ V=Y/(M/P); გამოიყენეთ ფორმულა [M^S = L (R, Y);]. იმისათვის, რომ მივიღოთ ფულის ბრუნვის სიჩქარის გამოსათვლელი ფორმულა და როგორ დამოკიდებულებაშია ეს სიდიდე R–სა და Y-ზე. (მინიშნება: Y-ის (მთლიანი შიდა პროდუქციის) ცვლილების გავლენა V-ზე დამოკიდებულია ფულზე არსებული ერთობლივი მოთხოვნის ელასტიურობაზე წარმოების რეალურ მოცულობასთან მიმართებაში, რომლის სიდიდეც, ეკონომისტთა აზრით, ერთზე მეტია). როგორ გამოისახება ფულის ბრუნვის სიჩქარესა და ვალუტის კურსს შორის დამოკიდებულება?

11. როგორი იქნება რეალური მთლიანი შიდა პროდუქციის მიერ ვალუტის კურსზე მოხდენილი გავლენის ხანმოკლე ეფექტი ვალუტის სამომავლო კურსის მოსალოდნელი ცვლილების დროს?

12. მიუთითებს, თუ არა ფულის, როგორც მიმოქცევისა და ღირებულების განსაზღვრის საშუალების, სარგებლიანობის შესახებ გავრცელებული შეხედულება იმ მიზეზებზე, რომლის მიხედვითაც, უცხოურ ვალუტაში ოპერაციების განხორციელების დროს, ზოგიერთი ფულადი ერთეული ხდება უმთავრესი ფაქტორი?

13. თუ ფულადი რეფორმა არ ახდენს გავლენას რეალურ ეკონომიკურ პროცესებზე, მაშინ რატომ ატარებს ბევრად უფრო ფართო პროგრამით, მთავრობა ასე ხშირად ამ რეფორმას, რომელიც გამოიწვევს მაღალ ინფლაციას? (არსებობს ასეთი რეფორმების არაერთი შემთხვევა: მაგალითად,

ისრაელის გადასვლა სტერლინგიდან შეკელზე, არგენტინის გადასვლა პესოდან აუსტრალზე და შემდეგ – პირიქით, ბრაზილიის გადასვლა კრუზეიროდან კრუზადოზე, შემდეგ – კრუზაიდოდან კვლავ კრუზეირზე, ხოლო შემდეგ კი – კრუ-ზეიროდან კრუზეირო-რეალზე, ბოლოს კი -- კრუზეირო-რეალიდან რეალზე, რომელიც გამოიყენება დღემდე).

14. რატომ გაამყარა ევროპის სავალუტო სისტემის პირო-ბებმა ძლიერი ვალუტის მქონე ქვეყნების ცენტრალური ბან-კის კრედიტების ოდენობის გაზრდისათვის სუსტი ვალუტის მქონე ქვეყნებთან მიმართებაში ევროსავალუტო სისტემის სტაბილურობა?

15. იტალიასა და გერმანიაში ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა შესაბამისად წლიურად 11 % და 8 %. რა შეიძლება ითქვას ამ მონაცენებზე დაყრდნობით ლირისა და მარკის მიმდინარე კურსის შესახებ?

16. მოითხოვს თუ არა წინა ორ კითხვაზე თქვენს მიერ გაცემული პასუხი იმ წინაპირობის დაშვებას, რომ განაკვეთი და მოსალოდნელი კურსი დაკავშირებულია საპროცენტო პარიტეტის პირობასთან? დაასაბუთეთ თქვენი განმარტება;

17. გამოიყენეთ GG და LL გრაფიკი იმისათვის, რომ აჩვენოთ რა გავლენას ახდენს ფულზე მოთხოვნის ფუნქციის მოულოდნელი ზრდა ეკონომიკური ინტეგრაციის დონეზე იმ სავალუტო ზონაში, რომელშიც გაწევრიანებისაკენ მიისწრაფ-ვის მოცემული ქვეყანა?

18. ვთქვათ ნორვეგია ახდენს მისი ვალუტის – კრონის კურსის ფიქსირებას ევროსთან მიმართებაში, მაგრამ ამის შემდეგ ევროპის სავალუტო სისტემა იწყებს მასში ექსპორ-ტირებულ საქონელზე მოგების მიღებას მისთვის ხელსაყრე-ლი მსოფლიო მოთხოვნის ფორმირებით. რა მოუვა ამ დროს ნორვეგიულ კრონას იმ ქვეყნების ვალუტებთან მიმართებაში, რომლებიც არ შედიან ევროზონაში? როგორ აისახება ეს ფაქტი ნორვეგიაზე? რა გავლენას ახდენს მისი შედეგების მასშტაბი ნორვეგიასა და ევროზონაში შემავალ ქვეყნებს შორის განხორციელებული ვაჭრობის მოცულობაზე?

ნაწილი IV

ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური პოლიტიკა

ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესთა უფრო მაღალ დონეზე წარმოჩენისა და დაცვის მიზნით ქვეყანას შეუძლია გამოიყენოს საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში შემუშავებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტიდან მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ვარიანტი. თითოეული ვარიანტი ხელს უწყობს ქვეყნებს შორის საქონელგაცვლის სტაბილურობისა და ეფექტიანობის ზრდას ან შემცირებას.

ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ვარიანტების განხილვის დროს მთავარი ყურადღება მახვილდება ეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პრობლემაზე, რომელიც თავის მხრივ, დაკავშირებულია, ცვალებადი მსოფლიო მეურნეობის პირობებში, მაკროეკონომიკური წონასწორობის საერთო პრობლემის გადაჭრასთან – მთლიანი ეროვნული პროდუქციის წარმოების, დასაქმებისა და ფასების რეგულირების ამოცანასთან. ეს საკმაოდ რთული ამოცანაა ეროვნული მეურნეობისა და მსოფლიო ეკონომიკის ურთიერთქმედებათა არხების სიმრავლის გამო. რეალური შემოსავლისა და ფასთა დონის პროგნოზირებისათვის საჭიროა შემუშავდეს ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების პრინციპები, რომლის მიხედვითაც შემდეგში უნდა მოხდეს საერთაშორისო მაკროეკონომიკური სისტემის განვითარების პროგნოზირება და სავალუტო ურთიერთობათა რეგულირებასთან დაკავშირებული სისტემების მუშაობის ეფექტიანობის გამოკვლევა. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ღირსეული ადგილის დამკვიდრებისათვის სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს სწორი მაკროეკონომიკური პოლიტიკა.. იგი უნდა დაეფუძნოს ეროვნულ შემოსავალს, საგარეო ვაჭრობასა და ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილების გავლენის ანალიზს.

თავი XVIII

ღია ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი

ეკონომიკური თავისუფლების სისტემა, ალბათ უმჯობესია ერთდროულად როგორც მატერიალურად, ისე მორალის თვალსაზრისით იმათთვის, ვინც ჯანმრთელია სხეულითა და სულით.

ა. მარშალი

მაკროეკონომიკური მოდელის ფარგლებში არ არსებობს ერთობლივი მიწოდების რეგულირების სრულყოფილი მექანიზმი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ცალკ-ცალკე დაგვედგინა ეროვნული შემოსავლისა და ფასთა დონეები. ცნობილია ამ პრობლემის გადაჭრის სამი გზა: 1. ფასები არავითარ გავლენას არ მოახდენს ეკონომიკის შიდა პროცესებზე; 2. მიწოდების მრუდი აკავშირებს რეალურ შემოსავალსა და ფასთა დონეს ისე, რომ ერთობლივი მოთხოვნის გაფართოების გავლენა ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე იყოფა ეროვნული შემოსავლის გადიდებად და ფასთა ზრდად; 3. მიწოდების მრუდი აფიქსირებს რეალურ შემოსავალს „სრული დასაქმების" (ანუ „უმუშევრობის ბუნებრივი დონის") პირობებში. მისგან გადახრის ერთადერთი საშუალებაა მიწოდების გაფართოება (შრომის მწარმოებლურობის ზრდის, კაპიტალის დაგროვებისა და სხვა ცვლილებათა ხარჯზე, რასაც თან ახლავს პროდუქციის გამოშვების მოცულობის ზრდა). პირველი დაშვება წმინდა კეინზიანური მიდგომაა, რომელიც ფასებს განიხილავს, როგორც ფიქსირებულ პარამეტრს, ყურადღებას კი ამახვილებს რეალური ხარჯებისა და შემოსავლების ურთიერთქმედებაზე.

§ XVIII. 1. ღია ეკონომიკის ფუნქციონირების მაკროეკონომიკური ანალიზი

ეროვნული შემოსავლის დონე (Y) იცვლება მიმდინარე ფასებში. თუ უმუშევრობა იმდენად დიდია, რომ ერთობლივი მოთხოვნა პირველ ყოვლისა, გავლენას ახდენს რეალურ შემოსავალზე და არა ფასებზე, მაშინ Y -- რეალური ეროვნული შემოსავალი მხოლოდ მოთხოვნის ზემოქმედებას დაექვემდებარება. სრული დასაქმებისა და ინფლაციის შემთხვევაში Y განიხილება, როგორც რეალური ეროვნული შემოსავლის ფასთა დონის საზომი, რომელიც თვითონ უკვე აღარ იცვლება ერთობლივ მოთხოვნაში მომხდარი ძვრებით.

საგარეო ვაჭრობასა და რეალურ ეროვნულ შემოსავალს შორის კავშირი განისაზღვრება შემდეგი ორი ფაქტორის შესაბამისად ესენია: 1. იმპორტსა და ეროვნულ შემოსავალს შორის დამოკიდებულება; და 2. ექსპორტსა და ეროვნულ შემოსავალს შორის კავშირი; იმპორტული პროდუქციის მოცულობასა და რეალური ეროვნული შემოსავლის მოცულობას შორის არსებობს პირდაპირპროპორციული კავშირი, რომელიც ორგვარად მტკიცდება: 1. იმპორტი ხშირად გამოიყენება შუალედური პროდუქციის, ან ნედლეულის სახით, ეროვნული პროდუქციის საწარმოებლად, ანუ ეროვნული შემოსავლის შესაქმნელად; და 2. იმპორტი რეაგირებს ერთობლივი რეალური ხარჯების „შთანთქმაზე".

იმპორტსა და ეროვნულ შემოსავალს შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების მთავარი პარამეტრია იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება, რომელიც წარმოადგენს იმპორტის მოცულობის ცვლილების შეფარდებას რეალური ეროვნული შემოსავლის ცვლილებასთან (რამაც იმპორტის ცვლილება გამოიწვია). აკავშირებს რა შემოსავლის ნამატს იმპორტის ნამატთან, იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება გვიჩვენებს იმას, თუ რა რაოდენობით იხარჯება იმპორტის შეძენაზე კეთილდღეობის ნამატი, რითაც აუარესებს სავაჭრო ბალანსს, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს სამამულო პროდუქციაზე შემდგომი მოთხოვნის ჩამოყალიბების შიდა

მულტიპლიკაციურ პროცესს. **„ამდენად, იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება გასავლებიდან თანხების „გაჟონვაა”.**

ეროვნულ შემოსავალთან ექსპორტის კავშირი გაცილებით უფრო რთული და ბუნდოვანია. იგი დამოკიდებულია ეროვნული შემოსავლის ცვლილების გამომწვევ მიზეზებზე. მათ რიცხვს განეკუთვნება შიგა მოთხოვნა-მიწოდებისა და ექსპორტზე უცხოური მოთხოვნის ცვლილება. თუ ეროვნული შემოსავალი იზრდება სამამულო მოთხოვნის გაფართოების ხარჯზე, რასაც თან ახლავს პროდუქციის გამოშვების მოცულობისა და ფასების მატება, მაშინ ამ მიზეზით ეროვნული შემოსავლის ზრდას თან ახლავს ექსპორტის მოცულობის დაცემა.

არსებობს ორი ფაქტორი, რომელიც აიძულებს ექსპორტს, შეიცვალოს იმავე მიმართულებით, როგორც იცვლება ეროვნული შემოსავალი. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია, წარმოების დანახარჯთა შემცირების მეშვეობით, მიწოდების გაფართოება, რაც მიიღწევა სამამულო ფირმების მწარმოებლურობის გადიდებით. თუ ეროვნული შემოსავალი ამ მიზეზით იზრდება, მაშინ იგი უდავოდ გამოიწვევს საკუთარი საქონლის ექსპორტის მოცულობის შესაბამის გადიდებასაც, რადგანაც სამამულო პროდუქციაზე დაწესებულ ფასთა შემცირება უძლიერებს ქვეყანას კონკურენციულ უპირატესობებს. თუ მოცემული ქვეყნის საექსპორტო პროდუქციაზე არსებული საზღვარგარეთული მოთხოვნა არსებითად იზრდება, მაშინ იგი გააფართოებს სამამულო საქონლის ექსპორტს და შესაბამისად -- ეროვნულ შემოსავალსაც.

§ XVIII 2. ხარჯების მულტიპლიკატორის ეფექტი ღია ეკონომიკის პირობებში

თუ ქვეყანაში მძაფრად დგას უმუშევრობის პრობლემა, მაშინ სახელმწიფომ უნდა გაზარდოს საბიუჯეტო ხარჯები, რაც იმპულსს მისცემს ეროვნული შემოსავლის ზრდის მულტიპლიკაციური პროცესის განვითარებას, მიუხედავად

იმისა, მონაწილეობს თუ არა ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობაში. მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის მონაწილეობის ხარისხი გავლენას ახდენს მისი ეროვნული შემოსავლის მულტიპლიკატორის სიდიდეზე. ვთქვათ, მთავრობა ზრდის ხარჯებს საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების 10 მლნ. დოლარით ზრდის კვალობაზე. სახელმწიფოს მიერ დახარჯული 10 მლნ. დოლარიდან 2 მლნ. დოლარი იზოგება, 3 მლნ. დოლარი იმპორტზე იხარჯება, ხოლო 5 მლნ. დოლარი კი ხმარდება სამამულო პროდუქციის წარმოებას, რომელიც შემდეგ სტიმულს აძლევს ადგილობრივ მომხმარებელთა მოთხოვნის ზრდას. ამათგან დაზოგილი თანხა და იმპორტული საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯები წარმოადგენს დანახარჯების შიგა ნაკადებიდან თანხების „გაჟონვას". ამდენად მომდევნო ხარჯებში რჩება მხოლოდ 5 მლნ. დოლარი, რომელიც თავის მხრივ, ხელახლა ნაწილდება (2,5 მლნ. დოლარი სამამულო პროდუქციის შეძენაზე, 1 მლნ. დოლარი – დანაზოგებზე, 1,5 მლნ. დოლარი კი–უცხოური საქონლის შეძენაზე) და ა. შ. ანუ ყოველ მომდევნო ეტაპზე ახალი, ტრანსფორმირებული ხარჯები იქნება:

C = 1– m -- S ..... **XVIII 1.**

ამ მულტიპლიკაციური პროცესის საფუძველზე, დახურული ეკონომიკის მოდელის მსგავსად, შეიძლება გამოვიყვანოთ ეროვნული შემოსავლის ცვლილებაზე დამატებითი სახელმწიფო ხარჯების მიერ მოხდენილი მულტიპლიკაციური ეფექტის გამოსათვლელი ფორმულა. შემოსავლების საბოლოო ცვლილება უდრის სახელმწიფო ხარჯების თავდაპირველ ნამატს პლუს დამატებითი მოთხოვნა სამამულო პროდუქციაზე, რომელიც თვით ამ შემოსავლის ზრდით არის გამოწვეული:

∆ Y = ∆ G + (1 – m – S) ∆ Y .....**XVIII 2.**

აქედან, **∆ Y(1 –1 + m + S) ∆ G** ..... **XVIII 3.**

ხოლო ხარჯების მულტიპლიკატორი ღია ეკონომიკის პირობებში, ანუ „საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორი" გამოითვლება ფორმულით:

∆ Y/ ∆ G = 1/(m + S) ..... **XVIII 4.**

ამდენად, ჩვენს მაგალითში სახელმწიფო ხარჯების 10 მლნ. დოლარით ზრდა გამოიწვევს ეროვნული შემოსავლის

20 მლნ. დოლარით ზრდას, რადგანაც მულტიპლიკატორის ეფექტი ტოლია 1/ (0,3 + 0,2) = 2;



ნახ. XVIII 1. სახელმწიფო ხარჯების ზრდის გავლენა საგარეო ვაჭრობასა და ეროვნულ შემოსავალზე.

სახელმწიფო ხარჯების 10 მლნ. დოლარით ზრდა ნიშნავს სახელმწიფო რეზერვების 10 მლნ. დოლარით შემცირებას, რადგანაც სახელმწიფო დანაზოგი უდრის საგადასახადო შემოსავლებსა და სახელმწიფო ხარჯებს შორის არსებულ სხვაობას.

„საგარეო ვაჭრობის მულტიპლიკატორის" ეფექტი დია ეკონომიკაში უფრო მცირეა, ვიდრე დახურულში, რადგანაც დახურულ ეკონომიკაში იმპორტი არ არსებობს (m = 0). ამიტომ, (XVIII 4.) ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

$$\Delta Y / \Delta G = 1/S \quad \text{.....} \quad \textbf{XVIII 5.}$$

ჩვენს მაგალითში 1/S = 5. შიგა ხარჯების ზრდით განპირობებული მულტიპლიკაციური პროცესი ნახ. XVIII 1.-ზე ნაჩვენებია (S -- I_d) მრუდის ქვედა (S -- I_d)^1 მრუდზე გადანაცვლებით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დანახარჯთა 2-ის ტოლი ზრდის მულტიპლიკაციური ეფექტი იწვევს, არა მარტო ეროვნული შემოსავლის, არამედ უცხოური საქონლის იმპორტის მოცულობის ზრდასაც. ნამატი ხარჯის პირველი წრის წყალობით უცხოური საქონლის იმპორტი 3 მლნ. დოლარით იზრდება, მაგრამ ხარჯების ყველა რაუნდის შედეგად იგი ორმაგდება, ანუ [m/(m + S}] Δ G = 6 სიდიდით. ამიტომ სავაჭრო ბალანსი საბოლოოდ უარესდება.

იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება აქამდე განიხილებოდა, როგორც ეროვნული შემოსავლების საერთო წრებრუნვიდან თანხების გაჟონვის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი,

რადგანაც იმპორტული საქონლის შეძენაზე დახარჯული თანხები დაკარგულად ითვლებოდა, როგორც ერთობლივი მოთხოვნის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი. მაგრამ ეს მტკიცება სამართლიანია მხოლოდ მცირე ერებისათვის, რომელთა საგარეო სავაჭრო ბრუნვა მცირეა ერთობლივ მსოფლიო ვაჭრობასთან შედარებით. მაგრამ თუ ქვეყანა იმდენად დიდია, რომ მის მიერ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში გატარებული ცვლილებები ზემოქმედებს თავის სავაჭრო პარტნიორთა ეკონომიკურ განვითარებაზე, მაშინ ეს გარემოება თავის მხრივ, გავლენას მოახდენს მოცემული ქვეყნის მიერ გაწეულ დანახარჯთა მულტიპლიკატორულ სიდიდეზე.

ეს იმით არის გამოწვეული, რომ ეროვნული შემოსავლის მატება იწვევს უცხოური საქონლის იმპორტის ზრდას. ეს უკანასკნელი კი, უცხოელ პარტნიორთა სავალუტო შემოსავლების ზრდით, ხელს უწყობს მოვაჭრე ქვეყნებში დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. თუ მოცემული ქვეყანა დიდია, მაშინ მის პარტნიორთა მიერ სავალუტო შემოსავლების ზრდა ხელს უწყობს ამ ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის საზღვარგარეთ შესყიდვის მოცულობის გაფართოებას.

ნახ. XVIII 2.-ზე ნაჩვენებია უცხოელ პარტნიორთა რეაქცია ქვეყნის სახელმწიფო ხარჯების ზრდაზე. დამატებითი სამთავრობო ხარჯები ქმნის დამატებით შემოსავლებს, რომლის გარკვეული ნაწილი იზოგება (S), ნაწილი იხარჯება იმპორტული საქონლის შესაძენად (m), რომელიც სავალუტო შემოსავლებს იძლევა უცხოელი პარტნიორებისათვის. თავის მხრივ, დამატებითი შემოსავლების (Y_f) რაღაც ნაწილს უცხოელები ზოგავენ (S_f), რაღაც ნაწილს თავიანთ ქვეყანაში ხარჯავენ (C_f), ხოლო გარკვეულ ნაწილს კი მოცემული ქვეყნის პროდუქციის შესაძენად ხარ-ჯავენ (m_f).



ნახ. XVIII 2. საგარეო ვაჭრობისა და შემოსავლების რეაქცია დიდი ქვეყნის საბიუჯეტო ხარჯების ზრდაზე

შემოსავლების ასეთი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს დღესაც. ქვეყანაში იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციის შეზღუდვა, მიმდინარე ციკლური კრიზისი, ან უცხოური საქონლის იმპორტზე დაწესებული სავაჭრო ბარიერები საბოლოო ჯამში, უცხოური შემოსავლების ცვლილებით, იწვევს ამავე ქვეყნის სამამულო პროდუქციის ექსპორტის შესაბამის შემცირებასაც.

ასეთ ვითარებაში დანახარჯთა მულტიპლიკატორი ღია ეკონომიკაში საზღვარგარეთული შემოსავლების რეაქციის გათვალისწინების შემდეგ გამოითვლება ფორმულით:

$$\Delta Y / \Delta G = [1 + (m_f / S_f)] / [m + S (m_f S / S_f)] \quad \text{-- XVIII. 6.}$$

შემოსავლების ზრდისას, თუ საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობა არ იზრდება ($m_f = 0$), მაშინ XVIII 6 ფორმულა უბრუნდება XVIII 4 ფორმულის სახეს. თუ უცხოელთა მიერ იმპორტის შესაძენად გაწეულ დანახარჯთა და დანაზოგთა შენახვის სტრუქტურა ემთხვევა მოცემული ქვეყნის იგივე სტრუქტურულ ელემენტებს, ანუ ($m_f = 0,3$), (S_f

= 0,2), მაშინ XVIII 6 ფორმულაში მათი ჩართვა ზრდის ხარჯების მულტიპლიკატორის სიდიდეს 2-დან 3,125-მდე.[1]

§ XVIII. 3. ვალუტის დევალვაციის გავლენა ეროვნულ შემოსავალზე და შემოსავლების განაწილებაზე

ერთი შეხედვით, ეროვნული ვალუტის დევალვაცია უნდა ზრდიდეს რეალურ შემოსავლებს, რადგანაც იგი ხელს უწყობს სამამულო პროდუქციის ექსპორტის მოცულობის ზრდასა და უცხოური საქონლის იმპორტის შემცირებას, რასაც მივყავვართ ახალი სამუშაო ადგილების შექმნამდე და ეროვნული შემოსავლების გადიდებამდე საექსპორტო და იმ-პორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებში. მაგრამ მიუხედა-ვად ამისა, დევალვაციის გავლენა ეროვნულ შემოსავალზე მაინც გაურკვეველი რჩება შემდეგი სამი მიზეზის გამო:

1. ვალუტის დევალვაციას არ შეუძლია უშუალოდ შეც-ვალოს სავაჭრო ბალანსი, რადგანაც ყოველთვის არ სრულდება ეკონომიკური წონასწორობის მიღწევისათვის საჭირო პირობები;

2. ვალუტის დევალვაციას შეუძლია გაუარესოს საგარეო ვაჭრობის პირობები (P_x/P_m) და აიძულოს მოცემული ქვეყანა ერთეული იმპორტული საქონლის შესაძენად გადაიხადოს სამამულო საექსპორტო პროდუქციის სულ უფრო მეტი რაოდენობა. თუ საგარეო ვაჭრობის პირობები უარესდება, მაშინ კეთილდღეობის უფრო რეალური საზომი იქნება ქვეყნის რეალური მსყიდველობითი უნარი, ვიდრე საკუთარი ნაწარმის ყიდვის შესაძლებლობა. მსყიდველუნარიანობის დაცემის გააზრების შემდეგ, მოსახლეობა ამცირებს თავის ხარჯებს, რითაც კიდევ უფრო ამწვავებს დევალვაციის ნეგა-ტიურ შედეგებს. დროის ხანგრძლივ პერიოდში, მსყიდველო-ბითი უნარის პარიტეტის აღდგენის კვალდაკვალ, საგარეო

---

[1] ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. თბილისი გამომცემლობა „სიახლე" 2001 წ. გვ. 277;

ვაჭრობის პირობები (P_x/P_m) უბრუნდება მის თავდაპირველ მნიშვნელობას. **ქვეყნისათვის ეროვნული ვალუტის დევალვაცია ხელსაყრელია იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა იგი დროებით აუარესებს საგარეო ვაჭრობის პირობებს.**__აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დროის ხანგრძლივ პერიოდში ადგილი აქვს მოცემული ქვეყნის სავალუტო რეზერვების დანაკარგს. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როცა ეროვნული ვალუტის დევალვაცია, გაუმჯობესების ნაცვლად, იწვევს სავაჭრო ბალანსის გაუარესებას, რადგანაც ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის გამყარება და შენარჩუნება იწვევს სავალუტო რეზერვების დანაკარგს;

3. ვალუტის დევალვაცია მანამდე ახდენს დადებით ეფექტს ეროვნულ შემოსავალზე, სანამ იგი გამაწონასწორებლად მოქმედებს მოცემული ქვეყნის საგადასახადო ბალანსზე, ანუ მანამდე, სანამ სპობს მის დეფიციტს. იგი ქვეყანას იცავს კაპიტალის მსხვილი დანაკარგებისაგან, რაც გარდუვალი იქნებოდა მაშინ, თუ ცენტრალური ბანკი და ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ვალუტის ფიქსირებული კურსის ხელოვნურ დონეზე შესანარჩუნებლად, დაიწყებდა ოქროსა და სავალუტო რეზერვების გამოყენებას, მაგრამ თუ ვალუტის დევალვაციამ გადაჭარბებული ეფექტი მოახდინა საგადასახადო ბალანსზე და ძვრები წარმართა დადებითი სალდოს ფორმირებაზე, მაშინ წარმოიქმნება სხვა სახის პრობლემა: ცენტრალურ ბანკს დაუგროვდება დიდი ოდენობით სავალუტო რეზერვები, რომელთა ფასი, გრძელვადიანი პერსპექტივით, მათი დღევანდელი, ხელოვნურად მაღალი ღირებულების ტოლი იქნება.



ნახ. XVIII. 3. დევალვაცია და სავაჭრო ბალანსი ეროვნული შემოსავლების ცვლილების დროს.

დევალვაციით გამოწვეული ძვრა: მართალია სავაჭრო ბალანსი უმჯობესდება მაგრამ მცირე ზომით.

არაწონასწორულ ფასად უცხოური ვალუტის ჭარბად შეძენასთან დაკავშირებული დანაკარგების მიღების შესაძლებლობა იმას მოასწავებს, რომ ვალუტის დევალვაცია ეროვნულ შემოსავალს მხოლოდ მანამდე აუმჯობესებს, ვიდრე სპობს საგადასახადო ბალანსის დეფიციტს.

ამრიგად, მივიღეთ ეროვნულ კეთილდღეობაზე დევალვაციის დადებითი ზეგავლენის შემდეგი პირობები: **ეროვნული ვალუტის დევალვაცია აუმჯობესებს მოცემული ქვეყნის კეთილდღეობას, თუ იგი 1. არ აუარესებს მის სავაჭრო ბალანსს; 2. არ აუარესებს მისი საგარეო ვაჭრობის პირობებს; 3. ამცირებს ამ ქვეყნის რეზერვების წმინდა მატებას, ან დანაკარგს.** ამრიგად, თუ საწყის ეტაპზე ვალუტის დევალვაცია აუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს და ეროვნულ შემოსავალს, აღმოჩნდება, რომ დროის ხანგრძლივ პერიოდში ეს გამაუმჯობესებელი ეფექტი ადრინდელთან შედარებით რამდენადმე შემცირდება.

ნახ. XVIII. 3.-ზე ნაჩვენებია ეროვნულ შემოსავალზე ვალუტის დევალვაციის მულტიპლიკაციური გავლენა. თავიდან გაუმჯობესება ხდება ერთი წლის განმავლობაში (--10 ერთეულით), მაგრამ ერთობლივი მოთხოვნის ცვლილება ჩართავს მულტიპლიკატორულ პროცესს, რის შედეგადაც იზრდება ეროვნული შემოსავალი. მოსახლეობის შემოსავლების ზრდა იწვევს უცხოური საქონლის იმპორტის გაფართოებას, რადგანაც ასეთ ვითარებაში ქვეყანა თავის თავს მისცემს უფრო მეტი უცხოური ნაწარმის შესყიდვის უფლებას. ამის გამო, სავაჭრო ბალანსის საბოლოო გაუმჯობესება (--10 ერთეულიდან – 4 ერთეულამდე) შემცირდება.

არსებობს განსხვავება ეროვნულ შემოსავალსა ($Y = Y_p$ / P-ს) და კეთილდღეობის უფრო ადექვატურ საზომს– შემოსავლის რეალურ მსყიდველობით ძალას (Y_p-ს) შორის, რადგანაც ქვეყანა საზღვარგარეთ ყიდულობს ისეთ საქონელს, რომელიც განსხვავდება ქვეყნის შიგნით დამზადებული პროდუქციისაგან. ეროვნული შემოსავლის რეალური მსყიდველობითი ძალა გამოითვლება ფორმულით:

$$Y_p = \frac{\text{(ეროვნ.პროდ. ნომინ. მოც.)}}{\text{(შეძ.სამ.და უცხ.საქ. ფასი)}} = \frac{(Y_{,}\text{ან } P_Y)}{(1\text{-a})\,P + a\,P_m} \quad \text{..... XVIII.7.}$$

სადაც a არის იმპორტული პროდუქციის შეძენაზე გაწეული დანახარჯები (1 – a) -- არის ექსპორტაბელური პროდუქციის სამამულო შესყიდვაზე გაწეული ხარჯები, P არის ეროვნული პროდუქციის ფასთა ინდექსი, ხოლო P_m კი არის საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციის ფასთა ინდექსი. ეროვნული შემოსავლის რეალურ მსყიდველობით ძალას **„ცხოვრების ღირებულების ინდექსსაც"** უწოდებენ. ნებისმიერ ფაქტორს, რომელიც აუარესებს ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობებს, შეუძლია დააქვეითოს მომხმარებელთა შემოსავლების რეალური მსყიდველობითი ძალა, ეროვნული შემოსავლების ვარდნის გარეშეც კი. იმის გამო, რომ დევალვაციას შეიძლება მოჰყვეს მსგავსი შედეგები, მას შეუძლია დააქვეითოს ქვეყნის მცხოვრებთა რეალური კეთილდღეობის დონეც.

თუ მოცემული ქვეყნის პროდუქციის ექსპორტისადმი საზღვარგარეთის მომხმარებელთა ზღვრული მიდრეკილება უფრო მეტია, ვიდრე ამ ქვეყნის მოსახლეობის ზღვრული მიდრეკილება უცხოური საქონლის იმპორტისადმი, მაშინ სახელმწიფო ხარჯების ზრდას შეუძლია გააუმჯობესოს კიდეც ქვეყნის სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა. მოცემული ქვეყნის მომხმარებელთა მიერ იმპორტის გაფართოების ყოველი რაუნდი მისი პროდუქციის ექსპორტის ზრდასაც შეიცავს. ეროვნულ და უცხოურ საქონელზე არსებულ ზღვრულ მიდრეკილებათა ასეთი თანაფარდობის დროს, მოცემული ქვეყნის მიერ სახელმწიფო დანახარჯთა ზრდა გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის არა გაუარესებას, არამედ გაუმჯობესებას.

სამამულო საქონლის მიწოდების ზრდა გავლენას ახდენს სავაჭრო ბალანსზე, არა მარტო ექსპორტის მოცულობის ზრდისა და იმპორტის მოცულობის შემცირების გზით, არამედ მათზე დაწესებულ ფასთა შეცვლის მხრივაც.

დროის ხანმოკლე პერიოდში დევალვაცია ხელსაყრელია მოსახლეობის იმ ჯგუფებისათვის, რომლებიც აწარმოებენ საგარეო სავაჭრო ბრუნვაში მონაწილე საქონელსა და მომსახურებას. ექსპორტიორებსა და იმპორტთან კონკურენციაში მყოფი პროდუქციის მწარმოებლებს დევალვაცია აძლევს

იმის შესაძლებლობას, რომ უფრო ხელსაყრელ პირობებში გაუწიონ კონკურენცია უცხოელ მწარმოებლებს. მაგალითად, ლარის დევალვაცია შესაძლებლობას მისცემს საქართველოს პროდუქციის ექსპორტიორებს, საზღვარგარეთის კონკურენტებთან შედარებით ოდნავ დასწიონ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფასები. იმპორტის შემცვლელ საქონელთა მწარმოებლებიც ასევე აღმოჩნდებიან ხელსაყრელ პირობებში, რადგანაც ლარის დევალვაცია მოსახლეობას აიძულებს უფრო მეტი ფული გადაიხადონ იმპორტული საქონლის შესაძენად, რის გამოც ისინი იმპორტულის ნაცვლად მიეძალებიან სამამულო ნაწარმს. დევალვაციის შედეგად მოსახლეობის ამ ჯგუ-ფებს უხდებათ მეტი ფულის გადახდა საერთაშორისო ვაჭრო-ბაში ჩართული საქონლის შესაძენად, მაგრამ ეს გაძვირება კომპენსირდება მათი პირადი შემოსავლების ზრდით.

დევალვაცია უძვირებს ცხოვრების დირებულებას მასწავლებლებს, სახელმწიფო მოხელეებს, მშენებლებს, ხელოსნებს, ბინათმფლობელებს და ა. შ. დევალვაციის შედეგად მათი შემოსავლები არ გაიზრდება, მანამდე სანამ ამ ჯგუ-ფებამდე არ მოაღწევს ეკონომიკის საგარეო ვაჭრობაში მონაწილე სექტორების მსყიდველობითი ძალის მომატება, ეს მაშინ, როცა ისინი თავიდანვე იხდიან მომატებულ თანხებს იმპორტული საქონლისა და მომსახურების შეძენისას.

საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილე საქონლის შეფარ-დებითი ფასების ზრდას თან ახლავს შემოსავლების გადანა-წილებაში მომხდარი ძვრები მოსახლეობის იმ ჯგუფთა სასარგებლოდ, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ასეთი საქონლის წარმოებასთან. დევალვაციის შედეგი იმავე წელს გამოვლინდება, როცა იგი განხორციელდება. სერიოზული სიძნელეები, რომელთაც აწყდებიან დევალვაციით დაზარა-ლებულნი, მხოლოდ ერთ წელიწადს გაგრძელდება. დროის ხანგრძლივ პერიოდში დევალვაცია არ იწვევს ცვლილებებს შემოსავლების გადანაწილებაში და იგი ერთნაირად უძვი-რებს ცხოვრებას მოსახლეობის ყველა ჯგუფს.

ამრიგად, ვალუტის დევალვაციას შეუძლია გაზარდოს, ან შეამციროს ეროვნული შემოსავალი, სამი მთავარი პირობის შესაბამისად: დევალვაცია აუმჯობესებს სავაჭრო ბალანსს

მანამდე, სანამ 1. გაქრება შეფარდებით ფასებზე მისი გავლენა; 2. უმჯობესდება მოცემული ქვეყნის საგარეო ვაჭრობის პირობები; 3. წონასწორდება საგადასახადო ბალანსი.

§ XVIII 4. „მეზობლის ძარცვის" პოლიტიკა

ეროვნული ვალუტის კურსის დაქვეითებით ქვეყანას შეუძლია გაიუმჯობესოს სამამულო პროდუქციის ფასობრივი კონკურენტუნარიანობა იმ ზღვრებში, რომლის ფარგლებშიც იძლევა საერთაშორისო სავალუტო ფონდი ვალუტის გაუფასურების უფლებას. ფიქსირებული ფასებითა და ცვლადი დასაქმებით, ვალუტის გაუფასურება ზემოქმედებს წმინდა ექსპორტზე. ფულად-საკრედიტო ექსპანსია, ეროვნული ვალუტის გაუფასურებით, ზრდის წმინდა ექსპორტის, წარმოებისა და დასაქმების მოცულობას. მაგრამ ერთი ქვეყნისათვის წმინდა ექსპორტის გაფართოება სხვებისათვის ნიშნავს ვაჭრობის პირობების გაუარესებას. ვალუტის გაუფასურება მოთხოვნას უცხოური საქონლიდან გადმორთავს ეროვნულზე. სხვა მოვაჭრე ქვეყნებში პროდუქციის წარმოების მოცულობა და დასაქმების დონე იზღუდება. სწორედ ამ მიზეზის გამო, ვალუტის გაუფასურებით სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებამ მიიღო „მეზობლის ძარცვის" პოლიტიკის სახელწოდება.

ვალუტის კურსის ვარდნა იწვევს არა მსოფლიო მოთხოვნის დონის ცვლილებას, არამედ -- მის ქვეყნებს შორის გადანაწილებას: ზრდის ერთი ქვეყნის საქონელზე არსებულ მოთხოვნას, დანარჩენი ქვეყნების პროდუქციაზე არსებული მოთხოვნის ვარდნის ხარჯზე. ამიტომ სავალუტო კურსის კორექტირება შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ღონისძიების სახით, როცა ქვეყნები იმყოფებიან ციკლის სხვადასხვა დონეზე: მაგალითად, ერთ ქვეყანაში შეიმჩნევა საქმიანი აქტივობის ბუმი (და შესაბამისად ჭარბი დასაქმება), მეორეში კი–ვარდნა. ამ შემთხვევაში ეკონომიკური ვარდნის მქონე ქვეყნის ვალუტის კურსის ვარდნა იწვევს საგარეო მოთხოვნის გადართვას მის საქონელზე.

და პირიქით, იმ შემთხვევაში, თუ განხილულ ქვეყნებში ეკონომიკის ციკლური განვითარება სინქრონულ ხასიათს ატარებს, მაშინ ვალუტის კურსის ცვლილება ვერ შეუწყობს ხელს სრული დასაქმების გადანაცვლებას. ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ყველა განხილულ ქვეყანაში დანახარჯთა დონე, ან ჭარბია, ან არასაკმარისი, რადგანაც ვალუტის კურსის ცვლილება უმთავრესად მოქმედებს ცალკეულ ქვეყნებს შორის მსოფლიო მოთხოვნის არა ზრდაზე, არამედ -- არსებულის გადანაწილებაზე. მით უმეტეს, ცალკეული ქვეყნის თვალსაზრისით, სავალუტო კურსის ვარდნა გამოიყენება, როგორც სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობის სტიმულირებისა და მსოფლიო მოთხოვნის გადმორთვის ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტი. მსოფლიო მოთხოვნის გადმორთვის მიზნით, ყველა ქვეყანას რომ მოეხდინა თავისი ვალუტის გაუფასურება, მაშინ მოხდებოდა მათი ვალუტების ერთდროული გაუფასურება, ისე, რომ მსოფლიო მოთხოვნის არავითარ გადანაცვლებას არ ექნებოდა ადგილი. ყველა ქვეყანას რომ ერთნაირი ტემპით გაეფასიურებინა თავისი ვალუტა, ამით მხოლოდ დაჩქარდებოდა მსოფლიო ინფლაცია. ამიტომ სამამულო პროდუქციის წარმოებისა და მასზე არსებული მოთხოვნის გასაზრდელად ყოველ ქვეყანას ევალება არა ვალუტის გაუფასურება, არამედ ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ოპტიმალური კოორდინაცია.

ნახ. XVIII. 4 ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გავლენა ეროვნული შემოსავლის ცვლილებაზე კაპიტალის ქვეყნებს შორის მიგრაციის სრული თავისუფლების პირობებში

	ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემა.	მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა.
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ექსპანსია:	სამამულო პროდუქციის წარმოება უცვლელი რჩება, რეზერვები კი იზღუდება.	ეროვნული წარმოება იზრდება, ვალუტა კი უფასურდება.

ფისკალური პოლიტიკის ექსპანსია:	სამამულო პროდუქციის წარმოება იზრდება, სავაჭრო ბალანსი კი უარესდება.	სამამულო წარმოება უცვლელია, წმინდა ექსპორტი მცირდება, სავალუტო კურსი კი იზრდება.

ამრიგად, საგარეო ვაჭრობის წყალობით, ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის რაღაც ნაწილი გადის საზღვარგარეთ, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებნი კი შემოსავლის რაღაც ნაწილს ხარჯავენ იმპორტზე. ადგილობრივ საქონელზე არსებული მოთხოვნა დამოკიდებულია რეალურ სავალუტო კურსზე, ეროვნული და საზღვარგარეთული შემოსავლების დონეზე. მოცემული ქვეყნის ვალუტის კურსის ვარდნა, ან მის პარტნიორ ქვეყნებში შემოსავლების გადიდება იწვევს ამ ქვეყნის წმინდა ექსპორტის ზრდას.

კაპიტალის საერთაშორისო დენადობა, სარგებლის განაკვეთის მეშვეობით, ავლენს საგადასახადო ბალანსზე ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ზემოქმედების ეფექტიანობას. როცა ქვეყანას არ შეუძლია, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით, საგადასახადო დეფიციტის დაფინანსება, მაშინ საჭიროა მთავრობამ გაატაროს შემზღუდავი ფულადი და მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკა.

ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემისა და კაპიტალის ქვეყნებს შორის მიგრაციის სრული თავისუფლების პირობებში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა ვერ ზემოქმედებს სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობაზე, რადგანაც ამ დროს ცენტრალურ ბანკს არ შეუძლია განახორციელოს დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ასეთ შემთხვევაში ფისკალური პოლიტიკა ითვლება შედარებით უფრო ქმედით ინსტრუმენტად. მისი ექსპანსია ამაღლებს სარგებლის განაკვეთს. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში კი პირიქით, რადგანაც ფისკალური პოლიტიკა ვერ ზემოქმედებს ეფექტურად სამამულო პროდუქციის წარმოებაზე, ამიტომ უფრო ხელსაყრელია ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ექსპანსია, რომელიც ვალუტის გაუფასურების მეშვეობით, ზრდის სამამულო პროდუქციის წარმოებასა და ექსპორტს. ფისკალური ექსპანსია კი ამ დროს აძვირებს ვალუტას და ზღუდავს წმინდა ექსპორტს: მცურავ კურსთა სისტემის პირო-

ბებში მძაფრი უმუშევრობის დროს, ვალუტის კურსის დაქვეითებით შეიძლება გაიზარდოს წმინდა ექსპორტი,ც.[1]

რეზიუმე

1. ამ თავში შესწავლილია ღია ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი, რომელიც იძლევა ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური წონასწორობის მაკროეკოომიკური ანალიზის შესაძლებლობას. ეროვნული შემოსავალი ორი არხით -- უცხოური საქონლის იმპორტისა და სამამულო ნაწარმის ექსპორტის მხრიდან არის დამოკიდებული საგარეო ვაჭრობაზე. იმპორტსა და ეროვნულ შემოსავალს შორის არსებობს პირდაპირპროპორციული კავშირი;

2. იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება გასავლების ნაკადიდან თანხების „გაჟონვაა". რეალური ეროვნული შემოსავალი დამოკიდებულია ერთობლივ მოთხოვნაზე. მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს ხარჯების მულტიპლიკატორის ეფექტი ღია ეკონომიკის პირობებში;

3. საზღვარგარეთული შემოსავლების რეაქცია რამდენადმე ზრდის ხარჯების მულტიპლიკატორის ეფექტიანობას ღია ეკონომიკის პირობებში. ქვეყნისათვის დევალვაცია ხელსაყრელია იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა იგი დროებით აუარესებს ვაჭრობის პირობებს და საგადამხდელო ბალანსს;

4. ეროვნული ვალუტის დევალვაცია აუმჯობესებს მოცემული ქვეყნის კეთილდღეობას, თუ იგი: 1. არ აუარესებს საგაჭრო ბალანსს; 2. არ აუარესებს ვაჭრობის პირობებს; 3. ამცირებს რეზერვების წმინდა მატებას ან დანაკარგს;

5. ეროვნული ვალუტის დევალვაცია გავლენას ახდენს შემოსავლების განაწილებაზე. კერძოდ იგი აუმჯობესებს საექსპორტო და იმპორტთან კონკურენციაში მყოფ დარგებში გამოყენებულ ფაქტორთა შემოსავლებს და უძვირებს ცხოვრებას მოსახლეობის იმ ჯგუფებს, რომლებიც არ არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო ვაჭრობასთან;

---

[1] Пол кругман, Морис Обсевельд. Международная экономика. 5-ое международное издания. Изд. «Питер». Москва. 2003 г.—493 -- 527 с.

ძირითადი ტერმინოლოგია

- ღია ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი;
- იმპორტისადმი ზღვრული მიდრეკილება;
- ხარჯების მულტიპლიკატორის ეფექტი;
- „ცხოვრების ღირებულების ინდექსი";
- „მეზობლის ძარცვის" პოლიტიკა.

ამოცანები

1. შეუძლია თუ არა მთავრობას, ფულის მასის უბრალო ზრდის ხარჯზე, უზრუნველყოს მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი? ახსენით თქვენი პასუხი;

2. ვთქვათ ინფლაციის ტემპმა ქვეყანაში 1980 –90-იან წლებში შეადგინა წლიურად 100 %. მაგრამ 1980 წელს ინფლაციას ჰქონდა ვარდნის, ხოლო 1990 წელს კი ზრდის ტენდენცია. რომელ წელს იქნებოდა, სხვა თანაბარ პირობებში, შემოსავლები ყველაზე უფრო მაღალი?

3. ვთქვათ, ეკონომიკა, რომელიც ღიაა კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებისათვის, იყენებს მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემას, პერიოდული ფიქსაციით, რომლის დროსაც ეროვნული ვალუტა ყოველწლიურად უფასურდება 10 %-ით. როგორ უკავშირდება ერთმანეთს ამ შემთხვევაში სამამულო და უცხოური ნომინალური სარგებლის განაკვეთები?

4. განვითარებადი ქვეყნების მიერ 1970-იან წლებში მიღებული დავალიანების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელდა სახელმწიფო კომპანიების მიერ. ამის შემდეგ ზოგიერთ მათგანში დაიწყო პრივატიზაციის პროცესი, რომელიც გულისხმობდა სახელმწიფო კომპანიების კერძო საკუთრებაში გადაცემას. მოახდენდნენ თუ არა ეს ქვეყნები მეტ-ნაკლებად უცხოეთის დაკრედიტებას, თუ მათში პრივატიზაციის პროცესი ვალების აღებამდე ბევრად უფრო ადრე დაიწყებოდა?

5. რანაირად იმოქმედებს განვითარებადი ქვეყნების მიერ, სავაჭრო შეზღუდვების, მაგალითად საიმპორტო ბაჟის შემცირების შესახებ, მიღებული გადაწყვეტილება მსოფლიო ბაზარზე მათ მიერ კაპიტალის დაბანდების შესაძლებლობებზე?

6. სამამულო პროდუქციის წარმოების ფიქსირებული მოცულობის დროს ქვეყანამ შეიძლება გააუმჯობესოს მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის მდგომარეობა ერთობლივი მოხმარებისა და კერძო, ან სახელმწიფო ინვესტიციების შეზღუდვის ხარჯზე. 1980-იანი წლების ხანგრძლივი კრიზისის დაწყების შემდეგ, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შეზღუდვის ხარჯზე, ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ უზრუნველყო მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის გაუმჯობესება. იყო თუ არა ასეთი სტრატეგია გამართლებული?

7. რას უდრის კარტელის ბატონობის თეორიული ზღვრები ურანის ბაზარზე, თუ ურანზე არსებული მსოფლიო მოთხოვნის ელასტიურობა უდრის 2-ს, კარტელის მიერ საქონლის დაუფლების ელასტიურობა უდრის 3-ს, ხოლო კარტელს უჭირავს მსოფლიო ბაზრის 1/2 ნაწილი?

8. რა ხვედრითი წილი უჭირავს ქვეყანას ხორბლის მსოფლიო ბაზარზე, თუ მისი ოპტიმალური ფასნამატი უდრის 1/6-ს, ხორბალზე არსებული მსოფლიო მოთხოვნის ელასტიურობა უდრის 4-ს, ხოლო ქვეყნის მიერ საქონლის დაუფლების ელასტიურობა კი უდრის 2-ს?

თავი XIX

მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პრობლემები ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

ეკონომიკურ პრობლემებს არასწორად გადმოსცემენ, როდესაც ისინი განხილულია მხოლოდ სტატისტიკური წონასწორობის (მოთხოვნისა და მიწოდების) თვალსაზრისით, და არა ეკონომიკის ორგანული ზრდის პოზიციებიდან.

ა. მარშალი

თუ მთავრობა ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ მიზნად დაისახავს ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის შენარჩუნებას, მაშინ იგი იძულებული იქნება ერთდროულად გადაჭრას მაკროეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების ორი ძირითადი პრობლემა. ესენია: ეროვნული ეკონომიკის „შიგა" და „გარე" წონასწორობის ერთდროულად მიღწევა. **„გარე" წონასწორობა** სამამულო ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც მიიღწევა საგარეო ანგარიშთა დაბალანსებას (ანუ საგადასახადო ბალანსის წონასწორობას) სავალუტო კურსის ერთ, მუდმივ დონეზე ფიქსირების პირობებში, ხოლო **„შიგა" წონასწორობა** ეროვნული ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ერთობლივი მოთხოვნის მსყიდველუნარიანობა იმ დონეზე დგება, რომ იგი შეესაბამება სრულ დასაქმებას ინფლაციის გარეშე. ეს არის ეკონომიკის მოდიფიცირებული კეინზიანური მოდელი, რომელიც ღიაა მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალის ქვეყნებს შორის დენადობის თვალსაზრისით. მისი მიზანია მაკროეკონომიკური პოლიტიკის იმ პრობლემების აღწერა, რომელთაც აწყდება მთავრობა ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის შენარჩუნების დროს.

§ XIX. 1. ღია ეკონომიკის ფუნქციონირების მაკრომოდელი ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

ეროვნული ვალუტის კურსის ერთ დონეზე ფიქსაციის პირობებში ხშირად ძნელდება ამ ორი ძირითადი პრობლემის ერთდროულად გადაჭრა –ეკონომიკის შიდა და გარე წონასწორობის მიღწევა. მთავრობა, რომელიც ცდილობს მხოლოდ გარე წონასწორობის დამყარებას, უმუშევრობასა და ინფლაციას აძლევს კონტროლიდან გამოსვლის საშუალებას, ეს მაშინ, როცა იმავდროულად, საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით, მხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების მცდელობამ შეიძლება გამოიწვიოს საგადასახადო დისბალანსის კიდევ უფრო გაძლიერება.

ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში ორივე (შიდა და გარე) ეკონომიკური წონასწორობის ერთდროულად მიღწევა ძნელდება, იმიტომ, რომ ერთ-ერთი რომელიმე სახეობის ბალანსის დამყარების პირობათა შესრულება მოითხოვს მეორე სახის ეკონომიკური წონასწორობის პირობათა რღვევას და პირიქით. ამიტომ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის კარგად გააზრებულ ღონისძიებათა კომპლექსის შემუშავება, რათა ერთდროულად დამყარდეს ორივე სახის წონასწორობა. ამ ორი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი რეალური საშუალებაა ფულად-საკრედიტო ბერკეტების გამოყენება საგადასახადო ბალანსის დასარეგულირებლად, ეს მაშინ როცა საბიუჯეტო პოლიტიკა შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ შიდა ამოცანების გადასაჭრელად–ერთობლივი მოთხოვნის კონტროლისაკენ.

ერთობლივი მოთხოვნისა და საგადასახადო ბალანსის გაწონასწორებულ დონეზე შენარჩუნებისათვის აუცილებელია შევარჩიოთ მაკროეკონომიკურ ღონისძიებათა ისეთი კომპლექსი, რომელიც გავლენას მოახდენს ერთდროულად სამი სახის – საქონლის, ფულისა და კაპიტალის ბაზარზე.

ეროვნულ ეკონომიკაში სამი სახის ბაზრის ურთიერთზემოქმედების მექანიზმი მოცემულია ნახ. XIX. 1.-ზე, სადაც მარცხენა მხარეს აღნიშნულია ის მაკროეკონომიკური ღონის-

ძიებები, რომლებიც ძირითად ცვლილებებს იწვევენ ეკონომიკურ სისტემაში. ნახ. XIX. 1.-ზე, მაკროეკონომიკური ღონისძიებები დაჯგუფებულია ბაზრების მიხედვით, რომლებზეც გავლენას ახდენენ თვით ეს ღონისძიებანი. ამისათვის საჭიროა ყურადღება გამახვილდეს სამამულო ეკონომიკის რეგულირების ორ მთავარ ინსრუმენტზე: საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე. ამ მოვლენების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე დაკვირვებით ნათელი ხდება, რომ თითოეული ღონისძიება გავლენას ახდენს ეროვნულ შემოსავალზე (Y-ზე), საგადასახადო ბალანსზე (ПВ-ზე) და უმნიშვნელოდ – სარგებლის განაკვეთზეც (i-ზეც). შეუძლებელია ფულად-საკრედიტო, ან საბიუჯეტო პოლიტიკის გამოყენება მხოლოდ ეროვნულ შემოსავალზე, ან მხოლოდ საგადასახადო ბალანსზე ცალკ-ცალკე ზემოქმედებისათვის.[1]

[1] რასაკვირველია ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ერთობლივი მიწოდების რეგულირებაც: მაქსიმალურად უნდა გამოვავლინოთ ყველა ის შესაძლებლობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ქვეყანაში შრომის მწარმოებლურობის ზრდის, ფასთა შემცირების, პროდუქციის წარმოებისა და სამუშაო ადგილთა რაოდენობის ერთდროულად გასადიდებლად. ბევრი მეცნიერ-ეკონომისტი ამტკიცებს, რომ მთავრობას შეუძლია პროდუქციის გამოშვების ზრდის სტიმულირება ისეთ ღონისძიებათა გატარებით, როგორიცაა გადასახადების შემცირება, სახელმწიფო ხარჯების შეკვეცა, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა სუბსიდირება, ან სამუშაო ძალის ეფექტიანი გადამზადებისა და გადანაწილების პოლიტიკა. მაგრამ მიწოდების სტიმულირების პოლიტიკის ყველა მიმართულება თავისი ბუნებით ჯერ კიდევ წინააღმდეგობრივია და, რაც მთავარია შენელებულ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. მათი ეფექტი ვლინდება ამ სახის ღონისძიებებზე ეკონომიკური სისტემის თანდათანობითი გამოხმაურებით, მხოლოდ დროის გრძელი პერიოდის გასვლის შემდეგ. დროის მოკლე ინტერვალში ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების მეთოდებით, უპირველეს ყოვლისა, ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის დახმარებით.



ნახ. XIX. 1. ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის მქონე ღია ეკონომიკის მაკრო-მოდელი.

რამდენად წარმატებით შეძლებს ქვეყანა ინფლაციის, ან უმუშევრობის პრობლემის თავიდან აცილებას, ეს დამოკიდებულია ერთობლივ მოთხოვნასა და ერთობლივ მიწოდებაზე. ვთქვათ მიწოდების მრუდი ფიქსირებულია. მაშინ საჭირო ხდება გავაანალიზოთ ის ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ერთობლივ მოთხოვნას. საქონელსა და მომსახურებაზე არსებული ერთობლივი მოთხოვნა, პირველ რიგში დამოკიდებულია მომხმარებელთა ნომინალურ შემოსავალზე.

1. ერთობლივი მოთხოვნა, რომელიც კეინზიანურ მოდელში რეალური ხარჯებით გამოიხატება, პირდაპირპროპორციულ კავშირშია რეალურ შემოსავალთან (Y-თან) და უკუპროპორციულ კავშირში -ფასებთან (P-თან) (თუ დავუშვებთ, რომ იგი ნომინალურ შემოსავალზეა (P_Y-ზეა) დამოკიდებული);

2. ერთობლივი მოთხოვნა დამოკიდებულია ასევე სარგებლის განაკვეთზეც (I-ზე), რაც უფრო მაღალია სარგებლის განაკვეთი, მით უფრო ნაკლებად მიმზიდველად ესახება მოსახლეობას ასეთი პროცენტით აღებული ფულის ხარჯვა.

ერთობლივი მოთხოვნა, რომელიც პირდაპირ ექვემდებარება საბიუჯეტო პოლიტიკის, სარგებლის განაკვეთისა (I-ის) და ეროვნული შემოსავლის (Y-ის) ცვლილებას, (თვით ამ Y-ის) ერთობლივი ეროვნული პროდუქციის წარმოების მოცუ-

ლობის ტოლი უნდა იყოს.[1] მაკროეკონომიკური ფაქტორები მოქმედებს მოსახლეობის ხელთ არსებული ფულის რაოდენობაზე. ფულის მიწოდება განისაზღვრება იმ მაკროეკონომიკურ ღონისძიებათა კომპლექსით, რომელიც შედგება ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკისაგან.

ფულის მიწოდებაზე მოქმედ ერთ-ერთ უმთარეს ფაქტორს წარმოადგენს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ფიქსირებული ვალუტის კურსთა სისტემის პირობებში ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მთლიანად უნდა აკონტროლებდეს ფულის მიწოდებას. მაგრამ რეალური ვითარება აჩვენებს, რომ ზოგჯერ ცენტრალური ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ, ფიქსირებულ კურსთა სისტემის პირობებში, შეიძლება ვერც შეძლოს ფულის მიწოდების კონტროლი.

ფულზე არსებული მოთხოვნა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ეკონომიკური აქტიურობის დონესთან, ანუ ერთობლივი ეროვნული პროდუქციის წარმოების დონესთან (Y-თან). რაც უფრო მეტი პროდუქციაა გამოშვებული წლის განმავლობაში, მომავალი, გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფარავად, ფირმებსა და მოსახლეობას სურთ გააჩნდეთ მით უფრო მეტი რაოდენობის ნაღდი ფულადი კუპიურები. ფულზე არსებული მოთხოვნა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია სარგებლის განაკვეთთან (I-სთან).

მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოეხმაურებიან ეროვნული შემოსავალი (Y) და სარგებლის განაკვეთი (I) ეგზოგენურ ფაქტორთა ცვლილებას. საბიუჯეტო პოლიტიკა, სამეწარმეო საქმიანობის პირობები, სამამულო საქონელზე არსებული უცხოური მოთხოვნა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს სამამულო პროდუქციის წარმოებისა და სარგებ-

[1] ამ შემთხვევაში საუბარია სარგებლის, როგორც ნომინალური, ისე რეალური განაკვეთის ცვლილებაზე, თუმცა მოსალოდნელ ინფლაციაში ნებისმიერი გადახრა ართულებს ანალიზს. იმავდროულად არ გაითვალისწინება სარგებლის განაკვეთის საზღვარგარეთული დონის ცვლილების დინამიკაც. სავაჭრო ბალანსი პირდაპირპროპოციულ კავშირშია სავალუტო კურსის ზრდასთან (ე. ი. დევალვაციასთან), თუ სრულდება მისი წონასწორობის პირობები.

ლის განაკვეთის დონეს, რაც ნახ. XVIII. 1.-ზე ნაჩვენებია ისრების მიმართულებით. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში, სავალუტო ბაზარი ღებულობს საგადასახადო ბალანსის სახეს, რომლის დადებითი სალდო მოასწავებს, უცხოურ ვალუტაზე გაცვლის გზით, ეროვნული ვალუტის წმინდა ყიდვას.

საგადასახადო ბალანსზე მოქმედი ფაქტორები იყოფა ორ ნაწილად: 1. სავაჭრო ბალანსზე და 2. კაპიტალის მოძრაობის ბალანსზე მოქმედ ფაქტორებად; სავაჭრო ბალანსის წმინდა ექსპორტი უკუპროპორციულ კავშირშია ეროვნულ შემოსავალთან და პირდაპირპროპორციულ კავშირშია ვალუტის კურსთან. იგი შეიძლება შეიცვალოს ასევე სამამულო საქონელზე არსებულ საზღვარგარეთულ მოთხოვნაში მომხდარი ეგზოგენური ძვრებითაც.

საგადასახადო ბალანსის ფინანსური ნაწილი უმთავრესად დამოკიდებულია სარგებლის, როგორც ეროვნული (i-ის), ისე საზღვარგარეთული (i*-ის) განაკვეთის ცვლილებაზე. სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთი მოიზიდავს კაპიტალს საზღვარგარეთიდან, იმ პირობით, თუ ადგილი აქვს სარგებლის რეალური განაკვეთის ზრდას, და არა, მზარდი ინფლაციით გამოწვეული ნომინალური განაკვეთის ზრდას. სარგებლის მაღალი განაკვეთი მოცემულ ქვეყანაში კაპიტალს მოიზიდავს საზღვარგარეთიდან და შექმნის საგადასახადო ბალანსის დადებითი სალდოს. მაგრამ ეს გამაუმჯობესებელი ეფექტი გრძელდება მხოლოდ დროის მოკლე პერიოდში (მაქსიმუმ ერთი წლის განმავლობაში). გრძელვადიან პერიოდში ეს მექანიზმი უკუმიმართულებით მოქმედებს

ამიტომ ეს მექანიზმი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ახლო მომავალში მოსალოდნელია ღრმა ეკონომიკური კრიზისი, მისი თავიდან აცილების, ან იოლ ფარგლებში მოგვარების მიზნით. ხანგრძლივ პერსპექტივაში სარგებლის შედარებით უფრო მაღალი განაკვეთი უარყოფით გავლენას ახდენს ბალანსზე.

§ XIX. 2. საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა საგადასახადო ბალანსზე

საგადასახადო ბალანსზე ეროვნული საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა მნიშვნელოვნად ხელს უწყობს ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას. საბიუჯეტო პოლიტიკა საგადასახადო ბალანსზე გავლენას ახდენს, როგორც ეროვნული შემოსავლის, ისე სარგებლის განაკვეთის ცვლილების მხრივ. ამის საილუსტრაციოდ საჭიროა პირობითად მოვახდინოთ ფისკალური პოლიტიკის სტიმულირება (ვთქვათ საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ზრდით). დამატებითი სახელმწიფო შესყიდვა ხარჯებს ზრდის ეკონომიკაში, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას, მაგრამ დამატებითი ხარჯვის სურვილი ვრცელდება უცხოური საქონლის შეძენაზეც. ამით გააუარესებს რა სავაჭრო ბალანსს ნათელი ხდება, რომ ექსპანსიონისტური ფისკალური პოლიტიკა აუარესებს მოცემული ქვეყნის საგადასახადო ბალანსის (ПВ-ის) მდგომარეობას. [1]



ნახ. XIX. 2.. მასტიმულირებელი ფისკალური პოლიტიკის გავლენა საგადასახადო ბალანსზე ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში.

---

[1] ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე" თბილისი 2001 წ. გვ. 291;

ნახ. XIX. 2-ზე ნაჩვენებია წამახალისებელ ფისკალურ ღონისძიებათა გავლენა საგადასახადო ბალანსზე. კერძოდ, **მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკა საგადასახადო ბალანსზე ორი არხის (ეროვნული შემოსავლებისა და სარგებლის განაკვეთის) მეშვეობით მოქმედებს: დროის ხანგრძლივ ასპექტში ორივე არხის მეშვეობით იგი იწვევს საგადასახადო ბალანსის გაუარესებას.**

საგადასახადო ბალანსზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა უფრო გამოკვეთილია. ფულის მიწოდების ზრდა აუარესებს საგადასახადო ბალანსს, განსაკუთრებით ექსპანსიის დასაწყისში. თუ ქვეყნის ცენტრალური ბანკი ეროვნულ კომერციულ ბანკებს უზრუნველყოფს დამატებითი რეზერვებით, რომელიც შეადგენს კრედიტების გაფართოების საფუძველს. ეროვნული კომერციული ბანკები ამ პოლიტიკას სასესხო ოპერაციების გაფართოებით პასუხობენ, რათა მიიღონ შემოსავლები საპროცენტო დანამატების სახით. სესხების გადიდების მიზნით მათ შორის გამართული კონკურენციული ბრძოლა გამოიწვევს სარგებლის განაკვეთის დაცემას, რასაც მოჰყვება საგადასახადო ბალანსის ორმხრივი გაუარესება. ბანკებისაგან დამატებით ნასესხები თანხები გამოიყენება დამატებითი ხარჯებისათვის, რომელიც ხმარდება ახალი საცხოვრებელი სახლების, საწარმოების მშენებლობას, მოწყობილობისა და ხანგრძლივი მოხმარების საგნების წარმოებას.



ნახ. XIX. 3.. ექსპანსიონისტური ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა საგადასახადო ბალანსზე ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში.

მსყიდველუნარიანი ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების ძირითადი პრობლემა. ამრიგად, დამატებითი ხარჯები იწვევს ეროვნული შემოსავლის მრავალგვარ ექსპანსიას, რასაც შედეგად თან ახლავს ქვეყნის შიგნით გასაყიდი საქონლისა და მომსახურების ფასთა ზრდა. შემოსავლებისა და ფასების ზრდა, თავის მხრივ, აფართოებს უცხოური საქონლის იმპორტს და აუარესებს სავაჭრო ბალანსს. ამავე დროს სარგებლის განაკვეთის დაცემა აიძულებს ფინანსური აქტივების მფლობელებს საზღვარგარეთ ეძებონ თავიანთი ფინანსური სახსრების უფრო მომგებიანი დაბანდების გზები. გარე გამსესხებლად გადართვის შედეგად, ეროვნული საბანკო დეპოზიტები იყიდება სხვა ქვეყნებში პროცენტული შემოსავლის მომტანი აქტივების შესაძენად. **მოგვიანებით უცხოეთში გასესხებული თანხები, პროცენტებთან ერთად, უკან ბრუნდება, რაც დადებითად იმოქმედებს საგადასახადო ბალანსზე, მაგრამ იგი ვერ შეცვლის სავაჭრო ბალანსის თავდაპირველ უარყოფით სალდოს. ამრიგად, ფულის მიწოდების ზრდა აუარესებს საგადასახადო ბალანსს, ხოლო ფულის მიწოდების შემცირება კი -- პირიქით, აუმჯობესებს მას.**

ამრიგად, საგადასახადო ბალანსზე ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა თითქმის ერთნაირია. თითოეული მათგანის გამოყენებისას ეკონომიკური აქტიურობის გაფართოებას მივყავვართ საგადასახადო ბალანსის გაუარესებამდე. მაგრამ საგადამხდელო ბალანსზე ამ ორი პოლიტიკის ზეგავლენის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია მათი ზემოქმედება სარგებლის განაკვეთზე, რომელიც ფისკალური სტიმულირებისას იზრდება, ხოლო საკრედიტო ექსპანსიის შედეგად კი--მცირდება. ხანგრძლივ პერიოდში ორივე სახის პოლიტიკა საგადასახადო ბალანსზე იმოქმედებს შემოსავლების ცვლილების მეშვეობით და ეს ზემოქმედება ერთნაირი იქნება (გააუარესებს მას).

თუ დროებით გვერდზე გადავდებთ სარგებლის განაკვეთზე ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენის ანალიზს და ყურადღებას გავამახვილებთ მათ მიერ მხოლოდ ერთობლივ ხარჯებსა და ეროვნულ შემოსავლებზე მოხდენილ გავლენას, მაშინ ამით გამოვიკვლევთ

მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად დილემას: მხოლოდ-დამხოლოდ ერთობლივი მოთხოვნის მარეგულირებელი ინსტ-რუმენტების გამოყენებით ხშირად შეუძლებელია ერთ-დროულად სამამულო მოთხოვნის დონის ამაღლება და საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესება.

	ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა	
საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა	უმუშევრობის მაღალი დონე	ინფლაციის მაღალი დონე
დადებითი სალდო (ПВ>0)	ერთობლივი მოთხოვნის გაფართოება	? ?
დეფიციტი (ПВ<0)	? ?	ერთობლივი მოთხოვნის შემცირება

ნახ. XIX. 4. ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების (შიდა და გარე წონასწორობის ერთდროულად მიღწევის) დილემა

ნახ. XIX. 4.-ზე ნაჩვენებია ეროვნული ეკონომიკის შიდა და გარე წონასწორობიდან გადახრის შესაძლო ოთხი შემთხვევა. ისტორიულად ამ პრობლემას ყველაზე მწვავედ განიცდიდნენ ის ქვეყნები, რომელთა ერთობლივი მოთხოვნა ძალზე დაბალი იყო, ხოლო საგადასახადო ბალანსი კი – დეფიციტური. (მარცხენა, ქვედა მეოთხედი).

საპირისპირო დილემას აწყდებიან იმ ქვეყნების მთავ-რობები, რომლებიც შეშფოთებულნი არიან საგადასახადო ბალანსის დადებითი სალდოს პირობებში, ინფლაციის ზრდით. (ნახ. XIX. 4.-ზე მას შეესაბამება მარჯვენა, ზედა მეოთხედი). ამ დროს ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლა აიძულებს ქვეყნებს ერთობლივი მოთხოვნის შეზღუდვას, მაშინ როცა ეს შეზღუდვა სტიმულს აძლევს საგადასახადო ბალანსის დადებითი სალდოს კიდევ უფრო ზრდას.

რა თქმა უნდა ამ დროს მაკროეკონომიკური წონასწო-რობის მარეგულირებელი ორგანოები შედარებით უფრო კარგ

ვითარებაში იმყოფებიან, ვიდრე პირველ შემთხვევაში, მაგრამ ეკონომიკის გაწონასწორების მცდელობაში მოგვიანებით მათ წინაშე წამოიჭრება ახალი პრობლემები (ნახ. XIX. 4.-ზე მათ შეესაბამება მარცხენა, ზედა და მარჯვენა, ქვედა მეოთხე-დები). მაგალითად წააწყდებიან რა საგადასახადო ბალანსის დადებითი სალდოსა და უმუშევრობის შეხამებას, ისინი საზოგადოების მხრიდან მადლობასაც კი დაიმსახურებენ, თუ გააძლიერებენ ერთობლივი მოთხოვნის სტიმულირებას. ზუსტად ასევე, თუ წააწყდებიან ისინი ინფლაციის მაღალი ტემპისა და საგადასახადო ბალანსის დეფიციტის შეხამებას, მაშინ მათ უნდა შეამცირონ ერთობლივი მოთხოვნა. მაგრამ ნახ. XIX. 4.-ის ზედა, მარცხენა და ქვედა, მარჯვენა მომენტებშიც კი მიღებული ასეთი ცალსახა პოლიტიკური გადაწყვეტილებები შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. მაგალითად ინფლაციასთან შეხამებული დეფიციტის მქონე ქვეყანამ შეიძლება დაიწყოს ერთობლივი მოთხოვ-ნის შემცირება იმ იმედით, რომ ერთდროულად გადაჭრის ორივე პრობლემას, მაგრამ შეიძლება აღმოჩნდეს ისეთ ვითარებაში, რომ თურმე ეს პრობლემები გადაწყდა, მაგრამ ქვეყნის წინაშე წამოიჭრა ახალი პრობლემა: მაგალითად, ინფლაციამ შეიძლება მანამდე დაუთმოს ადგილი უმუშევრობას, სანამ გაქრება საგადასახადო ბალანსის დეფიციტი. ქვეყანა კი აღმოჩნდება უკვე XIX. 4.-ის ქვედა, მარცხენა დილემის წინაშე..[1]

---

[1] ამ შეხედულების წინააღმდეგ გამოდის და დილემის არსებობას საერთოდ უარყოფს ეკონომიკური თეორიის საკითხების კვლევის სფეროში ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტი ვალრასი, მან დაამუშავა „საერთო წონასწორობის თეორია", რომელშიც იგი ხაზგასმით ამტკიცებს, რომ ყველა ბაზარი ავტომატურად მიისწრაფვის წონასწორობისაკენ. ამ თეორიის თანახმად, არსებობს ეროვნული ფასების, შემოსავლებისა და სხვა პარამეტრთა მხოლოდ ერთი კომბინაცია, რომლის დროსაც წონასწორობაში მოდის სავალუტო ბაზარი (ანუ, საგარეო ბალანსი), ეროვნული საქონლის ბაზარი (ანუ შიგა ბალანსი) და აგრეთვე ყველა სახის სხვა დანარჩენი ბაზარი. ეს რომ სწორი ყოფილიყო, მაშინ წარსულშიც არ უნდა ყოფილიყო მდგრადი უმუშევრობისა და დისბალანსის შემთხვევები. ვალრასის შეხედულების მიხედვით, გრძელვადიანი პერსპექტივით არსებობს წონასწორობის მიღწევი-საკენ მიმართული ტენდენცია. მაგრამ მსოფლიოში, სადაც გამუდმებით არსებობს სხვადასხვა სახის რყევები, კრიზისები და შოკები, ეკონომიკური

ამიტომ თუ ქვეყანას სურს გადაჭრას ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების ფუნდამენტური პრობლემა, ამისათვის საჭიროა, მან უარი განაცხადოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის ორი მიზნიდან ერთ-ერთის განხორციელებაზე, ან გამოიყენოს დამატებითი ინსტრუმენტი. კერძოდ:

1. უარი თქვას ვალუტის ფიქსირებულ კურსთა სისტემის შენარჩუნებაზე და საშუალება მისცეს სავალუტო ბაზარს, თვითონ მოვიდეს წონასწორობაში;

2. უარი თქვას ერთობლივი მოთხოვნის კონტროლზე. ამ დროს ფულის ეროვნული მიწოდება საგადასახადო ბალანსის მნიშვნელობით განისაზღვრება;

3. გამოიყენოს ეკონომიკური პოლიტიკის სხვა, დამატებითი ინსტრუმენტი.

ჩვეულებრივ პოლიტიკის მიზნებზე უარის თქმა ძალზე არაპოპულარული ნაბიჯია. ამიტომ ეკონომიკური წონასწორობის რეგულირების ყველზე უფრო გამართლებულ ტენდენციას წარმოადგენს ახალი ინსტრუმენტის ძიება. ყველაზე ლოგიკურია ერთობლივი მოთხოვნის დილემის გადაჭრის საშუალებად გამოყენებული იქნეს ერთობლივი მიწოდების რეგულირება. ამ დროს უნდა გატარდეს ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც, შრომის ნაყოფიერების ამაღლებითა და სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობის გაფართოებით, გაზრდის შემოსავლების დონეს.

§ XIX. 3. საკრედიტო-საბიუჯეტო კომბინაცია

მიუხედავად ამისა, არსებობს იმის საშუალება, რომ მოვიგოთ დრო და გადავჭრათ ეროვნული ეკონომიკის შიდა და გარე წონასწორობის პრობლემები, თუკი გამოვიყენებთ ამისათვის ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების სხვა ღონისძიებებს. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის

პოლიტიკის პრაქტიკული გამტარებლები ემხრობიან ეკონომიკური თეორიის კეინზიანურ დოქტრინას, რომელიც უარყოფდა გრძელვადიანი წონასწორობის მიღწევის მოლოდინის სტრატეგიას.

პირობებში ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების ფუნდამენტალური პრობლემის კვლევის შედეგად მეცნიერებმა **– რ. მანდელმა და მ. ფლემინგმა –** აღმოაჩინეს, რომ ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა – მოთხოვნის მართვის ეს ორი ძირითადი ინსტრუმენტი, სხვადასხვაგვარ შეფარდებით გავლენას ახდენს ეკონომიკის საშინაო და გარე წონასწორობაზე. სწორედ ეს განსხვავება ნიშნავს იმას, რომ საბოლოოდ ნამდვილად არსებობს ეკონომიკური პოლიტიკის რეგულირების ორი ინსტრუმენტი.

ამრიგად, ეროვნულ ეკონომიკაზე საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო ღონისძიებათა ზემოქმედებას შორის არსებულ ძირითად განსხვავებას წარმოადგენს ის, რომ ფულადი ექსპანსია აქვეითებს სარგებლის განაკვეთს, ხოლო საბიუჯეტო სტიმულირება კი ზრდის მას. ეს ამტკიცებს ძალზე მნიშვნელოვან დებულებას: **„ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი ცვლილებისას (ჩვენს შემთხვევაში ის საერთოდ არ იცვლება), სათანადო საკრედიტო-საბიუჯეტო კომბინაციის მეშვეობით, შეიძლება მივაღწიოთ სარგებლის განაკვეთის ნებისმიერ დონეს.”** რადგანაც სარგებლის განაკვეთი მოქმედებს საგადასახადო ბალანსის სიდიდეზე, რომლის დადებითი, ან უარყოფითი სალდოს დაძლევა შეიძლება ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი, მოცემული დონის პირობებში.

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა შეიძლება ისე იყოს კომბინირებული, რომ შესაძლებელი გახდეს ერთობლივი მოთხოვნისა და საგადასახადო ბალანსის მნიშვნელობათა ნებისმიერი შეხამება. კერძოდ, ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შეფარდებითი უპირატესობა აქვს საგადასახადო ბალანსის რეგულირებაში, ხოლო საბიუჯეტო პოლიტიკას კი –ერთობლივი მოთხოვნის რეგულირებაში.[1] ეკონომიკური პოლიტიკის ამ ორი ტიპის შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებით შესაძლებელია მოსახლეობის უმუშევრობისა და სა-

[1] ივარაუდება, რომ შესაძლოა სარგებლის განაკვეთის გადიდებით მოთხოვნის სტიმულირებამ გამოიწვიოს საზღვარგარეთიდან კაპიტალის ისეთი მოზღვავება, რომელიც ერთობლივი მოთხოვნისა და იმპორტის ზრდის მიუხედავად, ხანმოკლე პერიოდში გააუმჯობესებს საგადასახადო ბალანსს.

გადასახადო ბალანსის დეფიციტის ერთდროულად აღმოფ-ხვრა.

ნახაზზე ილუსტრირებულია ეკონომიკური პოლიტიკის ოთხი ამოცანიდან თითოეულის ამოხსნის შესაძლებლობა. დავიწყოთ ისევ საგადასახადო ბალანსის დეფიციტის დროს მძაფრი უმუშევრობის სიტუაციით (A წერტილი). ორი ვექტორი ასახავს მასტიმულირებელი ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის ერთეულოვან გავლენას. კერძოდ, f ვექტორი გვიჩვენებს, რომ ერთობლივი მოთხოვნის ზრდისკენ მიმართული საბიუჯეტო პოლიტიკა გააუარესებს საგადასახადო ბალანსს, m ვექტორი შეესაბამება ფულადი ექსპანსიის მნიშვნელობას, რომელიც f ვექტორის მსგავსად, ერთობლივი მოთხოვნის კიდევ ეფრო გაფართოებას იწვევს, მაგრამ m ფულადი ექსპანსია, სარგებლის განაკვეთის ვარდნის გამო, f ვექტორთან შედარებით უფრო მეტ ნეგატიურ გავლენას ახდენს საგადასახადო ბალანსზე.



ნახ. XIX. 5. ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის შეხამება, როგორც ეკონომიკის შიგა და გარე წონასწორობის მყისიერი აღდგენის საშუალება.

საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრაქტიკული გამოყენების მიზნით შემუშავებული პოლიტიკური რეკომენდაციების ანალიზი ხელსაყრელ მეთოდს ავლენს. საუბარია **რ. მანდელის** მიერ აღმოჩენილი „როლების განაწილების წესზე". საბიუჯეტო პოლიტიკა გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ სამამულო ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა კი – მხოლოდ

საგადასახადო ბალანსის გაწონასწორებისათვის. ამგვარი წესი ეკონომიკას უბიძგებს წონასწორობისაკენ. ეროვნული ეკონომიკის ნებისმიერი დისბალანსის აღმოფხვრა საბიუჯეტო პოლიტიკის პრობლემაა, ხოლო საგადასახადო ბალანსის გარღვევის განეიტრალება კი -- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრობლემა.

საგადასახადო ბალანსის მდგომარეობა	ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა	
	უმუშევრობის მაღალი დონე	ინფლაციის მაღალი დონე
დადებითი სალდო (ПВ>0)	საკრედიტო-საბიუჯეტო ექსპანსია	საბიუჯეტო ექსპანსია, საკრედიტო შეზღუდვა
დეფიციტი (ПВ<0)	საკრედიტო ექსპანსია, საკრედიტო შეზღუდვა	საკრედიტო-საბიუჯეტო შეზღუდვა

ნახ. XIX. 6. ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის შეხამება, როგორც ეკონომიკის შიგა და გარე წონასწორობის მიღწევის საშუალება.

იგივე ანალიზი შეიძლება ჩატარდეს დანარჩენ შემთხვევებშიც შესაბამისი ფისკალური-ფულადი კომბინაციის გამოყენებით. პრინციპი საერთოა: „სანამ მთავრობას პოლიტიკის იმდენივე ინსტრუმენტი მოეპოვება, რამდენი მიზანიც აქვს დასახული, მანამდე შესაძლებელი იქნება შექმნილი პრობლემის გადაჭრა".

ეს წესი საშუალებას იძლევა ნებისმიერი მაკროეკონომიკური პოლიტიკის დროს კონცენტრირება მოხდეს მხოლოდ ერთი ამოცანის ამოხსნაზე. მაგრამ ამასთან ერთად იგი მოითხოვს საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას შორის კოორდინაციის მაღალ დონეს. იგი საშუალებას აძლევს ნებისმიერ პოლიტიკას იმოქმედოს იმ მიზანზე, რომელზეც უფრო მეტად ახდენს გავლენას. მაგალითად, საგადასახადო ბალანსისა და სავალუტო ბაზრის სტაბილუ-

რობა უფრო მეტად აწუხებს ცენტრალურ ბანკს, ვიდრე მთავრობას. მაგრამ ეს წესი პრაქტიკაში შეიძლება არაეფექტიანიც აღმოჩნდეს. თუ თითოეული პოლიტიკა დროულად იღებს სიგნალს ეკონომიკური სისტემიდან, მაგრამ დაგვიანებით რეაგირებს მათზე, ამან შეიძლება არამდგრად რყევამდე მიიყვანოს ეკონომიკა, რაც კიდევ უფრო უარესია, ვიდრე ეკონომიკის რეგულირების უქონლობა.

ორივე სახის წონასწორობის მიღწევა განსაკუთრებით ძნელდება ფულის მასის დაურეგულირებლობის დროს. ეროვნული ეკონომიკის შიდა და გარე წონასწორობის დამყარების ანალიზში აქამდე ივარაუდებოდა, რომ მარეგულირებელი ორგანოები მთლიანად აკონტროლებენ თავიანთი პოლიტიკის ინსტრუმენტებს – ე. ი. ფულის მიწოდებასა და სახელმწიფო ბიუჯეტს. ეს ვარაუდი გამართლებულია მხოლოდ დროის ხანმოკლე პერიოდისათვის და დიდი ზომის ქვეყნებისათვის.

ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის დროს საგადასახადო ბალანსს შეუძლია გავლენა მოახდინოს ქვეყანაში არსებული ფულის მიწოდებაზე. რაც უფრო პატარაა ქვეყანა, ან რაც უფრო იგვიანებს „გამოძახილი" ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზე, მით უფრო ძნელია ქვეყანაში ფულის მასის კონტროლი. სხვადასხვა საფინანსო სისტემის დროს საგადასახადო ბალანსის მდგომარეობამ შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარად იმოქმედოს ქვეყანაში ფულის მიწოდებაზე.

როდესაც რეზერვები და ფული ერთსა და იმავე აქტივს წარმოადგენს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, მაშინ მართებულია ტოლობა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს საგადასახადო ბალანსის სალდოსა და ქვეყანაში არსებულ ფულის მასას.

ΔПВ. = Δ R = Δ M .....XIX. 1..

სადაც, ΔПВ არის საგადასახადო ბალანსის სალდო, ΔR -- სახელმწიფო რეზერვების ცვლილება, ხოლო ΔM კი –ფულის მასის ცვლილება. ფულის მასის ზრდის ტემპი მხოლოდ საგადასახადო ბალანსზეა დამოკიდებული.

Δ M / M =ΔПВ. / M ..... XIX. 2..

ამ შემთხვევაში ოქროს წმინდა იმპორტის არარსებობისას (Xწ< 0) არც ფულის მასის ზრდა შეინიშნება.

ეროვნული ფულის მასა შედგება მიმდინარე დეპოზიტებისაგან. ასეთ პირობებში ეროვნული ფულის მასა (M) შედგება საბანკო სისტემის რეზერვებისა (R-ის) და აქტივების (D) ჯამისაგან, რომელიც მიმდინარე ანგარიშთა ბალანსის მიხედვით, შეესაბამება მის ფულად ვალდებულებებს. თუ რეზერვები და ფული ერთი და იგივე სიდიდე არ არის, მაშინ სამართლიანია შემდეგი განტოლება:

M = R + D ..... **XIX. 3.**

და რამდენადაც

ΔПВ = Δ R, მაშინ **Δ M = ΔПВ + Δ D** ..... **XIX. 4.**

ანუ ფულადი მასის ზრდის ტემპი დამოკიდებულია, არამარტო საგადასახადო ბალანსზე, არამედ შიდა დაკრედიტების მოცულობაზეც:

Δ M / M = (ΔПВ + Δ D) / M ..... **XIX. 5.**

ფულის მიწოდების ზრდის ანალიზი საშუალებას იძლევა გამოიყოს სამი ძირითადი არხი, რომელთა მეშვეობითაც საგადასახადო ბალანსი გავლენას ახდენს ეროვნულ ფულადსაკრედიტო პოლიტიკაზე:

1. ცენტრალური ბანკი პასიურად ადევნებს თვალს ფულის მიწოდებაზე საგადასახადო ბალანსის დადებითი, ან უარყოფითი სალდოს ზემოქმედებას (ანუ როცა Δ D = 0, მაშინ Δ M = ΔПВ);

2. ზოგჯერ იგი ნაწილობრივ, ან მთლიანად ახდენს საგადასახადო დისბალანსის სტერილიზებას, აღმოფხვრის ფულის მიწოდებაზე მის ზემოქმედებას (ანუ როცა 0 < Δ D < ΔПВ, მაშინ Δ M / ΔПВ < 1);

3 ხანდახან ცენტრალური ბანკი მიჰყვება ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის „თამაშის წესს" და აძლიერებს საგადასახადო ბალანსის გავლენას ფულის მიწოდებაზე, იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოათანაბროს ეკონომიკის გარე დისბალანსი.

დანარჩენი ორი შემთხვევა -- „სტერილიზაცია” და „თამაშის წესები” შედარებით უფრო ხშირი და გავრცელებულია. ამიტომ ისინი ცალკე განხილვას საჭიროებენ.

§ XIX. 4. გარე დისბალანსისაგან ეკონომიკის დაცვის გზები ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

თანამედროვე საკრედიტო ინსტიტუტების არსებობისას, საბანკო სისტემას შეუძლია მოიცილოს საგარეო ანგარიშთა დისბალანსის უარყოფითი გავლენა ფულის მასაზე, საგარეო ანგარიშსწორებათა მთლიანი, ან ნაწილობრივი **სტერილიზების**_გზით. ბრუნვაში არსებული ფულის მასის სტერილიზება ისე უნდა მოხდეს, რომ ამ პროცესმა გავლენა არ მოახდინოს ფულის მიწოდებაზე. ფულის მასის სტერილიზება შეიძლება მოახდინონ ცენტრალურმა, ან კომერციულმა ბანკებმა. ჩენტრალურ ბანკს ამის გაკეთება შეუძლია გადახდათა სიჭარბეზე (დეფიციტზე) იმგვარი რეაგირებით, რომ შემცირდეს (გაფართოვდეს) კერძო ბანკების მიერ ფულადი სახსრების გაცემის შესაძლებლობები და ამისათვის გამოიყენოს ისეთი ბერკეტები, როგორიცაა, ოპერაციები ღია ბაზარზე, დისკონტის განაკვეთის, ანუ სარეზერვო ნორმის შეცვლა და ა. შ..

კერძო ბანკებს ამის განხორციელება შეუძლიათ, საგადასახადო ბალანსში მომხდარი ცვლილების შესაბამისად, ადგილობრივი კლიენტებისათვის მისაცემი სესხების მოცულობის შეცვლით. სრული სტერილიზაციის დროს კომპენსირდება საგარეო ანგარიშთა მთელი დისბალანსი. ამასთან შენარჩუნებული იქნება ფულის მასის წინასწარ განსაზღვრული ზრდა, რომელიც არ არის დამოკიდებული საგადასახადო ბალანსზე. მაგალითად, საგადასახადო ბალანსის დადებითი სალდო საერთოდ არ გამოიწვევს ფულის მიწოდების გაფართოებას, თუ საბანკო სისტემა შეამცირებს დაკრედიტების მოცულობას ზუსტად დადებითი სალდოს ოდენობით.

ე. ი. Δ M = 0, თუ Δ D = – ΔПВ. შესაბამისად თუ საბანკო სისტემას შეუძლია შიდა დაკრედიტების მოცულობა გაზარდოს ზუსტად დეფიციტის ტოლი სიდიდით, მაშინ მას შეუძლია სრულად მოახდინოს საგადასახადო ბალანსის დეფიციტის სტერილიზება,. ამრიგად, საგადასახადო ბალანსის დადებითი, ან უარყოფითი სალდო ფულის მიწოდებაზე მხოლოდ მაშინ ახდენს გავლენას, თუ საბანკო სისტემა არ ასტერილიზირებს საგარეო ანგარიშთა დაუბალანსებლობას.

საბანკო სისტემის მიერ ეროვნული ფულის მასაზე საგადასახადო ბალანსის მხრივ ზემოქმედებისაგან დაცვის შესაძლებლობები განსაზღვრული არ არის. თუ მისი დეფიციტი მდგრადი აღმოჩნდა (ΔПВ < 0), მაშინ ქვეყანას მალე გამოელევა თავისი რეზერვები (Δ R = 0). ამის გამო, იგი იძულებული გახდება, ან უარი თქვას ეროვნული ვალუტის კურსის ფიქსირებაზე, ან შეამციროს შიდა ფულის მასა, რათა ამით შეიზღუდოს ფულის მასის საზღვარგარეთ „გაჟონვა". მეორეს მხრივ, თუ ქვეყანას საგადასახადო ბალანსის მდგრადი დადებითი სალდო აქვს (ΔПВ>0), მაშინ იგი სხვა სახის პრობლემას შეეჯახება: მისი რეზერვების მოცულობა იმდენად გაიზრდება, რომ იგი შეიძლება გაუტოლდეს ბრუნვაში არსებულ ეროვნული ფულის მასას, რაც შემდგომში მიგვიყვანს ფულის მასის გაფართოების აუცილებლობამდე. [1]

ამრიგად, ადრე თუ გვიან საგადასახადო ბალანსი დაიწყებს ეროვნული ფულის მიწოდებაზე გავლენის მოხდენას. სტერილიზაციის პოლიტიკის განხორციელების ხანგრძლივობა დამოკიდებულია საგადასახადო დისბალანსისა და რეზერვების სიდიდეთა თანაფარდობაზე. საგადასახადო ბალანსის დეფიციტის სტერილიზება დიდხანს შეიძლება, თუ რეზერვები დიდია, ან დეფიციტი მცირეა და ადვილად დასაძ-

[1] დადებითი სალდოს სტერლიზაციას შეუძლია D ნულამდე დასწიოს, ეს მაშინ, როცა საგადასახადო დისბალანსი გაიზრდება M სიდიდემდე. სტერილიზაციის შემდგომი გაგრძელებისათვის D ნეგატიური უნდა გახდეს, ანუ ბანკებმა ფული კი არ უნდა გაასესხონ, არამედ თავად ისესხონ ეკონომიკის არასაბანკო სექტორისაგან. ასეთი შემთხვევა პრაქტიკაში ჯერ არ მომხდარა და თუ მოხდა იგი დიდ წინააღმდეგობებს გამოიწვევს.

ლევი.[1] ამასთან შეიძლება დადებითი სალდოს სტერილიზებაც, როცა არსებობს რეზერვების ზრდის შანსი.

როდესაც ცენტრალური ბანკის მიზანი არის საგარეო ანგარიშთა დისბალანსის სწრაფი ლიკვიდაცია, მაშინ ისინი სტერილი-ზაციის საპირისპირო ქმედებას ამჯობინებენ: ამ დროს საგადასახადო ბალანსის დეფიციტს ბანკები მიიჩნევენ ფულის მიწოდების შემცირების ნიშნად, რათა შემცირდეს საბიუჯეტო ხარჯები და უცხოური საქონლის იმპორტი. საგარეო ანგარიშთა დადებითი სალდო შესაბამისად, მათგან მოითხოვს ფულის მასის გადიდებას, რომელიც ასტიმულირებს სახელმწიფო ხარჯებსა და უცხოური საქონლის იმპორტს. ამრიგად, თუ ცენტრალურმა ბანკმა თავისთავზე აიღო, საგარეო დისბალანსის სწრაფი აღმოფხვრის გზით ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის განმტკიცების ვალდებულება, მაშინ მან იმავე მიმართულებით უნდა ცვალოს დაკრედიტების მოცულობა (D), რა მიმართულებითაც იცვლება საგადასახადო ბალანსი (Δ M /Δ ПВ > 1), .ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის დაცვის ამ სახეობამ მიიღო **„თამაშის წესის"** (ანუ **„კლასიკური წამლის")** სახელწოდება. ეს არის ერთ-ერთი არჩევანი, სადაც შემუშავებულია ცენტრალური ბანკის მოქმედების წესი.

მაგრამ ცენტრალური ბანკები, თვით I მსოფლიო ომამდე არსებულ ოქროს სტანდარტის სისტემის ფუნქციონირების დროსაც კი არ იცავდნენ ამ წესებს. ისინი უფრო ხშირად იყენებდნენ სტერილიზაციას (Δ M / ПВ < 1), აქედან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ საგარეო ანგარიშთა დაუბალანსებლობის სწრაფი აღმოფხვრის მიზნით, „თამაშის წესი", ფულად-საკრედიტო პოლიტიკის რეგულირების გზით, მოითხოვს ეკონომიკის შიგა სტაბილიზაციის მსხვერპლს.

თანამედროვე პირობებში საგადასახადო ბალანსის დადებითი და უარყოფითი სალდოს სტერილიზაცია თითქმის შეუძლებელი ხდება. „თამაშის წესის" დაცვა კი აუცილებელია

---

[1] სარეზერვო ვალუტის მქონე ქვეყანას შეუძლია დეფიციტის იგნორირება დიდი ხნის მანძილზე, რადგანაც უცხოელები იღებენ მის ფულად ვალდებულებებს და მაშასადამე რეზერვები არ იკარგება.

მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს კაპიტალის ქვეყნებს შორის მიგრაციის სრულ მობილურობას. **კაპიტალის ქვეყნებს შორის მიგრაციის სრული მობილურობა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სარგებლის განაკვეთის თუნდაც უმნიშვნელო ცვლილებაც კი იწვევს კაპიტალის პრაქტიკულად შეუზღუდავ საერთაშორისო დენადობას.**

თუ ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობა უაღრესად მგრძნობიარეა სარგებლის განაკვეთის თუნდაც უმნიშვნელო ცვლილების მიმართაც კი, მაშინ ქვეყანაში პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება ფულის მასის რეგულირება. საერთაშორისო ინვესტორებს თავიანთი საკრედიტო ოპერაციები გადააქვთ იმ ქვეყანაში, სადაც სარგებლის შედარებით უფრო მაღალ განაკვეთს იხდიან. ამ დროს სესხები ხორციელდება საბანკო დეპოზიტების სახით. უცხოეთიდან სარგებლის მაღალი განაკვეთის მქონე ქვეყანაში კაპიტალის შეუზღუდავი მოდინება უზრუნველყოფს საზღვარგარეთიდან ფულადი რესურსების ბევრად უფრო მეტი რაოდენობით მოდინებას, ვიდრე იგი განსაზღვრულია ცენტრალური ბანკის მიერ, და პირიქით, კაპიტალის შეუზღუდავი გადინება, საზღვარგარეთ მაღალი სარგებლის განაკვეთის გადახდის გამო, ქვეყნის ყველა რეზერვის (ოქროს, სარეზერვო ვალუტის და ა. შ.) სწრაფ დაკარგვას იწვევს. ასეთ პირობებში ფულის მასის სტერილიზაცია შეუძლებელია, რადგანაც იგი მთლიანად საგადასახადო ბალანსის მეშვეობით იმართება.

უკიდურეს შემთხვევაში ეს შესაძლებელია იმ ქვეყნებში, რომლებიც თავიანთი სიმცირის გამო, ფულის მსოფლიო მიწოდებაზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენენ. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის თვით არსებობის ფაქტიც კი სავარაუდოს ხდის კაპიტალის სრულ მობილურობას. თუ ინვესტორები დარწმუნებულნი იქნებიან იმაში, რომ ყველა ქვეყნის ვალუტის სამომავლო კურსი სტაბილური იქნება, მაშინ მათ გაუჩნდებათ მნიშვნელოვანი სტიმული, მეტი პროცენტული შემოსავლების მიღების ძიების მცდელობაში, გადაანაცვლონ შედარებით უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთის მქონე ქვეყნებში. ამიტომ მცირე ქვეყნებისათვის

უცხოური კრედიტების მიწოდება და მიმოქცევაში ფულის რაოდენობა განისაზღვრება ფულის მსოფლიო მიწოდებით.

ამის შედეგად ყველა პატარა ქვეყანაში სარგებლის განაკვეთის ცვლილების დინამიკა ბევრ ასპექტში ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. აშკარა ხდება, რომ სხვადასხვა ქვეყნის სარგებლის განაკვეთებს შორის კორელაცია ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის დროს უფრო ძლიერდება. კაპიტალის სრულ მობილურობას შეუძლია შეამციროს ეროვნულ ეკონომიკაზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენის ეფექტიანობა. სტაბილურ სავალუტო კურსთა სისტემის ფუნქციონირების პირობებში სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებს უჭირთ კრედიტების გაფართოება (ან შეზღუდვა). თუ ისინი შეეცდებიან ეროვნული ფულის მიწოდების შემცირებას და ამით – სარგებლის განაკვეთის ზრდას, მაშინ ეროვნული მსესხებლები კრედიტებს მოიზიდავენ საზღვარგარეიდან სხვადასხვა სახის ვალუტაში. ამ კრედიტების მოცულობა სავსებით საკმარისი იქნება იმისათვის, რომ შიდა სარგებლის განაკვეთი საერთოდ არ გაიზარდოს. ამიტომ სესხის აღების მსურველთათვის საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობა ნებისმიერი ქვეყნის ცენტრალური ბანკის მხრიდან ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვის მიუხედავად, არ მცირდება.

საბიუჯეტო პოლიტიკისათვის კაპიტალის სრული მობილურობა მოასწავებს ეროვნულ ეკონომიკაზე მისი ზემოქმედების გაძლიერებას. მასტიმულირებელ ფისკალურ ღონისძიებებს აღარ მიჰყავს ეკონომიკა სარგებლის განაკვეთის ზრდამდე, რადგანაც სახელმწიფო სესხების შეზღუდვა იფარება უცხოური კაპიტალის მოდინებით. ამდენად, გაზრდილი საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით სახელმწიფო არ გამოდევნის კერძო მსესხებლებს საკრედიტო ბაზრიდან. იგი საშუალებას აძლევს ფისკალურ პოლიტიკას სრულმასშტაბიანი მულტიპლიკაციური გავლენა მოახდინოს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე.

კაპიტალის სრული მობილურობისა და სარგებლის განაკვეთის გარე ფაქტორებზე დამოკიდებულების პირობებში განხორციელებული საბიუჯეტო ექსპანსია ფინანსური

ბაზრებიდან არ გამოდევნის კერძო მსესხებლებს. საბიუჯეტო პოლიტიკის ეს დამატებითი შესაძლებლობები ცხადია ფულის მასაზე კონტროლის დაკარგვის სრულ კომპენსირებას ვერ მოახდენს, რადგანაც სახელმწიფო ორგანოების მიერ, ხარჯების გაწევისა და გადასახადების „შეწერის" მექანიზმის გამოყენება რთული პროცესია, რომელიც ექვემდებარება პოლიტიკური კლიმატის ცვლილებათა გავლენას. მიუხედავად ამისა, ეს მცირე ზომის, ღია ეკონომიკის განვითარების სინამდვილეა ფიქსირებულ კურსთა სისტემის დროს.[1]

ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში კაპიტალის სრული მობილურობის წარმოქმნის ალბათობა იმას ნიშნავს, რომ ერთობლივი მოთხოვნის რეგულირების ინსტრუმენტთა რაოდენობა მცირდება ერთამდე–საბიუჯეტო პოლიტიკამდე. და კვლავ ახალი ფორმით წარმოიქმნება მოთხოვნის მართვის ძირითადი დილემა.. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში კვლავ არ არსებობს მისი იოლად გადაჭრის გზა, როგორც უმუშევრობის მაღალი დონისა და დეფიციტიანი საგადასახადო ბალანსის მქონე ქვეყნისათვის, ისე იმათთვისაც, რომელთაც ინფლაცია და საგადასახადო ბალანსის დადებითი სალდო აქვთ.

ამრიგად, ეროვნული ეკონომიკის წონასწორობის რეგულირება ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში ძალზე ძნელია. თუ ქვეყანას გააჩნია ეროვნული ეკონომიკის რეგულირების მხოლოდ ერთი ინსტრუმენტი, მაშინ მხოლოდ დიდი გამართლების შემთხვევაში აღმოჩნდება ერთობლივი მოთხოვნა იმ დონეზე, რომლის დროსაც საგადასახადო ბალანსი მოდის წონასწორობაში. საკრედიტო

---

[1] კაპიტალის სრული მობილურობის ანალიზის საფუძველზე გაკეთებული დასკვნები შეიძლება სხვაგვარადაც დამტკიცდეს: ნახ. XIX. 5-ზე კაპიტალის სრული მობილურობა იმას ნიშნავს, რომ m ვექტორი აღარ გვაქვს, რადგანაც მცირე ზომის, ღია ტიპის ეკონომიკაში ფულის მასის რეგულირებას საერთოდ არ შეუძლია გავლენა მოახდინოს ფულის მიწოდებაზე, ხოლო ფულად-საკრედიტო პოლიტიკა აისახება m ვექტორის ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ უფრო ძლიერი გადანაცვლებით, რასაც თან ახლავს შემოსავლების გაფართოება და ხანმოკლე პერიოდში საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესება (კაპიტალის მოდინება ხანმოკლე ვადით „გადაწონის" იმპორტის ზრდას).

ექსპანსია აქვეითებს სარგებლის განაკვეთს და იწვევს კაპიტალის გადინებას, ანუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას უპირატესობა აქვს საგადასახადო ბალანსზე ზემოქმედებაში, ხოლო საბიუჯეტო პოლიტიკას კი -- ერთობლივ მოთხოვნაზე. ამგვარად, შეიძლება შემუშავდეს ისეთი საკრედიტო-საბიუჯეტო კომბინაცია, რომელიც ქვეყანას თავიდან ააცილებს სამამულო და საგარეო ანგარიშთა წყვილ დისბალანსს.

თუ მარეგულირებელ ორგანოებს არ შეუძლიათ ზუსტად განსაზღვრონ ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობა, მაშინ მათ უნდა მიმართონ „როლების განაწილების წესს", რომელიც იძლევა ეროვნული ეკონომიკის შიდა და გარე წონასწორობის საჭირო კომბინაციასთან მიახლოების რეალურ შესაძლებლობას. როდესაც ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტები კარგად არის გამართული და სწრაფად მოქმედებს სამამულო ეკონომიკაზე, მაშინ შიგა და გარე ეკონომიკური წონასწორობის მიღწევა შეიძლება საბიუჯეტო (შიდა პრობლემების გადასაჭრელად) და ფულად-საკრედიტო (გარე წინააღმდეგობათა დასაძლევად) პოლიტიკის გამოყენებით.[1]

თუ შეუძლებელი ხდება მიღწეული იქნეს ბრუნვაში არსებული ფულის მასის სტერილიზაცია, მაშინ ფულის მიწოდება უკვე ვეღარ იქნება ეკონომიკური წონასწორობის მარეგულირებელი ინსტრუმენტი, ხოლო ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის დაცვამ კი შესაძლოა ფინანსური დამოუკიდებლობისა და ფიქსირებული პარიტეტის სისტემის „თამაშის წესზე" გადაყვანის შესაძლებლობაც კი მოსპოს. კაპიტალის სრულ მობილურობას შეუძლია ქვეყანა მიიყვანოს სარგებლის განაკვეთის დაფიქსირებამდე და ცენტრალურ ბანკს წაართვას ფულის მასის რეგულირების ფუნქცია.

რეზიუმე

1. ამ თავში გაანალიზებულია შიდა და გარე წონასწორობის მიღწევის შესაძლებლობები ფიქსირებულ სავალუტო

---

[1] ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე", თბილისი, 2001 წ. გვ. 291 -- 306;

კურსთა სისტემის პირობებში. „გარე” წონასწორობა სამამუ-ლო ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც მიიღწევა საგარეო ანგარიშთა დაბალანსებას სავალუტო კურსის ერთ, მუდმივ დონეზე ფიქსირების პირობებში, ხოლო „შიდა” წონასწორობა ეკონომიკის ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ერთობლივი მოთხოვნის მსყიდველუნარია-ნობა იმ დონეზე დგება, რომ იგი შეესაბამება სრულ დასაქმებას ინფლაციის გარეშე;

2. სწორედ ამ ორი მიზნის ერთდროულად მიუღწევლობა წარმოადგენს მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად დილემას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად განხილულია ეკონომიკური წონასწორობის კეინზიანური მოდელი ღია ეკო-ნომიკის პირობებში;

3. შიდა და გარე დისბალანსის ერთდროულად აღმო-საფხვრელად ქვეყანას გააჩნია ორი ეკონომიკური ბერკეტი. ესენია: საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომ-ლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საგადასახადო ბალანსის გაწონასწორებაზე ვალუტის ფიქსირებული კურსე-ბის დროს;

4. მასტიმულირებელი საბიუჯეტო პოლიტიკა საგადასა-ხადო ბალანსზე ორი არხის: შემოსავლებისა და სარგებლის განაკვეთის მეშვეობით მოქმედებს:. დროის ხანგრძლივ ასპექტში ორივე არხის მეშვეობით იგი იწვევს საგადასახადო ბალანსის გაუარესებას. დამატებითი საბიუჯეტო ხარჯები იწვევს ეროვნული შემოსავლის მრავალგვარ ექსპანსიას, რა-საც თან ახლავს ფასების ზრდა;

5. შემოსავლებისა და ფასების ზრდა, თავის მხრივ, აფართოებს უცხოური საქონლის იმპორტს და შედეგად -- აუარესებს სავაჭრო ბალანსს. ამავე დროს სარგებლის განაკ-ვეთის დაცემა აიძულებს ფინანსური აქტივების მფლობელებს საზღვარგარეთ ეძებონ თავიანთი ფინანსური სახსრების უფრო მომგებიანი დაბანდების გზები. მოგვიანებით უცხოეთ-ში გასესხებული თანხები, პროცენტებთან ერთად, უკან ბრუნდება, რაც დადებითად იმოქმედებს საგადასახადო ბა-ლანსზე, მაგრამ იგი ვერ შეცვლის ბალანსის უარყოფით ეფექტს;

6. ამრიგად, ფულის მიწოდების ზრდა აუარესებს საგადასახადო ბალანსს, ხოლო მისი შემცირება კი -- პირიქით, აუმჯობესებს მას. ეკონომიკური წონასწორობის პრობლემის მოკლევადიანი გადაწყვეტა შეიძლება მოხდეს სწორი საკრედიტო-საბიუჯეტო კომბინაციის მიღწევით. ეს დასკვნა მიიღეს რ. მანდელმა და მ. ფლემინგმა „ერთობლივი მოთხოვნის ნებისმიერი ცვლილებისას სათანადო საკრედიტო-საბიუჯეტო კომბინაციის მეშვეობით, შეიძლება მივაღწიოთ სარგებლის განაკვეთის ნებისმიერ დონეს.";

7. ამ დროს საჭიროა ზუსტად განისაზღვროს როლების განაწილების წესი, რომელიც შემუშავებულ იქნა რ. მანდელის მიერ. ეს ფუნქცია ეკისრება ეროვნული საბანკო სისტემას, რომელიც ირჩევს სტერილიზაციის, ან „თამაშის წესის" მეთოდს. ეს მტკიცება ეფუძნება კაპიტალის სრული მობილურობის ვარაუდს. კაპიტალის სრული მობილურობა იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში სარგებლის განაკვეთის თუნდაც უმნიშვნელო ცვლილებაც კი იწვევს კაპიტალის პრაქტიკულად შეუზღუდავ საერთაშორისო მიგრაციას. მაგრამ პრაქტიკული რეალობა ამტკიცებს, რომ კაპიტალის სრული მობილურობა სინამდვილეში მიუღწეველია.

ძირითადი ტერმინოლოგია

- ეკონომიკის შიგა და გარე წონასწორობა;
- საგადამხდელო ბალანსის წონასწორობა;
- მაკროეკონომიკური პოლიტიკის ძირითად დილემა;
- ეკონომიკური წონასწორობის კეინზიანური მოდელი;
- საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა;
- საკრედიტო-საბიუჯეტო კომბინაცია;
- როლების განაწილების წესი;
- სტერილიზაცია;
- „თამაშის წესი";
- კაპიტალის სრული მობილურობა.

ამოცანები

1. თუ მთავრობამ აირჩია მცირე, ღია ეკონომიკის მაკროეკონომიკური პოლიტიკა, მაშინ რა გავლენას მოახდენს გარე ბალანსის უზრუნველყოფის ჩვენისეულ პირობაზე ყოველი შემდეგი მოვლენა?

ა) ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ურანის საბადო;

ბ) სპილენძის მსოფლიო ფასი, რომელიც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ექსპორტის მთავარ შემადგენელ ნაწილს, განუხრელად იზრდება;

გ) მსოფლიოში მიმდინარეობს სპილენძის ფასის დროებითი ამაღლება;

დ) მსოფლიოში მიმდინარეობს ნავთობის ფასის დროებითი ამაღლება;

2. ოქროს სტანდარტის პირობებში, აღწერეთ როგორ აღდგება ორ – A და B ქვეყანას შორის საგადამხდელო ბალანსის წონასწორობა შემოსავლების B ქვეყნიდან A ქვეყანაში გადადინების შემდეგ;

3. 1914 წლამდე მოქმედი ოქროს სტანდარტის სისტემის ნაკლოვანებების მიუხედავად, სავალუტო კურსთა ცვლილება მასში მიმდინარეობდა საკმაოდ ნელა, მაგრამ ომთაშორის პერიოდში მსგავსი ცვლილებები ხდებოდა ბევრად უფრო ხშირად. რით შეიძლება აიხსნას, თქვენი აზრით, ვალუტის კურსთა სტაბილურობაში არსებული მსგავსი განსხვავების მიზეზები?

4. ოქროს სტანდარტის პირობებში შეიძლება გამოყენებული იქნეს მეტისმეტად მკაცრი მონეტარისტული პოლიტიკა, მსოფლიო სავალუტო რეზერვების შეზღუდულ მიწოდებაში თავისი წილის გაზრდის მიზნით გამართული ბრძოლის პირობებში. შეიძლება თუ არა ეს პრობლემა წარმოიქმნას იმ სისტემაში, რომელიც ეფუძნება სხვადასხვა ვალუტაში დენომინირებული ობლიგაციების სრულყოფილ შემცვლელობას?

5. ვთქვათ მცირე ქვეყნის ცენტრალური ბანკი აწყდება მსოფლიო საპროცენტო განაკვეთის r_f -ის ზრდის პრობლემას. როგორ შეიცვლება ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკის

სავალუტო რეზერვები და ქვეყნის ფულის მასა? შეუძლია თუ არა ცენტრალურ ბანკს გაანეიტრალოს ამ ცვლილებათა თუნდაც ერთი შედეგი სამამულო ღია ბაზარზე წარმართული ოპერაციების მეშვეობით?

6. როგორ აისახება კაპიტალის მოძრაობის ბალანსზე განხორციელებული ოპერაციების შეზღუდულობა შიგა და გარე ბალანსის მიღწევის პრობლემის გადაჭრაზე ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში? რას უდრის ასეთი შეზღუდვით გამოწვეული დანაკარგები?

7. რანაირად გაანალიზებდით მონეტარისტული და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის შემოღების შედეგებს, შიგა და გარე ბალანსის შენარჩუნების მიზნით, მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში?

8. 1987 წელს სავალუტო ბაზარზე ახორციელებდნენ მასშტაბურ ინტერვენციას. რა მონაცემები მოგცემდათ იმის თქმის საშუალებას, რომ ამ ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებდა მასტერილიზირებელ ხასიათს?

თავი XX

მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პრობლემები მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

სიდიადე აისბერგის მოძრაობისა სწორედ ის არის, რომ მხოლოდ მისი მერვედი ნაწილია ამოზიდული წყლიდან.

ე. ჰემინგუეი

ეროვნული ეკონომიკის შიგა და გარე წონასწორობის ერთდროულად მიღწევის საუკეთესო საშუალებაა **„ნება მიეცეს ვალუტის კურსს თვითონ „მოაგვაროს" გარე წონასწორობა, ხოლო მთელი მაკროეკონომიკური ძალისხმევა კი მომართული იყოს მხოლოდ ერთი პრობლემის – ქვეყნის შიგა წონასწორობის მოსაგვარებლად".** ამ იდეის გარკვეული წინასწარი მხარდაჭერა იმაში მდგომარეობს, რომ მცურავ სავალუტო კურსთა სისტემას შეუძლია წონასწორული მდგომარეობის დამყარება.

თუ ეროვნული ეკონომიკის გარე დისბალანსის იგნორირებას მივანდობთ მცურავ სავალუტო კურსთა სისტემას, მაშინ გაადვილდება, თუ გაძნელდება ამის მეშვეობით მაკროეკონომიკური პოლიტიკის გამოყენებით შიგა ეკონომიკის კონტროლი ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემასთან შედარებით? ამ მნიშვნელოვანი და პოლიტიკურად სადავო საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა, ვალუტის მცურავი და ფიქსირებული კურსების ურთიერთშედარების გზით, გარკვეული იქნეს ეროვნული ეკონომიკის რეაქცია მაკროეკონომიკურ შოკთა სხვადასხვა სახეობაზე. რომელი სავალუტო სისტემაც შედარებით უფრო ნაკლებად მგრძნობიარეს გახდის ერთობლივ მოთხოვნას ამა თუ იმ შოკის მიმართ, სწორედ ის უნდა გამოიყენოს ქვეყანამ სტაბილიზაციის პოლიტიკის ამოცანის გადასაჭრელად.

§ XX. 1. ღია ეკონომიკის მოდელი მცურავი კურსების დროს

ფიქსირებულ და მცურავ სავალუტო კურსთა სისტემების შესადარებლად საჭიროა გამოვიყენოთ ღია ტიპის ეკონომიკის მაკრომოდელი. ღია ტიპის მაკროეკონომიკური მოდელის მცურავ სავალუტო კურსთა სისტემაზე მოდიფიცირებისათვის, საჭიროა **საგადასახადო ბალანსის აქტივი (ПВ) შევცვალოთ ახალი ენდოგენური ცვლადით–ვალუტის კურსით (r-ით).**

სავალუტო კურსი აწონასწორებს ვალუტის ბაზარს, სამომხმარებლო არჩევანზე ზემოქმედებით – უცხოეთში იყიდოს საქონელი და მომსახურება, თუ თავის ქვეყანაში. მსგავსი არჩევანის გაკეთება გავლენას ახდენს სამამულო ნაწარმზე არსებული მოთხოვნის ფორმირებაზე.[1]

---

[1] სარგებლის განაკვეთისა და ეროვნული შემოსავლის დონის მსგავსად, რამდენადაც ვალუტის კურსი, გავლენას ახდენს სხვადასხვა სახის ბაზრებზე. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემაში უკვე გვაქვს ნამდვილად ურთიერთდაკავშირებული საბაზრო სისტემა. იგი ფიქსირებულისაგან იმით განსხვავდება, რომ ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემაში საგადასახადო ბალანსის აქტივი (ПВ) და ვალუტის ბაზარი წარმოებულ როლს ასრულებდა, იგი განიცდიდა ეროვნული შემოსავლისა და სარგებლის განაკვეთის ზემოქმედებას, მაგრამ სტერილიზაცია მასზე გავლენას არ ახდენდა.



ნახ. XX. 1. საერთო შეხედულება ღია ეკონომიკის მაკრომოდელზე მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

§ XX. 2. ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ წონასწორობაზე მცურავი კურსების დროს

ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გავლენა ეკონომიკურ წონასწორობაზე. ვალუტის მცურავი კურსთა სისტემის დროს ფულადი პოლიტიკა ძლიერ გავლენას ახდენს ეროვნულ შემოსავალზე. ამის გასარკვევად საჭიროა პირობითად გავზარდოთ ფულის ეროვნული მიწოდება. ფულის მიწოდების გაფართოება აადვილებს სესხის აღებას ეროვნულ ვალუტაში, ამცირებს სარგებლის განაკვეთს და იწვევს ხარჯების ზრდას. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში ხარჯების ზრდას, სარგებლის განაკვეთის დაწევით უნდა მოეხდინა საგადასახადო ბალანსის გაუარესება. ვალუტის კურსი რომ ფიქსირებული ყოფილიყო და საგადა-

სახადო ბალანსს გავლენა არ მოეხდინა ფულის მასაზე, მაშინ დასამტკიცებელიც არაფერი აღარ იქნებოდა (საგადასახადო ბალანსის დეფიციტი რომ არ სტერილიზდებოდეს და ფულის მასას ამცირებდეს იმის მიხედვით, თუ როგორ დატოვებდა ფული ქვეყანას, მაშინ ეკონომიკა ყოველგვარი ცვლილების გარეშე დაბრუნდებოდა საწყის მდგომარეობაში).



ნახ. XX. 2. ფულის მასის მიწოდების გაფართოების მოკლევადიანი შედეგები მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში

მოქნილი სავალუტო კურსთა სისტემის დროს საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შენარჩუნება არ შეიძლება. ახლა როცა უცხოურ ვალუტაზე არსებული მოთხოვნა კიდევ უფრო აჭარბებს მის მიწოდებას, ეროვნული ვალუტა კიდევ უფრო გაუფასურდება. ეროვნული ვალუტის გაუფასურება უადვილებს ადგილობრივ ფირმებს უცხოელებთან კონკურენციას, რამაც უნდა გამოიწვიოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება (მარშალ-ლერნერის სტაბილურობის პირობები აქ შესრულებულია). სამამულო ფირმების მიერ დამზადებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება გაზრდის ქვეყნის პროდუქციის წარმოების მოცულობას. ვალუტის გაუფასურებით გამოწვეული ერთობლივი მოთხოვნის ზრდა კიდევ უფრო აძლიერებს ფულის მასის ზრდით მიღებულ ეკონომიკურ აღმავლობას.

ამრიგად, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო ძლიერ ეფექტს ახდენს ეროვნულ შემოსავალზე მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემის დროს, ვიდრე ფიქსირებულისას, განსაკუთ-

რებით მაშინ, თუ ცენტრალური ბანკი ფიქსირებული ვალუტის კურსების დროს არ მიმართავს სტერილიზაციას. ეს დასკვნა სამართლიანია კაპიტალის მიგრაციის მობილურობის ხარისხის მიუხედავად. ქვეყნებს შორის კაპიტალი რომც მოძრაობდეს თავისუფლად, ფულადი პოლიტიკის გავლენა მოქნილი კურსების დროს მაინც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა. ფულის მასის გაფართოება კვლავ გამოიწვევდა ვალუტის გაუფასურებას. ეს კი, თავის მხრივ, გამოიწვევდა აგრეგირებული მოთხოვნის შემდგომ ზრდას. იმის მიუხედავად მივყავვართ, თუ არა კაპიტალის სრულ მობილურობას სარგებლის განაკვეთის უცვლელობამდე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით ეროვნული შემოსავლის გაკონტროლების მცდელობა არ იქნებოდა უსარგებლო, როგორც ეს ხდება ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში.

საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეროვნულ შემოსავალზე მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში. საბიუჯეტო პოლიტიკის მიერ ეროვნულ შემოსავალზე მოხდენილი გავლენის შედეგების ანალიზი მოქნილი ვალუტის კურსთა სისტემის დროს უფრო რთულია, ვიდრე ფიქსირებულისას, რადგანაც მას შეუძლია ნებისმიერი მიმართულებით იმოქმედოს გადასაცვლელ კურსზე. სახელმწიფო შესყიდვების (G-ს) ზრდა, ან გადასახადების შემცირება გაზრდის ერთობლივ ხარჯებსა და ეროვნულ შემოსავალს. შედეგად ამას მოჰყვება უცხოური საქონლის იმპორტის გაფართოება, სავაჭრო ბალანსის გაუარესება და ეროვნული ვალუტის კურსის ვარდნა. ამავე დროს საბიუჯეტო ექსპანსია, მთავრობის მიერ სესხების შეზღუდვის კვალობაზე, ზრდის სარგებლის განაკვეთს,. სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთი მოიზიდავს კაპიტალს საზღვარგარეთიდან.. ამიტომ იქმნება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: 1. ერთობლივი მოთხოვნის ზრდა, რაც აქვეითებს ეროვნული ვალუტის კურსს; და 2. კაპიტალის მოდინება, რომელიც დროებით ამყარებს ეროვნული ვალუტის კურსს. ცხადია, პირველი ტენდენცია დაძლევს მეორეს, რადგანაც ერთობლივი მოთხოვნის ეფექტი უფრო ძლიერი და ხანგრძლივი აღმოჩნდება, ვიდრე კაპიტალის მოდინე-

ბის ეფექტი, რადგანაც კაპიტალის მოდინების ეფექტი ნეიტ-რალდება შემდგომში, ამ კაპიტალზე სარგებლის განაკვეთის სახით, ვალის ძირითადი ნაწილისა და ვადაგადაცილების (თუ ექნება ადგილი ვალების გადახდის ასეთ გადავადებას) თანხების ქვეყნიდან გადინებით. ამის შედეგად საბიუჯეტო პოლიტიკამ უნდა გამოიწვიოს ვალუტის კურსის დაცემა. ამ გზით, სამამულო პროდუქციის წარმოების წასახალისებლად მან უნდა შექმნას საგარეო ვაჭრობაზე დამატებითი ბაზი-რებული სტიმული.



ნახ. XX. 3. საბიუჯეტო პოლიტიკის ხანმოკლე შედეგები ვალუტის მოქნილ კურსთა სისტემის პირობებში

როდის არის ეროვნული შემოსავალი უფრო სტაბილური ფიქსირებულ, თუ მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში? ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკას რომ შეეძლოს ეროვნული ეკონომიკის შიგა წონასწორობის უმტკივნეულო სტაბილიზება, მაშინ ამ კითხვაზე პასუხი იქ-ნებოდა ცალსახად ნათელი. ეს პოლიტიკა რომ უფრო ეფექტიანი ყოფილიყო მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემის დროს, მაშინ მცურავი სავალუტო კურსები საშუალებას მის-ცემდა ოფიციალურ ორგანოებს უფრო სტაბილურ მდგომა-რეობაში შეენარჩუნებინათ სამამულო ეკონომიკის შიგა წონასწორობა.[1]

[1] ჰ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე" თბილისი, 2001 წ. გვ. 306 – 313.

ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე, უცოდინრობის, თუ სხვა მიზეზით, ხშირად ძალზე არასრულყოფილია. მას ეროვნული ეკონომიკა მიჰყავს დესტაბილიზაციამდე, მაშინაც კი, როცა მთავრობას გააჩნია საკმარისი ინფორმაცია და ამოძრავებს კეთილშობილური საზოგადოებრივი ინტერესი. სათანადო ინფორმაციის მოპოვების გარეშე, მთავრობა ვერ განსაზღვრავს იმას, თუ რა სახის პოლიტიკა უნდა განხორციელოს ამა თუ იმ მომენტში. მაგალითად, მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება მოითხოვოს მასტიმულირებელ ღონისძიებათა გატარება, მაგრამ თუ ახლო მომავალში მთავრობა მოელის ციკლის შემობრუნებას დაცემიდან აღმავლობისაკენ, მაშინ მან არ უნდა მოახდინოს ეკონომიკის სტიმულირება, რადგანაც ამ დროს ერთობლივი მოთხოვნის ზრდა დაიწყებოდა ღონისძიებების გატარებიდან მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ, რაც ხელს შეუწყობდა ინფლაციის ტემპის დაჩქარებასა და ამით ეკონომიკას კიდევ უფრო გამოიყვანდა წონასწორობიდან. ასე რომ, პრაქტიკაში ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკის განხორციელების საკითხები ერთობ ჩახლართულია.

სამამულო ეკონომიკის მასტაბილიზირებელ ღონისძიებათა პრაქტიკულად გატარების სირთულეთა გათვალისწინებით, საჭიროა რეგულირების ისეთი ქმედითი ინსტრუმენტის შემოღება, რომლის გამოყენების შემთხვევაშიც ავტომატურად განხორციელდებოდა სტაბილიზაციის პოლიტიკა და იგი ნაკლებად დამოკიდებული გახდებოდა ოფიციალურ ორგანოთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ერთ-ერთ ასეთ მოქნილ მექანიზმად მიჩნეულია პროგრესული საგადასახადო სისტემა, რომლის დროსაც ავტომატური სტაბილიზატორები ისე არიან ჩაშენებული ერთობლივ მოთხოვნაში, რომ შემოსავლების მატების ძირითადი ნაწილი ავტომატურად მიდის გადასახადების მატებაში. საერთაშორისო ეკონომიკის პრობლემებზე მომუშავე ეკონომისტები ხშირად კამათობენ იმის თაობაზე, თუ რამ შეიძლება ითამაშოს უფრო ეფექტიანად ასეთი ავტომატური სტაბილიზატორის როლი: ფიქსირებულმა თუ მცურავმა სავალუტო კურსთა სისტემამ. რო-

მელმა სავალუტო რეჟიმმა შეიძლება უკეთესად დაიცვას ეკონომიკა გარე შოკებისაგან და შეამციროს დისბსლანსი?

§ XX. 3. ეკონომიკური წონასწორობის რღვევის გამომწვევი საგარეო შოკები

ხშირ შემთხვევაში მაკროეკონომიკურ შოკთა გამომწვევი ძირითადი წყაროა სამამულო პროდუქციის ექსპორტზე არსებული საზღვარგარეთული მოთხოვნის ხშირი რყევა. მსგავს რყევას განსაკუთრებით განიცდიან ის ქვეყნები, რომლებიც დასპეციალებულნი არიან პროდუქციის მხოლოდ მცირერიცხოვანი ჩამონათვალის ექსპორტზე. ამ პროდუქციაზე საზღვარგარეთ არსებული მოთხოვნა დიდადაა დამოკიდებული მათი იმპორტიორი ქვეყნების ეკონომიკაში შექმნილ ციკლურ მდგომარეობაზე. ექსპორტზე არსებული მოთხოვნის მსგავსი არასტაბილურობა აშფოთებთ ლითონის ისეთ ექსპორტიორ ქვეყნებს, როგორიცაა – ჩილე (სპილენძი), მალაიზია (კალა) და ა. შ.

რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებს შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ სამამულო პროდუქციის ექსპორტზე არსებული მოთხოვნის შეუცნობელ რყევებს, ერთობლივი მოთხოვნის სტაბილიზაციისაკენ მიმართული მაკომპენსირებელი მაკროეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების გზით. მაგრამ ამ დროს ძალზე ძნელია მოქნილი მასტაბილიზირებელი პოლიტიკის უზრუნველყოფა. ამისათვის საჭიროა ქვეყნებმა სწორად შეარჩიონ ვალუტის კურსთა ცვლილების რეგულირების რეჟიმი, რაც მათ თავიდან ააცილებს დამატებითი სპეციალური მაკროეკონომიკური ღონისძიებების გატარების აუცილებლობას. ამ მხრივ, სამამულო პროდუქციის ექსპორტზე არსებული უცხოური მოთხოვნის რყევის დასარეგულირებლად ბევრად უფრო ეფექტურია მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემის გამოყენება.

მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა ავტომატურ უკუქმედებას ახდენს სამამულო პროდუქციის ექსპორტზე არსებული უცხოური მოთხოვნის მხრიდან წარმოქმნილ შოკზე: როდე-

საც ეროვნულ ნაწარმზე უცხოური მოთხოვნა და შესაბამისად მისგან მიღებული საექსპორტო-სავალუტო შემოსავლები ეცემა, მაშინ ეროვნული ვალუტა იწყებს გაუფასურებას. ეს იწვევს სამამულო ნაწარმზე დამატებითი მოთხოვნის ფორმირებას. ექსპორტიორები შეამჩნევენ, რომ მათ პროდუქციაზე უცხოური მოთხოვნა იზრდება, რადგანაც გაუფასურებულ ეროვნულ ვალუტაში გამოხატული მათი პროდუქციის იგივე ფასები უცხოურ ვალუტაში გამოსახული მცირდება, რაც იზიდავს მის უცხოელ მყიდველებს.

იმპორტთან კონკურენციაში მყოფი პროდუქციის მწარმოებელი დარგები, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ შიდა ბაზრის სულ უფრო მეტი სეგმენტის სამამულო ნაწარმით დაკავებას, რადგანაც უცხოურ ვალუტაში იგივე ფასად წარმოებული იმპორტული ნაწარმი სულ უფრო ძვირი ჩანს გაუფასურებულ ეროვნულ ვალუტაში.. ვალუტის კურსის დაცემის ეს შედეგები მთლიანად ვერ ფარავს საექსპორტო შემოსავლების საწყისი დანაკარგების უარყოფით ეფექტს, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს სამამულო ეკონომიკის განვითარებაზე, მაგრამ ამ დანაკარგთა ნაწილობრივი კომპენსირების საშუალებას იძლევა.

სავალუტო კურსთა მოქნილი სისტემა აადვილებს ფულის მასის უცხოეთში გადინებისაგან დაცვასაც, რადგანაც ყოველი შოკის შემდეგ იგი კვლავ აწონასწორებს ფულის წმინდა საერთაშორისო ნაკადს. სამამულო პროდუქციის ექსპორტზე არსებული უცხოური მოთხოვნის მოულოდნელი ზრდის შედეგები ასიმეტრიულია აქ განხილული მოთხოვნის დაცემის შედეგების მიმართ. ამ დროს მწვავე უმუშევრობისა და რეალური შემოსავლის ვარდნის ნაცვლად თავს იჩენს ინფლაციის მკვეთრი დაჩქარების საშიშროება.[1]

---

[1] იმპორტის მიწოდების მკვეთრი რყევის მიერ ეროვნულ შემოსავალზე მოხდენილი გავლენის საბოლოო შედეგების ანალიზი გაცილებით უფრო რთულია სხვადასხვა სავალუტო რეჟიმის დროს. მიღებული შედეგები მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ექსპორტზე არსებული უცხოური მოთხოვნის მხრიდან გამოწვეული შოკი ა) ეროვნულ მსყიდველუნარიანობაზე და ბ) იმპორტის საერთო ღირებულებაზე.

უცხოური საქონლის იმპორტის მიწოდების რყევის მიერ სამამულო ეკონომიკის შიგა წონასწორობაზე მოხდენილი გავლენის შედეგები ნათელი იქნება, თუ განვიხილავთ ამ სფეროში ყველაზე უფრო მოსალოდნელი, და იმავდროულად საშიში რყევის ექსტრემალურ შემთხვევას: მოულოდნელ შეზღუდვას უცხოური პროდუქციის მიწოდებაში.. ეს ხდება მაშინ, თუ უცხოეთის კარტელები, ომები, ბლოკადები, გაფიცვები, ან მოუსავლიანობა „კრიტიკული" უცხოური საქონლის გარეშე ტოვებს მოცემულ ქვეყანას. იგი ეხება იმ სახეობის საქონლისა და მომსახურების იმპორტს, რომლის შეძენაზეც იხარჯება ეროვნული შემოსავლის უდიდესი ნაწილი, ხოლო ადგილობრივ მომხმარებელთა მხრიდან მათზე არსებული მოთხოვნა -- დიდია და იმავდროულად მაღალია მათი იმპორტისადმი (ანუ შესაბამისად მოხმარებისადმი) ზღვრული მიდრეკილებაც.

„კრიტიკული" საქონლის იმპორტის რყევით გამოწვეული შოკის ტიპური მაგალითია 1973-74 და 1979 წლების I და II სანავთობო შოკი. თუ უცხოური საქონლის (ვთქვათ, ნავთობის) მიწოდება მოულოდნელად შემცირდა, მაშინ ამის შედეგად ეროვნულ მომხმარებელთა მსყიდველუნარიანობა დაეცემა, ხოლო იმპორტის შესაძენად გაწეული ხარჯები კი გაიზრდება (რადგანაც ამ პროდუქციაზე არსებული ეროვნული ფასისმიერი მოთხოვნა არაელასტიურია). ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემისა და სტერილიზაციის პირობებში მსყიდველობითი უნარის დაკარგვა მთელ ეკონომიკაზე ვრცელდება, რაც იწვევს ეროვნული შემოსავლის მულტიპლიკაციური ეფექტით შემცირებას.

თუ ეროვნულ ბანკს არ ძალუძს (ან არ სურს) ფულის მასის „სტერილიზება", მაშინ ფულის მასაც დაიწყებს შემცირებას და კრიზისი ამით კიდევ უფრო გაღრმავდება. ასეთ პირობებში მოქნილი ვალუტის კურსთა სისტემა შეარბილებს უცხოური საქონლის იმპორტის მყისიერი შეწყვეტის მხრიდან გამოწვეულ მოულოდნელ შოკს. როგორც კი თავს იჩენს „კრიტიკული" საქონლის იმპორტის დეფიციტი, ეროვნული ვალუტა იწყებს გაუფასურებას, რაც სამამულო ნაწარმს უცხოურთან მიმართებაში ანიჭებს დროებით კონკურენციულ

უპირატესობას. ამის შედეგად მოხდება უცხოური საქონლის ჩამონათვალთაგან ზოგიერთი მათგანის სამამულო ნაწარმით ჩანაცვლება, ხოლო სამამულო პროდუქციის ექსპორტი კი გაიზრდება, რაც ნაწილობრივ მაინც დააკომპენსირებს „კრიტიკული" საქონლის იმპორტის მხრიდან გამოწვეულ შოკს. უცხოური საქონლის ეროვნულით ჩანაცვლება და სამამულო პროდუქციის ექსპორტის ზრდა ნაწილობრივ იცავს ეკონომიკას იმპორტის (ვთქვათ ნავთობის) მიწოდების შეზღუდვით გამოწვეული კრიზისისა და უმუშევრობისაგან, თუმცა იგი ნაწილობრივ გააძლიერებს „კრიტიკული" საქონლის იმპორტის შეზღუდვით გამოწვეულ ინფლაციას.[1]

არსებობს კიდევ ერთი გარეგანი შოკი, რომლის ზემოქმედებასაც შეიძლება დაექვემდებაროს სამამულო ეკონომიკის შიდა წონასწორობა. ეს არის მობილური ფონდების საერთაშორისო დენადობით გამოწვეული შოკი ისეთ მოვლენათა საპასუხოდ, როგორიცაა პოლიტიკური ცვლილებები, ან საერთაშორისო აქტივების ფლობაში ახალი შეზღუდვების შემოღება. საგარეო შოკის ეს სახეობა მოიცავს შიგა ეკონომიკური წონასწორობის რღვევის საფრთხეს და იწვევს ფულის მიწოდების ცვლილებას. კაპიტალის მოულოდნელი მოდინება იმუქრება ბრუნვაში არსებული ფულის მასის მოულოდნელი ზრდით, რაც შეიძლება მოხდეს სესხების გაცემის მომატებით, სარგებლის განაკვეთის ვარდნითა და საბიუჯეტო ხარჯების გაფართოებით. ეს კი საბოლოოდ ინფლაციას იწვევს. კაპიტალის მოულოდნელ გადინებას შეიძლება მოჰყ-

[1] „კრიტიკული საქონლის" იმპორტის მხრივ გამოწვეული შოკის ანალიზის დროს შეიძლება ქვეყანა წააწყდეს სხვა სახის სირთულეებსაც: „კრიტიკული საქონლის" ფასები განსაზღვრულია საზღვარგარეთული (შესაძლოა ექსპორტიორი ქვეყნის) ვალუტაში. ამ თვალსაზრისით, ნავთობთან მიმართებაში გაკეთებული ანალიზი შეიძლება გაართულოს ამ პროდუქციის ამერიკულ დოლარებში გაუფასურების ტენდენციამ. ნავთობსა და ნავთობ-პროდუქტებზე დაწესებული საერთაშორისო ფასების მოულოდნელმა აწევამ შეიძლება გაზარდოს მსოფლიო მოთხოვნა წამყვანი ქვეყნების კონვერტირებად ვალუტებზე და შეიძლება გამოიწვიოს მათი გაძვირება. თუმცა ამის ალბათობა გამორიცხულია ამერიკული დოლარის მიმართ, ერაყში მიმდინარე საომარი კამპანიის მზარდი დაფინანსების შედეგად დოლარის კურსის მკვეთრი ვარდნის გამო.

ვეს ბრუნვაში არსებული ფულის მასის გარკვეული ნაწილის გაყინვა, რაც ბიძგს მისცემს ეკონომიკური დაქვეითების პროცესს.

იმის გასარკვევად, თუ ვალუტის კურსთა რომელი სისტემა უზრუნველყოფს უფრო მეტ სტაბილურობას კაპიტალის მიგრაციით გამოწვეული შოკის დროს, განვიხილოთ ქვეყნიდან კაპიტალის მოულოდნელი გადინების შემთხვევა. ადვილი შესამჩნევია, რომ ამ სიტუაციაში ყველაზე უფრო ეფექტიანი არის ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის შემოღება, საგადასახადო ბალანსის ყოველნაირი გარღვევის სტერილიზაციის გზით. თუ მთავრობა შეძლებს, კაპიტალის მიგრაციის ზეგავლენისაგან, ბრუნვაში არსებული ფულის მასის დაცვას, რასაც თან ახლავს ფულის გადასვლა უცხოელ მსესხებელთა ხელში, მაშინ შოკი საერთოდ ვერ მოახდენს გავლენას ქვეყნის შიგა ეკონომიკური წონასწორობის რღვევაზე; ამ დროს ცენტრალური ბანკისათვის სავსებით საკმარისია ფულის უცხოელებისაკენ გადინების ანაზღაურება სამამულო რეზიდენტებისათვის ფულის გადაცემის მომატების გზით, მაგრამ თუ გადენილი ფულის მასის კომპენსირება ვერ მოხერხდა, მაშინ ბრუნვაში არსებული ფულის მასის შემცირების გამო, შეიმჩნევა ეროვნული შემოსავლის ვარდნის ტენდენცია.

მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემა კაპიტალის გადინებით გამოწვეული შოკის დროს იძლევა შუალედურ შედეგს და ამ სახით გამოწვეული შოკისაგან შედარებით უფრო უკეთესად იცავს ეკონომიკას, ვიდრე ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემა სტერილიზაციის გარეშე, როდესაც კაპიტალის მოულოდნელ გადინებას შეუძლია გამოიწვიოს მისი ტოლი ფულის მასის მეისიერი შემცირება. მოქნილი კურსების დროს კაპიტალის გადინებას მოჰყვება ეროვნული ვალუტის გაუფასურება, რაც სამამულო ნაწარმს გაუადვილებს უცხოურ საქონელთან კონკურენციას და შედეგად გააუმჯობესებს მოცემული ქვეყნის სავაჭრო ბალანსს. ასეთი მასტაბილიზირებელი ეფექტი შეუძლებელია მოხდეს სტერილიზაციის გარეშე ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის დროს. მოქნილი სავალუტო კურსების დროს ამ სახეობის

შოკის წმინდა ზემოქმედება ეროვნულ შემოსავალზე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მოუვა ფულის მასას. ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი, შიგა დაკრედიტების მოცულობის გაფართოების გზით, ადვილად ანაზღაურებს კაპიტალის გადინების მიერ ეროვნული ფულის მასაზე მოხდენილ თავდაპირველ გავლენას. თუ ცენტრალური ბანკი ნამდვილად მოახდენს ამ გზით ფულის მასის გადინების სტერილიზებას, მაშინ ამ დროს კაპიტალის გადინება ფაქტიურად ხელს შეუწყობს სამამულო ეკონომიკის აღმავლობას.

იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკა ექვემდებარება კაპიტალის ქაოსურ გადინებას, მაშინ ამ დროს მიღებული შედეგები ქვეყნისათვის შეიძლება აღმოჩნდეს სრულიად სხვადასხვაგვარი. ამ დროს, ცხადია, ყველაზე უფრო სტაბილური ვითარების შემქმნელია ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემა სტერილიზაციასთან შეხამებით. კაპიტალის საერთაშორისო მიგრაცია მაშინ საერთოდ ვერ ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნის ცვლილებაზე. როგორც ჩანს, ამ დროს ყველაზე უფრო ნაკლებად სტაბილურია სავალუტო კურსთა ფიქსირებული სისტემა სტერილიზაციის გარეშე, რომლის დროსაც კაპიტალის უცხოეთში გადინება გამოიწვევს შესაბამისი მოცულობის ფულის მასის ბრუნვიდან ამოღებას. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის შემოღება იძლევა შუალედურ შედეგებს. ამ შემთხვევაში კაპიტალის ქვეყნებს შორის მიგრაციამ შეიძლება შედარებით ნაკლებად შეამციროს ბრუნვაში არსებული ფულის მასა, ვიდრე ეს მოხდებოდა ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის დროს სტერილიზაციას გარეშე.

§ XX. 4. მაკროეკონომიკური პოლიტიკის არჩევანი

ეროვნული შემოსავლების ფორმირებაში არასტაბილურობა შეიძლება გამოიწვიოს სამამულო პროდუქციაზე და ფულზე არსებული მოთხოვნის ფორმირებაში მომხდარმა ქაოსურმა ძვრებმა. ასეთი შოკებით გამოწვეული დესტაბილიზაციის

ხარისხი კვლავ სავალუტო კურსთა სისტემის არჩევანზეა დამოკიდებული. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო ეფექტიანია მოქნილი სავალუტო კურსთა სისტემის დროს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ **მოუწესრიგებელი ძვრები ფულზე არსებულ მოთხოვნაში, მაგალითად, ისეთები, როგორიცაა ანაბრების მასობრივი ამოღება, ან „გაქცევა საქონელში", ანუ ინფლაციის დაჩქარების შიშით, ფულის თავიდან მოცილების ცდები მოქნილი ვალუტის კურსთა სისტემაში უფრო მძლავრი და დამანგრეველი იქნება.**

საბიუჯეტო პოლიტიკის ანალიზი განიხილება, როგორც საბიუჯეტო ხარჯებით გამოწვეული ნებისმიერი შიგა შოკის დამანგრევლობის ანალიზი, რადგანაც სახელმწიფო ხარჯების ზრდას ქვეყანა მიჰყავს საგადასახადო ბალანსის გაუარესებამდე, რითაც გამოწვეული შოკი გაცილებით უფრო დამანგრეველი აღმოჩნდება. [1]ამრიგად, ენდოგენური შოკების და ვალუტის კურსთა სხვადასხვა სისტემის პირობებში, ეროვნული შემოსავლის მდგრადობის ანალიზი საშუალებას იძლევა გაკეთდეს შემდეგი მნიშვნელოვანი დასკვნა: **„საგარეო შოკების დროს ეკონომიკა ადვილად ექვემდებარება სტაბილიზაციას მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში, ხოლო საშინაო შოკების წარმოქმნის დროს ამ მხრივ გაცილებით უფრო ეფექტურია ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემა".**

---

[1] აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დროს არ განიხილება ერთობლივი მიწოდების მხრიდან გამოწვეული საშინაო შოკთა შემთხვევები (ისევე როგორც, ვალუტის კურსთა ცვლილების მაკროეკონომიკური ანალიზის შესახებ არსებულ ლიტერატურაში). ერთობლივი მიწოდების ისეთი შოკები, როგორიცაა გაფიცვები და მოუსავლიანობა, ფასების ზრდის დროს იწვევს სამამულო პროდუქციის წარმოების დაცემას. ამ შოკებით გამოწვეული ვალუტის გაუფასურებამ ეროვნული ნაწარმის ექსპორტისა და უცხოური საქონლის იმპორტის მიმართ კონკურირებად საქონელზე მოთხოვნის სტიმულირებამ შესაძლებელია ქვეყანას თავიდან ააცილოს ეროვნული შემოსავლის დაცემა. მაგრამ იმავდროულად ეს პროცესი გააძლიერებს ინფლაციას. ვალუტის კურსთა სისტემებს შორის არჩევანი დამოკიდებული უნდა იყოს იმ არჩევანზეც, რომელსაც საზოგადოება აკეთებს სამამულო პროდუქციის წარმოების, ან ფასთა სტაბილურობის საკითხებთან მიმართებაში.

მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა გარკვეულწილად ხელს უშლის გარეგან დარღვევებს, მაგრამ იმავდროულად მან შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს შიგა გარღვევათა დამანგრეველი ეფექტი. ამრიგად, მაკროეკონომიკური სტაბილურობით დაინტერესებულ ქვეყანაში, **ვალუტის კურსთა ამა თუ იმ (მოქნილი, თუ ფიქსირებული) სისტემის შერჩევა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია შოკთა იმ სახეობაზე, რომელთანაც შეჯახების საშიშროება ემუქრება სამომავლოდ ქვეყანას.**

მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის არჩევის რეკომენდაცია ეძლევათ იმ ქვეყნებს, რომლებიც ავითარებენ სამამულო პროდუქციის ექსპორტზე ორიენტირებულ ეკონომიკას. მათი პროდუქციის ექსპორტზე არსებული უცხოური მოთხოვნა, თავის მხრივ, დამოკიდებულია პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკურ ციკლზე. მოქნილი კურსების მომხრე არგუმენტები კიდევ უფრო ძლიერდება, თუ პროდუქციის ექსპორტიორი ქვეყნები განიცდიან კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციაში მიმდინარე ძლიერ რყევებს. იმავდროულად არასტაბილური საბიუჯეტო ხარჯების მქონე ქვეყნებს უფრო მეტად გამოადგებათ ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემის შემოღება. თუ სახელმწიფო ხარჯების ზრდისას ქვეყანაში საბიუჯეტო პოლიტიკა არათანმიმდევრულად ხორციელდება, მაშინ ცენტრალურმა ბანკმა უნდა დააფიქსიროს ვალუტის კურსი, რადგანაც სავალუტო კურსთა მოქნილი სისტემის შემოღება ამ დროს კიდევ უფრო გაზრდის საბიუჯეტო პოლიტიკის არასტაბილურობას.

ამრიგად, **ეროვნულ შემოსავალზე ფულად-საკრედიტო პოლიტიკა შედარებით უფრო ძლიერად მოქმედებს მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის დროს, ვიდრე ფიქსირებულისას. საბიუჯეტო პოლიტიკას ასევე შეუძლია ეფექტი მოახდინოს იმ დაშვებით, რომ ექსპანსიონისტური პოლიტიკა აუარესებს საგადასახადო ბალანსს.** როდის უფრო ადვილია ეროვნული შემოსავლის სტაბილურობის შენარჩუნება: ფიქსირებული თუ მოქნილი სავალუტო კურსების დროს? **სამამულო ეკონომიკის სტაბილიზირება ჩვეულებრივ უფრო ადვილია მოქნილი კურსების დროს, თუ ეკონომიკა ისეთი გარე-**

განი შოკების ზემოქმედების ობიექტი ხდება, როგორიცაა: საექსპორტო შემოსავლებში, ან კაპიტალის ნაკადებში მომხდარი მნიშვნელოვანი რყევები. ეკონომიკის სტაბილიზირება გაცილებით უფრო ადვილია ფიქსირებული სავალუტო კურსების შემოღების დროს, თუ მას ემუქრება საშინაო შოკი.

ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში სტერილიზაციის მეშვეობით შესაძლებელია ფულის მასის ნებისმიერ ცვლილებათა იგნორირება. ამიტომ ეს არის ყველაზე უფრო მოსახერხებელი მეთოდი, რომელიც ალტერნატიულ ვარიანტად ითვლება დანარჩენ ორ რეჟიმთან (მოქნილ კურსებთან და სტერილიზაციის გარეშე ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემასთან) შედარებით. მათ შორის საუკეთესო ვარიანტის არჩევა დამოკიდებულია სამამულო ეკონომიკაში სამომავლოდ მოსალოდნელ შოკთა სახეობაზე.

სავალუტო პოლიტიკის არჩევანი. ფიქსირებულ და მცურავ სავალუტო კურსთა სისტემებს შორის არჩევანის გაკეთებისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, თუ რა ტიპის მაკროეკონომიკურ შოკს ელოდება ქვეყანა. სამამულო ეკონომიკაში მოთხოვნის მხრიდან მომხდარი გაუთვალისწინებელი რყევები მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის დროს უფრო საშიშია, ვიდრე ფიქსირებულისას. ვთქვათ, რაიმე მიზეზების გამო ერთობლივი მოთხოვნა უეცრად შემცირდა. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემის ფუნქციონირების დროს ეს გამოიწვევდა დასაქმებისა და უმუშევრობის რამდენადმე შემცირებას.

საგადასახადო ბალანსზე მოთხოვნის ზემოქმედებამ ვალუტის კურსის ერთ დონეზე ფიქსაციის შემთხვევაში შესაძლებელია ხელი შეუწყოს მისი სტაბილურობის ამაღლებას,. ეკონომიკური დაცემა ქვეყანას მიიყვანს საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებამდე, რადგანაც ერთობლივი მოთხოვნის დაქვეითება გამოიწვევს უცხოური საქონლის იმპორტის შემცირებას. უცხოეთიდან დამატებითი რეზერვების მიღება ხელს შეუწყობს ფულის მასის ზრდას, რაც ქვეყანას დაეხმარება ეკონომიკური კრიზისის დაძლევაში. ყოველ შემთხვევაში ფიქსირებული კურსების დროს დაქვეითება არ მიიღებს გაძლიერების დამატებით იმპულსს.

მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის დროს კი პირიქით – კრიზისი გაძლიერდება. საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესების ტენდენცია გამოიწვევს ეროვნული ვალუტის კურსის გამყარებას. ეს კი გააძვირებს ჩვენი ქვეყნის მიერ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მყიდველებისათვის. ამიტომ ეროვნული პროდუქციის წარმოებისა და დასაქმების დონე კიდევ უფრო მცირდება. ეს პროცესი გაგრძელდება მანამდე, სანამ სამამულო და იმპორტირებული პროდუქციის ფასები არ დაუბრუნდება „მსყიდველობითი უნარის პარიტეტის" დონეს. **შედეგი: შინაგანი შოკის წარმოქმნის დროს ეკონომიკური ვარდნა მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის ფუნქციონირებისას უფრო ღრმაა, ვიდრე ფიქსირებულისას.** ეს შედეგი ფიქსირებულ კურსთა სასარგებლოდ მიღებული კიდევ ერთი არგუმენტია.

იმ შემთხვევაში, თუ სამამულო ეკონომიკას უპირატესად ემუქრება საგარეო სავაჭრო შოკი, მაშინ ვითარება მკვეთრად იცვლება. ვთქვათ მოთხოვნამ სამამულო წარმოების პროდუქციიდან უცხოურზე გადაინაცვლა, რასაც შესაბამისად დაქვეითება მოჰყვება ეროვნულ ეკონომიკაშიც. ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემაში ვითარება ან არ შეიცვლება, ან კიდევ უფრო დაქვეითდება. საექსპორტო ბაზრების დაკარგვა აუარესებს საგადასახადო ბალანსს და შედეგად ამცირებს სავალუტო რეზერვებს. ამით შემცირდება ბრუნვაში არსებული ფულის მასა (თუ მთავრობა არ მიმართავს საგადასახადო ბალანსის დეფიციტის სტერილიზებას) და კიდევ უფრო გაღრმავდება ეკონომიკური კრიზისი. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემაში ხდება წარმოების დაცემის ამორტიზირება. საექსპორტო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების შემცირება გამოიწვევს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას და ამის ხარჯზე უცხოურთან შედარებით სამამულო პროდუქციის გაიაფებას, მასზე არსებული მოთხოვნისა და შესაბამისად მისი მიწოდების ზრდას. **შედეგი: საგარეო სავაჭრო შოკების წარმოქმნის შემთხვევაში ეკონომიკური დაცემა უფრო ღრმაა ფიქსირებული კურსთა სისტე-**

მის ფუნქციონირებისას, ვიდრე მცურავის დროს. ეს ფაქტი კი მეტყველებს მოქნილი კურსთა სასარგებლოდ. [1]

მაკროეკონომიკურ შოკთა ტიპები. სამამულო ეკონომიკის სტაბილურობა დამოკიდებულია მაკროეკონომიკურ შოკთა სახეებზე: „მის გარე, ან შიდა ბუნებაზე". ამას მივყავვართ მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის მხარდამჭერ ორ არგუ-მენტამდე:

1.**„რაც უფრო სტაბილურია ეროვნული მაკროეკონომიკუ-რი პოლიტიკა, მით უფრო მიმზიდველია მცურავ სავალუტო კურსთა შემოღება".** ბევრ ქვეყანაში ეროვნული ფუ-ლად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელე-ბის დროს დაშვებული შეცდომები წარმოადგენს მაკროეკო-ნომიკური არასტაბილურობის წარმოქმნის ერთ-ერთ ძირითად წყაროს. თუ შესაძლებელი გახდა, ჭარბი შესაძლებლობებით გამოწვეული სხვა შინაგანი შოკების (მაგალითად, სამშენებ-ლო ბუმის) პირობებში, პოლიტიკის ეს სახეობანი უფრო სტა-ბილური და წინასწარშეცნობადი გახდეს, მაშინ არასტაბი-ლურობის ძირითადი წყარო უკვე გახდება საგარეო სავაჭრო შოკები.[2]

2. რაც უფრო მეტად მიისწრაფვის ქვეყანა ავტონომიური ეკონომიკური პოლიტიკისაკენ, მით უფრო მეტად იხრება იგი მცურავ სავალუტო კურსთა სისტემისაკენ. როგორი სტა-ბილურიც უნდა იყოს ეროვნული ფულად-საკრედიტო და

---

[1] ჯ. ჰ. ლინდერტი. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე", თბილისი, 2001 წ. გვ. 313 – 325.

[2] ერთობლივი მოთხოვნის შემცირება საგადასახადო ბალანსზე იმოქმედებს სარგებლის განაკვეთის ცვლილების მხრივაც. თუ მოთხოვნა დაეცა ფულის მასის შემცირების გამო, მაშინ სარგებლის განაკვეთს ექნება ზრდის ტენდენცია. ეს მოიზიდავს კაპიტალს საზღვარგარეთიდან და ხანმოკლე ვადით გააუმჯობესებს საგადასახადო ბალანსს, სანამ დადგება ვალის ძირითადი ნაწილისა და საპროცენტო დანამატების გადახდის დრო. თუ მოთხოვნა შემცირდა სახელმწიფო ხარჯების შემცირების გამო, მაშინ ამას მოჰყვება სარგებლის განაკვეთის უკუქმედება. საგადასახადო ბალანსის ცვლილება, რომელიც სარგებლის განაკვეთის შეცვლითაა გამოწვეული, საბოლოო ანგარიშით უფრო უმნიშვნელო იქნება, ვიდრე ერთობლივი მოთ-ხოვნისა და უცხოური საქონლის იმპორტის შემცირებით განპირობებული საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესება.

საბიუჯეტო პოლიტიკა, ქვეყანა მაინც მიისწრაფვის მისი რეალური დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ.

ეროვნული ვალუტის კურსის თავისუფალი ცურვა საშუალებას აძლევს მთავრობას შეამციროს ქვეყანაში ფულის შემოდინება. ეროვნული ვალუტის კურსის ზრდა სამამულო პროდუქციის გაძვირებას იწვევს, რაც ამცირებს საგადამხდელო ბალანსის ჭარბ, დადებით სალდოს, ფულის მოდინებასა და ინფლაციას.

ფიქსირებულ სავალუტო კურსთა სისტემა უფრო მეტად შეეფერება ისეთ სახელმწიფოებს, რომელთაც გააჩნიათ სტაბილური საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა, ან კიდევ ისეთებს, რომლებიც მიისწრაფვიან ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ავტონომიისაკენ.

სავალუტო პოლიტიკის შესახებ ზემოთ მოყვანილი ანალიზის დროს ვლინდება შემდეგი სახის კანონზომიერება: **მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა შედარებით უფრო გავრცელებულია შემოსავლების მაღალი დონის მქონე სახელმწიფოებში, ვიდრე განვითარებად ქვეყნებში. ვალუტის კურსთა მოქნილობის ხარისხი პირდაპირპროპორციულია მოსახლეობის ერთ სულზე არსებული შემოსავლისა.**

რეზიუმე

1. ამ თავში განხილულია ეკონომიკური წონასწორობის მიღწევის პრობლემები მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში, რომლის დროსაც საჭიროა „ნება მიეცეს ვალუტის კურსს თვითონ „მოაგვაროს" ეკონომიკის გარე წონასწორობა, ხოლო მთელი ძალისხმევა მომართული იყოს მხოლოდ შიგა წონასწორობის მოსაგვარებლად";

2. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემაზე დია ეკონომიკის გადასაყვანად საჭიროა საგადასახადო ბალანსის აქტივი (ПВ) შევცვალოთ ახალი ენდოგენური ცვლადით – ვალუტის კურსით (r-ით);

3. არსებობს ეკონომიკის წონასწორობის რღვევის გამომწვევი სამი ძირითადი საგარეო ფაქტორი. ესენია: ეკონომიკური წონასწორობის რღვევა: ა) ექსპორტზე უცხოური

მოთხოვნის მხრივ, ბ) იმპორტის მიწოდების მხრივ და გ) კაპიტალის მიგრაციის მხრივ;

4. მოუწესრიგებელი ძვრები ფულზე არსებულ მოთხოვნაში, მაგალითად, ისეთები, როგორიცაა საბანკო სექტორიდან ანაბრების მასობრივი ამოღება, ან ფულის „გაქცევა საქონელში", ანუ ინფლაციის დაჩქარების შიშით ფულის თავიდან მოცილების ცდები, მოქნილი ვალუტის კურსთა სისტემაში უფრო მძლავრი იქნება, ვიდრე ფიქსირებულის დროს;

5. საგარეო შოკების დროს ეკონომიკა ბევრად უფრო ადვილად ექვემდებარება სტაბილიზაციას მოქნილ სავალუტო კურსთა სისტემის პირობებში, ხოლო საშინაო შოკების წარმოქმნის დროს ამ მხრივ გაცილებით უფრო ეფექტურია ფიქსირებული სავალუტო კურსთა სისტემა;

6. მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა გარკვეულწილად ხელს უშლის გარეგან დარღვევებს, მაგრამ იმავდროულად მან შეიძლება კიდევ უფრო გააძლიეროს შიგა გარღვევათა დამანგრეველი ეფექტი;

7. მცურავი სავალუტო კურსთა სისტემის არჩევის რეკომენდაცია ეძლევათ იმ ქვეყნებს, რომელთა ეკონომიკაც ექსპორტზეა ორიენტირებული, ან მიისწრაფვის ავტონომიურობისაკენ. ეროვნულ შემოსავალზე ფულადი პოლიტიკა მცურავ სავალუტო კურსთა სისტემის დროს უფრო ძლიერად მოქმედებს, ვიდრე ფიქსირებულისას;

ძირითადი ტერმინოლოგია

- წონასწორობის რღვევის გამომწვევი საგარეო შოკები;
- ენდოგენური ცვლადი. ეგზოგენური ფაქტორი;
- ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა;
- ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ავტონომიურობა;
- ვალუტის კურსთა მოქნილობის ხარისხი.

ამოცანები

1. როგორ იცვლება მოთხოვნა-მიწოდების გრაფიკის განლაგება ინვესტიციებზე მოთხოვნის ცვლილების დროს?

2. ვთქვათ მმართველობა საბაჟო ტარიფს აწესებს ყველა იმპორტირებულ საქონელზე. ამ ღონისძიებათა მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე მოხდენილი გავლენის გაანალიზებისათვის გამოიყენეთ მოთხოვნა-მიწოდების მოდელი. განიხილეთ დროებითი და მუდმივი ბაჟის დაწესების შემთხვევები.

3. ვთქვათ, ქვეყანაში სამამულო პროდუქციაზე მოთხოვნა მუდმივად ქვეითდება. როგორ აისახება ეს ცვლილებები სამამულო წარმოების მოცულობაზე? რა სახის პოლიტიკის გამოყენებას ურჩევდით მთავრობას ამ შემთხვევაში?

4. რა გავლენას მოახდენს წმინდა ექსპორტის სიდიდეზე გადასახადების პერმანენტული დაქვეითება და სახელმწიფო ხარჯების პერმანენტული ზრდა? რამდენად შეესაბამება გაცემული პასუხი პრაქტიკულ რეალობას?

5. ვთქვათ, დაბალანსებული ბიუჯეტის პირობებში, სამამულო პროდუქციის წარმოების სტიმულირების მიზნით, მთავრობამ გადაწყვიტა გადასახადების დაქვეითება. მაშინ საჭირო ხდება საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვა, დამატებითი რაოდენობის ბანკნოტების გამოშვების ხარჯზე, რითაც იგი ცდილობს თავისი ხარჯების დაფარვას. ამ შემთხვევაში მოელით თუ არა, რომ გადასახადების შემცირება გამოიწვევს ვალუტის კურსის ამაღლებას?

6. ვთქვათ, ქვეყანაში შეიმჩნევა ვალუტის გაუფასურება, რაც იმავდროულად იწვევს წმინდა ექსპორტის შემცირებას. რა მონაცემები უნდა შეაგროვოთ თქვენი ვარაუდის დასამტკიცებლად, რომ თქვენ შეამჩნიოთ *J* მრუდზე აღწერილი ეფექტი? *J* მრუდის ეფექტთან მიახლოებული, რა სახის მაკროეკონომიკურ ცვლილებას შეეძლება ვალუტის ღირებულების დაქვეითება?

7. ვთქვათ, ახლად არჩეული მთავრობა აცხადებს მის გადაწყვეტილებას ფულის მასის ზრდის შესახებ. გამოიყენეთ მოთხოვნა-მიწოდების მოდელი მსგავს განაცხადზე ეკონომიკის რეაქციის გაანალიზებისათვის.

8. რანაირად გამოისახება მოთხოვნა-მიწოდების მოდელში ის შემთხვევა, როცა წმინდა ექსპორტის სიდიდე რეაგირებს სავალუტო კურსის ცვლილებაზე? მონეტარული და საფინან-

სო-საბიუჯეტო პოლიტიკის ცვლილების ეფექტის გამოკვლევისთვის გამოიყენეთ *J* მრუდის მოდიფიცირებული გრაფიკი;

9. გამოიყენეთ მოთხოვნა-მიწოდების მოდელი უცხოურ ფასთა P_f -ის დონის ამაღლების სხვადასხვა შედეგების გამოკვლევისათვის. თუ ჩავთვლით, რომ მოსალოდნელი გაცვლითი კურსი – r_f, მსყიდველობითი უნარის პარიტეტის თეორიის შესაბამისად, P_f -ის პროპორციულად ნელა იზრდება, მაშინ აჩვენეთ, რომ ეროვნული ვალუტის ღირებულება გაიზრდება იგივე პროპორციით. თუ თავდაპირველად ეკონომიკა იმყოფება შიგა და გარე ბალანსის წონასწორობაში, მაშინ შეიცვლება, თუ არა ეს მდგომარეობა P_f -ის ზრდის კვალდაკვალ?

10. გაანალიზეთ უცხოური საპროცენტო განაკვეთის i_f -ის დროებითი ზრდის გავლენა ეკონომიკურ წონასწორობაზე. ვალუტის კურსის რომელი – ფიქსირებული, თუ მცურავი რეჟიმის დროს მოახდენს უფრო ნაკლებ გავლენას i_f -ის ასეთი ზრდა სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობაზე?

11. ვთქვათ უცხოური სარგებლის განაკვეთი -- i_f სტაბილურად იზრდება. რა გავლენას მოახდენს ეს ცვლილება ეკონომიკის წონასწორობაზე? აისახება თუ არა i_f -ის ასეთი ცვლილება უცხოური რეალური საპროცენტო განაკვეთის ზრდაზე, ან უცხოური ინფლაციის ზრდის მოლოდინზე?

12. თუ მსოფლიო ინფლაცია მუდმივი ტემპით იზრდება, მაშინ უნდა ველოდოთ თუ არა იმას, რომ დროის ხანმოკლე პერიოდში, მცურავ სავალუტო კურსთა სისტემა დაიცავს მისგან სამამულო ეკონომიკას? რა შეიძლება მოხდეს ამ დროს გრძელვადიან პერიოდში? ბოლო კითხვაზე პასუხის გაცემისას ყურადღება გაამახვილეთ ეროვნულ და უცხოურ ეკონომიკაში დაწესებულ სარგებლის განაკვეთებს შორის გრძელვადიანი დამოკიდებულების არსებობას?

ნაწილი V

წარმოების ფაქტორთა მიგრაცია

თავი XXI

სამუშაო ძალთა მიგრაციის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

დღეს მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რა რესურსებს ფლობ, არამედ იმას, თუ როგორ იყენებ მას.

რ. ბლოხინი

ქვეყნებს შორის საწარმოო ფაქტორთა მიგრაციის ყველაზე უფრო მობილურ საშუალებას წარმოადგენს სამუშაო ძალა. იგი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთ-ერთი პირველი და უძველესი ფორმაა. მიგრანტები ძალზე რისკავენ უცხოეთში მოღვაწეობის დროს, რადგანაც მათ ყოველ ნაბიჯზე საფრთხე ემუქრებათ. ისინი შეიძლება დაავადნენ, მოატყუონ, სამუშაო ვერ იშოვონ, შინ ხელმოცარულნი და იმედგაცრუებულნი დაბრუნდნენ. მაგრამ თუ მიგრანტებს გაუმართლდათ, მაშინ ისინი დიდ მოგებას მიიღებენ. არსებობს სამუშაო ძალთა მიგრაციის ორი ძირითადი მოტივი. ესენია: პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზები.

დაბალშემოსავლიანი ქვეყნების კვალიფიცირებული სპეციალისტების შემოსავლები იზრდება ამერიკაში, ავსტრალიაში, ინგლისსა და სპარსეთის ყურის ქვეყნებში მიგრაციის შედეგად, რითაც ისინი კომფორტაბელურ ცხოვრებას იწყობენ თავიანთ ქვეყნებში, ეხმარებიან თავიანთ შვილებს, იქმნიან ცხოვრების კარგ პირობებს და მოსახლეობის მდიდარ ფენაში იმკვიდრებენ ადგილს. ამ მიზნის მისაღწევად მიგრანტები მუდმივად, ან დროებით გადახვეწილნი არიან საზღვარგარეთ.

§ XXI. 1. შრომითი რესურსების მიგრაციის საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები

1990-იანი წლების შემდეგ, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, მსოფლიო ბაზარზე გამოვიდა **15 ახლადდამოუკიდებელი ქვეყანა,** რომელთაც საკმაოდ მაღალი გადახდისუნარიანი ბაზარი და ჩამკვდარი სამამულო წარმოება ჰქონდათ. შედეგად აღმავლობა განიცადა მათი მოვაჭრე-პარტნიორი ქვეყნების პროდუქციის წარმოებამ და შესაბამისად -- ახალ უცხოელ, და მათ შორის „საბჭოურ" მუშახელზე არსებულმა მოთხოვნამ, ეს მაშინ, როცა „ყოფილ სოციალისტურ სივრცეში" სამამულო წარმოების დაკნინებამ მნიშვნელოვნად დააქვეითა მოთხოვნა ადგილობრივ მუშახელზე. შედეგად, ამ ქვეყნების სამუშაო ძალა ინტენსიურად ემიგრირდა დასავლეთ ევროპის, აშშ-ს, აზიის მრეწველობით განვითარებულ და ახლო-აღმოსავლეთის ნავთობით მდიდარ ქვეყნებში. შესაბამისად მათ სავაჭრო ბალანსში შეექმნათ დეფიციტი, ხოლო შემოსავლების ბალანსში კი -- დადებითი სალდო. ეს იმას მიუთითებს, რომ ეროვნული წარმოების კრიზისის პირობებში, ადგილობრივ მომხმარებელთა მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება უცხოური საქონლის იმპორტის ხარჯზე, საზღვარგარეთ სამუშაოდ ემიგრირებულ მუშაკთა მიერ გამომუშავებული თანხების დედა-სამშობლოში რეპატრირებით.

იმის გამო, რომ ცალკეული ქვეყანა დამოუკიდებლად, თავისი კანონებით საზღვრავს მიგრაციული პოლიტიკის მიზნებსა და მიმართულებებს, სამუშაო ძალთა ქვეყნებს შორის მიგრაციის მარეგულირებელ ღონისძიებათა კომპლექსის ფორმირების მიზნით საჭიროა შემუშავდეს შრომითი რესურსების მიგრაციის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, ნორმებისა და ნორმატივების ერთიანი მექანიზმი. მიგრაციული პროცესების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენცია საზღვრავს საერთაშორისო სამართალსა და ეროვნულ კანონმდებლობას შორის კავშირს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მსოფლიო მეურნეობაში მოცემული ქვეყნის ინტეგრირების სფეროში, ისე მიგრანტებისა და მათი უფლებების დაცვისათვის.

შრომითი რესურსების ქვეყნებს შორის მიგრაციის მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ამ პროცესს არეგულირებს ორი (ან უფრო მეტი) მხარე მაინც, რომელთაც გააჩნიათ თავიანთი (შეიძლება სრულიად სხვადასხვაგვარი, ან უფრო მეტიც, ურთიერთსაწინააღმდეგო) ინტერესები. ასე მაგალითად, თუ სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყანა დაინტერესებულია მაქსიმალურად გამოიყენოს უცხოეთის სამუშაო ძალის სამეწარმეო შესაძლებლობები, მაშინ მათი ექსპორტიორი ქვეყნის ინტერესებში შედის ამ ემიგრანტთა უფლებების დაცვა, მათ მიერ გამომუშავებული თანხების დედა-სამშობლოში რეპატრირება და ა. შ. მსგავსი ინტერესები ასახვას პოულობს მიგრაციის შესახებ მრავალმხრივ საერთაშორისო შეთანხმებაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის კომისია მიგრაციის ეროვნული პროგრამების დასაფინანსებლად გამოყოფს ფინანსურ სახსრებს, რითაც არეგულირებს შრომითი რესურსების მიგრაციულ პროცესებს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მოიცავს სპეციფიკურ ნორმებს, რომელიც ეხება მიგრანტების ფიზიკურ მდგომარეობას, მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლებას. სამუშაო ძალთა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია გეგმური და მოწესრიგებული მიგრაციის ორგანიზება, მათი გამოცდილების ურთიერთგაზიარება. შრომითი რესურსების მიგრაციის ეროვნული საკანონმდებლო პოლიტიკის შემუშავების დროს ყოველი ქვეყნის მმართველობა უნდა ამოდიოდეს მიგრაციული პროცესების მარეგულირებელი საერთაშორისო კონვენციის შესაბამისი დოკუმენტების პრინციპებიდან, რომელიც ითვალისწინებს მშრომელ-მიგრანტთა თანასწორუფლებიანობას მიუხედავად მათი ეროვნულობისა, რწმენისა, რასისა, სქესისა და ა. შ.

მშრომელ-მიგრანტთა უფლებების დაცვა შედგება შემდეგი პრინციპებისაგან:

1. მიგრანტების ინფორმაციით უფასო უზრუნველყოფა;

2. მიგრაციასთან დაკავშირებით მცდარი ინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა;

3. მიგრაციის ყველა ეტაპის – გამგზავრების, გადაადგილების, მიღების პროცედურების გამარტივება;

4. სამედიცინო დახმარების ორგანიზება;

5. მიგრანტების მიერ გამომუშავებული თანხების დედასამშობლოში დაუბრკოლებლად რეპატრირება.

კონვენცია მოიცავს მიგრანტების შრომის პირობების დაცვას, მათი პირადი ქონებისა და შრომის საშუალებების გადატანას. ამავე კონვენციაში მითითებულია, რომ საჭიროა დოკუმენტალურად გაფორმდეს შრომითი კონტრაქტი, სადაც მითითებული უნდა იყოს მშრომელი-მიგრანტის უფლებები, მუშაობის ვადები, შრომის პირობები, შრომის ანაზღაურება და ა. შ. მათზე ხელფასი უნდა გაიცეს რეგულარულად, ნაღდი ფულით.

მიმღებ ქვეყანაში მშრომელ-მიგრანტთა კვალიფიკაციის დონის ამაღლების შესაძლებლობანი განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია სამუშაო ძალთა მიმღები ქვეყნებისაგან მოითხოვს მშრომელ-მიგრანტთა უფლებების დაცვას, მათ სოციალურ უზრუნველყოფას. სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს და აღმოფხვრას თავის ტერიტორიაზე შრომითი რესურსების არალეგალური მიგრაციის ფაქტები. ამ კონვენციის ძალაში შესვლის აუცილებელ პირობას წარმოადგენს სახელმწიფოთა მიერ მისი რატიფიცირება.

§ XXI. 2. შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნის იმიგრაციული და ექსპორტიორი ქვეყნის ემიგრაციული პოლიტიკა

შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნის იმიგრაციული პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მშრომელ-იმიგრანტთა ხარისხობრივი შემადგენლობისა და რაოდენობის რეგულირებას. მათი რაოდენობის დასარეგულირებლად გამოიყენება იმპორტიორი ქვეყნის იმიგრაციული ქვოტა, რომელიც განისაზღვრება ამ ქვეყანაში უცხოურ სამუშაო

ძალაზე არსებული მოთხოვნით. ასევე ყურადღება ექცევა ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასაც. მშრომელ-იმიგრანტთა ხარისხობრივი შემადგენლობის რეგულირება ხდება სხვადასხვა მეთოდით. მათი კვალიფიკაციის მიმართ არსებულ, მზარდ მოთხოვნაზე მოწმობს მიგრანტთა განათლების (ან პროფესიული მომზადების) დონის დამადასტურებელი დოკუმენტის რეგისტრაციის პროცედურის აუცილებლობა. სამუშაო ძალთა ხარისხის განმსაზღვრელ ფაქტორთა რიცხვს განეკუთვნება: 1. მშრომელ მიგრანტთა ჯანმრთელობის მდგომარეობა; 2. დამატებითი პროფესიული მოთხოვნა; 3. კეთილშობილური პირადი ხასიათის გამომჟღავნება;

მშრომელ-იმიგრანტთა ხარისხობრივი შერჩევის განმსაზღვრელი ფაქტორები არ არის მკაცრად ფიქსირებული და ქვეყნების მიხედვით იგი შეიძლება შეიცვალოს მაგრამ მთავარი მოთხოვნები –შრომის სერთიფიკაციის არსებობა, გარკვეული პროფესიის ფლობა – მაინც რჩება უცვლელი დროში. სამუშაო ძალთა იმპორტიორი ქვეყნის იმიგრაციული პოლიტიკის სელექციურობა დინამიკაში გამოიხატება სასურველ იმიგრანთა მოზიდვის წახალისებაში. იმიგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს შრომის ეროვნული ბაზრის დაცვა უცხოურ სამუშაო ძალთა დაურეგულირებელი შემოდინებისაგან. ამ მიზნით ახდენენ იმიგრაციის შეზღუდვას, რათა არ გაძვირდეს საცხოვრებელი ბინის ქირები, სურსათი, ტანსაცმელი და სხვა საყოფაცხოვრებო საქონელი არ გადაიტვირთოს ტრანსპორტი, სკოლები, არ გაიზარდოს ქურდობის, პროსტიტუციის, ნარკომანიის დონე, რაც უკონტროლო მიგრაციით გამოწვეული მზარდი უმუშევრობის ტიპიური თანმდევი მოვლენაა.[1]

შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნის ემიგრაციული პოლიტიკის არსი მდგომარეობს შემდეგში: **„სამუშაო ძალის ემიგრაციამ ხელი უნდა შეუწყოს შრომის ეროვნულ ბირჟაზე უმუშევრობის შემცირებასა და მათ მიერ დედა-**

[1] გ. ჯოლია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა „მეცნიერება". თბილისი. 2002. გვ. 87;

სამშობლოში სავალუტო სახსრების შემოდენას, რომელიც გამოიყენება სავაჭრო ბალანსში საქონლის ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებისათვის." შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნები იყენებენ ამ ემიგრაციული მიზნების მიღწევის შემდეგ მეთოდებს:

1. მშრომელ-ემიგრანტთა ხარისხობრივი შემადგენლობისა და ემიგრაციის მასშტაბების რეგულირებისა და მათი ინტერესების უცხოეთში დაცვის მიზნით, ზოგიერთი ქვეყანა აწარმოებს კვალიფიცირებული კადრების ემიგრაციის შემზღუდავ პოლიტიკას;

2. მშრომელ-ემიგრანტთა მიერ გამომუშავებული თანხების რეპატრირების მიზნით სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკი ემიგრანტებს, მათი კაპიტალის დედა-სამშობლოში მოზიდვის მიზნით, უხდიან სარგებლის ბევრად უფრო მაღალ განაკვეთს, ვიდრე სხვებს;

3. მშრომელ-ემიგრანტთა უფლებების დაცვის მიზნით შრომითი რესურსების ექსპორტიორი ქვეყნები ახდენენ მათი აქტივების დაზღვევას, სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფას, ემიგრანტებსა და მიმღები ქვეყნის მმართველობას შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაჭრას. ემიგრანტთა უფლებების დარღვევისათვის მიმღები ქვეყნის დაჯარიმებას, ემიგრანტთა სამედიცინო დახმარებას, მათთვის საცხოვრებელი სახლების აგებას და ა. შ;

4. მუშახელის ექსპორტიორი ქვეყნები სახელმწიფო ინტერესთა დაცვის მიზნით ახდენენ ემიგრანტთა სახელმწიფო ლიცენზიებით უზრუნველყოფას. ლიცენზირების მიზანია ემიგრანტთა სამუშაოდ მოწყობა იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ფლობენ საკმარის გამოცდილებას, საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებს, თავიანთი საქმიანობის მატერიალურ-იურიდიულ პასუხისმგებლობას;

5. მუშახელის ექსპორტიორი და იმპორტიორი ქვეყნები ატარებენ მათი ინტერესების ურთიერთდაცვით ღონისძიებებს (მაგალითად, არალეგალური მიგრაციის შეზღუდვას, მიგრანტების დაბრუნების სტიმულირებას და ა. შ.).

§ XXI. 3. შრომითი რესურსების მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე

მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების იმიგრაცია დადებით გავლენას ახდენს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, ხოლო წაგებული კი რჩება დონორი ქვეყანა, რომელიც კარგავს კადრების მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს. ამიტომ ქვეყნები ახდენენ შრომითი რესურსების მიგრაციის რეგულირებას. სამუშაო ძალთა მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ეროვნული შრომის ბირჟაზე. კერძოდ, იგი ამაღლებს დონორი ქვეყნის მუშაკთა შრომის ანაზღაურებას და აქვეითებს მიმღები ქვეყნის ეროვნულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებას., შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაცია ამდიდრებს მიმღები ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს და აზარალებს დონორი ქვეყნის სახელმწიფო ფინანსებს, რადგანაც მშობელმა ქვეყანამ მათ გაზრდასა და განათლების მიღებაზე დახარჯა საბიუჯეტო თანხები და დღეს, როცა ისინი იმყოფებიან გადასახადების გადახდისუნარიან ასაკში და ბიუჯეტისათვის უნდა დაებრუნებინათ მათ სწავლა-განათლებისათვის ადრე გაწეული დანახარჯები, ისინი მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, მათი შრომისუნარიანობის პოტენციალის გამოსავლენად

„ტვინთა გადინებასთან" დაკავშირებით ჯაგდიშ ბხაგვატმა შემოგვთავაზა ემიგრაციის შემზღუდავი გონივრული პოლიტიკა: **„ემიგრანტებისათვის უნდა დაწესდეს გადასახადი, რომელიც მათი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა სახის მომსახურების გაწევისათვის საჭირო საბიუჯეტო ხარჯების ტოლი უნდა იყოს.".**

რეზიუმე

1. ამ თავში გაანალიზებულია შრომითი რესურსების საერთაშორისო მიგრაციის ძირითადი ასპექტები, ამ სფეროში მოქმედი კანონზომიერებანი.: შრომითი რესურსების ქვეყნებს შორის მიგრაციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა 15 ახლადდამოუკიდებელი „პოსტსაბჭოური" ქვეყნის წარმოქმნამ;

2. მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების იმიგრაცია დადებით გავლენას ახდენს მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე, ხოლო წაგებული კი რჩება დონორი ქვეყანა, რომელიც კარგავს კადრების მომზადებაზე გაწეულ დანახარჯებს ამიტომ ქვეყნები ახდენენ შრომითი რესურსების მიგრაციის რეგულირებას საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ნორმატივების შესაბამისად;

3. შრომითი რესურსების იმპორტიორი ქვეყნის იმიგრაციული პოლიტიკა სრულიად განსხვავდება სამუშაო ძალთა ექსპორტიორი ქვეყნის ემიგრაციულ პოლიტიკისაგან, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: „სამუშაო ძალის ემიგრაციამ ხელი უნდა შეუწყოს შრომის ეროვნულ ბირჟაზე უმუშევრობის შემცირებასა და მათ მიერ დედა-სამშობლოში სავალუტო სახსრების შემოდენას, რომელიც გამოიყენება სავაჭრო ბალანსში საქონლის ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებისათვის.";

4. შრომითი რესურსების მიგრაცია გავლენას ახდენს მიმღები და დონორი ქვეყნების, როგორც ეროვნული შრომის ბირჟაზე, ასევე მათ სახელმწიფო ფინანსებზე. „ტვინთა გადინებასთან" დაკავშირებით ჯაგდიშ ბხაგვატმა შემოგვთავაზა ემიგრაციის შემზღუდავი გონივრული პოლიტიკა: „ემიგრანტებისათვის უნდა დაწესდეს გადასახადი, რომელიც მათი განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სხვა სახის მომსახურების გაწევისათვის საჭირო საბიუჯეტო ხარჯების ტოლი უნდა იყოს.".

ძირითადი ტერმინოლოგია

- „ტვინთა დენადობა";
- ქვეყნის იმიგრაციული ქვოტა;
- ქვეყნის ემიგრაციული პოლიტიკა;

ამოცანები

1. სამამულო ეკონომიკა ფლობს 1200 პირობითი შრომითი ერთეულის რესურსს და შეუძლია აწარმოოს ორი სახის სა-

ქონელი -- მანდარინი და ყურძენი. შრომის ზღვრული დანახარჯები მანდარინისათვის შეადგენს 3-ს, ხოლო ყურძენისათვის კი — 2-ს. ა) ააგეთ ქვეყნის ზღვრული სამეწარმეო შესაძლებლობების მრუდი; ბ) რას უდრის მანდარინის წარმოების ალტერნატიული დანახარჯები; გ) როგორი იქნება მანდარინის ფასი ვაჭრობის არარსებობისას? რატომ?

2. წინა ამოცანიდან გამომდინარე, ვთქვათ, საგარეო ვაჭრობის გახსნის შემდეგ ქვეყანაში დარჩა 800 პირობითი შრომითი ერთეულის რესურსი, ხოლო მანდარინისა და ყურძნის წარმოების შრომითი დანახარჯები გაუთანაბრდა შესაბამისად 5-ს და 1-ს. ა) ააგეთ უცხოეთის ქვეყნის მიწოდების მრუდი; ბ) ააგეთ შეფარდებითი მსოფლიო მოთხოვნის მრუდი.

3. ვთქვათ, მანდარინსა და ყურძენზე არსებული შეფარდებითი მოთხოვნა განისაზღვრება შემდეგი პროპორციით: მანდარინზე არსებული მოთხოვნა/ ყურძენზე არსებული მოთხოვნა = ყურძნის ფასი / მანდარინის ფასი: ა) ააგეთ მანდარინსა და ყურძენზე არსებული შეფარდებითი მოთხოვნისა და შეფარდებითი მიწოდების გრაფიკი; ბ) რას უდრის მანდარინის შეფარდებითი წონასწორული ფასი? გ) უჩვენეთ, რომ ვაჭრობა მოგებას მოუტანს ორივე ქვეყანას?

4. ვთქვათ, საგარეო ვაჭრობის წყალობით სამამულო ეკონომიკის შრომითი რესურსი 1200 პირობითი ერთეულიდან 2400 პირობით ერთეულამდე გაიზარდა. რას უდრის შეფარდებითი ფასის წონასწორული დონე? რა გავლენას ახდენს შრომითი რესურსების კომბინაციის ასეთი ცვლილება საგარეო ვაჭრობის განვითარების შედეგად, ქვეყნებს შორის შემოსავლების გადანაწილებაზე?

5. ვთქვათ სამამულო ეკონომიკა ფლობს 2400 პირობითი მუშახელის ერთეულს, მაგრამ მათი შრომის ნაყოფიერება 2-ჯერ უფრო დაბალია, ადრინდელთან შედარებით. ააგეთ შრომაზე არსებული შეფარდებითი მოთხოვნის მრუდი და განსაზღვრეთ წონასწორული ფასის მნიშვნელობა?

თავი XXII

ფინანსური რესურსების საერთაშორისო დენადობა

ბანკის პროცენტმა არ იცის დასვენება, არც ღვთის მსახურება, იგი მუშაობს დამითაც, კვირაობითაც და ავდარში.

ჯ. შოუ

კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები, უპირველეს ყოვლისა, ეს არის სხვადასხვა ქვეყანაში კრედიტორებსა და მსესხებლებს შორის, ან მესაკუთრესა და საზღვარგარეთ მათ მფლობელობაში მყოფ საწარმოებს შორის ფინანსური სახსრების საერთაშორისო გადანაცვლება. კრედიტორები მსესხებლებს, ხოლო მესაკუთრეები კი საზღვარგარეთში მყოფ თავიანთ ფილიალებს გადასცემენ ფულს იმ ვალდებულებებში და აქციებში გასაცვლელად, რომლებმაც მომავალში მათ პროცენტი, ან დივიდენდი უნდა მოუტანონ. კაპიტალის საერთაშორისო ნაკადები იყოფა კერძო და სახელმწიფო, გრძელვადიან და მოკლევადიან, პირდაპირ და საპორტფელო ნაკადებად. 1. კერძო დაკრედიტება, არის საკუთრების უფლების შეძენა; 2. გრძელვადიან კაპიტალდაბანდებას განეკუთვნება ობლიგაციები, აქციები, პატენტების, ან საავტორო უფლებების გამოყენება; 3. პირდაპირი ინვესტირება ეს არის უცხოურ საწარმოოთა დაკრედიტება, ან აქციების შეძენა, რომლის დროსაც ინვესტორის განკარგულებაში გადადის საწარმოოს საკუთრებისა და კონტროლის უფლება. პირდაპირი ინვესტირებისაგან განსხვავებით საპორტფელო ინვესტირების დროს ინვესტორის განკარგულებაში არ გადადის საზღვარგარეთული საწარმოოს მართვისა და საკუთრების უფლება. კაპიტალის მოკლევადიანი დაბანდება ხდება საკრედიტო თამასუქების სახით ერთ წლამდე, ან კიდევ უფრო ნაკლები ვადით.

§ XXII. 1. მოგება და ზარალი ნორმალურად მოქმედი საერთაშორისო დაკრედიტების სისტემაში

საერთაშორისო საკრედიტო სისტემის მოკლე ისტორიული განვითარება.__საერთაშორისო დაკრედიტება ისტორიულად განიცდიდა მრავალ ცვლილებას. კერძოდ, 1970-იან წლებამდე მსოფლიოს ძირითადი კრედიტორი იყო ამერიკა, შემდეგ -- ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები. მსხვილ დებიტორ სახელმწიფოდ 1980-იან წლებში იქცა თავად ამერიკა. თანამედროვე კრედიტორები არიან იაპონია, კანადა და ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები. ამჟამად დაკრედიტების დომინირებადი ფორმაა კერძო დაკრედიტება. კრედიტორთა მიერ „მესამე სამყაროს" ქვეყნებში დაკრედიტების მასობრივად შეწყვეტისა და მოვალე მხარის მიმართ მანამადე დაგროვილი ვალების უკან დაბრუნების მოთხოვნის წაყენების გამო, 1970-80-იან წლებში საერთაშორისო დაკრედიტებამ განიცადა მწვავე კრიზისი. ამ მოთხოვნის შესრულება განვითარებადმა ქვეყნებმა ვერ შეძლეს, რის გამოც მსოფლიოს ბევრმა მოწინავე ბანკმა დიდი დანაკარგი განიცადა. საერთაშორისო საფინანსო სტრუქტურა, რომელიც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორია, დაშლის პირას მივიდა 1930 წელს (ეკონომიკური დეპრესიის დროს), 1982 წელს და 1998 წელს (რომელიც აზიის საფინანსო კრიზისის სახელწოდებითაა ცნობილი). ბუნებრივია ჩნდება ასეთი კითხვა: რამ განაპირობა საკრედიტო სისტემის დამანგრეველი კრიზისი და როგორ შეიძლება მისი თავიდან აცილება?

საერთაშორისო დაკრედიტებიდან მიღებული სარგებელი და ზარალი. მსოფლიო ეკონომიკის სტაბილურობის პირობებში, როცა დებიტორები იმყოფებიან ვალის გადახდისუნარიან პოზიციაზე, საერთაშორისო დაკრედიტება გამართლებულია გლობალური თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში ერის კეთილდღეობაზე საერთაშორისო დაკრედიტების გავლენა იდენტურია იმ ზემოქმედებისა, რასაც ახდენს იმავე კეთილდღეობაზე საერთაშორისო ვაჭრობა. ჯერ განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ოპე-

რაციები საერთოდ აკრძალულია. მაშინ თითოეული ქვეყანა იძულებული იქნება სამამულო წარმოება დააფინანსოს მხოლოდ საკუთარი ფინანსური შესაძლებლობებით. A ქვეყანას გააჩნია დიდი ფინანსური სახსრები და ნაკლები სამეწარმეო შესაძლებლობები, B ქვეყანას კი პირიქით – დაკრედიტების ნაკლები უნარი და მდიდარი საწარმოო რესურსები.

ამიტომ, A ქვეყნის კრედიტორები დასჯერდებიან სარგებლის განაკვეთის შედარებით უფრო დაბალ დონეს (2%-ს ყოველწლიურად). B ქვეყანაში კი პირიქით – კონკურენცია იმართება სესხის მისაღებად, რაც სარგებლის რეალურ განაკვეთს უბიძგებს მაღლა (წლიურად 8 %-ისაკენ). ამ დროს მსოფლიო მასშტაბით წარმოებული პროდუქციის მოცულობას შეესაბამება დაშტრიხული უბანი. მეორე შემთხვევაში დაკრედიტება სრულიად ლიბერალიზირებულია. A ქვეყნის კრედიტორებსა და B ქვეყნის მსესხებლებს გაუჩნდებათ ურთიერთ დაკავშირების მძლავრი სტიმული. A ქვეყნის კრედიტორები შეეცდებიან სესხები გასცენ B ქვეყანაში. ასეთი კონკურენციული სწრაფვა განაპირობებს ახალი წონასწორობის დამყარებას, რომლის დროსაც შემოსავლის ნორმა 2 %-სა და 8 %-ს შორის მოექცევა (ვთქვათ იგი დაწესდება სადღაც 5 %-ზე C წერტილში).



ნახ. XXII. 1. საერთაშორისო დაკრედიტების ნორმალურად მოქმედი სისტემის გავლენა მსოფლიო წარმოებისა და ფინანსურ სიმდიდრეზე.

ნახაზზე ნაჩვენებია თავისუფალი საერთაშორისო დაკრედიტების შედეგები. ჰორიზონტალზე ათვლილია მსოფლიო სიმდიდრის წმინდა ღირებულება (ოდენობა), რომელიც ორი ქვეყნის საგანი არის წარმოადგენილი.

თავისუფალი დაკრედიტების ახალ

პირობებში ხდება მსოფლიო პროდუქციის წარმოების მაქსიმიზაცია. მისი სიდიდე ტოლია დაშტრიხულ უბანს დამატებული ABC სამკუთხედის ფართობი. ამ დროს ადგილი აქვს მსოფლიო წარმოების მოცულობის ზრდას ABC ფართობის სიდიდით, რასაც განაპირობებს ის, რომ კაპიტალის მიგრაციის თავისუფლება იძლევა მსოფლიო მასშტაბით ფინანსური და სხვა სახის რესურსების მაქსიმალურად მოსარგებლების შესაძლებლობას. A ქვეყნისათვის კრედიტების ქვეყნებს შორის თავისუფლად დენადობიდან მიღებულ მოგებას შეესაბამება a + b + c რეგიონი, რომელიც მიიღება საკუთარი კრედიტების საზღვარგარეთ, 2 %-ის ნაცვლად, 5 %-ში, დაბანდების გზით. B ქვეყნისათვის მოგებას წარმოადგენს d + e + f ფართობი, რომელიც მიიღება უცხოური კაპიტალის, 8 %-ის ნაცვლად, 5 %-ში მოპოვებით.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო დაკრედიტების ლიბერალიზაციით მოგებული რჩება ორივე ქვეყანა, ყოველ ქვეყანაში არსებობს მოსახლეობის ისეთი ჯგუფები, რომლებიც იგებენ, ან ზარალდებიან მსოფლიო საკრედიტო სისტემის ლიბერალიზაციის შედეგად. თუ A ქვეყნის კრედიტორები იგებენ სესხების 2 %-ის ნაცვლად, 5 %-ში გაცემით, სამაგიეროდ ზარალდებიან მისი დებიტორები, რადგანაც B ქვეყნის მსესხებლებისაგან მომძლავრებული კონკურენციის გამო, ისინი იძულებულნი ხდებიან 2 %-ის ნაცვლად, სესხები აიღონ 5 %-ში. B ქვეყნის მსესხებლები იგებენ კრედიტების ყოველწლიურად, 8 %-ის ნაცვლად, 5 %-ში აღების გზით, მაგრამ ზარალდებიან მისი კრედიტორები, გაცემულ სესხებზე სარგებლის განაკვეთის 8 %-იდან 5 %-ზე ვარდნის გამო. საკრედიტო რესურსების ქვეყნებს შორის დენადობაზე ბარიერების მოხსნას მოგება მოაქვს მთლიანი მსოფლიოსათვის და მოსახლეობის იმ ჯგუფებისათვის, რომელთაც თავისუფლება უქმნით დამატებით წარმოების გამართვის შესაძლებლობებს. მაგრამ იგი აზარალებს საზოგადოების იმ ჯგუფებს, რომლებისთვისაც თავისუფლების შემოღება ამ სფეროში სამომავლოდ კონკურენციის გამძაფრების მომასწავებელია.

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ საერთაშორისო დაკრედიტების ლიბერალიზაცია იწვევს, როგორც მთლიანი მსოფლიოს, ისე ცალკეული ქვეყნის სამამულო პროდუქციის წარმოების მოცულობის ზრდას. აქედან გამომდინარეობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა, „კრედიტორი ქვეყნის მიერ ოპტიმალური გადასახადის დაწესების შესახებ: თუ ქვეყანა იმდენად ძლიერია, რომ შეუძლია გავლენა მოახდინოს კაპიტალის მსოფლიო ბაზრის სარგებლის განაკვეთის სიდიდეზე, მაშინ მან შეიძლება ეს ძალა გამოიყენოს საკუთარი ინტერესების რეალიზეციისათვის, სხვა ქვეყნებისა და დანარჩენი მსოფლის დაზარალების ხარჯზე.

ნახ. XXII. 1-ზე ასეთი პოზიციები გააჩნია A ქვეყანას, რომელსაც შეუძლია აიძულოს უცხოელი მსესხებლები გადაიხადონ სარგებლის 5 %-ზე უფრო მაღალი განაკვეთი (ვთქვათ 6 % B წერტილში). A ქვეყანა ამას შეძლებს კაპიტალის გატანაზე 1 %-იანი გადასახადის დაწესებით. ეს გააძვირებს სესხებს უცხოელებისათვის 6 %-მდე, ადგილობრივი მსესხებლებისათვის კი – შეამცირებს მას 4 %-მდე. ახალი წონასწორობა მიიღწევა იმ წერტილში, სადაც უცხოელ და ადგილობრივ მსესხებელთა მიერ გადახდილ სარგებლის განაკვეთებს შორის სხვაობა 2 %-ს უდრის. ამით კრედიტორი ქვეყანა ცალმხრივად იღებს წმინდა მოგებას, რადგანაც იგი უცხოელებს 5 %-ის ნაცვლად 6 %-ს ახდევინებს. ფასთა ეს მატება, რასაც გრაფიკულად შეესაბამება e რეგიონი, აშკარად აჭარბებს კრედიტების უცხოეთში გატანის შეზღუდვით გამოწვეულ ზარალს (b სამკუთხედს). ასეთი გადასახადის ოპტიმალური განაკვეთის სიდიდის დადგენა A ქვეყანას მოუტანს მაქსიმალურ სარგებელს.

B ქვეყანასაც გააჩნია თავის დასაცავად საკუთარი საბაზრო ძალები, რადგანაც სესხების მიღების შეზღუდვით მას შეუძლია აიძულოს A ქვეყნის კრედიტორები წავიდნენ დათმობაზე ანუ დაკმაყოფილდნენ შემოსავლების ბევრად უფრო დაბალი დონით. B ქვეყანა ამ დროს იგებს c – d ფართობს. A ქვეყნისა და მთლიანი მსოფლიოს დაზარალების ხარჯზე. თუ ამნაირად ყველა ქვეყანა შეეცდება, გამდიდრების მიზნით

კაპიტალის მიგრაციაზე დააწესოს გადასახადი, მაშინ კაპიტალის საერთაშორისო დაკრედიტება გადაინაცვლებს ფინანსური კარჩაკეტილობისაკენ, რაც დანაკარგი იქნება ყველა მხარისათვის.

საერთაშორისო დაკრედიტების თეორიაში იგულისხმება, რომ ამ სფეროში გადასახადებზე გვერდის ავლა თითქოს შეუძლებელია. პრაქტიკაში კი ეს ხშირად ხდება. კრედიტორები და დებიტორები ათასგვარ ხერხს მიმართავენ გარიგებათა დამალვისათვის. ასე ხდებოდა შუა საუკუნეებში, როცა კრძალავდნენ მევახშეობას და ასე ხდება დღესაც, როცა გვერდს უვლიან სავალუტო კონტროლსა და საგადასახადო ვალდებულებებს.

ამ მეთოდებს შორის ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული საშუალებაა „ტრანსფერტული ფასწარმოქმნა". კრედიტორებსა და მოვალეებს შორის ხშირია არა მარტო სასესხო, არამედ სავაჭრო გარიგებებიც, როცა ისინი ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, რომ თითქოს არავითარი კრედიტი არ გაცემულა. მათ შეუძლიათ ეს გააკეთონ შიდასაფირმო საქონელგაცვლის პროცესში ჩართულ საქონელსა და მომსახურებაზე არასაბაზრო ფასების დაწესებით. მაგალითად, კრედიტორმა შეიძლება სრულად არ მიიღოს საქონლის გაყიდვიდან მისაღები თანხა, ან მოგვიანებით მსესხებელმა ზედმეტი თანხა გადაიხადოს ნაყიდ საქონელში. ფალსიფიცირებულ ფასთა მეშვეობით ასე ხორციელდება დამატებითი საპროცენტო გადასახადების „ტრანსფერი" მსესხებლისაგან კრედიტორზე, მაგრამ ამ დროს საერთაშორისო საკრედიტო გარიგებიდან მთავრობა, გადასახადების სახით, ვერ იღებს ვერანაირ შემოსავლებს.

ასეთი შემოვლითი მანევრები მთავრობას უბიძგებს თავისუფალი საგარეო ვაჭრობისა და საერთაშორისო დაკრედიტების სისტემის შემოღებისაკენ. სავაჭრო ბარიერების განხილვის მსგავსად ამ შემთხვევაშიც, მივედით იმ დასკვნამდე, რომ კონტრაბანდისტები და მათი საქმიანობა გამართლებულად ითვლება, ვინაიდან ისინი ეკონომიკას უბიძგებენ წონასწორობისაკენ, ხოლო საბაზრო ძალებს კი თავისუფალი მოქმედებისაკენ. საერთაშორისო დაკრედიტების თავისუფლების

ასეთი სასიკეთო შედეგები 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან შემცირდა, რადგანაც თუ იგი მანამადე წმინდა თეორიის წესებით ვითარდებოდა, ამ დროიდან პროცესები უკვე ამ წესების წინააღმდეგ წარიმართა.

§ XXII. 2. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა. მისი განვითარების ისტორია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი და მნიშვნელობა. იმ საკითხებს შორის, რომელთაც განიხილავს საერთაშორისო ეკონომიკის თეორია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრობლემა ყველაზე უფრო საჭირბოროტოა. თანამედროვე მაღალგანვითარებული ქვეყნები, ეროვნულ ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლის შენარჩუნების მიზნით, ზღუდავენ თავიანთ ტერიტორიაზე საზღვარგარეთული ინვესტიციების დაბანდებას. განვითარებადი ქვეყნების პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში ორმხრივია (ეს აისახება ეკონომიკური დუალიზმის პრობლემაში): ისინი შეშფოთებულნი არიან, როგორც უცხოელების მიერ მათ ეკონომიკაში სახსრების დაბანდებით, ისე ინვესტიციების უკმარისობით. ამ ქვეყნებში არსებობს, ერთის მხრივ, ექსპლოატაციის განვითარების საშიშროება, ხოლო მეორეს მხრივ კი, უცხოური კაპიტალისა და მათი თანმხლები ტექნოლოგიის მიუწვდომელობის შიში. ქვეყანამ უნდა შეზღუდოს პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა იმ დარგებში, სადაც უცხოური კომპანიების მუშაობა გამოიწვევს რესურსების გაფლანგვას, ან ზედმეტი უცხოური გავლენის ფორმირებას.

სხვადასხვა ქვეყანაში პრიორიტეტულად შეიძლება მიჩნეული იქნეს სრულიად სხვადასხვა დარგი. მაგალითად, ისეთ სტრატეგიულ დარგებს, სადაც გაუმართლებელია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდება, განეკუთვნება: ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვება, საბანკო საქმე, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და ა. შ., ანუ ის დარგები, რაც განსაზღვრავს

ქვეყნის ფინანსურ, სასურსათო და ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას. უცხოური ინვესტიციების მიღებისას ქვეყნები ხშირად აყენებენ ერთობლივ კაპიტალში ადგილობრივი ინვესტიციების მონაწილეობის მოთხოვნას, ადგილობრივი კადრების მომზადების, სამამულო წარმოების დეტალებისა და ნახევარფაბრიკატების გამოყენების პრეტენზიას, სამეცნიერო, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესრულებისა და ექსპორტის გაფართოების აუცილებლობას. კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი, ქვეყნების მიხედვით, განსხვავებულია ერთმანეთისაგან. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს დაკრედიტების ყველა სახეს, ოღონდ უცხოელი ინვესტორი უნდა ფლობდეს ინვესტირებული დიდი კომპანიის საკონტროლო პაკეტის 10 %-ზე მეტს მაინც. მცირე კომპანიების ინვესტირებისას, მათზე კონტროლის უფლების მოპოვების მიზნით, ეს მაჩვენებელი უნდა შეადგენდეს საკონტროლო პაკეტის მინიმუმ 51 %-ზე მეტს.

ამრიგად, **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეს არის დაკრედიტების ნებისმიერი ფორმა, ან საკუთრების უფლების შეძენა, საზღვარგარეთულ საწარმოოში, რომელიც მნიშვნელოვანწილად გადადის ინვესტორი მხარის განკარგულების ქვეშ.** განსხვავება პირდაპირ და პორტფელურ ინვესტიციებს შორის უმთავრესად დაიყვანება კონტროლის საკითხამდე, მაგრამ რადგანაც ინვესტორი უმთავრესად აკონტროლებს უცხოური ფილიალის საქმიანობას, ამიტომ პირდაპირი ინვესტირების ანალიზი ბევრად უფრო რთულდება, ვიდრე პორტფელურისა. კონტროლს დაქვემდებარებული ფილიალი ხშირად პირდაპირ ღებულობს მეთაური კომპანიის სავაჭრო საიდუმლოებების, მმართველობითი ჩვევების, ტექნოლოგიების, სავაჭრო მარკის გამოყენების შესაძლებლობას. პირდაპირი ინვესტირება იმდენად შორსაა კაპიტალის უბრალო მიგრაციისაგან, რომ იგი ხშირად იწყება კაპიტალის ყოველგვარი გადადინების გარეშე, რადგანაც ფილიალის ინვესტირებისათვის საჭირო ყველა ფინანსურ რესურსის გამოძებნა ხშირად ხდება თვით მიმღები ქვეყნის შიგნით.

როდესაც ფილიალი რენტაბელური ხდება, იგი შემდგომ აღმავლობას იწყებს საკუთარი მოგების რეინვესტირების ხარჯზე, მაშინ როცა ამ მოგების გარკვეული ნაწილი უნდა გადაგზავნილიყო სათავო კომპანიისათვის. ამის გამო. სათავო კომპანიები იმყოფებიან **ექსპროპრიაციის** საშიშროების ქვეშ. I მსოფლიო ომის წინ მიმღები ქვეყნები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ მრავალეროვნული კომპანიების აქტივები ისე, რომ არავითარი მაკომპენსირებელი თანხები არ გადაერიცხათ მათთვის. ექსპროპრიაციის საშიშროების არსებობის გამო, ბევრი მრავალეროვნული კომპანია, სავალუტო დაზღვევის გავრცელებული მეთოდების შესაბამისად, თავის აქტივებს აზღვევს ვალუტის ბაზარზე. მატერიალური აქტივების დაბანდებას მიმღებ ქვეყნებში კომპანიები ხშირად უკავშირებდნენ კრედიტების მიღებას ამ ქვეყნებში (რომლებისთვისაც მატერიალური აქტივები ასრულებენ ადრე დაბანდებული კაპიტალის გირაოს როლს).

პოლიტიკურ ცვლილებათა შედეგად, საზღვარგარეთ ინვესტირებაში ექსპროპრიაციის საშიშროების წარმოქმნისას, სათავო კომპანია მიმღებ ქვეყნებში აცნობებს თავის ფილიალებს, რათა სცადონ ამ ექსპროპრიაციის განმახორციელებელი მთავრობისაგან კუთვნილი თანხის აღება. სათავო კომპანიას გააჩნია ისეთი უპირატესობები, რომელთა გამოყენებაც შეუძლია მას ექსპროპრიაციის შემთხვევაში. ყოველივე ეს გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს ინვესტორებს. შესაბამისად მათ აღარა აქვთ იმის შიში, რომ მძევალივით ჩაიგდებენ ხელში. ასეთ უპირატესობებს განეკუთვნება: ტექნოლოგია, საბაზრო საიდუმლოებანი, მმართველობითი ჩვევები, რაც არ ექვემდებარება ექსპროპრიაციას. ასეთი დაზღვევა ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია იმისა, რომ სულ უფრო მეტი სათავო კომპანია ახდენს საზღვარგარეთ ინვესტირებას.

პირდაპირი უცხოური ინვესტირების განვითარების ისტორია. XX საუკუნის განმავლობაში პირდაპირი ინვესტირების პროცესმა აღმავლობაც განიცადა და ვარდნაც, თუმცა ამ სფეროში მაინც მეტ-ნაკლებად ზრდის ტენდენცია შეიმჩნეოდა. პირდაპირ საზღვარგარეთულ ინვესტირებაში ყველაზე უფრო დიდი აღმავლობის პერიოდი იყო 1950—74 წლები. ამ

პერიოდში საინვესტიციო ნაკადების მოძრაობის ტენდენციები განისაზღვრებოდა ძირითადად ამერიკული ინვესტიციების გადინების მიმართულებით. ტრადიციულად ამერიკა უპირატესობას ანიჭებდა პირდაპირ ინვესტირებას, განსხვავებით ისეთი დონორი ქვეყნებისაგან, როგორიცაა დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები, რომლებიც უპირატესობას პორტფელურ ინვესტირებას ანიჭებდნენ. იაპონიას ამ სფეროში შუალედური პოზიცია უჭირავს. 1970-იან წლებამდე იგი უმთავრესად პირდაპირ ინვესტირებას ახორციელებდა საზღვარგარეთ, 1980-იანი წლების შემდეგ კი მან დაიწყო ამერიკის ეკონომიკის დაკრედიტება, პორტფელური ინვესტიციების სახით.

ამრიგად, ამერიკიდან კაპიტალის ექსპორტიორებმა, II მსოფლიო ომის შემდეგ, უპირატესობა მიანიჭეს პირდაპირი ინვესტირების პროცესს. 1970-იანი წლების დასაწყისიდან პირდაპირი ინვესტირების ზრდა, საპორტფელო დაკრედიტების ზრდის ორი ტალღის (1974-80-იან წლებში განვითარებადი ქვეყნებისათვის მიცემული სესხებისა და 1980-იან წლებში ამერიკისათვის მიცემული კრედიტების) გავლენის გამო, მეტ-ნაკლებად შენელდა.

მიმართულება შეიცვალა თვით პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების დენადობამაც: კერძოდ, ადრე თუ ისინი ძირითად მიემართებოდა განვითარებადი ქვეყნების მომპოვებელ დარგებში, 1970-იანი წლების შემდეგ მათი ნაკადები უკვე გვერდს უვლიდა განვითარებად ქვეყნებს, სადაც უცხოელი ინვესტორები შეეჯახნენ ექსპროპრიაციით გამოწვეულ წინააღმდეგობას. ამ სფეროში შექმნილმა პრობლემებმა თავის პიკს მიაღწია 1970-80-იან წლებში. შედეგად ამერიკული პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაწილი „მესამე სამყაროს" ქვეყნებიდან გადაინაცვლა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1980-იანი წლების დასაწყისიდან თვით ამერიკაში მიედინებოდა პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი ნაკადი იაპონიიდან, კანადიდან, ახლო-აღმოსავლეთის (ნავთობით მდიდარი) და დასავლეთ ევროპის (ნიდერლანდების, დიდი ბრიტანეთის, გფრ-ის და სხვა.) ქვეყნებიდან. 1990-იანი წლების შემდეგ ჩინეთიდან დანარჩენ მსოფლიოში დენადობა დაიწყო

პირდა-პირი ინვესტიციების მსხვილმა ნაკადებმა, უმეტეს-წილად ერთობლივი საწარმოების სახით.

1970-იანი წლების შუა პერიოდში მთელ მსოფლიოში პოტენციური ინვესტორები იყვნენ ამერიკის ის კომპანიები, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებში ეწეოდნენ სასარგებლო წიაღისეულისა და სხვა ნედლეულის მოპოვებას. ამჟამად პირდაპირი ინვესტირების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია მაღალგანვითარებული ქვეყნების გადამამუშავებელ მრეწველობაში, კერძოდ კი – მაღალტექნოლოგიურ დარგებში. განვითარებადმა ქვეყნებმა უარი თქვეს პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის სფეროში აგრესიული გადასახადების შემოღებასა და ნაციონალიზაციაზე. ამის სანაცვლოდ ისინი ცდილობდნენ ინვესტიციების მოზიდვას მათთვის საგადასახადო შეღავათების მინიჭების გზით.

პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მიმართ ბაზირებისა და დებიტორი ქვეყნები ავითარებენ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ, და ურთიერთ-საწინააღმდეგო საინვესტიციო პოლიტიკას.[1]

სრულყოფილი კონკურენციის პირობებში რისკის მინიმიზაციისაკენ მისწრაფების მქონე სათავო კომპანიები საზღვარგარეთულ საწარმოებში ეწევიან აქტიური ინვესტირების პოლიტიკას, რათა ისინი გადააქციონ მათ მიმართ კონტროლს დაქვემდებარებულ ფილიალებად. კონკურირებად ფირმებზე მოქმედი შემთხვევითი ფაქტორების ერთობლიობა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია ერთმანეთისაგან. რისკის მინიმუმდე დაყვანის მსურველი ინვესტორი ცდილობს მოახდინოს თავისი აქტივების მაქსიმალური დივერსიფიცირება, რათა არ დაუქვემდებაროს იგი სინქრონირებული საფრთხის გავლენას.

ინვესტორი მთელ თავის კაპიტალს არ აბანდებს მხოლოდ ერთ საინვესტიციო კალათაში, რომელმაც ან ერთიანი მოგება უნდა მოუტანოს, ან --მთლიანად დააზარალოს იგი, რადგანაც არსებობს კაპიტალის დაბანდების სხვა გზების ძიებისა და ნაკლები რისკით იგივე მოგების მიღების შესაძლებ-

[1] Международные экономические отношения. Учебник. \Под ред. Б. М. Смитиенко. Москва. Изд. «ИНФРА—М». 2005 г. 234 -- 260—с.

ლობა. ამრიგად, დივერსიფიკაციისაკენ სწრაფვა, რომელიც დამახასიათებელია რისკის მინიმიზაციის მსურველი ინვესტორისათვის, ადარ იწვევს მზადყოფნას ცალკეულ საწარმოოთა საკონტროლო პაკეტის ხელში ჩასაგდებად.

როგორც წესი, ადგილობრივ ფირმებს, უცხოელ ინვესტორებთან შედარებით, გააჩნიათ ერთგვარი „გენეტიკური" უპირატესობა. ოპერაციების „შორი მანძილიდან" მართვა გარკვეულ (კავშირგაბმულობისა და მგზავრობის) დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული და იმავდროულად დიდია უცხოელ ინვესტორებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის გაუგებრობის წარმოქმნის საშიშროება.[1]

იმისათვის, რომ უცხოელმა ინვესტორმა აჯობოს „გენეტიკური" უპირატესობის მქონე ფირმას, საჭიროა მას გააჩნდეს ადგილობრივი ინვესტორისათვის მიუწვდომელი უპირატესობა. ასეთი უპირატესობები დაკავშირებულია ტექნოლოგიებისა და პატენტების ფლობასთან, ძალზე მსხვილი კაპიტალის წყაროების ხელმისაწვდომობასთან. როგორც წესი, ასეთ უპირატესობებს ადგილობრივი ფირმები მოკლებულნი არიან.

§ XXII. 3.. პირდაპირი ინვესტირება, როგორც მონოპოლიზაციის ქმედითი ინსტრუმენტი

იმის გარკვევამ, რომ პირდაპირ ინვესტირებაში უმთავრეს როლს ასრულებს ფირმის განსაკუთრებული უპირატესობანი, მკვლევარები მიიყვანა მარტივი კონკურენციის მოდელის უარყოფამდე და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ბაზრებზე ფირმების საინვესტიციო საქმიანობის კონტროლთან კავშირის აღიარებამდე. ფირმის განსაკუთრებულ უპირატესობათა ფლობა განიხილება, როგორც პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების თეორიისა და დარგობრივ ბაზრებზე

[1] Е. Ф. Авдокушин. Муждународные экономические отношенияя. Учебник. Изд. «Экономисть». Москва. 2004 г. 210 -- 230---с

არასრულყოფილი კონკურენციის კლასიკური მოდელების შემაერთებელი ერთ-ერთი ქმედითი ინსტრუმენტი, რადგანაც მისი აზრით, უცხოური ინვესტირება ხორციელდება კონკურენციის ჩახშობისა და ბაზრის კონტროლის მიღწევის მიზნით.

მსხვილი კომპანიები ხშირად საზღვარგარეთსაწარმოებს ქმნიან ახალ ბაზრებზე კონკურენტთა დათრგუნვის მიზნით. უცხოეთის მრავალეროვნული კომპანიები განვითარებად ქვეყნებში ფილიალებს ხსნიდნენ, ამ ბაზრებზე ერთიმეორის ბლოკირების მიზნით. ასეთი ინვესტიციები, ერთი შეხედვით შეიძლება გვეჩვენებოდეს კეთილ კონკურენციად. მაგრამ სინამდვილეში ისინი მიჩნეული უნდა იქნეს უცხოურ ბაზრებზე, კონტროლის დასამყარებლად, ხანმოკლე კონკურენციის ჩახშობისათვის, ტიპიური ოლიგოპოლიური ქცევის ელემენტად.

ხარჯების შემცირების მიზნით უცხოური კომპანია ცდილობს გადასახადებზე თავის არიდებას. არსებობს გადასახადებზე თავის არიდების მრავალი საშუალება. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა **დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ახალი მიმღები ქვეყნის მოძებნა.,** რომლის მეშვეობითაც მთლიანი მსოფლიო მოიგებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამით გაიზრდება ინვესტორი ფირმის მწარმოებლურობა. გადასახადებზე თავის არიდების ერთ-ერთი ასეთი მეთოდია **ფასთა მანიპულირება,** რომლის მეშვეობით მრავალეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ მოგება გადაიტანონ მაღალგადასახადიანი ქვეყნებიდან დაბალგადასახადიან სახელმწიფოებში.

ფასწარმოქმნის მანიპულირება არის, ეროვნული საზღვრების გადამკვეთი აქტივებითა და პროდუქტებით მოგების გადაზიდვის თვალსაზრისით, ბევრად უფრო მოსახერხებელი ფორმა, ვიდრე პირველი მეთოდი. კორპორაციის მოგებაზე საშემოსავლო გადასახადისათვის თავის ასარიდებლად ფირმას შეუძლია დააწესოს შეცვლილი ფასები იმ საქონელსა და მომსახურებაზე, რომელსაც დაბალგადასახადიან ქვეყანაში მოქმედი ფილიალი მიჰყიდის მზარდი სამეწარმეო გადასახადების მქონე ქვეყანაში მოქმედ ფილიალს.

საგადასახადო სამსახურებს ევალებათ დაადგინონ გადასახადებზე თავის არიდების ფაქტები: როცა ისინი დაამტკიცებენ, რომ შიდასაფირმო სავაჭრო ფასები ძალზე განსხვავ-

დება ერთმანეთისაგან, მათ უნდა დააჯარიმონ მრავალეროვნული კომპანია. უცხოელ ინვესტორთა მიერ გადასახადებზე თავის არიდებას ინვესტიციების მიმღები ქვეყნის მთავრობა პასუხობს საგადასახადო წესების შეცვლით. მაგალითად, ასეთია „უნიფიცირებული" გადასახადების შემოღება. მოგებიდან საშემოსავლო გადასახადების მოკრებისას საგადასახადო ორგანოები არ ენდობიან ამ ფირმების მიერ, მიღებული მოგების შესახებ, წარმოდგენილ საგადასახადო დეკლარაციების ცნობებს. ამიტომ ისინი აწესებენ უნიფიცირებულ, ერთიან გადასახადებს, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ფირმებზე.

§ XXII. 4. პირდაპირი ინვესტიციების. დენადობის შეზღუდვის დადებითი და უარყოფითი მხარეები

მრავალეროვნული ფირმების მიერ პირდაპირი ინვესტიციების საზღვარგარეთ გატანის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საუკეთესო საშუალებაა დონორ ქვეყანაში შექმნილი კეთილდღეობის სტატისტიკური ანალიზი. პირდაპირი ინვესტიციების გადინების შეზღუდვის ეკონომიკური და პოლიტიკური დინამიკის ანალიზისათვის შეიძლება გამოენებული იქნეს XXII. 1 ნახაზი. ანალიზისადმი მსგავსი მიდგომისათვის საჭიროა, გამოსაყენებელი აქტივის სახით, წარმოდგენილ იქნეს მმართველობითი და ფინანსური მომსახურების პაკეტი, რომლის ინვესტირებასაც ახდენს სათავო კომპანია ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში. ამ დროს კრედიტორის როლში გამოდის სათავო კომპანიის ბაზირების ქვეყანა, რომლის შემოსავლის ნორმა გარდაიქმნება პირდაპირ საზღვარგარეთულ ინვესტირებაში ჩართული საწარმოო აქტივების პაკეტიდან ამონაგების (რენტის, პროცენტის, როიალტის, მოგების და სხვათა) ნორმად. პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების ამ ფარგლებში განხილვით, მიიღება დონორ ქვეყანაში შექმნილ კეთილდღეობაზე ზემოქმედების სტანდარტული შედეგები: მრავალეროვნული კომპანიის ბაზირების ქვეყანა

იგებს (a + b + c რეგიონის დონეზე), იმიტომ, რომ ინვესტტირების შედეგად მიღებული მოგება ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ბაზირების ქვეყნის მუშებისა და სხვა კატეგორიის პირთა დანაკარგები.

საზღვარგარეთ სამუშაო ადგილებისა და წარმოების გატანის თავისუფლება განსაკუთრებით დამახასიათებელია იმ კომპანიებისათვის, რომლებიც ბაზირების ქვეყანაში ეჯახებიან მძლავრ დარგობრივ პროფესიულ გაერთიანებებს, მაგრამ მარტო მშრომელები არ წარმოადგენენ მოსახლეობის ერთადერთ ჯგუფს, რომელიც ზარალდება პირდაპირი ინვესტიციების უცხოეთში გადინებით. ასევე ცუდ ვითარებაში აღმოჩნდებიან გადასახადების გადამხდელი მოსახლეობის სხვა, ჯგუფები მთლიანად, რადგანაც მთავრობა იძულებულია ან სხვა გადამხდელებს დააკისროს გადასახადების ამოუღებელი თანხის დაფარვა, ან შეამციროს დასაფინანსებელი სოციალური პროგრამები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინების შეზღუდვის დადებითი და უარყოფითი მხარეები ბაზირების ქვეყნის შედეგების ასიმეტრიულია. კერძოდ, აღსანიშნავია შემდეგი გარემოებანი:

1. კაპიტალის მიმღები ქვეყანა ინვესტიციების მოდინებით მთლიანად იგებს (d + e + f ფართის ოდენობით);

2. ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილობრივ სამთავრობო პოლიტიკასთან უცხოელ ინვესტორთა დამოკიდებულება.

გადასახადების მეშვეობით, პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის შეზღუდვის, ან ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნით, მათი შემოტანის წახალისების საკითხის გადაჭრისას, გასათვალისწინებელია ყველა შესაძლო თანმდევი შედეგი. ამ დროსაც გამოიყოფა შემდეგი ორი შემთხვევა:

1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე ოპტიმალური გადასახადის დაწესების შესაძლებლობა;

2. თანმდევი ტექნოლოგიური ეფექტით სარგებლობა;

ამათთაგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინების სტიმულირება ბევრად უფრო დასაბუთებულია, ვიდრე მათ შემოდინებაზე გადასახადის დაწესება.

რეზიუმე

1. ამ თავში გაანალიზებულია საერთაშორისო საკრედიტო სისტემა და მისი როლი მსოფლიო ეკონომიკაში, სადაც აღწერილია, თუ რა მოგებისა და ზარალის მოცემა შეუძლია ნორმალურად მოქმედი საერთაშორისო დაკრედიტების სისტემის შემოღებას მთლიანი მსოფლიოსათვის;

2. აქვე გაანალიზებულია პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები, მრავალეროვნული კომპანიების როლი თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკაში;

3. ინვესტორებს, დებიტორი ქვეყნების მხრიდან აღებულ ვალდებულებათა შესრულებაზე უარის თქმის შანსის არსებობის გამო, ემუქრებათ ექსპროპრიაციის საშიშროება;

4. უცხოელი ინვესტორების მიერ პირდაპირი ინვესტიციები ხშირად გამოიყენება გადასახადებისაგან თავის არიდების ერთ-ერთ ქმედით ინსტრუმენტად. არსებობს გადასახადებზე თავის არიდების ორი ძირითადი საშუალება. ესენია: დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ახალი მიმღები ქვეყნის მოძებნა და ფასწარმოქმნის მანიპულირება;

5. პირდაპირი ინვესტიციების. გადინების შედეგად დადებითი მხარეების გაძლიერებისა და უარყოფითი მხარეების შესუსტების მიზნით მრავალეროვნული კომპანიებს ართმევენ პოლიტიკური ხმის უფლებას.

ძირითადი ტერმინოლოგია

- ჭარბი კაპიტალის ფლობით შეძენილი უპირატესობა;
- კაპიტალის ექსპორტის დაბეგვრა;
- საკუთრების უფლების შეძენა;
- ექსპროპრიაციის საშიშროება;
- ფასთა მანიპულირების მექანიზმი.

ამოცანები

1. ვთქვათ მსოფლიოში არსებობს მხოლოდ ორი ქვეყანა, რომელშიც აქციებზე ფასთა რყევის ერთადერთ მიზეზად

ითვლება მონეტარისტული პოლიტიკის მოულოდნელი ცვლილება. სავალუტო კურსის რომელი – ფიქსირებული, თუ მცურავი სისტემის დროს უნდა ველოდოთ, აქტივებით საერთაშორისო ვაჭრობიდან, დიდი მოგების მიღებას?

2. სარგებლის განაკვეთის დახურული პარიტეტი უფრო მისაღებია იმ დეპოზიტებისათვის, რომლებიც ნომინირებულია სხვადასხვა ვალუტაში და გამოშვებულია ერთ ფინანსურ ცენტრში. რატომ არ შეიძლება დაზღვეულ იქნეს საპროცენტო განაკვეთის დახურული პარიტეტი იმ შემთხვევაში, როცა თანაბრდება სხვადასხვა ფინანსურ ცენტრში გამოშვებული დეპოზიტები?

3. როცა ამერიკული ბანკი ახდენს, ერთ-ერთი თავისი უცხოური ფილიალისაგან, დეპოზიტების აქცეპტირებას, ეს დეპოზიტები მოექცევა სარეზერვო აქტივებზე მოთხოვნის ზეგავლენის ქვეშ. მსგავს შემთხვევაში ამერიკის ნებისმიერი რეზიდენტის მიერ მოთხოვნა წარმოიქმნება ამერიკული ბანკის უცხოური ფილიალიდან წარდგენილ დეპოზიტებზე, ან ნებისმიერ აქტივზე, რომელიც მიემართება სათავო ბანკიდან ფილიალში. თქვენი აზრით, რა არის მსგავსი პროცესების განვითარების მიზეზი?

4. ვთქვათ, ინგლისელი, რომელსაც გააჩნია სადოლარო დეპოზიტები ლონდონის ბანკში, აპირებს 10 ათასი აშშ. დოლარი გადარიცხოს ნიუ-იორკის ბანკში. როგორ აისახება ეს ოპერაცია ევრო-დოლარების მიწოდებაზე აშშ-სა და ინგლისის საგადამხდელო ბალანსზე, მათი ფულის მასაზე?

5. „ევრო-დოლარების ბაზრის თავდაპირველი სწრაფი ზრდა მხარდაჭერილია უცხოური (არაამერიკული) ბანკების სურვილით მიითვისონ შემოსავლების ნაწილი, მთავარი სარეზერვო ვალუტის ემიტენტის სახით”. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. ალექსიძე ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1998 წ;
2. ამერიკის ეკონომიკა. ზოგადი საფუძვლების მიმოხილვა. აშშ-ის საინფორმაციო სააგენტო. თბილისი, 2002 წ;
3. ბასილაია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ., პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკა XX1 საუკუნის მიჯნაზე. თბილისი, 2001 წ;
4. გოგორიშვილი ი. საერთაშორისო ეკონომიკა თბილისი, 2002 წ. გვ. 112;
5. გოგოხია რ., შერეული ეკონომიკური სისტემა: არსი, მოდელები, განვითარების ტენდენციები. თბილისი, 2004 წ;
6. გრიგორ მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. (სახელმძღვანელო). გამომცემლობა „დიოგენე". თბილისი, 2000 წ. გვ 1064;
7. გროსი დ., ლანუ კ. ევროს კაპიტალის ბაზარი. "ელფის გამომცემლობა". თბილისი, 2002 წ;
8. ეკონომიკური თეორია. გ. ადეიშვილისა და რ. ასათიანის რედაქციით. თბილისი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე". 1998 წ. გვ 580;
9. ვენედიკიანი ჰ. მ., ვორფილდი ჯ. ა. საერთაშორისო ვაჭრობის დაფინანსება. „ელფის გამომცემლობა". თბილისი, 2002 წ;
10. კაკულია რ. საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები თბილისი, 1998 წ;
11. კაკულია რ., ხელაია გ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თბილისი, 2000 წ;
12. კამაევი დ. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები. სახელმძღვანელო. გამომც. „ვლადოსი". თბილისი, 1995 წ. გვ 384;
13. კახნიაშვილი ჯ.. მაკროეკონომიკა. (სახელმძღვანელო. ნაწ. I-II), საგამომცემლო ფირმა „სიახლე". თბილისი, 1996 წ. გვ. 496;
14. კეკუა ვ. სადაზღვევო სისტემის ფორმირებისა და განვითარების საკითხები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. თბილისი, 1999 წ;
15. კემპბელი ბრიუ, სტენლი რ. ეკონომიქსი. (პრინციპები, პრობლემები და პოლიტიკა)/ გამომცემლობა: „საქპროფგამი", (IV ტომეულად). თბილისი, 1993წ;
16. კრუგმანი ა., ოფსვილდი მ. საერთაშორისო ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა, თარგმნილი ინგლისურიდან, გამომცემლობა: „ცისარტყელა" თბილისი, 2000 წ. გვ. 500;
17. ლეიაშვილი პ. ეკონომიქსი. თბილისი, 2004 წ;

18. ლეონარდი დ. ევროკავშირის სახელმძღვანელო. გამომცემლობა: „ჯისიაი“ თბილისი. 2002 წ;
19. ლინდერტი პ. ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა. გამომცემლობა „სიახლე”. თბილისი, 2001 წ. გვ. 365;
20. ლორთქიფანიძე ვ. „საბაჟო საქმის საფუძვლები”. თბილისი, 2002 წ;
21. მსოფლიო ეკონომიკა. დამხმარე სახელმძღვანელო, პროფ. გ. თოდუასა და პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით. თბილისი, 2001 წ;
22. მოვსესიანი ა. გ., ოგნივცევი ს. ბ. მსოფლიო ეკონომიკა. სახელმძღვანელო, ტომი II. პროფ. შ. ვეშაპიძის რედაქციით. თბილისი, 2004 წ;
23. პაპავა ვ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი, 2000 წ. გვ. 168;
24. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. გამომცემლობა: „პდპ“. თბილისი, 2002 წ;
25. პინდაიკი რ., რუბინფელდი დ. მიკროეკონომიკა. თბილისი, 2000 წ;
26. რიბალკინი ვ. „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები”, ვ. ლობჟანიძის თარგმანი, გამომცემლობა „ლამპარი” თბილისი, 1999 წ. გვ. 376;
27. რონდელი ა., საერთაშორისო ურთიერთობები, გამომცემლობა „ნეკერი” თბილისი, 2003 წ. გვ 239;
28. რონდელი. ა. „საერთაშორისო ურთიერთობები”. გამომცემლობა „თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი”. თბილისი, 1996 წ;
29. საერთაშორისო სავაჭრო ფასები (პროფ. ვლ. პაპავას რედაქციით) თბილისი, 1992 წ;
30. საღარეიშვილი ო. ხარაიშვილი ე. „ბიზნესის ორგანიზაცია, მართვა და ანალიზი. თბილისი, 1995 წ;
31. ფიშერი ს., შმალენზი რ., დორნბუში რ. ეკონომიკა. (4 ტომად) თბ., 1998 წ;
32. ქარუმიძე ვ., საერთაშორისო ორგანიზაციები. თბილისი, 2003 წ;
33. ქარუმიძე ვ. „საბაჟო საქმე”. თბილისი, 2001 წ;
34. ქოქიაური ლ. ინვესტიციური ბაზრის ფორმირება და განვითარება საქართველოში. (სახელმძღვანელო), თბილისი, 2002 წ;
35. ღვამიჩავა ა. ევროკავშირი XX1 საუკუნის მიჯნაზე. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1998 წ. გვ. 112;

36. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო ბიზნესი. სახელმძღვანელო. გამომცემლობა: „თსუ”, თბილისი, 1998 წ;

37. ყორღანაშვილი ლ. ვაჭრობის ორგანიზაცია ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში. გამომცემლობა: „თსუ”, თბილისი, 1994 წ;

38. ყორღანაშვილი ლ.. ვაჭრობის ეკონომიკა. გამომცემლობა: „თსუ”, თბილისი, 1995 წ;

39. ყორღანაშვილი ლ.. საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: „მერიდიანი და კაბადონი”. თბილისი, 1997 წ. გვ. 481;

40. ჩაგელიშვილი ლ. „საერთაშორისო ბიზნესი”. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2003 წ გვ. 422;

41. ძნელაძე დ. „მსოფლიო ეკონომიკა”. თბილისი, 1997 წ. გვ. 448;

42. ჯგერენაია ე. „საბაჟო საქმის საფუძვლები”. თბილისი, 2002 წ;

43. ჯიბუტი მ. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი. საგამომცემლო ფირმა „სიახლე”. თბილისი, 2003 წ;

44. ჯიბუტი ა., ღლონტი ი. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი. თბილისი, 2003 წ;

45. ჯოლია გ. საერთაშორისო ბიზნესი. მეცნიერებათა აღორძინების ფონდი, გამომცემლობა: „ინტელექტი”. თბილისი, 1996 წ. გვ. – 176;

46. ჯოლია გ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. გამომცემლობა: „მეცნიერება“. თბილისი, 1998 წ. გვ -- .530;

47. ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი, 2001 წ;

48. ჭყოიძე ვ., ჭელიძე ზ. ევროპული ინტეგრაცია და ევროკავშირის ეკონომიკური ინსტიტუტები, თბილისი, 1998 წ. გვ. -- 1-76;

49. ასლამაზიშვილი ნ. საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელობისა და ანალიზის საკითხისათვის. ჟურნალი „ეკონომიკა” № 7, თბილისი, 1993 წ;

50. გორდეზიანი კ.. სავალუტო რეგულირების თავისებურებანი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. ჟურნალი „ბანკი” № 5. თბილისი, 2002 წ;

51. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო საფინანსო არქიტექტურის კონტურები. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკა”. №3. თბილისი, 2004 წ, გვ. 140-145.

52. Авдокушин Е. Ф. Муждународные экономические отношенияя. Учебник. Изд. «Экономисть». Москва. 2004. 365---с;

53. Акулич М. Анализ конкурентоспособности продукций в аспекте взаймоотношений с потребителями. Маркетинг (журнал) №6 (73). 2003;

54. Алиев Б. Х., Абдулгалимов А.М. Теоретические основы налогообложения: Учеб. Пособие для вузов / Под ред. проф. А. З. дадашева. – М.: ЮНИТИ-ДАНА, 2004. – 159 с;

55. Алехин Б. Государственный Долг. Москва 2004;

56. Белланже Л. Переговоры. 5-е изд. (Пер. с франц., под ред И. В. Андреевой). СПб. 2002;

57. Бендина Н. Международные валютно-кредетные отношения. М. 2001;

58. Буглей В. Б. Ливенцев Н. Н. Международные экономические отношения. Учебник. Пособие/Под. Ред. Н. Н, Ливенцева.—2-ое изд. Перераб. и доп. Москва. Изд. «Фынансы и статистика». 2004. 256---с;

59. Ватник П. А., Кузнецова Н. П., Сутирин С. Ф., Кадочныков С. М. Приямые зарубежные инвестиции. Изд. «Экономическая школа» М. 2002. 250 -- с;

60. Уильям Ф. Щарп, Гордон Дж. Александер, Джефер Били В. Инвестиции. М. Изд. «Инфра – М» 2004. 827 -- с;

61. Герчикова И. Н. Международное коммерческое дело.–М., Юнити, 2001;

62. Герчйкова И. Н. Международные экономические организаций: регулирование мирохазяиственных связей и предпринимателских деятельности. Учеб. пособие –М.: Издателства АО. «консталтбанкир», 2000. 510-с;

63. Дениельс Д. Д., Радеба Л. Х. Международный бизнес: внешная среда и деловые операции. – М. -2000;

64. Дэй ДЖ. Стратегический маркетинг. М., 2002;

65. Друзик Я. С. Мировая экономика: Страны, регионы, континенты. М: Экономика, 2002;

66. Экономика: Учебник. / Под ред. Д-ра экон. наук проф. А. С. Булатова- М. Экономист, 2004. – 896--с;

67. Звонова Е. А. Международное внешнее финансирование в современной экономике М., Экономика 2002;

68. Зубченко А. канд. Экон. Наук – М: ИСЭ. 2004, – 144 -- с;

69. Зубченко Л. А.. Иностранные инвестиции. Учебное способие. / Автор составитель Л.

70. Киреев А. Международная экономиика, В 2-х ч.-ч. 2000-416 с;

71. Котелкин С. В. Международная финансовая система. М. 2004;

72. Котлер Ф. Маркетинг Менеджмент М. 2003;

73. Кревенс Д. Стратегический маркетинг. М., 2003;

74. М. В. Колесов. Экономика зарубежныж стран.. М. 1994г.с-- 197/

75. Круглов В. О. Основи валютно-кредитних и финансових отношении С-ПБ, 2000;
76. Лазарев М. И., Абашидзе А. Х. Казусы (международно-правовые из практики стран Америки XX века). М., 2001;
77. Ломакин В. К. Мировая экономика, М. : экономика, 2004;
78. Ломакин В. К. Мировая экономика М., Юнити 2003;
79. Лукашук И. И. Искуство деловых переговоров: Учебно-практическое пособие. М., 2002;
80. Макконнелл К. Р. Брю С. Л. Экономикс. Москва. 2004;
81. Международные валютно-кредетные и финансовые отношения под. ред. Л. И. Красавиной. М. 2003;
82. Междунородные экономические отношения. Под. ред. Рыбалкина В. Е. М.: Наука, 2004;
83. Международные экономические отношения. Учебник. \Под ред. Б. М. Смитиенко. Москва. Изд. «ИНФРА—М». 2005 г. 514—с;
84. Международные валютно-кредитные и финансовые отношения. Под ред. проф. Л. Н. Красавиной. М., Финансы и статистика, 2003;
85. Мировая экономика и международные экономические отношения. Под ред. Федосеева Г. А. М. : Мир, 2003;
86. Мировая экономика. Под ред. Воронина В. П. М. : Высшая школа, 2003;
87. Мировая экономика и Междунородные экономические отношения. Федосеева Г. А. М. : Мир, 2003;
88. Мировая экономика. Под. ред. Николаевой И. П. М.: Мир, 2003;
89. Мировая экономика: страны, регионы, континенти, под. ред. Друзик Я. С. М.: Экономика, 2002;
90. Мировая экономика: введение во внешнеэкономическую деятельность: Учебное пособие для вузов/ Елова М. В., Муровьева Е. К., Панфенова С. М. и др. ; Под ред. Шуркалина А. К., Цыпиной. Н. С. - М. Логос, 2000. 248 -- с;
91. Мовсесян А. Г. Огневцев С. Б. Международные валютно-кредитные отношения. Инфра-М, 2003;
92. Мовсесян А. Г. Огневцев С. Б. Мировая экономика. М., Финансы и статистика, 2001;
93. Моисеева Н. К. Конышева М. В. Управление маркетингом: теория, практика, информационные технологии. М., 2002;
94. Налоги: Учеб. Пособие. 5-е изд., перераб. и доп / Под ред. Черника Д. Г. М.: Финансы и статистика 2001. 656 – с;
95. Основы международных валютно-кредитных отношений. Под ред. Круглова В. В. М., Инфра-М, 1999;

96. Погорлецкий А. Экономика зарубежных стран. С-ПБ, 2000;
97. Пол кругман, Морис Обсевельд. Международная экономика. 5-ое международное издания. Изд. «Питер». Москва. 2003 г.—832 с;
98. Портер М. Конкуренция: пер. С англ.: Уч. Пос. – М.: Издательство дом «Вильямс», 2000. – 459 с;
99. Пугель Томас А. Линдерт П. Х. Международная экономика. Учебник. Пер. С англ. М. Изд. «Дело и сервис». Москва. 2003 г. 800 с;
100. Райсберг Б.. Государственное управление экономическими и социальнымы процессами. Москва 2005;
101. Рыбалкин В. Е., Ю. А. Шербанин, Л. В. Балдин и др. Международные экономические отношения: Учебник под ред. проф. В. Е Рыбалкина.--- 5-ое изд. перераб. и доп.---М: ЮНИТИ_ДАНА. 2005.---605 с;
102. Рынок ценных бумаг и его финансовые институты, под. ред. Торкановский. СПБ., АО комплект, 2001;
103. Свертуньков С. Г. Методы маркетинговых исследований. Санкпетербург., 2003;
104. Смитиенко Б. М. Международные экономические отношения ИНФРА-М. М. 2005;
105. Титов А. Б. Маркетинг и управление иновациями. «ПИТЕР» Санкпетербург., 2001;
106. Ф. д. Кальер. О способах ведения переговоров с государями.- М. 2000;
107. Федякин. Международные финансы. М. 2004;
108. Федякин. Международные финансы. М. 2004;
109. Шеретов Г. Ведение международных переговоров, алмаата, 2004;
110. Хасбулатов Р. Мировая экономика М, Экономика, 2001;
111. Харисс Д. Международные финанси С-ПБ, 2000;
112. Abrams M. “ Emerging Clusters in Regional Economies” Paper presented at the Technopolis’97 Conference, Ottawa, Canada, September 2003;
113. Altmann, Jörn/Kulessa, Margaliete (Hrsg.): Internationale Wirschaftsorganisationen. Ein Taschenlexikon. Stuttgart 1998:
114. Anderson, Uwe/Woyke, Wichard (Hrsg.): Handwörterbuch Internationale Organisationen, 2. Auflage, Opladen 1995:
115. Brownlie I. Principles of Public International Law. Oxford. 1998:
116. Gerald Parkinson “ Rechucing Wastes Can Be Cost – Effective”, Chemical Engeneering 97, no. 7, July 1990, p. 30:
117. International Constraction Week, July 11, 1988:

118. Insurange regulation in Europe bu clifford chane. Llouds List Praktikal cruides, London NewYork, Hamburg, Hongkong. Liouds london press LT2.1993:

119. Isurange bu Nich chane, London, 1998:

120. International Negotiation: Analysis, Approaches, Issues/Ed, by V.A. Kremenyuk. San Francisco, Oxford, Jossey-Bass, 1991:

121. International Environmental Negotiation / Ed. by Gunnar Sjostedt. - Newbury Park, London, New Delhi: Sage Publications, 1993:

122. Harris D.J. Cases and Materials on International Law. London. 1998:

123. Conejos S., E. Duch, J. Fontrodona, J.M.Hermandez, A.Luzzaraga and E. Terre. Cambio Estrategiko y Clusters en Cataluna. Barcelona: Castion 2000, 1997:

124. Cohen H. You Can Negotiate Anything. - New-York, 1982:

125. Unctad World investment Refcyt 2004;

126. Tatsachen über Deutschland. Frankfurt 2003:

127. Woyke, Wichard: Hundert Fragen zum Euro, Opladen 2000:

128. http://WWW.WTO.org;
hnnp:// WWW. ICCBO.org:

130. http://www.EU:

131. http://www.World-Trade.org:

გამომცემლობის დირექტორი: **ნანა ხახუტაიშვილი**
გამომცემლობის რედაქტორი: **ლალი კონცელიძე**
ტექნიკური რედაქტორი: **ედუარდ ანანიძე**

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 10.04.2008
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ტირაჟი 100

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 35

დავით ჭათამაძე

დაიბადა 1972 წელს, ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბანში. 1994 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1997 წელს დაამთავრა ამავე სასწავლებლის ასპირანტურა-„საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" სპეციალობით. 1998 წელს დაიცვა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

1999 წლიდან დღემდე კითხულობს ლექციებს შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2000 – 2005 წლებში მუშაობდა ამავე სასწავლებლის ეკონომიკის ფაკულტეტის სამეცნიერო კონფერენციის და „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" სექციის მეცნიერ-ხელმძღვანელად. 2001 – 2003 წლებში იყო „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების" კათედრის გამგის მოადგილე, 2004 –2005 წლებში – ამავე კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი. 2006 –2007 წლებში იყო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საგანმანათლებლო პროგრამის მეცნიერ-ხელმძღვანელი ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში. 2006 წლიდან დღემდე არის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე სასწავლებლის „საერთაშორისო ეკონომიკის" სპეციალობის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მეცნიერ-ხელმძღვანელი. იგი არის 10-მდე მაგისტრის სამაგისტრო შრომის მეცნიერ-ხელმძღვანელი, ერთი მონოგრაფიის რეცენზენტი. მისი კვლევის სფეროა საერთაშორისო ეკონომიკის, საერთაშორისო ბიზნესის, ქვეყნის მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევის, საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, უცხოური ინვესტიციების საქართველოში მოზიდვისა და დაბანდების პრობლემატიკა.

გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო სტატია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებით.